

+00/2
983

8



ქართული
წიგლმცოდნეობა

საგანგებო 1983

51 / 15
780/09

6



ISSN 0134 - 0548



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუსტავ დორა, ილუსტრაცია დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა“

გუსტავ დორა, ილუსტრაცია გარლ ვერნის ზღაპრისა „ლუკრეცია“



სურსათი



ქართული
წიგლმწიქთმცოდნეობის
ინსტიტუტი

6

(57)

ნოემბერი
დეკემბერი

1983

საქართველოს მწერალთა კავშირის
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

შინაარსი

კოლეგია და პროზა

| | |
|--|-----|
| გომრბი მარკოვი. ციმბირი. რომანი. თარგმნა ვანო ურჭუმეღლაშვილმა | 8 |
| თომას ველორი. ამბავი მეფე ართურის ზომბისა. რომანი. გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მაღრაძემ | 58 |
| გომრბი სემიონოვი. მოთხრობები. თარგმნა ციალა ჩხეიძემ | 184 |
| ფირდოუსი. ქვი-ქაუსი. დახაწყისი. ხპარსულიდან თარგმნა ბელა შალვაშვილმა | 190 |
| ბრეტ ჰარტი. მოხუცი კლანკეტი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ბეჟან სივხივაძემ | 214 |

წერილები

| | |
|--|-----|
| მარინა ცვეტაევა. წერილები. თარგმნა ნანა კანდელაკმა | 229 |
| შტეფან ცვანიგი. სტიმდული. დახასრული. გერმანულიდან თარგმნა კარლო ჯორჯანელმა | 248 |
| ბაჩანა ბრეგვაძე. სოკრატე. | 265 |
| მერაბ რუბაქიძე. საქართველო ოვანეს თუმანიანის წერილებში | 290 |
| ლონდა მსაძე. „ხელნაწილები არ იწვიან“ | 297 |
| ენო ფირცხალავა. ტრაგიკული ელემენტის კონცეფცია კეპელისა და კირკაბორის მსთეტიკაში | 302 |
| ნიკო კენჭოშვილი. ახალი ჰინდური მოთხრობის განვითარების ზომიერითი თავისებურებანი | 308 |
| ბარტლაუზი. გუსტავ დორმ. თარგმნა მანანა ამისულაშვილმა | 311 |

მთავარი რედაქტორი:
მუსრან მაჭავარიანი

პ. მგ. მღვიანი:
ნანა ღარჩია
სარედაქციო კოლეგია:
ელზა ახვლედიანი
ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი ბაქანიძე
მუნა ბაჭრაძე
ზაჩანა ბრეგვაძე
პურან გოგიაშვილი
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კობახიშვილი
რომან მიმიონიშვილი
გიორგი ნიუნიაანიძე
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკიძე
რუსუდან ქიზულაძე
იორან ქინდრელიძე
ნიკო ურსაშვილი
გივი ქნელაძე
დავით წარედინი
ნუგზარ წარეთელი
თამაზ წიფჩივაძე
რაჭო შვიშვილი

«САУНДЖЕ»

**ДВУХМЕСЯЧНЫЙ
АЛЬМАНАХ
ВСЕМИРНОЙ
ЛИТЕРАТУРЫ**



**НА
ГРУЗИНСКОМ
ЯЗЫКЕ**

თარგმნული
პიზღირითება

**№ 6
1983
СОЮЗ
ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ**

**ГЛАВНАЯ
РЕДАКЦИОННАЯ
КОЛЛЕГИЯ ПО
ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ
И
ЛИТЕРАТУРНЫМ
ВЗАИМОСВЯЗЯМ**

გარეკანზე: გუსტავ დორე „დონ კიხოტი“

მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომშვეები ნანა ბართაია

ჩვენი მიხამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მღვიანი — 99-60-22
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 15. 09. 83 წ., ხელმოწ. დასაბუქდად 6. 12. 83 წ., ქალაქის ზომა 70×108¹/₃₂
საიღრ. თ. 24,89. სახტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,75. ტირ. 10.000. შეკვ. № 2193.
ფასი 1 მან. 60 კპპ.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

ბ ე რ ბ ი მ ა რ კ ი მ ე ი

ც ი მ ზ ი რ ი

რ მ მ ა ნ ი

თარგმნა ვანო ურჯუშელაშვილმა



ჟურნალმა „საუნჯემ“ 1980 წლის მე-4 ნომერში გამოაქვეყნა გამოჩენილი რუსი მწერლის გეორგი მარკოვის რომანის „ციმბირი“ ნაწევები.

შეითხველს ავლავაც ვთავაზობთ აღნიშნულ რომანის ძეგლს წიგნიდან რამდენიმე თავს.

ვოლია აკიმოვი

თავი მეორე

1

485.41

არც ნარიმში, არც კარგასოეში ეპიტან კრივორუკოვი არ ვაჩერებულა. ორივეგან ღამე გაათოეს, დაისვენეს, ცხენებს აჭამეს და გზა განაგრძეს. შალაზიებშიც კი არ შესულან, არც ერთ დუქანთან, არც ერთ ღვინის სარდაფთან არ დაყოვნებულან.

ნარიმში ზაფრული მოსაწყენი და ერთფეროვანი იცის, ზამთარი — ეიდევ უფრო უარესი. საითკენაც არ უნდა გაიხედო — თოვლი, თოვლი და თოვლია. ღამის დაგაბრმავოს ვაყი. არა მარტო ტბები და მდინარეები, მდელოები და ბორცვებიც თოვლითაა დაფარული, წყლისპირა ტყეებიც კი ხის კენწეროვბამდე წანამკრულა! თვალუწვდენელ თეთრ ველზე ძალიან იშვიათად იქ გამოჩნდება პატარა, ქუფრი ლაქა. თუ თვალებს მოკუტავ და მზერას ძალიან დაძაბავ, დიდი ტვინის ქყლეტი არ უნდა იმის გაგებაზე, თუ რა მოჩანს ასე შავად. მეგრე რა, რომ აქ დროდადრო დიდი ყინვები იცის და ქარბუქიც ბობოქრობს, ნარიმის მიწის წიაღში მაინც ჩქეფს იდუმალი სიცოცხლე, ბუნების ვერა ძალა ვერ შეძლებს მის სამუდამოდ დაბმას და დაბორცვას. თოვლზე დამჩნეული რუხ-მოყავისფრო ლაქები სხვა არაფერია, თუ არა წყაროები, მიწიდან რომ ამოჩუხჩუხებენ და ზევით ეანგიანი წყალი ამოაქვთ. და არა თოვლს არ ნეუძლია ამ მუქ-მოწითალო ფერის ჩაკრობა. ზოგჯერ დიდ თოვლს დადებს, გგონია, შორჩა, სამუდამოდ გაჭრა ლაქა! მაგრამ ორ-სამ დღეში თოვლი ეანვით ისე იყდინთება, ვითარცა ბანდი ახალი კრილობის სისხლით. ის შავი მოლები კი, შორს რომ ჩანს, ნარიმის დაჭაობებული ტევრების საზღვრებია. ოპის დინებას თითქმის მთელ სიგრძეზე ორიარუსიანი საპირი იცავს: პირველი იარუსი—

ქ. შატაბის საბ. საქ. სს.
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

ნოლის კიდევებით, რაზეც დიდი მდინარე წყალდიდობისას სცდის ხოლმე თავის ძალას. ამ დროს ხუთი, ათი, ზოგჯერ მეტი ვერსითაც განსვამს მისი ნაპირები და აღიდებულ, აბობოქრებულ მდინარეს მხოლოდ მათი ფლატეები და ასობით ათასობით ვერსზე ტყით დაფარული ბორცვები აქ რაც უნდა ეხეთქებოდეს მისი ტალღები და აწყვეტილი ჭავლები უნდა ლოკოს და ლოკოს მიწა, წყალდიდობა ვერაფერს აკლებს მატერიკს — როგორც ნმელეთის ამ ნაწილს უწოდებენ ხოლმე. ნარიში აქაურმა მცხოვრებლებმა კარგად იციან მდინარის დაუნდობელი ზნე; იმიტომაც მიკვირიან პატარა პატარა სოფლები, ოსტიაკებისა და ტუნგუსების სადგომები მატერიკის ნაპირს. აქ, ფიჭვისა და კედრის ტყეებით დაცულ ადგილებში უფრო მშვიდად შეგიძლია იყო არა მარტო წყალდიდობისას — გაზაფხულსა და ზაფხულში, არამედ ზამთარშიც, როცა ქარბუქი გაყინულ ტბებსა და მდინარეებს თოვლის საფარს აგლეჯს. ცამდე ააქვს იგი და მიწა ისე ინთქმება თვალშეუღწევ ბინდბუნდში, როგორც წყლით გაყინული მძიმე კუნძი მდინარეში.

პოლიას მოსწონდა ნარიშის უკიდუგანო მიდამოები. „რა სივრცეა! აი, სადა აქვს გასაქანი ქარსაც და ადამიანსაც“, — ფიქრობდა იგი. მაგრამ თეთრი, უტყვი სივრცე მალე ღლიდა, მოწყენილობას გვრიდა. პოლია თვალებს ხუჭავდა, თვლელმა ერეოდა. მენსიერებაში წარსულის სურათები ამოტივტივდებოდა. — ხან ბავშვობის ამბები, ხან — საქორწინო დროების პატარა ეპიზოდი, ხან ნიკიშა, ხანაც თვალწინ ის გამოქცეული პატიმარი, ამ შემოდგომით მთვრალი ჩაფრებისა და გლეხების რისხვისაგან რომ იხსნა, ოჰ, რა შთამბეჭდავი, დაუვიწყარი სახე ჰქონდა იმ ბიჭს: გაფაციცებული, თაფლისფერი თვალები, თვითონაც ერთიანად დაძაბული... მოშვებული წვერი, რათა ხანი მომატებოდა და ობელ მეთევზეს დამსგავსებოდა. ჯაგარივით აბურძგნოდა... ისეთი ტანი ჰქონდა, ისეთი მიხრა-მოხრა, როგორც ნახტომისათვის გამზადებულ ნადირს, თვალის დახამხამებაში რომ შეიძლება გაქრეს, ან გასაოცარი ძალით გეძგეროს.

გამოსაფხიზლებლად პოლია თვალს გაახელდა. რამდენიმე წუთს სივრცეს გასცქეროდა, თუ როგორ მიედინებოდა პორიზონტზე მატერიკის შავი ზოლი, ხან რომ ახლოვდებოდა, ხან კი ისევ შორდებოდა. მაგრამ თვალი ისევ ელულებოდა, ქუთუთოები საშინლად უმძიმდებოდა.

ისევ ახსენდებოდა წარსულის სურათები, მაგრამ ამჯერად სახეებსა და საგნებს მამამისის დიდი, სევდიანი, ჩაფიქრებული თვალები ფარავდა. სწორედ ისე მოსჩერებოდნენ, როგორც ამ სამი დღის წინათ, გამომშვიდობებისას, მარხილის კაეების ჭრიალში ესმოდა მამის ხმა: „მიეუსხდებით მე და შენ მაგიდას და დიდხანს, დიდხანს ვისაუბრებთ...“ ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვება? რად თქვა ასე მრავლისმეტყველად, ეტყობა რაღაც უჩვეულო, რაღაც სრულიად მოულოდნელი უნდა უთხრას... ან იქნებ: მამა გაუმხელს საიდუმლოს, საშინელ საიდუმლოს... „იცი, პოლიუშკა-შვილუკა, შენ ხომ სულაც არა ხარ ჩემი შვილი, უცხო ხარ... არც ფროსიაა დედაშენი, არც ბაბუა ფედოტი — ბაბუაშენი, იგი ისევე უცხოა შენთვის, როგორც ნებისმიერი შემხვედრი მოხუცი... ღმერთო! რა საშინელებაა, როცა ამქვეყნად არც ნათესავეები გყავს, არც ახლობლები, ნიკიფორი კი მისი ქმარი?“ მაგრამ ის ხომ ალალით წავიდა ტომსკში და აღარ დაბრუნდება... აღარასოდეს დაბრუნდება, რადგან ვხაში ყინული ჩაუტყდა და ალალითან ერთად წყალში ჩაიძირა.

პოლია შეერთა, შიშით ასწია თავი, გულიდან კენესა აღმოხდა.

— ეტყობა, რაღაც ავი მოგეჩვენა, პალაგია, წამოიყვირე კიდევ. ეპიფანიმა ცერად გადახედა პოლიას და ჩაეცინებოდა: თქვა ეს სიტყვები გვირდით უკნა რძალს, მასავით თავით-ფეხამდე ცხენირმის ქურჭში ვხეჩქვართოელს გზა ჩუმად იჭდა, როვილით დაფარულ ცხენს თუ დაუცავს.

პოლიას არ უნდოდა მამამთილისთვის ეამბნა, რაც მოეჩვენა, ვინ იცის, როგორ ახსნიდა ეპიფანი მის გულახდილობას...

— ჩავთვლიმე და მომეჩვენა, თითქოს ორბოში ვყარდებოდი, პოდა, დავიყვირე, — თქვა ყასიდად, რადგან არ ებასუხა, არ იქნებოდა.

— ერიპა, კაცო სიზმარში რაღას არ ნახავს! ერთხელ ჩამეძინა და ჩემი თავი სარკვეში დავინახე, თვალები და სახე თითქოს ხეშია, მკერდზე კი ფაფარი მაყრია, თავზე ირემივით რქები გამოშსხმია, თითების მაგივრად ფლოქვები მაქვს, ოფლში გაწურულმა ვავაღვიძე, თანაც წვეთი არ დამიღვვია, სხვას გული წაუვიდოდა ასეთ საშინელებაზე, მე კი წამოვბტი და პირსაბახს ვეცე, პაშინვე ჩამოვიბანე შიელი ეს ჭანდაბა, თუ გინდა ვაეჩიერებ, ეგერ, თოვლი თ დაიზილე ლოყები, — შესთავაზა რძალს, პოლიამ უარი უთხრა, თუმცა გულით ეწადა რაიმე ცივს შეხებოდა, მან ტუჩები გაილოკა, შეისუნთქა სუსხიანი ჰაერი და თავი ცოტა უკეთ იგრანო.

— შეუჩვეველი ბარ და იმატომ გოიბობ თავს ცუდად, პალაგია! აი, მე, თუ გინდა ათას ვერსს ვავივლი და ვითომ არაფერი, არა უშავს, მალე დაისვენებ, დიდი გზა როდილა დაგვარჩენია.

ეპიფანიმა შეუძახა წანა ცხენის, შებრუნდა, მათრახის ტარი მოუღერა მეორეს — ცხენი უკვე მოქანცულიყო, ვაწყვიტამდე დაეჭიმა სადავე, — აბა, წელინუ გწყდება, თორემ მათრახით აგიჭრელებ გვერდებს!

ცხენმა ფაფარი შეიბერტყა, უფრო მკვირცხლიდ ააბაკუნა ფლოქვები, ეტყობა, მიხვდა, პატრონი რასაც ითხოვდა.

2

ამის შემდეგ კიდევ იარეს და იარეს, ეპიფანის დანაპირებ დასვენებას კი პირი არ უჩანდა, პოლია ისევ ძილ-ღვიძილში იყო, უცვლად, თვალები რომ გაახილა, დაინახა: ხშირ ნაძენარში გაჩეხილ ვიწრო, გაუკვალავ გზას ადგნენ, მყისვე მიხვდა, რომ მთავარი გზიდან სადღაც გადაუხვიეს.

— მამა, შორს ვაგვიწევია? — ჰკითხა მამამთილს, სიტყვა „სად“ განგებ არა თქვა იმის შიშით, რომ არ ებასუხათ: სად და, ჭანდაბას იქით, ეწმაკებშიო, ან კიდევ ამაზე უარესი, როგორც ამ ადგილებში სჩვეოდათ.

— ავაზაკ ძმებთან მივდივართ, პალაგია, მელიან ეგ ოხრები, შეპირებული ვარ, ერთი კვირით ადრე უნდა ჩავსულიყავი!

— ავაზაკი ძმები ვილა არიან, მამა? — აღელდა პოლია და გაიფიქრა: „ავაზაკ ძმებზე მამას კი უთქვამს, მგონი, რაღაც საშინელებაა, მაგრამ ის კი აღარ მახსოვს რა?“

— ვინ არიან? ჩემი ამხანაგები, ოდესღაც იძულებით დასახლდნენ აქ, ძერე კი შეეჩვივნენ, თვითონ ნახავ... ნუ გეშინია, ეგენი ჩემს ხელში არიან, კრინტსაც ვერ დასძრავენ! — ეპიფანიმა ასწია ძილლის ბეწვის თათმანში შეღუ-

ასული ხელი და პოლიას ცხვირწინ აუქნია. — აგერ, მათი სახლ-კარიც ხე-
ღავ, როგორი ბოლი ამოდის საკვამურიდან? სითბო უყვართ, მამხობილებს! ღუ-
მელს არ სცილდებიან, როგორც კრუხს წიწილები! — ეპიფანი წვერ-ელვაში-
დან იგლეჯდა მიყინულ ლოლუებს, ავაზაკ ძმებთან შესახვედრად ეშაღე-
ბოდა.

ზინზილიყიყა

პოლიას უნდოდა ზოგი რამ გამოეკითხა ეპიფანისათვის, მაგრამ გვიანლა
იყო: გზამ უცებ მოუხვია და წინ მოგრძო მდელი გადიშალა. მასზე ტყვეს
მიკიდებული დიდი სახლი იდგა, ოდნავ მოშორებით კი, ტბის თუ მდინარის
პირას შავად მოჩანდა რაღაც შენობა. თითქმის სახურავამდე მიწაში ოთხ იყო
ჩაფლული.

სახლს მაღალი მესერი ევლო. ეზო ლატნებით იყო გადახურული. ალა-
ყაფის კარი ნათალი ფიცრისაგან შეეკრაო. ვერც კაცი და ვერც ნადირი ეზოში
ადვილად ვერ შეაღწევდა.

ეპიფანი მარხილში წამოდგა. ხანგრძლივი ჯდომისაგან ფეხები, ხელები და
წელი დაბუყებოდა. სანამ იგი ერთ ადგილას თოვლს ტკეპნიდა, სანამ ქურჭ-
ვახდილი იზმორებოდა, სახლიდან შეამჩნიეს კიდევ, ალაყაფის კარი კრილით
გაიღო და ერთიმეორის მიყოლებით სამი კაცი გამოვარდა. სამივეს ერთნაირი
ციყვის ბეწვის ქუდები ეხურა, მოკლე ჭუბები და შავი, გადაკეცილყულებიანი
პიშები ეცვათ:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ეპიფან კორნეიჩ, როგორ გიკით-
ხოთ! რა ხანია გელოდებით, რამ შეგაყოვნათ. პატივცემულო? — ძმები ერთ-
მანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. წვრილი ბიჭური ხმები ჰქონდათ. პოლია განკ-
ვიფრებით ათვალეერებდა მათ. სამთავეს მრგვალი, უწვერულეაშო, მომჩეა-
რული, დანაოჭებული სახე ჰქონდა. ეპიფანის ვარშემო ფუსფუსებდნენ, მას
კი გაკვირვებით უყურებდნენ.

— გაგიმარჯოს, ავაფონ! გამარჯობა, ავაპ! გამარჯობა, აგეი! — ეპიფანი
ძმებს რიგრიგობით ესალმებოდა, ზურგზე ხელს ურტყამდა, ეკითხებოდა.
რასა იქმთ, როგორ ცხოვრობთო.

— ღვთის წყალობით რა გვიქერს, ეპიფან კორნეიჩ, — წრიპინებდნენ
ისინი და არ იცოდნენ, სტუმარს როგორ მიხმარებოდნენ.

„ანუთუ ესენი არიან ის ავაზაკი ძმები? ანკი რა უგავთ ავაზაკებს? უთიამ
თვალეები? რაღაც უსიამოვნო, ცოტა არ იყოს ქურდული მზერა აქვთ“. —
ფიქრობდა პოლია, ჯერ ისევ მარხილში რომ იჯდა და იმას ელოდა, ეპიფანი
ავის ნაცნობებთან ლაპარაკით გულს რადის მოიოხებდა. დარწმუნებული
იყო, დღესვე გააგრძელებდნენ გზას და ღამეს რომელიმე სოფელში გაათევ-
დნენ, მაგრამ აი, ეპიფანი და ქოსა კაცები განზე მიდგნენ და დაბალი ხმით რა-
ღაცაზე დაიწყეს ლაპარაკი. მერე ქოსები საჩქაროდ ეზოში შევიდნენ. ეპიფანი
კი მარხილებისაკენ წამოვიდა.

— აბა, პალაგეა, ჩამოვედით. გადმოდი. აქ ერთ კვირას დავრჩებით.

— ერთ კვირას?! მე კი მეგონა, მხოლოდ ღამეს გავათევთ-მეთქი! — თქვა
პოლიამ: არც ეს ბნელი, ხშირი ნაძვნარი მოსდიოდა თვალში, არც ეს ვიწრო
სარკმლებიანი სახლი.

— აქ ქვეყნის საქმე გვაქვს, პალაგეა. ღმერთმა ქნას, რომ აუვიდეთ, თუმ-
ცა აი, რა უნდა გითხრა, — ხმას ცოტა დაუწია ეპიფანმა: — შენ ჩვენთან ერთად
კი არა, სახლის მეორე ნახევარში იცხოვრებ. იქ სახელოსნო აქვთ. სათოკე და

საკუბრე საქმის ოსტატები არიან, სკოპცები, აბა, როგორ გითხრა, რალაც და-
კოდელი ცხენის მაგვარები, მაგათი რწმენით არ შეიძლება დედაკაცთა მოდ-
გმასთან ერთ ოთახში იცხოვრონ. მარტო ხომ არ შეგეშინდება?

— არა!

— ხომ იცი, ყველას თავისი ოფოფები ჰყავს, მაგრამ ^{ქუჩის} ^{მანქანის} ^{ანგარიში} რომ არ გავუწიო მაგათ, მშვიდობით, მეგობრობავ! მე კი უმაგათოდ გამიჭირ-
დება, ვერას გავხდები. ამათაც უჩემოდ არაფერი ფასი აქვთ. ტყუილად კი არ
ამბობენ: ხელი ხელსა ბანს... — ეპიფანი შეცბა, ანდაზა აღარ დაუბოლოება.

პოლიამ თავისებური შეფასება მისცა მის შეცბუნებას, უნდობლად შეხე-
და ეპიფანს და ჩუმად, თითქმის თავისთვის თქვა:

— ხელი ხელს ბანს და მაინც ორივე ჭუჭყიანია...

ეპიფანმა შენიშნა მისი ტუჩების ცმაცუნი, მაშინვე დაიძაბა, შოუთმენ-
ლად ჰკითხა:

— რას ამბობ, პალაგეა?

— იმას ვამბობ მამა, რომ ხელი ხელს ბანს და იმიტომაც ორივე
ს უ ფ თ ა ა.

— მაშ-მაშ! — აჰყვა ეპიფანი და უბრძანა: — შემოიყვანე ცხენები ეზოში.
მერე კი აგაფონი თვითონ გამოუშვებს და სადგომში დააყენებს.

ეზოში პოლია ქოსა კაცებს პირისპირ შეეფეთა. ერთი მათგანი ცხენების
გამოშვებას შეუდგა, ორნი კი სკივრს ეცნენ და თოკები შეხსნეს.

ეპიფანი მათ საქმიანობას უთვალთვალებდა, ყოველ მათგანს სახელით
ნიმართავდა. კაცები ერთმანეთს არა მარტო ჩაცმულობით გავდნენ, არამედ გა-
რეგნობითაც, სიმაღლითაც, მიხრა-მოხრითაც. „მომკალი და ვერ გავარჩევ,
რომელი მათგანია აგაფონი, რომელი — აგაპი და რომელი — აგეი“, ფაქრობ-
და პოლია, ქურჭში რომ იფუთნებოდა და ელოდა, როდის შეიყვანდნენ
სახლში.

როგორც იქნა, იმ კაცმა, ეპიფანი აგაფონს რომ ეძახდა, ცხენები სადგომში
დააბა და სტუმრები პარმალზე მიიპატიჟა. პარმალი მაგარი, მთელ-მთელი ფიც-
რებით იყო ნაგები და სახლს თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევდა.

— ძვირფასო ეპიფან კორნეიჩ, აქეთ, ამ კარებში შემოდი. შენ აქ ადრეც
გიცხოვრია, — აგაფონმა მოკლე ხელით გააღო ქეჩაგადაკრული კარი და
ეპიფანი ოთახში შეუშვა. — რძალი კი აქეთ მობრძანდეს, — აგაფონი მეორე
კართან მიიქრა და პოლიასაც ასევე სწრაფად გაუღო კარი.

ერთი წუთის შემდეგ პოლია ტაბურეტზე იჯდა და მისთვის განკუთვნილ
ოთახს ათვალთვლებდა. შუა ოთახშიც და კუთხეებშიც დახვეული ქერელი ადო.
კარსა და რკინის ღუმელს შორის ჩაჭედდნენ დაზგაზე მზა თოკის ხვეულების
გროვა იდგა. პოლია ნარიმელი იყო და მაშინვე მიხვდა თოკების დანიშნულე-
ბას. აი, ამ წვრილ ბაწარზე, ნარჩენი ქერელისაგან დამზადებულზე, ბადეებსა
და სათხევლებს ამაგრებენ, ანკესებს აბამენ. იმის მიხედვით, თუ რა ანკესე-
ბია დამაგრებული, საშრობი ან თვითმკური ბადეები გამოდის. ამ ბაწრითვე
ეწევიან მძიმე ნავეებსაც, როცა მდინარის სათავესკენ სურსათი მიაქვთ და

ისეთი სწრაფი ჩქერების გადალახვა უხდებოდა, რის დაძლევაც ნიჩბებით შეუძლებელია. იგი არა მარტო მდინარეებზე, ტაიგაშიც იხმარება გორების კავლის შეგროვებისას, ან ბუნვეულის რეწვისას, როცა ტყეში ხატანგებს, რომლებს, წვიპზე შეყენებულ მშვილდ-ისრებს მიმოფანტავენ. ესეიგი ნაწარმი თუ არა გაქვს, ვერაფერს გახდები.

აი, უფრო მსხვილი თოკი ირმის შესაბამელადაც გამოდგება და ნავეების, კარაპების საჭისთვისაც. ეს ყველაზე მსხვილი თოკი კი ბაგირია. საგანგებოდ არის დამზადებული: ყველაზე გრძელ ბოჭკოებს მდუღარე ფისსა და კუბრში ავლებენ. იგი გამძლეა და მაგარი. ზედ ლუზებს ამაგრებენ. ნაფისადგომებში დებარკადერები და გემები სწორედ ამ ბაგირებითაა ნაპირზე საიმედოდ დამაგრებული.

პოლია, დაზგასთან მივიდა და ხელით მოსინჯა თოკები. ნამუსიანი ნახელავია! თან არც ისე ცოტა გორგლებია. კიდევ უფრო მეტი ფთილაა. ეტყობა, სახელოსნოს მუშტარი ეტანება. ზამთარ-ზაფხულ ხომ ნარიში უთოკოდ ნაბიჯს ვერ გადადგამ.

სახლის ამ ნახევარში კუბრის ძლიერი სუნი იდგა, მაგრამ ეს სუნი სულაც არ აწუხებდა, ბავშვობიდანვე შეჩვეოდა: როცა ზაფხულობით ჭინჭლა ისე მომრავლდებოდა ხოლმე, სუნთქვა ჭირდა, თავზე გაკუბრულ პადეს იკრავდა და ხელებზეც კუბრს ბლომად ისვამდა.

სახლში გვარიანად თბილოდა. ეტყობა, ღუმელი დღედაღამ ენთო, არ ქრებოდა. დაზგასთან ბლომად ეყარა არყის ხის შეშა.

პოლიამ გადაწყვიტა მერხზე დაეძინა, მაგიდასთან რომ იდგა წინა კუთხეში. „მართალია, ჩვეულებრივ, ამაზე მიცვალებულებს ასვენებენ ხოლმე, მაგრამ ამ ხალხის ხაბაქუბაჟის გადადგ-გადმოდგმის არ მოგყვები, — გაიფიქრა და ჩაიცინა: — ცოცხალს სასაფლაოზე არ წამათრევენ“.

ოთახი რომ დაათვალიერა, ფანჯარასთან მივიდა და სკამის კიდეზე ჩამოჯდა. აქედან ჩანდა ის მოგრძო მდელი, წელან ვზის მოსახვევიდან კუთხეში შეყუყუულ და ჩგუფ-ჩგუფად ნაყარ ახალგაზრდა ნაძვნარში მოფარებულ სახლზე. ადრე რომ დაინახა. მდელიზე აქა-იქ იდგა თოვლით დაფარული, ბოძებზე შეყენებული კადონები, ხის თათებით თანაბარ ნაწილებად რომ იყო დაყოფილა. მოშორებით წანამქრული დიდი ბორბლის ნაწილი ჩანდა. პოლიას არასოდეს ენახა, თოკს როგორ ვრეხენ, მაგრამ მიხვდა, რომ სწორედ ამ მდელიზე, კადონებისა და ბორბლის მეშვეობით სრულდებოდა ის რთული სამუშაო, რომლის წყალობითაც დაზგაზე თოკების გორგლები გროვდება. „აი, ის კი. ტბის პირას შავად რომ ჩანს, კუბრის სახდელი იქნება“ — მიხვდა პოლია.

ნელ-ნელა ბინდდებოდა. თოვლი ჯერ გავარდისფერდა, მერე გაცისფრდა, ბოლოს კი რუხი ჩრდილი გადაეფარა. „ალბათ დავავიწყდით“, — გაიფიქრა პოლიამ და იმაზე დაიწყო ფიქრი, ჯუბა და ქურქი ლოგინის მაგივრად როგორ გაეშალა. მერხი ცოტაზე კედლიდან გამოსწია და ზედ ჯუბის დაგება დაიწყო.

— არა, არა, გოგო, ჯერ ჭამე, ახლავე ყურთუქსა და ბალიშს მოგართმევ, — მოესმა გვერდიდან ერთ-ერთი მასპინძლის წრიაპინი.

პოლია მიტრიალდა. კაცს ფართო ხონჩა ეჭირა, ზედ თასით პელმენეპი, ერთი ტოლჩა ჩაი, ფიჭის თაფლი და ნაღერლი ფქვილით გამომცხვარი შავი პური ელაგა.

— გმადლობთ, თვითონაც მოვიტანდი, — დაიმორცხვა პოლიამ.

— ღმერთმა შეგარგოს... და ნუ დაგეძრახავ. მზარეულად იგაბი გვყავს. გემრიელ კერძებს გვიკეთებს ეგ ავაზაკი! აბა ერთი გასინჯე! ^{მამაჩემმა} წერილი ხმით ჩაიციხა და პოლია ვერ მიხვდა, ხუმრობდა თუ მართლაც ამბობდა. კაცი გავიდა, მაგრამ მაშინვე შემობრუნდა, უურთუყუ და აბალიში მოჰქონდა.

— რამდენიც გინდოდეს, იმდენი იძინე! — წაიწრიპინა მან, ლეიბი და ბალიში იატაკზე დაყარა და კარს უკან გაუჩინარდა.

„ნეტა რომელია — აგაფონი თუ აგეი? ან იქნებ სულაც აგაპია?“ — გაიფიქრა პოლიამ და მაგიდას მიუჯდა, რომ ვახშმობა დაბინდებამდე მოესწრო.

პელმენები მართლაც ძალიან გემრიელი გამოდგა. პოლია თვითონაც პელმენების ოსტატი იყო, მაგრამ ამათ რაღაც სხვა გემო ჰქონდა. ალბათ ცოპი კარგად მოეზილათ და სხვადასხვა ხორციც ზომიერად შეეზავებინათ ერთმანეთში. პოლიამ ეს მაშინვე იგრძნო. მაგრამ მაინც რა აძლევდა ასეთ განსაკუთრებულ გემოს! „აი, თურმე რა ყოფილა: საქონლის, ცხვრისა და ღორის ხორცში ცხენირემას ხორციც გაურევიათ. აგაპს მართლაც მშვენივრად სცოდნია კერძების დამზადება“, — ფიქრობდა პოლია და პელმენებს მადიანად შეეკცეოდა.

ამ წრაპინა კაცებს ჩაიც სასიამოვნო და სურნელოვანი ჰქონდათ, მაგრამ ანაზე პოლიას თავი არ უმტვრევია — ბაბუა ფედოტს ხშირად გაუხეზივრებია პოლია ასეთი სასმელით: ჩაგას მაგარი ნაყენი შავი მოცხარის ფოთლით... ასეთი ჩაი მყის ზაფხულს და ტაიგის ყველაზე ცხელ თვეს, ივლისს გაგონებს!

პოლიამ მარტო ივახშმა და ლოგინი გაიშალა. იატაკზე დაწოლა არ მოიხურვა და უურთუყი მერხზე დააგო. მერხი საწოლივით განიერი იყო. მართალია, ფანჯრიდან სიცივე უბერავდა, მაგრამ პოლიამ სწრაფად გადაუკეტა სუსხს გზა — რაფაზე ქურქი ისე გაშალა, ღრიჭოები სულ დაფარა. ღუმელი რომ არ ჩამქრალიყო, დიდრონი ნაკოდლები შეუკეთა და დაწოლა გადაწყვიტა. ასე ადრე დაძინებას ნაჩვევი არ იყო, მაგრამ სიბნელეში უსაქმოდ ჯდომაც მოსაწყენი და სევდისმომგვრელი ეჩვენებოდა. თანაც გზაში დაიღალა, დაწოლა თა სახსრების გაშლა უნდოდა.

კედლის მიღმა, სქელი ჯვალოთი მიფარებული კარიდან ყრუ ხმება ისმოდა, ვერ გაარჩევდი, რას ლაპარაკობდნენ. ძმები რატომღაც ერთხმად წრიპინებდნენ, ეპიფანი კი ჩვეულებრივი მაღალი ხმით ლაპარაკობდა, ხან ხმას დაუწევდა და იმ ხარაბუზასავით ზუზუნებდა, ფანჯარას რომ მოაწყდება ხოლმე.

პოლიას ხელები თავქვეშ ამოედო და ხან ნიკიფორი ახსენდებოდა, ხან გუნებაში მამას ელაპარაკებოდა, ხანაც აღელვებით ფიქრობდა კრივორუკოვების ოჯახში თავის შემდგომ ცხოვრებაზე. „არცთუ ისე სახარბიელო ყოფა მექნება, თუკი მამამთილმა ყოველთვის ასე მატარა, ნიკიშა კი ქალაქში ალალით გაამწესა. ასე ბაბუასა და მამასაც ვერ მივხედავ. ან კი რა ისეთი საქმე აქვს, მთელი კვირა აქ რომ ვიყურყურტოთ?!“

მოსაღამოვდა, უკვე დაძინების დროც იყო, მაგრამ პოლიამ ვერა და ვერ დაიძინა. კედელს იქით ყვიროდნენ, აქეთ-იქით რაღაც მძიმე საგნებს აჩოჩებდნენ. შექეფიანებულმა ეპიფანმა რამდენჯერმე ვითომ სიმღერაც წამოიწყო, ოან სიტყვებსა და ჰანგსაც უღვთოდ ამახინჯებდა. როგორ არ ჰგავდა ეს ყველაფერი პოლიას მამის, ფედორ ტერენტიევიჩის ხასიათს. მამა ხომ სულ იმას

ცდილობდა, სიმშვიდე არ დაერღვია პოლიასთვის — დილ-დილობით მზარეულ ქალს ხმამაღლა სიტყვის თქმის უფლებასაც არ აძლევდა.

კედლის მიღმა მხოლოდ ნაშუალამევს მიწყდა ხმაური.

პოლია ცდილობდა დაეძინა, მაგრამ, თავისი უსიხარულო ფიქრებით გატანჯული, კიდევ დიდხანს ბორგავდა. წარამარა გვერდს ვეცლიდა. ვეცლიდა წინ ძილში კარის კრიალი ჩაესმა. თვალი გაახილა და ფანჯარაში შემოსულ მთვარის მკრთალ შუქზე ეპიფანი დაინახა. მას ხელში პორტფელი ეჭირა.

— პალაგია, გესმის, პალაგია, მე ძეგბთან ერთად წავედი საქმეებზე, შენ კი ავერ, დავთარს გადახედე. ესე იგი. ყველაფერი რიგზე რომ იყოს, შემოსავალიც და გასავალიც. დაისვენე, ნუ იჩქარებ. ახლა აგაპი მთელი დღის საქმელს მოგიტანს... — ეპიფანს უკვე მოესწრო ნაბახუსევზე დაღევა. იგი ბორძიკობდა, არეულად ლაპარაკობდა, არყის სუნად ყარდა.

— ყველანი მიდიხართ? — ჰკითხა პოლიამ შეშფოთებით, ჯადგან მარტოდ დარჩენისა შეეშინდა.

— ყველანი მივდივართ. ისეთი საქმეა, ყველანი უნდა წავიდეთ. ნუ გეშინია, თითსაც ვერავინ დაგაკარებს... ძმები... შენ იმას ნუ უყურებ, რომ საბიჩრები არიან... არც ქალები და არც კაცები... თავზეხელაღებული ავაზაკები არიან, აქაურობას ყველა თავს არიდებს... ხელს არავინ დაგაკარებს...

ეპიფანს სიმთვრალეშიაც ვერაფერს გამოაპარებდი, მიხვდა, რომ პოლიას ეშინოდა.

— მერედა როდის დაბრუნდებით, მამა? — ეპიფანის სიტყვებმა კიდევ უფრო დააფრთხო პოლია.

— როგორც კი საქმეს მოვრჩებით, დავბრუნდებით. შეიძლება საღამოთი ან შეიძლება ხვალ დილაადრიანადაც...

— ნეტავ რისთვის დაგჭირდათ ეგ ავაზაკი ძმები? — აღარ დამალა უკმაყოფილება პოლიამ.

ეპიფანი მიმნდობლად, ჩურჩულით ალაპარაკდა:

— როცა არ იცი, ნურც ლაპარაკობ აი, საქმეს რომ მოვრჩებით და ფულს ჩავიჯიბავთ, მერე სულ სხვანაირად აჭიკჭიკდები... შენ და ნიკიშკას ისეთ ახალ, ორსართულიან სახლს წამოვიკიბავთ, მთელ პარაბელს შეშურდეს...

ეპიფანის ოცნება პოლიას სულაც არ ეჭაშნიკა. მამის ხუთკედლიან სახლშიაც კარგად გრძნობდა თავს და, ღმერთმა ქნას, რაც შეიძლება ჩქარა გადაბარგდეს კიდევ იქ ნიკიშკასთან ერთად. მამასთან და ბაბუასთან ყოფნას რა გობდა! ზამთარ-ზაფხულ სათევზაოდ ივლიან, შემოდგომით კედრის ტყეებში გირჩის კაკალს შეაგროვებენ, ბეწვეულის სარეწზეც წაველენ... მერე კი, ვინ იცის, იქნებ გოგო ან ბიჭიც შეეძინოთ... პოლიას უფრო გოგო უნდოდა, მაგრამ ბედი არ გინდა? — პოლია გუნებანაქცევობის რაიმე ნიშანსაც ვერ გრძნობდა.

— კარგი, წაბრძანდით, მამა, რახან სხვა გამოსავალი არ არის. როგორც იქნება, გავძლებ, მგონი, არ მოვკვდები. — თქვა პოლიამ, რაკი დაინახა, რომ ეპიფანი წასვლას აყოფნებდა, მის პასუხს ელოდა.

მერე კედლის მიღმა ლაპარაკი და ჭურჭლის წკრიალი გაისმა. პოლია მიხვდა, სახლის პატრონები და სტუმარი სასაუზმედ სუფრას მიუსხდნენ.

როცა კარგად გათენდა, ისევ გაიღო კარი და აგაპი შემოვიდა.

— პელმენები, ქალო, ტომარაშია, დერეფანში, ხის კაუჭზე რომ ჰკიდია.

რამდენიც ვინდოდეს, აი, ამ თენჯერაში ჩაყარე, პურის სკივრი კი დერეფანშია. ჩაიდანაც აგერაა...

აგაბმა ხრიგინით დადგა თენჯერა და ჩაიდან მავიდაზე და ისე გვიღია. მეტი სიტყვაც არ უთქვამს.

მალე გარეთ მარხილები აპრიალდა. პოლია წამოხტა, ფანჯარასთან მივიდა. მდელიზე გამავალ გზაზე ორი მარხილი მიდიოდა ტყისაკენ. პირველ მარხილში ებიფანის ჩორთმავალი ცხენი ება, მეორე ცხენი კი კრივორუკოვებისა არ იყო. თავიანთი შეაბეს ავაზაკმა ძმებმა. ეტყობა, ჩვენი ფეხმოკლე აღმოჩნდა, — ჩაიციხა პოლიამ და ისევ თავის გამთბარ, ჩაღრმავებულ რბილ ლოგინში ჩაწყო.

4

პოლია ყურთუკზე დიდხანს არ წოლილა. ძილი გაუკრთა, თანაც სხვის კარმიდამოში რომ მარტო დარჩა, ესეც ცოტა არ იყოს აშინებდა. ერთთავად ეჩვენებოდა, ვიღაცა დააღაჯებს გრძელ პარშალზე, დერეფანში, ხან სკივრის სახურავს, ხან კარებს აბრაახუნებსო. თუმცა სახლში კი არავინ იყო და აბი ვის უნდა ევლო. პოლიამ ხომ საკუთარი თვლით დაინახა, ყველანი რომ წავიდნენ. პირველ მარხილზე მკაფიოდ გაარჩია ორი კაცი, მეორეზეც ორი იჯდა. კაცები გზის მოსახვევში დაინახა გარკვევით. ქათქათა თოვლზე შავი ფერი განსაკუთრებით ირჩეოდა. არა, არა, არ შემცდარა!

ადგა, ჯერ ლუმელს შეშა შეუჟეთა. მერე პირი დაიბანა, კასრიდან პატარა ჩაფით ცივი წყალი ამოიღო და თენჯერაში გასაცხლებლად შედგა. ადვილად იპოვა ტომარა, შიგ გაყინული პელმენები რომ ელაგა. ოცდაათიოდე კალი აღუღებელი წყლით სავსე თენჯერაში ჩაყარა, ტომარა იქვე დაკიდა და სასაუზმოდ დაჯდა. უცებ ისევ ეჩვენა, თითქოს სახლის მეორე ნახევარში ვიღაც დაღა-ოდა, კედელსა თუ ალაყაფის კარზე აკაკუნებდა. პოლია მყის წამოხტებოდა და ფანჯარაში იხედებოდა, მაგრამ მდელიზე კაციშვილი არ ქაქანებდა, ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა. უძრავად იდო თოვლი, ასევე უძრავად იდგნენ ნაძვები, სოკები, ეზოსა და შენობებს გარს რომ შემორტყმოდნენ.

საუზმის შემდეგ პოლიამ ქურქი ჩაიცვა და გარეთ გავიდა. ოპო, ძმები თურმე ღარიბულად როდი ცხოვრობდნენ! გრძელი, ფიჭვის ძელებით აწენებულ ბედელს დაჟანგული, ხელისგულისოდენა ბოჭლოში ედო. ეტყობა, შიგ დიდძალი ქონება ინახებოდა! თორემ მაგარი, სამი სქელი ფიცრით მკვიდრად შეკრული კარების გაკუბრულ წირთხლში ერთი თითის სისქე რკინის კაუჭს ვინ ჩააჭედებდა? პოლიამ საჩინბოშიც შეიხედა, ორ წვრილფეხა, წაბლა ცხენს მავი ღრმა გობში ჩაერგო და ქერს ზანტად ახრამუნებდნენ. ბაგაში მდელიოს სურნელოვანი თივაც ჩაეყარათ მარაგად. შენობის მეორე ნახევარი ცარიელი ჩანდა. ძმებს ძროხები არა ჰყავდათ. „ან კი რა ჯანდაბად უნდათ ძროხები, — ფიქრობდა პოლია... — ჯახირია და მეტი არაფერი. ძმებს კარაქი ალბათ უამისოდაც აქვთ. თოკების სანაცვლოდ ნარიშში რასაც ვინდა, იმას მიიღებ. თანაც ირგვლივ კედრის ტყეებია, ალბათ კაკლისაგან ზეთსაც ხლიან“.

ებიფანის მეორე ცხენი შენობის საჯანგებო განაყოფში იდგა. ეს ადგილი, როგორც ეტყობოდა, ოდესღაც მკვე ქაქებისათვის იყო განკუთვნილი. ცხენმა, პოლია რომ დაინახა, საცოდავად დაიჭახვინა, თავი გააქნია.

პოლიას გული აუჩუყდა, მივიდა ცხენთან, ხელი ნიხვია კისერზე, მის ჯაგარა ფაფარს მიეკრა.

— მოგენატრა შენიანები? დახე, რა მგრძობიარე ყოფილხარ... ჩემსას არ იკითხავ? მეც, ჩემო კარგო, ასეთი ცხოვრების გამო ლამის მკვლევით ავყმუვლდე. — ხმამაღლა თქვა ჭალმა, თითქოს პირუტყვის მისი განცდების გაგება შეეძლო.

ალერსიანად გადაუსვა ცხენს ხელი რბილ, თბილ ჩიჩვირზე; ჩაიხვდა გუჯარში, ბაგიდან ჩამოყრილი ერთი ბლუჯა თივა აიღო და გისოსებს შორის შეტენა. ცხენი გაირინდა, კეთილი თვალებით, ცერად გაპყურებდა პოლიას, თითქოსდა ენა რომ ჰქონოდა, მადლიერად სიტყვებით აავსებდა ჭალს. რაკი ხელი არ ჰქონდა დაღონებულ პირუტყვს და სასოწარკვეთილებისათვის არ დაძრახა.

პოლია ეზოდან გავიდა, თვალს მოავლო ცივი მზის სხივებში მოთქროსდრო ზოლებად მოღვარე, თოვლით დაფარულ მდელოს და ხელი ნაბიჯით გაემართა პატარა ქობისაკენ, რომლის კედლები მდელოს კიდეზე, მწვანე სოჭნართან შავად მოჩანდა.

ეს თურმე აბანო იყო, საჭურის ძმებს მშვენივრად მოეწყობოთ იგი. შემინული სარკმელი ტყეში გადიოდა, სახურავზე ქვითა და თიხით ამოშენებული საკვამური ჩანდა. ღერეფანივით დიდ, სქელი ფიცრებისაგან ნაგებ აბანოს წინკარში კედელს გრძელი მერხი გასდევდა. პოლია მიხვდა, რატომაც იდგა ეს მერხი, აქ ტანზე ცხელ წყალს საკმაოდ რომ გადაივლებ, მერე, სულა და გულა, რამდენიც გინდა იმდენ ხანს იწეჭი აქ სიგრილეში შენს ნებაზე და როგორც სპარსეთის შაჰმა — თავის პალატებში, ისე ინებებდე.

პოლიამ აბანოს კარი შეაღო. ცხვირში თამბაქოს მძაფრი სუნი ეცა. შიგნით შევიდა და კედევ უფრო გაოცდა: აბანოში ისევე თბილოდა, როგორც სახლში. ქვის ლუმელის მაგივრად — თუჯის ლუმელი იდგა, ზედ ქვაბები და სპილენძის მრგვალ მილზე ჩამოცმული თუნუქის კუტალები ელაგა. პოლია ჯერ ვერ მიხვდა, ეს ყველაფერი რას ნიშნავდა, მაგრამ მალე კუთხეში რაღაც მოყვითალო სითხით სავსე ხუთი ბოთლი დაინახა. დააცქერდა თავდაუცობელ ბოთლებს, დაყნოსა. მძაფრმა სუნმა თვალები დაუბინდა, ყელში წაუღიტიწა. პოლია კარს ეცა, გამოაღო, აბანოს წინკარში გავარდა. „შინ გამოხდილ არაყს თამბაქოზე აყენებენ“, — მიხვდა და კარები ღონივრად გამოიჯახუნა.

ერთი ამბავი გაახსენდა: ამ ხუთიოდე წლის წინათ მამამისი ტიმზე მოგზაურობიდან დაბრუნდა. ჩვეულებისამებრ, სამოვარს მიუსხდნენ. მამამ დაიწყო იმის მოყოლა, რაც ნარიმის ჯურღმულეებში ხეტიალისას ნახა. უცებ თბრონა შეწყვიტა და ჩანთიდან ხის საცობით მაგრად დახუფული ბოთლი ამოიღო. ფედოტ ფედოტოვიჩს აჩვენა და უთხრა: „აბა გამოიცანი, ფეტერ, ეს რაა?“ ბაბუამ ცხვირთან მიიტანა ბოთლი და სიცილით მიუგო: „ეს სივუხაა, ფედოია, თამბაქოზე დაყენებული, შინ გამოხდილი არაყი. ვაჭრები ოსტიაკებს ათრობენ ამით, რათა იოლადა გააცურონ. ერთი სირჩა ასეთი ნაყენი კაცს წააქცევს. შენ სადღა იშოვე ეს ბოთლი?“ მაშინ მამა მოჰყვა, ეს ნაყენი ოსტიაკებს წაყართვი, უბტ-ტიმსკოეს მახლობელ სადგომშიო... ერთი ბოთლი უკვე გამოცდალათ. მოხუცი ოსტიაკი ქალი ძლივს გადაჩა, კინაღამ წერილი არ წაიღო ამკვეყნად. მეორე ბოთლში კი ფერშალს ერთი მათარა სუფთა სპირტი მოეცა. ეს მათარა გორბიაკოვს სულ მუდამ თან დაჰქონდა სამედიცინო საჭიროებებისთვის.

სათვის, რა ექნა. უამისოდ ოსტიაკები არამც და არამც სიფუხას არ მისცემდნენ, არადა, იმ დედაბერს კიდევ რომ დაელოა, ნამდვილად ფეხებს ვითმუცდა.

— მაგათი სინსილა კი გაწყდა! თავსაც იწამლავენ და ხალხსაც წამლავენ! ეს სად მომაყვანა ყოვლად ღირსმა ეპიფან კორნეიჩმა? აი, უკრეფებენ და სოჭის ტოტებს შემოვუწყობ და ამ წყეულ ქოხს ცეცხლს წაჭეჭენ! წამლავენ კვალიც აღარ დარჩეს! — ხმამაღლა ამბობდა აბანოდან სწრაფად მომავალი აღმფოთებული პოლია.

იგი თავის სადგომში შევიდა და დიდხანს ვერ დამშვიდდა. ხან მაგიდას მიუჯდებოდა, ხან შემას დასტაცებდი ხელს და ლუმელს შეუკეთებდა, ხანაც კუთრიდან კუთხემდე ბოლთასა სცემდა, თან თოკის გრაგნილებს ახტებოდა. „კმარა, ნეტა გულს რაზე ვიხეთქავ“, — უთხრა თავის თავს, პორტფელი გაჩხნა და სქელი დავთარი ამოიღო. გადაშალა და პირველ გვერდზევე დაინახა მსხვილად ნაჯღაბნი წარწერა: „ესე საიდუმლო დავთარი მოვაჭრე ეპიფან კორნეიჩ კრივორუკოვისა, შემოსავალ-გასავლის ჩანაწერებისათვის“. სიტყვა „მოვაჭრე“ გადაშლილი იყო და თავზე „ვაჭარი“ ეწერა. პოლიას უნებლიეთ ჩაეცინა. მაშამთილი ჯერ არ იყო ვაჭარი, მაგრამ, ჩანდა, ეს მისი სანუკვარი ოცნება იყო.

„ასეა მეც შეიძლება ვაჭართა წოდებისა აღმოვჩნდე. მაშ არადა: მაშამთილი ვაჭარია, კმარი — ვაჭრის მემკვიდრე, მე კი — ვაჭრის რძალი. აბა ეყურე! სასწაულია, ღმერთმანი!“ — გაიფიქრა პოლიამ და უცებ გამხაარულდა. „დანით ყელი რომ გამომჭრან, ვაჭრობასა და ფულის მოგებას ხელს მაინც არ მოვკიდებ“. — გაუელვა თავში.

დავთარის შემდეგი გვერდის გადაშლას როდი ჩქარობდა. ასე ეგონა, ალა ასეთ წვრილმანებს გაიგებდა, რაც უმჯობესი იყო არ გაეგო. ეპიფანს ზოკიერთი რამის დაანგარიშება რომ არ დაევალებია, ალბათ არც გადაშლიდა ამ დავთარს. ტყუილად ხომ არ დააწერდა პატრონი „საიდუმლოს“. მაგრამ პირველივე ჩანაწერები პოლიას სასაცილოდ ეჩვენა და ღიმილით ჩაიკითხა.

„მივეცი ჩემს დას, დომნას 25 კაპიკი სეფისკვერებისა და სანთლებებისათვის“.

„ნიკიშკას — 80 კაპიკი გოგონებისათვის პირის ჩასატკბარუნებლად“.

„მასვე — 15 კაპიკი, ღამის დროსტარებაზე დასადები“.

პოლიამ რამდენიმე გვერდი კიდევ გადაშალა და იქ ჩანაწერმა ძალზე დააინტერესა და გააფიციცა:

„ოსტიაკების შამანს ფილკას, იუგინელთა შესაზარხოშებლად — ორმოცდათორმეტი მანეთი და ხუთი ბოთლი არაყი“.

„საჭე რისებს აღებ-მიცემისათვის ასი მანეთი“.

„საჭურისებისაგან 310 მანეთი, 75 კაპიკი“.

პოლიამ კიდევ გადაფურცლა დავთარი და თვალში ისეთი ჩანაწერი მოხვდა, გული შეეკუმშა:

„ვიყიდ, ნაუშკას შესართავთან მოკვი ბუგორსკის არტელის ბანაკში 300 ფუთი სუფთა კაკალი, ფუთი — 1 მანეთი და 25 კაპიკი.“

კაკალი ტომსკში ბითუმად მოვაჭრეებს მივყიდე და თითო ფუთზე 3 მანეთი და 20 კაპიკი მოვიგე“.

პოლიამ პორტფელიდან შემოსავალ-გასავლის დავთართან ერთად შენახული საანგარიშო ამოიღო. გადაამრავლა და ნახა, რომ ეპიფანმა მარტო ამ საქმეზე თითქმის სამი ათასი მანეთი ჩაიჯიბა.

„აი, მყვლეფავიც ამას ჰქვია! არც სინდისი აქვს, არც ნამუსი...“ — ფიქრობდა პოლია.

მოკეი ბუგორსკი პარაბელში, სხვის სახლში ცხოვრობდა და მთელ ჯგრო ბავშვები ეხვია. პოლია მის ორ ქალიშვილთან მეგობრობდა. მათ ოჯახში ხშირად უხდებოდა მისვლა და ისე არ უკვირდა სიღარიბე აქ. მისი მეგობრები კუნტულში რომ ეტყობოდა, რამდენადაც ამ ოჯახის დიდი შრომისმოყვარეობა, აქ ყველა მუშაობდა, ერთხელ, კედრის კაღის მოგროვების დროს, პარაბელის კედრის ტყეში პოლიამ ნახა, თუ როგორ შრომობდა მოკეი ბუგორსკის მოელი ოჯახი, ყველაზე უმცროსი ბიჭი, შვიდი წლის გრიშკაც კი, სიმძინისაგან წელში ოთხად მოკეცილი. კაკლით სავსე ტომარას ზურგით მიათრევდა.

პოლიამ განზე გასწია დავთარიცა და საანგარიშოც, აღარ იცოდა, როგორ მოეცეულიყო. ეპიფანზე სულ უფრო და უფრო მოსდიოდა გული, ახლა აქ, საჭურისების სახლში რომ ყოფილიყო, ამ საზარელ დავთარს ურცხვ სიფათში მიახლიდა. დაე, ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს, რომ პოლია მისი სელშემწყობი არ იქნება. ნიკიფორი ქალაქიდან დაბრუნდება თუ არა, ეპიფანის ჰერქვეშ ერთ დღესაც აღარ აცხოვრებენ.

პოლია დიდხანს იჯდა თავჩაქინდრული. გულში აბობოქრებული პოლია ნელ-ნელა გაუქარვდა, დაწყნარდა, მოუხდა დავთარი ბოლომდე გადაეფურცლა. „რაბან მენდო, მთელ მის საიდუმლოებას გავიგებ, თუ ის და ანთისა რაინეს დამაყვედრიან, რასაც მათზე ფიქრობ. ყველაფერს დაუფარავად ვეტყვი!“ ეს რომ გაიფიქრა, მშობლიური სახლიც გაახსენდა. „მამამ თითქოსდა იცოდა, რისი გაკეთებაც მომიწევდა აქ. აქი მირჩია, თვითონ გამეგო, რა საქმეებს ჩარხავს ეპიფანი, — ფიქრობდა პოლია. — აი, გავიგე კიდევ, მამას და ბაბუას რომ მოვუყვები, არ დამიჯერებენ, მეტყვიან, ნამდვილად შენი მოგონილია ყველაფერი. განა რომელი ჰყუათმყოფელი ადამიანი დაიჯერებს ამას?“

პოლიამ ფროხილად, აუჩქარებლად გადაშალა გვერდი, ქვასავით მძიმე რომ მოეჩვენა. თვალში მოხვდა ჩანაწერი:

„ღმერთმა გადმოგვხდა, მერზლიკონის რიყეზე ოსტიაკებს ტონია! მოვუგე, ერთ ბოთლ არაყში — 68 ფუთი ცქვრანა, ნელში მერგო, იქვე გავყიდე, გემზე, დიდი მოგება დამრჩა. ღმერთმა ქნას, ასეთი დღეები მეტი მჭონდეს ამ ზემს საქმიანობაში!“

ტონია მოვიგეთ! პოლია მრეწავთა ამ უნამუსო ხერხს კარგად იცნობდა. ერთხელ, შემოდგომის დამდეგს, გორბიაკოვი კოლბაშეეოში გაემგზავრა. მამამ პოლია თან წაიყვანა. ობის ციცაბო ნაპირზე მდგარი ეს დაბა, ტომსკოდან რომ ას ვერსზე იყო, ნარიმის უკაცრიელ მხარეში მაშინაც კი ათქმის ქალაქად მიაჩნდა ყველას. აქ იყო მდიდრული მალაზიები, საწყობები, ორი ეკლესია, მაბლობლად კი, ტოგურის დაბაში, მდინარე კეტის ნაპირზე გადასახლებული ბოლშევიკები ცხოვრობდნენ. გორბიაკოვს იქ ერთგული მეგობარი გლეხი ჰყავდა, ეფიმ ვლასოვი. ეფიმი მეეტლე იყო, როცა ხაზინას სასწრაფოდ სჭირდებოდა სადმე ცხრა მთას იქით მორიგი „განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დამნაშავე“ გადაეხვეწა ან, პირიქით, „საქმის“ მსვლელობაში ახალდადგენილ გარემოებათა გამო უფრო მეტის მისასჯელად მავანი და მავანი უკან ჩამოეყვანა, პოლიციის მესვეურნი ეფიმს დასაქმებდნენ ხოლმე. იგი

1 ტონია — 3.

2 ი ამოყვანილი თევზები.

მარდი კაცი იყო, თუმცა კი ხელისუფალთ სამახურისათვის უღმერთოდ ღლევდა. იცოდა გლეხმა თავისი ფასი! ზამთარში ცხენებით, ზაფხულში კი — ბრტყელძირა ნავით ეფიმი ნარიშის ისეთ მიუვალ კუთხეებამდე აღწევდა, გამოცდილი ტაიგელი მონადირეებიც კი ხელებს ასაფსაფებდნენ: „ეს კი მოხერხებული კაცია! რაღა ჩატი და რაღა ეგ, არც უგზობა, არც უსწრაფობა არაფერი არ აბრკოლებს!“

გორბიაკოვი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ამ კაცთან მეგობრობას, ისინი დიდი ხანია მეგობრობდნენ ყოვლად ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მიზეზის წყალობით, როგორც ხალხში ამბობენ ხოლმე: „მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს შეეყრებაო“.

ერთხელ გორბიაკოვი, სოფლები და სადგომები რომ შემოიიარა, უკან დაბრუნებისას ღამის გასათევად ტოგურში გაჩერდა — უნდა ენახა ავადმყოფი ამხანაგი და მისთვის ზოგიერთი ახალი პარტიული ამბავიც გაეცა.

ღამით ფანჯარაზე ძლიერი კაკუნის გაისმა. გორბიაკოვმა გადაწყვიტა, ალბათ პოლიციამ გაიგო პოლტიკურ გადასახლებულებთან კავშირი რომ მაქვს და ახლა მებს დამატეხენ თავზეო. სანამ ამხანაგი კარს ურღულს გამოხსნიდა, გორბიაკოვმა სწრაფად ჩაყარა ღუმელში ქაღალდები.

მაგრამ გაიღო თუ არა კარი, გორბიაკოვს მუხლებში ჩაუვარდა ვიღაც ახალგაზრდული გარეგნობის გლეხი, ჯუბა და მაღალყელიანი ჩექმები რომ ეცვა და ხშირი წვერი ჰქონდა. კაცი ქვითინებდა, სასოწარკვეთილება კრიჭას უკრავდა.

— დამეხმარე, ძმავ და მეგობარო... მელოგინე ცოლი მიკვდება. ღვთის გულისათვის, არაფერს დავიშურებ, უკანასკნელ პერანგს გავიძრობ, ოღონდ ცოლი გადამირჩინე! — ამბობდა და გორბიაკოვს ჩაწითლებული, ნამტირალევი თვალებით შეჰყურებდა.

გორბიაკოვმა ჩანთას ხელი დასტაცა და გლეხს უკან მიჰყვა. თან გზადავზა იცვამდა და თან ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა: „ვის შეეძლო ეთქვა მისთვის ჩემი აქ ყოფნის ამბავი? მე ხომ დაბინდებისას ჩამოვედი, კოლპაშევოს მეეტლემ მომიყვანა. ფხიზელი თვალი ჰქონია ამ კაცს, თუკი მოახერხა ჩემი შემჩნევა“.

სამი დღე-ღამე გაატარა გორბიაკოვმა ეფიმ ვლასოვის მეუღლის საწოლიან. ცოლიც გადაურჩინა და ვაჟიც და არც ერთი კაპიკი არ გამოართვა მასპინძელს. მას აქეთ ეფიმი მისი ძმა და მეგობარი ვახდა. ზოგჯერ, როცა რაღაც სახიფათო და სადავიდარობო საქმე იყო, საქმის უფრო ძნელ წილს ეფიმი კისრულობდა ხოლმე...

არც იმ დიდი ხნის წინანდელ მგზავრობისას კოლპაშევოში და არც მერე პოლიამ არ იცოდა, მამამისსა და ეფიმ ვლასოვს სინამდვილეში რა აკავშირებდათ. მხოლოდ ის იცოდა, მამამისი გლეხს ნათლიმამას რომ ეძახდა, რადგან ფერშალმა ეფიმს ვაჟი მოუნათლა. ასეთი მძიმე მშობიარობის შემდეგ შვილის მონათვლაზე უარი რომ ეთქვა, ეს ხომ უსინდისობა იქნებოდა.

პოდა, ასე დაიარებოდა მამა-შვილი კოლპაშევოში — ორივე თავისი საჭიროებისათვის: პოლია იმიტომ, რომ კოლპაშევოს მაღაზიებში გაყარ-გამოყარა და რაღაც-რაღაცები ეყიდა თავისთვის, მამისა და ბაბუასათვის; გორბიაკოვს კი პარტიული ამხანაგები უნდა ენახა, გადაეცა მათთვის ახალი წიგნების შეკვრა, შეეველო ტოგურში ეფიმ ვლასოვთან, გამოეკითხა — ახლო მომა-

ცალში შემოდგომის დაუცხრომელი ქარები ნარიშის მხარის რომელ კუთხეში გადაადგებდა მას.

აი, სწორედ მაშინ, იმ მგზავრობისას გაიგო პოლიამ, რასაც ნარჩენი ტონიას მოგება!

კალბაშევოში ნავით მიდიოდნენ. ოცდაათამდე ვერსი ^{ქვემოთ} ნარჩენი-ლი, როცა პოლიასა და გორბიაკოვს რიყე ნაპირზე ოსტიაკები შემოხვდნენ. თუმცა შემოდგომობით თევზის ჭერა ძნელია, ყინულივით ცივი წყალი ხელს გისუსხავს, ძლიერი ტალღა ბადეს გეზს უცვლის — მაგრამ წელიწადის სხვა დროსთან შედარებით ბადეში თევზი უხვად ხვდება.

როცა მეზადურთა არტელს უახლოვდებოდნენ, პოლია და მამამისი მიხვდნენ, რომ აქ რაღაც უჩვეულო რამ ხდებოდა. მეთევზეები მეტისმეტად ხმაურობდნენ, ნაპირზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. თანაც, იმ ადგილების მახლობლად, სადაც ბადეები უნდა ამოეღოთ, ანთებულ კოცონზე ქვაბები ეკიდა, ცეცხლის გვერდით კი მწკრივად დალაგებულ ათიოდე ბოთლს პრიალი გაჰქონდა.

ნაპირამდე მცარე მანძილი რომ დარჩა, გორბიაკოვმა ღონივრად მოუსვა ნიჩბები, ნავი ნაპირს მიაყენა და პოლიას უთხრა:

— შეხედე ერთი, თვით ფომა ვოლოკიტინი მოსულა თავის ნოქრებთან ერთად!

პოლიას გაგონილი ჰქონდა ფომა ვოლოკიტინის სახელი. მას ნარიშში დიდი თუ პატარა იცნობდა. ვაჭარი ფომა ვოლოკიტინი მდინარე პარაბელზე დასახლდა. იქ ერთ-ერთ კონცხზე მთელი მამული გააშენა. ამ მიდამოების ოსტიაკთა და ტუნგუსთა სადგომებში, ისევე, როგორც ძველმორწმუნე გლეხების დასახლებებში, ვოლოკიტინის გარეშე ნაბიჯს ვერავინ გადაიღვამდა. წყლისპირა ტყეებში ბეწვეულის მრეწავებს ვოლოკიტინის ყოვლისმცოდნე გადამყიდველები უდარაჯებდნენ. მდინარეებზე მეთევზეებს მისივე კარაბები და ნავეები ჩასაფრებოდნენ, მთელ დაჭერილ თევზს რომ ყიდულობდნენ. აბის ტოტებზეც დათარეშობდა, ზოგჯერ სურგუტსა და ბერიოზოვოდც კი აღწევდა. თავისი მეტოქე ვაჭრების მიმართ ფომა დაუნდობელი იყო. უფრო წერალწვრილი ვაჭრები, ეპიფან კრივორუკოვის მსგავსად, ვოლოკიტინთან შეჭვედროს გაუბრბოდნენ, ახლოს არ ეკარებოდნენ და, თუკი რაიმე ოინს უწყობდნენ, ქურდულად მოქმედებდნენ ხოლმე.

— იჩქარე, მკურნალო, იჩქარე! აქ თამაში გავაჩაღეთ! მოწმე იყავი, რომ ყველაფერი წესის მიხედვით ხდება! — დაუყვირა გორბიაკოვს ვოლოკიტინმა, როცა ნავში ისა და მისი ქალიშვილი დაინახა.

გორბიაკოვი ვოლოკიტინს რა ხანია იცნობდა. რამდენჯერმე მის სახლში ღამეც გაათია. ვაჭარი თავაზიანად ხვდებოდა ფერშალს, როგორც სტუმარს ისე იღებდა, ნარიშულ ყაიდაზე ხელგაშლილად უმასპინძლებოდა და დასაძინებლად ცალკე ოთახში, ფართო საწოლზე გაშლილ ყურთუკზე აწვევდა.

— ვერ გამიგია, აქ რა ხდება, ფომა ლუკიჩ? — ჰკითხა გორბიაკოვმა. თუმცა უკვე დიდი ხანია მიხვდა, რაც ხდებოდა. ნარიშში ხანგრძლივი ცხოვრების წყალობით ვაჭრების უპატიოსნო ხრიკებს კარგად იცნობდა.

— რა ხდება? თამაში, მკურნალო! აზარტში შევიდნენ ჩემი ოსტიაკები! — ფომა ვოლოკიტინს სიცილისაგან მუცელი უთახთახებდა: მძიმედ, დედაკაცივით აჯაბაჯა გამოეშარათა გორბიაკოვისაკენ, ხელი ჩამოართვა ფერშალს, ვულ-

გრილი, აბუჩი მზერა შეავლო მის ქალიშვილს და განაგრძო: — ეს ღრანკ-
 ნოქცეულები არყით შევაბურე. სადილად თითო ჭიქა დავალევინე, პოდა, შე-
 ხურდენ, მადაზე მოვიდნენ. ყოველი მხრიდან მეძახიან, კიდევ დაგვალევინე.
 ღვთის ვულისათვის, კიდევ დაგვალევინე ფომკაო! ^{ახედავ} ამათ
 ველარაფერი გააჩერებთ. პოდა, ვუთხარი: კარგი-მეთქი, ^{დაგვალევი-}
 ნებთ, ოღონდ რისკი რისკია: თქვენი ერთი ტონიას ^{სანაცვლოდ ერთ}
 ბატარეა ბოთლებს დავდგამ აქა, თუ სათხეველი ცარიელი ^{იქნება} ^{იქნება} ^{იქნება}
 მაინც თქვენია: თუ გაიმარჯვებთ — არ ვიტყვებ, თამაში პატიოსანი უნდა იყოს;
 ნაგრამ თუ ბედი მე გამილიმებს და ტონია გაჭეტილი იქნება, ნურც თქვენ
 იტირებთ, ყველაფერს წავიღებ, უკანასკნელ ჭიჭყინამდე-მეთქი. პოდა, ასეც
 შევეთანხმდით. დახეთ, როგორ ცდილობენ! უყვართ, ტიალებს მაგარი არაყი!

ბადე ჯერ კიდევ მდინარეში იყო, გორბიაკოვი და პოლია, არაერთხელ
 რომ უმუშავიათ არტელებში თევზჭერის დროს, მიხვდნენ, ვაჭარს ნაღდად
 მოსაგები თამაში წამოეწყო: ბადე მსამედ მოდიოდა, ტივტივები ხშირად ჩნდებ-
 ბოდა წყლის ზედაპირზე. მერე კი კვლავ სიღრმეში უჩინარდებოდა. როცა ბა-
 დის ფარფლები ამოღება დაიწყეს, ნახევარწრედ ჩაკეტილი მდინარის ზედა-
 პირი ისე ათუხთუხდა და აბუყბუყდა, როგორც კოცონზე შედგმული თენჯერა.
 მოვერცხლისფრო ცოცხალმა მასამ წყალი აამღვრია.

ფომა ვოლოკიტინი მიხვდა, ტონია არა თუ გაჭეტილი იყო, ამდენი თევზი
 აღბათ არც არასოდეს მოხვედრილა ბადეში. იგი ვერცხლისფრად მოხატული
 ჯოხის ქნევით დარბოდა რიყეზე და ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა:

— კიბასებს! დააწექით, თქვე მამაძალლებო! თევზი ბადიდან არ გაძ-
 ვრეს!

ხოლო როცა პირთამდე სავსე ბადე ნაპირთან მოზიდეს, ვოლოკიტინმა
 ჭრომის გაპრიალებული ჩექმებიც არ დაინანა და თევზის ამოსაღებად მივიარდა.

მარტო თართი ორმოცი თავი ამოიღეს! ვაჭრის ორი ნავი, ას ფუთს რომ
 იტევდა, საუკეთესო თევზით პირთამდე გაივსო.

ოსტიაკები დაღონებული უყურებდნენ, როგორ მიჰქონდათ ვოლოკიტინ-
 ნის გაქნილ ნოქრებს მათი ზუთხები და ცქვრინები. ასეთ ნადავლს მეთავეზე
 ზოგჯერ წლობით ელოდება, ზოგჯერ — მთელი ცხოვრება. და აი, ახლა ამ
 ღარიბ ქანცგაცილ ადამიანებს ხელიდან ეცლებოდათ ქონება. გორბიაკო-
 ვი ხედავდა ამ შემზარავ უსამართლობას და ძლივს შეიკავა რისხვა. მან
 აღშფოთებულმა შეხვდა ვოლოკიტინს და უთხრა:

— ცოტა ფულიც დაუმატე, ფომა ლუკიჩ! რაღაც ნამეტანი უთანასწორო
 თამაში გამოდის.

— ღმერთი უშველით, მკურნალო! — ფომა ვოლოკიტინმა პირჯვარი ვა-
 დაიწერა, შეხვდა მოღუშულ ფერშალს, მხრებაბუზულ მის ქალიშვილს და უბა-
 ლისოდ უბრძანა მთავარ ნოქარს: — ჰეი, აფონშა, დაუმატე ოსტიაკებს ორი
 ბოთლი. დაე, ახსოვდეთ ჩემი სიკეთე!

სულ მალე ფომა ვოლოკიტინის ნავეები და კარაპები ნაპირს გასცილდნენ.
 ვაჭარი, ვითომდა აქაც არაფერიო, დამშვიდობების ნიშნად თავის ლურჯ კარ-
 ტუხს აქნევდა.

...ეპიტანის ჩანაწერის წაკითხვისას მოგებული ტონიის თაობაზე, პოლიას

485.41

1 კიბასი — ხის ჭერქში ჩაკეტილი ქვა. იზმარება სიმძიმედ, რაც ბადეს მდინარის ფსკერზე
 აკრავს (ავტ. შენიშვნა).

ქ. მარტოხ სახ. საქ. სსსრ
 სახელმწიფო რ. საბუნალო
 ბიბლიოთეკა

ცხადად წარმოუდგა ყოველივე ის, რაც შემოდგომის იმ დღეს მოხდა პარაბელის მახლობლად, მდინარეზე. ეტყობა, მგელივით ყელში წვდომა ეპიფანს ფომა ვოლოკიტინისაგან ესწავლა. ვინ იცის, იქნებ მოწადინებდა მასწავლებელს კიდევაც აჯობა! თუმცა ღმერთმა უწყის, ვინ ვისი მასწავლებელია... პოლიას უცებ ის ვოლოკიტინის გაძარცვული ოსტიაკები, ან მერხლიკინოს ნაპირზე ეპიფანის მოტყუებული მეთევზეების არტელი კი არა, თავისი თავი შეეცოდა... განა ოდესმე, ერთი წამით კი იფიქრებდა, რომ ასეთ საქმოსნებთან მოუხდებოდა ცხოვრება? „რა მოგივიდა, პალავია, შენ რა სინდისი გქენჯნის! მერხლიკინოს ნაპირზე შენ ხომ არ მოგიტყუებია მეთევზეები! ვინ იცის, იქნებ ეპიფანმა დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მაშინ, შენ და ნიკიშკას შორის არა-უკვრივ რომ არ იყო, ამ დროს ჩააწყო ეს საქმე“, — პოლია ამითა ცდილობდა თავის გამართლებას, მაგრამ მაინც ვერ დამშვიდებულიყო: გული ეწურებოდა, მთელი სხეული უკანკალებდა. დავთარი დახურა და საანვარსთთან ერთად პორტფელში ჩატენა. გრძნობდა, რომ ამქვეყნად ვერა ძალა ვერ აიძლებდა ეპიფანის ეს საიდუმლო დავთარი ხელმეორედ აეღო ხელში.

ჩაიკვა და ისევ გარეთ გავიდა. ნათელ დილას მოღუშული დღე მოჰყვა. ცა მოთეთრო-მოყავისფრო გახდა, თითქოს დაბლა ჩამოიწია, გეგონებოდა, პორიზონტზე შუბებივით აჩხვერილი ნაძვები რომ არა, ცა დედამიწას დაემხო-ბოდა და თავისი ნაცრისფერი კალთით სამუდამოდ დაფარავდა. ამ დღეს თოვლიც, განუწყვეტლავ, წელა რომ მოდიოდა. თეთრი კი არა, ფერფლისფერი იყო. როცა გული ისედაც დამძიმებული გაქვს, ასეთი ამინდი უმოწყალოდ გთრგუნავს, გახრჩობს, ირგვლივ თითქოს ისეთ რბილ ბალიშებს შემოგიწყობს, გოლიათიც ვერ გაგლეჯს და ვერ მოგაშორებს.

პოლია უმიზნოდ დაეხეტებოდა თოვლში, ერთ-ორ ნაბიჯს გადადგამდა — გაჩერდებოდა. მკირე ხანს იდგებოდა — ისევ გადადგამდა ორიოდ ნაბიჯს. „რალა ვქნა? ერთი კვირა ასეთ ცხოვრებას ვერ ავიტან. ან ეპიფან კორნეიჩის ფალებში როგორ უნდა შევხედო? რას ვეტყვი? ხომ არ ემჯობინება ცხენი შევაბა და შინისაკენ გავემგზავრო? სიამოვნებით... მაგრამ მერე რა მელის? ყვედრება, ძრახვა, ლანძღვა... ცოცხლად შემქამენ. ნიკიშკას სიტყვასაც არ ათქმევინებენ...“

ბევრი იფიქრა და ბოლოს ეს გადაწყვიტა: რამდენიც არ უნდა ექყლიტა ტვინი, რამდენიც არ უნდა ეფიქრა, რამდენი გულისგამაწყალებელი დღეც არ დარჩენოდა აქედან წასვლამდე, მაინც მორჩილად უნდა მჯდარიყო აქ და თავის ბედს დალოდებოდა.

იარა, ბევრი იარა და მაშინდა გაეშარათა სახლისაკენ, როცა მუხლები დაე-დალა და ლამის ყოველ ნაბიჯზე ეკეციებოდა.

ლამით ქარბუქი ამოვარდა. ქარი ღმუოდა. ნაძვები, სოჭები ტკაცან-ტკაცუნით ქანაობდნენ, მშრალი თოვლი ფანჯრის მინებს ბლუჯა-ბლუჯა ეხეთქებოდა.

პოლია ისევ პელმენებს შეექცა, ჩაი დალია და დაწვა. აყურადებდა, ეპიფანი და ავაზაკი ძმები ხომ არ მოდიანო. რა თქმა უნდა, პოლია მათ შესახ-

ვედრად არ გავიდოდა. ახლა ისინი ყველა სძულდა, ეზიზღებოდა. მაგრამ ამ კარ-მიდამოში მარტო ყოფნაც უმძიმდა და ამიტომაც მათი დაბრუნება ეწადა.

უკვე ღამე იყო, სახლის ახლოს მარხილის კაფების კრიალი, ლაპარაკი და ცხენების ფრუტუნი რომ გაისმა. პოლია ელოდა, რას იზამდნენ ძაღლები — აყეფდებოდნენ თუ აწკმუტუნდებოდნენ? თუ აწკმუტუნდებოდნენ — იქნებ შინაურები იქნებიან. თუ აყეფდებიან, მაშასადამე, უცხოები დაესხნენ თავს. მაშინ რაღა ქნას? ვადაწყვიტა გატვრენილიყო, ადგილიდან ფეხი არ მოეცვალა. თუ ეზო-კარს ქურდები დაეცემოდნენ, თავში ქვა ეხალათ, ყველაფერიც რომ წაეღოთ, პოლია თითსაც არ გაანძრევდა. ძაღლები კარგა ხანს არც იყეფებოდნენ, არც წკმუტუნებდნენ. ნარჩის ძაღლები ხომ შინაურისა თუ გარეულისადმი გულგრილები არიან. სამაგიეროდ, ნადირს მყისვე იყნოსავენ. გააყდებიან, ისეთ ყეფას ატეხენ, ცა და მიწას შესძრავენ.

ძაღლების დუმილით შეშფოთებული პოლია ფანჯარას ეცა. მაგრამ იმწამსვე ერთ-ერთმა ძაღლმა ხანტად წაიყეფა; ვერ მიხვდებოდი უცხოს უყეფდა, თუ თავისიანის მოსვლა გაეხარდა. პოლია სახით მინას მიეკრა. ბინდი თოვლს შერეოდა. მთვარის შუქი ღამის წყვდიადში ძლივძლივობით ატანდა. მაგრამ პოლიამ მაინც იცნო მოსულები — ქურქიანი მამამთილი და ჯუბებში ჩაფუთული საჭურისი ძმები. კიდევ ვიღაც მეხუთე ახლდათ. პოლია შეეცადა გამოეცნო, ვინ იყო, მაგრამ ვერ შეძლო. კიდევ ერთი შავი ლაქა მოძრაობს და სხვა არაფერი. ასეთ ყიამეთში მშობელი მამაც კი ავაზაკად მოგეჩვენება!

პოლია ლოგინში შეძვრა. „ჩქარა, ჩქარა! სანამ აქ ხალხია — ეროი გამოვიძინო და დავისვენო... ყველა და ყველაფერი ეშმაკსაც წაუღია!“ — გადაწყვიტა მან.

მაგრამ მოტყუვდა. სულ მალე სახლის მეორე ნახევარში ისეთი აურზაური ატყდა, დაძინება კი არა, მშვიდად წოლაც არ შეიძლებოდა.

მამამთილი მთვრალი იყო, ჯერ სიმღერებს ღრიალებდა, სთხოვდა საჭურისებს, ამყევითო, ისინიც თავიანთი საძაგელი წრიპინა ხმით ჰყევებოდნენ. მერე პოლიამ მამამთილის ხმამალალი ლაპარაკი გაიგონა. ალბათ იმ მეხუთეს ელაპარაკებოდა, მათ რომ ჩამოჰყვა. ეზიფანი თითქმის ყვიროდა. ვალში არც თანამოსაუბრე რჩებოდა, კიდევ უფრო ხმამალლა პასუხობდა.

მათი პირველივე სიტყვებიდან პოლია მიხვდა, რომ ერთმანეთს რაღაცაზე ევაჭრებოდნენ. თუ რაზე ვაჭრობდნენ, პოლიას ამის შეტყობა არც უნდოდა. გინდაც გათენებამდე უყვირიათ! სანამ ხმას არ ჩაიხლეჩენ, ხომ არც გაჩუმდებიან. მაგრამ ნება-უნებლიეთ რამდენიმე ფრაზას მაინც ყური მოჰკრა და უკვე აღარ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო: კედლის მიღმა „ორმოზე“ ლაპარაკობდნენ...

პოლიამ ბავშვობიდანვე იცოდა, რომ „ორმოები“ ობზე ადამიანებისათვის დიდი განძი იყო. ისინი ისე ივსებოდნენ ძვირფასი თევზით, — მოელი სოფლები გამოდიოდნენ დასაჭერად. „ორმო“ ღარიბებისათვის დიდი მონაპოვარი იყო და დიდ მოგებასაც აძლევდა მათ. ავერ, კაპიკი არ ჰქონდათ და ჰა, უცებ ვაუჩნდებოდათ ფული. მდიდრებისათვის კი „ორმო“ — სუფთა სარტა იყო. მომგებიანი ბილეთი, ბედის წყალობა. რაც შეეხება ვაჭრებს, მათთვის „ორმო“ იმ სეიფსა ჰგავს, ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით რომ უამრავი ოჭროთი ივსება. ასეთი იყო ადამიანისათვის „ორმო“, მდინარისა, ბუნებისათვის კი მძი-

ნე განსაცდელია, წყლებს ზოგჯერ მთელი ათწლეულობით რომ აცარიელებდა ხოლმე.

დეკემბერში თბის ტოტები ორი საყენის სისქე ყინულზე იფარება. თევზის ქარავენები შიგ იხუთებიან, საკვები აკლდებათ, შიმშიტყრამუნში მანონთა მიხედვით, ცა და დედამიწა ცოცხალ სამყაროს რომ კარნახობენ, თევზის ჰაითრობით იმ ადგილებში იხუდებს ხოლმე, საიდანაც მდინარემ თიხა და ქვიშა წარუცხა და ალბათ თასივით რაღაც ღრმული ამოთხარა. აი, ასეთ ორმოში თევზები ისე მჭიდროდ ჩაღაგდებიან, გვერდებზე ლაქები — ნაწოლები უჩნდებათ.

იპოვო ორმო, აღმოაჩინო იგი ათას ვერსზე გაჭიმულ მდინარეში — ძალიან ძნელი საქმეა და იშვიათადაც თუ ვინმე ახერხებს. თუ ბედმა გაგიღიმა — თუ იღბლიანი ხარ, ან კარგად იკნობ მდინარეს — და „ორმოს“ მიაგენი, უფლება არა გაქვს დაისაკუთრო. „ორმო“ საზოგადოებრივი საკუთრებაა, ისევე, როგორც ტყე, სადაც ნადირი ბინადრობს, ან ტბები, სადაც დიდძალი თევზი ბუდობს.

პოლიამ ეს ყველაფერი მშვენივრად იცოდა, ჯერ კიდევ სულ პატარა იყო, ბაბუამისმა — ფედოტ ფედოტიჩმა პარაბელის მახლობლად „ორმო“ რომ აღმოაჩინა. უპირველეს ყოვლისა, მან ეს მამასახლისს აუწყა. ხალხი ფედოტ ფედოტიჩს დიდად უმადლოდა. „ორმოში“ თევზი უხვად იყო, მაგრამ ბაბუას არავითარი უპირატესობით არ უსარგებლია. სხვებთან ერთად იმანაც ამოიღო მამასახლისის ქუდიდან ქაღალდას ნაგლეჯი, ზედ ქიმიური ფანქრით რომ ეწერა მდინარის ერთ-ერთი უბნის ნომერი — სხვათა შორის, მისი უბანი ზედ ნაპირთან აღმოჩნდა და ამიტომ დიდ სარგებელსაც ვერ ნახავდა...

პოლიამ იცოდა, „ორმოს“ დასაკუთრება კაცური საქციელი არ იყო. ასეთი რამ დაუშვებელია, რადგან მდინარე ყველასია, მისი სიმდიდრეც ყველასია. არავის შეუძლია განაცხადოს მასზე თავისი განსაკუთრებული უფლება...

ნამდვილად ასე კია? არავისა აქვს ამის უფლება?

კედლის მიღმა ლაპარაკი ხან ხმამაღლა, ხანაც უფრო ყრუდ ისმოდა. მაგრამ დაძაბულობა არ ცხრებოდა. კაცები ყაყანებდნენ, ივინებოდნენ, ერთი ამბიდან მეორეზე ხტებოდნენ, მაგრამ პოლია უკვე ყველაფერს ჩასწვდა. მეხუთე — ერმოლაი ლოპატკინი გახლდათ. ის ეტყობოდა, ცალთვალა იყო, რადგან ეპიფანი „ცალთვალა ჭირს“ ეძახდა. საჭურისმა ძმებმა ლოპატკინს სწორედ მაშინ წაასწრეს, როცა იგი თავის ქოხის მახლობლად ბელელში გაყინულ ზუთხებს მალავდა. თევზი „ორმოდან“ ამოღებული ჩანდა, ნაწოლები ეტყობოდა და სივიწროვეში ოდნავ მიჭექყილიც იყო. ეპიფანი და ძმები ქურდ მეთევზისაგან მოითხოვდნენ, ორმო გვაჩვენე და ჯვარზე დაიფიცე, ქვეყნად არც ერთ ხორციელს ამას არ გაუმხელ. თევზი კი მალულად უნდა დაეჭირა ავაზაკ ძმებს იმ მეთევზეებთან ერთად, ვისაც ეპიფანი დაასახელებდა.

ერმოლაი ლოპატკინი დიდი ეშმაკი საქმოსანი ჩანდა. იგი ეპიფანს ხან პირდებოდა — რა თქმა უნდა, მუქთად კი არა, კარგ საფასურად — „ორმოს“ გაჩვენებო, ხანაც უარს ეუბნებოდა და სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— ვთქვი, არ გაჩვენებ-მეთქი, პოდა, არ გაჩვენებ!

ერთი პირობა, როცა ლოპატკინი ეპიფანს ჩააცვივდა, გინდა თუ არა საგატრო საქმის წილში გამიყვანეო, საჭურისი ძმები უმალვე ჭყვირილით ეცნენ და მუშტები დაუშინეს. ისეთი ბათქაბუთქი ატყდა, შეშინებული პოლია ქერსა

და იატაკს უყურებდა. ემანდ ჭერი თავზე არ ჩამომენგრეს ან იატაკი არ ჩატყდესო. ეტყობა, ადვილი არ იყო ერმოლაის დაჯაბნვა — საჭურისები ლეკვებივით ყრიდა აქეთ-იქით. ისინი ტყაპუნით ეცემოდნენ ძირს და ყიყიებდნენ. უცებ ღრიანცელი ეპიფანის შემხარავემა ყვირილმა ჩაახშო.

— დაავდე ნაჯახი, აგაპ! მას ხომ ქარქაშში ხანგალი შეესაყვინებოდას გამოგვჭრის!

ეპიფანის ყვირილმა საჭურისებიც და ერმოლაიც დააშოშმინა. ჩხუბი შეწყდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი პოლიას ბოთლებისა და ჭიქების წკარუნნი და მოჩხუბრების შედარებით მშვიდი საუბარი მოესმა. ვაჭრობა გაგრძელდა, თითქოს არც ყოფილათ ეს გააფთრებული ცემა-ტყემა. კინალამ რომ მკვლელობით დამთავრდა, პირიქით, შეტაკებამ არა მარტო დააწყნარა ისინი, გამოაფხიზლა კიდევ, როცა „ერთი-ორი ჭიქა“ კიდევ დალიეს, ეპიფანმა და ერმოლაიმ მოლაპარაკება გონივრულად წარმართეს. საჭურისი ძმები შიგადაშიგ მხოლოდ კვერსდა უკრავდნენ ეპიფანს, როცა ლოპატკინი მეტისმეტად გაჭიუტდებოდა.

უკვე თენდებოდა, როცა მოდავენი, როგორც იქნა, შეთანხმდნენ. ასე მოლაპარაკეს: ეპიფანი „ორმოს“ მთლიანად შეისყიდდა, ერმოლაის კი „ორმოს“ აღმოჩენისათვის „დახმარებასა“ და ყოველ ფუთ თევზზე დამატებით საფასურს მისცემდა...

იმ მეთევზეების დაქირავება, „ორმოს“ აღმოჩენას საიდუმლოდ რომ შეინახავდნენ, ეპიფანმა თვითონ იკისრა. იგი არც მალავდა თავის განზრახვას; ახლომახლო სადგომებიდან ოსტიაკებს მოიხმობს, არყის მეშვეობით ურთიერთობედობით შებორკავს და თევზს მათ ამოაღებინებს. ვერც ერთი მათგანი კრინტს ვერ დაძრავს, ხმის ამოღებას ვერ გაბედავს. ოსტიაკები კარგი მეოცნებეები არიან! ზაფხულში იჭერენ თავზს, თორემ ზამთარში, ისიც „ორმოდან“, თევზის ამოღებას ხომ მით უფრო შესძლებდნენ.

ეპიფანი შემფოთებას ველარ ფარავდა: იგი სხვის საზღვრებში „შეიქრა“. მრავალი წლის განმავლობაში ამ სოფლებისა და სადგომების ბატონ-პატრონი ფომა ვოლოკიტინი იყო. ღმერთმა ნუ ქნას, ვოლოკიტინმა ეპიფანის ოინები შეიტყოს, არც ფულს და არც არაფერს დაიშურებს, ოღონდ არამკითხე მეტოქე სამუდამოდ განდევნოს აქედან. ეს კარგად ესმოდათ საჭურის ძმებსაც და ლოპატკინსაც. ამიტომაც ერთმანეთს შეჰფიცეს ყოველივე საიდუმლოდ შეენახათ, რაც უნდა იყოს, ყოველი მათგანი ხომ ამით დაინტერესებული იყო.

— ყველაფერი უხმაუროდ უნდა გაკეთდეს. — დაიწრიპინა ერო-ერომა ძმამ.

— ჭეშმარიტად, აგაპ! — დაუდასტურა ეპიფანმა.

— ასავეალ-დასავეალი ვერავეინ რომ ვერ გაიფოს! — კვერი დაუკრა ერმოლაიმ.

დილით ეპიფანმა პოლიასთან შეიხედა. რძალი უკვე თვალგახელილი იწვა, კედლის იქით ფაციფუცს აყურადებდა.

— პალაგეა, როგორ ხარ, ხომ არ მოიწყინე? ჩვენ ისევ უნდა წაგიდეთ.

საქმეებია! დიდი მოგება გველის, პალაგია! — სხაპასხუპით ჩაილაპარაკა ეპიფანმა და პასუხს არ დალოდებია, გარეთ ისე გავარდა.

„ვიცი თქვენი საქმეები! წუხელ კარგად მოვისმინე! ერმოლა, თანასოფ-
ლელებს ატყუებს — „ორმოს“ უმაღლეს, შენ ერმოლაის კატეხეზის მაგრამ
იმამი კი კარგად ვერ გავრკვეულვარ. საქურისი ძმები ორგანს უყურებენ, გორ
მოგატყუებენ!“ — ფიქრობდა პოლია.

თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. ღამით არ სძინებია, მხოლოდ გარიჟ-
რაჟზე მოხუჭა თვალი, როცა კედლის მიღმა მცირე ხნით ყველაფერი მიწყ-
ნარდა. გამოღვიძებისას თავს დამნაშავედ გრძნობდა. მაგრამ ვის წინაშეა დამ-
ნაშავე? ვანა მისი ბრალია, თუ ამქვეყნად საქურისი ძმების მსგავსი მანიჩი
ადამიანები სულდგმულობენ?... ან ვანა ერმოლაი არაა მანიჩი? ისიც ხომ
ისეთივე ლატაკი მეთევზეა, რომლის მსგავსიც აქ, ობზე უთვალავია. ზავრამ
ბედმა გაუღიმა — იბოვა „ორმო“, რომელიც მარტო მისი საკუთრება კი არ
არის, ყველამ უნდა მოიხმაროს. ის კა რას სჩადის? სხვებს უმაღლეს დოვ-
ლათს, ცდალობს მხოლოდ სვითონ ისარგებლოს. ხოლო ეპიფანი — პოლიას
სიტყვებიც არ ეყო მისი საქციელის ვამოსახატავად. ვანა რა დამნაშავეა პო-
ლია, რომ ეს ადამიანები მის გვერდით ცხოვრობენ, თავიანთ საზიზღარ საქმე-
ებს სჩადიან. და მას სრულიადაც არ ერიდებიან?! ხმამალლა, მოურიდებლად
ანგარიშობენ, როგორ მოატყუონ სხვები! ეპიფანი კი ისე გათავხედდა, პოლიას
დავთარი მისცა, სადაც ყოველი ჩანაწერი — ტყუილი, დანაშაული და საში-
ხელებაა! ნუთუ ყველამ ისე დაკარგა ჭკუა, რომ პოლიაც თანამოაზრე ჰგონია?

ამ ფიქრმა პოლია ლოგინიდან წამოახტუნა. იგი დიდხანს იჯდა, პირისაზე
გოუზა თმაში ჩაემალა.

„მერე რაღა იქნება? თუ უარესს არა, უკეთესს რას უნდა ველოდო? სანამ
გვიან არაა. ამ ჭაობს თავი უნდა დავაღწიო, სხვანაირად თავით ფეხებამდე
იავფლობი, დავიღუპები. მამას და ბაბუას კიდევაც შერცხვებით ჩემი“. —
ფიქრობდა პოლია.

იგი პატარა გოგოსავით სრუტუნებდა, აბრეშუმივით თმით ცრემლებს იწ-
მენდდა. „ნიკიშა... მარტო მისი იმედილა მაქვს. ტომსკიდან დაბრუნდება თუ
არა, ერთ დღესაც არ ვიცხოვრებთ მამამთილის სახლში. წავალთ, საითაც იქ-
ნება. მამაჩემი დაგვეხმარება, ბაბუაც ხელს მოგვიმართავს. ვიცხოვრებთ რო-
გორმე... საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ბინას ვიჭირავეთ. ხომ ცხოვრობენ ასე
გადასახლებულები... ცხოვრობენ... ტყვეობაში ცხოვრობენ, მაგრამ სინდისი
მაინც არ ქენჯნით. ადამიანთა ყვლეფის, მოტყუებისა და გამოძალვის გარეშე
ცხოვრობენ...“

პოლიამ თავი დაიწყნარა, ჭერჯერობით არ ღირს გულის გაწეთქვათ... ახალ-
გაზრდობის მთელი სიკეთე ხომ ისაა, რომ ყველაფერი წინა აქვს. პოლია მხო-
ლოდ ახლა იწყებდა ცხოვრებას და ამიტომ ჭერ კიდევ შეეძლო მწუხარება
დაეძლია. ნელ-ნელა გადაიყარა გულიდან დარდი. ადგა, ისაუზმა, თოკების
გრაფნილები ერთ მხარეს მიაწყო და ოთახი დააღაგა. საქმე ხომ უფრო იო-
ლად გიქარვებს დარდს.

შუაღამისას აგაპი მოვარდა, პოლიასთან შეიჭრა და აღელვებულმა შეს-
ძახა:

— ეპიფან კორნეიჩმა აბანოს გაჩურება ბრძანა. წელი გაუშეშდა. ეჭიმ-

ბაშმა სოჭის ზეთით უნდა დაზილოს. ოპ, ღმერთო ჩემო, როგორ კენესის! წამო-
დი, რძალო, აბანოს გახურებაში დამეხმარე.

პოლიამ დაკვირვებით შეხედა საჭურისს. ლოთობით გასიებული პირმრგ-
ვალ სახეზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა, შეშუპებულ ქუთუთოებში ჩამ-
ძვრალ თვალებს ცბიერულად აცეცებდა. „ეშმაკობს რაღაცას ეს გაჩურჩურე“, —
გაიფიქრა პოლიამ, მაგრამ რაკი ისედაც გარეთ გასვლა უნდოდა, დათანხმდა.

— მომეცი სამხრეული და ვედროები, წყალს მოვიტან.

აბანოში დიდი ქვაბი და კასრი ადგა. პოლიამ ოცი ვედრო წყალი მოიტა-
ნა, მაგრამ მათ გავსებას ორი-სამი ხელის დადება კიდევ აკლდა. აგაპი განზე
იდგა, მაგრამ პოლია გრძნობდა, რომ იგი თვალს არ აცილებდა, დამცინავი
ღიმილი შეჰყინოდა სახეზე. „რაღაც ისეთი იცის, რაც მე არ ვიცი. პოდა, გად-
მოუყრია კბილები, კმაყოფილია. ეშმაკობისა და მოტყუების გარეშე რას
გაძლებს!“ — გაიფიქრა პოლიამ.

სალამოს ყველაფერი გაირკვა — პოლიამ მართლაც არ იცოდა ის, რაც
საჭურისმა უწყოდა: ეპიფანი მარტო კი არ დაბრუნდა, თან დედაკაცი მოიყ-
ვანა. პოლიამ ფანჯრიდან მოჰკრა თუ არა თვალი, მაშინვე მიხვდა ექიმბაში
კი არა, ეპიფანის კახა იყო. უპირველეს ყოვლისა, ამაზე მისი ასაკი მეტყვე-
ლებდა. ბევრი-ბევრი, ოცდაათი წლისა ყოფილიყო, ასეთი ასაკის ექიმბაშებს
კი სანთლითაც ვერ მოძებნი. თეთრი პიძები და ტყაბუჭი ტანზე კობტად ადგა,
თეძოებზე შემოჭერილი ქამარი თანთალა გავას გამოკვეთილად უჩენდა, პიძე-
ბის ყელეებში კი ხორცსავესე, მსხვილი ფეხები მოუჩანდა. მაგრამ ქალს ყველა-
ზე უფრო შავი, ვარდისფერყვავილებიანი ქიშმირის თავშალი ამხელდა! ასეთ
თავშლებს გლეხი ქალები ზამთრის სამუშაო დღეებში როდი იხვევდნენ, მხო-
ლოდ ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხმარობდნენ. სიცივესა და ყინვაში
ნაქსოვი შალის თავსაფრებში იბუდნებიან. „ეპიფანის ნაჩუქარი იქნება ეს
თავშალი“, — უტყუარად დაასკვნა პოლიამ.

ეპიფანი აბანოში კოჭლობითა და ბორძიკით მოლასლასდა. დედაკაცი, სო-
ჭის ზეთის სავესე ბოთლითა და ლაშფით, უკვე აბანოში იყო. აგაპი და მისი
ძმები ეზოსა და სახლში გარბი-გამორბოდნენ, სუფრას შლიდნენ. ეპიფანი დე-
დაკაცთან ერთად აბანოდან რომ დაბრუნდა, უკვე კარგა მოსალამოვებელი იყო.

— ო, რა ოსტატურად დამიზილა მარჯამ ძვლები და ძარღვები. უცვბ
გამაახალგაზრდავა! — აქებდა დედაკაცს ეპიფანი, საჭურისი ძმები კი კვერს
უკრავდნენ, თავს იკატუნებდნენ, თითქოსდა სჯეროდათ მისი. იმასაც შეურიგ-
დნენ, მათ სადგომში ქალმა რომ მოიკალათა და, როგორც ეტყობა წასვლის
არც აპირებდა.

მოგვიანებით კი, როცა კარგა მაგრად გამოთერნენ, აგაპის პელმენებს ბო-
ლო მოუღეს და სიმღერით ხმა ჩაიხლიჩეს, ძმები თავთავიანთ კუთხეებში
მიყუჩდნენ. მალე პოლიამ ისეთი უმსგავსოებანი მოისმინა, თავით ფეხებამდე
სარცხვილით დაიწვა, საწოლი, სადაც მარფა და ეპიფანი განცხრომას მისცე-
ბოდნენ, ზედ მის კარს მიღმა იდგა. პოლია თავს ზალიშში მალავდა, მაგრამ
მამამთილის ყვირილი მაინც ესმოდა.

— გეყო, მარფ, რას იფარებ ამ ოხერ საბანს! აბა, აბა, ერთი ლაზათიანად
გაიმოტე, ვისი გრცხვენია, ანგელოზო! შენ რა, ესენი კაცები ხომ არ გვო-
ნია? დაკოდელი ვირები არიან და სხვა არაფერი! ჰა-ჰა-ჰა!

ბოლოს პოლიამ ხელი დასტაცა ჯუბას, ჩაიკვა და კიბეზე გავარდა. სანამ

სახლში ეპიფანის ღრიალი არ მიწყდა, გარეთ იჯდა და სიცივისა და სირცხვილისაგან მთელი ტანით კანკალებდა.



განთიადისას ისევ სიჩუმემ და სიწყნარემ დაისადგურა. საჭურისი ძმები დაბაში წავიდნენ, მერე ეპიფანი და მისი კახა — მარფა შერსტობიტოვაც მათ კვალს გაჰყვნენ.

პოლიას ცხოვრებაში ალბათ კიდევ ერთი ყველაზე საშინელი დღე გათენდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავით ფეხამდე რაღაც სიბინძურეში ამოავლეს და სახესა და ხელებზე წებოვანი სითხე მიჰკვრია. ასეთ დროს ყველაზე კარგი იქნებოდა აბანოში შესვლა — თუ, როგორ უნდოდა ტანზე ცხელი წყალი გადაესხა, ორთქლის ღრუბელში გახვეული ცოცხი ზურვზე, თქოებზე, ფეხებზე შემოერთყა, მაგრამ გაიხსენებდა რა, რომ წინა დღით ტბის ყინულქრალიდან აბანოში ათი სამხრეული წყალი მოიტანა და მერე იქ მამამთილი და მარფა იყვნენ, გული ერეოდა. ცივი წყლით სამჯერ დაიბანა პირი და მცირე ხნით ცოტა უკეთ გახდა. პოლიას უჯუბოდ, თავდაუხურავი გავარდა გარეთ, უნდოდა გაგრილებულიყო, ცივი პაერი ჩაესუნთქა, იქნებ გაეგლო ვულისრევას, ყელში მარწუხებშივით რომ წაჰქროდა.

პოლია გაიზმორა, თითის წვერებზე შედგა, გაიხედა და მორებისაგან შევრული მესრის მიღმა სახლისაკენ მძიმე ნაბიჯით მომავალი კაცი დაინახა.

პოლიას გამჭრიახი, მახვილი მზერა ჰქონდა. თვალები მოჭუტა და წამსვე მიხვდა, რომ ეს კაცი არც საჭურისებსა და არც მამამთილს არ ჰგავდა.

„ჩავიკეტები ოთახში და ვიქნები ჩემთვის ჩუმად. გაივლ-გამოივლის და წავა“, — გადაწყვიტა პოლიამ. შინ შევარდა, კარი ურდულით ჩაკეტა და მყისვე ფანჯარასთან მივიდა. კაცი ისევ ისე აუჩქარებლად მოაბიჯებდა. მალალი გლეხი იყო. ნაცრისფერი ფაფახი ეხურა, შავი პიშები, შავი ჯუბა და დაბამბული შარვალი ეცვა. ნელა მოაბიჯებდა, თან ნახევრად ქერქგამძვრალ გოხს მოადგამდა და ნაბიჯს უწყობდა. ორ-სამ წუთში პოლიამ კარგად შეათვალიერა უცნობი. კაცს კეხიანი ცხვირი, გამხდარი სახე და ჭალარაშერეული წვერი ჰქონდა. ღრმად ჩამსხდარ თვალებს ზემოთ მკვეთრად ემჩნეოდა ხშირი, ყორნის ფრთასავით შავი წარბები. ეტყობოდა, დიდი გზა გამოეგლო. უღვაშებზე ლოლუები ჩამოჰკიდებოდა, შუბლი და ლოყები გაოფლიანებოდა.

„იქნებ გადასახლებიდანაა გამოქცეული, დასამალ ადგილს ეძებს... ყაჩაღი ხომ არაა, რომ მომკლას!..“ — პოლიამ ანაზღად შეცვალა გადაწყვეტილება და უმაღ ქორწილის დღეს მომხდარი შემთხვევა გაახსენდა, ის გამოქცეული ჭაბუკი, გამომთვრალ ბრბოს გასაგლეჯად რომ არ მისცა. პოლიას ვერა და ვერ დაევიწყებინა ნავში ნანახი ის ყმაწვილკაცი, შეშფოთებული და შეუპოვარი თვალეები რომ ჰქონდა. ნეტა სად არის ახლა? ნეტა თუ ივაჟკაცა და მიზანს მიაღწია?

პოლია უცნობს კარებში შეეგება. კაცმა იგი რომ დაინახა, შეჩერდა, ცოტა უკანაც დაიხია, თითქოს შეეშინდათ:

— რაო, საჭურისების სახლში ქალი? თანაც ასეთი ახალგაზრდა?

რა თქმა უნდა, ხუმრობდა, ეტყობა, მხდალი არ იყო, რომ მართლა შეშინებოდა. პოლია მაშინვე კეთილად განეწყო მისდამი.

— აქეთ მობრძანდით, ბიძიკო. იქით არავინ არის. ვინა ხართ? აქ თამ ნოგიყვანათ? — ჰკითხა ცნობისმოყვარეობით, თან აკვირდებოდა და გულში ღიქრობდა: „დაღლილა საწყალი, როგორ მძამედ სუნთქავს, როგორ ხაღს არ გავს“.

— შენ თვითონ ვინა ხარ? ასეთი კეთილი თვალების პატრონი ამ კრახანების ბუდეში საიდან გაჩნდი?! — კბეზე ასვლისას ჰკითხა კაცმა.

— მე? რა ვიცი, აბა... გავჩნდი... — პოლია შეცბა, არ იცოდა რა ეპასუხა: არ უნდოდა გამომტყდარიყო, რომ ეპიფან კრივორუკოვის რძალი იყო, სხვა რამის მოგონება კი ასე უცებ ვერ მოახერხა.

კაცმა შენიშნა, რომ ქალი მის კითხვებზე პასუხის გაცემას არ ჩქარობდა და ხელი ჩაიჭნია:

— თუ არ გახდა, ნუ მომიყვები! ისედაც ვიცი, რომ ნებით არ იქნები აქ მოსული. ალბათ გარყვნილ ეპიფან კრივორუკოვისათვის შემოგიტყუეს მტრედით.

აი, ამის მოსმენა კი პოლიამ გულგრილად ვერ შეძლო, თავი გადააქნია:

— არა, არა, ბიძიკო! სულაც არა!

კაცმა რატომღაც უყოყმანოდ დაუჯერა პოლიას:

— კიდევ კარგი, მაგრამ, მაინც ფხიზლად იყავი!

— კრივორუკოვების მოანგარიშე ვარ. შემოსავალ-გასავალს ვანგარიშობ.

— თუ სხვა რამ საქმე გამონახე, ამათ გაერიდე... შენი თანამდებობა სასიკეთო არაა. ვიცნობ მაგის გაიდევრულ კომერციას! — დამაჯერებლად ურჩია კაცმა.

პოლიამ ჩაი შესთავაზა. იგი სიამოვნებით დასთანხმდა, გაიხადა ჯუბა, მოიხადა ფაფახი, თათმანები წაიძრო. ჯერ კიდევ მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, ასველებდა, თმაშეთხელებულ შუბლზე ხელისგულით მოიწმინდა ოფლი.

— ის წრიბინა ავაზაკები რაღა იქნენ? — იკითხა და თავი სახლის მეორე ნახევრისაკენ გააქნია კაცმა.

— ჩემს პატრონთან ერთად დაბაში წავიდნენ.

— აი, თურმე სად წასულან! ისინი იქით, მე კი აქეთ, ნეტავ სად ავცდი?... აფსუს, გადაუდებელი საქმე მაქვს.

— შეიძლება სხვაგანაც წავიდნენ. მე ხომ არაფერს მიმხელენ. — თქვა პოლიამ, გუნებაში კი გაიფიქრა: „შეიძლება „ორმოს“ სანახავად ან ოსტიაევის დასაქირავებლად გაეშურნენ“.

— თქვენ რა, ნაცნობი ხართ, თუ რაიმე საქმე გაქვთ მათთან? — დუძილის შემდეგ ჰკითხა პოლიამ.

— ბაწარი მჭირდება. ბადე უნდა ავაყვა, ბაწარს კი კაცი ამათ გარდა ვერავისთან იშოვის!

— მაშ, მეთევზე ყოფილხართ?! — დაზუსტებას შეეცადა პოლია.

— ჩემდა უნებურად მეთევზე ვარ. გადასახლებული გახლავარ, ქალოშვილო, გვარად შუსტოვი ვასილი დემიანიჩი. ორი წელია ამ მხარეში ვცხოვრობ, კიდევ ორწელიწად-ნახევარი უნდა ვიტანჯო. ოჯახიც თანა მყავს. ხუთი ბავშვი, ერთიმეორეზე პატარები. რა თქმა უნდა, — ცოლიც, მეშვიდე სული. ყველამ ცოტ-ცოტა რომ იკმაროს, მაინც ბევრია საჭირო, მე კი ჯანმა მიმტყუნა. გა-

ზაფხულდება თუ არა, ციება მიტევს. ზამთრობით კი ხან ხველებით, ხან რევმატიზმით ვიტანჯები.

შუსტოვმა ჩაი დალია, უნდობლად შეხედა პოლიას და ჩაიკიბა.

— ეპ, რას ვლაპარაკობ! მაინც ვერ გამიგებთ.

— ვითომ რატომ ვერ გაგიგებთ? — აშკარად ეწყინა პოლიას.

— იმიტომ, ქალიშვილო, მე რომ გამიგოთ, ჩემს ტყავში უნდა იყო. — შუსტოვი, ეტყობა, მიხვდა, პოლიას რომ აწყენინა და კილო შეარბილა. პოლიას უნდოდა ეთქვა: მე ყველაფერი მესმის, მამაჩემიც და ბაბუაჩემიც გადასახლებულები იყვნენო, მაგრამ თავი შეიკავა, ესღა ჰკითხა:

— ვასილ დემიანიჩ, მკურნალობა თუ სცადეთ?

— როგორ არა! პარაბელის ფერშალი მმკურნალობს, ფედოტ ტერენტიევიჩ გორბიაკოვი. ოქრო კაცია! ზოგჯერ ისეთ ავდარში მოგადგება, შეგეშინდება. როგორ შეიძლება-მეთქი, ვეუბნები, თავს დაილუპავთ! ის კი მზიარული კაცია, იცინის: ეპ, ეგ არაფერიაო, ამბობს, ვინც წყლის წერაა, იმას ცეცხლი ვერ დასწვავსო. ოქრო კაცია! — გაიმეორა შუსტოვმა და აღელვებისაგან თითქოს წამოიწია კიდეც.

პოლიამ ძლივს შეიკავა თავი, კინაღამ დაიყვირა: ეს ოქრო კაცი მამაჩემიაო! შუსტოვისაგან მამის ქება ისე ესიამოვნა, ისეთი ძლიერი სიზარული მოჰგვარა, უკანასკნელი დღეების ყველა უსიამოვნება და ტანჯვა გადაავიწყდა, თითქოს ცუდი არც არაფერი განეცადა. ეტყობა, ეს სიზარული პოლიას საბუზე და თვალეშიც დაეტყო. შუსტოვმა ეს შეამჩნია, პოლიას ჩიქურ შეხედა და ჰკითხა:

— გორბიაკოვს იცნობთ?

— რა თქმა უნდა! ნარიმში ვინ არ იცნობს მას.

— დიდი კეთილი გულის პატრონია გორბიაკოვი. — შუსტოვმა კიდევ ერთხელ შეაქო ფერშალი.

— თვითონ სადაური ხართ? — ჰკითხა პოლიამ, სულ უფრო და უფრო დიდ ინტერესს რომ გრძნობდა ამ ადამიანისადმი. — აქ, ჩვენს მხარეში ჩამოსულ ადამიანებს უჭირთ. ჩვენ, ციმბარელები კი შეჩვეულები ვართ, შეგუებულები.

— სარატოველი გახლავართ. აქ, როგორც ქარხნის მუშების უმრავლესობა, გაფიცვაში მონაწილეობისათვის მოვხვდი. იმათ რა უჭირთ, მარტოხულონი არაან, უცოლშვილონი, სიმარტოვითა და სევდით გაიტანჯებიან, მაგრამ მაინც მოესწრებიან თავისუფლებას. სხვადასხვა ადგილებში გადაგვყარეს, ვინ არხანგელსკშია, ვინ — ტურუხანსკში, მე და კიდევ სამნი — ნარიმში. მაგრამ აქაც დაგვფანტეს — ნდობით განაგრძობდა შუსტოვი, — ერთად რომ ვყოფილიყავით, ერთმანეთს დავეხმარებოდით. შიმშილით არ დავიხოცებოდით...

— დახმარებას თუ გაძლევენ. ან იქნებ სამუდამოდ აქ ჩამოვასახლდეს?

— მთელ დახმარებას ბინის ჭირაში ვაძლევ, სარჩოს შრომით ვშოთლობ. პირველ წელს მთელს დაბას სამოვრები მოვუკაღე, ჰურჭელი დავურჩილე... მაგრამ დაბა პატარაა, სამოციოდე კომლი ცხოვრობს... მერე ჩოკორების ელემბას მივყევი ხელი. ყველა დიასახლისი მოვამარაგე. მთავარი კი, რაც მარჩენს — თევზაობაა. შემოდგომით ცოლთან ერთად ნაპირზე ვმუშაობდი, ხან იევზს ვიჭერდით ბადით, ხანაც ვშიგნავდით. თითქოს ბევრს მუშაობ, მაგრამ გაჭირვებას მაინც თავს ვერ აღწევ. აი, ალა ზოგიერთ სათევზაო ხელსაწყოს

ვიძენ. ვიყიდე საშრობი, თვითმჭერი ბადეები, საგაზაფხულოდ მინდა ორი-სამი ბადეც შევიძინო, თევზი მაინც აღარ მექნება საყიდელი. თევზს ცოტა ბურსაც წავუმატებ და საზრდო გამოვა.

პოლია შუსტოვის დინჯ ლაპარაკს ისმენდა. ბევრი რამ მისი წაბრუნებულ ნაცნობი და გასაგები იყო. მართალია, მამამისას ოჯახს არ ჰქონდა მისი მსგავსი ლუკმა გამოზოგილი ჰქონდათ. მთელი მათი შემოსავალი მრომით იყო მოპოვებული.

- შვილები? შვილები დიდები გყავთ? — ჰკითხა პოლიამ.
- უფროსი ათი წლისაა, უმცროსი კი უკვე აქ, გადასახლებაში დაიბადა.
- ჯანმრთელები არიან?
- ჯანმრთელები კი არადა!.. წამდაუწუმ ავადმყოფობენ. აქაური ჰავა ჩვენსაზე ბევრად უფრო მკაცრია. ჩასაცმელ-დასახურიც გვაკლია. ზოგა რა აცვია, ზოგს რა. მე კი სულ ბიჭები მყავს, ვერ დააკავებ, მდინარის ნაპირები ვაყინულია, ისინი კი წყალში მიძვრებიან. ცივდებიან ის ეშმაკუნები! — ჩუმი ალერსით წამოიძახა შუსტოვმა, ერთხანს დადუმდა და განაგრძო: — ვადა-სახლება რომ მომისაჯეს, ჯერ ოჯახის თან წამოყვანა არ მინდოდა. ცოლი სანახავად რომ მოვიდა ციხეში, შემეხვეწა, ბავშვები როგორ შევინახო. კარ-ღაკარ მათხოვრებად ხომ არ ვატარებო. რა მექნა, ცოლ-შვილის თან წამოყვანა გადავწყვიტე. გინდა ისე და გინდა ასე, ჩვენი საშველი მაინც არაა-მეთქი. პოდა, წამოვიყვანე. მართალია ვშიშობო, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთად ვართ. რა ვქნათ, გაზაფხულამდე როგორსუე თავი უნდა გავიტანოთ. მერე დათბება, ცხოვრება გაადვილდება! ბადეებს ჩავყრი, თევზაობას დავიწყებ. მხოლოდ იმის მეშინია, ვაითუ საჭურისმა ძმებმა ნისიად თოკი არ მომცენ. ვაშარ ისევ ბადის გარეშე დავრჩები და არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე!

პოლიას მოუხდა შუსტოვს დაუყოვნებლივ დახმარებოდა. ცხელი ჩაისაგან გაოფლიანებულ, გამბდარ, დაღლალ სახეზე შეხედა და მერე მზერა თოკის გრაგნილებზე გადაიტანა. ერთი გრაგნილი სწორედ იმ წვრილი თოკისაგან იყო დახვეული, ბადისათვის რომ ხმარობენ. „ავიღებ და გადავუზომავ ოცნოდე საყენს, მორჩა და გათავდა“, — გაიფიქრა პოლიამ.

შუსტოვი თათქოს ფიქრს მიუხვდაო, თავი თოკის გრაგნილისაკენ გააქნია და თქვა:

- აი, ეს თოკია. ოღონდ პატრონებია გარეშე. რას წაიღებ.
- დაუკითხავად წაღება რომ ვცადოთ? პასუხს მე ვაგებ. ვეტყვი, მე მივეცი-მეთქი. — შესთავაზა პოლიამ.

— რას ამბობ, ქალიშვილო! შენ შეიძლება არაფერი ვითხრან, მე კი შვიდ პირ ტყავს გამაძრობენ. მათ ხომ ყოველი სათევზაო ხელსაწყო სათვალავში აქვთ. კიდევაც რომ მოახერხო ამ თოკის გადამალვა. მე ხომ ბადეს ვერ დავმალავ. მყისვე ყველაფერს იყნოსავენ. მოცვივდებიან, არაფერს მოერიდებიან წინ არაფერი დაუდგებათ. მაგათ აქ ყველა იცნობს, შარაგზის ავაზაკებზე უფრო მეტად ეშინიათ მაგასი. ცოტას დავისვენებ და ხელცარიელი წავჩაჩჩან-ლდები, რა ვქნა, სხვა დროს მოვალ!

შუსტოვი კიდევ ათიოდე წუთი იჯდა და მერე წასასვლელად გაემზადა. პოლიას თავის თავზე გული მოუვიდა, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს ვერ ვეზმარებიო. ბრაზობდა საჭურის ძმებზეც, რომელთა თოკების ხლარსებში ნატაკ ადამიანებს აბლაბუდაში გაბმული ბუზებივით სული ეხუთებოდათ.

როცა შუსტოვი დაემშვიდობა და პარმალზე გავიდა, პოლიამ ყუბის სახე-
ლოებში გაყო ხელები და საჩქაროდ გაედევნა.

— ვასილ დემიანიჩ, შეჩერდი, ერთი სატყვა მინდა ვითხოვ!

შუსტოვი შეჩერდა, უნდო იერით დაელოდა ალაყათის კრეფულ წეტავი
რა მოაფიქრდომ? იქნებ ესეე უნდა თოკი შესთავაზოს შინა-
საქმისთვის?

— მე აქ საჭურისებთან ერთი საიდუმლო გავიგე!

— საიდუმლო? რა საიდუმლო? — შუსტოვი პოლიას მიუახლოვდა. პარ-
მალისკენ მიიხედა, შეამოწმა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო.

პოლია მოუყვა ერმოლაი ლოპატკინის ჩამოსვლას ამბავს, უთხრა „ორ-
მოს“ ირგვლივ გაჩაღებულ ვაჭრობაზე, ეპითან კრივორუკოვის განზრახვაზე—
ოსტიაკების არტელი დაექირავებინა და „ორმოდან“ თევზი ფარულად ამოეღო.

შუსტოვმა პოლიას ისე მოუსმინა, ლაპარაკი არ შეუწყვეტინებია, ეგ
არის — ფერმკრთალი, მეჩხერი წვერიით დაფარული ყბები აუთამაშდა.

— შინ შევიდეთ, მართლაც მოულოდნელი საიდუმლოა, დაფიქრება სჭირ-
დება, — თქვა უცებ შუსტოვმა და პოლიას შინ შეუძღვა.

იგი კიბეზე შეჩერდა, კვიტხა — სახელი რა გქვიაო.

— პოლია, ძალიან საოცარი ამბავი მაცნობე, — თქვა და იმ ადგილას ჩა-
მოჯდა, სადაც აღრე იჯდა. — დახე ერთი, რა ჩაუფიქრებიათ! ხალხი უნდა გა-
ძარცვონ, გამოგლიჯონ, რაც ნამდვილად მათ ეკუთვნით. ასეა ყველგან, მთელ
რუსეთში! რა გგონია, რატომ ავმხედრდით ქარხანაში? მეპატრონეებმა სული
ამოგვხადეს! ანგარიში გვატყუებდნენ, გვაჯარიმებდნენ, ნაბიჯს არ გვადგმე-
ვინებდნენ... აქაც, ამ ცხრა მთას იქით, იგივე ამბავია. ეს ერმოლაი ლოპატკი-
ნი კი დიდი გაიძვერა და არამზადაა: მისი სიმდიდრე, ჩემსავით, მარტო შვი-
ლებია, არც სახლი უდგას, მაგრამ დახე, როგორ გაიტაცა და აიყოლია ფულზე
ოცნებაში მთელი სოფლის წინააღმდეგ მიდის! ასეთი ამბის შემდეგ მეთევზე-
ები ხომ ახლოს აღარ გაიკარებენ? კარგია, თუ თვითონ მოიფიქრებს და სადმე
მორს გადაიკარგება, თუ ამას არ გააკეთებს, დაუღარაჯდებიან და თევზების
საქმელად გადააგდებენ წყალში. ჰმ, რა არამზადები არიან! არა, არა, ეს ლუკ-
მა ხელში არ უნდა ჩაუვარდეთ! გმადლობთ, პოლია, კარგია, რომ შენი ვადა-
ბირება ვერ შეძლეს, დანარჩენს როგორმე მოვაგვარებ. ამალამ ლოპატკინზე
ისეთი მეთვალყურეობა დაწესდება, პოლიციელებსაც რომ არ დასიზმრებიათ...
ვერ წაიღებენ ეგენი ამ „ორმოს“, ვერა, ვერ წაიღებენ!

პირველად რომ შევიდა სახლში, შუსტოვი პოლიას დაუძლურებული და
ხანშიშესული მოეჩვენა, ახლა კი გაოცებით უმზერდა: ვნერგითა და ხალისით
იყო სავსე, ალბათ ორმოც წლისაზე მეტის არც იქნებოდა.

პოლია, რა თქმა უნდა, ვერ მიმხვდარიყო, რომ გადასახლებაში სილატა-
კიძე ქანცგაწყვეტილი სარატოველი მუშა იმიტომ გამოცოცხლდა, იმიტომ აენ-
თო, რომ პოლიას ნაამბობი საზოგადოებრივ საქმეს ეხებოდა, რამაც ძალ-ღონე
შემატა, გაახალგაზრდავა, ფიზიკური ტკივილები და ტანჯვა დაავიწყა.

— პოლია, თუ საჭირო გახდა, კიდევ შემოგიბრებენ... და გახსოვდეს: არა-
ვის, არც ერთ სულიერს, ჩემ გარდა, არ ეცოდინება, თუ ვისგან შევატყე ეს
საიდუმლო! — თქვა შუსტოვმა, ტაბურეტიდან წამოდვა და თავისი ფართო,
ძვლიანი ხელი პოლიას ხელში ჩასჭიდა.

— ჩემთვის სულ ერთია, გაიგებენ თუ არა! ნათელ-მირონს არ ვაპირებ
სიგათთან! — უღარდელად წამოიძახა პოლიამ, იმ წუთში იგი მართლაც არ

ფიქრობდა თავის თავზე, იმაზე, თუ რა ბედი ეწეოდა, თუკი ეპიფანი და სა-
 კურისები გაიგებდნენ. „ორმოს“ საიდუმლო რომ მან გასცა, იგი დიდ სიამოვნე-
 ნებას გრძნობდა, რომ მაინც შესძლო დახმარებოდა შუსტოვის წვრილ შეიღს.
 რომლებსაც აღბათ მამასავით მოგრძო სახე და ბშირი წარბები ექნებოდათ.

„თუკი ორმო“ ხალხს დარჩება, შუსტოვიც ისარგებლებს, რა სურს, უნდა
 იყოს კაცი. ორმოდან თევზის ამოღება ვერ შეძლოს“, — ფიქრობდა პოლია.

მაგრამ შუსტოვი სხვა აზრისა იყო პოლიას საქციელზე:

— არა, პოლია, არა ხარ მართალი! რატომ უნდა დააღუპინო თავი ამ
 ხალხის გამტყავებლებს? იცოდე, არ დაგინდობენ. ერთხელ და სამუდამოდ
 დაიმანსოვრე: ქველი არასოდეს ადამიანად არ გადაიქცევა!

შუსტოვი წავიდა, პოლია კი დიდხანს იჯდა მაგიდასთან, მომხდარზე ფიქ-
 რობდა. „კეთილი, როგორც მითხარი, ისე მოვიქცევი, ვასილი დემიანიჩ; კრინტს
 არ დავძრავ შენს აქ მოსვლაზე და იმაზე, მათი საიდუმლო რომ გაგანდე. მაგ-
 რამ ნიკიშკას რა ვუთხრა, როგორ დაველაპარაკო? შეიძლება ისიც გამიბრაზ-
 დეს. რაც უნდა იყოს, ეპიფან კორნეიჩი მამაა მისი. არც მარფას ამბის მოს-
 მენა იქნება მისთვის სასიამოვნო... არა, სჯობს, არაფერი ვთქვა, ჭერჯერობით
 არაფერი ვთქვა, მერე კი ვნახოთ... არა, ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი, როგორც
 იყო: იმაზეც და ამაზეც. დაე, იცოდეს, ხომ შევფიცეთ, ერთმანეთს არაფერი
 დავუმალოთ-თქო...“

პოლია დიდხანს ფიქრობდა, თუ როგორ მოქცეულიყო. მერყეობდა. ვერა-
 ფერი გადაეწყვიტა. „ვუთხრა აუ არ ვუთხრა?“ ამ კითხვას უკირკატებდა.
 წვალობდა, ვერ ისვენებდა.

8

საღამოთი ეპიფანი და საჭურისები უკანვე დაბრუნდნენ. თსიზლები იყუ-
 ნენ, რაღაცაზე ხმადაბლა და აღელვებით ლაპარაკობდნენ. პოლიამ ყური მიუღ-
 ღო, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ნავახშმევს პოლიასთან ეპიფანი შევიდა.

— როგორა ხარ, პალაგეა, სახლი ხომ არ მოგენატრა? — ჰკითხა რძალს,
 თან ქვეშ-ქვეშ უმზერდა და ვულში ფიქრობდა: „ნეტავი რას ფიქრობს ნარფა-
 ზე, დაიჯერა თუ არა, რომ ეჭიმბაშია?“

— აბა აქ სამხიარულო რა მაქვს! მომიყვანეთ სადღაც ჭურღმულში, მარ-
 ტო მიმატოვეთ და ვზივარ, როგორც ცხეში, — უკმაყოფილოდ წაიბურღუნა
 პოლიამ.

— ნუ მაყვედრი, პალაგეა, ვალში არ დიგრჩები. ერთი დიდი საქმე უნდა
 მოვაგვარო. უთვალავი ფულის მოგებას ვაპირებ!

— რა საქმეა ასეთი? — გულუბრყვალოდ ჰკითხა პოლიამ, ვითომ ბაი-
 ბურშიც არ იყო.

ეპიფანი შეყოყმანდა: ღირდა თუ არა რძლისათვის გაემხილა ორმოს ამ-
 ბავი? ვაითუ მიამიტობით წამოსცდეს უცხო ადამიანებთან?

— ცოტა მოითმინე, პალაგეა.

— როგორც გენებოთ! — პოლიამ წყენით მოკრემა პირი და თავი და-
 ხარა.

ეპიფანმა მოჭრიალე ფიცრებზე ფეხი მოინაცვლა, მაგრამ წასვლას არ

აპირებდა. პოლია მიხვდა, მამამთილი უბრალო საუბრისათვის არ მოსულიყო, დაიძაბა, კითხვის თვალთ შეხვდა.

— ფული ბლომად მჭირდება, პალაგეა. — ოდნავ ამოიხვეწა ეპიფანმა და ყურში გაყრილი საყურე მოქაჩა. პოლიას დიდი ხანია შემჩნეული მქონდა. ეპიფანს როცა რაღაც უჭირდა, საყურეს აწვალებდა ხოლმე, მაგრამ ვერც გაიგებდა, ამას მოუთმენლობით იქმონდა, თუ ბრაზობდა და იძიტომ.

— ამ თქვენი მეგობრებისაგან ისესხეთ! — პოლია კედლისკენ მიტრიალდა, სახლს რომ ორ ნაწილად ყოფდა და წიოთხლზე მიუთითა.

— რას ამბობ, პალაგეა! მაგათ ფული კი არა, ნათლილებზე რომ ყინულის ნატეხი სთხოვო, არ მოგცემენ. — ეპიფანმა ხმას დაუწია, დადუნდა, მერე კოჭმანით თქვა: — შენი იმედი მაქვს.

— ჩემი? — გაუკვირდა პოლიას, — ვითომ რატომ?

— მიანდა ხვალ შინ გაემგზავრო და რაც შეიძლება ჩქარა ჩამოიტანო კი ძალი თანხა. დიდი ხარჯის გაღება მომიხდება! მარტო მგზავრობისა ხომ არ გეშინია? ერთი ღამისთვის გოლეშჩიხინამდე აღბათ ვერ ჩააღწევ...— ეპიფანზე გაჩუმდა, იცდიდა, რას ეტყოდა რძალი. პოლია კი სიხარულით ცას ეწია. გოლეშჩიხანაში კი არა, თუ გინდ მოსკოვში წავა, ოღონდ საკუთრისების ამ წყვეულ ბუდეში არ იყურყუტოს, მათ ფარისევლურ სახეებს არ უმზიროს, მათი წრიპინა ხმები არ გაიგონოს. მამამთილის მთვრალი სიფათის ყურებაც მობეზრდა, მართას ამბის შემდეგ ხომ მისი ყოველგვარი პატივისცემა დაკარგა. აქამდე მამამთილს დედამთილზე უფრო კეთილი გულის ადამიანად თვლიდა. ეკონა, მამამთილი უფრო გაუგებდა, ნიკიშასთან ერთად რატომ უნდა ცალკე ცხოვრება, გაჭირვების უამს დაეხმარებოდა. მაგრამ აქ ნახულის შემდეგ ძნელი იყო მისი თანაგრძნობის იმედი მქონოდა, დახმარებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო.

— რას ვიზამ, თუ საჭიროა, წავალ რისი უნდა მეშინოდეს? ცხენის მოვლა შემიძლია, გზა, მართალია, არ ვაცი, მაგრამ კითხვა-კითხვით კაცი კოევშიც ჩავა! — თავშეკავებულად თქვა პოლიამ, რათა მამამთილს მისი სიხარული არ შეემჩნია.

— აქეთობისას კი ფრთხილად იყავი, პალაგეა, ფული პერანგქვეშ, ლიფზე დაიკერე. ხომ იცი, რამდენი უაჩალი დაძრწის ახლა გზაზე, წინათ ნარიში არხეინად ვცხოვრობდით, არავინ იცოდა ქურდობა რა იყო, დამალული არა გქონდა რა, — დაიწყო მსჯელობა კმაყოფილმა ეპიფანმა, რაკილა რძალი არ გაჭიუტდა და მარტო მგზავრობაზე დათანხმდა.

კი მაგრამ, მერე ფულს ვინ მომცემს? განა ანთისა ტროფიმოვნა ჩემს სიტყვას ენდობა? არ დამიჯერებს, როგორ დავუმტკიცო, რომ თქვენი ნებით ჩავედი?

— მართალს ამბობ, პალაგეა, ანთისა ხელმოჭერილი ქალია, ვერათერს გააგდებანებ, მოდი და, იცი, რას ვიზამ? მივწერ, მართალია, კითხვა მაინც დამინც არ ემარჯვება, მაგრამ მაინც ქალაღდი იქნება, მინდობილობა...

— ასე აჯობებს, თორემ ვაითუ იფიქროს, რომ გამოვიქცევი! — პოლია არც მალავდა, დედამთილი რომ არ უყვარდა.

ეპიფანს სახე შეეკმუხნა, ეტყობოდა რაღაც უნდოდა მიენიშნებინა პოლიასათვის და ამიტომ საკმაოდ გაურკვეველად წაილაპარაკა:

— საქმეც ეგ არის! ასეთი ქალია. მოიგონებს ხოლმე, რაც იყო და რაც არა.

პოლია მიხვდა, საითაც უმიზნებდა ეპიფანი: თითქოს იყო და თითქოს არც ყოფილა აქ შაიფა. „ჩემი ეშინია. ჰგონია, წავალ და მის ძვირფას ნივთს ლეს ამბავს მივუტან! მე კი სწორედ იმას არ ვეტყვი არაფერს, მის ვეღვს გავუმხელ, რადგან ქმარია ჩემი... გაიგოს ერთი, რა ცანცარა და გველადუა მამა ჰყავს“.

— იგრენოკი წაიყვანე, პალაგეა, ლონიერი ცხენია, ფეხმარდი, უკან კი ჰეგართ წამოდი, ისიც კარგი ცხენია, მარხილში მარჯვედ დადის. აბა, მამ კარგი, წავალ, ქერს დავუყრი ცხენებს და დავწვები. ხვალ მძიმე დღე საქვს: რისკსა ვწევ დიდ ფულზე, პალაგეა.

ეპიფანმა გასვლა ვერ მოასწრო, რომ კარი გაიღო და აგაპი შემოვიდა.

— აქ ვილაც უცხო ყოფილა! — თქვა აღელვებულმა საჭურისმა და პოლიას მიაშტერდა:

— იყო ვინმე, პალაგეა? — ჰკითხა რძალს ეპიფანმა.

— არავინ მინახავს. მთელი დღე მარტო ვიყავი სახლში, — უთხრა პოლიამ, შუსტოვის დარიგება არ დავიწყებოდა.

— კვალი არა ჩანს, უკვე თოვლმა დაფარა. აი, ალიკაპი კი ჭიშკარზე თავის ადგილას აღარაა. მე ერთ ნახვრეტში ჩავარქე, ის კი მეორეშია. — აგაპს ეშმას თვალეები აცაბაცა დაურბოდა: თან პოლიას აცქერდებოდა, ხან ეპიფანს. ხანაც მზერა თოკის გრაგნილებზე გადაჰქონდა, ადგილზე ხომ არის ყველაფერიო.

— ეზოდან მე გავედი. ჩხიკვივით ხომ არ გავძვრებოდი მესერში, — თქვა პოლიამ.

აგაპმა თვალეები მოწკურა, გონიერი ცხვირის ნესტოები უთრთოდა, ტუჩებს უხმოდ აცმაცუნებდა.

— ეს რა დაკვირვებული კაცი ყოფილხარ, აგაპ! უყურე ერთი, როგორ მოუფიქრებია? ალიკაპი ჭიშკარში ჩაურჭვია! — გამხიარულდა ეპიფანი და საჭურისს ხელი გადახვია: — წავიდეთ! პალაგეამ ხომ გითხრა, არავინ ყოფილაო, მაშასადამე, არ ყოფილა...

— და მაინც ეჭვი მეპარება. აქაური — ოსტიაკი ან ტუნგუსი არაფერს წაიღებს, აი, გამვლელი კი, გიყვარდეს, ჩაიჭიბავდა სხვის ქონებას!

„თვითონ გაქნილი ქურდია, სხვაზე კი ეჭვობს... რამდენიც გინდა, ჭუტე ეგ თვალეები, სიმართლეს მაინც ვერ გაიგებ, სიმართლე თოვლმა დაფარა“.— გულში ჩაეცინა პოლიას.

დილაადრიან იგი პარაბელს გაემგზავრა, ეპიფანის ბარათი წაიღო, ანთისას რომ სწერდა, ზარდახშიდან მთელი ფული უკანასკნელ კაპიკამდე ამოფხიკე და პალაგეას დაუყოვნებლივ გამოატანეთ, დიდი სარფაა მოსალოდნელი. ეს სიტყვები ეპიფანმა ბეჭდური ასოებით დაწერა და ქვეშ ორი სქელი ხაზი გაუსვა.



ქართველნი

„შუსტოვმა იმავე დღეს „ორმოს“ ამბავი ორ მეთევზეებს გაანდო. სიფრთხილე მართებდა, როგორც პოლიტიკურ გადასახლებულს, საზოგადოებრივ საქმეებში ჩარევა სასტიკად ეკრძალებოდა. ამის გამო შეიძლება უფრო შორს, სადმე კეტის ან პარაბელის სათავეებში გადაესახლებინათ, იქ კი ცხოვრება სულმთლად აუტანელი იქნებოდა. საშიშროება მეორე მხრიდანაც — საჭურისებისაგანაც ემუქრებოდა. თუ ისინი გაიგებდნენ, ვინც გასცა, ვერც პოლიცია და ვერც შუსტოვი ვერ გადარჩებოდნენ. საჭურისებზე ამბობდნენ, გაიძვერები, გულჩათხრობილნი და დიდი შურისმაძიებლები არიანო.

გლებები, ვისაც შუსტოვმა გაანდო ეს ამბავი, შეშფოთდნენ. განგაშის ატეხა არ შეიძლებოდა. ისეთი აურზაური ატყდებოდა, შეცდომის შემთხვევაში ხალხი მოტყუებად ჩათვლიდა ყოველივეს და ამ ამბის წამომწყებს ძვალსა და რბილს გაუსწორებდნენ. არადა, დაყოვნებაც არ შეიძლებოდა. ცხადია, თუ ეპიფანი და საჭურისები ხვალ-ზეგ „ორმოზე“ ოსტიაკების სადგომებიდან მეთევზეებს მორეკავდნენ, შეიძლება სისხლიც დადვრილიყო. „ორმოზე“ უცხო ხალხს რომ დაინახავდნენ, მისი კანონიერი მფლობელი, დაბის მეთევზეები გააფთრდებოდნენ და ვერც ვერაფერს შეაკავებდათ.

შუსტოვმა თანამზრახველებს ურჩია, საქმეში მამასახლისი ჩაეროთო. მაინც ხალხის მიერ არჩეული მთავრობაა, თანაც ბევრ რამეზე პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე; იმაზეცაა პასუხისმგებელი, დაბის საერთო სიმდიდრე ცალკეულმა მეპატრონეებმა არ დაიტაცონო.

შუსტოვის ვარაუდი გამართლდა. მამასახლისმა და ორმა მისმა კაცმა დააკავეს ერმოლაი ლოპატკინი და სოფლის საპატიმროში — ცივ ბელელში დაამწყვდიეს. ცოტა ხნის შემდეგ მეტისმეტად შეშინებულმა ერმოლაიმ მამასახლისს „ორმოს“ ირგვლივ ყველა საიდუმლო გაუმხილა.

— ყველაფერს, ყველაფერს ვიტყვი, ოღონდაც ყრილობაზე ნუ გამიყვანთ, — იმეორებდა ლოპატკინი და დედაკაცივით იცრემლებოდა.

„ორმო“, ერმოლაი რომ წააწყდა, დაბიდან სამ-ოთხ ვერსის დაშორებით, მდინარის ტოტზე მდებარეობდა და ხშირი შერეული ტყით დაფარული მაღალი ნაპირით იყო შემოსაზღვრული. ახლომახლო არავითარი გზა არ გადიოდა.

ეპიფანს საკმაო საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, სანამ ვინმე რაიმეს გაიგებს, „ორმოს“ ჩავამტვრევთ, თევზს გავყიდით და შტაბელებად დავაწყობთო. მეორე კი ყველაზე იოლად მოსაგვარებელი რამ დარჩებოდა — ალალები ტომსკში გაეშვა, მოგება ენახა და ჯიბე ფულით აევსო. თევზი სამ-ოთხჯერ უფრო იაფი დაუჭდებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი შესყიდვისა. ეს იმ შემთხვევაში, თუ ერმოლაის და საჭურისებს გასამრჯელოს მთლიანად გადაუხდის. ამათ ვერსად გაექცევა. რაც შეეხება ოსტიაკებს, მათ სხვანაირად გაუსწორდება: არყითა და სხვა რამ საქონლით გაისტუმრებს, მაგრამ აქაც ფხა უნდა გამოიჩინოს და კარგა მაგრად გააცუროს ოსტიაკები. ასეთი რამ პირველი ხომ არ არის ფომა ვოლოკი-

ტინი ალბათ შურით იდაყვებს დაიჭამს. — ასე მსჯელობდა ეპიფანი იმ უძილო ღამეს...

იმ დროს, როცა იგი ამ თავის ტკბილ ფიქრებში იყო, არც გლეხებს ეძიხათ. ღამით მათ მონაკვეთებად დაყვეს „ორმო“ და კენჭისყრიან და ნაპირიდან დასახმის შიშით ზოგიერთ გლეხს „ორმოს“ ჩატეხვამდე ნაპირიდან ისედაც ფეხი არ მოუცვლია. მამასახლისმა „ჩატეხვა“ მეორე დღეს დილით დანიშნა.

2

ეპიფანმა პოლია განთიადისას გააცოლა. ალაყაფის კარებთან, გასტუმრების წინ, კვლავ გაუმეორა:

— უპირველეს ყოვლისა, პალაგეა, ნუ დააყოვნებ. რაც ძალი და ღონე გაქვს, იჩქარე. მოვაგვარებთ საქმეს, მოგებას ჯიბეში ჩავიდებთ და მაშინ, რამდენიც გინდა, იმდენი იძინე და ისეირნე. და კიდევ: ანფისა ნუ იძუნწებს. რაც სახლში ფული გვაქს, სულ წამოიღე, ანგარიში ხომ ადგილზევე უნდა ვავასწორო. ტყუილუბრალოდ თეგზს არავინ მომცემს. უთხარი ანფისას: მკაცრად გიბრძანა, ფული უკანასკნელ კაპიკამდე გამოგზავნე-თქო.

— გადავცემ, — დაპარდა პოლია. — წერილში ეს ყველაფერი ხომ ნათქვამი გაქვთ?

— სიტყვითაც ყველაფერი აუხსენი, თორემ კიდევ იმასაც იტყვის, წერილი ვერ წავიკითხეო, — არ ცხრებოდა ეპიფანი. — აბა, გზა მშვიდობისა, პალაგეა!

საჭურისებმაც კეთილი გზა უსურვეს პოლიას. ისინი ეპიფანის ირგვლივ ტრიალებდნენ და, ცოტა არ იყოს, გაოცებული იყვნენ მისი რძლის უეცარი გამგზავრებით.

— თეგზის მიღებაზე ვილას დააყენებ, ეპიფან კორნეიჩ? შენი რძალი, ეტყოფა, ანგარიში გაწაფულია, — დაჟინებით ეკითხებოდნენ ეპიფანს.

— თვითონ ჩავიბარებ. ეს საქმე ჩემთვის უცხო ხილი არაა! — პასუხობდა ეპიფანი.

ნაშუადღევადან ოსტიაკებმა იწყეს მოსვლა. ისინი ტაიგის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ თხილამურებით, ზურგზე გადაკიდებული თოფებით, ნარტებით.

სალამოს ოც კაცზე მეტი მოგროვდა. ესენი ობის ყინულქვეშ თეგზის ჭერის საუკეთესო ოსტატები იყვნენ. ნებისმიერი ბადითა თუ საჭერელით შეეძლოთ თეგზის „ამოყვანა“.

ეპიფანმა იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, ყოველ მათგანს პატივი სცა: ერთს ფოთლოვანი თამბაქოს შეკვრა აჩუქა, მეორეს — ანკესები, მესამეს — ჩითის პერანგი, მეოთხეს — ჩექმები. ოსტიაკების სადგომის მამასახლისს — იუფიმკა ისტეგეჩევს მცირე ყალიბის თოფი უბოძა.

ვახშამზე ეპიფანმა ყველა ოსტიაკს თითო ჭიქა თამბაქოზე დაყენებული არაყი მიართვა. ოსტიაკები კიდევ თითო ჭიქასაც სიამოვნებით გადაჰკრავდნენ. მაგრამ ეპიფანმა მტკიცედ განაცხადა:

— აი, ჩავტეხავთ „ორმოს“, ამოვიყვანთ თევზს და მერე ისეთ ქვიფს გავაჩაღებთ, მიწა აზანზარდეს! დღეისათვის კი მორჩა! შუალამეს წამოგყროთ! ბადეები ხომ კარგადა გაქვთ ჩალაგებული? ანკესები თუ გალესეთ?

— კარგად, ეპიფანია, კარგად. — ყველას მაგივრად პასუხობდა იუფიმკა ისტეგეჩევი.

გინგლირთეკა

8

ჯერ არ ერიებოდა, რომ წამოიშალნენ. საჭურისებმა უხვად მოამზადეს საუზმე: ცხენირემას ხორცი, თევზი, დამბალი წითელი მოცვი, ახალი პური. ეპიფანმა ისევ დაუდგა ყველას თითო ჭიქა არაყი. ოსტიაკები სუამდნენ. ტურჩებს ილოკავდნენ, მაღიანად ჭიკყინებდნენ, პატრონს გამომცდელად უმზერდნენ, ხომ არ დაგვიმატებსო. გარეთ სუსხია, ქარი ქრის, მუშაობა მძიმე ელით... მაგრამ ვერა, ვერ მოალბეს პატრონი. ყელი დაუსველა, ნაწლავებში ცეცხლი დაუნთო, ნავთის დასხმა კი არ ინდომა. იცის ეპიფანმა, ზომაზე ოდნავ მეტიც რომ გადაჰკრან, სამუშაოდ ვეღარ გაიყვანს. ყველაფერი ჩაეშლება!

მიდიოდნენ ოთხი მარხილით. მეხუთე ცხენი შებმული იყო აკვირიან მარხილში, რომელზეც ელაგა: ძალაყინები, ნაჯახები, ლატნები, თოკები — „ორმოს“ ჩასატეხი ყველა იარაღი.

პირველ მარხილზე ეპიფანი იჭდა. ცხენს მიერეკებოდა, დროდადრო ცას უყურებდა. ნათელი ღამე იყო, ბადრი მთვარე ტყის თავზე ეკიდა და ცივ ნათელს ჰფენდა მიდამოს. „გვიან გამოვედით ასეთ შექზე სწორედ უპოიანია ყინულჭრილებისა და ორმოების ამომტვრევა“, — ფიქრობს ეპიფანი. მხიარულადაა, უხარია, რომ დიდ მოგებას ნახავს. მაგრამ შიგადაშიგ შიშიც იტანს: ყველაფერი ხომ საიდუმლოდ გააკეთეს? ერმოლაი ლოპატკინს ხომ სადმე არაფერი წამოსცდა? არა, სიტყვას ვერ დასძრავდა, ეპიფანმა ხომ საჩუქრების ყელამდე აავსო. აქამდე სულ მათთან იყო, ბოლო დღეებში კი ეპიფანმა თვითონ გაუშვა დაბაში: ქუჩებში, იარე, ზალხს ეჩვენე, რათა არავის აზრად არ მოუვიდეს, „ორმოს“ რომ უმაღავო, სადაცაა ერმოლაი უნდა დახვდეს მდინარისაკენ მიმავალ გადასახვევზე. ეჭვი რომ არავის აელო, სხვა გზით მოუარეს. ერმოლაი ტრაბახობდა, ისე გაგიყვანთ, თითქოს ფიცარნაგზე მიდიოდეთო. ვნახოთ, ვნახოთ! როგორც გაირჯება, გასამრჯელოსაც ისე მიიღებს. ჯერ მხოლოდ ბე აქვს აღებული. ემანდ ფომა ვოლოკიტინმა არ გაიგოს რამე! ეს ქორი რომ დაგვეცეს თავზე, სიკეთეს ნუ ელი, ეპიფან... არა უშავს რა, ღმერთი მოწყალეა, ვოლოკიტინამდე კარგა შორსაა. ორი დღე იქით, ორიც — აქეთ. ყველაზე ფეხმარდი ვაკიც კი უფრო მალე ვერ მოვა. „ორმო“ იერიშით უნდა აიღონ, ერთი ამოსუნთქვით, რათა საღამოს უკვე თევზის გატანა დაიწყონ... დაბის მეთევზეები გონს რომ მოვლენ და გამოფხიზლდებიან, თართი უკვე საჭურისების ბელელსა და მარხილებში იჭნება. ვინც გაბედულია, გამარჯვებაც მისია...

ეპიფანის ფიქრები მარტა შესტობიტოვასაც გადასწვდა და სისხლი აუჩქროლა. ქალი ვარო, იმან უნდა თქვას. ქალი კი არა, ცეცხლია! იმ გამაბებრებელ ანფისას კი არ ჰგავს. გვერდით გიწევს და ვერ გაიგებ, ქალია თუ ჯირკი. მხოლოდ ერთი რამე იცის — სისინი! სისინებს და სისინებს გველივით. თითქოს ეპიფანს კი არა, მას შეეძინოს ეს ორსართულიანი სახლი. დოვლათით გაეჭე-

ღოს ბედლები... საქმე თუ კარგად წაუვა, მართა სადმე თავის მახლობლად უნდა დაასახლოს... განა ნამდვილი ვაჭრები ცოლებს სჯერდებიან? ცოლის თავისი ადგილი აქვს... მართა კი სადაც მოისურვებს, აქ წაყვება. ფინია ძალღიჯითაა! ერთს დაუსტვენ და მორბის... ან კი რა დაუშლის? ქმარი გრძნობებს და შვილი. მთელი მისი ქონება ერთი კრუხი და ერთი მამალია... და შაინც თაფლივით დედაკაცია, ტყბილი ჭიშმიში, დაშაქრული ნესვი...

მადლობა ღმერთს, ფიჭვნარი გამოჩნდა. აქ უნდა დახვდეთ ერმოლაი ლოპატკინი. ეპიფანმა ცხენი შეაჩერა, მარხილიდან გადმოხტა, ტყეს დააკვირდა, იქიდან კი მათ შესახვედრად არავინ გამოვიდა. ნეტა სად დაიკარგა ლოპატკინი? აკი დათქვეს, აქ შუადამით უნდა მოსულიყო, ახლა კი უკვე საცაო ვათუნდება. ეპიფანთან საჭურისი ძმები მივიდნენ. ქურქებსა და თივაში ჩაფუთული ოსტიაკები მარხილებში დარჩნენ — თამბაქოზე დაყენებულ არაყს ისე გაებრუებინათ.

— სად ეშმაკებშია ეს ძალღიჯილი ლოპატკინი? ჩაეძინა ალბათ! თავს წაგაცლი! — ცოფებს ყრიდა ეპიფანი. მოღუშული ძმები კი დუმდნენ. ნუთუ ისინი ეპიფანზე წინდახედულები აღმოჩნდნენ? როცა ეპიფანმა ლოპატკინა დაბაში გაუშვა, საჭურისებმა მაშინვე უთხრეს, ეს არ უნდა გაგვეკეთებინაო.

— ეს დღეები სჯობდა ბედელში ჩაგვეკეტა, რომ „ორმო“ ვინმე სხვისთვის არ მიეყიდა! — ჩაილაპარაკა მაშინ აგაპმა, ძმებმა კი ერთხმად, წრაპინით დაუჭირეს მხარი.

ნახევარი საათი დაელოდნენ, მაგრამ ლოპატკინი არა და არ გამოჩნდა. ოსტიაკებმა გაიღვიძეს, პირველ მარხილთან შექუჩდნენ, ეპიფანს არ ასვენებდნენ, რატომ არ მივდივართ, რისთვის გავჩერდითო. გარიყრაფზე სათევზაო იარაღები აუცილებლად „ორმოში“ უნდა ჩავეშვათ. ყოველ ახალ დღეს მდინარის ცხოვრებაში რაღაც ახალი ხდება. თევზაობისას ხელსაყრელი დროის ხელიდან გაშვება აშკარა დანაკარგს ნიშნავს. მაგრამ არავინ — არც ეპიფანმა, არც საჭურისებმა, არც ფრიად გამოცდილმა იუფიმკა ისტეგეჩევმა აქედან მდინარისაკენ მიმავალი გზა არ იცოდა.

— მოიცა, მოიცა, რომელი ცხენით იყო ერმოლაი გზის გასაკვლევად წამოსული? ცხენი თავის კვალს თოვლის ქვეშაც იყნოსავს, ნებაზე მივუშვათ და წავა... — განაცხადა აგაპმა. რომ გაიხსენეს, აღმოჩნდა, ლოპატკინს თურმე იგრიონოკით გაუკვლევია გზა, სწორედ იმ ცხენით, რომლითაც პოლია გუშინ გოლეშჩინინაში გაემგზავრა. აქ კი ეპიფანი ისე გაცეცხლდა, ოსტიაკები მყის გაეცალენ მის მარხილს. მაგრამ ჯავრი ვისზე ეყარა, როცა ყველაფერში თვითონ იყო დამნაშავე.

— წავედით! ცხენები გაგვიყვანენ! — ეპიფანი მარხილში ჩახტა და სადავე აიჭნია.

ცხენები ტყეს გაუყვნენ. ახლადადებული თოვლის ქვეშ გზას ფლოქვებით გრინობდნენ. მერე ღია მინდორზე გავიდნენ. ნამქერები გზას უღობაუდათ, ცხენები მუცლამდე თოვლში იფლობოდნენ. მაგრამ მალე კვალს ისევ პოულობდნენ. აქა-იქ, ღია ადგილზე ლოპატკინს პალოები ჩაერქო, რაც მგზავრებს უზის გაკვლევას უადვილებდა.

აი, მინდორი დამთავრდა და გზაზე ტირიფნარისა და მოცხარის ხან პრავალი, ხან მოგრძო ქუჩები გამოჩნდა. წინ შავად აღიმართა მდინარის სირა ალვების სწორი ზოლი. მდინარე ახლოვდებოდა. ეპიფანი მკვრივად უყურებდა. პორიზონტზე აისის შუქი გაკრთა. სავსე მოვარებში გზა მკვრივად განთიადი ახლოვდებოდა. დააგვიანდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ისე არა, რომ ცდუნე დაკარგულად ჩათვალოს. ახლა ასეთ ცეცხლს შეუთებს ოსტიაკებს, წუთში მოფხიზლდებიან.

უცებ იუფიმკა ისტეგეჩევი, ეპიფანის მარხილში რომ იჯდა, ფეხზე წამოხტა და დაიყვირა:

— კვამლის სუნია, ეპიფაშკა! კვამლისა!

ეპიფანმა ცხენი შეაჩერა, ადგა, ჰაერი შეიყნოსა. სუსხიანი ჰაერი ნესტოებს წვაავდა, მაგრამ სუფთა იყო, ლამის ნეკნებამდე აღწევდა და არა სუნს არ იკრავდა. ეპიფანი ყნოსვას არასოდეს უჩიოდა, სუნს მაშინვე გრძნობდა ხოლმე.

— მოგეჩვენა, იუფიმ, — თქვა ეპიფანმა, — აქ კვამლს რა უნდა? დაბამლე. თუ მეტი არა, შვიდი ვერსია.

იუფიმკამ აღარ დაიყინა, ეჭვით კი ჩაილაპარაკა:

— შეიძლება მომეჩვენა კიდევ, მაგრამ მკვეთრად კი მოიტანა ქარმა, ეპიფაშკა.

გზა განაგრძეს. რაც უფრო ახლოვდებოდა მდინარე, მით უფრო გახშირდა შიშველი ბუჩქების პატარ-პატარა კუნძულები. აქ თოვლი უფრო ღრმა იყო და ლოპატკინის პალოები აღარ მოჩანდა. ცხენები გაუყვალავში მილასლასებდნენ.

— ოჰ ეგ ძილისგუდა, მე მაგისი!.. ნამდვილად ახლა მიწურში, დედაკაცთან სძინავს. სულს ამოვხდი კისერს მოვუგრეხ! — იგინებოდა ეპიფანი.

— წინ ცეცხლი მოჩანს! — წამოიძახა იუფიმმა. ეპიფანმა შვებით ამოისუნთქა.

— მადლობა ღმერთს! ეტყობა, ერმოლაიმ კოცონი დაანთო, ჩვენ გვანიშნებს, — მაშინვე მოლბა ივი.

ცხენებმა თითქოს იგრძნეს გზა რომ მალე დამთავრდებოდა, და ნაბიჯს უმატეს. მალე ტყის იქით ახალ-ახალი კოცონები გამოჩნდა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, — ითვლიდა ეპიფანი, ბოლოს ვერ მოითმინა და ისევ იფეთქა: — პეტა ლოპატკინი ჰკუიდან ხომ არ შეიშალა? რა ოხრად უნდა ამდენი კოცონი? ეტყობა, ამ სულელს ჰგონია, რომ გზა აგვებნა! თვითონ ხომ ფიჭვნართან უნდა დაგვხვედროდა, მე მაგას ვაჩვენებ სეირს, ისე გავხდი, მშობელი დედა ველარ იცნოს!

რას იფიქრებდა, თუ გამოუსწორებელი რამ მოხდა. ჯერ საჭურისები შეშფოთდნენ. წამოეწივნენ ეპიფანის მარხილს და ზედ შეახტნენ:

— სად მიეთრევი, ეპიფან? განა ვერ ხედავ, რამდენი კოცონია? შეჩერდი! ცხენები ტყეში გადავმალეთ, თვითონ კი ფეხით გავიდეთ. ვნახოთ, რა ხდება იქ! — ერთმანეთს სიტყვას არ აცლიდნენ, ერთად წრიბინებდნენ ყველანი.

ცხენები გააჩერეს. ოსტიაკებს უბრძანეს, ადგილიდან ფეხი არ მოეცვალათ, მათ დალოდებოდნენ. ეპიფანმა ცხენირემას ქურქი გაიძრო, ჯუბისამარა დარჩა. საჭურისებმაც მას მიბაძეს. პირდაპირ, ალვისხეების ქაღის გავლით.

ბუჩქების მტვრევა-მტვრევით გაეშურნენ მდინარისაკენ. ჯერ ნაპირზე არც გასულიყვნენ, რომ კაკუნი გაიგონეს. ისმოდა ძალაყინების ხათქახუთქი ყინულის ლაწალაწი, ექოს გამოძახილი, ადამიანთა შეძახილები, სადღაც ახლოს ცხენები ჭიხვინებდნენ.

— გაგვიდა ლოპატკინმა. „ორმო“ ვილაცას მიჰყიდა ^{ქრქვენი} ~~ფლანგო~~ ~~ფლანგო~~ ტინს მიჰყიდა! დავახრჩობ! მუცელს ჩემი ხელით გამოვუფატრავ! — ღრიალებდა ეპიფანი. მუშტებს აქნევდა, თოვლის ნამჭრებს აწყდებოდა, დაძაბულობისა და სიბრაზისაგან სული ეხუთებოდა.

ნაპირს მიაღწიეს და შეჩერდნენ. ქერქშემომძვრალ ოფებეს ამოეფარენ. ქვევით, ორაპიოდუ მეტრზე ფლატეებით მოზღუდული მდინარის ტოტი მოჩანდა. ნაპირზე ერთი ვერსის სიგრძეზე, შაიად მოფენილიყო ხალხი. ზუსტად დახაზულ მონაკვეთებზე განლაგებულები. ისე გართულიყვნენ მუშაობით, ეპიფანი ვიდევ რომ გამოჩენილიყო „ორმოსთან“ ვერც შეამჩნევდნენ.

— მთელი თემი გამოსულა! — თქვა აგაპმა, როცა მუშაობით გართულ ხალხს დააკვირდა.

— ნეტა ვინ გაგვცა? ხუთუ ლოპატკინს შეეშინდა და მამასახლისთან თვიონონ გაიქცა? — ცდილობდა გამოეცნო ეპიფანს.

— ხომ ვთქვი, ჩვენთან ვილაცა იყო-მეთქი! — წრიპინებდა აგაპი.

— მერედა, რა! მოვიდა და წავიდა. შენი აზრით, ჩიტმა მიუტანა ჩვენი ამბავი?

— შენ, ეპიფან კორნეიჩ, რძალთან ხომ არაფერი წამოგცდენია „ორმოზე“? — არ ცხრებოდა აგაპი.

— კრინტიც არ დამიძრავს. შენ რა, თავი ჩემზე ჭკვიანი ხომ არ გგონია? — გული მოუვიდა საჭურისზე ეპიფანს.

— მაინც საკითხავია, რძალი სახლში რატომ გაგზავნე? — ვაიძახოდა თავისას საჭურისი.

— ფულზე გავაგზავნე. ახლა კი ვხედავ, რომ ამაოდ დაიღუპა ყველაფერი! — გაბრაზებით აღმოხდა ეპიფანს.

— მოდით გავეცალოთ აქაურობას! — ურჩია აგაპმა. — ალბათ ლოპატკინმა ქვეყანას მოსდო ჩვენი მოლაპარაკების ამბავი. აქაურები თავს წავკვაცილიან!

ეპიფანი კბილებს აღრქიალებდა, ბორგავდა, ბუშტებს ირტყამდა ხან მუხლზე, ხან თეძოზე, ხან მუცელზე. ნეტა ვოლიათი ყოფილიყო, გაიჭრებოდა მდინარის ყინულოვან საფარზე, კაცებსა და ქალებს მიყრი-მოყრიდა, ყველას ჭიალუებივით გასრესდა და ყინულქვეშ მოფუთფუთე დიდძალ თევზს, ავითონ წაიღებდა. მაგრამ ვერა, ვერ მიართვეს, აქაურობას ხახამშრალი უნდა გასცლოდა!

— თენდება, ეპიფან კორნეიჩ! წავედით! ვერც ჩვენ და ვერც ოსტიაკები აქ ვერ გამოვჩნდებით. ყველანი უსტ-ტიმსკოეს თემზე ვართ მიწერილები. ხიკოლსკოელებმა რომ გაიგონ, აქა ვართ, ცოცხლებს არ გაგვიშვებენ..

ეპიფანს საჭურისის სიტყვები თითქოს ესმოდა და არც ესმოდა! წავიდეს? მერე, როგორ წავიდეს, როგორ დაკარგოს დოვლათი... დაკარგოს შოგენა... იგი ვაქვავებულებით იდგა. ამასობაში იუფიმა ისტეგეჩევმა მოირბინა, კიცხვა დაუწყო:

— ღმერთს არ უქნიათ, ეპიფაშვა! მამა-აბრამის ბატკნები არც თქვენა

ხართ, საჭურისებო... „ორმოს“ გაძარცვას აპირებდით, ნიკოლსკოელი გლეხებისა და ჩვენი გადაკიდება გინდოდათ! ვაი, ვაი, ვაი! უნდა გავიწყდეთ, დავიშალოთ!

— ხმა ჩაიწყვიტე, შე ღრანჭმოქცეულო ნაძირალა! ეპიფანია დაფრთხილა ეპიფანმა, მერე სწრაფად შეტრიალდა და საჩქაროდ მარხილავდა.

პოლიამ, რა თქმა უნდა, ამ ამბებისა არაფერი იცოდა. თავისთვის გზას გინაგრძობდა. იგრიონოკი კარგი, ჰკვიანი ცხენი იყო, ადამიანივით დამჯერი.

— მიდი, მიდი, აგრიონუშკა, გასწი, გაფრინდი! ჩავალთ თუ არა ვოლნეშჩინინაში, მაშინვე ორივენი პარაბელში გავქანდებით. მამას და ზაბუას ვინახულებთ. შეიძლება ნიკიშაც ჩამოვიდა. აჩუ! — პოლია ასე იმიტომ ლაპარაკობდა, ვზის ერთფეროვნება ძილს გვრიდა. ჯერ კიდევ აქეთ მგზავრობიდან იცოდა, ძილი ცუდად გახდის, თავს აატკივებს, თვალები დაუწყებს ტენას. ცხენიც თავისი სახელის გაგონებაზე, კისერს აბრუნებდა, ცერად გამოპყურებდა პატრონს და ჯებს, უჩქარებდა.

პირველი ღამისთევა შესანიშნავი ჰქონდა. ერთ-ერთ სოფელში ფუნდუკოსაკენ გაუხვია. გულთბილად შეხვდნენ. როგორც პატივცემულ ადამიანსა და იშვიათს სტუმარს, მამამისის, ფედორ გორბიაკოვის წყალობით. ეს აქ, ნარიში არც უნდა გაკვირვებოდა. ორი-სამი წლის წინ ფუნდუკის პატრონი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მხნე კაცი, ავად გახდა, გული ჩხვლევდა, დროდადრო სუნთქვა საშინლად უჭირდა. პარაბელში ფერშალთან წავიდა. გორბიაკოვი გლეხს უბრალო ფხვნილებით მკურნალობდა, მაგრამ, რაც მთავარია, ასწავლა სუნთქვის რაღაც ძველინდური ხერხი. ფუნდუკის პატრონმა სულ ხუთი დღე იარა ფერშალთან. მაგრამ სამუდამოდ დაამახსოვრდა ისიც და მისი ქალიშვილიც. შევიდა თუ არა პოლია ფუნდუკში, იმის თქმაც ვერ მოასწრო, ღამის საათევი ადგილი თუ გაქვთო, რომ გულწრფელად გახარებული მასპინძლის შეძახილი მოესმა:

— მობრძანდით, მობრძანდით, მთელი სახლი თქვენს განკარგულებაშია! — ნეფუნდუკემ ცოლს დაუძახა და ორივემ ერთად გახადა პოლიას ქურჭი, ჯუბა და ხიფთანი.

აი, მეორე ღამისთევამ კი გუნებაში ძალიან გააკვირვა პოლიამ.

ფუნდუკი, სადაც იგი შევიდა, ხალხით იყო სავსე. დიდ შემოსასვლელში ფართო, გრძელი მაგიდის ირგვლივ, გლეხები სამოვარს შემოსხდომოდნენ და დროის მოსაკლავად აქეთურსა თუ იქითურზე საუბრობდნენ; რომ ომს პოლო არ უჩანს, რომ ტომსკის იქით რაღაც გლეხთა ამბობება იყო, პურის საბიზინო ნედლები სულ დაუღეწიათ, რომ სიღარიბე სულ უფრო და უფრო იკიდებს ფებს... აქაც კი, ნარიშის დაბებში, მათხოვრები გამოჩნდნენ.

უცებ მაგიდასთან ფუნდუკის დიასახლისი მივიდა, ყური მიუგდო საუბარს და თქვა:

— ხალხნო, ის თუ გაიგეთ, ნიკოლსკოეში ერთმა მეთევზემ რომ „ორმო“ იპოვა და იმ სასიკვდილე ეპიფანა კრივორუკოვს მიჰყიდა?

— არა, არ გაგვიგია! აბა, აბა, მოგვიყევი, დედაკაცო! — გაისმა ხმები.

— საქმე ასე ყოფილა: მეთევზებმ „ორმოს“ მიაგნო. იმას კი ახლანდელ მცხოვრებლები საჭურისები დაადგნენ თავზე — არ განაცხადო, რომ „ორმო“ ებოვე, ვაჭარს მიჰყიდო. ვაჭარიც იქვე აღმოჩნდა — ეპიფანა. ისინი ოსტიავეს მოელაპარაკნენ. ეტყობა, არყით გაჭყიბეს და გააბრუნეს. მოკლედ, დაიყოლიეს უსწავლელი ხალხი. დანიშნეს ვადა, დაიძრნენ მთელი სათევზის მხარეებით, მაგრამ არც ნიკოლსკოეს გლეხები ყოფილან სულელნი. ვენიტივეს ყველაფერი, დაუდარაჯდნენ არამზადებს; ეპიფანის ყაჩაღთა არტელი დიდი სიფრთხილით, მოსავლელი გზით გაეშურა მდინარისაკენ, მაგრამ „ორმო“ უკვე გაენაწილებინათ და თევზობაც დაეწყათ. პოდა, ეპიფანს ნადავლი ხელიდან გაუფრინდა, როგორც იტყვიან — თხის კუდიც არ შეხვდა. — დასახლისმა გაიცინა, მსმენელებმა კი მისი სიტყვები აღტაცებული ხმაურით დაფარეს. არც ერთი კაცი არ დარჩენილა გულგრილი დიასახლისის მიერ მოყოლილი ამბისადმი. ეპიფანსა და საჭურისებს დასცინოდნენ, ნიკოლსკოეს გლეხებს სიმარჯვეს უქებდნენ, „ორმოს“ გამყიდველი მეთევზის საქციელს კი გმობდნენ.

„ნეტა როდის მოხდა ეს ყველაფერი? და, რაც მთავარია, როგორ გაიგეს? გზაში ჩემთვის თითქოს არავის გაუსწრია. დიასახლისს ჩიტმა ხომ არ მოუტანა ეს ამბავი?!“ — ფიქრობდა განცვიფრებული პოლია.

ხალხი რომ დაშოშმინდა, პოლიამ იკითხა:

— მერედა, დიდი ხანია, რაც ეს ამბავი მოხდა?

— გუშინ მომხდარა. ამბობენ, „ორმო“ უხვი ყოფილა, ათასობით ფუთი თევზი ამოუღიათ. თურმე რაღა არ იყო შიგ: თართი, კოსტერი, ცქვრინა! — დიასახლისმა პოლიას გაოცებული მზერა შენიშნა და დაუმატა: — დღეს ფომა ვოლოკიტინთან მიმავალმა მაცნემ გამოიარა, ერთი მისი სანდო კაცია — გლეხი. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცხენს ერეკებოდა, ეშინოდა, სხვა ვინმეს არ შეესყიდა „ორმოს“ თევზი. ეპიფანს კი წკიპურტი უთავაზეს ცხვირში, მაგრამ ხომ იცი, ხალხი გულმავიწყია... თანაც ეპიფანს გლეხების გულის მოგება არ გაუჭირდება. ყველას მოატყუებს და თვალს აუხვევს.

„ახლა ვაჭრებმა ერთმანეთში, რამდენიც უნდათ, იმდენი იკინკლავონ. მუსტოვმა კი ალბათ უკვე გამოაძღო თავისი შვილები თართით. თუ კენჭისყრით მონაკვეთი არ ერგო, ვინმეს მიეჭირავებოდა და ფულს მაინც იშოვიდა“.

— გაიფიქრა პოლიამ და ეიმა, რომ გადასახლებულის მძიმე ყოფას პატარა ნათელი მაინც მოეფინა. ახლა კი ალბათ თოკის ფულს უთუოდ იშოვის და საჭურისი ძმების წინაშე თავის დამცირება აღარ დასჭირდება.

დილაადრიან გზა განაგრძო. უნდოდა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, დღეს გოლეშჩიხინაში მისულიყო. „მამასა და ბაბუასთან კი, შუაღამეც რომ იყო, მაინც მივირბენ. დილამდე მათ უნახავად ვერ გავძლებ“. — გაუფლვა თავში...

თავი მეოთხე

პოლიას ნიკიფორი გოლეშჩიხინაში დახვდა. იგი თავისი ალალით სამიოთხი საათია რაც დაბრუნებულიყო. შინ გაკეთებულ შჩის შეექცა, დედას ანგარიში ჩააბარა, იბანავა და ის-ის იყო საწოლზე წამოწვა დასასვენებლად.

რომ პოლიაც ჭიშკარს მოადგა. ნიკიფორი, ალაყათის კარს ეცა. პოლია ისე მონატრებოდა, გაუთავებლივ მკერდში იკრავდა და კოცნიდა.

ანფისამ შეიტყო რძლის ჩამოსვლა და უმაღლესი ქვევით ჩამოვიდა. პოლიამ დედამთილს სიტყვა-სიტყვით გადასცა ქმრის შემონათვალის ანფისას ხელები მკერდზე გადაეჭვარდინებინა და რძალს ხან ნდობით, ხანაუკუცხვით უმჯერდა. ფიქრობდა... პოლიამ ფულზე რომ დაიწყო ლაპარაკი, ანფისამ სხვას დაჟინდა, ოთახს შემოუარა და ისევ წინანდელ ადგილზე დადგა:

— ეგ კაი კაცი მთვრალი იყო თუ ფხიზელი? მე რა ფულსა მთხოვს? ჰა, ჰა, ერთი-ორი თუმანი მოვაქუჩე...

პოლიამ იცოდა, რომ ასეც იქნებოდა, ამიტომაც ხელწერილი შენიანახა, როგორც იტყვიან — თულფად მოიტოვა.

— ეპიფან კორნეიჩმა წერილი გამოგიგზავნათ, აქ ყველაფერია ხათქვაში, — უთხრა და დედამთილს ეპიფანის წერილი მიაწოდა. ანფისამ თვალვებთან მიიტანა წერილი, მერე ნიკიფორს გადასცა:

— აბა ერთი წამიკითხე, შვილო!

ნიკიფორმა წაიკითხა წერილი და ისევ დედას დაუბრუნა, ანფისამაც თავისი განიერი ქვედაკაბის ჯიბეში შეინახა.

— დილით ვნახოთ, მოვიფიქრებთ, — თქვა მან, პოლიას წყრომით გადახედა და დასძინა: — ეს როდის აქეთაა, პალაგეა, მამამთილს ეპიფან კორნეიჩს ეძახი? ის შენი მამაა! ოპ, ღმერთო ჩემო, აბა თუ ადამიანურად დაილაპარაკოს!

პოლიამ არაფერი უპასუხა, ნიკიფორს გადახედა, მაგრამ ქმარმა მყისვე თვალი აარიდა.

პოლიამ მამასა და ბაბუასთან მაინც ვერ მოახერხა მირბენა. ძროხების წველასა და ჭურჭლის რეცხვაში დააღამდა. არავინ ეხმარებოდა. ანფისამ დომნუშკა რალაციისთვის თავიანთ ახოზე გაგზავნა, ის კი არ დაბრუნდა, ღამის გასათევად იქ დარჩა.

— ნავთს უქმად ნუ დაწვავთ, ლაპარაკი სიბნელეშიც შეიძლება! — თქვა ანფისამ და თავის ოთახში ავიდა.

დედამისი თვალს მიეფარა თუ არა, ნიკიფორმა უბიდან ჩინური აბრეშუმის ოთხად დაკეცილი ნაჭერი ამოიღო, კიბეს შიშით ახედა და ცოლს გაუწოდა:

— პოლია, ეს გიყიდე, საკოფთედ მოგწონს?

პოლიამ აიღო აბრეშუმი, მაგრამ არ გაუშლია.

— მომწონს! რატომაც არა! გმადლობ, ნიკიშა!

„დედამისს ისე ჰყავს დაშინებული, საჩუქარსაც მალულად მაძლევს“, — გაუელვა თავში, მაგრამ თქმით კი არ უთქვამს, — შენთვის თუ იყიდე რამე, ნიკიშა?

— როგორ არა, მთელი ქვეყნის რალაციები შევიძინე, — ნიკიფორი ტაბურეტიდან წამოხტა და პაჭიჭების ამარა, ტყაპატყუებით დედამისთან ავარდა, იქიდან მთელი გროვა ნავაჭრით დაბრუნდა, თან უჩვენებდა და თან თვლიდა:

— საგარეო ჩექმები მე და მამაჩემს, სანახევროდ. აგერ, ფანელი საცვლებისათვის. დედაჩემს მაღალყელიანი ფეხსაცმელი. აი, შალი დომნა მამიდასათვის, თვითონ დამაბარა! კიდევ, ნახე, რა ვიყიდე ჩემთვის... — ნიკიფორმა საჩქაროდ ჩამოიცივა პლისის ხიფთანი — შემომხედე, ხომ ნამდვილი ვაჭარი

ვარ? ტარსიკონის ჩექმებილა მაკლია. წავაწყდი, მაგრამ ძვირი იყო. ამას რჯუ-
ლი არ იყოს! აბა, პოლია, როგორ მოგწონს ჩემი ნაეპრი?

სიმართლე რომ ითქვას, პოლიას სულაც არ მოეწონა ქმრის შეხადენი.
ნეტა რად უნდა პლისის ხიფთანი? ისიც კმარა, ეპიფან კორნეიჩს რომ აცვია.
მაგრამ ის ვაჭარია, კომერსანტი, ასეთი ხიფთანი სწორედ საიქმისთა, ნიკიფორს
კი აბა რაში სჭირდება?

— შემთხვევით გრებენ შიკოვის ნოქრისაგან ხომ არ იყიდე? გახსოვს,
ახალგაზრდა, წვერიანი ბიჭი რომაა? — პოლიამ ეს დაცინვით თქვა, მაგრამ
ნიკიფორი დაცინვას ვერ მიუხვდა.

— მთავარ ნოქარსაც ასეთივე აცვია. გახსოვს? ნიკოდიმ სემიონიჩი
ჰქვია, — ნიკიფორმა ფრთხილად, სასოებით გადაუსვა ხიფთანს ფართო ხე-
ლისგულა და კმაყოფილი ხმით დასძინა: — აი, ნახავ, თუ ჩვენც ხალხში არ
გავერიეთ.

მან ხიფთანი გაიხადა, თავისი ავლადიდება მოაქუჩა, კიბე ჩქარ-ჩქარა
აირბინა და ყველაფერი ისევ დედას აურბენინა.

— იქ, ქალაქში რა ამბავია? როგორ ცხოვრობს ხალხი? — ჰკითხა პო-
ლიამ, როცა ნიკიფორი დაბრუნდა.

— რა ვიცი, გეგონება, შიმშილით იხოცებიან! ბაზარში ყველანაირ სანო-
ვაგეს ლამის ხელჩართული ბრძოლით იტაცებენ. ფასს არ დაეძებენ, გემოზე
კი გაგლანძლავენ, მაგრამ ყიდვით მაინც ყიდულობენ. მე კი, პოლკა, ერთი
საქმე მოვაგვარე: კოლბაწვევლი ვაჭრის, სერიკოვის შვილმა, არკადიმ მას-
წავლა. დიდი გაიძვერა ვინმეა! მერე რა მოხერხებული! ისიც ჩემსავით თევ-
ზის ალალით იყო ჩამოსული. იმისი თოთხმეტი მარხილი იყო, ჩემი — თორ-
მეტი. ფუნდუკში ერთად აღმოვჩნდით. პოდა, მეკითხება: „აბა, ნიკიშკა, რო-
გორაა საქმე? რამდენ სკივრს აწაპნი, ერთს თუ ორს?“ მე სულელი ვერ მივ-
ხვდი, რას მეუბნებოდა. „რაზე ამბობ-მეთქი, არკაშკა?“ — ვეკითხები. „რო-
გორ თუ რაზე, საკუთარ კაპიტალზე, პირად მოგებაზე! — მეუბნება, — ნუთუ
თევზის სავსე სკივრებს უკლებლივ ტომსკის ლიპიან ვაჭრებს მისცემ?“ „აბა
რას ვიზამ? მამაჩემმა ასე დამაბარა“. „ეჰ, რა სულელი ყოფილხარ! გზაში
ნაწილ თევზს ჯერ ვირთხები დაღრღნიან, მერე ფუნდუკებში ქურდებიც დაი-
პარავენ. მოდი, თითო-თითო სკივრი მოვიტოვოთ, ბაზარში წონით გავყიდოთ.
იცი, როგორ იტაცებენ ახალ თევზს? მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ სკივრი
ცარიელია. საკუთარ თავზეც ხომ უნდა იფიქრო! დრო ხომ უნდა გაატარო
ქალაქში? დუქანში წავიდეთ, ტურფებთან!“. მე ვუთხარი, ცოლიანი ვარ-
მეთქი. ტურფებში თვითონ იარე, პირადი კაპიტალის თაობაზე კი მოვიფიქ-
რებ-მეთქი. პოდა, მივიყვანეთ ალალი ვაჭრების საწყობებში, თითო-თითო სკივ-
რი მოვიტოვეთ... იცი, პოლკა, მეორე დღეს ბაზარში წავედით და მე არკაშკაზე
ადრე გავყიდე ყველაფერი... ფული გავაკეთე... გადავმალე... დედ-მამა ამით
არ გამიღარიბდება... ჩვენს საქმეს რომ დავიწყებთ, ეს ფული მაშინ გამოგვაღ-
გება... შენ იმას ნუ უყურებ, მორჩილი რომ ვარ, მეც მაქვს ჭკუა. არკაშკას არ
ჩამოვუვარდები...

ნიკიფორმა პოლია მუხლებზე დაისვა და ჩურჩულით, შიგ ყურში, შეუს-
ვენებლივ, გატაცებით ელაპარაკებოდა.

პოლია ნიკიფორს ვეღარ სცნობდა. უნდოდა მიბრუნებულიყო და ქმრის-
თვის თვალეებში ჩაეხედა. მისი ფიქრით ქმარს ციებ-ცხელებიანივით უბრწყი-

ნავდა თვალები. მაგრამ რაღაც აკავებდა. იქნებ სწორედ ეს გაბრწყინებული თვალები არ უნდოდა დაენახა, უფრო მეტიც — ეშინოდა დარწმუნებულიყო, რომ ქმარს მართლაც ასე უელავდა თვალები.

— ახლა თვითონ ვივლა ალალით... კიდევ ორჯერ მომიწევს წასვლა. არკაშკას უკვე ყველაფერზე მოველაპარაკე... აი, მესმის ბეჭეტი...

— კიდევ დიდხანს აპირებთ ნავთის ტყუილუბრალოდ ხარჯვას? — გაისმა უცებ ანფისას ხმა და მისი აწეწილი, ნაწნავებჩამოშლილი თავი კიბის ზედა მოაჯირზე გადმოეკიდა.

— დედილო, ამწამსვე ჩავაქრობთ! — შეჰპირდა ნიკიფორი, კისერი წაიგრძელა და ლამფის გაბერილ შუშას ჩაჰბერა.

ხელის ფათურით გადავიდნენ კიბისქვეშა ოთახში, ლოგინში ჩაწვნენ.

— გენეტრებოდი მაინც, ნიკიშა? — ჰკითხა პოლიამ. — მე კი სულ გელოდი. გელოდი. თითებზე ვიკვლიდი დღეებს და ისე ვვარაუდობდი, დღეს კი არა, სამი დღის მერე, პარასკევს უნდა ჩამოვსულიყავი.

— ეჰ, იოლი როდია ალალის გაძლოლა!

პოლია ნიკიფორისაგან რაღაც სხვა სიტყვებს ელოდა, კერძოდ რა სიტყვებს — ალბათ თვითონაც არ იცოდა... მათ შორის ყველაფერი თითქოს ძველებურად, მაგრამ მაინც რაღაც სხვანაირად იყო. და უცებ პოლიას ეკვმა დაჰკრა: არკაშკა დუქნის კახპებთან ნამდვილად მარტო წავიდა თუ თავიანი ახალი უნებისყოფო ამხანაგიც გაიყოლია? — ამ ფიქრმა პოლიას ცხელი შანთივით გაუარა გულში, მაგრამ მაშინვე უკვალოდ გაუქრა.

ახლა პოლიას თავისი მგზავრობის ამბავი უნდა მოეთხრო. ნიკიფორი უსმენდა და ბევრი რამ სასაცილოდ ეჩვენა. თავში არასოდეს მოსვლია, მამამისს თუ რაღაც საიდუმლო დავთარი ჰქონდა, სადაც თავის ხარჯებს იწერდა.

— ნეტა რისთვის უნდა ასეთი წიგნი? განა დედაჩემი დავთარზე უკეთ არ იწერს ყველაფერს თავში? — სიცალით თქვა ნიკიფორმა.

მერე პოლიამ გაიხსენა ანოზე მარტა შერსტობიტოვას ჩამოსვლა. რცხვენოდა და უმძიმდა მამამთილზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ყველაფერი უამბო ქმარს. ნიკიფორმა ერთი-ორი რაღაც უმნიშვნელო კითხვით შეაწყვეტინა თხრობა.

— უყურე ერთი მამას, მე კი მეგონა, დაიღალა დედაკაცების დევნითმეთქი, — თქვა ნიკიფორმა, როცა პოლიამ თხრობა მოათავა. ეს იყო და ეს. პოლიას კი ეშინოდა, ვაი თუ ჩემმა ნაამბობმა მარტაზე ნიკიფორს გული ატკინოსო. სხვა რომ არაფერი, დედის გულისთვის ხომ მაინც უნდა აღწყოთებულიყო! მაგრამ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. პოლიამ უსიტყვოდ ჩარგო თავი ბალიშში და კედლისკენ შეტრიალდა. ნიკიფორი, ეტყობა, მიხვდა პოლია რა გუნებაზე დადგა.

— ნეტავი შენ, რას განიცდი? დომნა მამიდა ამბობს, მამაჩემი თავიდანვე ასეთი მუსუსი ყოფილა. დედაც მხოლოდ იმიტომ შეირთო, სიმამრს კარგი თანხა დაეცინლა. ერთი სიტყვით, ქალების ამბავში დიდი წუწკი ვინმეა.

პოლია იდაყვზე წამოიწია:

— რას ამბობ, ნიკიშა? განა მამაზე ასე შეიძლება იფიქრო?

— აბა როგორ? რა თქმა უნდა, მუსუსია! — ნიკიფორი ოდნავადაც არ შემცბარა.

აქ შეწყდა მათი საუბარი. პოლიას სიტყვები ვერ მოეძებნა, ნიკიფორმა კი, ცოლთან რაზე ელაპარაკა, აღარ იცოდა.

მაინც რა ცუდი გამოდგა ეს ღამე, არეული ფიქრებისა და გრძნობების ღამე. ჯერ კიდევ ქვეცნობიერმა, რაღაც შორეულმა გრძნობამ უკარნასა პოლიას, რომ ამ ღამემ ისინი კი არ დაახლოვა, პირიქით — უფრო დააშორა.

— ნიკიშა, როგორ უნდა ვიცხოვროს? მიმიძიმა შენს სახლში ყოფნა! თვითონაც ხომ ხედავ! წავიდეთ აქედან, ხომ შეპირებული ხარ? — პოლიას ხმა აუკანკალდა, თვალები აუცრემლდა. ნიკიფორმა არ უპასუხა — ჩაეძინა ან იქნებ თავიც მოიმძინარა.

2

ღრლით სახლის დაღავებისა და საუზმის შემდეგ, პოლია მამასთან გაეჩქარა. ანფისა შეეცადა არ გაეშვა იგი, ოჯახის საქმეებს იმიზეზებდა, მაგრამ პოლიამ არ გადაოქვა და დედამთილმაც ვეღარ დააკავა.

— დედი, საქმე არსად გამეჭკვევა. ორი მარტოხელა მამაკაცის — მამისა და ბაბუას ნახვა კი ჩემო მოვალეობაა. და დაიხსომეთ: როგორც ყოველთვის ვიქცეოდი, შემდგომშიც ისე მოვიქცევი. გულქვაობას ნუ მასწავლით! ბევრიც რომ მოიწადინოთ, ასეთ ადამიანად ვერ გამხდით!

ანფისამ ჩათქვირებული ხელები გაასაფსავა, თვალები ბოროტად გააკვესა, მაგრამ თქმით არაფერი თქვა, იგრძნო — რძალი დღეს ისეთ გუნებაზე იყო, უარესსაც აკადრებდა.

მამა კი, როგორც წინა მისვლაზე, იმავე საქმეს აკეთებდა: იჯდა მაგიდასთან და სააფთიაქო სასწორზე რაღაც ყვითელ ფხვნილს სწონიდა.

— შენ რა, მამი, მთელი კვირაა ფხვნილებს ამზადებ? წავედი, ამას აკეთებდი, ჩამოვედი და ისევ ამითი ხარ გართული! — იცინოდა პოლია: გორბიაკოვის დადუმებულ სახლში მისი ხმა უჩვეულოდ წკრიალებდა.

მამამ მთელი თავისი ალქიმია მაგიდის კიდზე მისწია. ძლივს გაიძრო დაღიწროებული თეთრი ხალათი და ქალიშვილთან მივიდა. მოჰკიდა ხელი ნიკაპზე, აკოცა ჯერ ერთ ღოყაზე, მერე მეორეზე, შუბლსა და ცხვირის წვერზე.

პოლიამ ცნობისმოყვარე თვალთ შეათვალიერა სახლი. ყველაფერა მოლაგებულ-მისუფთავებულა, ყველაფერი თავ-თავის ადგილზეა. აი, ოღონდ ფარდებია გამოსაცვლელი. უკვე ჭუჭყიანია. ერთ ფარდაზე იოდის ლაქაა, მეორე — შაპიროსით ამომწვარი... მამის ნახელავია. ხშირად ემართება ასე: ხან პერანგის ქობას, ხან ხალაოს, ხანაც შარვალს ამოიწვავს ხოლმე. ნეტა ფარდა მაინც როგორ დასწვა? როგორ მოახერხა! ეტყობა, ფანჯრის იქით რაღაც ქალიან საინტერესო დაინახა, ცქერით გაერთო და ფარდას კიდევ დალი დაამჩნია.

— ბაბუა სადღაა, არა ჩანს? — თქვა პოლიამ და ჯუბა გაიძრო, თავშალი ხოიხადა.

— ჯერ არ დაბრუნებულა. შეიძლება ნადირობაში ბედმა გაუღიმა აღმასთ გადაწყვიტა, ცოტა ხანს კიდევ დარჩეს ტაიგაში, მაგრამ მაინც ვლელავ, მოდიღ შეკა! ხომ იცი, ასაკშია, მოხუცდა. აბა ერთი დაჯექი, ხომ არ გშია? — ქვითხა მამამ და მზრუნველად შეათვალიერა შვილი.

— შენ, შენ თუ ისაუზმე? ვაჭამეს რამე? ჩემზე ნუ სწუხარ, ვაჭამე და ისე წამოვედი.

— მეც ვაჭამე, დაჯექი, მამებე, როგორ იმგზავრე, რა ნახე? გორბიაკოვმა პოლიას მიუძარჯვა თავისი ღრმა სავარძელი, თვითონ მის პირდაპირ—
მალალ, მრგვალ ტაბურეტზე დაჯდა.

— რა ვნახე? — ბრაზით თქვა პოლიამ და თითებზე ჩამოთვალა: — სასაძაგლე, საზიზღრობა, სიმდაბლე...

— ამდენი რამე! — დაღონებით წამოიძახა გორბიაკოვმა და შეილთან ახლოს მიიწია.

— ეს ჯერ ყველაფერი არაა, მამი! ოჰ, მამი, გულზე ლოდი მადევს. გული მერვეა. — პოლიამ იგრძნო, ყელში რომ რაღაც მოაწვა, წამიც და ატირდებოდა. თავი დაღუნა, მოიკრიბა მთელი თავისი ნებისყოფა. ტირილი არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! არც მამისთვისაა ადვილი წარტოცნოვრება.

გორბიაკოვი გუმანით მიხვდა, ქალიშვილი სავსე რომ იყო შთაბეჭდილებებითა და ფიქრებით. ამიტომ აღარ ჩასდია.

პოლიამ აღელვებას სძლია და თქვა:

— აბა მისმინე, მამი, დაწვრილებით, დღეების მიხედვით მოგიყვები... ყველაფერი სრული სიმართლე იქნება, არაფერს დაგიმაღავ.

— ოღონდ არაფერი გამოტოვო პოლიუშკა-შვილუკა, მე ხომ შენს ყველაფერი მაინტერესებს: რა ნახე, რას ფიქრობ... — გორბიაკოვმა აღელვებით აიღო პოლიას ხელი, გულზე მიიკრა.

ჰოდა, პოლიამ დაიწყო იმისივე მოყოლა, რაც ქმარს მოუთხრო. გუშინ ზეგრი რამ გამოტოვა, ერთიდან მეორეზე ხტებოდა, იცოდა, ნიკიტორისათვის ყველაფერი საინტერესო არ იქნებოდა. მამა კი სულ სხვაა. მას ყოველივეს უყვარდა ძირამდე ჩაწვდომა, დაწვრილებით ჩაეკითხებოდა იმაზეც, აუცილებლად დაახუსტებდა, განსაკუთრებით მაშინ უსმენდა ყურადღებით, როცა პოლია თავის გრძნობებზე უყვებოდა და ცდილობდა თავად შეეფასებინა ესა თუ ის ამბავი.

ახლაც დიდი ცნობისმოყვარეობით, მთელი არსებით უსმენდა, მისი ყურადღება, სახისა და თვალების მკაცრი გამომეტყველება პოლიას არწმუნებდა. რომ ამ წუთებში მამას ქვეყნად სხვა არაფერი ახსოვდა და მხოლოდ მისი მოწაყოლით სულდგმულობდა. ზოგჯერ თხრობას შეაწყვეტინებდა ხოლმე და თავისას ჩაუერთავდა:

— საჭურის ძმებს ვიცნობ, სისხლისმსმელები არიან!

— მართა შერსტობიტოვა? ლამაზი, მაგრამ უკიდურესად უბედურია... ეჰ, რამდენი ასეთი ქალია რუსეთში, პოლენკა!

— ვოლოკიტინი ეპიფანს გადაყლაპავს, უფრო მდიდარი და ძლიერია...

შუსტოვთან მეხვედრის ამბავი რომ მოსმინა, მამა თითქოს მოღბა და მოკლე შენიშვნის მაგივრად პოლიას ერთხანს თხრობა შეაწყვეტინა:

— მაშ, ამბობ, ძალიან მაქო?

— ძალიან გაქო, მამი! კინალამ გამოვუტყდი, რომ შენი შვილი კარ...

— ჰოდა, გამოტყდი-მოდის! რატომ არ გაუმხილე? რა არის ამასი დასაძრახი? — აღერსიანი დიმილით მეხვედა შვილის გორბიაკოვმა.

შენ ვამთ კი არა, კრივობოკოვის გულისთვის დავძალე ჩემი უ...

ხომ მეტყოდა: ამას რას ამბობ, მაგათ ჯოგში როგორ მოხვდიო! ხომ მეტყოდა?

— შეიძლება ეთქვა კიდევ, ასეთ ხალხს სიმართლე აკერია ემაზე. — გორბიაკოვი შეიშმუშნა, ისევ ღიმილით შეხედა შვილს. — მერე და... მოხდა, აგეხსნა!

— ახსნა კი შეიძლება, მამი, მაგრამ აი, გაგება კი ძნელია ხომ ვსწავლავ?

— მართალი ხარ, ასეა, — დაეთანხმა მამა. — აბა, აბა, პოლიუშკა, გახსნაგრძე, მერე რა მოხდა...

გორბიაკოვი გულსყურით უსმენდა შვილს და ახსენდებოდა პოლიას გამგზავრების წინ მათი შეხვედრა. იცოდა — მგზავრობა არ იქნებოდა სასიამოვნო, მაგრამ არ ეგონა, პოლია თუ ასე უმწეო აღმოჩნდებოდა ესოდენ ამკარა უკუღმართობათა წინაშე.

ვერაფერს იტყვი, ეპიფანთან ერთად ეს მისი მგზავრობა ჭკუის სასწავლებელი გამოდგა! სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროში ასეთი გაკვეთილი შესაძლოა წლების განმავლობაში ვერ მიიღო, არათუ რამდენიმე დღეში.

— პოლიუშკა, ძვირფასო, — აღელვებით თქვა გორბიაკოვმა, პოლიამ სათქმელი რომ მოათავა, — ბევრი რამე ნახე, ძალიან ბევრ რამეს ჩასწვდი. მართლაც გაგიჭირდება ცხოვრება, თუ ვერ შეიგნებ იმას, რომ უსამართლობისა და სიცრუის ეს საშინელი სამყარო მუდამ ვერ იარსებებს! ადამიანი უკეთესი ხვედრისთვისაა გაჩენილი და ბევრმა კიდევ იცის, რა გზით უნდა იაროს, რომ ამ დიად მიზანს მიაღწიოს.

— ბევრმა? მაგალითად, ვინ? ერთი მაინც დამისახელე ამ ბევრიდან. ჭვეყნიერების დასალიერს გავიქცევი ასეთი კაცის მოსაძებნად! — ფიცხად თქვა პოლიამ და მამას მიაჩერდა.

გორბიაკოვი ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, დოინჯშემოყრილი დაუდგა წინ შვილს და ნდობით, გულწრფელად უთხრა:

— ჭვეყნის დასალიერს გაქცევა არ დაგჭირდება, ერთ-ერთი ადამიანი, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ამ მიზანს, შენ წინ არის, ეს მე ვარ, პოლიუშკა!

პოლიამ მამას შეხედა, ნეტავ ამას მართლა თუ ამბობსო? იქნებ ამაზე გადაუტყრა სიტყვა მაშინ, როცა ეპიფანს ტაიგაში მიჰყავდა.

გორბიაკოვს ტუჩები უთრთოდა, შავ თვალებში უჩვეულო მზერა ჩასდგომოდა — მეოცნებე და ეშმაკური, მკაცრი და ალერსიანი. პოლია თითქოს ვილაცის უხილავის ხელმა წამოაგდო სავარძლიდან, მამას მივარდა, მოეხვია და იმ მნიშვნელოვანი წუთების მოლოდინში გაირინდა, წინ რომ ელოდა.

— მერე რას აპირებ, პოლიუშკა? დიდხანს იქნები ჩემთან? — ჰკითხა გორბიაკოვსა, როცა თვალებდახრილი და თავისი გრძნობების გამოვლინებით ცოტა არ იყოს დარცხვენილი პოლია მრგვალ ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— ხვალ, მამი, ისევ საჭურისების ახოზე უნდა წავიდე. იქ ეპიფან კორნეიჩი მელი უება, ფული უნდა ჩავუტანო.

— აი, ამაზე კი უარი თქვი, პოლიუშკა. აუცილებლად უარი თქვი, ერთი საქმე უნდა დაგავალო, გადადება შეუძლებელია. შენ გარდა კი ვერავინ გააკეთებს.



საქმე მართლაც გადაუდებელი იყო. თვითონ გორბიაკოვიცა და ნარიშის, ტომსკისა და პეტროგრადის კომიტეტების ერთობლივი შეწყვეტის გადაწყვეტილებით აკიმოვის გაქცევის საქმე გაგრძელებულიყო. გორბიაკოვის მიმართ "შესრულების უზრუნველსაყოფად, როგორც ეს აღნიშნული იყო კომიტეტებთან გორბიაკოვის საიდუმლო მიმოწერაში, უჩვეულო მარშრუტი იყო შემუშავებული, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავდა ჩივარდნის საფრთხეს.

გეგმის მიხედვით, გორბიაკოვის აკიმოვი უნდა გადაეყვანა სოფელ ჩივარაში, პარაბელსა და კოლპაშევოს შორის რომ მდებარეობდა. აქ ივანს გადააბარებდნენ ეფიმ ვლასოვს, თავზე ხელაღებულ ტოგორელ გამყოლს, ნარიშის მხარეში ისეთი გზების უბაღლო მცოდნეს, რომელთა არსებობა პოლიციელებმა კი არა, ჩიტებმაც არ იცოდნენ.

ჩივარაში აკიმოვის გამოცხადების ვადა მტკიცედ იყო დათქმული. ეს დრო სწრაფად ახლოვდებოდა. გორბიაკოვმა კი ჭერ ისიც არ იცოდა, როგორ მოახერხებდა შორეული ტაიგიდან ივანის ჩამოყვანას.

პირველად ფედოტ ფედოტოვიჩის იმედი ჰქონდათ გორბიაკოვის აზრით, მოხუცი დღე-დღეზე უნდა დაბრუნებულიყო დაბაში. როგორც არ უნდა ეყარათა, ფქვილისა და სხვა სურსათის მარაგი სამი თვე მაინც არ ეყოფოდა მოსუცს. მან, რა თქმა უნდა, ისიც იცოდა, მისი დიდი ხნით გადაკარგვა, სოფლიდან ზოგიერთს ეჭვის ჭიას გაუღვიძებდა. მოკლედ, დღეს არა, ხვალ, ფედოტ ფედოტოვიჩი ტაიგიდან უნდა მოსულიყო. გორბიაკოვი მას დაუყოვნებლივ გააბრუნებდა უკან და მოხუცი ივანს პარაბელის შემოვლით ჩივარაში გაიყვანდა, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, ფედოტ ფედოტოვიჩი კი არ ჩანდა.

სწორედ ამ დროს გაახსენდა გორბიაკოვს პოლია. პოლიამ იცოდა გზა შორეული ტაიგისაკენ, არაერთხელ წასულა იქ ბაბუასთან ერთად სანადიროდ აუ სათევზაოდ. შემოდგომითაც და ზამთარშიც არის იქ ნამყოფი... სხვა ვა არ ჰქონდა, პოლიასათვის უნდა გაემზილა ყველაფერი. ცხოვრება უკარნახებდა, რომ უკვე აღარ შეიძლებოდა შეიღისათვის კვლავ დაემალა თავისი შეხედულებები და პარტიასთან კავშირი.

მაგრამ ვაი, რომ პოლიაც წასული იყო! გორბიაკოვი შინ ვერ ისვენებდა, არ იცოდა, რა ელონა. აკიმოვის გაქცევის პირველივე ეტაპზე რაიმე სიძნელე წამოჭრილიყო, ეს არამც და არამც არ შეიძლებოდა, მთელი მარშრუტი მზად იყო. გორბიაკოვმა კარგად იცოდა თუ რა დაძაბულნი იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ევალებოდათ ამ ძნელი საქმის წარმატებით დაგვირგვინება.

— პა, რას იტყვი, პოლიუშკა? იქნებ უკვე დროა ჩაი დავლიოთ? — ჰკითხა პოლიას, რათა დრო გაეყვანა, შვილთან ლაპარაკი გადაედო. გორბიაკოვი არ ყოყმანობდა. უნდოდა ქალიშვილისათვის გული გაეხსნა, მაგრამ არ ჩქარობდა. რადგან ჭერ კიდევ ვერ მოეძებნა ყველაზე დამარწმუნებელი და ზუსტი სიტყვები.

— არა, მამი, მოდი, საქმეზე მოვილაპარაკოთ, თორემ შეიძლება მხარეული მოვიდეს და დაიწყებს თავის უსაშველო ბჭობას საოჯახო საქმეებზე. — თქვა პოლიამ

— პო, მგონი, მართალი ხარ, — აღელვებულმა გორბიაკოვმა ვაიარ-ვაიაროთაოთაობაში. — აი რა, პოლიუშკა: დიდი ხანია თქმას ვაპირებდი, მაგრამ

სულ ვაჭიანურები. მერე შენ გათხოვდი. ამ შენმა გათხოვებამ ცოტა დამაეჭვა. არ გაკავებდი, მაგრამ ჩემთვის მაინც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, კრივიორუკო-ვეზის სამყაროსადმი რა ლამოკიდებულებას გამოიჩენდი, მათ ზნე-ჩვეულებებს შენი გული როგორ შეეგუებოდა. რა თქმა უნდა, ყოველთვის ველოდი, რომ სა-კუთრება და მისგან გამომდინარე ყველა შედეგი შენ ვერ გავუტყუებდი. შენი ცხოვრების მიზანი ვერ გახდებოდა. ამას ვგრძნობდი, მაგრამ გრძნობა ერთია, ხოლო პრაქტიკა, ცხოვრება კი — სულ სხვა. ახლა ვხედავ: არ შევმცდარყარ. შენი მგზავრობა მამამთილთან ერთად, ის, თუ როგორ აღიქვა კერძო მესაკუთ-რეობის მთელი არსი, მარწმუნებს, რომ შენი ცხოვრების გზა კრივიორუკოვეზის სახლის ინტერესებს ვერ დაემორჩილება. მოგელის ბრძოლა — რთული და ძნელი ბრძოლა. კარგია, თუ ნიკიშა გაიზიარებს ცხოვრებაზე შენს შეხედუ-ლებას, თუ ორივე ერთ გზას დაადგებით. შენ ერთხელ მითხარი, მზადაა მია-ტოვოს მამისეული სახლიო! დაგპირდა, არა? მაგრამ ეს მაშინ იყო. შესაძლე-ბელია შენი ხელიდან გაშვება არ უნდოდა და იეშმაკა ცოტათი. აი, ახლა თუ არის ამისათვის მზად, ახლა, როცა უკვე დაქორწინდით? ეყოფა თუ არა ვამბე-დაობა? გაითვალისწინე: ის ხომ ოჯახში ერთადერთი ვაჟია... არ დაგიმალავ, პო-ლიუშკა: ეს ფიქრები ღამით, უძილობისას, გულს მიღრღნიან, სულ ამაზე ვფიქ-რობ.

პოლია მამას თვალს არ აცილებდა, უსმენდა. არც ერთი სიტყვა არ უნდო-და გამორჩენოდა.

— ეს — რაც შენ გეხებოდა. ახლა მინდა სრულიად გულწრფელად ვით-ხრა ჩემი ამბავიც. შეიძლება ზოგი რამ შენც შენიშნე. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ რალაცას ხვდებოდი.

— გინდა, მამი, მართალი ვითხრა?

— აბა სცადე, — ჩაეცინა გორბიაკოვს.

— შენ გადასახლებულთა მხარეზე ხარ და ის ბიჭი, შემოდგომით რომ ურეში შევხვდი, არსადაც არ გაქცეულა. ის შენ გაბარია. ოღონდ არ ვიცი, სად არის. შესაძლებელია ბაბუასთან ერთად შორეულ ტაიგაში იმყოფება.

გორბიაკოვი შეიღს ეცა, მოეხვია, გულში ჩაიკრა მისი მრავალი, ქერა თავი. ცრემლნარევი ხმით ჩურჩულებდა:

— აჰ, ჩემო ჭკვიანო გოგონავ! მე კი!... მე კი ისევ პატარა, მიუხედავად მეგონე...

— მაშ მართალი ვარ, მამი? — გამარჯვებულის იერით წამოიძახა თვალებ-ანთებულმა პოლიამ.

გორბიაკოვი ისევ სავარძელში ჩაჯდა.

— ვიმედოვნებ, შენი დაკვირვების შედეგი არავისთვის გაგიზიარებია? — ჰკითხა შეიღს.

— ამას როგორ გავაკეთებდი! ხომ ვიცი, რა საფრთხეშიც ჩავავლებდი. ჰილია....

გორბიაკოვს გული აუჩქროლდა: ქალიშვილი სწორედ „პილიას“ ეძახდა პატარაობისას, მაშინ, როცა ფროსიაა ჭერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა მათი ცხოვრების ყოველი დღე სავსე იყო დაუშრეტელი ნეტარებით და მომზიბელე-ლობით.

— რახან ასეა, პოლიუშკა, იცოდე, რომ მე გადასახლებულთა უმრავლესო-ბასა და მათ შეხედულებებს საზოგადოებისა და ხალხთა ბედზე არა მარტო

თანავე უგრძობ, არამედ აქ, ნარკში მთელი ეს წლები ჩვენი საერთო ბრძოლის წარმატებისათვის ვამყოფები. მე ამ ხალხს, რითაც შემძლია, ხან კი — ჩემს შესაძლებლობაზე გადამეტებითაც ვეხმარებოდი და ვეხმარები. მე ამას სრულიად საიდუმლოდ ვაკეთებდი და გავაკეთებ მანამ, სანამ არ დაინგრევა ეს მესაკუთრული, ძალადობისა და უსამართლობის სამყარო-როგორც სწავდნენ დროს სოფიკვება, თუ რა გზით მიაღწევს ხალხი თავის ბედნიერებას. ახლა კი საქმეს უნდა შევეუდგეთ. დაყოვნება აღარ შეიძლება. დიახ, შენ არ შემცდარხარ! ის ბიჭი, შენ რომ შემოდგომაზე გადაარჩინე, მე მამარია. ახლა აუცილებელია მისი ერთხელ კიდევ გადარჩენა. არაუგვიანეს ხვალინდელი დღისა უნდა შორეულ ტაიგაში წახვიდე და ეს კაცი ჩიგარაში გადაიყვანო. იქ მას შაბათ საღამოს მეეტლე დაელოდება ნილ ლუკოვის ფუნდუკში. მეეტლეს შენ იცნობ, ჩემი ტოგურელი ნათლიმამა ეფიმ ვლასოვია.

გორბიაკოვი გატაცებით, დარწმუნებით ლაპარაკობდა და დროდადრო შვილს თვალებში ჩახედავდა ხოლმე.

— ამის ძალა შემწევს, მამი, — უყოყმანოდ თქვა პოლიამ. — ოღონდ მოდი, მოვიფიქროთ, საქურისების ახოზე წასვლა თავიდან როგორ ავიცილო. ნიკიფორი ისევ ქალაქში აპირებს გამგზავრებას.

გორბიაკოვმა გააბოლა, მუშტი მიიღო ქალარაგარეულ თავზე:

— ეშმაკმა დალახვროს, აბა რა უნდა მოვიფიქროთ?

— იქნებ ბაბუაზე მოვიფიქროთ რამე? — უკარნახა პოლიამ.

— ბაბუაზე? ეგ კარგი აზრია, მაგრამ კერძოდ რა? — ხმამაღლა მსჯელობდა გორბიაკოვი. — არა, შვილო, ბაბუა არ ივარგებს. ჩვენდა უნებურად თავად მივეუთითებთ მისამართს, შორეული ტაიგა რომაა.. რაც იყოს, იყოს! შენი დარჩენის მიზეზი ისევ მე გავხდები. ამ წუთიდან ჩავწვები ლოგინში, ვითომ ავად ვარ, შენ კი დღესვე მოხვალ ჩემს მოსავლელად და ხვალ ოთხი დღით გაქრები. მერე გამოჩნდები, ვითომც არაფერი...

— კარგი, მაგრამ, ვთქვათ, ვინმე მოვიდეს, მიკითხოს, რას ეტყვი?

— სადღაც აქ არის, დიდ ნესტეროვკაში წავიდა ალბათ შტოშის საშოვნელად, მე მჭირდება-მეთქი. ან ვინ უნდა მოვიდეს?

— შეიძლება სულაც ანფისა ტროფიმოვნა. შენს ავადმყოფობას რომ გაიგებს, იქნებ მოისურვოს შენი ნახვა.

— შეიძლება! რა მოხდა, იმასაც იგივეს ვეტყვი: წავიდა, მალე დაბრუნდება, ხუ აღელდებით, მთელი დღე ხომ აქ არ დამიჯდება-მეთქი.

— ფილატოვმა რომ ინებოს მობრძანება? — არ ცხრებოდა პოლიამ.

— ეგ კი, გაიგებს თუ არა, ფერშალი უქეიფოდ არის, მაშინვე გამოცხადდება. მერე რა, კარგიცაა, რომ მოვიდეს. ვეტყვი, გნოლებზე გავაგზავნე. ნანადირევი ფრინველის ხორცი მომინდა-მეთქი. აუცილებლად შეიცხადებს: „როგორ განა შეიძლება მდედრობითი სქესის წარმომადგენლის სანადიროდ გაგზავნა? გეთქვათ ჩემთვის, ვინმე გლესს ვავამწესებდი!“ — გორბიაკოვმა სოფლის პოლიციელს წაბაძა, ხმა და დაიბოხა, მედიდურად ჩაახველა, როგორც კეთილშობილი ღირსების შეგნებით აღსავსე პარაბელელმა წესრიგის დამცველმა იცოდა ხოლმე. პოლიამ მხიარულად გადაიკისკისა.

— ზედგამოჭრილი ფილატოვი ხარ, ყოჩად, მამი!

— აბა, პოლიუშკა, კეთილად გემგზავროს! მე ჩავწვები, შენ კი მოკურცალე, საღამოთი თოფსა და თხილამურებს გავიმზადებ.

— კარგად იყავი, მამი! ემანდ მართლა ავად არ გახდე!
 — რას ამბობ, ჩემი ავადმყოფობა ახლა არამც და არამც არ შეიძლება.
 პოლიამ სწრაფად ჩაიცვა, გასვლისას მამას ხელი დაუჭნია, შეუკანთ/ვა-
 ვიდა და სწრაფად გაიქცა გოლეშჩინაში.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

4

შინ მიმავალი პოლია კვლავ იმ სიტყვებზე ფიქრობდა, ანფისა ტროფი-
 მოვნასათვის რომ უნდა ეთქვა. მთავარია, ყველაფერი მტკიცედ, ყოველგვარი
 ყოყმანის გარეშე უთხრას, რათა ისე არ გაუგოს, თითქოს მამასთან დარჩენის ნე-
 ბართვას ეხვეწება.

მაგრამ სახლში შევიდა თუ არა, დედამთილმა თავისი მოულოდნელი გა-
 დაწყვეტილება ამცნო:

— შენ, პალაგეა, ჩემთან დარჩები! მამასთან ნიკიშკა წავა: ტომსკში ალა-
 ლით წასვლას გადავდებთ. დედაკაცის საქმე არ არის ფულის წაღება. შენს
 დიხაგვრას დიდი ამბავი არ უნდა: პირველი შემხვედრი ავაზაკი გაგაჩერებს.
 რაც ხელში მოხვდება, თავში გთხლიშავს და მშვიდობით, ფულეზო! მათი ხარ-
 ჯვა იოლია. შოვნა კი, ვაი, ვაი, რა ძნელია!

პოლია სიხარულით კინალამ ცას ეწია, მაგრამ თავი შეიკავა და მორჩილად
 თქვა:

— ჩემს თავს ცუდი ამბავია, დედა, მამაა ავად. წევს, სიცხით იწვის.
 იმისთვის მოვირბინე, რომ გითხრათ: მამის მოსავლელად უნდა წავიდე, ვასვა.
 ვაჭამო, წამალი დავალევი. ბაბუა ჯერაც ტაიგაშია, მზარეულის იმედი კი
 არა მაქვს — ყრუა.

ანფისამ დიდი გაჭირვებით შეიკავა თავი, რომ არ დაეყვირა: „ჰოდა,
 მომწყდი თავიდან, საზიზღარო, მაინც ოჯახისათვის უსარგებლო ხარ“. მაგრამ
 ენას კბილი დროზე დააჭირა. იმ უბედურ ფედოტ ფედოტოვიჩისაგან დაღად
 დავალებული იყო. მას უნდა უმადლოდეს თავის ბედნიერებას; მძახალმაც,
 დედორ ტერენტიევიჩმა დიდი ამაგი დასდო, რომ კრივორუკოვების ერთად-
 ერთი მემკვიდრე და ოჯახის იმედი ნიკიფორი ჯანმრთელი და ქვეიანი გაზ-
 რდილიყო.

— რახან საჭიროა, უნდა წახვიდე. ოღონდ ტყუილუბრალოდ იქ ნუ ვა-
 ჩერდები. შენი სახლი ახლა აქ არის.

პოლია ეზოში გავიდა. ნიკიფორი მარხილში ყველაზე მარდ ცხენს — პე-
 გარს აბამდა.

— რა, ნიკიშა, ისევ ერთმანეთს ვშორდებით? — სევდიანად თქვა პოლიამ.
 ნიკიფორის მოხატული თექურები და გახსნილი ჯუბა ეცვა, ქუდი კი თავმო-
 წონედ კეფაზე მოეგდო. იგი გაპრიალებული სპილენძის ბალთებით მორთულ
 აკაზმულობას ცხენს არგებდა.

— წავალ, პოლკა, რა გაეწყობა! არ მოიწყინო! ვფიქრობდი, ამ დღეებში
 ქალაქში ალაღს წავიყვან-მეთქი, დედაჩემმა კი თავი იქით მიკრა. შიშობს ეს
 ბებერი ძუქნა, ფულს არ გენდობა. ჰოდა, არც ახლა ვიქნები სულელი: მაგან
 და მამაჩემმა არ იფიქრონ, მემკვიდრეობის მოლოდინში ისე. უფასოდ მოვემ-

სახურა! არკაშკამ მასწავლა, როგორ უნდა ცხოვრება. პროცენტი, პროცენტი მოიტა! არ მომცემ, მაშინ თავად გავახერხებ.

ნიკიფორი რალაცით გაღიზიანებული იყო და პოლიანე ერთ-ერთ გაბეღა მამის ავადმყოფობაზე ეთქვა რამე უყურებდა ქმარს. ისმენდა მისი უხერხულო, უხეშ სიტყვებს და გულში უნებლიეთ ფიქრობდა: „ვერა, ვერა მოვწყვეტ სხვას აქა-ფრობას, მიღუღაბებულია უკვე ტომსკში წასვლის შემდეგ ფულისა და ვაჭრობის მადა გაეხსნა, სხვანაირი გახდა. მოუთმენელი, სრულიად უცხო!“

ქიშკრის გადაღმა ნიკიფორი პოლიასთან მივიდა, ცივი ტურები შეახლოვდაზე, ჩანტა მარზილში და ცხენს შესძახა:

— აბა, პეგარ, აჩუ, მოქუსლე!

5

ნიკიფორი მამასთან მიდიოდა, საჭურისების ახლზე. ის კი არ იცოდა, საკუთარი სიკვდილის შესახვედრად რომ მიეშურებოდა.

ჯერ კიდევ ტომსკის მოგონებებით სულდგმულობდა. მან და არკაშკა სურვილით კარგი დრო გაატარეს. რესტორანში იქეიფეს, იხეტიალეს, ქალაქელ ტურფებშიაც გაერთნენ. ნიკიფორი იქაურ გოგოებთან ჯერ უხერხულად გრძნობდა თავს, მორცხვობდა, მაგრამ არკაშკამ, ამ გაჭნილმა გაიძვერამ უშეფლა: შეამჩნია თუ არა, ამხანაგი მორცხვობსო, თიოქმის ძალით ჩაასხა ხახაში ნახევარი ჭიქა არაყი. ნიკიფორიც შეჭიკჭიკდა. ხოლო ნიკიფორი თუ შეჭიკჭიკდებოდა, ეშმაკიც კი ნათლიმამად მიაჩნდა. თანაც ის გოგო, მას რომ აეკიდა, თეთრზე-თეთრი იყო; თმა წვრილად დაეხვია, სახეზე სქლად ესვა ფერ-უმარული და პუდრი. კარგი ვინმე იყო, არა უშავდა რა—ნამდვილი ეშმაკის ფეხი. ღამით ისე მოაქცია ნიკიფორი — ნარიმელი ველური, როგორც მოფერებით ეძახდა, დილით ფუნდუკამდე ძლივს მილასლასდა კაცია. ციყვივით მარჯვე იყო—ეშმაკმა უწყის, ჯიბეები როდის ამოუფხიკა. კიდევ კარგი, მოისაზრა: მსხვილი ფული ცხვირსახოცში შეაჩვია და პიმში, საფენქვეშ ჩადო, თორემ ეს ფულებიც კულულებიანი გოგოს ხელებს მიეწებებოდა და თვითონ ხვიშტი დარჩებოდა.

და მაინც აქვს მოსაგონარად რალაცი ახლა უფრო გონივრულად მოიქცევა. იმდენ ფულს წაიღებს, რამდენიც პურ-მარბილზე და ქალისათვის მისაცემად დასჭირდება. ქალსაც ხომ უნდა სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა! სხეულიც მოვლილი, სათუთი უნდა ჰქონდეს... გაძვალტყავებული რაში ეპიტნავენა.

პოლია? მობეზრდა ნიკიფორს მისი ერთი და აგივე მოძახილი — წავიდეთ და წავიდეთო! ნეტავი სად უნდა წავიდნენ! რატომ, რისთვის? კი არ უნდა წავიდნენ, მშობლები ნელ-ნელა საქმეს უნდა ჩამოაცილონ, თრევენი ხელში ჩაიჭირონ, შეაგნებინონ, რომ ყავლი გაუვიდათ, ღუბელზე მოკალათების დრო დაუდგათ.

ნიკიფორი მომავალი ცხოვრების გეგმებს აწყობდა და გადაწყვიტა ეს გამგზავრებაც თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ერთი-ორი ყუთი თართი თუ არა, ცქვრინა მაინც დაეთრია. მამა, რა თქმა უნდა, თავისკენ დაუწყებს ყველაფერს ქაჩვას: ნიკიშკა, მთელი ავლა-დიდება მე და შენ საერთო გვაქვს. მოვკვდები და ყველაფერი შენ დაგრჩებაო

მოვეკვდებიო! მერედა, მოვესწრები კი შენს სიკვდილს? შენ აგერ ახალ-გაზრდა ქალებში დაეთრევი... ერთი რამ ნათელია: რაც შენია, შენს ქვებში უნდა ჩაიღოს.

მაგრამ ყველა მისი ფიქრი, ყველა მისი ამქვეყნიური ანგარიში ერთ წამში წამის ერთ მეთედში დასრულდა...

...„ორმოს“ გამქლავნებით განცდილმა მარცხმა საჭურისებმა მთელი ცოფა და გააბორბტა. ორი დღე სულ კედელს ახლიდნენ თავს, არ იცოდნენ, როგორ ან ვისზე ეყარათ გულის ჯავრი! რა მოგება გაუფრინდათ ხელიდან! ნიკოლსკოეს გლეხებმა, როგორც მტკნარ სულელებს, ჭკუით აჯობეს, ეპიფანს რა ენაღვლება: აქ, მათთან თუ სარფა ვერ ნახა, სხვაგან მოიგებს მოსაგებს. ფული დაეკარგეო, იწუწუნებს, მერე იღულუნებს მარფასთან და შემდეგ კი დაპკრავს ფებს და ნარიმის მეორე ბოლოში ამოყოფს თავს. საჭურისებმა კი რა უნდა ქნან? რა თქმა უნდა, თოკების გრება სარფიანი საქმეა, მაგრამ „ორმოსთან“ მაინც სად მოვა!

გადაწყვიტეს ღამეები არ დაეძინათ, და, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გაეგოთ — „ორმოს“ ამბავი მამასახლისს ვინ აცნობა, ნიკოლსკოეს თემს უნ უჩვენა იქით მიმავალი გზა.

დაბაში მუდამ ჰყავდათ „თავისი მოყურადენი“. ამჯერადაც იმათმა მოუტანეს ენა:

— მამასახლისი იკვებნის, „ორმოს“ ამბავი საჭურისების ახოდან წამოვიდაო.

არა, ისინი უთუოდ ეპიფანის რძალმა გასცა. ამას სხვა არავინ გააკეთებდა. იქნებ ვაჭარმაც სადმე წამოაყრანტალა. მაგრამ ნაღდად რძალია დამნაშავე ახოზე ვიღაცა იყო ნამდვილიად, ალიკაბი ტყუილად კი არ აღმოჩნდა უადგილო ადვილას. რაკილა რძალმა დამალა — ახოზე ვინ იყო, მაშასადამე, იგი აქედან ხელცარიელი არ წასულა, „ორმოს“ ამბავი წაიღო.

მარცხით დაღონებული ეპიფან კრივორუკოვი დაბაში, თავის საყვარელთან რომ გაემგზაურა, საჭურისი ძმები სათათბიროდ შეიკრიბნენ. ასაკით ყველაზე უფროსი აგაპი იყო და პირველი სიტყვაც მან თქვა:

— რა ვქნათ, ძმებო, ვაპატიოთ კრივორუკოვებს ასეთი ცოდვა, ასეთი ვაძარცვა, თუ ვაზღვევინოთ, როგორც ჩვენი წესია: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ?“

— საცა სამართალია, ეპიფანს კაცმა მამალივით უნდა წააგდებინოს თავი!

— დაიწრიპინა უმცროსმა, აგეიმ.

— თვითონ კიდევ დაგვეკირდება! აი, რძალს კი დავუხვდეთ და ის ფული, რაც მოაქვს, წავართვათ. კანონით ეს ფული ჩვენ გვეკუთვნის. თვითონ კი ცხენიანად — ყინულჭრილში ჩავუშვათ... მერე რამდენიც გინდა ეძებონ! — თქვა საშუალომ, აგაფონმა.

— თითქოს ჩემს გულში იჯექი! მთელი ღამე მეც სულ ამაზე ვფიქრობდი, — დაეთანხმა აგაპი, მცირე ღუმილის შემდეგ კი უმცროსს ჰკითხა: — აგეიუშკა, თუ გაიგე, რას ლაპარაკობენ შენი უფროსი ძმები?

— გაუგებარი რაა? თუ მეტყვით, მე თვითონ გავაგდებინებ თავს! — ავეი მოუთმენლობისაგან წამოდგა, კიდევ გაიზნორა, ამაყად გამობრიქა თავისი ძლიერი გულ-მკერდი. — ერთი მურდალი ადამიანით ნაკლები იქნება, მორჩა და გათავდა!

— ვილოცოთ, ძმებო! დაე, ამ სამართლიან საქმეში ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

ძმები ხატების წინ დადგნენ და ღუდღუნით შეუდგნენ ლოცვას.

საჭურისებმა პოლიას დასახვედრად ის ადგილი აირჩიეს, სადაც გზა ახოსაკენ უცბათ უხვევდა. იგი ყოველი მხრიდან ტყით იყო დაფარული, უცხო თვალი ვერ მოსწვდებოდა. თუმცა უცხო თვალი არც იყო საშიში: აქ მხოლოდ თვითონ საჭურისები დადიოდნენ. მთელ ზამთარში ორ-სამჯერ თუ შემოივლიდა ნარიშველი უბნის ბოქაული და კიდევ ეპაფან კრივორუკოვი...

მკვლევლობისათვის ეს ადგილი იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ გზიდან ორმოციოდე მეტრის დაშორებით მდინარეს ციცაბო ნაპირიდან წყარო უერთდებოდა. ალბათ ნაღრუალი წყალი იყო, მიწაში რომ ისე ღუღს, თითქოს სამოვარში ბუყბუყებსო. უზარმაზარი ყინულჭრილი ორთქლს გაებურა და შიგ ყვითელ თიხნარში მჩქეფარე ნაკადულები ჩანდა. ამ ყინულჭრილში არამცთუ ადამიანი და მარხილში შეკაზმული ცხენი, მთელი დაბაც კი ჩაინთქმებოდა მთელი თავისი პირუტყვითა და ბარგი-ბარხანით.

ნიკიფორი ბშირ-ბშირად ისვენებდა გზაში. ღამით ფუნდუკებშიაც ჩერდებოდა. პეგარი გზის დასასრულს მოიქანცა და შოლტს რომ დაჰკრავდნენ ჩორთზე მხოლოდ მაშინ გადიოდა. ნიკიფორიც დაიღალა — ძილი თავს ართმევდა. თვალებს წამით ხუჭავდა და მყისვე ახელდა: ახოს გადასახვევს უახლოვდებოდა და ფხიზლად უნდა ყოფილიყო, წინ ეცქირა.

მარხილში ღრმად იყო ჩამჯდარი, თავზე ძველი, გაცრეცილი საბანი ჰქონდა გადაფარებული. მძაფრი ქარი ქროდა, ჰაერში თოვლს ატრიალებდა, მოსალამოვების წინ ცა ილუშებოდა, მთვარეც საცაა მიიმალეობდა ღრუბლებში.

უცებ ცხენი შედგა, განზე გახტა. მისი ტანის სიმძიმემ შეაჭრიალა ხელნები — აგაპმა სანადირო ხანჯლის ერთი დარტყმით გამოსჭრა ცხენს ყელი. იმავე წამს აგეის ხელში გაელვებულმა მძიმე ცულის ყუამ ნიკიფორს თავი გაუტპო...



5
6
7

თოქას პელორი

ამბავი მეფე ართურის ზეობისა



რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მალრაძემ

თავი ოცდამეათე

იმავი ტურნირის ამბავი

ამით დასრულდა ორთაბრძოლები. შემდეგ კი იშეშვლეს რაინდებმა ხმლები და დაიწყო სასტიკი სატურნირო ბრძოლა. იმ ტურნირზე საკვირველი გმირობა მოახდინა სერ ლამორაკმა. მას და სერ ირონსიდს, წითელი მინდვრის წითელ რაინდს შორის მძიმე ბრძოლა გაიმართა. სერ პალომიდსა და სერ ბლეობერისსაც ფიცხი ბრძოლა ჰქონდათ. ერთმანეთს შეხვდნენ სერ ტრისტრამი და სერ გავეინი. გაიმარჯვა ტრისტრამმა. სერ გავეინი ცხენიდან გადაიგდო და ის დიდხანს დარჩა უცხენოდ. ლაფში ამოსვრილი.

შემდეგ გამოვიდა სერ ლანსელოტი და სერ ტარქვინს დაარტყა, ტარქვინმაც მოუჭნია. გამოჩნდა სერ კარადოსი, მისი ძმა, და ორნი დაესხნენ თავს სერ ლანსელოტს. მაგრამ ის, ქვეყნიერების საუკეთესო რაინდი, მამაცურად ებრძოდა ორს, გაუჭირდათ ძმებს და გაოცებული იყო ყველა ლანსელოტის სიმამაცით.

ამ დროს გამოვიდა სერ გარეთი, მიხვდა, რომ ორთან მებრძოლი — სერ ლანსელოტი იყო და გაშველება უნდოდა, მაგრამ ერთხელაც არ მოუჭნევია ხმალი ლანსელოტის დასაკრავად. ეს ლანსელოტმაც შეამჩნია და გაიფიქრა, სწორედ ეს უნდა იყოს კეთილი რაინდი სერ გარეთი. სერ გარეთი კი დაჰქროდა სატურნირო ველზე აქეთ-იქით. გზას იკაფავდა და ყველა ხედავდა მის გზა-კვალს. ერთგან ძმას შეხვდა, სერ გავეინს და იმასაც დაუგდო მუხარადი. ასევე დაამარცხა კიდევ ხუთიოდე რაინდი მრგვალი მაგიდისა. ყველა ერთხმად მეტყველებდა, შეუდარებელია და ტოლი არა ჰყავსო, პირნათლად იხდისო ვალს.

სერ ტრისტრამმა ნახა, რომ ორთაბრძოლებში ასე გამარჯვებულს ახლა ტურნირზეც ტოლი არა ჰყავდა. მიიბრუნა ირონსიდ-რეინის გვერდთან და სერ პეტრსიანტ იხდოვლთან, დააფიცვა, მოთხარით, ვინ არის ეს რაინდი, ნაირვერად რომ ჩახსო.

— ჭეშმარიტად, ეს კაცი თავს არ იზოგავს და წუთს არ ისვენებს. ვინ უნდა იყოს?

— განა არ იცნობთ, ვინც არის? — ჰკითხა ტრისტრამს ირონსიდმა.

— არა, — მიუგო ტრისტრამმა.

— მაშ იცოდეთ, რომ ეს ის რაინდია, რომელსაც უფროს უფროს გამგებელი ქალი. და ქალსაც ის უყვარს. ამ რაინდმა მძლია მძევს ალყა შემოვარტყი. მანვე დაამარცხა სერ პერსიანტი და მისი ძმები.

— რა ჰქვია და რა გვარისაა?

— სერ, ართურის სასახლეში მას ეძახდნენ ბიუმეინ-მშვენიერხელეებიანს, ნამდვილი სახელია სერ გარეთი, გავეინის ძმა გახლავთ.

— თავს ვფიცავ, ჭველი რაინდია და ბრწყინვალე მეომარი. ჯერ ასე ახალგაზრდაა და მერე რა იქნება! უკეთილშობილესი რაინდი დადგება!

— სერ, — უბასუხეს, — ჯერ თითქმის ყმაწვილია და კურთხევა თვით სერ ლანსელოტისაგან მიიღო.

— ეს მისი უალრესი პატივია, — თქვა ტრისტრამმა.

სერ ტრისტრამი, სერ ირონსიდ-რკინის გვერდი და სერ პერსიანტი ძმებიანად სერ გარეთის მისაშველებლად გაეშურნენ. სასტიკი შეხლა იყო, ურიცხვი დარტყმა. სერ გარეთი მუზარადის შესასწორებლად განზე გადგა. უცებ თავისი ჯუჯა ეუბნება:

— მომეცით თქვენი ბეჭედი, თორემ წყლის დასაღვეად რომ დაიხრებით, დაგეკარგებათ.

წყალი დალია. მუზარადი შეისწორა, მოუთმენლად მოახტა ცხენს და ბრძოლის ველზე გაეშურა. ბეჭედი ჯუჯას დარჩა და კიდევ უზაროდა, რადგან უბეჭდოდ გარეთს შეიცნობდნენ.

ყველამ დაინახა, რომ სერ გარეთის ფერი — ყვითელია. ისევ ხდიდა მუზარადებს და ძირს ჭერეხივით ყრიდა რაინდებს, კიდევ გააკვირვა ართურ მეფე: ვინ უნდა იყოს ეს რაინდი? ცხენის მიხედვით მეფე ხედავდა, რომ ეს იგივე რაინდია, სხვადასხვა ფერებს რომ იღებდა, ახლა კი ყვითელია.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ი თ ა რ თ ა მ ა ე

როგორ იცნოს კაროლდამა სერ გარეთი და როგორ დატოვა ბრძოლის ველი

— გადით — უთხრა თავის ჰეროლდებს ართურმა, — ახლოს იყავით და უკეთ დააცქერდით: იქნებ გაიგოთ, ვინ არის, რადგან დღეს მისი მხარის ბევრი რაინდი დაეკითხე, ყველამ თქვა, არ ვიცნობთო.

ბოლოს ერთმა ჰეროლდმა სულ ახლოს მისვლა მოახერხა და მუზარადზე ამოიკითხა: „ეს მუზარადი სერ გარეთი ორკნეელისაა“. მაშინ გიჟივით შეხტა ეს ჰეროლდი და მასთან ბევრი სხვაც: „ეს ყვითელი რაინდი სერ გარეთი ორკნეელი ყოფილა!“ — შესძახა იმ ერთმა და აპყვა ყველა. ართურის კარის ყველა რაინდი გარეთს მიაჩერდა, მის მხარეს მიაწყდნენ, ერთმანეთს უჩვენებდნენ. ჰეროლდები კი იმეორებდნენ:

— ეს სერ გარეთია, მეფე ლოტ ორკნეელის შვილი!

ნახა სერ გარეთმა, რომ მისი საიდუმლო მჟღავნდება, უფრო მძლავრად დაიწყო ხმლის ქნევა, დაჯაბნა სერ საგრამური და თავისი ძმა სერ გავეინი.

— ო, ძმაო ჩემო, — შესძახა გავეინმა, — ამას კი არ ვფიქრობდი, რომ მახვილს დამკრავდით.

ეს რომ გაიგონა, ველზე დატრიალდა, უდიდესი ჯაფით გაიკაფა და მოშორებით თავის ჯუჯასთან მივიდა.

— ყოჩაღ, ყმაწვილო! — უთხრა, — ვერაგობით მაჯობე დი რომ გამომართვი! ახლა მაინც დამიბრუნე, რომ ველარ მიცნონ.

ბეჭედი მოირგო, კვლავ ნაირფერი გახდა და ველარავინ გაიგო. საით გაქრა. მხოლოდ სერ გავეინმა მოასწრო დანახვა, თუ საით გააქროლა ცხენი და მთელი ძალით გაეშურა თვითონაც მის კვალზე. გარეთი მიუხედა, გაერიდა, ტყეში შეუხვია. სერ გავეინი ამოდ დაეძებდა, კვალსაც ველარ მიაგნო, როცა სერ გარეთი დარწმუნდა, რომ ძმა აღარ მოსდევს, თავის ჯუჯას რჩევა პკითხა:

— სერ, — მიუგო ჯუჯამ, — ვფიქრობ, ახლა, როცა აღარ მოგდევნ, დროა თავისი ბეჭედი თქვენს ქალბატონს ლედი ლიონესას დაუბრუნოთ.

— კეთილი რჩევაა! — თქვა სერ გარეთმა, — წაიღე, მიართვი და უთხარი, რომ მის მოწყალებას ვავედრებ თავს. გადაეცი, რომ დავბრუნდები, როცა შევძლებ და შემინახოს ერთგულება და სიყვარული, როგორც მე ვუნახავ მას.

— სერ, — უბასუხა ჯუჯამ, — ყველაფერი ეს აღსრულდება, როგორც მიბრძანეთ.

ჯუჯამ ცხენი გააქროლა და ლედის ბეჭედი გადასცა, დანაბარებიც უთხრა: ქალბატონი კი ეკითხება:

— სადაა ჩემი რაინდი სერ გარეთი?

— ქალბატონო, ასე მოგახსენათ. დიდხანს არ დაეყოვნებ და მალე გიბრუნდებით.

შემდეგ ჯუჯა ისევ გარეთის სანახავად გაბრუნდა. რაინდი დაღლილი იყო და ლამის გასათევს ეძებდა.

ამ დროს ამინდიც წახდა. დაიწყო ქექა-ქუხილი, წამოვიდა წვიმა და მეხი ქექდა, თითქოს ცა ჩამოქცევას ლამობდა. სერ გარეთი კი დაქანცული იყო, რადგან მთელი დღე წუთით არ შეუსვენებია არც თავი, არც ცხენი. მაგრამ კიდევ დიდხანს მოუხდა ღრმა ტყეში ბეტიალი. ვიდრე მთლად დაღამდებოდა, ქუხილი და წვიმა კი არ წყდებოდა, ირგვლივ ელვა იკლავებოდა და ეს ყველაფერი უსიერ ტყეში საკვირველი სანახავი იყო.

მაგრამ ბედზე რაღაც ციხესთან გავიდა და გაიგონა, როგორ გადასძახოდნენ ერთმანეთს გუშაგები კედლიდან კედლებზე, ჯიხურებს შორის.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე თ ო რ მ ე ბ ა


როგორ მივიღა სერ ბაკითი ციხესთან, როგორ კარგად მიიღეს და როგორ მოუხდა გრძელა ვინავე რაინდთან, რომელიც მოკლა

სერ გარეთი წინა კოშკთან მივიდა და მეკარეს თავაზიანად სთხოვა ციხეში შეშვება.

— გაიარე! ღამეს აქ ვერ გაათევ, — უხეშად მიუგო მეკარემ.

— ძვირფასო სერ, რატომ ლაპარაკობთ ასე უხეშად, მე ხომ ართურ მეფის რაინდი ვარ და მისი სახელით ვთხოვ ციხის პატრონსა და მის მეუღლეს,

ლამე გამათევიონ. მაშინ იკადრა მექარემ ჰერცოგის ქალთან მისვლა და უთხრა, ართურ მეფის რაინდი ლამის სათევს ითხოვსო.

— შემოუშვით, — უთხრა ჰერცოგის ქალმა, — მინდა ვნახო ვინაა, ჩვენი მეფის ართურის რაინდი ღია ცის ქვეშ არ უნდა დარჩეს.  თვით ჰერცოგის ქალი გამოვიდა წინა კოშკისაკენ ჩირადღნებით. ძლიერი შუქი რომ ნახა, სერ გარეთმა გადასძახა:

— რაინდი ხარ თუ ქალბატონი, ბუმბერაზი თუ მძლე მეომარი, ჩემთვის სულ ერთია, მხოლოდ ლამის გათევა მინდა. თუ ხვალ ამისათვის შეტაკება იქნება საჭირო, შელავათს აღარ მოვიტხოვ, დღეს კი მეცა და ჩემი ცხენიც დაქანცულები ვართ.

— სერ რაინდო, — მიუგო ქალმა, — თქვენი სიტყვა რაინდული და თამამია. მაგრამ იცოდეთ: ამ კოშკის პატრონს არ უყვარს ართურ მეფე და მისი რაინდები, რადგან ჩემი ქმარი და ბატონი მუდამ მის მოწინააღმდეგეთა შორის იყო. ამიტომ გირჩევდით, ამ კოშკში ფეხი არ შემოგედგათ, ხოლო ამ ღამეს აქ გაათევთ ერთი პირობით: სადაც არ უნდა შეხვდეთ შემდეგ ჩემს მეუღლეს. გზაში თუ ველზე, ტყვედ უნდა ჩაბარდეთ.

— ქალბატონო, — მიუგო გარეთმა, — ვინაა თქვენი მეუღლე და რა ჰქვია?

— სერ, ჩემი ქმარია ჰერცოგი დე ლა როუზი.

— რა გაეწყობა, — თქვა გარეთმა, — გპირდებით, სადაც არ უნდა შეხვდეთ, მორჩილ ტყვედ ჩავბარდები, თუ ზიანს არ მომაყენება, მაგრამ თუ ჩემს ღირსებას შეეხება და გამლანძღავს, ვეცდები მახვილით და შუბით დავიბრუნო თავისუფლება, როგორც შევძლებ.

— კეთილი, — მიუგო ჰერცოგის ცოლმა.

შემდეგ ბრძანა ზიდის დაშვება და სერ გარეთი ცხენით შევიდა ციხის დარბაზში, იქ ჩამოქვეითდა. ცხენი მსახურს ჩააბარა, თვითონ კი აღჭურვილობა მოიხსნა და თქვა:

— ქალბატონო, ამ ღამეს მე ამ დარბაზიდან არ გავალ. ხვალინდელი დღე რომ გათენდება, ვნახოთ, ხომ არაეინ ისურვებს ჩემთან შებრძოლებას. მე მზად ვიქნები.

მალე სავახშმოდ მიიწვიეს. მრავალი რჩეული სასმელ-საჭმელი მოართვეს. სერ გარეთი მშიერი იყო. მთელი დღე ნაომარი და მადიანადაც შეუდგა ქამას, როგორც ნამდვილი მეომარი, გარშემო მშვენიერი ქალების ისხდნენ და ამბობდნენ, არასოდეს გვინახავს ასეთი ღამაზი რაინდი, რომელიც ამდენს მიერთმევდაო. ართობდნენ და ამხიარულებდნენ. ისე მოუღბინეს, როგორც შეეძლოთ. იქვე დარბაზში გაუშალეს ლოგინი და მთელი ღამე ტკბილად ეძინა. დილით ადგა, ჩაიცვა, წირვა მოისმინა, შიმშილი მოიკლა, ჰერცოგის ცოლსა და ბანოვანებს დაემშვიდობა და მადლობა უთხრა გულთბილი მასპინძლობისათვის. ქალმა სახელი ჰკითხა:

— ქალბატონო, ჩემი სახელია სერ გარეთ ორკნეელი, მაგრამ ზოგიერთები ბიუმეინ-მშვენიერხელებიანსაც მეძახიან.

მაშინ ქალმა შეიტყო, რომ ეს ის რაინდია, რომელიც ლიონესას დასახსნელად იბრძოდა. სერ გარეთი კი ცხენს მოახტა, გააჭენა და ავიდა ერთ მაღალ მთაზე, სადაც შეხვდა რაინდი ბენდელეინი.

— ეს შენი გზა არაა, — უთხრა იმ უცნობმა რაინდმა, — ან შემებრძოლე, ან ტყვედ დამნებდი.

— ვიბრძოლოთ! — მიუგო გარეთმა.

ცხენები მიუშვეს და გარეთმა მკერდი გაუხვრიტა თავზედს. რაინდმა ცხენებით მიაშურა თავის კოშკს, რომელიც იქვე მახლობლად იდგა, მივიდა და სულიც დალია.

გარეთიც დაიღალა. დასასვენებელ ადგილს დაეძებდა და ასე მიაღგა იმავე ბენდელეინის კოშკს. ბენდელეინის რაინდებმა და მსახურებმა იცნეს თავიანთი ბატონის მკვლეელი. ოცი შეიარაღებული კაცი გამოუშვეს ციხის კარებში და ყველა ერთად დაესხა თავს სერ გარეთს. მას კი შუბიც აღარ ჰქონდა, მხოლოდ ხმალი ეჭირა. ფარი იფარა და ათი შუბი შეაღწეწეს ამ ფარს, შემდეგ გამაგებით დაესხნენ თავს, მაგრამ გარეთი თავს ისე იცავდა, როგორც ნამდვილი რაინდი.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე ც ა მ ე ტ ა

როგორ ებრძოდა სერ გარეთი რაინდს, რომელსაც ტყვედ ჰყავდა ოცდაათი ბანოვანი, და როგორ მოკლა ის რაინდი

როცა ნახეს, რომ ასე ვერ სძლევენ, განზე გავიდნენ და მოილაპარაკეს, ცხენი მოფუკლათო. მართლაც, შუბებით მიეძალნენ და ცხენი მოუკლეს. მაგრამ როცა სერ გარეთი ქვეითად იბრძოდა, ხმალს უფრო მარჯვედ იქნევდა და, ვისაც ხმლით მისწვდა, ფეხზე ველარავინ გაჩერდა. ასე დახოცა ყველანი, მხოლოდ ოთხი გადაურჩა, ამ ოთხმა კი მოკურცხლა. გარეთმა მათი ცხენებიდან საუკეთესო შეარჩია, მოახტა და თავისი გზით წავიდა. დიდხანს იარა, ბოლოს ერთ ციხეს მიაღგა. ამ ციხის კედლები შეეძრა კეთილშობილი ტყვე ქალების გოდებას. პაჟმა ჩაიქროლა, გარეთმა შეაჩერა და ჰკითხა:

— რა ხმაური ისმის ციხიდან?

— სერ რაინდო, — მიუგო პაჟმა, — ამ ციხეში ოცდაათი კეთილშობილი ქალია. ყველა ქვრივია. ამ კედლებთან დღე და ღამე დარაჯად დგას რაინდი. რომელსაც მიხაკისფერ რაინდს ეძახიან. იგი გულქვა და უმოწყალო რაინდია, ამიტომ ჩემი რჩევაა: გაიქეციოთ აქედან.

— არა, — თქვა სერ გარეთმა, — თუმცა შენ გეშინია, მე არ გავიქცევი.

პაჟმა შეამჩნია, რომ შორიდან მიხაკისფერი რაინდი ახლოვდებოდა, და სერ გარეთს უთხრა:

— ეგერ, ნახეთ, აქეთ მოდის!

— ახლავე მოვუვლი, — მიუგო გარეთმა.

იმ რაინდმაც შეამჩნია უცხო რაინდი და შესახვედრად გამოეჭანა. გაქვნიებული ცხენები ატაკეს ერთმანეთს. მიხაკისფერ რაინდს შუბი გაუტყდა, გარეთმა კი მკერდი შეუნგრია და შუბი მის ზურგში გაჩრილი გამოჩნდა. რაინდი გადაყირავდა და მიწამდე სული არ დაჰყოლია.

სერ გარეთი კი ციხეში შევიდა და მანდილოსნებს სთხოვა, დამასვენეთო.

— თქვენი აქ გაჩერება არ შეიძლება.

— არა, შეიძლება, — უთხრა მათ პაჟმა, — სიყვარულით მიიღეთ, რადგან ამ რაინდმა მოკლა თქვენი სულთამხუთავი.

მაშინ ყველამ გაიხარა და მხსნელს თავს ევლებოდნენ. მდიდრული და საკადრისი პატივით შეხვდნენ, თუმცა ლარიბნი და უბედურნი კი იყვნენ. დილით წირვაზე რომ გავიდა, ნახა, რომ ოცდაათივე ბანოვანი მუხლმოყრილი გოდებდა და მოსთქვამდა ოცდაათი სამარის თავზე. მაშინ მიხვდა გარეთი, რომ იმ ლოდების ქვეშ მათი ქმრების გვამები ესვენა.

— პატივცემულო მანდილოსნებო, — უთხრათ სერ გარეთმა, — მომავალ დიდ დღესასწაულზე ართურ მეფეს უნდა ეახლოთ და უთხრათ, რომ სერ გარეთმა გამოგაგზავნათ.

— სერ, თქვენს ბრძანებას აუცილებლად შევასრულებთ, — უპასუხეს ქალებმა.

შემდეგ გზა განაგრძო და ერთი მთის ძირას შეხვდა პირმშვენიერი რაინდი, რომელმაც უთხრა:

— შეჩერდი რაინდო, შემებრძოლე!

— ვინა ხარ ასეთი? — ჰკითხა გარეთმა.

— ჩემი სახელია ჰერცოგი დე ლა როუზი.

— ა, სერ, თქვენ ის რაინდი ხართ, რომლის სახლშიაც ახლა ხან ღამე გავათიე და პირობა მივეცი, რომ ტყვედ ჩაგბარდებოდით!

— აა! — შესძახა ჰერცოგმა, — შენა ხარ ის ამაყი რაინდი, რომელიც ჩემს რაინდებთან ბრძოლის იქადნებოდით? მაშ მოემზადე, რადგან ახლა გიხმობ ორთაბრძოლაში.

აი, მიუშვეს ცხენები და სერ გარეთმა ჰერცოგი ცხენიდან გადააყირავა, მაგრამ ის მარდად წამოხტა, ფეხები გაითავისუფლა, ფარი იფარა, ხმალი იშისვლა და გარეთს უთხრა, გადმოდი, ქვეითად შემებო. ასეც მოიქცა, და საათზე მეტხანს გაგრძელდა მათი მძვინვარე ბრძოლა. არაერთი მწარე კრილობა აგემეს ერთმანეთს. ბოლოს გარეთმა მაინც სძლია, ძირს დასცა და თავი უნდა მოეკვეთა, რომ ჰერცოგმა თავი დამარცხებულად ცნო და ტყვედ ჩაბარდა.

— მაშინ გაემგზავრე ჩემს ბატონ ართურ მეფესთან მომავალი დღესასწაულისათვის და მოახსენე, რომ სერ გარეთმა გაგაგზავნათ, — უთხრა გარეთმა.

— ასე მოვიქცევი, — მიუგო ჰერცოგმა, — ჩემი ასი რაინდით თქვენი ტყვე ვიქნები და გემსახურებით ყველანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სადაც არ უნდა გვიბრძანოთ.

თ ა ვ ი ო ც დ ა ა თ ო თ ხ მ ე ბ ა

როგორ იბრძოდნენ სერ გარეთი და სერ გავიინი, როგორ იცნეს მხეგმა ერთმანეთი ქალწულ ლიონებას წყალობით

ამის შემდეგ ჰერცოგი თავისი გზით წავიდა, სერ გარეთი კი მარტო დარჩა და ერთ ადგილს ტყეპნიდა. უცებ ზედავს: მორბის მძიმედ შეიარაღებული რაინდი. სერ გარეთიც დაუყოვნებლივ მოახტა ცხენს და უსიტყვოდ ეტაკნენ ერთმანეთს, თითქოს მეხმა იქუხათ. იმ რაინდმა სერ გარეთი დაჭრა, გვერდში მოახერხა შუბის ძგერება. მაშინ ორივე დაქვეითდა, ხმალდახმალ მიეძალნენ ერთმანეთს და სისხლი მიწაზე იღვრებოდა. ასე იბრძოდნენ ორი საათი.

უცებ გამოჩნდა ქალწული ლიონეტა, რომელსაც ზოგიერთები დემუაზელ

სავაჟს უწოდებდნენ. იგი თეთრ ჯორზე ამხედრებულიყო, სწრაფად მოვარდა და შესძახა:

— სერ გავეინ! შეჩერდი! ნუ ჩეხავ შენს ძმას სერ გარეთს!

გაიგონა თუ არა ეს, გადააგდო ფარიცა და ხმალიც, მიიჭრა სერ გარეთთან და გადაეხვია, შემდეგ დაუჩოქა და შებრალება სთხოვა.

— ვინა ხარ, ამ წუთას რომ ასე შეუპოვრად მებრძოდი და ახლა დაჩოქილი შებრალებას მთხოვ? — ჰკითხა გარეთმა.

— აჰ, სერ გარეთ, თქვენი ძმა ვარ, გავეინი, ვინც თქვენი გულისათვის ამდენი საბრძოლო ჯაფა და ტანჯვა ვნახე.

სერ გარეთმაც მოიხადა მუზარადი, დაიჩოქა და თავის მხრივ მოწყალება ითხოვა. შემდეგ ორივე წამოდგა, ერთიმეორეს მოეხვია და დიდხანს იდგნენ ასე, უსიტყვოდ ტიროდნენ და ლაპარაკს ვერ ახერხებდნენ. მერე დაუწყეს ერთმანეთს გამარჯვების პატივის მიკუთვნება და ბევრი კეთილი სიტყვა თქვეს.

— აფსუს! — თქვა სერ გავეინმა, — ჩემო კეთილო ძმაო, ძმა რომ არ იყოთ, პირველი რაინდის დიდება უნდა მომეძღვნა თქვენთვის, რადგან თქვენ ასახელეთ ართურის კარი და ამ წელს მეტი ტყვე რაინდი გაუგზავნეთ, ვიდრე მის ხუთ ურჩეულეს რაინდს გაუგზავნია, სერ ლანსელოტის გამოკლებით.

აქ მოაღწია ქალწულმა ლიონეტამაც, რომელიც მთელ გზაზე ახლდა სერ გარეთს. მან შეუწყვიტა სისხლის დენა ერთსაც და მეორესაც.

— ახლა რას აპირებთ? — ჰკითხა ქალწულმა, — ვფიქრობ, ართურს უნდა მოვახსენოთ, რადგან ცხენები ისე არიან დაქანცულები, თქვენი ზიდვა სადღა შეუძლიათ.

— დიახაც, ძვირფასო ქალწულო, — თქვა სერ გავეინმა, — გაეშურეთ ართურ მეფესთან და მოახსენეთ ბიძაჩემს, რა ფათერაკებიც გადაგვხდა ჩვენ აქ. ვფიქრობ, მოსვლას არ დააყოვნებს.

ქალმა თავისი ჯორი ააჩქარა და მალე ეახლა ართურს, რომელიც იქიდან ორი მილის დაშორებით იდგა. როცა ეს ამბავი გადასცა, მეფემ შესძახა: „ჩქარა ცხენი!“ გააქროლა და ლორდებსა და ბანოვანებს უთხრა: თუ გნებავთ მომყევითო. დაიწყო გამალეებული მზადება, ცხენების შეკაზმვა დედოფლებისა და პრინცესებისათვის. საქმე გასწრებაზე მიდგა.

ართურმა ნახა, სერ გავეინი და სერ გარეთი ერთად ისხდნენ პატარა გორაკზე. მეფე დაქვეითდა, გარეთს მიუახლოვდა, უნდოდა გადახვეოდა და იქამდე ვერ მიაღწია, შებარბაცდა და სიხარულისაგან გულშეწუხებული დაეცა.

ძმები მისცვივდნენ ბიძას, დაუწყეს მოფერება და თხოვნა, გონს მოდი და ჩვენი სიხარული გაიზიარეო. ეჭვი არ შეგეპაროთ, მეფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სერ გარეთს შესჩიოდა, საყვედურობდა, თან ტიროდა, პატარა ბავშვი გეგონებოდათ.

ახლა დედაც მოვიდა, ორქნის დედოფალი ლედი მორგაუზა პირდაპირ სახეში მიაშტერდა სერ გარეთს და ტირილიც ვერ შეიძლო, მხოლოდ დაეცა გულწასული და დიდხანს მკვდარივით ეგდო. სერ გარეთი თავზე დაადგა, დაუწყო ნუგეშის ცემა. გონსაც მოიყვანა და უსაზღვრო სიხარულით აავსო.

მეფემ ბრძანა, მთელს მის რაინდობას იქვე გაეწყო კარვები და ღამის სათევი ორი დისწულის საპატიოდ. ასედაც მოიქცნენ. ყველაფერი უხვად გააჩინეს. არც ნადირის ხორცი აკლდა, არც ცხვრისა, არც რამე სხვა, რისი ყიდვაც ოქრო-ვერცხლით შეიძლებოდა.

ქალწულმა სავაყმა მალე კრილობები მოუშუშა სერ გავენსა და გარეთს და ასე მხიარულებაში გაატარეს იქ მთელი რვა დღე. ართურმა საბრძოლო უთხრა:

— მიკვირს, თქვენი და, ლედი ლიონესა არ მოდიხ აქ, ჩემთან, და განსაკუთრებით კი თავის რაინდთან, ჩემს დისწულ გარეთთან, რომელმაც მისი გულისათვის ამდენი ჯაფა ნახა.

— ჩემო ბატონო, — უთხრა ქალწულმა ლიონეტამ, — უნდა შეუხდეთ, ჩემმა დამ არ იცის, რომ სერ გარეთი აქ იმყოფება.

— მაშინ გაემგზავრეთ მასთან, — უთხრა ართურმა, — რომ ყველაფერი ისე მოვაწყოთ, როგორც ჩემს დისწვილს ესიამოვნება.

— სერ, მე მზად ვარ, — თქვა დაუზარებელმა ლიონეტამ.

მართლაც, გაეშურა და მისი დაც დაუყოვნებლივ წამოვიდა, ასე რომ, დღით უკვე ბანაკში გამოჩნდა თავისი ძმის, სერ გრინგამურისა და ორმოცი რაინდის თანხლებით.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ი თ ხ უ თ მ ი ბ ა

როგორ მოახსენა სერ გარეთმა თავისი და ლიონესას სიყვარულის ამბავი ართურ მადს და როგორ დაინიშნა ქორწილის დღე

როცა ლიონესა ჩამოვიდა. უზომო პატივით მიიღეს თვით ართურ მეფემ, სხვა რაინდებმა და დედოფალმა. ქალთა შორის უმშვენიერესად და შეუღარებლად აღიარეს. სერ გარეთს უნატიფესი სიტყვა და სიყვარულის ისეთი მზერა შეაგება, რომ ყველა პატიოსანი ადამიანის პატივისცემა დაიმსახურა.

შემდეგ მათთან შევიდნენ ართურ მეფე, დედოფალი გვინივერა, ორკნის დედოფალი, გარეთის დედა. ართურ მეფემ გარეთს ჰკითხა, შენი სატრფო იქნება თუ ცოლად შერთვას აპირებო.

— ჩემო ბატონო, მე ის ქვეყნად ყველა ქალზე მეტად მიყვარს.

— თქვენა, ძვირფასო მანდილოსანო, რას იტყვი?

— უკეთილშობილესო მეფეო, — მიუგო ლიონესამ, — სერ გარეთზე უფრო სასურველი საქმრო არავინ ვიცი ჩემთვის და მე მას გავყვები მეტი ხალისით, ვიდრე რომელიმე პრინცს ან მეფეს მთელს საქრისტიანოში. გეფიცებით, სხვა არავინ იქნება ჩემი ქმარი. იცოდეთ, ბატონო ჩემო ართურ, ისაა ჩემი პირველი სიყვარული და იქნება უკანასკნელიც. თუ არჩევანის თავისუფლებას უბოძებთ, მერწმუნეთ, თვითონაც მე ამომირჩევს.

— მართალია, — თქვა სერ გარეთმა, — თქვენს გარდა მე სხვა ქალს არ ვინდომებ ცოლად, ვერც ერთი კეთილშობილი მანდილოსანი ვერ ეღივრება ჩემს კეთილგანწყობილებას, სიყვარულსა და ყურადღებას.

— როგორ, დისწულო? — შესძახა ართურმა, — მაშ ასე ბოლოვდება საქმე, არა? მაშინ მე უმალ ჩემს გვირგვინს დავთმობ, ვიდრე წინ გადაგელობებით, რაკი გული ერთმანეთისათვის გიძგერთ, ტკბილად შეგაბეროთ! რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს თქვენი სიყვარული, მინდა არა თუ დასუსტდეს, პირიქით, უფრო გაძლიერდეს. ჩემი სიყვარულიც თქვენთან იქნება და მფარველობაც ყველაფერში, რაც შემეძლება.

სერ გარეთის დედაც ამ აზრისა იყო.

იქვე დაინიშნა ქორწილის დღე და ადგილი. მეფის გადაწყვეტილებით ეს

მოხდებოდა მომავალ მიხეილობას, კინკენადონში, ზღვის პირას, რადგან იქ უხვი და მდიდარი მხარე იყო.

ამაზე მთელს სამეფოში დაიგზავნა ცნობა. სერ გარეთი კი თვითონ წავიდა, თავისი ზელით დამარცხებულ ყველა რაინდს ჩამოუარა და სთხოვა: ქორწილის დღეს კინკენადონის სანაპიროზე მესტუმრეთო. მოიწვია ქალწულიც.

ამის შემდეგ ლედი ლიონესა და ქალწული ლიონეტა გრინგამურის თანხლებით თავიანთ საგამგებლოში გაეშურნენ. ქალებმა სერ გარეთს აჩუქეს ბეჭედი, ძვირფასი და გამორჩეული, მან კიდევ სხვა ბეჭედი აჩუქა დანიშნულს. ართურ მეფემ ლიონესას ძვირფასი სამაჯური უბოძა და ასე გასცილდნენ ერთმანეთს.

ართურ მეფე თავისი რაზმის თანხლებით კინკენადონში გაეშურა. გარეთი თავის დანიშნულს გაჰყვა, შემდეგ კი მეფეს შეუერთდა. ღმერთო, როგორ შეჰხაროდა სერ ლანსელოტი სერ გარეთს, გარეთიც — მას! ქვეყნად არც ერთი რაინდი არ უყვარდა გარეთს ლანსელოტით და სულ ცდილობდა მისთვის მიებაძა, მის სიახლოვეს ყოფილიყო.

შემდეგ, სერ გავეინის ზნე რომ გაიცნო, თუმცა ღვიძლი ძმა იყო, თანდათან ჩამოშორდა, გარეთი დარწმუნდა, რომ სერ გავეინი შურისმაძიებელი იყო და, ვისაც შეიძულებდა, უსათუოდ მოკლავდა. ასეთი საქციელი კი გარეთის გულს ახლოს არ ეკარებოდა.

თ ა ვ ი ო ც დ ა ა ე თ ი ა ვ ს მ ე ბ ა

მდიდრული ზეიშის ამბავი, თუ ვინ რა მოვალეობას ასრულებდა, აბრძოვო
ორთაბრძოლები იმ ზეიშზე

ამასობაში მიხეილობაც ახლოვდებოდა. კინკენადონში ჩამოვიდნენ ლედი ლიონესა, მუქარის ციხის გამგებელი, მისი და, ქალწული ლიონეტა, ძმა სერ გრინგამური, რომელიც ამ ორი ქალის მეურვე იყო. ართურ მეფის ბრძანებით ყველანი ღირსეულად დააბინავეს.

აი, მიხეილობას კენტერბერის ეპისკოპოსმა განუზომელი ზეიშით აკურთხა სერ გარეთისა და ლედი ლიონესას საქორწინო კავშირი. სერ გაპერისმა კი მეფის სურვილისამებრ, შეირთო დემუაზელ სავაჟი, რომელიც იყო ქალწული ლიონეტა. ართურ მეფემ დააქორწინა აგრეთვე სერ აგრავეინი და ლიონესას ძმისწული, მშვენიერი ლაურელა.

როცა საზეიმო ცერემონიალი დასრულდა, ჩამოვიდა მწვანე რაინდი სერ პერთოლიპი ოცდაათი რაინდის თანხლებით. თავი დაუკრა სერ გარეთს და შეჰფიცა. მე და ჩემი რაინდები შენი ძმები ვართო და ამიერიდან ჩემი მიწა-წყალი შენი სახელით მიჰირავსო. კიდევ ასე თქვა:

— გთხოვთ, დღეს საქორწინო ზეიმზე თქვენი მესარეცლე ვიყო.

— სიამოვნებით, — მიუგო სერ გარეთმა, — თუ ასეთი უბრალო სამსახური გეხალისებათ.

შემდეგ მოვიდა წითელი რაინდი სამოცი რაინდის თანხლებით, მათთან ერთად შეჰფიცა ერთგულება და მორჩილება, თან განაცხადა, რომ ამიერიდან თავის მიწა-წყალს განაგებს სერ გარეთის სახელით. შემდეგ სერ პერიმონმა

სთხოვა ნებართვა, რომ დღეის ზეიმზე მისი მთავარი მოურავი ყოფილიყო.

— სიამოვნებით გაძლევთ ასეთ ნებართვას, — მიუგო გარეთმა, — თუ ასე ვსურთ.

მოვიდა სერ პერსიანტი ინდოელი, თავის ას რაინდთან ერთად და შეპყრობა სერ გარეთს ერთგულება და მორჩილება და განუცხადა, რომ მისი სახელით განაგებს თავის სამფლობელოებს.

შემდეგ სთხოვა, ნება მიბოძე დღეს შენი მესუფრე ვიქნეო.

— სიამოვნებით გაძლევთ ამ თანამდებობას, თუ ასე მოგწონთ.

შემდეგ მოვიდა პერცოგ დე ლა როუზი ასი რაინდის თანხლებით, სერ გარეთს შეპყრობა ერთგულება და მორჩილება, აღიარა მისი მეუფება მთელს თავის მიწა-წყალზე. მის ქორწილში კი მერიქიფეობა ისურვა.

— სიამოვნებით, თუ ასე გნებავთ, — მიუგო გარეთმა.

ბოლოს გამოცხადდა წითელი მინდვრის წითელი რაინდი, სერ ირონსიდ-რკინას გვერდი და მოიყვანა თავისი სამასი რაინდი. ერთგულებისა და მორჩილების ფიცის მიხედვით და დაუმოწმა, ჩემს მიწა-წყალს შენი სახელით განვაგებო. მე-ღვინეა უხუცესობა და სუფრაზე ხორცის დამკრელად დანიშვნა სთხოვა.

— თანახმა ვარ, თუ ასე ვსურთ, — უთხრა გარეთმა.

ბოლოს ართურის სასახლეში გამოცხადდა ოცდაათი ბანოვანი, ოცდაათივე ქვრივი ქალი, მრავალი წარჩინებული მანდილოსნის თანხლებით. სათითაოდ დაუჩოქეს ართურ მეფეს და სერ გარეთს, უამბეს მეფეს, თუ როგორ იხსნა მძიმე ტყვეობისაგან სერ გარეთმა ცრემლთა კოშკში გამოკეტილი ქვრივები, როგორ მოკლა გულქვა და უმოწყალო რაინდი, მიხაკისფერ რაინდად წოდებული.

— ამიტომ ჩვენ და ჩვენი მემკვიდრეები ამიერიდან ჩვენს ბატონად ვთვლიათ სერ გარეთ ორკნეელს.

ამასობაში ყველა მეფე, დედოფალი, პრინცი, ბარონი და რაინდი სანადიმოდ დაჯდა. ეჭვი არ შეგებართ, რომ იმ სუფრაზე ყოველნაირი საკმეღ-სასმელი ყელამდე იყო, არც გართობა და მზიარულება დაკლებიან, არც მენესტრელების სიმღერა, რაც კი რამ იმ დროს იძღვრებოდა.

სამი დღე გრძელდებოდა სატურნირო ორთაბრძოლა. მხოლოდ სერ გარეთს ართურ მეფემ აუკრძალა ბრძოლაში მონაწილეობა, თავისი ახალგაზრდა მეუღლის პატივსაცემად, რადგან თვით ლედი ლიონესამ სთხოვა მეფეს აუკრძალა ახლად დაქორწინებულთათვის ორთაბრძოლაში გასვლა, ამ ტურნირზე.

პირველ დღეს ორთაბრძოლაში თავი გამოიჩინა სერ ლამორაკ უელსელმა — ოცდაათი რაინდი ჩამოაგდო ცხენიდან და სიმამაცის სასწაული მოახდინა. იმავე ზეიმზე ართურმა სერ პერსიანტი და მისი ძმები მრგვალი მაგიდის რაინდებად აკურთხა და სამუდამოდ დაუსაკუთრა მრავალი მიწა-წყალი.

მეორე დღეს ყველაზე უკეთ იბრძოლა სერ ტრისტრამმა — ორმოცი რაინდი გადმოყარა ცხენებიდან და საბრძოლო სიმამაცის სასწაული მოახდინა. ართურ მეფემ მრგვალი მაგიდის რაინდად აკურთხა სერ ირონსიდი, რომელიც იყო წითელი მინდვრის წითელი რაინდი. ამ წოდებასთან ერთად სიკვდილამდე დაუსაკუთრა ბევრი მდიდარი მხარე.

მესამე დღეს ბრძოლაში გავიდა სერ ლანსელოტი, ორმოცდაათი რაინდი გადააგდო ცხენებიდან და ბევრი ისეთი გმირობა მოახდინა, რომ გარშემო ყვე-

ლა გაკვირვებული იყო. იმავე დღეს ართურმა მრგვალი მაგიდის რაინდად აკურთხა ჰერცოგი დე ლა როუზი, სამუდამოდ უბოძა ეს წოდება და მიწები.

მაგრამ როცა ტურნირი დასრულდა, სერ ლამორაკი და სერ ტრისტრამი სადღაც გაუჩინარდნენ და გადაიმაღლნენ, რამაც ართური და მთელი სასახლე ძლიერ შეაწუხა.

ორმოცი დღე გრძელდებოდა სასახლის ზეიმი და ნადიმი.

ასე მოიხვეჭა სახელოვანი რაინდის სახელი სერ გარეთ ორკნეელმა და შეირთო მუქარის ციხის მფლობელი ლედი ლიონესა. სერ გაპერისი გახდა ქალწულ ლიონეტას, დემუაზელ საეაჟის ქმარი, სერ აგრავეინი კი — ლედი ლაურელასი. მრავალი მიწის მშვენიერ მფლობელისა. ყველას მიეცა იმდენი მზითვი, რომ სიკვდილამდე შეეძლოთ მეფურ პატივში ცხოვრება.

მე კი ვთხოვ ყველას, ამ წიგნის მკითხველებს, ილოცონ მისი დამწერისათვის, რათა უფალმა არგუნოს უეცარი და დროული განთავისუფლება. ამინ!

აქ თავდება სერ გარეთ ორკნეელის ამბავი.

VIII

წიგნი სერ ტრისტრამ ლიონელისა

თავი კირველი

ამა ამბავი, რარიზ გაჩნდა ამჟამინად სერ ტრისტრამ ლიონელი, როგორ გადაკვდა დედა მის შობას, რისთვისაც ჩვილს უწოდა სახელი ტრისტრამ

სუფევდა ქვეყანასა ზედა რაინდი ერთი, სახელად მელიოდას, მფლობელი ქვეყანა ლიონისა, და იყო მელიოდასი ერთი უწარჩინებულესი რაინდთაგანი, რაგვარნიც მზეგრძელობდნენ მას უამსა შინა. გაეხსნა ბედი რაინდსა მელიოდასს და შეეუღლა ქორწინებითა დასა მეფისა მარკ კორნუელისასა ელისაბედს, განტკმულსა ზნითა კეთილითა და მშვენიერებითა სრულითა. იმ დროს ქვეყნიერებაზე მეფობდა მეფე ართური. გამგებელი მთლად ინგლისისა, უელსისა, შოტლანდიისა და კიდევ სხვათა და სხვათა მიწა-წყალთჲ არაერთნი დანარჩენნიც ხელმწიფებდნენ ცალკეულ სამეფო-სამთავროებზე, გარნა ეპყრათ თავთავიანთი საბრძანებელნი წყალობითა მეფეთა მეფე ართურისა. უელსში მორკმით იჯდა ორი მეფე, ქვეყნის ჩრდილოეთშიც მრავალი ხელმწიფე ბატონობდა, კორნუელში და დასვლეთში კიდევ ორი მეფე, აგრეთვე ირლანდიას ორი თუ სამი ხელმწიფე განაგებდა და ყველანი ჰმორჩილებდნენ მეფე ართურს, მასვე მიწამდე უკრავდა თავს მეფე საფრანგეთისა, ხელმწიფე მცირე ბრიტანიისა, და ყოველი მბრძანებელი ვიდრე რომამდე.

ცხოვრობდა ტკბილად და ბედნიერად მეფე მელიოდასი თავის თანამეცხედრესთან, და იქმნა მალე ქალი ფეხმძიმედ. სათნო და მორჩილი ბანოვანი გაზლდათ, მოყვარული ქმრისა და ბატონისა ფრიად, ქმარსაც მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა. ერთი სიტყვით, ცხოვრობდნენ ასე სიამტკბილობაში.

ცხოვრობდა იმ მხარეში ერთი ვნებააშლილი მანდილოსანი, მეფე მელიოდასი უყვარდა გარდარეულს და ვერა ღონისძიებით ვერ ეწია საწადელს, ვერ

იქნა და ვერ მოინადირა მეფის გული. მაშინ მიმართა ქალმა სხვა რამ ხიმანკ-
ლურ ხერხსა, და ოდეს მეფე ნადირობდა, — რამეთუ იყო დიდად მოყვარული
ნადირისა სანუკვარისა, — ერთს უცხო ირემს დადევნებულს მელიორდასი ჯა-
დო-თილისმით შეიტყუა მაცდურმა დედაკაცმა ერთს ძველ ციხეში, იქ შეიქმნა
იგი ტყვე იმ დიაცისა, რომელს უგონოდ უყვარდა.

ოდეს დედოფალმა ელისაბედმა ცნო ქმრისა და მბრძანებლის ნებნებას, უცი-
დურესად შეშფოთებულმა და ლამის გონმიღებულმა მყისვე მხევალი იახლა
და თუმც მუცელქმნილ იყო და დღე-დღეზე მშობიარობა უნდა დასწყებოდა,
მეუღლის საძებრად ტყვეს მიაშურა. დედოფალს ძალზე გაუჭირდა ტევრის ორ-
წობებში აღმა-დაღმა სიარული, დამძიმდა უფრო უმეტეს, ჩაიკეცა და რამეთუ
იქმნა მშობიარე, ტკივილზე ტკივილი დაერთო, ვნებულს მხლებელი ქალიდა
თუ უმსუბუქებდა ტანჯვას, რაოდენიცა შველა ხელეწიფებოდა.

ასე შეეწია ცათა მეუფე ღვთისმშობელი ჩვენი, შვა დიდისა სატანჯველი-
თა, გარნა თანადგომისა ნაკლულოვანებისა გამო, ისე ძლიერ გაცივდა, ყოვე-
ლთა სახსართა დამშლელი სიცივე გაუჯდა ძვალსა და ხორცსა მისსა, სიკვდი-
ლის სუნთქვა მიეახლა დედოფალს და გადარჩენის ღონე და სახსარი მოეშა-
ლა.

ოდეს იხილა დედოფალმა ელისაბედ, დადგაო აღსასრული ჩემი, იწყო
ბორჯნა-გოდება და ასე უთხრა მხევალსა:

— მოიწია ქამმა ჩემმა, ოდეს იხილო მეუღლე ჩემი, მეფე მელიორდასი,
თაყვანი ეცი ჩემს მაგიერ, უამბე, რა სატკივარიც გადავიტანე აქ მისი სიყვა-
რულისათვის, გადაეცი რარიგ ვეწამე და ვევენე სასიკვდილოდ განწირული და
შემწეობას მოკლებული. დაე, უწყოდეთ, რაოდენ მიმძიმს წუთისოფლიდან გა-
სვლა და მასთან განშორება. ვვედრი, უყვარდეს სული ჩემი. ახლა კი მიჩვენე
ჩემი პაწაწინა შვილი, ვისთვისაც სიმწრის თასი დავცალე.

ხოლო ოდეს იხილა ყრმა იგი, თქვა:

— ოჰ, შვილო ჩემო, შენ მოჰკალი დედაშენი! მე აგრე მგონია: რაკილა
ამა ქვეყნად შობისთანავე მკვლელი შეიქენი, დავაჟკაცებულს უცილობლად
დიდკაცობა გიწერია. ვინაიდან მე მშობელი და გამჩენი შენი ვკვდები, ვავალებ
ჩემს მხევალს, სთხოვოს ჩემს მეუღლესა და ბატონს, მეფე მელიორდასს, გი-
წოდოს ნათლობისას სახელი ტრისტრამ, რაც „სიმწრით შობილს“ ნიშნავს.

თქვა ეს დედოფალმა და სული განუტევა. სეფე ქალმა დიდი ხის ჩრდილ-
ში დაასვენა დედოფალი, ყრმა კი, არ გამიცვივდესო, რაც შეეძლო, თბილად შე-
ფუთნა.

ახლალა გამოჩნდნენ ბარონნი მეფისანი, სასახლიდან ლტოლვილ დედო-
ფალს რომ კვალში ჩასდგომოდნენ, როცა იხილეს, დედოფალი სიკვდილთან
იყო წილნაყარი და მეფე კი...

თ ა ვ ი მ ე ო რ ა

ამგავნი სერ ტრისტრამის დედინაცვლისა, თუ რარიგ მოაღებინა შხამ-სამსალა, რათა
ტრისტრამი მოეკვდინებინა

...მეფე ბარონებმა დაღუპულად ჩათვალეს, ზოგიერთმა გონებაში ავი და
შავი საქმეც განიზრახა: ტრისტრამი მოვკლათ და მელიორდასის საბრძანებელი

ლიონი ჩვენ დაგვრჩებაო. აქ სიტყვა აიღო კეთილშობილმა მანდილოსანმა მო-
ახლემ და თავისი სამართლიანი, თავგადაკლული სჯა-ბაასითა და გულმოდგინე-
ბით საწადელს ეწია: ბარონთა უმეტესობა წინ აღუდგა ავსა და შავ განზრახ-
ვას. მიცვალებული დედოფალი სასახლეში მიასვენეს და ყველანი ცხარე
ცრემლით დასტიროდნენ.

დედოფლის გარდაცვალების მეორე დღეს, დილით, მერსეა ტყვეობი-
დან გამოიხსნა მეფე მელიოდასი. ოდეს ხელმწიფე სახლად თვისად შემოიქცა,
ბარონები აღივსნენ ფრიადითა სიხარულითა. მეფე თავის მეუღლეს ეგოდენ
გამწარებული დასტიროდა, ენა ვერ აღმოიტყვის, მელიოდასმა პატივ-დიდებით
დაავანა თანამეცხედრე და ნათლობის თადარიგს შეუდგა. მან ტრისტრამი უწო-
და ყრმას, ვითარცა გარდაცვალების წინ მის მეუღლეს დაეგდო ანდერძად სი-
ტყვა მოახლისათვის.

შემდგომ ამისა მეფე მელიოდასმა შვიდი წელი იმეფა უცოლოდ. ამ წლე-
ბში ტრისტრამი სასახლეში დიდის ზრუნვა-ფერებით იზრდებოდა. მერმე კი
მოხდა ისე, რომ მეფე მელიოდასმა ბრეტონიის მეფის ასული შეირთო. მეორე
ცოლად დაისვა თუ არა მეფე ჰოუელის ქალი, უშვა მან მელიოდასს შვილები.
გამოხდა ხანი და იწყო დედოფალმა დრტვინვა და შეჭირვება: ლიონის ტახტი
ჩემს შვილებს არ დარჩებათო. გადავიდა პირისაგან ღვთისა, აცდუნა ეშმაკმა
და განიზრახა მელიოდასის პირველი ძის ტრისტრამის მოწამლევა.

სამსალა მოიღო, მსახური იხმო და უბრძანა ვერცხლის თასში ჩაყარეთო
მოშაკვდინებელი შხამი. მერმე თასი იმ სამყოფელში დადგეს, სადაც ტრის-
ტრამსა და ახალი დედოფლის შვილებს ეძინათ, რათა წყალმოწყურებულ ტრი-
სტრამს შეესვა სამსალა. მაგრამ მოხდა ისე, რომ იმ დღეს სამყოფელში შევი-
და დედოფლის ბიჭი, იხილა თასი და იფიქრა, კეთილი სასმელი იქნებაო უთუ-
ოდ, მოწყურებულიც იყო, აიღო, შესვა, მყისვე მკერდში ცეცხლად შეენტო და
მეფისწული იქვე მკვდარი დაეცა.

ოდეს დედოფალს აუწყეს ეგზომ სამძიმო ამბავი, რაღა თქმა უნდა, შე-
წუხდა ფრიად, მაგრამ რაღას იზამდა, მწუხარება გულშივე ჩაიკლა და მეფეს
თავისი მუხანათობის ამბავი არ გაუმხილა. ხიბანკლობა მაინც არ დაიშალა და
ისევ ჩაყრევინა მსახურს ფიალაში სამსალა. კვლავ მოხდა შემთხვევა, თვით
მეფემ იხილა ღვინით სავსე ფიალა, მწყურვალმა აღიღო და პირთან მიიტანა.
ვერ მოასწრო ბაგეთა შეხება, რომ დედოფალმა დაინახა, მეყსეულად მიიჭრა
და ფიალა გამოართვა. მეფეს ეოცა, რა უნდა იყოსო ქალის უცნაური მოქმე-
დების მიზეზი, და მყისვე მოაგონდა მეფისწულის ანაზღეული სიკვდილი,
შხამით რომ მოაკვდინეს. მაშინ ხელი ჩაჰკიდა დედოფალს და უთხრა:

— მუხანათო დედაკაცო! მაუწყე, რა სასმელი დგას ამ ფიალაში, თო-
რემ სიკვდილი არ აგცდება!

მყისვე ხელი ხმალს იკრა, ქარქაშით ამოიღო და დაიფიცა ფიცითა საში-
ნელითა, რომ უსათუოდ მოკლავდა, უკეთუ იგი არ იტყოდა, რა სასმელი ჩაა-
სხა ფიალაში ვერაგმა დედაკაცმა.

— ო, შემობრალეთ, ბატონო ჩემო! — მიუგო ქალმა, — ყოველივეს მოგა-
ხსენებთ.

მართლაც უამბო, როგორ ინება ტრისტრამის მოკვდინება, რათა სამეფო
ტახტი მის შვილებს შთენოდათ.

— რა გაეწყობა, — უთხრა მეფემ, — ამისათვის სამსჯავროს წარუდგები.

ბარონთა ნებით ქალს კოცონზე დაწვა მიესაჯა. მაგრამ ოდეს ქალი უკვე კოცონზე უნდა აეყვანათ, რათა სასჯელი მოელო, ანაზღად მეფეს ტრისტრამმა დაუჩოქა და შეევედრა, ერთი თხოვნა ამისრულეო.

— სიხარულით, — მიუგო მეფემ.

მაშინ კაბუკმა ტრისტრამმა უთხრა:

— მაჩუქეთ სიციცხლე თქვენი დედოფლის, ჩემი დედოფლისა.

— არა ხარ მართალი ამ სურვილის მაუწყებელი, — თქვა მელიოდასმა. — წესითა და კანონით უნდა გძულდეს დედაკაცი იგი, რამეთუ იზრახა შენი მოკვდინება საწამლავეთ, ამისათვის გამომიტანია მისთვის სიკვდილის განაჩენი.

— სურ, — მიუგო ტრისტრამმა, — უკეთუ მართ ოდენ ეს არის ურვა გულისა, ფიცით გაფიცებთ, იხსენით და აჩუქეთ თავისუფლება ქალსა მაგას. მე მიმიტევებია და უფალმა განსაჯოს, რათა მანაც მიუტევოს შეცოდება. რაკილა ერთი თხოვნის აღსრულება აღმითქვით, გაფიცებთ უზენაესის სახელს, ნუღარ გადახვალთ თქვენს სიტყვას.

— თუ ასეა, — მიუგო მეფემ, — აღსრულდეს სურვილი შენი, მიჩუქებია შენტვის მისი სიციცხლე, — და იქვე დასძინა: — გაძლევ ამ ქალს, მიუახლოვდი კოცონს, მოჰკიდე ხელი და მოექეცი დედაკაცსა მაგას, ვითარცა გულმა შენმა იწყობს.

ტრისტრამი კოცონთან მივიდა, ხელმწიფის ნებართვით იხსნა თავისი დედინაცვალი. მელიოდასმა კი აღარ ინება ამიერიდან ცოლყოფილთან მიახლოვება, არცა სარეცელსა შინა, არცა სუფრასა ზედა. გამოხდა ხანი და ტრისტრამის შეგონებით მაინც მოხდა მოსახდენი: მეფე და დედოფალი შერიგდნენ. ახლა კი მეფემ აღარ ისურვა თავის სასახლეში ტრისტრამის დარჩენა.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ა

ვითარ გაბეჯდნის სურ ტრისტრამი საფრანგეთს, რაკიზ იახლა მოძღვარი თვინი, სახელად გოგვირნალი, რაკიზ ისწავლა მნარჯე დააკრა, აგრეთვე გაზრთა და მფეგარ-მეძებრით ნადირობა

მელიოდასმა ერთი კეთილშობილი კარისკაცი იხმო, ყოვლად გაბრძნობილი და განსწავლული, სახელად გოგვირნალი და შვილი მისი თანხლებით გაგზავნა საფრანგეთს, რათა შეესწავლა იქაური ენა, ყოველგვარი ზნე კეთილი, ქცევია წესები, თავდაჭერა და ომის ხელოვნება. იქ გაატარა ტრისტრამმა შვიდი წელი, ოდეს დაასრულა სწავლა და შეითვისა ყოველი სწავლად საძებნელი, რაოდენიცა შეიძლო, კვლავ მამის სახლს მოუბრუნდა და მეფე მელიოდასს წარუდგა.

ქნარზე დაკვრის ხელოვნება ისე შეესწავლა და ეგოდენი წარმატება მიუღო ამ საქმეში, მთელს ცისქვეშეთში მისი მჯობნი არ მოიძებნებოდა. ასე მიუძღვნა ყრმობის წლები ქნარზე და სხვა საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას. მერე და მერე, ოდეს მოიყარა, დავაჟკაცდა და ღონე მოიცა, ბაზითა და მწევარ-მეძებრებით ნადირობასა და ტყიურთ ჭერას მიჰყო ხელი. და ამ საქმეში თავი გამოიჩინა უფრო უმეტეს, ვიდრე სხვა რომელიმე კეთილშობილმა წარჩინებულმა კაცმა, რომლის ამბავიც შეიძლება წიგნებიდან გავიგოთ. რო-

გორც წიგნშია მოთხრობილი, მან პირველმა შემოიღო წესი და რიგი, თუ როგორ სხვადასხვანაირად უნდა დაეკრათ ბუკი ნაირნაირი ნადირის გამორჩევაზე, იმისდა მიხედვით, დიდი ნადირი თუ მცირე რამ მღრღნელთაგანი მწვერთა წამოგდებული იქნებოდა, თუ მონადირეთაგან მოხელთებულნი იქნებულნი.

ყველა ეს წესი დღესაც დამკვიდრებული და აღიარებულია მთელს საქართველოში. მაც ძალითა და ბაზით ნადირობის, მხეცთა ქერის ხელოვნების წიგნის სახელი გახლავთ „სერ ტრისტრამის წიგნი“.*

აი, რატომ არის, რომ, ჩემის ფიქრით, საგვარეულო ღერბის მქონე ყველა კეთილშობილმა ჯენტლმენმა ერთნაირი გულმოდგინებით უნდა სცეს საკადრისი პატივი სერ ტრისტრამს იმ კეთილი კანონ-წესებისათვის, რომელთაც იყენებდნენ და იყენებენ კეთილშობილი მონადირეები და გამოიყენებენ კიდევაც მეორედ მოსვლამდე. ამ წესების შემწეობით ზომ ყოველი ღირსეული ადამიანი გაარჩევს ჯენტლმენს იომენისაგან და იომენს უბირი გლეხისაგან.** მოგეხსენებათ, ვინც თვითონ კეთილშობილია, კეთილშობილურ წესებსაც მისდევს და ჯენტლმენტა დახვეწილ წესსა და რიგს იცავს.

ასე ცხოვრობდა ტრისტრამი კორნუელში, ვიდრე მისგან მაღალი და ღონიერი ვაჟკაცი არ დადგა და თვრამეტი წელი არ შეუსრულდა. მეფე მელიოდასი მისი ცქერით ვერა ძლებოდა, ასევე დედოფალი, მისი ცოლი, რადგან ტრისტრამმა იხსნა ის ქალი კოცონზე დაწვისაგან. მაღლიერ დედოფალს ახალგაზრდა ტრისტრამი აღარ სძულდა, პირიქით, გულით შეიყვარა და უხვად ასაჩუქრებდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო ეს ქაბუკი, ყველა თაყვანცემით ექცეოდა დიდნიცა და მცირენიც.

თ ა ვ ი მ ა ო თ ხ ა

ამა ამბავი, თუ როგორ ჩამოვიდა ირლანდიიდან სერ მარკაუსი კონსტანტინე ხარკის ასაკრეზად, ხოლო თუ ხარკზე შარს ეტყობოდა, ვინამ კონსტანტინე რაინდი ორთაბრძოლაში უნდა გაჰყოლოდა

მაგრამ მოხდა ისე, რომ ირლანდიის მეფემ ანგვისანსმა კორნუელის მეფეს მარკს ელჩები გამოუგზავნა და ხარკი მოსთხოვა. ამ ხარკს კორნუელის მეფე ირლანდიელებს უკვე მრავლი წელი უხდიდა, ხოლო იმ უამისათვის კარგა შვიდი წლის ვალი დაუგროვდა გადასახდელი.

მეფე მარკმა და მისმა ბარონებმა ირლანდიის ელჩს ასეთი პასუხი მისცეს: ხარკს აღარ გადავიხდით და შენს მეფეს ასე მოახსენეთო:

— არავითარი ხარკის გადახდას ჩვენდა თავად არ ვაპირებთ. ამის ნაცვლად, თუ ირლანდიის მეფეს სურს ეს ხარკი კვლავაც მიიღოს, ერთი რჩეული

* ასეთ წიგნად ითვლება სენტ ალბანსის წიგნი. ნადირობაზე ლექსად თქმული ტრაქტატი, ამ წიგნში ნათქვამია ნადირობის წესი და რიგი ტრისტრამმა დანერგა და ტრისტრამი ნადირობის წესებს ასე გვასწავლისო. ტრისტრამი — მონადირე ინგლისურ პოეზიაში პირველად XIII საუკუნეში გვხვდება. პოემის სათაურია „სერ ტრისტრამი“. უფრო მოგვიანებით ტრისტრამის, როგორც სწორუპოვარი მონადირის, სახელი ბევრ ინგლისურ წიგნში ჩნდება.

** იომენი — საშუალო და მდიდარი გლეხი, რომელიც მიწის ნაკვეთს ფლობდა, იყო თავისუფალი მებატონისაგან და ჯენტლმენზე რანგით დაბლა იდგა.

რაინდი გამოგვიგზავნოს, რათა ხარკისათვის ორთაბრძოლაში ჩაებას, ჩვენც აქ ვინმეს შევარჩევთ, რომ დაგვიცვასო.

ასე გაბრუნდნენ ელჩები ირლანდიაში. მეფე ანგეიანსმა კორნუელელთა პასუხი რომ მოისმინა, განრისხდა. მან მაშინვე იხმო სერ მარკაუსი მრავალგზის ბრძოლებში გამოჩენილი რჩეული მეომარი და თანაც მრგვალი მაგიდის რაინდი. ამავე დროს მარკაუსი ირლანდიის დედოფლის ძმა იყო. მეფემ ასე უთხრა მარკაუსს:

— საყვარელო ძმაო, სერ მარკაუს! ჩემი თხოვნაა, ჩახვიდე კორნუელში და ჩვენი ხარკის უფლებისათვის იქაურ რაინდა შეება. მოგეხსენება ხარკს მათგან უხსოვარი დროიდან ვიღებთ. რამდენიც არ უნდა დაგებარჯოთ ამ საქმეში, ჩვენ ყველა დანაბარჯს ავინაზღაურებთ და მეფურ სართააც არ დაგაკლებთ.

— სერ, — მიუგო მარკაუსმა, — კარგად უწყით, თქვენი და თქვენი სამეფოს გულისათვის თვით მრგვალი მაგიდის რაინდთან არ მოვერიდები ბრძოლას. მე ხომ იქაურებს კარგად ვიცნობ, და, ვინ რისი მაქნისია, ისიც კარგად ვიცი. საგმირო საქმეების, პატივისა და დიდებისათვის მზადა ვარ სიხარულით დღესვე გავუდგე გზას.

სერ მარკაუსი დაუყოვნებლივ გაამზადდა სამგზავროდ. აღჭურვეს ყველაფრით. რაც კი რამ ესაჭიროებოდა და რაინდიც მაშინვე გავიდა ირლანდიიდან. იგი ზღვით მიაღწა კორნუელის სანაპიროს და ლუზა პირდაპირ ტინტაჯილის სიმაგრესთან ჩაუშვა. მეფე მარკმა რომ გაიგო ხარკის უფლებისათვის საბრძოლველად სერ მარკაუსი ჩამოვიდაო, დიდად შეწუხდა. ან კი როგორ არ შეწუხდებოდა, როცა ირლანდიელთა ინტერესებს ასეთი გამოჩენილი რაინდი იცავდა. მეფე მარკს კორნუელელთა შორის არ ეგულებოდა რაინდი, რომელიც სერ მარკაუსთან შებმას გაბედავდა. იმ ხანებში ხომ იგი ქვეყნიერების ერთ-ერთ საუკეთესო და უძლეველ რაინდად ითვლებოდა!

სერ მარკაუსი კი ნაპირზე არ გადმოდიოდა, იგი ზღვიდანვე უთვლიდა მეფე მარკს, ან გადაიხადე შვიდი წლის ხარკი, ან გამოიყვანე რაინდი, რომელიც ჩემთან შებრძოლებას გაბედავსო. მთელს კორნუელში დაგზავნეს შიკრიკები და გამოაცხადეს, ვინც ორთაბრძოლაში გავა და კორნუელს ხარკისაგან დაიხსნის, ჯილდოდ დიდ საზღაურს მიიღებს, ისეთ საზღაურს მივუძღვნით, სიცოცხლის აღსასრულამდე სულ ფუფუნებაში იცხოვრებსო. ზოგიერთი ბარონი მეფეს ურჩევდა, უმჯობესია მეფე ართურს შეეხვეწო, იქნებ სერ ლანსელოტ ტბელი გამოგვიგზავნოსო დამცველად, რადგან იმ დროს ლანსელოტი მართლაც ქვეყნიერების ერთ-ერთ უპირველეს რაინდად ითვლებოდა. მაგრამ სხვა ბარონები აგრერიგად სჯილდნენ, ეს ამაო გარჯა იქნება, რადგან სერ მარკაუსი თვითონაც მრგვალი მაგიდის რაინდიაო. ამ რაინდებს კი არ უყავრდათ ერთმეორესთან შებმა, თუ რომელიმე მათგანი თავად არ ისურვებდა და შენიღბული არ გავიდოდა ბრძოლაში, უსაბელოდა და შეუცნობლად.

მაღე თვითონ მეფე და მისი კარისკაცებიც დარწმუნდნენ, რა ამაო იქნებოდა მრგვალი მაგიდის რაინდებს შორის ქომაგის ძებნა.

ბოლოს მეფე მელიოდასის ყურამდეც მივიდა ამბავი: სერ მარკაუსი ტინტაჯილის კედლებთან ელოდება, მეფე მარკს კი რაინდი ვერ უპოვია, ირლანდიელთან შებმა გაბედოსო.

როცა ამ ამბავმა ჭაბუკი სერ ტრისტრამის ყურამდეც მიაღწია, აღშოთ-
და და თავისი წილი სირცხვილით დაიწვა. ნუთუ მთელს კორნუელში ერთა
რაინდიც ვერ გამოინახა, მარჰაუს ირლანდიელთან ორთაბრძოლაში მეფის
მსურველ-შემძლებელიო, დრტვინავდა იგი.

ერეკუნული
გინგულირთება

თ ა ვ ი მ ა ხ უ თ ე

როგორ ისურვა კორნუელისათვის ბრძოლა სერ ტრისტრამმა და
როგორ იკურთხა რაინდამ

ტრისტრამი მამას, მეფე მელიოდასს, ეახლა და ჰკითხა, რა გზით ემჯობი-
ნება, კორნუელმა ირლანდიის მორჩილებას თავი დააღწიოსო?

— მე მგონია, დიდი სირცხვილი იქნება, თუ სერ მარჰაუსი შინ ისე გაბ-
რუნდება, რომ მასთან შებმას ვერაფერს გაბედავს, — თქვა ჭაბუკმა.

— რა გაეწყობა, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, შეილო, — მიუგო ხე-
ლმწიფემ. — მოგეხსენება, სერ მარჰაუსი ქვეყნად ერთ-ერთ უმამაცეს რაინ-
დადაა აღიარებული, თუ მართალი გინდა, არც მეგულება ჩვენს ქვეყანაში
ისეთი ვაჟკაცი. ირლანდიელს რომ ორთაბრძოლაში გაჰყვეს.

— ვაი საწუთროვ და ცუდო სოფელო! — შესძახა სინანულით ტრისტ-
რამმა. — რა სამწუხაროა, რომ რაინდად ხელდასხმული არა ვარ. მაგრამ, თუ
სერ მარჰაუსი შინ ისე გაბრუნდება, რომ მას არაფერს შეებრძოლება, ღმერ-
თი ნუმც ნულარასოდეს გამხდის სახელ-დიდების ღირსად! სერ, თქვენს ნებას
ვითხოვ, რომ მეფე მარკს ვეახლო. თუ არ გეწყინებათ, მე მინდა მეფე მარკ-
მა რაინდად მაკურთხოს.

— სიამოვნებით გრთავთ ნებას, — მიუგო მეფე მელიოდასმა. — მოიქე-
ციოთ ისე, როგორც თქვენს სიმამაცეს შეჰფერის.

ტრისტრამმა მეფეს მადლობა მოახსენა და გამგზავრების თადარიგი და-
იჭირა.

ამ დროს საფრანგეთიდან დესპანი ეახლათ. საფრანგეთის მეფის ფარა-
მონის ასული ტრისტრამს სასიყვარულო წერილებს უგზავნიდა, გულის
დარდს შესჩიოდა და სიყვარულზედ ეპატიუებოდა, მაგრამ ტრისტრამს ეს წე-
რილები სულაც არაფრად ეპიტნავა, რაკილა მეფის ასულთან არაფერი აკავ-
შირებდა. ქალიშვილს ტრისტრამისათვის მშვენიერი პატარა ძაღლიც გამოე-
გზავნა. როცა მეფის ასულმა შეიტყო, ტრისტრამს არ ვუყვარვარო, დარდი-
საგან გარდაიცვალა. ასე წერია წიგნში, ხოლო ის პაყი, რომელმაც ტრის-
ტრამს წერილები და ძაღლი აახლა, შემდეგ ისევ დაბრუნდა მასთან, როგორც
ქვემოთ გაიგებთ.

ტრისტრამი, როგორც განზრახული ჰქონდა, სამგზავრო თადარიგს რომ
მორჩა, თავის ბიძას, კორნუელელ მეფე მარკს ესტუმრა. ვიდრე მეფეს წარუ-
დგებოდა, ტრისტრამმა ისიც შეიტყო, არც ერთ რაინდს არ სურდა სერ მარ-
ჰაუსთან ორთაბრძოლაში გასვლა.

— სერ, — უთხრა ტრისტრამმა, როცა მეფე მარკს წარუდგა, — თუ რა-
ინდთა ორდენში შემეყვანათ, სერ მარჰაუსს მე შევებრძოლები.

— ვინა ხარ და საიდან მოხვედი? — ჰკითხა მეფემ.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — მეც კეთილშობილთა მოდგმისა ვარ. გამომავაზენა მეფე მელიოდასმა, რომელსაც თქვენი და ჰყავდა ~~კვლად~~.

მეფე მარკმა თვალი შეავლო ახალგაზრდას. ხედავს, ჯერ კიდევ ჩორჩია. მაგრამ ახოვანი, მალალი და კუნთმაგარი.

— ძვირფასო სერ, — უთხრა ისევ მეფემ. — რა ~~შეკვირვებით~~ ~~და~~ ~~სადაური~~ ხართ?

— სერ, ჩემი სახელია ტრისტრამი, ლიონელი გახლავართ.

— კეთილი, — თქვა მეფემ, — თუ თანახმა ხართ ორთაბრძოლაში გახვიდეთ, რაინდად გაკურთხებთ.

— მეც ამისათვის გეახელით, — მიუგო ტრისტრამმა. — სხვა მიზეზი არა მქონია.

ასე აკურთხა მეფემ რაინდად სერ ტრისტრამი, და როგორც კი ხელდასხმა დასრულდა, სერ მარკაუსთან აფრინა კაცი: ერთი ახალგაზრდა გამოჩნდა შენთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმის მსურველიაო.

— მჯერა, შეიძლება მართლაც აღმოჩნდა ვინმე ჩემთან შებრძოლების მსურველი, — თქვა სერ მარკაუსმა, — ოღონდ მეფე მარკს გადაეცით, რომ ყოველ მოხალისე ვიგინდარასთან ბრძოლას არ ვიკადრებ. ჩემთან შებმა ვისაც სურს, ძარღვებში მეფური შთამომავლობის სისხლი უნდა ეღვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეფის ან დედოფლის ნაშობი უნდა იყოს, პრინცის ან პრინცესას შვილი.

ეს რომ მოახსენეს, მეფე მარკმა ტრისტრამ ლიონელს შეუთვალა მარკაუსის დანაბარები.

აღელვებულმა ტრისტრამმა კი თქვა:

— რაკი ასეა, გადაეცით იმ რაინდს, რომ არც მამითა და არც დედით მასზე ნაკლები ჩამომავლობისა არ გახლავართ. მამაჩემი მეფე მელიოდასია, ხოლო დედის მხრივ, სერ, თქვენი დისწული ვარ, შვილი ლედი ელისაბედისა, რომელმაც ტყეში მშვა და თვითონ მშობიარობას გადაჰყვა.

— მაცხოვარო იესო! — შესძახა სიზარულით აღტყინებულმა მეფე მარკმა. — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დისწულო ჩემო! — და მეფემ ორმაგი სიზარულით გამოაწყო, აღკაზმა და შეშოსა იგი. სერ ტრისტრამს მისცეს რჩეული ცხენი, მოსართავეები, აღჭურვილობა. იარაღი — ყველაფერი უკეთესი, რაც შეიძლებოდა კაცს ოქრო-ვერცხლით ეყიდა. ყოველივე სამზადისს რომ მორჩინენ, მეფე მარკმა სერ მარკაუსს შეუთვალა, შენზე უფრო კეთილშობილი რაინდი შეგებრძოლებო. „შენი მოწინააღმდეგე იქნება სერ ტრისტრამი, მეფე მელიოდასისა და მეფე მარკის დის შვილი“. სერ მარკაუსმა გაიხარა, რომ ჩამომავლობით ეგზომ წარჩინებულ რაინდთან მოუხდებოდა ბრძოლა.

მეფე მარკმა დასტური დასცა ბრძოლა გამართულიყო ერთ პატარა კუნძულზე, რომლის მახლობლადაც იდგნენ სერ მარკაუსის გემები. ტრისტრამიც გემში ჩახვეს, მოჰგვარეს რჩეული ცხენი, ჩააბარეს მთელი აღჭურვილობა, რომ ბრძოლაში არაფერი დაკლებოდა. მეფე მარკსა და მის კორნუელელ ბარონებს გული ეწურებოდათ, როცა შესცქეროდნენ, როგორ უშიშრად მიდიოდა ახალგაზრდა ტრისტრამი მრისხანე სერ მარკაუსთან შესაბმელად, ყველა იქ მყოფი პატიოსანი ვაჟკაცი და კეთილშობილი მანდილოსანი, წინასწარ

გულწრფელად დასტიროდა ტრისტრამის ბედს — მათ ერთი ფიქრი ტანჯავდათ, რა ახალგაზრდა მიღისო ჩვენთვის სამსხვერპლოზეო.

თ ა ვ ი მ ე ე მ ვ ს ე



ქ რ ი ქ ე ნ უ ლ ი
ს მ ს ხ ე რ ი ქ ე ნ უ ლ ი

როგორ გადავიდა ტრისტრამი კუნძულზე, რათა სერ მარკაუსს შეხვედროდა

ჰოდა, მოკლედ რომ მოვჭრათ, სერ ტრისტრამი კუნძულზე გადავიდა, მიმოიხედა, შორს, კუნძულის განაპირას, ლუზაზე მდგარი ექვსი გემი დალანდა, ჩრდილში კი კეთილშობილი რაინდი სერ მარკაუს ირლანდიელი დაინახა. მაშინ ტრისტრამმა ბრძანა, გემიდან ცხენი ჩამომიყვანეთო. მისმა საჭურველთმცვირთველმა გოვერნალმა სათანადოდ აღჭურვა მისი ბედაური და სერ ტრისტრამი ცხენს ზურგზე მოეგლო.

ტაიჭზე ამხედრებულმა, დიდებულად აღჭურვილმა, მხარზე ფარგადაკიდებულმა ტრისტრამმა გოვერნალს ჰკითხა:

— ის რაინდი სადაა, რომელიც უნდა შემეხებას?

— სერ, — მიუგო გოვერნალმა. — ნუთუ ვერა ხედავთ? მეგონა უკვე შეამჩნიეთ, ამხედრებული გელოდებათ გემების ჩრდილში, შუბი მომარჯვებული აქვს და ფარი მხარზე გადაგდებული.

— ჰო, მართალია, ახლა უკვე ვხედავ.

შემდეგ ტრისტრამმა გოვერნალს უბრძანა, გემზე დაბრუნდითო. და გადაეცო ჩემი სალამი ბიძაჩემს, მეფე მარკს. უთხარით, თუ ამ ბრძოლაში დავეცემი, ისე დამმარხოს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს. რაც შემეხება მე, არ შევშინდები და უკან არ დავიხევ, ხოლო თუ მტერს ზურგს არ ვუჩვენებ, ჩემი ბრალი არ იქნება თუ ხარკის გადახდა მაინც მოუწევთ. თუ ვინიცობაა შევდრკე, ან მტერს შებრალება ვთხოვე, მაშინ იცოდეს ყველამ, რომ ქრისტიანული წესით დამარხვის ღირსი არ ვიქნები. შენ კი — მიუბრუნდა ტრისტრამი გოვერნალს, — თუ სიცოცხლე რამედ გიღირს, არ გაბედო ამ კუნძულთან მოახლოება, ვიდრე არ გაიგებ, რომ ან მოვკვდი, ან იმ რაინდთან ბრძოლაში გამარჯვებული დავრჩი.

ამის შემდეგ ერთიმეორეს მწარე ტირილით გამოეთხოვნენ.

თ ა ვ ი მ ე მ ვ ი დ ე

როგორ ერაინებოდა სერ ტრისტრამი სერ მარკაუსს, და როგორ გაიხცა თავის გეგმა დამარცხებული სერ მარკაუსი

სერ მარკაუსმაც დაინახა სერ ტრისტრამი და ასე მიმართა:

— ახალგაზრდა რაინდო სერ ტრისტრამ, რისთვის მოსულხარ აქ? სინაწულით აღარა ვარ შენი თავგამოდების გამო. მრავალი კეთილშობილი რაინდი გამოსულა ჩემთან ორთაბრძოლაში, ამ ქვეყნის რჩეულ რაინდებთან მაქვს დაცდილი მკლავი და ქვეყნიერების უმამაცესი რაინდებისაც არ შემშინებია. ამიტომაც გირჩევ, გაბრუნდი შენს გემზე.

— ო, მამაცო და გამოცდილო რაინდო, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — უკან არ დავიხევ, რადგან რაინდად იმისათვის ვეკურთხე, რომ შენ შეგება. იცოდე, მეფისა და დედოფლის შვილი ვარ. ჩემი ნათესავის თხოვნით და ჩემივე სურვილით დამიდევს სიტყვა, რომ შეგებრძოლო და ამ სამკედრო-

სასიცოცხლო შერკინებაში, კორნუელი ძველი ხარკისაგან გავათავისუფლო. ესეც იცოდე, სერ მარჰაუს, მე მხოლოდ აღმაფრთოვანებს საქვეყნოდ განთქმული შენი სახელი. ქვეყნად პირველი რაინდი რომ ხარ, ეს მხოლოდ ხალისსა მმატებს შენთან შესაბამელად მოსულს, რადგან არასოდეს არ შევხვედრივარ ბრძოლებში ნაწრთობ, ნამდვილ რაინდს. მე მხოლოდ დღევანდელ რაინდად, მიმიღეს ორდენში, და ჩემთვის უდიდესი პატივია ესე რაინდობა, როგორც შენა ხარ. იცოდე, მარჰაუს, პატივის მოპოვება მწადია შენი სისხლით. მერე რა, რომ წინათ არასოდეს გამომიჩენია თავი ბრძოლაში, სამაგიეროდ დღეს, ღვთის წყალობით, იმედი მაქვს თავი ვისახელო, და კორნუელის მიწა სამუდამოდ ვიხსნა ირლანდიის მორჩილებისაგან.

სერ მარჰაუსმა ყველაფერი მოისმინა და ასე მიუგო:

— ძვირფასო რაინდო, რაკი ჩემთან ბრძოლით გინდა სახელი მოიხვეჭო. შენთვის საკმარისი სახელი იქნება ისიც, რომ ჩემს სამ დარტყმას გაუმაგრდე, რადგან ყველგან და ყველასათვის ცნობილი საგმირო საქმეებისათვის თვით ზეფე ართურმა მიბოძა მრგვალი მაგიდას რაინდობა.

ამის შემდეგ შუბები მოიმარჯვეს, ერთიმეორისაკენ დაიძრნენ და ეს საშიში იარაღი ისეთი ძალით აძგერეს ერთიმეორეს, რომ ორივე ცხენიდან გადმოვარდა, ცხენებიც მიწაზე გაიშლართნენ, მაგრამ სერ მარჰაუსმა მოასწრო და ამ დროს სერ ტრისტრამი გვერდში მძიმედ დაჭრა.

მარჯვედ გამოიხსნეს ფეხები ავჯანდებიდან, მახვილები იშიშვლეს და დაიწყო გიჟური, დაუნდობელი ხმლით ჩეხვა ერთიმეორისა. დიდხანს იბრძოდნენ, ვიდრე ქანცი არ გაუწყდათ და ღონე არ მიეხადათ, ისე რომ მახვილთა მოხმარებაც კი აღარ შეეძლოთ. მაშინ ხმლის ქნევას თავი ანებეს, პირდაპირ სამკერდე ჯავშანში და სახის საფარზე ძვერითა და ჩხვლეტით მოიწადინეს ერთიმეორის ვნება. როცა დარწმუნდნენ, ერთიმეორეს ვერც ამით დააკლებდნენ რაიმეს. ხმლები შორს მოისროლეს, პირდაპირ დაეჭიდნენ ერთმანეთს, ზიზონებივით ქშინავდნენ, ეცემოდნენ, დგებოდნენ, გორაობდნენ..

ასე კიდაობდნენ შუადღემდე. დაჭრილ-დასერილებს თავით ფეხამდე სისხლი სდიოდათ. ბრძოლას კი ბოლო არ უჩანდა. მაგრამ ტრისტრამი უფრო და უფრო გამძვინვარდა, თითქოს ძალა და შემართება ემატებოდა, სერ მარჰაუსი კი თანდათანობით სუსტდებოდა. ისევ ხმლებს მისწვდნენ და ტრისტრამმა ისე მძლავრად დაჭრა მარჰაუსს თავში ხმალი, რომ რკინამ გაჰკვეთა მუზარადის ბიბილო, გაჭრა ფოლადის ფირფიტა, გაჭრა თავის ქალა და ისე გაიჩხირა ძვალში, რომ სერ ტრისტრამს სამკერ მოუხდა მოწვევა, რათა ხმალი მტრის კრილობიდან როგორმე გამოეძრო.

სერ მარჰაუსი შედრკა, წაბარბაცდა და მუხლებზე დაემხო; ხმლის ნატეხი თავის ქალაში ჩარჩა. შემდეგ წელში გაიმართა, ხმალი და ფარი შორს გასტყორცნა, გაიქცა და თავის გემს მიაშურა.

სერ ტრისტრამმა აიღო მისი ფარ-ხმალი და გაქცეულს მიაძახა:

— საით გამირბი, მრგვალი მაგიდის რაინდო? შენ არცხვენ შენს თავსა და შენს მოდგმას!

სერ მარჰაუსმა არ უპასუხა, გემებისაკენ მიმავალს მხოლოდ გმინვა აღმოხდა.

— რა გაეწყობა, სერ რაინდო, — მიაძახა სერ ტრისტრამმა, — შენი ფარ-ხმალი ამიერიდან სამახსოვროდ დამრჩება. შენს ფარს სადაც წავალ, თან

ვიანლებ, ყველას დასანახად მექნება და სერ ართურსაც ასე ვაჩვენებ, მრგვალი ნაგიდის ყველა სხვა რაინდსაც თვალეებში წაეჩხერ.

თ ა ვ ი მ ი რ ვ ე



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

აქა ამბავი, თუ როგორ გარდაიცვალა ირლანდიაში დაბრუნებული მარკაუსი ზრილოზისაგან, რაც სერ ტრისტრამმა მიაყენა, აბრეშვი სერ ტრისტრამის ზრილოზის ამბავი

სერ მარკაუსი მთელი თავისი რაზმის თანხლებით ირლანდიაში დაბრუნდა. როგორც კი მეფეს ეახლა, ექიმები მიუჩინეს, ჭრილობები გაუსინჯეს, თავი დაბანეს, ტრისტრამის მახვილის ნატეხიც უნახეს, მაგრამ ვერავითარი სამედიცინო იარაღებით ვერ შეძლეს ხმლის ნატეხის თავის ქალიდან ამოღება. ასე დაიღუპა ტრისტრამისეული ჭრილობისაგან მეფის უახლოესი ნათესავი.

ჩვენ ახლა ისევ სერ ტრისტრამს მივუბრუნდეთ, ნაიარევი და დაჭრილი რომ დარჩა. იგი მალე ისე დაიცალა სისხლისაგან, რომ ფეხზე დგომაც აღარ შეეძლო, ღონემიხდილს ხელ-ფეხის დაძვრაც უჭირდა. ნელა დაეშვა მოლზე; იჭდა და სისხლისაგან იცლებოდა. ბედად მალევე დაბრუნდა გემით მისი მსასური გოვერნალი, შემდეგ კი მეფე და მთელი მისი ამაღაც საზეიმოდ მიუახლოვდნენ ტრისტრამს.

მეფე მარკმა თვითონ ასწია დაჭრილი დისშვილი, სერ დინას-სენეშალთან ერთად, და ტინტაჯილის სიმაგრეში წაიყვანა. ტრისტრამი განბანეს და ჭრილობები გაუსინჯეს. მეფე სიბრალულით ატირდა. მეფესთან ერთად ტიროდა და ცრემლებს აღვარდვარებდა ყველა ლორდი.

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე, — ამბობდა მარკი. — მიჯობს მთელი ქვეყანა დავკარგო, ვიდრე ჩემი დისწული დაიღუპოს.

ასე იწვა სერ ტრისტრამი მთელი თვე, მაგრამ არ იქნა და უკეთესობა არ დაეტყო იმ მძიმე ჭრილობისაგან, რაც ბრძოლის დასაწყისში სერ მარკაუსმა თავისი შუბით მიაყენა. ჭრილობა სასიკვდილო იყო, რადგან ფრანგული წიგნი გვაუწყებს, რომ სერ მარკაუსმა თავისი შუბი ბრძოლის წინ მოწამლა და ტრისტრამისათვის ხსნა არსაიდან ჩანდა. დარბოდნენ მეფე და მისი ბარონები, რადგან ხედავდნენ, რომ სერ ტრისტრამს სასიცოცხლო პირი არ უჩანდა. მეფემ ბრძანა, მომგვარეთო ყველა მკურნალი, ექიმი და ექიმბაში, ქალი და კაცი, ვინც კი ჩემს საბრძანებელშიაო. მაგრამ მათგან ერთიც არ იყო, ტრისტრამის გამოჯანსაღების იმედი რომ ეთქვა.

ბოლოს ერთი მანდილოსანი გამოჩნდა, ძალზე ბრძენი ქალი, რომელმაც პირდაპირ განაცხადა: სერ ტრისტრამი ვერასოდეს ვერ გაჯანსაღდება, თუ იმ ქვეყანაში არ წავა, სადაც ის შხამია მოპოვებული, რითაც შუბი იყო მოწამლულიო. მხოლოდ იქ მორჩება და სხვაგან ვერსადო, უთხრა იმ ქალმა მეფესა და ბარონებს. როგორც კი ეს გაიგონა, მეფემ კარგი გემი გამართა, აღჭურვა სანოვაგით და შიგ ჩასვა სერ ტრისტრამი, მასთან მისი მსასური გოვერნალი. სერ ტრისტრამმა თან თავისი ქნარიც წაიღო. ასე გაამგზავრეს ტრისტრამი და გემმა გეზი ირლანდიისაკენ აიღო.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით გემი მიცურდა ირლანდიაში სწორედ იმ სიმაგრის კედლებთან, სადაც მეფე და დედოფალი ცხოვრობდნენ. ნაპირს რომ მიადგნენ, ტრისტრამი საწოლზე წამოჯდა, ქნარი აიღო და ისეთი მხია-

რული ჰანგი დაუკრა, რომლის მსგავსი ირლანდიაში არავის გაეგონა. მეფემ და დედოფალმა როგორც კი შეიტყეს, ჩვენს ქვეყანაში სნეული რაინდი ჩამოსულა, რომელიც ქნარზე დაკვრის ხელოვნებას ზედმიწევნითა დაუფლებულიო, ბრძანეს მისი კრილობის გასინჯვა და მერე რაინდის სახელი დაიბეჭდეს. პასუხი ასეთი იყო:

— ლიონელი გახლავართ, სახელად ტრისტრისტი მქვია, დავიჭერი ორთაბრძოლაში, როცა ერთ ქალს ვიცავდიო.

— ისე ღმერთი შემეწევა, თქვენ არაფერი ვაგიჭიროთ, ჩვენს ქვეყანაში მიიღებთ ყოველნაირ წამალს, რაც გესაჭიროებათ, ჩვენ კი ახლახან კორნუელში ისე დაეზარაღდით, როგორც კი შეიძლება მეფე დაზარალდეს, — თქვა მეფე ანგვისანსმა, — იქ დავკარგე რაინდი, რომლის სადარიც ქვეყნად არ დაიარებოდა. მისი სახელი იყო სერ მარპაუსი, უკეთილშობილესი ვაჟკაცი და მრგვალი მაგიდის რაინდი.

ამასთან ანგვისანსმა უამბო სერ ტრისტრამს, თუ როგორ მოკლეს სერ მარპაუსი. სერ ტრისტრამს ისეთი სახე ჰქონდა, ვითომ მეფეს თანაუგრძნობდა, ვითომდა არაფერი იცოდა, თუმცა ყოველივე, რაც მეფე ანგვისანსმა უამბო, მეფეზე უკეთ თვითონ უწყობდა.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ა

როგორ ჩააბარეს სერ ტრისტრამი მშვენიერ იზოლდას,
რათა მისი მკრილობა მოეჩინა.

შემდეგ, დიდი წყალობის ნიშნად, მეფემ ჰაბუკი მოსავლელად ჩააბარა თავის ასულს, რომელსაც მკურნალობის ხელოვნება ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. მეფის ასულმა კრილობა რომ გასინჯა, მის ძირზე შხამი აღმოაჩინა, სწორედ იმ შხამს დაუწყო წამლობა და სნეული მოარჩინა.

სერ ტრისტრამის გულში მშვენიერი იზოლდას მიმართ სიყვარულმა იფეთქა, რადგან ცისქვეშეთში არ დაიარებოდა იმაზე ლამაზი ქალწული. ტრისტრამმა თავის მხრივ ქნარზე დაკვრა ასწავლა მშვენიერ ქალწულს, რამაც ქალწული ჰაბუკის მიმართ თანაგრძნობით განმსჭვალა.

იმ ხანებში ირლანდიაში იმყოფებოდა პალომიდ-სარკინოზი. მეფესა და დედოფალს იგი დიდად შეტკობილი ჰყავდათ. პალომიდი თვითონაც ყოველდღე მიდიოდა მშვენიერ იზოლდასთან და საჩუქრები მიჰქონდა, რადგან ქალწული მართლაც მზურვალე გულით უყვარდა. ყოველივე ამას საკუთარი თვალით ხედავდა ტრისტრამი, ხოლო პალომიდზე გავთნილი ჰქონდა, უკეთილშობილესი რაინდი და უძლეველი მეომარიო. ამიტომაც ვასაკვირი არაა, თუ მის გულში მეტოქას მიმართ განუზომელმა სიძულვილმა დაისადგურა. ტრისტრამმა მშვენიერი იზოლდასაგან შეიტყო, ჩემი გულისათვის პალომიდი სჯულის დაგდებას და ქრისტეს სარწმუნოებაზე გადმოსვლას აპირებსო. ასე იშვა უდიდესი მტრობა ტრისტრამსა და პალომიდს შორის. სწორედ იმ ხანებში მეფე ანგვისანსმა მთელს სამეფოში გამოაცხადა, დიდ ტურნირს ვაწყობო. ასპარეზობა ეწყობოდა ერთი მშვენიერი და მდიდარი მანდილოსნის, მიწების მფლობელად წოდებულის, პატივსაცემად. ის ქალბატონი მეფეს შორეულ ნათესავად მოხვდებოდა. ტურნირის პირობა წინასწარ იყო დათქმული. ვინც იმ ტურნირზე გაიმარჯვებდა, ოთხ დღეში იმ ქალბატონზე უნდა დაეწერა ჯვარი

და მთელი მისი მამულ-დედულის ბატონ-პატრონი გამხდარიყო. ასე გამოცხადდა მთელს ინგლისში, უელსში, შოტლანდიაში, აგრეთვე საფრანგეთსა და ბრეტანის მხარეში.

ერთხელ მშვენიერი იზოლდა ტრისტრამს ესტუმრა და ამ ასპარეზობის ამბავიც უთხრა. რაინდმა მიუგო:

— ენითუთქმელო მშვენებავ, თუ თქვენი კეთილმოწყალება არა, მე სომ ახლა საფლავში ვიქნებოდნი. თქვენ უკეთ უწყით, ჭერჯერობით მე ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება რომ არ შემიძლია. ისე სუსტად ვარ, ბრძოლა კი არა. შუბის ხელში დაჭერაც აღარ ძალმიძს.

— აჰ, ტრამტრისტ! — მიუგო მშვენიერმა იზოლდამ. — ნუთუ არ გინდათ ტურნირზე გამოსვლა? სარწმუნოდ ვიცი, რომ საასპარეზოდ პალომიდი გამოვა და მთელს თავის მხედრულ ხელოვნებას გვიჩვენებს. აი, ამიტომ გვედრებით. სერ ტრამტრისტო, მონაწილეობა მიიღეთ ასპარეზობაზე, თორემ გამარჯვებული უსათუოდ პალომიდი დარჩება.

— სულზე უტკბესო ქალბატონო, შესაძლოა და მჯერა კიდევ, რომ გამარჯვება ტურნირზე პალომიდს დარჩება, რადგან იგი ძლევაშოსილი და სახელოვანი რაინდი გახლავთ. მე კი ახლად გამომცხვარი რაინდი ვარ და პირველსავე ბრძოლაში სასიკვდილოდ დავიჭერი. მხოლოდ ერთი პირობით შემიძლია ტურნირში მონაწილეობა მივიღო, თუ თქვენ საიდუმლოდ შეინახავთ, რომ მე ვიასპარეზებ, თქვენვე იქნებით ჩემი ქალბატონი და თქვენი ახლობელი მეგობრების გარდა არავის არაფერი ეცოდინება. მხოლოდ თქვენი გულისათვის შემიძლია თავგანწირვა, ილონდაც გვედრით, პალომიდმა არ უნდა იცოდეს, როდის ჩავებმები ტურნირში.

— თქვენ მოემზადეთ, მე კი მანამდე შევეცდები კარგი ბედაური და ნამდვილი რაინდის შესაფერი საქურველი გიშოვნოთ, — უთხრა მშვენიერმა იზოლდამ.

— რასაც თქვენ ისურვებთ, თქვენი მონა-მორჩილიც იმასა იქმს, — თქვა პასუხად ტრისტრამმა.

ტურნირის პირველ დღეს სერ პალომიდი შავი ფარით აღჭურვილი გამოცხადდა და ორთაბრძოლაში იმდენი სახელგანთქმული რაინდი დაამარცხა, რომ ყველანი განცვიფრებულნი იყვნენ. სერ გავეინი, გაპერიისი, აგრავეინი, ბაგდემაგუსი, კეი, დოდინას მძვინვარე, საგრამურ სასურველი, გუნრეტ ტან-მორჩილი, ღვთის შვილად წოდებული გრიფელტი, ყველანი პირველ დღეს ჩამოჰყარა ცხენებიდან. რაინდები დაშინდნენ, მას მერმე მასთან ბრძოლას ყველა განერიდა, იგი შავი ფარის რაინდად მონათლეს, და პალომიდმა დიდი დიდება და სახელი მოიხვეჭა.

მეფე ანგვისანსმა ტრისტრამს ჰკითხა, რატომ შენ არ მონაწილეობ ასპარეზობაშიო.

— მე ხომ ჭერაც არ გამოვჯანმრთელებულვარ, სერ, ჩემმა კრილობამ ეს-ესაა პირი შეიკრა და თავს სუსტად ვგრძნობ, — უპასუხა ტრისტრამმა.

სწორედ ამ დროს გამოცხადდა ანგვისანსის სამეფო კარზე ის პაეი, რომელიც ოდესღაც საფრანგეთის მეფის ასულმა გამოუგზავნა სერ ტრისტრამს სასიყვარულო წერილებით აღჭურვილი. პაემა ტრისტრამი რომ დაინახა, მის წინ მუხლი მოიყარა, თავიანი სცა და მიესალმა. მშვენიერმა იზოლდამ დაინახა, როგორ მიესალმა პაეი ტრისტრამს. პაეის შესახვედრად ტრისტრამმა დეითონ-

ვე გადადგა აჩქარებით რამდენიმე ნაბიჯი, რათა მისი გაფრთხილება მოესწრო, რომ პაეს მისი ნამდვილი ვინაობა არ გაეთქვა.

— სერ, — უპასუხა ებეს ლე რინაუნმა*, ვიდრე თავად არ მიბრძანებთ, თქვენს სახელს მაჯაგანით ვერ ამომადრობენ პირიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი მ ა ა თ ა

როგორ გაიმარჯვა სერ ტრისტრამმა ტურნირში ირლანდიაში და აიძულა კალოშიდი.
მთელი წელიწადი უჯავშნოდ იძლო

ამის შემდეგ სერ ტრისტრამმა პაეს ჰკითხა, ამ მხარეში რისთვის ჩამოსულხარო.

— სერ, — მიუგო პაემ. — მე აქ სერ გავეინს ჩამოვეყვი, რათა რაინდად ვეკურთხო და, თუ პატივს დამდებთ, მინდა ხელდასხმა თქვენგან მივიღო.

— კეთილი, საასპარეზო მოედანზე ფარულად დამელოდე, ხვალ დილით იქ რაინდად გაკურთხებთ.

მშვენიერ იზოლდას კი ეჭვმა დაუწყო ღრუნა. ტრისტრამი სინამდვილეში უცხო ყარბი კი არა, მამაცი, გამოჩენილი და სახელგანთქმული რაინდი უნდა იყოსო. ამ ამბავმა კიდევ უფრო გაახარა და ჭაბუკის მხურვალე სიყვარულით აღენტო. მისი ვარაუდით, ტრისტრამი უთუოდ სახელოვანი ლოოდი უნდა ყოფილიყო.

მეორე დღეს სერ პალომიდი ისევ გამოვიდა სატურნირო მოედანზე. მან ცხენიდან ჩამოაგდო ასი რაინდის მეფე და არც სკოტების ბელმწიფეს დააყარა კარგი დღე. ამასობაში მშვენიერმა იზოლდამ სერ ტრისტრამი თეთრი ფერის სამოსით მორთო, აამხედრა და სატურნირო ველზე უკანა კარიდან საიდუმლოდ შეუშვა. ტრისტრამი ანგელოზივით იჭდა თეთრონზე. როგორც კი დაინახა თეთრი სამოსით მორთული რაინდი, სერ პალომიდმა შუბი შემართა, ტრისტრამმაც საძგერებლად შუბი მოამზადა და ერთმანეთისაკენ დაიძრნენ. შეტაკება იმით დასრულდა, რომ სერ ტრისტრამმა სერ პალომიდი ცხენიდან ჩამოაგდო და დედამიწაზე დაანარცხა.

ხალხში დიდი ხმაური და აურზაური ატყდა: „სერ პალომიდი დაეცა!“ გაიძახოდნენ: „დავარდა შავი ფარის რაინდი!“ მშვენიერი იზოლდა კი სიხარულით ცას ეწია. სერ გავეინი და მისი ცხრა მხლებელი გაოცებული იყვნენ: ვინ უნდა იყოსო სერ პალომიდის მძლეველი რაინდი? ვერც ერთმა რაინდმა ვერ გაბედა სერ ტრისტრამის წინააღმდეგ გამოსვლა, ყველამ, გინა სახელოვანმა და გინა უსახელომ, ერთხმად აღიარა გამარჯვებულად თეთრ სამოსში გამოწყობილი რაინდი.

ამის შემდეგ სერ ტრისტრამმა ები რინაუნი რაინდად აკურთხა და ახალმა რაინდმაც იმ დღეს დიდი სიმამაცითა და სიჩაუქით გამოაჩინა თავი. მას შემდეგ სერ ები სამუდამოდ სერ ტრისტრამთან დარჩა.

სერ პალომიდს, რაღა თქმა უნდა, დამარცხების მწარე სირცხვილი სწვავდა და, როგორც კი მოახერხა, საასპარეზო ველიდან შეუმჩნევლად გაიპარა. დამარცხებული მეტოქის იდუმალი ვაპარვა შეამჩნია სერ ტრისტრამმა და

ცხენით გამოედევნა. მალე დაეწია კიდევ და მიადახა: ერთხელ კიდევ უნდა ვიასპარეზოთ, ვიდრე წახვალთ. სერ პალომიდმა ცხენი შემოაბრუნა და ისევ შეიბნენ. სერ ტრისტრამმა პირველივე დარტყმით დათრგუნა სერ პალომიდი. ისეთის ძალით დასთხოლიშა თავში მახვილი, რომ ნაქები სარკვევით ცხენიდან გადავარდა და დედამიწაზე გაიშხლართა.

სერ ტრისტრამი თავს წაადგა და მრისხანედ უთხრა: დამნებდი და ჩემი ნება-სურვილი შეასრულე, თორემ სიკვდილი არ აგცდებიაო, მისი გაჯავრებული სახის მხილველმა პალომიდმა უზომო შიში ჭამა და მაშინვე აღუთქვა, თქვენს ნათქვამ სიტყვას არ გადავალთ.

— კეთილი, — უთხრა ტრისტრამმა. აი, რას გეტყვით: უწინარეს გოგლისა, ჩამოშორდით ჩემს სატრფოს. მშვენიერ იზოლდას და მისი ჯელის მოსაპოვებლად არაფერი იღონოთ. გარდა ამისა, დღეიდან ერთი წლისა და ერთი დღის განსავლობაში აბჯარსა და, საერთოდ საქურველს ნულარ აისხამს! შემომფიცეთ, რომ ასე მოიქცევით, არადა, მოკვდებით!

— ვაჰმე! — შესძახა პალომიდმა, — სამუდამოდ მომეჭრა თავი!

დამარცხებულმა რაინდმა ტრისტრამს შეჰფიცა, ყველაფერს ავასრულებ, რასაც ჩემგან ითხოვო. შემდეგ გაბოროტებულმა თავისი ჯავშანი ერთიანად დაცალეწა და გადაყარა.

სერ ტრისტრამი კი შებრუნდა და იმ სიმაგრეს მიაშურა, სადაც მშვენიერი იზოლდა ცხოვრობდა. გზაში ერთი ქალიშვილი შემოეყარა და ჰკითხა. საგუშაგო სიმაგრის დამპყრობელი სერ ლანსელოტი სად შეიძლება ვნახო. შემდეგ ისიც ჰკითხა, თვითონ შენ ვინა ხარ, რადგან მითხრეს, ართურის მრგვალი მაგიდის ათი რაინდის მძლეველი სერ პალომიდი დაგიმარცხებიაო. ქალიშვილი შეევედრა, გამიმხილეო შენი სახელი, იქნებ სწორედ შენა ხარ სერ ლანსელოტ ტბელი, იგი ფიქრობდა, რომ სერ ლანსელოტის გარდა დიდი საგმირო საქმეების მოხდენა ქვეყნად არავის ძალეღვა.

— ძვირფასო ქალიშვილო, მე არ გახლავართ სერ ლანსელოტი, მე სად შემიძლია ასეთ სახელოვან რაინდთან გატოლება! მაგრამ ქვეყნად ყველაფერი უფლის ნებაა: იქნება ღმერთმა ინებოს და მეც ისეთივე მჭუხარე სახელის რაინდი გავხდე, როგორიც სერ ლანსელოტია.

— რაკი ასეა, კეთილო რაინდო, აიწიეთ მუზარადი და სახე მიჩვენეთ.

— რაინდის მშვენებით სავსე სახის ხილვაზე ქალიშვილმა იმწამსვე ის გაიფიქრა, რომ ასეთი ლამაზი მამაკაცი არსად ენახა და არც ასეთ თავაზიან რაინდს გადაჰყროდა სადმე. მაგრამ რაკილა დარწმუნდა, რომ იგი სერ ლანსელოტი არ იყო, დაემშვიდობა და თავისი გზით წავიდა.

სერ ტრისტრამი კი ალაყაფის უკანა კართან მივიდა, სადაც მშვენიერი იზოლდა ელოდა. ქალმა გაიხარა მისი ხილვით და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ბრძოლაში ასე გაიმარჯვა.

მალე იფედდოფალმა და მთელმა სასახლემ შეიტყო, რომ სერ პალომიდის დამარცხებელი მათი ტრამტრისტი იყო და მის მიმართ კიდევ უფრო მეტი მიწიწებით განიძსკვალნენ.

როგორ გაიგო მახვილის შემოქმედით დედოფალმა, რომ ტრისტრამი მოვიდა მისი
ძმის გავლელი, და რა საფრთხეში აღმოჩნდა რაინდი



ასე ცხოვრობდა კარგა ხანს სერ ტრისტრამი სამეფო სასახლეში. მშვე-
ნებითა და დიდებით მოსილს ყველა ეფერებოდა, ყველაზე მეტად კი მშვენი-
ერი იზოლდა შექხაროდა.

ერთხელ დედოფალმა და იზოლდამ, როცა ტრისტრამი აბანოში ნებივ-
რობდა და გოვერნალი და ები მას ემსახურებოდნენ, მისი სამყოფელი დაიბ-
რეს. დედოფლის ყურადღება ლოგინზე დაგდებულმა ხმალმა მიიპყრო. საუბე-
დუროდ, დედოფალმა ქარქაშიდან ამოსწია ხმალი და დიდხანს დასცქეროდა.
ორივე შექხაროდა მშვენიერ მახვილს, მაგრამ წვეროსთან ახლოს ხმალს პირის
მოზრდილი ნაწილი ამოტეხილი ჰქონდა. როგორც კი დედოფალმა ეს დაინახა,
მოაგონდა მახვილის ნატეხი, რაც მის მკვდარ ძმას თავის ქალიდან ამოუღეს.

— ვაჰმეო, — შესძახა დედოფალმა. — ეს ის ვერავი რაინდია, რომელ-
მაც მოკლა ჩემი ძმა და შენი ბიძა მარჰაუსი!

ამის გაგონებაზე იზოლდა უაღრესად შეწუხდა. ქალწულს გულით უყ-
ვარდა ტრისტრამი, ამასთან კარგად იცოდა თავისი დედის დაუნდობელი ზნე.
დედოფალი კი მაშინვე თავის სამყოფელისაკენ გაეშურა, სკივრი გააღო და
ამოიღო ის ნატეხი, რაც მარჰაუსს სიკვდილის მერმე თავის ქალიდან ამოუ-
ღეს. როცა უკან მიიბრინა და მომსხვრეული ნატეხი ხმლის დაზიანებულ ად-
ვილს დააზომა, ფოლადი ფოლადში ისე ჩაჭდა, თითქოს ეს-ეს არის ამოამტ-
ვრიესო. დედოფალმა ხმალს ხელი დასტაცა და სააბაზანოსკენ გაიქცა, სადაც
ტრამტრისტი ეგულებოდა. გამძვინვარებული დედოფალი ტრამტრისტს გულში
გაუყრიდა მახვილს, რომ ბედზე იქ არ შესწრებოდა სერ ები. სერ ებიმ დე-
დოფალს ხელი მოჰხვია და ხმალი წაართვა.

რაკი თავისი ბოროტი ზრახვის აღსრულება ასე ვერ მოახერხა, ქმარს
მივარდა და მიიძახა:

— ბატონო ჩემო! — და წინ დაუჩოქა. — აქ, ჩვენს ჭირქვეშ იმყოფება
ის ვერავი რაინდი, რომელმაც მოკლა ჩემი ძმა და შენი ერთგული მსახური —
კეთილშობილი რაინდი მარჰაუსი!

— ვინ არის? — ჰკითხა მეფემ. — სად არის ახლა?

— სერ, — მიუგო ქალმა, — ეს ის ტრამტრისტია, რომელიც ჩემმა
ასულმა მოარჩინა.

— აფსუს! — თქვა მეფემ. — ეს ძალიან ძაღონებს, რადგან ესაა უებრო
რაინდი, რომლის სადარიც მე სატურნირო მოედანზე არ მინახავს. მაგრამ გიბ-
რძანებთ, უჩემოდ არაფერი მოიმოქმედოთ!

მეფე დაუყოვნებლივ გაეშურა ტრისტრამის სამყოფელში. რაინდი უკვე
იქ იყო, თავით ფეხამდე აღქურვილი და ცხენზე შესაჯდომად გამზადებული.
ეს რომ ნახა, მეფემ უთხრა:

— არა, ტრამტრისტ, შენი გამოსვლა ჩემდა სამტროდ არც ეგების და არც
ივარგებს. ჩემი შეუბღალავი პატიოსნებისა და შენი სიყვარულისათვის აი,
რასა ვიქმ. ვადრე ჩემს სასახლეში ხარ, შენი მოკვლა პატივს არ დამდებს,
ამიტომ ნებას გაძლევ, ჩემი სასახლე საღსალამათმა დატოვო, ოღონდ ერთი

პირობით: მეტყვი, ვინ იყო მამაშენი, რა გქვია და გულწრფელად აღიარებ, შენ მოპკალი თუ არა ჩემი ძმა, სერ მარპაუსი:

თ ა ვ ი მ ე თ რ კ მ ე ტ ი



ქ რ ი ვ ე ნ ე ლ ი

ამა ამბავი, თუ როგორ დაემშვიდობა სერ ტრისტრამი მეფეს, მშობნებში მისი მიატოვა ირლანდია და კორნუელში დაბრუნდა

— სერ, მიუგო მეფეს ტრისტრამმა, — ახლა სრულ სიმართლეს გეტყვი. მამაჩემია მეფე მელიოდასი, ლიონის ქვეყნის ხელმწიფე, დედაჩემი კი გახლდათ ელისაბედი, კორნუელის მეფის მარკის და. დედაჩემი მშობიარობას გადაჰყვა ტყეში და სიკვდილის წინ ბრძანა, ჩემს შვილს ტრისტრამი დაარქვოთ. მე კი არ მინდოდა ამ ქვეყანაში ჩემი ვინაობის გამჟღავნება, სახელი შუა გავყავი, შევაბრუნე და ტრამტრისტი დავირქვი. ვიბრძოდი კი ჩემი ქვეყნის — კორნუელისათვის, ბიძაჩემისათვის, რათა მეხსნა ჩემი ქვეყანა ხარკისაგან, რასაც მრავალი წლის განმავლობაში იღებდით.

— ეს იცოდეთ. — უთხრა ბოლოს სერ ტრისტრამმა მეფეს, — ბრძოლაში გავედი ჩემი ქვეყნის კორნუელისთვის, ბიძაჩემის მარკის გულისათვის, ვერც იმას უარვყოფ, თითქოს მხედრული სახელის მოსაპოვებლად არ ვირჩებოდი. სწორედ იმ დღეს, რა დღესაც სერ მარპაუსს შევები, რაინდის წოდება მივიღე. მანამდე კი არც ერთ რაინდთან არ მქონია შეტაკება. სერ მარპაუსი ჩვენი შერკინების მერმე ცოცხალი იყო და თავისი ფეხით გამეცალა, ფარი და ხმალი მე დამიტოვა.

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე! — თქვა მეფემ. — ვერაფერს გისაყვედურებთ. ისე მოქცეულხართ, როგორც რაინდს შეჰფერის, თქვენი ვალი იყო იმ ორთაბრძოლაში გასვლა და სახელის მოხვეჭა, როგორც, ჩვეულებრივ, იქცევიან რაინდები. თუმცა ეს ყველაფერი ასეა, ჩემი ღირსება უფლებას არ მაძლევს, ჩემს ჰერქვეშ გაგაჩეროთ, რადგან ამით ბევრი ჩემი ბარონის, მეუღლისა და ნათესავთა გულისწყრომას მოვიძქი.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა. — მადლობელი ვარ გულკეთილობისათვის, რასაც მუდამ იჩენდით ჩემდამი, ვიდრე აქ ვიყავი, აგრეთვე იმ განუზომელი სიკეთისათვის, რისი ღირსიც გამხადა ჩემმა ქალბატონმა, თქვენმა ასულმა. იქნებ უფრო მოგებულეც დარჩეთ იმით, ცოცხალს რომ მიშვებთ, ვიდრე მაშინ, სასიკვდილოდ რომ გაგეწირეთ, რადგან ამ ინგლისის ფართო მიწაზე იქნებ კიდევ გაგიწიოთ სამსახური, და მაშინ კიდევაც გაიხარებთ იმით, რომ ოდესღაც მოწყალე თვალთ შემომხედეთ. ამას გარდა, სიტყვას ვამძლევთ, როგორც ერთგული რაინდი, ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა ვიყო, სამართლიანსა თუ უსამართლო საქმეში, დავრჩე თქვენი ასულის — ჩემი მბრძანებლის — მსახურად და რაინდად, უდრტვინველად აღვასრულო მისი ყველა ნება-სურვილი, რის აღსრულებაც რაინდს ხელეწიფების, დაბოლოს, თქვენს მოწყალე ნებას ვითხოვ. დავემშვიდობო თქვენს ასულს, ყველა ბარონსა და რაინდს.

— სიამოვნებით გრთავთ ნებას. — მიუგო მეფემ.

სერ ტრისტრამი მშვენიერ იზოლდას ეახლა, დაემშვიდობა, უამბო ყველაფერი და უთხრა ისიც, ერთი ქალი რომ შეხვდა და უწინასწარმეტყველა. მხოლოდ იმ ქვეყანაში განიკურნები, სადაც მხამი შეაზავესო.

— ამრიგად, სიკვდილი ვძლიე და მისი კლანჭებიდან თქვენ მიხსენით.
— თქ, ძვირფასო რაინდო, — მიუგო იზოლდამ. — როგორ მიმძიძის შენთან განშორება! არასოდეს შემხვედრია კაცი, ეგზომ ღირსი ჩემი/კეთილ-განწყობილებისა, — ამ სიტყვების თქმა და გულმდულარედ ატირება ერთი იყო.

— ჩემო ქალბატონო, — თქვა სერ ტრისტრამმა, — დაიმახსოვრეთ, რომ ჩემი სახელია სერ ტრისტრამ ლიონელი, მეფის ძე ვარ და დედაჩემიც დედოფალი იყო. პატიოსან სიტყვას გეტყვით: სიცოცხლის აღსასრულამდე თქვენი ერთგული რაინდი ვიქნები.

— გმადლობთ! — თქვა მშვენიერმა იზოლდამ. — მეც, ჩემი მზრივ, გაძლევთ სიტყვას, რომ შვიდ წელს არ გავთხოვდები თქვენი ნებართვის გარეშე. გავყვები მხოლოდ მას, ვისაც ამომირჩევთ, და არ გავხდები არავისი ცოლი, თუ თქვენი თანხმობა არ მექნება.

მერმე სერ ტრისტრამმა ქალი ბეჭდით დაწინდა, ქალმაც თავისი ბეჭედი წამოაცვა თითზე, ამის შემდეგ ვაჟი ქალს დაემშვიდობა და ეზოში გავიდა ბარონებთან.

იქაც, დიდსა და პატარას, ყველას დაემშვიდობა:

— კეთილშობილო ლორდებო, დადგა ჟამი თქვენთან განშორებისა. თუ თქვენს შორის არის ვინმე ჩემზე ნაწყენი, ან ჩემგან შეურაცხყოფილი, თქვას, და მე ვეცდები წასვლის წინ ჩემი დანაშაული მის წინაშე გამოვისყიდო. ხოლო თუ თქვენს შორის არის ისეთი ვინმე, ვისაც ჩემს მიმართ ცუდი განზრახვა უდევს გულში, სურს მავნოს რაიმე, ან ნათქვამით ზურგს უკან ზიანი მომაყენოს, თქვას ეს ახლავე გულლიად, ანდა ნურასოდეს ნულარაფერს იტყვის. მე მზადა ვარ, ჩემს ავისმზრახველს პირისპირ შევხვდე და აქვე დავუმტკიცო ჩემი სიმართლე.

ყველა მდუმარედ იდგა, ერთსაც არ დაუძრავს კრინტი. იქ იყვნენ მეფის ნათესავეებიც, სერ მარკაუსის ნათესავეებიც, მაგრამ თავი ვერაფერს გაიმამაცურა და ხმის ამოდება ვერაფერს შეძლო, ტრისტრამთან შებმა ვერც ერთმა ვერ გაბედა.

თ ა ვ ი მ ა ც ა მ მ ტ მ

აჰა აგზავნი, ერთი რაინდის ცოლისათვის როგორ დაჭრას ერთმანეთი მთვა მარკამ და სერ ტრისტრამმა

სერ ტრისტრამი კორნუელისაკენ გაემგზავრა. იგი გემში ჩაჯდა, ზურგქარი შეხვდა და ტინტაჯილში უვნებლად ჩავიდა. სალ-სალამათი მეფე მარკა კეთილად განისვენებდა, როცა მოახსენეს, სერ ტრისტრამი დაბრუნდა და სრულად განკურნებულიაო, ხელმწიფემ დიდად გაიხარა, მასთან ერთად გაიხარეს ბარონებმა.

ტრისტრამი კორნუელში დიდხანს არ გაჩერებულა, იგი საკუთარ მამას მეფე მელიოდასს ესტუმრა. მეფე-დედოფალი ისეთი სიხარულით შეეგებნენ, მეტი არ შეიძლებოდა. მათ უხვად დაასაჩუქრეს მემკვიდრე მამულებითა და სიმდიდრით. შემდეგ კი ტრისტრამი, მამის ნებართვით, ისევ მეფე მარკის სასახლეში დაბრუნდა.

იგი დიდხანს ცხოვრობდა იქ სიუხვესა და ბედნიერებაში, მაგრამ ბო-

ლოს სერ ტრისტრამსა და მეფე მარკს შორის მტრობა და შუღლი ჩამოვარდა, რადგან ერთი და იგივე ქალი შეუყვარდათ. ის ქალი გრაფ სეგვარიდის ცოლი გახლდათ. გრაფის მეუღლეს გულით შეუყვარდა სერ ტრისტრამი და სერ ტრისტრამიც არ დარჩენილა ვალში, რადგან ქალი ძლიერ ლამაზი და უფრო ამ ამბავმა მეფე მარკის ყურამდე მიაღწია, იგი ფრთხილ შეწუხდა, მტრად მის ქალი მასაც ვარდად ეშლებოდა გულში.

ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა. მანდილოსანმა ტრისტრამს ჯუჯა მიუგზავნა და შეუთვალა: თუ მართლა გიყვარვარ, ხვალინდელი ღამე ჩემთან გაატარეო.

შეუთვალა ისიც, რომ საჭიროა მძიმედ აღჭურვილი მოხვიდე, რადგან ჩემი ქმარი სახელოვანი რაინდიაო.

სერ ტრისტრამმა ჯუჯას მოუსმინა და უთხრა:

— ჩემს ქალბატონს ჩემი მოკითხვა გადაეცი და უთხარი, რომ ხვალ დათქმულ დროზე ვეახლებიო.

ამის შემდეგ ქონდრისკაცი წავიდა.

მაგრამ მეფე მარკს შეუმჩნეველი არ დარჩენია ქონდრისკაცის ტრისტრამთან სტუმრობა და ისიც გაიგო, რომ ქონდრისკაცი სეგვარიდის ცოლის შუამავალი იყო. მაშინვე ბრძანა, ჯუჯა მომგვარეთო და მიჰგვარეს კიდევ. მეფემ ქონდრისკაცს ძალით ათქმევინა ყველაფერი და შეიტყო, რა საქმისთვის იყო მისული სერ ტრისტრამთან.

— კეთილი, — თქვა მეფე მარკმა. — ახლა კი წადი, საითაც გინდა, მაგრამ თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია, კრინტი არსად დაძრა იმაზე, რომ ჩემთან იყავი.

ჯუჯა გაეცალა, მეფე კი სწორედ იმ საღამოს, როცა პაემანი იყო დანიშნული, აღიჭურვა, ორი ერთგული რაინდი იახლა და იღუმალ გზაზე გავიდა. შეთქმულებმა ცხენები გააქროლეს და გზაგასაყართან ტრისტრამს დაუწყეს ლოდინი. მალე ტრისტრამიც გამოჩნდა შუბათ ხელში. უეცრად გამოუჩნდა სამი კაცი და სამივე თავს დაესხა; მეფე მარკმა ტრისტრამი მძიმედ დაჭრა მკერდში, შუბი ძუძუს ქვემოთ ატეკა. ტრისტრამმა არ შეიმჩნია, შუბი მოიმარჯვა, ეტაკა მარკს და ისე ჩასცა შუბი, რომ მეფე ცხენიდან თავდაყირა გადავარდა, მძიმედ დაჭრილი ძირს გაიშხლართა და ველარც აღვა. კარგა ხანი გავიდა ვიდრე ისევ გონს მოვიდოდა. ამასობაში სერ ტრისტრამი ჯერ ერთ რაინდს ეცა, მერე მეორეს. ერთიც სასიკვდილოდ დაჭრა და მეორეც. ახლა სამივე მოიერიშე სველ მიწაზე ეგდო.

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე

როგორ მიუფვა ტრისტრამი იმ ქალს და როგორ შეეგა ქმარი ტრისტრამს

სერ ტრისტრამი ცხენზე შეჯდა და მძიმედ დაჭრილმა გზა განაგრძო. სულ მალე თავისი სახლის უკანა კარებთან მდგომ სატრფოს გადაეყარა. ქალმა მისი ხილვით უზომოდ გაიხარა და გადაეხვია. მერმე მსახურებს უბრძანა, ცხენი საუკეთესო ბაგაზე დააბითო, შემდეგ აბჯრის გახდაში მიეშველა, ივანშემს და არც სარეცელზე განცხრომა დაუყოვნებიათ. უზომოდ აღტყინებულებმა ბევრი ინებიერეს. სიამითა და ვნებით აღვზნებულ და გაბრუებულ

ტრისტამს სულაც გადაავიწყდა მძიმე კრილობა, რაც მეფე მარკმა შუბით მიაყენა, ამიტომ ერთიანად სისხლში ამოსვარა ზეწარი, ბალიში და სიბანო.

ამასობაში მოვიდა ქალის სანდო კაცი და მოახსენა, შენი ძალი სერ სეგვარიდი სულ ახლოა, ისრის სასროლ მანძილზე და სადაცაა გქ გაჩნდებაო. ქალმა მაშინვე უბრძანა სერ ტრისტამს, გამეცალეო, იმხანავე სერს ქართლ ჩაიყვა, შეიმოსა აბჯარი, მოახტა ცხენს და გააქროლა. ახლა სერ სეგვარიდიც მოვიდა, ნახა აწეწილი ლოგინი, გულმოდგინედ გასინჯა ყველაფერი. სანთელი ძიანათა სისხლიან ქვეშაგებს და დარწმუნდა, რომ წუთის წინ აქ დაჭრილი რაინდი იწვა.

— ვერაგო მოღალატევ! — შესძახა, — რატომ მიმუხბოლე?

ამ სიტყვებზე ხმალი იშისვლა და თქვა:

— თუ არ იტყვი, ვინ იწვა აქ, ახლავე მოკვდები.

— აჰ, ბატონო ჩემო, შემიწყალეთ! — შესძახა ქალმა და ხელები ცისკენ აღმართა. — არ მომკლათ და გეტყვი, ვინ იყო ჩემთან.

— თქვი, ოღონდ სიმართლე მითხარი!

შეშინებული ქალი გამოტყდა:

— ჩემთან იყო სერ ტრისტამი, და, როცა ჩემსკენ მოდიოდა, თურმე მძიმედ დაუჭრიათ.

— აჰ, მუხანათო დედაკაცო! ახლა სადღაა?

— სერ, — მიუგო ცოლმა, — ჩაიყვა და ცხენი გააჭენა, მაგრამ ჯერ ნახევარ მილზეც არ იქნება აქედან.

— კარგი, — თქვა სეგვარიდმა, სწრაფად შეიმოსა აბჯარი, მოახტა ცხენს და ტინტაჯილის გზას დაადგა, იგი სერ ტრისტამს დაედევნა, მოკლე ხანში დაეწია და მიადახა:

— მობრუნდი, ვერაგო რაინდო!

იმავე წამს სეგვარიდმა სერ ტრისტამს შუბი სტყორცნა, მაგრამ მისი შუბი დაიმსხვრა, მაშინ მახვილი იშისვლა, მოუქნია და მთელი ძალით დაჭრა სერ ტრისტამს.

— სერ რაინდო, — უთხრა ტრისტამმა, — გირჩევთ, მეტს ნულარ მოიწადინებთ, რომ რაიმე მავნოთ, თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, მზადა ვარ ეთმინო თქვენი შემოტევა იმ წყენისათვის, რაც მოგაყენეთ, ოღონდ ყველაფერს საზღვარი აქვს.

— არა, — მიუგო სეგვარიდმა, — ეს არ მოხდება. ახლა აქ ან შენ მოკვდები, ან მე.

მაშინ სერ ტრისტამმაც იშისვლა მახვილი და შეუტია, მოუქნია და ისე გაჭკვეთა მოწინააღმდეგე, რომ გრაფი ძირს მკვდარივით დაეცა.

სერ ტრისტამმა მიატოვა დაჭრილი და წავიდა. იგი ტინტაჯილში დაბრუნდა და ჩუმად ჩაწვა თავის ლოგინში, რადგან არ უნდოდა მისი მძიმედ დაკოდვის ამბავი გაეგოთ. სეგვარიდის კაცები კი წავიდნენ, გვამი თარზე დაასვენეს და შინ ისე წაიღეს. სეგვარიდი დიღხანს იწვა, ვიდრე მძიმე კრილობა მოურჩებოდა და ისევ ფეხზე დადგებოდა.

არც მეფე მარკს უნდოდა გაეგოთ, როგორ დაედევნა, თუ დაუდარაჯდა ღამით სერ ტრისტამს და როგორ დაღაბვრა რაინდმა. სერ ტრისტამმა კი არც იცოდა, თუ მისგან მოწყულული რაინდი მეფე მარკი იყო. ერთ მშვენიერ ღღეს მეფე მარკი მასთან მივიდა, მოიკითხა და ავადმყოფს ნუგეში სცა.

მაგრამ მეფე მარკს აღარ უყვარდა სერ ტრისტრამი. მართალია, ერთმანეთს ისევ აღერსიანი სიტყვებით მიმართავდნენ, მაგრამ სიყვარული მათ შორის აღარ იყო.

ასე გავიდა მრავალი დღე და კვირა. ტრისტრამის მიერ გრაფ სეგვარიდისათვის მიყენებული წყენა დავიწყებას მიეცა, რადგან სეგვარიდი ბედდავდა ამ უებრო რაინდის ორთაბრძოლაში გამოწვევას, თანაც ის ნომ მუფის დისწული იყო! ამიტომ გრაფმა გაჩუმება ამჯობინა, რადგან მალულად შეურაცხყოფილს არასოდეს არ სურს, მისი სირცხვილი ქვეყანას მოედოს.

თ ა ვ ი მ ი თ ე უ თ მ ი ტ ე

როგორ ითხოვა სერ ბლეობერისმა მუში მარკის სასახლის უზრუნველყოფის ქალი, ზალი, წაიყვანა და როგორ ებრძოდნენ მას

ჰოდა, ერთხელ მოხდა ისე, რომ სახელოვანი რაინდი ბლეობერის განელი, — სერ ბლამურ განელის ღვიძლი ძმა და სახელოვანი რაინდის ლანსელოტ ტბელის ახლო ნათესავი, მეფე მარკის სასახლეში მოვიდა და ხელმწიფეს წყალობა გამოსთხოვა: რაც შენს სასახლეში ავალში მომივიდა, ის მომეციო.

ასეთი თხოვნა რომ მოისმინა, მეფე მარკი გაკვირვებული დარჩა, მაგრამ მთხოვნელი მრგვალი მაგიდის რაინდი იყო, ძალზე პატივდებული, და დაეთანხმა, თხოვნას შეგისრულებო.

მაშინ სერ ბლეობერისმა თქვა:

— მე მსურს შევირთო უმშვენიერესი ქალი, რომელსაც სასახლეში ვნახავ.

— ახლა უარს ველარ გეტყვით, — უთხრა მეფე მარკმა. — ამოირჩიეთ.

სერ ბლეობერისმა სწორედ სეგვარიდის ცოლი ამოირჩია, ხელი მოჰკიდა და წაიყვანა. ცხენს მოახტა, ქალი თავის პაეს უკან შემოუსვა და გააკურცხლეს.

როცა სეგვარიდმა გაიგო, მეფე ართურის რაინდმა ცოლი წამგვარაო, მაშინვე აბჯარი აისხა და დაედევნა, რათა მეუღლე გამოეხსნა.

სერ ბლეობერისის წასვლის შემდეგ მარკი და მისი კარისკაცებიც აღშფოთებულნი გაიძახოდნენ, ქალი როგორ წაიყვანაო!

სასახლის კარზე იყვნენ ისეთი ქალებიც, რომელთაც იცოდნენ გატაცებულია და ტრისტრამის სიყვარულის ამბავი. იცოდნენ, რომ ყველა რაინდზე მეტად იმ ქალს ტრისტრამი უყვარდა. ერთმა მათგანმა, ყველაზე უფრო ენად გაკრეფილმა, აშკარად დასდო ბრალი ტრისტრამს, ლაჩარი ყოფილაო, რაინდთა სახელი შეარცხვინაო, თავისი საყვარელი ქალი უცხო კაცს გაატანაო, თანაც ყოველივე ეგ ტრისტრამის ალალი ბიძის სამეფო კარზე მოხდა და როგორი უნაზესი სიყვარული როგორ უხეშად იქნა ფეხქვეშ გათელილი და გასრესილიო.

სერ ტრისტრამმა იმ ენად გაკრეფილს ასე უპასუხა:

— მშვენიერო მანდილოსანო, ჩემი საქმე არ არის ორთაბრძოლაში ვასვლა, როცა აქვეა ქალის ქმარი და პატრონი. აი, ქმარი რომ აქ არ ყოფილიყო, მაშინ, შესაძლოა, ამ სასახლის ღირსებისათვის ქალის დაცვა მეკისრა. ან ლუ სერ სეგვარიდს მარცხი შეემთხვევა, მაშინაც შეიძლება გავესაუბრო იმ კეთილ რაინდს, ვიდრე ამ ქვეყნის საზღვრებს მიატოვებს.

ამ ამბის შემდეგ ძალიან მოკლე ხანში სასახლეს სერ სეგვარიდის საჭურველთმტვირთველი მოადგა და ამბავი მოიტანა, რომ მისი ბატონი დამარცხებულია და სულს ლაფავს. სერ ბლეობერისს გატაცებული ქალი არ დაუნებებია, სეგვარიდს ძალით წართმევა მოუნდომებია. ორთაბრძოლა მომხდარა და სეგვარიდი მძიმედ დაჭრილა.

მეფე მარკი ამ ამბავმა ძლიერ შეაწუხა, მასთან მთელი სასახლე შეფოთავდა, ბორგავდა და გმინავდა. როცა ეს ამბავი სერ ტრისტრამმა გაიგო, შერცხვა, მწარედ დაღონდა, აბჯარი აისხა, ცხენს მოახტა და ახლა ის ჩაუდგა კვალში ბლეობერისს. საჭურველთმტვირთველი გოვერნალი უკან მიჰყვა, ფარი და შუბი მიჰქონდა ბატონისათვის.

ცხენს მიაგელვებს სერ ტრისტრამი, წინ ახლო ნათესავი სერ ანდრეტი შემოხვდება, მიიკითხ-მოიკითხავენ ერთმანეთს, გაირკვევა, რომ სერ ანდრეტისათვის მეფე მარკს დაუვალეებია, მეფე ართურის ორი ხიფათისმაძიებელი რაინდი მომგვარეო სასახლეში მყისვე.

სერ ტრისტრამმა სერ ანდრეტი დაინახა თუ არა, ჰკითხა:

— რა ამბავი მოგაქვს, მოყვარევ?

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე, — მიუგო სერ ანდრეტმა. — უარესი, რა უნდა ვიცოდე, მეფე მარკის დავალებით წავედი, ორი რაინდის მოყვანა მიბრძანა, პირველმა მათგანმა ყურიც არ მათხოვა და დამჭრა.

— ძვირფასო ჩემო, — უთხრა ტრისტრამმა. — განაგრძეთ გზა, მე კი თუ გადავეყარე სადმე იმ ხიფათისმაძიებლებს, იქნებ არც თქვენი წყენა შევარჩინო.

სერ ანდრეტი კორნუელის მხარეს გაეშურა, სერ ტრისტრამი კი იმ ორ რაინდს დაედევნა, რომელთაგანაც ერთს ერქვა საგრამურ სასურველი, მეორეს კი სერ დოდინას მძვინვარე.

თ ა ვ ი მ ა თ ა მ ვ ს მ ა ბ ა

როგორ ებრძოლა სერ ტრისტრამი მრავალი ვაზიდის ორ რაინდს

მალე სერ ტრისტრამმა ორივე რაინდი დაინახა: მიდიან არხეინად, ერთიმეორეზე წარმოსადეგნი.

— სერ, — უთხრა ბატონს გოვერნალმა, — არ გირჩევთ მათთან შებმას: ეს ხომ ართურის სასახლის ორი სახელგანთქმული რაინდია!

— რაც შეეხება შებმა-არშებმას, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — უთუოდ შევებრძოლები, რათა მეტი სახელი მოვიბვექო. აგერ, რამდენი ხანია ხელში მახვილი არ დამიტრიალებია.

— ნება თქვენი, — უთხრა გოვერნალმა.

მაშინ ტრისტრამმა რაინდებს გადასძახა, ვინა ხართ და ამ მხარეში რას აკეთებთო. სერ საგრამურმა სერ ტრისტრამს დაცინვით მოხედა, და პასუხის ნაცვლად, აგდებით თვითონ ჰკითხა:


— სერ, თქვენ კორნუელის რაინდი ხართ?

— რატომ მეკითხებით? — ჰკითხა სერ ტრისტრამმა.

— იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენ, კორნუელელი რაინდები, იშვიათად თუ გამოიჩინებთ თავს სამამაცო საქმეში, — უპასუხა სერ საგრამურმა.

— ორი საათიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ერთი კორნუელელი რაინდი

მემოგვეყარა. სიტყვით რაინდია და თანაც როგორი. საქმით კი მაშინვე მიწაზე აღმოჩნდა... ვფიქრობ, თქვენც იგივე ბედი გეწევათ.

— საყვარელო ლორდებო, — უთხრა სერ ტრისტრამმა.  ვინ/ იცის, იქნებ მე უფრო გამიღიმოს ბედმა. გინდათ თუ არა, უნდაე შეგეჩვენოთ ლორდგან თქვენი დამარცხებული რაინდი ჩემი ნათესავია. ამიტომ ეცადეთ, რომ არ დაიშინოთ! და იცოდეთ: თუ არ გაირჩებით. ერთი კორნუელელი რაინდი თრს მოგივლით!

როგორც კი სერ დოდინას მძვინვარემ ეს სიტყვები გაიგონა, შუბს ხელი სტაცა და თქვა:

— სერ რაინდო, დამიხვდი!

შუბებმომარჯვებულეებმა გაინავარდეს, ერთიმეორეს გაუსწორდნენ, თითქოს მუხმა იქუხაო, ისეთის ძალით აძგერეს ერთმანეთს შუბები.

სერ დოდინასის შუბი ნამსხვრევებად იქცა. სერ ტრისტრამის უფრო ძლიერმა დარტყმამ რაინდი ცხენიდან უკან გადააგდო და კინალამ კისერი მოატეხინა.

შეხედა სერ საგრამურმა, რომ მისი მზღებელი რაინდი მიწაზე გდია და გაუკვირდა ფრიალ: ვინ არის ეს უცნო რაინდი?! მაგრამ ფიქრის დრო არ იყო, შუბი მოიმარჯვა, გაექანა და ტრისტრამს ეტაცა. ორივემ ისეთის ძალით აძგერეს ერთერთს შუბები, გეგონებოდათ, მუხი გავარდაო. სერ ტრისტრამმა სერ საგრამურს ისეთი დარტყმა აგემა, რომ ცხენიანად მიწაზე დასცა და რაინდმა თედო მოიტეხა.

სერ ტრისტრამი კი ეუბნება:

— კეთილო რაინდებო, ხომ არ გეყოფოდათ? ნუთუ მეფე ართურის კარზე უფრო მაგარი რაინდები არ მოინახებიან? თქვენდა სამარცხვინოდ, აგდებულად ლაპარაკობთ და კილავთ კორნუელელ რაინდებს, ხომ ხედავთ, რომელიღაც კორნუელელი რაინდი ორს ერთდროულად გერევათ!

— ეს მართალია, — თქვა სერ საგრამურმა, — ჩვენ ამაში დავრწმუნდით. მაგრამ გთხოვთ, გვითხრათ, ვინა ხართ. ამას ვითხოვ რაინდთა მაღალი ორდენისადმი თქვენი ერთგულებისა და თავდადების გულისათვის.

— თქვენ შაფიცებთ და გინდათ სიმართლე უწყოდეთ, — მიუგო სერ ტრისტრამმა. — რაკი ასე გსურთ, იცოდეთ და დაიმახსოვრეთ: მე ვარ სერ ტრისტრამ ლიონელი, მეფე მელიოდასის ძე და მარკის ღვიძლი დის შვილი. ორმა რაინდმა გაიხარა, რომ თვით ტრისტრამთან ჰქონდათ შუბმის პატივი და შესთხოვეს, შევამხანაგდეთო.

— არა, — მიუგო სერ ტრისტრამმა. — ეს შეუძლებელია. რადგან ჯერ უნდა შევება თქვენს ერთ რაინდს, სახელად სერ ბლეობერის განელს.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე! — უთხრეს სერ საგრამურმა და სერ დოდინასმა.

სერ ტრისტრამი ორივე რაინდს გამოემშვიდობა და თავის გზას ეწია. ბევრი იარა თუ ცოტა, ბოლოს დაინახა: ხეობაში ცხენს მიატყარებდა სერ ბლეობერისი, უკან კი მიძვებოდა საკურთხელომტვირთველი, რომელსაც ცხენზე სევგაროდის ცოლი შემოესვა.

თ ა ვ ი ბ ა ჩ ვ ი დ ვ ა ტ ა

როგორ მხროდა ქალისათვის სერ ტრისტრამი სერ ბლეობერისს და როგორ მხროდა მათს
ქალს არჩივანი, რომელს გავხვიბიო



ქ რ ი ს თ ე ლ ი

სერ ტრისტრამმა ცხენი ააჩქარა და სერ ბლეობერისს დაეწვია.
— შეჩერდი, ართურის სასახლის რაინდო! — შესძახა — ეს ქალი უკანვე წაიყვანე, ან მე ჩამაბარე!

— არც ერთს ვიზამ და არც მეორეს, — მიუგო სერ ბლეობერისმა, — კორნუელში არ მეგულება ისეთი რაინდი, რომელსაც შიშით ქალს დავუთმობდი.

— როგორა გგონიათ? — გაიცინა ტრისტრამმა, — განა კორნუელელი რაინდები სხვაზე ნაკლებნი არიან? აგერ დღეს, აქედან სამ მილზე, ორი თქვენი რაინდი გამოვცადე და ვიდრე ერთმანეთს დავშორდებოდით, დარწმუნდნენ, რომ კორნუელის მკვიდრნი არავის არაფერში დაუთმობენ.

— რა ერქვათ? — ჰკითხა სერ ბლეობერისმა.

— სერ, მათ მითხრეს, რომ ერთის სახელია სერ საგრამურ სასურველი, მეორესი კი სერ დოდინას მძვინვარე.

— ეჰე! — შესძახა სერ ბლეობერისმა. — აი, თურმე ვის შეხვედრიხართ! ღმერთი იყოს ჩემი შემწე, ესენი კეთილი რაინდები და სახელოვანი მეომრები არიან და, რაკი მათ მოერიეთ, მაშ აავადაც გამოჩენილი რაინდი უოფილსართ. მაგრამ თუ იმ ორს სძლიეთ, სულერთია, მე ვერ დამაშინებთ და ვიდრე ამ ქალს წაიყვანთ, ჯერ მეც უნდა მომერიოთ.

— მაშინ თავი დაიცავით! — შესძახა სერ ტრისტრამმა.

რაინდებმა გაინავარდეს, გამოეჩანენ, ერთიმეორეს ეტაკნენ და თითქოს ნებმა იქუხაო, ორივე ცხენებიანად ვადატრიალდა პაერში. ძირს დაცემულებმა უზანგებიდან ფეხები გაითავისუფლეს, ხმლები იშიშვლეს, ეკვეთნენ ერთიმეორეს, შეუპოვრად სცემდნენ ხან აქედან, ხან იქიდან, ხან დაშორდებოდნენ, ხან დაუახლოვდებოდნენ, ხან მარჯვნივ მოექცეოდნენ, ხან მარცხნივ — და ასე გაგრძელდა ორ საათზე მეტ ხანს. ზოგჯერ ისე გამძვინვარებით ეკვეთებოდნენ ერთმანეთს, რომ ორივე ძირს ეცემოდა და მიწაზე გორაობდნენ.

ბოლოს სერ ბლეობერისმა ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და თქვა:

— მაცალე, კეთილშობილო რაინდო, ხელი შეაჩერე და ვისაუბროთ.

— თქვით, რა გნებავთ, და, თუ შევძელი, ვიპასუხებთ.

— სერ, მე მინდა, ვიცოდე, ვინა ხართ, ვინ იყვნენ თქვენი მშობლები და რა გქვიათ.

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე, — მიუგო სერ ტრისტრამმა. — არ მეშინია სახელის თქმისა, იცოდეთ, მეფე მელოდასის შვილი ვარ. დედაჩემი მეფე მარკის და იყო, ჩემი სახელი კი ტრისტრამ ლიონელია, მეფე მარკი ჩემი ღვიძლი ბიძაა.

— ჰეშმარიტად, — თქვა ბლეობერისმა, — ბედნიერი ვარ, რომ თქვენ შეგვეყარეთ. თქვენ ხომ ის რაინდი ყოფილხართ, რომელმაც კუნძულზე მოკლა რაინდი მარკაუსი, პირისპირ შეხვდა ირლანდიელს და იხსნა კორნუელი ხარკისაგან. თქვენვე სძლიეთ სერ პალომიდი ირლანდიაში გამართულ ტურნირზე, როცა მან ერთმა სძლია სერ გავენი და მისი ცხრა ამხანაგი.

— ღმერთი შემეწიოს, — მიუგო ტრისტრამმა. — სწორედ ის რაინდი

გახლავართ. ახლა კი, როცა ჩემი გითხარით, თქვენი სახელიც გამაგებინეთ.

— ხალისით და სიამოვნებით, — მიუგო ბლეობერისმა. — ~~მე~~ გახლავართ სერ ბლეობერის განელი, ჩემი ძმია ბლამურ განელი, ის ცნობილია თავისი რაინდული დიდებით. დისწულები ვართ სერ ლანსელოტისა, რომელიც ქვეყნიერების ერთ-ერთ უპირველეს რაინდად იფასობოდა.

— ეს მართალია, — თქვა სერ ტრისტრამმა. — სერ ლანსელოტი ცნობილია, როგორც სწორუპოვარი რაინდი. სწორედ მისი ხაზრით აღარ ვიბრძოლებ თქვენთან, იმ დიდი სიყვარულისათვის, რითაც გამსჭვალული ვარ სერ ლანსელოტისადმი.

— ვფიცავ. — თქვა სერ ბლეობერისმა, — არავითარი სურვილი არა მაქვს მეც თქვენთან ბრძოლისა, და რაკი ამ ქალის გამოსახსნელად დამედევნეთ, ჩემს რაინდულ თავაზსაც გაჩვენებთ. ქალი ჩვენ ორს შორის დავაყენოთ და, რომელსაც ინდომებს, მშვიდობიანად იმას გაჰყვეს.

— თანახმა ვარ, — მიუგო სერ ტრისტრამმა. — რადგან მგონია, რომ თქვენი მიტოვება და ჩემთან წამოსვლა აქვს განზრახული.

— აგერ, ახლა ვნახავთ, — თქვა სერ ბლეობერისმა.

თ ა ვ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ბ ე

როგორ უარყო ძალმა სერ ტრისტრამი და აღარა სერ ბლეობერისთან, და როგორ ისურვა მართლად დაბრუნება

შუაში რომ დააყენეს, ქალი ტრისტრამს მიუბრუნდა და უთხრა:

— იცოდე, სერ ტრისტრამ ლიონელო, რომ სულ ამ ცოტა ხნის წინ ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდი და შენი იმედიც მქონდა. მეგონა, შენც ყველა სხვა ქალზე მეტად გიყვარდი, მაგრამ როცა სერ ბლეობერისმა ძალით წამომიყვანა, ხელი არ გამოიღე, დამთმე, ჩემი ქმარი დამედევნა, შენ კი უხმოდ მიდექი ჩრდილში, შენს სიყვარულში ეჭვი შევიტანე და აღარც მიყვარხარ.

ესა თქვა და სერ ბლეობერისს ამოუდგა გვერდით. ეს რომ ნახა, სერ ტრისტრამი ძალიან გაჩაგრდა ქალზე, ხელცარიელს სასახლეში დაბრუნებისა ც შერცხვა.

იმავე წამს სერ ბლეობერისმა სერ ტრისტრამს უთხრა:

— ეს კი თქვენი ბრალია. როგორც დავრწმუნდი, ყველა რაინდზე მეტად ჰყვარებიხართ ამ ქალს და თქვენი იმედიც მქონია, ხოლო, რაკი მისი ნდობა გააწბილეთ და მოატყუეთ, ნულარ გიკვირთ, რომ მანაც ხელი აიღო თქვენზე, თქვენდამი პატივისცემისათვის მე მაინც მზად ვარ დაგიტოვოთ იგი, თუ თვითონ ისურვებს თქვენთან წამოსვლას. ძალით კი ვერ გააჩერებ.

— არა, — თქვა ქალმა. — ღმერთმა დამიფაროს, მე მაგასთან არ წავალ. რადგან, ვინც მიყვარდა, ვისიც მჭეროდა, მან მიმატოვა გასაჭირში. ამიტომაც, სერ ტრისტრამ, იჩქარეთ იქით, საიდანაც მოხვედით. თუმცა ამ რაინდსაც სძლიეთ და ასეც უნდა მომხდარიყო, მე მაინც შენთან აღარ წამოვალ, მე წევთხოვ ამ ეგზომ თავაზიანსა და კეთილშობილ რაინდს, რომ ვიღრე ამ ქვეყნის საზღვრებს გასცილდება, იმ სამყოფელში მიმიყვანოს, სადაც ჩემი ქმარი, სერ სეგვარიდი, წევს.

— ღმერთი იყოს ჩემი მფარველი. — თქვა სერ ბლეობერისმა. — მოგეზუნებათ, კეთილო რაინდო სერ ტრისტრამ, მე ხომ მეფე მარკმა მომცა არჩე-

ვანის უფლება, რომ რაც მის სასახლეში მომეწონებოდა, იმას მივიღებდი. ყველაზე მეტად ეს ქალი მომივიდა თვალში, და თუმცა გათხოვილია, ქმარი ჰყავს, მაინც წამოვიყვანე. ახლა, როცა ჩემი რაინდული ვალი აღვასრულე, მას უკანვე მივგერი ქმარს, უფრო კი თქვენი სიყვარულისა და პატივისცემისათვის, სერ ტრისტრამს. ხოლო თუ თქვენთან წამოსვლაზე დათანხმდებოდნენ, მათ უკვე ჩემი ჩაგაბარებთ.

— მადლობელი ვარ, — მიუგო სერ ტრისტრამმა. — მე კი მისი წყალობით ამიერიდან მეცოდინება, რანაირი ქალი უნდა მიყვარდეს, რომელს უნდა მივენდო. მისი ქმარი სერ სეგვარიდი რომ სხვაგან ყოფილიყო, პირველი დაგედევნებოდი. ახლა კი, როცა ანისათვის უარმყო, უკვე ვისწავლე, ვინ უნდა მიყვარდეს და ვის ვერწმუნო.

ამის შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ. სერ ტრისტრამი ტინტაჯილში დაბრუნდა, სერ ბლეობერისი კი იქით გაემართა, სადაც სერ სეგვარიდი იწვა მძიმედ დაკრილი, ცოლი დაუბრუნა და ცხენი უკანვე გააქროლა, როგორც კეთილშობილმა რაინდმა.

თავისი ცოლი რომ დაინახა, სერ სეგვარიდი დამშვიდდა. ქალმა ქმარს უთხრა, სერ ტრისტრამმა ჩემი გულისათვის ფიცხელ ბრძოლაში დაამარცხა სერ ბლეობერისი და აიძულა ჩემი თავი უკანვე მოეყვანათ. ეამა სერ სეგვარიდს, რომ ტრისტრამმა ასეთი საქმე გაუკეთა. ქალმა კი მეფე მარკსაც უამბო, რა სასტიკი ბრძოლა გადახდა სერ ტრისტრამს ბლეობერისთან.

თავი მეცხრამეტე

როგორ გავზავნა მეფე მარკმა სერ ტრისტრამი ირლანდიაში მოგზაობის, იხოლდასთან და როგორ შემთხვევით მიადგა იგი ინგლისის სანაპიროს

მაშინ მეფე მარკმა თავის გულში გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაეღუპა სერ ტრისტრამი და ასე მოიფიქრა: მაქანკლად უნდა გავაგზავნოთ ირლანდიაში. ისე უქებდა ტრისტრამი იხოლდას, რომ მეფე მარკმა საქვეყნოდ განაცხადა: მშვენიერი იხოლდა ცოლად უნდა შევირთოთ. ამ საქმის აღსასრულებლად მარკმა ირლანდიაში გასაგზავნად სამოციქულო დავალებით ტრისტრამი შეარჩია. სინამდვილეში ეს ამისათვის მოიგონა, რომ იქ ტრისტრამი მოეკლათ. მაგრამ ვერც საფრთხემ, ვერც დაღუპვის მუქარამ ვერ შეაცვლევინეს ტრისტრამს განზრახვა, რომ ბიძის დავალება აღესრულებინა. ჰოდა, ის იყო გაემზადა სამგზავროდ, ყოვლად ღირსეულად გამოეწყო, მიყვანა ურჩეულები რაინდები, რომლებიც სასახლეში შეიძლებოდა შეერჩია, გამოაწყო საუკეთესოდ, როგორც მაშინდელი წეს-ჩვეულება მოითხოვდა. ასე ჩაჯდა ტრისტრამი თავის რაზმთან ერთად გემში და ზღვაში გავიდა. მაგრამ ღია ზღვაზე უეცრად ქარიშხალი ამოვარდა და გემი ისევ ინგლისის ნაპირებს მიადუნა. კამელოტის სანაპიროზე აღმოჩნდნენ და მათს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ ხმელეთზე მშვიდობიანად გადასვლა მოახერხეს. იქ კამელოტის მიწაზე კარავი გამართეს და სერ ტრისტრამმა ზედ თავისი ფარი აღმართა.

იმ დღეს იქ გზად გაიარა მეფე ართურის ორმა რაინდმა. ერთი იყო სერ ექტორ მენაპირე, მეორე კი სერ მორგანორი. ამ ორმა ფაოს მახვილი დაქკრა და ტრისტრამი გამოიწვია: გამოდი და შეგვები, თუ გასურსო.

— ახლავე მიიღებთ პასუხს, — გამოეხმაურა ტრისტრამი. — ცოტა მადროვეთ.

საომრად გაემზადა და ჯერ სერ ექტორი დასცა, შემდეგ კი სერ მორვანორი. ორივე ერთი შუბით დასცა და ორივე ძლიერ დაშავდა. შიშვენი დაგარდნილებმა ჰკითხეს, ვინა ხარ და რომელი ქვეყნიდან მოხვედრილია?

— ძვირფასო ლორდებო, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — იცოდეთ, კორნუელიდან ვარ.

— აფსუს! — თქვა სერ ექტორმა. — ვაი, სირცხვილო, რომ კორნუელის რაინდმა მძლია!

ამაზე გულმოსულმა ექტორმა აბჯარი შემოიძარცვა, გადაყარა და გზას ფეხით გაუდგა.

თავი მეოცე

როგორ დაიბარა ირლანდიის მეფე ანგვისანსი ლალატისათვის მეფე ართურმა თავის სასახლეში

სწორედ იმ დროს მოხდა ის, რომ ძმებმა სერ ბლეობერის განელმა და სერ ბლამურ განელმა ირლანდიის მეფეს ანგვისანსს გადასცეს მეფე ართურის ბრძანება, დაუყოვნებლივ სასახლეში გამოეცხადდი, თუ არ გსურს მეფის წყალობა დაკარგო. თუ დანიშნულ დღესა და საათს არ ეახლები, ირლანდიის ტახტსა და ყველა მამულს გამოეთხოვები.

მაგრამ იმ დღეს მოხდა ისე, რომ სამსჯავროზე არც მეფე ართური იყო, არც სერ ლანსელოტი, რადგან ორივე მხიარულ საგუშაგოს კოშკში აღმოჩნდა. ამიტომ მეფე ართურმა მსაჯულებად მეფე კარადოსი და სკოტების მეფე დანიშნა.

მეფეებმა კამელოტში ჩასვლა არ დააყოვნეს და იქვე მივიდა მეფე ანგვისანსიც, რათა თავისი ბრალმდებლები ენახა. მის წინააღმდეგ გამოვიდა სერ ბლამურ განელი და ირლანდიის მეფეს ლალატი დასწამა — ვერაგულად მოკლაო თავის სასახლეში ჩვენი ნათესავი. მეფე ამ სიტყვამ სულ დააბნია, რადგან აქამდე არც კი იცოდა, რისთვის იბარებდა ართური.

ახლა, როცა მოისმინა ბრალდება, სხვა გზა აღარ დარჩენოდა, ყველაფერი რაინდულად უნდა უკუეგდო, რადგან იმ დროს ასეთი წესი იყო: თუ ვინმეს ბრალს სდებდნენ ლალატში ან მკვლელობაში, ორთაბრძოლაში უნდა გამოეწვია ბრალმდებელი, ან თავისი სახელით სხვა ვინმე რაინდი უნდა გამოეყვანა, რომელიც მის ღირსებას დაიცავდა. იმ ქამთა შინა მკვლელობა ლალატად ითვლებოდა.

ამიტომაც, ასეთი ბრალდება რომ მოისმინა, მეფე ანგვისანსი სულით დაეცა, რადგან იცოდა, ბლამურ განელი სახელოვანი რაინდი იყო. თანაც პასუხის დაყოვნება აღარ ეგებოდა. მსაჯულებმა სულ სამი დღის ვადა მისცეს, მანამდე კი თავის სამყოფელში გაუშვეს.

ამ სამი დღის გასვლამდე ტრისტრამის კარავს ერთმა ქალმა გოდებით ჩაუყარა. რალაცას ჩიოდა, მოთქვამდა და ვალალებდა.

— რა მოგივიდათ? — ჰკითხა ტრისტრამმა. — რა ტყემა-ტირილს მოკყოლობართ?

— აჰ, ძვირფასო რაინდო! — მიუგო ქალმა. — თუ რომელიმე კეთილ-

შობილი რაინდი არ გამომიჩნდა ქომაგად, თავი მომეჭრება! ერთმა ბანოვანმა ფარი გამატანა საჩუქრად სერ ლანსელოტთან, მაგრამ გზაში რომელიღაც რაინდი შემომხვდა. ცხენიდან გადმომავდო და ფარი წამართვა.

— რა გაეწყობა, ქალბატონო, — მიუგო ტრისტრამმა, — უნდაც ჩემი ბატონის სერ ლანსელოტის პატივისცემით იმ ფარს დაეაბრუნებინებოდა არა-და, ორთაბროძოლაში დავმარცხდები.

ტრისტრამი მაშინვე ცხენს მოახდა და ქალს ჰკითხა: — რა მხარეს გააქროლაო ცხენი იმ რაინდმა. ქალმა უჩვენა გზა და ტრისტრამიც იქით გაეშურა, მალე დაეწია რაინდს და უთხრა, უკან მობრუნდი და ქალს თავისი ფარი დაუბრუნეო.

თ ა ვ ი ო ც ჯ ა მ ე რ თ ე

როგორ დაიცვა ტრისტრამმა კაპი რაინდისაგან და როგორ უამბო გოვერნალმა ანგვისანსის ამბავი

რაინდი მაშინვე მობრუნდა და საომრად გაემზადა, მაგრამ ტრისტრამმა ისე დაჰკრა ხმალი, რომ მიწაზე დააგორა. დამარცხებული რაინდი მაშინვე დანებდა.

— ასეა ხომ საქმე? — უთხრა სერ ტრისტრამმა, — მაშ ახლავე უკან წადი და ქალს ფარი დაუბრუნე.

მორჩილად დაჯდა რაინდი ცხენზე და უკან გამოჰყვა, სერ ტრისტრამმა კი გზაში ჰკითხა, ვინა ხარ და რა გქვიაო.

— სერ, — მიუგო, — ჩემი სახელია ბრიუს უმოწყალო, — ხოლო როცა ქალს ფარი დაუბრუნა, ტრისტრამს უთხრა: — სერ, ამით ყველაფერი გამოსწორებულია.

მაშინ სერ ტრისტრამმა ბრიუს უმოწყალო გაუშვა, რაც შემდეგ მწარედ ინანა, რადგან ეს იყო ართურის სასახლის მრავალი კეთილი რაინდის დაუძინებელი მტერი.

მალე ამის შემდეგ კარავში მოვიდა მისი მსახური გოვერნალი და მოუთხრო, თუ რა გასაჭირში იყო ჩავარდნილი ირლანდიის მეფე ანგვისანსი.

გოვერნალმა უამბო ტრისტრამს, თუ როგორ დასწამეს ანგვისანსს ღალატი და როგორ წაუყენეს მკვლელთა ბრალდებად.

— ღმერთი იყოს ჩემი მფარველი, — თქვა ტრისტრამმა. — ეს საუკეთესო ამბავია, რაც კი ამ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში მსმენია. ახლა ირლანდიის მეფეს ჩემი სამსახური დასჭირდება. მე მგონია, ამ ქვეყანაში გაძნელებია ისეთი რაინდის პოვნა, სერ ართურის სასახლეს რომ არ ეკუთვნოდეს და სერ ბლამურ განელთან ორთაბროლაში გასვლა გაბედოს, მე კი, ირლანდიის მეფის გულის მონადირების მიზნით, ამ ორთაბროლაში უნდა გავიდე. ამიტომ გავალეხ, გოვერნალ, წადი მეფესთან და ჩემი განზრახვა გადაეცი.

ასე ეახლა გოვერნალი ირლანდიის მეფეს და მოწიწებით მიესალმა. მეფემ პატივით მიიღო და ჰკითხა, რაზე შეწყუბუღებარო.

— სერ, — მიუგო მან, — აქვე მახლობლად იმყოფება ერთი რაინდი, რომელსაც თქვენთან საუბარი სურს. მისი მახვილი მზადაა თქვენდა სამსახურად.

— ეს ვინ რაინდია? — ჰკითხა მეფემ.

— ესაა სერ ტრისტრამ ლიონელი. მზადაა, აქვე სიკეთით გადაგვხადოთ იმ სიკეთისათვის, რაც თქვენს ქვეყანაში მისთვის გამოიჩინეთ.

— წავიდეთ, კეთილადამიანო, — უთხრა მეფემ, — ახლავე წამოყვანეთ სერ ტრისტრამთან.

მეფე ტანმორჩილ ცხენს მოახტა და მცირე ამალის თანხლებით ტრისტრამის კარავს მიადგა. როგორც კი მეფე დაინახა, ტრისტრამი მის შესახვედრად გაეშურა. უნდოდა უზანგი დაეჭირა, მაგრამ მეფე სასწრაფოდ დაქვეითდა და რაინდს გადაეხვია.

— ჩემო უკეთილშობილესო ბატონო, — უთხრა სერ ტრისტრამმა. — მადლობელი ვრჩები იმ წყალობისა და აღერისათვის, რითაც თქვენს ქვეყანაში ვიყავი აღვსილი და გარემოცული. მე ხომ მაშინაც აღვითქვით, რომ სიამოვნებით გაგიწევდით სამსახურს, თუ შემთხვევა მომეცემოდა.

— აჰ, ძვირფასო რაინდო, — უთხრა მეფემ სერ ტრისტრამს. — სწორედ ახლა მჭირდება თქვენი სამსახური. არასოდეს არავისათვის დახმარება არ მიუხოვია.

— ასეთი რა მოხდა, ჩემო ბატონო?

— ახლავე აგისხნით, — მიუგო მეფემ, — სამსჯავროს წინაშე უნდა წარვსდგე, ჩემს ქვეყანაში ერთი რაინდი მოჰკლეს, რომელიც სერ ლანსელოტს ნათესავად ერგებოდა. ამის გამო სერ ბლამურ განელი ბრძოლაში მიწვევს, ანდა ჩემს მაგივრად ვინმე რაინდის გამოყვანას მოითხოვს ორთა შერკინებაში. დანამდვილებით ვიცი, რომ ცოცხალთაგან ყველა რაინდი, ვის ძარღვებშიც მეფე ბანის სისხლი დუღს, იგივე სერ ლანსელოტი იქნება, თუ ის ორი ძმა, ბრძოლაში უაღრესად დახელოვნებული და ძალუში მეომრები არიან და მათთან გამარჯვება უფრო ძნელია, ვიდრე მშვიერ ლომთან საჭმლის გამო სამკვდრო-სასაცოცხლოდ შებმა და ომი.

— სერ, — უთხრა ტრისტრამმა, — იმ გულკეთილობის გამო, რაც ჩემდამი ირლანდიაში გამოიჩინეთ. ავრეთვე, ჩემი მხსნელის, თქვენი ასულის — მშვენიერ იზოლდას გულისათვის. მე ვიკისრებ ამ ორთაბრძოლაში გასვლას, ოღონდ ორი პირობით: შემომფიცეთ, რომ სიმართლე თქვენს მხარესაა, და რომ ის რაინდი თქვენი დასტურით არ მოუკლავთ, და მეორე, — განავრძო სერ ტრისტრამმა, — გამარჯვების შემდეგ: თუ ღმერთმა ინება და ვაგიმარჯვე, მომეცი თ ის, რასაც გთხოვთ.

— ღმერთია მოწამე, — თქვა მეფემ, — თქვენ მიიღებთ, რასაც ითხოვთ.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე ო რ ა

როგორ იბრძოდა სერ ტრისტრამი სერ ანჟვისანის სახელით, როგორ დაამარცხა ვინა მოკირდაკირე და როგორ არ უნდოდა დაამარცხებულს დანებება

— კეთილი, — თქვა სერ ტრისტრამმა. — ახლა კი შეატყობინეთ, რომ თქვენი ღირსებისა და სიცოცხლის დასაცავად მზადა ვარ ორთაბრძოლაში გასასვლელად და უმაღ მოგკვდები, ვიდრე უკან დავიხევ და დავნებდები.

— თქვენს ძალასა და სიკეთეში ეჭვი არ მეპარება, — უთხრა მეფემ, — იუნდაც თვით სერ ლანსელოტ ტბელთან მოგიხდეთ შებრძოლება.

— რაც შეეხება სერ ლანსელოტს, ქვეყნად უდიდესი და უკეთილშობილესი რაინდის სახელი აქვს გავარდნილი, ის ორი რაინდიც მისი სისხლისაა და

ღირსეულ ვაჟკაცებს მხოლოდ სირცხვილის ეშინიათ. რაც შეეხება სერ ბლეობერისს, სერ ბლამურის ძმას, მე მასთან მიბრძოლია და ამიტომაც თავს გეფიცებით, მისი შერაცხვა ღირსეულ რაინდად სულაც არ მერცხვინება.

— სერ, — თქვა მეფემ, — ამბობენ, რომ მათგან სერ ბლამური უფრო ძლიერია.

— თუ ასეა, მით უკეთესი! თუნდაც უკეთესი იყოს მასთან, მაინც მისი უტარებია, არც მაშინ ვიტყვი უარს მასთან შებმაზე.

ასე წავიდა მეფე ანგვისანსი მეფე კარადოსთან და სხვებთან, რომელნიც მოსამართლეებად დანიშნეს, და განუცხადა: რაინდი, ვინც ჩემს მაგიერ ორთაბრძოლაში ჩაებმება, მზად არისო საბრძოლველად. მაშინ მეფეებმა კაცები მიუგზავნეს სერ ბლამურ განელსა და სერ ტრისტრამ ლიონელს, რათა მოესმინათ ორთაბრძოლის პირობები. როცა ორივენი გამოცხადნენ დანიშნულ ადგილზე, იქ უკვე მრავალ მეფესა და ბარონს მოეყარა თავი. იქვე იხილეს პირველად ტრისტრამი, მისი დიდების ამბავი კი უკვე სმენოდათ: მან ხომ ორთაბრძოლაში მოკლა სერ მარტაუსი, სახელგანთქმული რაინდი. მანვე სძლია მეორე დიდებით მოსილ რაინდს სერ პალომიდს.

ორთაბრძოლაში მონაწილე რაინდები გააფრთხილეს, საბრძოლველად მოემზადნენითო. რაინდებმა ერთი გაინავარდეს და იქვე შემოაბრუნეს ბელაურები. ბრძოლის დაწყებამდე სერ ბლეობერისმა უთხრა სერ ბლამურს:

— საყვარელო და ძვირფასო ძმაო, გახსოვდეთ, ვისი გვარისანი ვართ და ვინაა სერ ლანსელოტ ტბელი, რომელსაც ძმის მხრიდან ვენათესავებიო. ჩვენ ხომ მისი ღვიძლი ძმისწულეები ვართ. არასოდეს ჩვენს გვარს ბრძოლაში სირცხვილი არ უქამია და ამიტომ, ძმაო, ჯობს მოკვდე, ვიდრე თავი შეირცხვინო.

— ძმაო, — მიუგო სერ ბლამურმა. — ეჭვი არ შეგეპაროთ, მე ჩვენს გვარს არ შევარცხვენ. მართალია, ის რაინდი, ვისაც უნდა შევება, ამჟამად მთელს ცისქვეშეთში ერთ-ერთი საუკეთესოდ ითვლება, მაგრამ არ დავნებდები და სამარცხვინო სიტყვებს არ წარმოვთქვამ. შესაძლოა თავისი რაინდული ძლიერებით კიდევ დამჯაბნოს და დედამიწაზე დამაგდოს, მე მაშინაც იმას ვამჯობინებ, მომკლას, ვიდრე შეწყალება ვითხოვო.

— ღმერთმა ინებოს თქვენი წარმატება, — უთხრა სერ ბლეობერისმა, — რადგან თვითონვე დარწმუნდებით, რომ ის უძლიერესი რაინდია მათგან, ვისაც ოდესმე შებრძოლებიხართ. მე ხომ ვიცი, მე თვითონ შევხვედრივარ ორთაბრძოლაში.

— ღმერთი შემეწიოს! — თქვა სერ ბლამურმა.

ასე შესხდნენ ცხენებზე ერთი აქეთა, მეორე იქითა მხარეს. შუბები მოიმარჯვეს, წინ გაიშვირეს და ისე დაეტაკნენ ერთმანეთს, თითქოს ცამ იქუხათ. სერ ტრისტრამმა თავისი უჩვეულო ღონით მაშინვე ცხენიანად დასცა დედამიწაზე სერ ბლამური.

მაგრამ სერ ბლამურმა მყისვე გამოიხსნა ფეხები უზანგებიდან. ფარს წამოავლო ხელი, ხმალი იშიშვლა, წინ გაექანა და სერ ტრისტრამს უკიფინა, ცხენიდან გადმოხდით.

— რადგან ჩემმა ცხენმა ზურგით ვერ მატარა, ღმერთია შემწე, იქნებ დედამიწამ გამიძლოს!

მაშინ სერ ტრისტრამიც დაქვეითდა. საბრძოლველად გაემზადა, და და-

იწყო გაშმაგებული დაპყარ-დაპყარი. რაინდები უწყალო დარტყმებს ავებდნენ ერთიმეორეს და ცდილობდნენ მოწინააღმდეგის დარტყმა აეცილებინათ. ყველა მეფე და ბარონი გაოცებული იყო, ამდენი ძალა საიდან აქვთო, რადგან გიჟებით იბრძოდნენ. არასოდეს მანამდე ასეთი გაშმაგებით არ რაინდს არ უბრძოლია. სერ ბლამური ისე ცეცხლივით ეკვეთებოდა ხოლმე, რომ ტრისტრამს სულის მოთქმის დრო არ რჩებოდა, და მართლაც გასაოცარი იყო, როგორღა იდგნენ ფეხზე. მიწა კი ერთიანად სისხლით შეიღებდა. ბოლოს მაინც სერ ტრისტრამმა იმარჯვა და ასე დაპყრა მუზარადზე ხმალი, რომ ბლამური ძირს დავარდა, გვერდზე დაეცა, სერ ტრისტრამი კი თავზე ადგა და არ იძვროდა.

თავი მცდამესამე

აქა აგაპი, როგორ სურდა სერ ბლამურს, რომ ტრისტრამს ის მოეპლა, როგორ დაინდო სერ ტრისტრამმა და როგორ მოხდა მათი შეთანხმება

სერ ბლამურმა ძალა მოიკრიბა და თქვა:

— სერ ტრისტრამ, შენა ხარ ყველაზე უფრო გამოჩენილი რაინდი, ვინც კი ოდესმე ქვეყნად შემხვედრია, ამიტომ გვედრები მომკლა, რადგან მთელი ქვეყნიერებაც რომ მომცენ, სირცხვილელს სიცოცხლე აღარ მსურს. მიჯობს აქვე პათოსნად მოგვკდე, ვიდრე შერცხვნილმა ვიარო ქვეყანაზე. სერ ტრისტრამ, თუ გამარჯვებული გინდა დარჩე, ჩემი მოკვლა აუცილებელია. ჩემგან შენ ვერ მოისმენ; შემიწყალე, შემიბრალე და შემიხდე-მეთქი. ამიტომ დამკარ მახვილი თუ შეგიძლია, მე ამას მოვითხოვ.

სერ ტრისტრამმა რომ ასეთი რაინდული სიტყვები მოისმინა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ახსოვდა, რა ჩამომავლობისაც იყო დედისა და მამის მხრიდან სერ ბლამური, იცოდა ისიც, რომ იგი სერ ლანსელოტის ნათესავი იყო და არ უნდოდა რაინდი მოეკლა. მაგრამ არჩევანიც აღარა ჰქონდა, ან სერ ბლამური უნდა მოეკლა, ან მისგან შეწყალების სათხოვნელი სამარცხვინო სიტყვები მოესმინა.

სერ ტრისტრამმა უკან დაიხია და მოსამართლე მეფეებთან მივიდა. მუხლი მოუყარა მათ და დააფიცა მეფე არტურისა და სერ ლანსელოტის გულისათვის — სერ ბლამურის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი თქვენ თვითონ გადაწყვიტეთო.

— ძვირფასო ლორდებო, — თქვა მან, — ყოველგვარი სიბრალულის ღირსია ის რაინდი, იქ, მინდორზე რომ წევს და შეწყალებას არ ითხოვს, თავად მოისმინეთ მისი ნაუბარი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მან სიკვდილი ან სირცხვილი ჩემი ხელიდან მიიღოს. რაც შეეხება ჩემს მეფეს, რომლის ერთგული ჰქმნაგიც მე ვარ, თვითონ გამოვთხოვ ნებას, რომ შეურაცხყოფა შეუნდოს.

— ღმერთია მოწამე, — დაუდასტურა ანგვისანსმა, — თქვენთვის, სერ ტრისტრამ, ისე მოვიქცევი, როგორც მეტყვით და მზად ვარ, ვთხოვო მოსამართლე მეფეებს, გადაწყვეტილება თვითონვე გამოიტანონ.

მაშინ მეფეებმა სერ ბლეობერისი მიიწვიეს და რჩევა ჰკითხეს.

— ლორდებო, — თქვა სერ ბლეობერისმა, — მართალია, ჩემი ძმა იარადის ძალით ძლეული და მიწაზე გართხმულია, მაგრამ ვიცი, მისი სხეულის დამარცხებით სერ ტრისტრამმა ვერ ვატეხა მისი უტეხი სული, ამიტომ ღვთის

შეწევნით ის შერცხვინილი არაა და ვიდრე სირცხვილელი შეიქმნებოდეს, მე მოვითხოვ სერ ტრისტრამისაგან, მოკლას ჩემი ძმა!

— ვერ ჩავიდნით ამას! — თქვენს მეფეებმა — მოწინააღმდეგე მეფეებმა და მისმა რაინდებმა შეუნდეს, სერ ბლამურის რაინდული კეთილშობილება და აფასეს და ჩვენ სიცოცხლე უნდა შევუნარჩუნოთ სერ ბლამურისათვის.

— ლორდებო, — თქვა ბლეობერისმა, — იყოს ნება თქვენი!

მაშინ ლორდებმა ირლანდიის მეფე მოიხმეს, იგი კარგ გუნებაზე აღმოჩნდა და არც მისი დაყოლიება გაუჭირდათ. მერმე ერთობლივი გადაწყვეტილების მიხედვით, სერ ტრისტრამმა და სერ ბლეობერისმა სერ ბლამური ფებზე წამოაყენეს, ორივე ძმა შეარიგეს მეფე ანგვისანსთან, სამივენი ერთიმეორეს გადაეხვივნენ და სამუდამო მეგობრობის ფიცით შეიკრნენ. სერ ტრისტრამი და სერ ბლამურიც გადაეხვივნენ ერთიმეორეს და დაიფიცეს, ერთიმეორის წინააღმდეგ მახვილი აღარ გაეშიშველებინათ. იმ რაინდული ორთაბრძოლის შემდეგ სერ ლანსელოტის მთელს გვარს სერ ტრისტრამი სალოცავ ხატად მიაჩნდა.

ამის შემდეგ მეფე ანგვისანსი და სერ ტრისტრამი ყველას დაემშვიდობნენ და ზეიმითა და სიხარულით მიაშურეს ირლანდიას. როგორც კი ირლანდიაში ჩავიდნენ, მეფის ბრძანებით მთელს ქვეყანას აუწყეს, როგორ გამოიღო თავი მასი გულისათვის სერ ტრისტრამმა და რა მოხდა. მაშინ კი დედოფალმაც და დიდებულმა კარისკაცებმაც პატივ-დიდებით მიიღეს ტრისტრამი. მაგრამ სიხარულს, რითაც მას მშვენიერი იზოლდა შეხვდა, ვერავინ გადმოსცემს, რადგან ქვეყნად ტრისტრამივით არავინ უყვარდა.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ა ო ო თ ხ ა

აქა ამავე, როგორ თხოულობდა სერ ტრისტრამი მშვენიერ იზოლდას მეფე მარკისათვის, როგორ მისცეს იზოლდას და ტრისტრამმა სიხარულის სასმელი

ჰოდა, ერთხელ მეფე ანგვისანსმა ტრისტრამს პკითხა, რატომ დაპირებულ საჩუქარს არა მთხოვო. სერ ტრისტრამმა მიუგო:

— ჰო, ახლა კი დადგა დრო ხვაშიადის გამეღაცნებისა. აი, სერ, რა მინდოდა: მომეცით თქვენი ასული მშვენიერი იზოლდა — ჩემთვის კი არა, ბიძაჩემისათვის, მეფე მარკისათვის, რომელსაც უნდა, ის ცოლად შეირთოს. მე კი ამ საქმეში მეფე მარკს დახმარება აღვუთქვი.

— აფსუსს! — თქვა მეფემ, — თქვენ პირადად რომ შეგერთოთ, სართად მოგცემდით ყველა მიწას, რაც კი გამაჩნია.

— სერ, მე რომ ეს ჩავიდინო, სამუდამოდ თავი მომეჭრება, რადგან სიტყვის გამტეხი შევიქნები, — თქვა ტრისტრამმა. — ამიტომ, გთხოვთ, აღასრულოთ თქვენი დაპირება, რადგან მე ასე მსურს. ჩამაბარეთ მშვენიერი იზოლდა, რათა წავიყვანო კორნუელში, სადაც იგი ბიძაჩემის, მეფე მარკის თანამეცხედრე გახდება.

— ამას რა ლაპარაკი უნდა, სიტყვა სიტყვაა, — უთხრა ანგვისანსმა. — თქვენ ჩავაბარებთ ჩემს ასულს და ისე მოიქეცით, როგორც ისურვებთ. მე ის მინდოდა მეთქვა: თუ თვითონ შეირთავთ, ეს ყველაზე მეტად გამეხარდება, ხოლო თუ მეფე მარკს მისცემთ, — ნება თქვენი.

მშვენიერი იზოლდა სამგზავროდ გაამზადეს, იგი სერ ტრისტრამს უნდა

ბლებოდა. მეფის ასულს თან გააყოლეს ბანოვანი ბრანგვეინი, მთავარი მო-
ახლე, და მრავალი სხვა პირისფარეში. ბრანგვეინი იზოლდას დედამ გააყოლა,
ორლანდიის დედოფალმა. ამის გარდა, იმ ქალსა და გოვერნალს დედოფალმა
თან გაატანა სასმელი, რაც ქორწილის დროს მეფე მარკს იზოლდას სადღეგრ-
ძელოდ უნდა შეესვა. — ამის შემდეგ აღსასრულის დღემდე მანეთი
ეყვარებათ. — ასე დამოძღვრა დედოფალმა მსახურნი.

ბრანგვეინსა და გოვერნალს ეს სასმელი საგანგებოდ ჩააბარეს.

ასე გავიდა ზღვაში ტრისტრამი და მშვენიერ იზოლდასთან ერთად კორ-
ნუელს მიაშურა. მოხდა ისე, რომ კაიუტაში უცებ ორივეს მოსწყურდა. ხე-
დავენ, წინ უდგათ ოქროს ფიალა, და ჭურჭელში კი საამო ღვინოა. სერ ტრის-
ტრამმა ფიალა აიღო და სთქვა:

— ქალბატონო იზოლდა, აი ქებული ღვინო, რაც თქვენს მოახლეს ბრან-
გვეინსა და ჩემს მსახურს გოვერნალს თავისთვის შემოუნახავთ.

ამ სიტყვებზე მზიარულად გაიცინეს და ერთიმეორის სადღეგრძელოდ
ტკბილი ღვინო საკმაოდ გადაჰკრეს. მაგრამ როგორც კი პირველი ყლუპი იგე-
მეს, ერთიმეორე ისეთი სიყვარულით შეუყვარდათ, რასაც ბოლო არასოდეს
არა აქვს, არც სიხარულსა და არც მწუხარებაში. აი, როგორ ჩაისახა ტრის-
ტრამისა და იზოლდას სიყვარული, რაც სიცოცხლის აღსასრულამდე გაგრ-
ძელდა.

ასე მიცურავდნენ, ვიდრე შემთხვევის წყალობით, არ მიადგნენ იმ ნა-
პირს, სადაც იყო აღმართული ციხე გოდებისა, და იქ შევიდნენ, რათა სული
მოეთქვათ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ღამის გასათევად მყუდრო საყანეს
იპოვნიდნენ.

როგორც კი სერ ტრისტრამი ალაყაფში შევიდა, ყველანი დაატყვევეს.
ამ სიმაგრეში ასეთი წესი იყო: ვინც ამ ციხეს ქალის თანხლებით ჩაუვლდა,
მოვალე იყო შებმოდა ციხის მფლობელს, სახელად სერ ბრიუნორს. თუ გამარ-
ჯვებული ეს ბრიუნორი აღმოჩნდებოდა, ქალი და კაცი უნდა დაეხოცათ, ვინც
არ უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო თუ გაიმარჯვებდა სტუმარი რაინდი, მამის
ბრიუნორი და მისი ცოლი უნდა მომკვდარიყვნენ. უკვე მრავალი წელი სუ-
ფევდა ამ კოშკში ასეთი წესი, ამიტომაც ერქვა ციხეს გოდების ციხე.

თავი ოცდამეხუთე


როგორც იხსენის დიღებში სერ ტრისტრამი და იზოლდა, როგორ იპოვეს ტრისტრამი
ქალის კილაგაზისათვის და მოკვამთა თავი სხვა ქალს

როცა ამგვარად სერ ტრისტრამი და იზოლდა ბნელ საყანში აღმოჩნდნენ,
მათთან სასაუბროდ შევიდნენ უცნობი რაინდი და მანდილოსანი, რათა ისინი
გაერთოთ. სერ ტრისტრამმა იმ რაინდსა და ქალს ასე უთხრა:

— რა მიზეზით გვატყვევებს ამ ციხის პატრონი? სადაც კი ღირსების
პატივს სცემენ, ასეთი წესი არ შემხვედრია, რომ რაინდსა და მანდილოსანს,
რომელნიც ღამის გასათევს ითხოვენ, ჯერ სტუმრებად მიიღებენ, მერე ხელსა
სტაცებენ და დილეგში ყრიან.

— სერ, — მიუგო რაინდმა, — ამ ციხის ძველი წესი ასეთი გახლავთ,
ყოველი გამვლელი რაინდი ჩვენს ბატონს უნდა შეებას და, ვინც უფრო
სუსტი აღმოჩნდება, უსათუოდ თავი უნდა მოეკვეთოს. თუ მოსული ქალი ჩვენი

პატონის ცოლს სილამაზით ვერ შეედრება, იმასაც თავი მოეკვეთება. ხოლო თუ უფრო ლამაზი აღმოჩნდა, მაშინ ჩვენი პატრონის ცოლს მოჰკვეთენ თავს.

— ღმერთი იყოს ჩემი მფარველი! — შესძახა ტრისტრამმა — ეს უმსგავსი და სამარცხვინო ჩვეულებაა. მაგრამ ჩემს მხარეს უფრო უმჯობესობაა. ქალი, ვისაც მე ვახლავარ, ლამაზი, თვალად საამო ქალია. —  — ესა თვის თავს ვერ მოჰკვეთენ. მე კი, ვიდრე თავს მომკვეთენ, მზად ვარ ორთაბრძოლაში შევება თქვენს პატრონს. სერ რაინდო და მშვენიერო ქალბატონო, გადაეცით თქვენს ბატონს, რომ ხვალ დილით მე მზად ვიქნები პატიოსანი ორთაბრძოლისათვის, თუ ჩემს ცხენსა და იარაღს მომცემენ.

— სერ, — მიუგო რაინდმა, — ვპირდებით, რომ თქვენი სურვილი აღსრულდება, ამიტომ ახლა მოისვენეთ, დილჯთ კი ადრე ადევით. რაც საჭიროა, არაფერი დაგაკლდებათ.

ამის შემდეგ რაინდი წავიდა, დილით ადრე კი იმავე რაინდმა ისევ ინახულა ტრისტრამი, საპატიმროდან გაიყვანა ისიც და მისი მხლებელი ქალიც, ჩააბარა აბჯარი, იარაღი, ცხენი და უთხრა, ახლავე ორთაბრძოლისათვის გაემზადე, რადგან მთელი საპერციოგოს ყველა წოდება უკვე მოგროვდა ველზე, რათა ორთაბრძოლა ნახოს და სამსჯავროს მოუსმინიასო.

აი, გამოჩნდა ციხის მფლობელი ბრიუნორიც, თავისი მეუღლის ხელი პელში ჩაებლუჯა და ისე მოჰყავდა. მან სერ ტრისტრამს ჰკითხა, სად არისო შენი მანდილოსანი.

— თუ შენი ქალი ჩემს ცოლზე ლამაზია, აიღე ხმალი და ჩემს ცოლს თავი მოჰკვეთე, თუ ჩემი აღმოჩნდა უფრო ლამაზი, მაშინ მე უნდა მოვკვეთო თავი შენს მხლებელ ქალს, ხოლო თუ გძლიე, შენი ქალი ჩემი ცოლი გახდება, შენ კი თავი წაგეცლება.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა. — საზიზღარი და სამარცხვინო ჩვეულება გქონიათ, მაგრამ უმალ მიჯობს მე მომკვეთონ თავი, ვიდრე ჩემს მანდილოსანს.

— არა, არა! — თქვა სერ ბრიუნორმა, — ქალები სასამართლოს პირველნი წარუდგებიან და, რაც გარეგნობის მიხედვით ეკუთვნით, მათი ბედი იმისდა მიხედვით გადაწყდება.

— ვერ დაგეთანხმებით, — მიუგო სერ ტრისტრამმა. — აქ ალბათ ისეთი არავინაა, რომ სამართლიანად განსაჯოს. მე ვიცი, რომ ჩემი ქალი თქვენსაზე ლამაზია და მზადა ვარ ეს დავამტკიცო პატიოსან ორთაბრძოლაში. ვინც არ დაიჭერებს, გაბედოს, ხმალი გააშიშვლოს და შემებრძოლოს.

ამ სატყვებზე ტრისტრამი წინ გამოვიდა, თან გამოიყვანა მშვენიერი იზოლდა, და სამჯერ შემოატარა წრე ხმალამოღებულმა. ასევე შემოიარა წრე დედოფლითურთ გოდების ციხის პატრონმა. სერ ბრიუნორმა როგორც კი მშვენიერ იზოლდას მოჰკრა თვალი, დარწმუნდა, რომ არასოდეს ასეთი ლამაზი ქალი არ ენახა, ამიტომ იგი უკვე ფიქრობდა, რომ მის ცოლს უთავოდ დარჩენა მოუხდებოდა. ყველამ, ვინც იქ იყო, ერთხმად დაადასტურა, რომ იზოლდა სახითაც უფრო ლამაზი იყო და ტანადაც უფრო მოხდენილი.

— აბა, ახლა რა ვქნათ? — იკითხა სერ ტრისტრამმა. — ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენს ცოლს თავი უნდა მოეკვეთოს. მაგრამ იმის გამო, რომ ეს საძაგელი ჩვეულება თქვენ დააწესეთ და თქვენი ნებით დაიღუპა მრავალი ქე-

ბული რაინდი და მშვენიერი ქალი, დიდ დანაკლისად აღარ ჩაითვლება, თუ თქვენ ორივენი დაიხოცებით.

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე! — თქვა სერ ბრიუნორმა, რომ ითქვას, შენი ქალი ჩემსაზე ლამაზია, თუმცა მიმძიმს ამისი აღიარება, მაგრამ ხალხიც ამას ჩურჩულებს, და მეც უნდა დავადასტურო, რომ შენს საქალეთში ასეთი სახიერი ერთიც არ მინახავს. ამიტომ სულაც არ შეწყინება, თუ ჩემს ცოლს თავს მოჰკვეთ, რადგან მე უსათუოდ მოგკლავ და შენს ქალს ცოლად შევირთავ.

— შეიცადეთ, ჯერ ჩემთან შებრძოლება მოგიწევთ და მერმე მისი დასაკუთრება მოგიხდებათ, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — და მერწმუნეთ, ეგ აგრე იოლი საქმე არ გახლავთ. ამ სამსჯავროსათვის კი, ჩემს ქალს რომ სიკვდილს უმზადებდა, თუ ასე მშვენიერი არ იქნებოდა, აგრეთვე ამ თქვენი საზიზღარი ჩვეულების გამო, მზად ვარ გემსახუროთ, მომგვარე შენი ცოლი, — დაასრულა სერ ტრისტრამმა, ბიჯი წინ წადგა, ქალს ხელი ჩაავლო და ხმლის ერთი მოქნევით თავი წააცალა.

— რა გაეწყობა, რაინდო, — სთქვა სერ ბრიუნორმა, — შენ საშინელი შეურაცხყოფა მომაყენე. ახლა შეჯექი ცხენზე და, რაკი უცოლოდ დავრჩი, შენსას წაგგვრი და დავისაკუთრებ, თუ შევიძელი.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ე ა ჯ ვ ს ა

როგორ იბრძოდა სერ ტრისტრამი სერ ბრიუნორს და ბოლოს თავი წააცალა

რაინდები ცხენებზე შესხდნენ, შუბების საბრძოლო თადარიგი დაიჭირეს, გამოექანენ და ისე დაეტაკნენ ერთიმეორეს, თითქოს მეხმა იქუხაო. სერ ტრისტრამმა სერ ბრიუნორი ცხენიდან გადააგდო, მაგრამ გოდების ციხის პატრონი სწრაფად წამოიჭრა ფეხზე და როცა ტრისტრამი მეორედ დაესხა თავს, ბრიუნორმა მის ცხენს ბეჭთან ხმალი გაუყარა. ტრისტრამის ცხენი წაბორძიკდა და მიწაზე დავარდა. ბრიუნორი კი წინ გაიჭრა, რომ დაცემისთანავე მოეკლა იგი, მაგრამ სერ ტრისტრამი სწრაფი და მოქნილი იყო, მაშინვე გაითავისუფლა ფეხები უზანგებიდან, თუმცა, ვიდრე ამას მოახერხებდა, ფარს იფარებდა და ხმალს იშიშვლებდა, ბრიუნორმა მაინც მოასწრო და სამჯერ თუ ოთხჯერ დააკრა მახვილი.

შემდეგ ეს ორი ბუმბერაზი გარეული ტახებივით ეკვეთა ერთიმეორეს, ხან უტევდნენ, ხან უკან იხევდნენ, ათასგვარ ფანდსა და ხერხს ხმარობდნენ, რომ მოწინააღმდეგე გაესრისათ, ძალასა და ხელოვნებას არ ზოგავდნენ, ფარიკაობდნენ, როგორც ქეშმარიტი რაინდები. ბრიუნორი ძალზე გამოცდილი მეომარი იყო, ორთაბრძოლაში უკვე მრავალი კარგი რაინდი ემსხვერპლა და მხოლოდ სინანული შეიძლებოდა იმის გამო, რომ ასე დიდხანს ხარობდა და ბოგინობდა ქვეყნად. დაუნდობლად იბრძოდნენ და უტევდნენ ერთიმეორეს. მთელი ორი საათი გრძელდებოდა ეს კიდილი და ორივე მძიმედ დაჭრილი იყო. ბოლოს სერ ბრიუნორი მივარდა სერ ტრისტრამს და მკლავები მოჰხვია, რადგან თავისი ჯან-ღონის დიდი იმედი ჰქონდა. სინამდვილეში დროის იმ მონაკვეთში მთელს დუნიაზე უღონიერესი რაინდი იყო სერ ტრისტრამი. იგი თვით სერ ლანსელოტზე დაკუნთული და ძლიერი იყო, თუმცა სერ ლანსელოტს უფრო მეტი გამძლეობა ჰქონდა. სერ ტრისტრამმა მოწინააღმდეგეს მძლავრი

მკლავები მარწუხებივით ჩაავლო და განზე გადისროლა. ბრიუნორი თავდაღმა დაეცა. სერ ტრისტრამი მეყსეულად მივარდა მოსისხლეს, მუხარბდის ზონარი გაუხსნა და თავი მოჰკვეთა.

ვინც ამ ციხის პატრონს მორჩილებდა, ყველამ შვებით ამოისუნთქა. ისინი სერ ტრისტრამს მიუახლოვდნენ, მოკრძალებით დაუტრეს თავს, თავიანთ პატრონად აღიარეს და სთხოვეს, მცირე ხანი მაინც დაჰყავი ამ ციხეში, რომ ეს საზიზღარი ჩვეულება ამოძირკვო. ამაზე სერ ტრისტრამი დათანხმდა. ამასობაში ერთმა რაინდმა ცხენი გააქროლა წარჩინებულ პრინც გალაპალტთან, რომელიც სერ ბრიუნორის შვილი იყო და თანაც გამოჩენილი რაინდი, შეატყობინა, რა სავალალო ზვედრი ერგოთ მის დედას და მამას.

სერ გალაპალტი დაუყოვნებლივ მოვარდა. მასთან ერთად იყო ასი რაინდის მეფე. სერ გალაპალტმა იმწამსვე ორთაბრძოლაში გაიწვია სერ ტრისტრამი. ორივე გაემზადა და ბრძოლის ველზე ორი ლომგული გმირი გავიდა. ჯერ ცხენები დაატაკეს ერთიმეორეს ასეთი ძალით, რომ ორივე ცხენი და ორივე მხედარი ძირს გაიშხლართა. მაშინვე გადმოხდნენ წაქცეული ცხენებიდან, ვეშაკები იფარეს, ხმალდახმალ შეიბნენ და მრისხანედ და გაშმაგებით იბრძოდნენ. მახვილებს ხან მალლიდან უშენდნენ ერთმანეთს, ხან პირდაპირ ჩხვლევდნენ, ხან წინ მიიწევდნენ, ხან უკან იხევდნენ, როგორც გამოჩინებულ რაინდთა წესია. ასე იბრძოლეს თითქმის ნახევარი დღე, და ორივე მძიმედ იყო დაჭრილი. ბოლოს ისევ ტრისტრამმა იმარჯვა, გაორკეცებული ძალით შეუტია და შეავიწროვა გალაპალტი, ხან მარჯვნიდან შეავიწროვა და დაახვეინა.

ამ დროს ბრძოლაში ჩაბმა მოიწადინა ასი რაინდის მეფემ და მთელი თავისი რაზმით სერ ტრისტრამისაკენ დაიძრა, როგორც კი ტრისტრამმა დაინახა, რომ ისედაც დაჭრილ-დასერილზე და დაქანცულზე უკვე მთელი რაზმი მოისწრაფოდა, მიხვდა, ახლა კი ველარ გავუმაგრდებიო, და როგორც გონიერ მეომარს შეჰფეროდა, სერ გალაპალტს მიმართა:

— სერ, თქვენ არ იქცევით რაინდულად, როცა მთელი რაზმით მესამით თავს მარტოხელას. მე კი კეთილშობილი რაინდი მეგონეთ. სირცხვილი თქვენი!

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე! — მიუგო გალაპალტმა, — აქ ველარაფერს გავხდები. ან უნდა დამნებდეთ, ან უნდა მოკვდეთ.

— სერ, რაკი ასეა, უმჯობესია დაგნებდეთ, რადგან ამით დავუთმობ შენი ხალხის ძალას და არა შენს მკლავთა ღონეს.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ა ზ ვ ი დ ა

აქა აგზავნი, თუ როგორ ებრძოდა სერ გალაპალტი სერ ტრისტრამს, როგორ დანებდა მას სერ ტრისტრამი და აღუთქვა სერ ლანსელოტთან გადასვლა

ამ სიტყვებზე სერ ტრისტრამმა ხმალი წვეროდან დაიჭირა, ვადა კი სერ გალაპალტს მიაჩეჩა. სწორედ ამ დროს მოვარდა ასი რაინდის მეფე და უნდოდა ტრისტრამი ხმლის კერძად ექცია.

— უკან! — უბრძანა სერ გალაპალტმა. — მოზომეთ თქვენი სიშამაცე და ზელი არ მიაკაროთ, რადგან ამ რაინდს ეს-ეს არის სიცოცხლე ვაჩუქე.

— სირცხვილი თქვენ! — უთბრა მეფემ. — აკი დედ-მამა ამან ამოგიხოცათ.

— ამ საქმეში იგი უბრალოა, — მიუგო სერ გალაპალტმა, — რადგან მამაჩემმა უსამართლოდ დაატყვევა და ორთაბრძოლაში თვითონ განიჭვია. მამაჩემს ერთი ძალზე სამარცხვინო ჩვეულება ჰქონდა. ქალის თანხლებით რომ რაინდი ესტუმრებოდა, ქალს თავს წააცლიდა. თუ მის მეუღლე ქვადი არ აღმოჩნდებოდა, ხოლო თვითონ რაინდს სიკვდილი ელოდა, უფრო მაქცნებებოდა ბრძოლაში ვერა სძლევდა. ჰეშმარიტად, ასეთი წესი სამარცხვინოა, რაინდი თავშესაფარს ითხოვდეს და მასპინძელმა მოკლას. ამ წესის მიზეზით, მამის ციხე-კოშკს ახლოსაც არ ვეკარებოდი.

— ღმერთია მოწამე, ეს მართლაც საძაგელი წესია, — მიუგო მეფემ.

— დიახაც, — თქვა სერ გალაპალტმა, — მეც ასე ვფიქრობ, და მართლაც დასანანი იქნებოდა, რომ ეს რაინდი დაღუპულიყო, რადგან ჩემი ფიქრით, ამჟამად ცოცხალ რაინდთა შორის იგი უკეთესობილესია, რაღა თქმა უნდა, სერ ლანსელოტ ტბელის გამოკლებით.

— ახლა კი, ძვირფასო რაინდო, — მიუბრუნდა სერ გალაპალტი სერ ტრისტრამს, — მიიხარით, ვინა ხართ, საიდან მოხვედით და საით მიემგზავრებით?

— სერ, — მიუგო, — ჩემი სახელია ტრისტრამ ლიონელი, კორნუელის მეფემ მარკმა გამომგზავნა ირლანდიის მეფე ანგვისანსთან, რათა მისი ასული მეფე მარკისთვის ცოლად გამერიგებინა. ეს ქალი თან მახლავს, გამზადებული კორნუელს ჩასასვლელად. მისი სახელია მშვენიერი იზოლდა.

მაშინ სერ გალაპალტმა სერ ტრისტრამს უთბრა:

— მშვიდობა და სიკეთე არ მოგაკლდებათ ჩვენს მხარეში, თუ სიტყვას მომცემთ, რომ სერ ლანსელოტთან გამოცხადდებით და მასთან დარჩებით. თქვენა და თქვენს მშვენიერ მხლებელს გზას დაგილოცავთ და გაგიშვებთ, საითაც ინებებთ. მე კი გპირდებით, რომ ამ ციხეში აღარასოდეს აღდგება ის წესი, რაც აქამდე არსებობდა.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — იცოდეთ, სერ ლანსელოტ ტბელი თქვენ მეგონეთ და იმიტომაც ცოტა არ იყოს შევშინდი. პირობას გაძლევთ, სერ ლანსელოტს ვიპოვი და მეგობრობას შევფიცავ, რადგან ქვეყნად არც ერთ რაინდთან მეგობრობა ისე არა მსურს, როგორც სერ ლანსელოტ ტბელთან.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ა რ კ ვ ი

როგორ შეხვდა სერ ლანსელოტი სერ კარადოსს, როგორც სერ გავეინი მიჰყავდა და სერ გავეინის დახსნის ამბავი

ჰოდა, როცა საამისო დრო და ტაროსი დადგა, სერ ტრისტრამი მათ დაემშვიდობა, ისევ ზღვაში გავიდა და თავისი გზა განაგრძო.

ამასობაში მოვიდა ამბავი, რომ ბუმბერაზის ღონით ცნობილი მეფე კარადოსი სერ გავეინს შეება. ისეთი დარტყმები აგებდა, რომ გავეინმა უნაგირზევე გრძნობა დაკარგა. მაშინ მეფემ ჭეჩოში ხელი ჩაავლო. უნაგირიდან გადმოითრია, თოკით შეკრა, უნაგირის ტახტაზე დააკრა, გაქუსლა და თავის ციხეს მიაშურა. მაგრამ გზაში სერ კარადოსს შემთხვევით სერ ლანსელოტი შეეცარა. რაინდმა მაშინვე შეიცნო სერ გავეინი, სერ კარადოსს რომ თავის უნაგირზე გარდიგარდმო გადაედო და მაგრად დაეკრა.

— აჰ, ეს შენა ხარ? — ჰკითხა სერ ლანსელოტმა სერ გავეინს, — როგორაა საქმე?

— უარესად არც არასოდეს ყოფილა, — მიუგო სერ გავეინმა. — აი, თუ ვინმე მიშველის, შენ მიშველი, რადგან, ღმერთთა თავდები, სხვა არავინ მეგულება, ჩემი დახსნა შეიძლოს, ან თქვენ, ან კიდევ სერ ტრისტრამს, თუ დამიხსნის ამ ურჯუკის ხელიდან.

სერ გავეინის ამ სიტყვებმა სერ ლანსელოტი დააღონეს; გაჯავრებულმა რაინდმა სერ კარადოსს შეუძახა: — დასვი მიწაზე ეგ რაინდი და მოდერტმანეთის ძალა და ღონე მოვსინჯოთო.

— ალბათ ბრიყვი ხარ, — მიუგო სერ კარადოსმა. — ხომ იცი, შენც ასეთივე დღე დაგადგება.

— რაც დღე დამადგება, შენზე კარგად ვიცი, — მიუგო ლანსელოტმა, — ჯერ გამოდი და ძალა არ დაზოგო, რადგან იცოდე, არ დაგინდობ.

სერ კარადოსმა სერ გავეინს ხელ-ფეხი გაუკოჭა და ძირს გადაიხროლა. მერმე თავის საჭურველთმტვირთველს შუბი გამოართვა და სერ ლანსელოტს განშორდა, რომ საიერიშოდ გამზადებულიყო. ერთმანეთისაკენ დაიძრნენ, შუბები ფარებზე შელეწეს და ხმლები იშიშველეს, საათზე მეტ ხანს ცხენდაცხენ იბრძოდნენ. ბოლოს სერ ლანსელოტმა სერ კარადოსს ისე დაჭრა თავში ხმალი, რომ მუზარადი გაუკვეთა და თავი გაუპო. მაშინ კი ჩაავლო ხელი ქეჩოში, გადმოითრია, თავისი ცხენის ფეხქვეშ მოაქცია, მოხადა მუზარადი და თავი მოჰკვეთა. ამის შემდეგ სერ ლანსელოტმა სერ გავეინს ხელ-ფეხი გაუხსნა.

აი, ეს ამბავი მოუვიდათ სერ გალაჰალტს და სერ ტრისტრამს. სერ გალაჰალტმა თქვა:

— აი, ხედავ, რა დიდება მოსავს სერ ლანსელოტს.

— აფსუს! — თქვა სერ ტრისტრამმა, — ახლა რომ ეს მშვენიერი ქალი არ მიმყავდეს, ახლავე გზას გავუდგებოდი და არ მოვისვენებდი მანამ, სანამ სერ ლანსელოტს არ ვიპოვიდი.

ამის შემდეგ სერ ტრისტრამი და მშვენიერი იზოლდა მალე ჩავიდნენ კორნუელში, სადაც მათ ყველა ბარონი შემოეგებათ.

თ ა ვ ი ო ც ჯ ა მ ე ტ ხ რ ა

ამბავი მთავრად ბარონს და მშვენიერ იზოლდას კორნუელისა, ბრანგვეინისა და სერ გალაჰალტისა.

მოკლე ხანში გაჩაღდა დიდებული მეფური ქორწილი, მაგრამ როგორც ფრანგული წიგნი მოგვითხრობს, სერ ტრისტრამსა და მშვენიერ იზოლდას ისევ ისე ძალუმად უყვარდათ ერთმანეთი.

საქორწილო ზეიმზე არაერთი ტურნირი მოეწყო, გაიმართა ორთაბრძოლები, მრავალი მეფე და ბარონი მოვიდა, მაგრამ ყველაზე მეტად ისევ სერ ტრისტრამი გამოირჩეოდა. დღესასწაული მრავალ დღეს გაგრძელდა. ხოლო როცა ზეიმი დასრულდა, მოკლე ხანში დედოფლის მახლობელი ორი ქალი სამტროდ აღიძრა. შურითა და სიძულვილით აღვსილებმა ჩუმად მოილაპარაკეს და განიზრახეს ბრანგვეინი მოესპოთ. ეს ქალი მშვენიერ იზოლდას უფ-

როსი პირისფარეში იყო. ერობელ, ბრანგვეინი ტყეში სამკურნალო პალახე-
ბისათვის გაგზავნეს; დაიჭირეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და ხეზე მიიჭრეს. ასე
დაპყო ქალმა ტყეში სამი დღე და სამი ღამე. საბედნიეროდ, ტყეში/ ხეზე
უპატრონოდ მიბმულს შემთხვევით გადააწყდა სერ პალომიდი, მან ებსნა
სასიკვდილოდ განწირული ქალი დაღუბვისაგან, უახლოეს მონასტერში კეპ-
ვარა მონაზვნებს და საპატრონოდ მათვე ჩააბარა.

იზოლდამ თავისი პირისფარეში მოიკითხა, მაგრამ ქალი არსად აღმოჩი-
ნდა, დედოფალი ძალიან შეწუხდა, ასე ალბათ არც ერთი დედოფალი არ შე-
წუხებულა, რადგან იზოლდას ქვეყნად ყველა ქალზე მეტად ბრანგვეინი უყ-
ვარდა. ბრანგვეინმა ხომ მისი ჳირი და ლხინი გაიზიარა და მშობლიური
ქვეყნიდან უცხოობაში გამოჰყვა. ერთხელაც იზოლდა ტყეში დასერილობდა.
ნადვლიან ფიქრთა გასართველად გამოსულმა რომ ხუგეში ვერ ჰპოვა, ერთ
წყაროსთან მივიდა, ჩამოჯდა და მწარედ ატირდა. უეცრად ტყიდან სერ პა-
ლომიდი გამოვიდა და უთხრა:

— ქალბატონო იზოლდა, თუ ჩემს სურვილს აღასრულებთ, თქვენს მხე-
ვალს ბრანგვეინს საღ-სალამათსა და უვნებელს დაგიბრუნებთ.

დედოფალს ისე გაუხარდა ნათქვამი ამბავი, არც დაფიქრებულა, ისე
დაეთანხმა.

— კეთილი, ჩემო ქალბატონო. — თქვა სერ პალომიდმა. — მე მჯერა
თქვენი სიტყვისა, და თუ ამ ალაგას ნახევარ საათს დამელოდებით, იმ ქალს
აქ მოგიყვანთ.

— სერ, მე გელოდებით. — მიუგო დედოფალმა.

სერ პალომიდა ცხენს მოახტა. დედათა მონასტერს მიაშურა და მალე
ქალის თანხლებით დაბრუნდა. მართალი, ბრანგვეინს დედოფალთან დაბრუ-
ნება თავისი ნებით არ უნდოდა, რადგან კინალამ შეეწირა, მაგრამ ნახეირად
ძალით, ნახევრად ნებით, მაინც გამოჰყვა პალომიდს. დედოფალმა რომ ბრანგ-
ვეინი დაინახა, ძალიან გაიხარა.

— ახლა კი, ჩემო ქალბატონო, — მიმართა სერ პალომიდმა, — არც
თქვენი დაპირება დაივიწყოთ, ჩემი ხომ უკვე აგისრულეთ.

— სერ პალომიდ, — მიუგო დედოფალმა, — არ ვიცი, რა უნდა მიხოვოთ,
მაგრამ ეს კი იცოდეთ, სიტყვას რომ გაძლევდით, ურიგო არაფერი მიფიქრია
და ურიგოს არც არაფერს აღვასრულებ.

— ქალბატონო, — უთხრა სერ პალომიდმა, — ჩემი სურვილი ჳერ თქვენ-
თვის უცნობი დარჩება, მაგრამ მას ჳოისმენტ მეფის, თქვენი მეუღლის წინაშე,
და მაშინ მოგიხდებათ იმისი აღსრულება, რაც აღმითქვით.

დედოფალმა ცხენი სასახლისაკენ გააქროლა და მეფეს ეახლა.

სერ პალომიდი დედოფალს გაჰყვა უკან და ისიც მეფის წინაშე წარსდვა.

— ხელმწიფეო, — უთხრა მეფე მარკს პალომიდმა, — როგორც სამარ-
თლიანმა მეფემ, მოგვისმინე და ჩვენი საქმე გაარჩიე.

— მითხარით, რა მოხდა, და ყველაფერი სამართლიანად გადაწყდება.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე ა თ ი



საბა ამბავი, თუ როგორ მოითხოვა სერ პალომიდმა დედოფალი იზოლდა როგორ
წაიხვანა იგი, როგორ დაედევნა დასახსნელად ლამაზბუნსი ქვეყნულს
გადარჩენას ამბავი

ბიზლიჩიქა

— სერ, — უთხრა პალომიდმა მეფეს, — მე დავპირდი დედოფალს, ჩემს ქალბატონ იზოლდას, რომ ვუპოვიდი დაკარგულ პირისფარეშს, ოღონდ იმ პირობით, რომ ჩემს სურვილს აღასრულებდა, რაც არ უნდა მეთხოვა. დედოფალმა დაუფიქრებლად მომცა თანხმობა.

— რას იტყვით, ჩემო მეუღლე? — ჰკითხა მეფემ.

— ყველაფერი ეს მართალია, რაც თქვა, ღმერთია მოწამე! მე დავპირდი, რომ ავასრულებდი ყოველ სურვილს, ისე მინდოდა ბრანგვეინის ნახვა.

— რა გაეწყობა, — მიუგო მეფემ, — რაკი ასე პაიპარად დაპირებიხართ, აუსრულეთ სურვილი. მე მინდა სიტყვის პატრონი იყოთ.

მაშინ სერ პალომიდმა თქვა:

— იცით, მე მინდა თქვენი დედოფალი დავისაკუთრო, თუნდაც მისი წაყვანა გადასაკარგავში მომიხდეს.

შეცბუნებულმა მეფემ დუმილით მოუსმინა და საგონებელში ჩავარდა. მაგრამ მყისვე გაახსენდა სერ ტრისტრამი და იმედი მიეცა, ის იხსნისო.

სერ პალომიდს კი ასე უპასუხა:

— წაიყვანე ეს ქალი და მიიღე მასთან ყველა უბედურება, რაც ამას თან მოჰყვება, რადგან არა მგონია დადგანს მოგიხდეს მასთან ერთად ნებივრობა.

— რაც შეეხება ამის განო თავს დატეხილ უბედურებას, ჩემზე იყოს, — მიუგო სერ პალომიდმა, — მზადა ვარ, საფრთხესა და განსაცდელს პირისპირ შევეგებო.

მოკლედ რომ მოვჭრათ, სერ პალომიდმა დედოფალს ხელი ჩაავლო და უთხრა:

— დედოფალო, ნუ დამიწუნებთ, მე ხომ მხოლოდ იმას ვითხოვ თქვენგან, რასაც დამპირდით, სხვას არაფერს.

— არხეინად იყავი, — მიუგო დედოფალმა, — არც ისე მეშინია შენი გამოყოლისა, თუმცა უპატიოსნოდ ისარგებლე ჩემი დაპირებით და მტკიცედ მჯერა, შენი ხელიდან მალე გამომიხსნიან.

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, — თქვა პალომიდმა, — რაც იქნება, იქნება.

შემოუსვეს დედოფალი იზოლდა სერ პალომიდს ცხენზე და მშვენიერი იზოლდა თავისდა უნებურად პალომიდის თანამგზავრი შეიქნა.

მეფე მარკმა მყისვე კაცი აფრინა სერ ტრისტრამთან, მაგრამ ტრისტრამი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერსად იბოვეს. იგი ტყეში წასულიყო სანადიროდ. ასეთი წესი ჰქონდა: თუ არ იბრძოდა, ტყეში დაეხეტებოდა, ნადირობდა, ერთობოდა.

— აფსუს! — შესძახა მეფემ, — ახლა კი სამუდამოდ მომეჭრა თავი, რადგან ჩემი ნებართვით ჩემი დედოფალი წარმართმა წამგვარა.

— მეფის წინ წარმოდგა რაინდი ლამბეგუსი, სერ ტრისტრამის ერთ-ერთი რაინდთაგანი.

— ჩემო მბრძანებელო! — უთხრა მეფეს, — რაკი ჩემს ბატონ ტრისტრამს ასეთი იმედით შესცქერით, მზად ვარ, მისი სახელით დავდევნო-მიდს, ვიხსნა დედოფალი ან ბრძოლაში დავეცე.

— გრამერსი! — დაუმაღლა მეფემ. — თუ ცოცხალი ვიქენი, ამ სიკეთეს გადაგიხდი.

სერ ლამბეგუსი მაშინვე გაემზადა, ამხედრდა, ტაიჭი ნავარდით წაიყვანა და მოკლე ხანში პალომიდს დაეწია. პალომიდმა დედოფალი მიატოვა და ლამბეგუსს მოუბრუნდა:

— რომელი ხარ? — ეკითხება, — ტრისტრამი ხომ არა?

— არა, მისი მსახური ვარ, სახელად ლამბეგუსი.

— სამწუხაროა, — მიუგო პალომიდმა, ვამჯობინებდი, სერ ტრისტრამი ყოფილიყავი.

— მჯერა, — უთხრა სერ ლამბეგუსმა, — მაგრამ ახლავე გეტყვი, სერ ტრისტრამს რომ შეხვდები, ხათაბალას თავს ვერ დაადწევ.

აქ ერთიმეორეს დაეტაკნენ და ორივემ შეამსხვრია შუბი ჯავშანზე. მერმე ხმლები იშიშვლეს და ერთიმეორეს ზუჩები და თორები დაუსერეს. ბოლოს პალომიდმა სერ ლამბეგუსი ისე მძიმედ დაჭრა, რომ ნაიარევი რაინდი მიწაზე ნახევრად მკვდარი დავარდა. მაშინ მობრუნდა პალომიდი და მშვენიერ იზოლდას დაუწყო ძებნა. მაგრამ ვერსად ნახა და ვერც მისი ასავალ-დასავალი გაიგო. ძალიან შეწუხდა პალომიდი, მაგრამ რა უნდა ექნა? დედოფალი კი ტყვეს შეერია. იქ პატარა მდინარე ნახა და შიგ თავის დახრჩობა განიზრახა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით, იქვე გზად გაიარა ერთი მახლობელი ციხის ბინადარმა რაინდმა. სახელად ადთერპმა. როცა ქალი გასაჭირში ნახა, იხსნა და თავის კოშკში მიიყვანა. ხოლო როცა გაიგო, ვინც იყო, შეიარაღდა და გზას გაუდგა: არამზადა პალომიდს დავსჯიო.

დიდხანს მიაქროლებდა ცხენს, ვიდრე პალომიდს გადაეყრებოდა, შეება კიდევ. პალომიდმა მძიმედ დაჭრა იგი და ძალით ათქმევინა, რამაც აიძულა, მასთან ბრძოლა გაემართა. რაინდმა აღიარა, დედოფალი იზოლდა ჩემს ციხეში მივიყვანეო.

— დახე! — შესძახა პალომიდმა. — აბა, ახლავე მიმიყვანე შენს ციხე-კოშკში! არადა, ჩემი ზელით მოკვდები.

— სერ, — მიუგო სერ ადთერპმა, — ისე მძიმედა ვარ დაჭრილი, წასვლის ძალა აღარ შემწევს. მაგრამ წადით ამ გზით და იმ ციხეს მიადგებით, სადაც დედოფალი იმყოფება.

პალომიდმა ნაჩვენები მიმართულებით გააქროლა ცხენი და ციხესთან აღმოჩნდა. მაგრამ იზოლდამ ის სარკმლიდან დაინახა და ბრძანა, კარები ჩა-რაზეთო. მაშინ სერ პალომიდმა ცხენს ლაგამ-ავშარა წაჰყარა, უნაგირი მოხა-და, საბალახოდ მიუშვა და თავითონ კი ქიშკართან დაჯდა, როგორც შეწლილი. რომელსაც არ ესმის, რას სჩადის.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე თ ა რ თ ვ ა ტ ა

როგორ დაეღვივნა სერ ტრისტრამი პალომიდს, იკოვა, 'მეგობა და იზოლდა, სიტყვანა
როგორ შეწყდა ორთაბრძოლა



ახლა კი მივუბრუნდეთ სერ ტრისტრამს, რომელიც ნადირობიდან დაბრუნდა და როცა გაიგო, მშვენიერი იზოლდა პალომიდმა წაიყვანაო, რაღა თქმა უნდა, უზომოდ განრისხდა.

— აფსუს! — შესძახა, — ვაი, სარცხვილო!

მაშინვე თავისი მსახური გოვერნალი იხმო და უთხრა:

— საჩქაროდ დამეხმარე, რომ აბჯარი ავისხა და ცხენიც მომგვარე აკაზმული, თორემ ვიცი, სერ ლამბეგუსი არ არის ისე ძლიერი, პალომიდს რომ ომი გაუსწოროს! აფსუს! რატომ არა ვარ მის ედგილზე!

მაშინვე აღიჭურვა, დაოთხილი ცხენი ტყეში შეაგდო და რაც ძალი ჰქონდა მიერეკებოდა. მალე წაადგა თავს რაინდ სერ ლამბეგუსს, იგი ცოცხალ-მკვდარი ეგდო გზაზე. ტრისტრამმა იგი მეტყვევებთან მიიყვანა. ჩააბარა და უბრძანა, მოუარეო. თვითონ კი გზა განაგრძო და შეხვდა სერ ადთერას, ისიც მძიმედ იყო დაჭრილი. მისგან გაიგო, რომ იზოლდას თავის დაბრძოლა განეზრახა და ადთერა მისი გულისათვის წასულიყო პალომიდთან შესაბამელად.

— სადაა ჩემი ქალბატონი? — ჰკითხა სერ ტრისტრამმა.

— სერ, — მიუგო დაჭრილმა, — ეჭვი არაა, ჩემს ციხეში იქნება და შეუძლია იქვე დარჩეს, ვიდრე თვითონ ინებებს.

— სიკეთისათვის მადლი მომიხსენებია, — უთხრა სერ ტრისტრამმა. ცხენი გააქროლა და ციხესთან მივიდა. სერ პალომიდი ციხის ალყაფის კარებთან მჯდარი დაუხვდა და თუმცა შორიდანვე შეამჩნია სერ ტრისტრამი, არც ვანძრეულა, თითქოს სძინავსო. ცხენიც იქვე ბალახობდა.

— მიდი, გოვერნალო, — უთხრა სერ ტრისტრამმა მსახურს, — გააღვიძე ის კაცი და უთხარი საომრად გაემზადოს!

გოვერნალი მივიდა და ეუბნება:

— სერ პალომიდ! ადექით და იარაღი აისხით!

ის კი ისე იყო ჩაფიქრებული, არც გოვერნალის სიტყვა გაუგონია. მაშინ გოვერნალი სერ ტრისტრამთან მობრუნდა და უთხრა: სერ პალომიდი ახლრმა ძილშია, ან გაგაყვებულაო.

— გაბრუნდი და უთხარი, დროა წამოდგე, რადგან შენს წინ შენი მოსისხლე მტერია-თქო.

გოვერნალი ისევ მივიდა. მხარზე შუბის წვერი შეახო და უთხრა:

— სერ პალომიდ, იარაღი აისხი და საბრძოლველად მოემზადე, თორემ სერ ტრისტრამი დადარაჯებულია და ამის სათქმელად გამომაგზავნა, რომ ის შენი მოსისხლე მტერია.

პალომიდი უეცრად წამოიჭრა, ცხენთან მივიდა, ხმა არ გაუღია ისე დაიჭირა, შეკაზმა, მსუბუქად მოახტა და შუბი მოიღერა. ტრისტრამიც ნავარდით შეეგება, შუბი ატაკა და მაშინვე ცხენიდან ყირამალა ძირს გადააგდო, მაგრამ პალომიდი სწრაფად წამოიჭრა ფეხზე და ქარქაშიდან მახვილი იძრო.

დაიწყო დევგმირული ორთაბრძოლა, ორივე ბრწყინვალედ, დიდი ხელოვნებით იბრძოდა, — იბრძოდნენ ერთი ქალის გულისათვის, ის ქალი კი ამ დროს კოშკიდან იცქირებოდა და ავალს ადევნებდა მათს უმაგალითო რკენას. ორივე

მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სერ პალომიდის ჭრილობები უფრო მძიმე იყო. ორ საათზე მეტი დრო გავიდა, მათი იერიში და უკან დახევა ისევ ვრძელდებოდა. მშვენიერი იზოლდა კი დარდისა და მწუხარებისაგან ისე გადაიქანცა, ჭაშის გული შეუწუხდა, იდგა და თავისთვის ბუტბუტებდა:

— რატომ უნდა აწყდებოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვერცხვებს, ის, ვინც მიყვარდა და მიყვარს, და ის, ვინც არ მიყვარს! ჩემთვის მაინც სავალალო იქნება დაჩეხილი სერ პალომიდის ხილვა. ძალიან კარგად ვიცი, რომ ბრძოლის დასასრულს ის გულგანგმირული დაეცემა, თანაც მოუნათლავია და რატომღაც არ მინდა, სარკინოზად მოკვდეს.

ამ ფიქრებით მოცული დაბლა ჩამოვიდა, მსპარაზნობელთ მიეახლა და შეევედრა. ჩემი გულისათვის შეწყვიტეთო ბრძოლა.

— აპ, ჩემო ქალბატონო! — უთხრა სერ ტრისტრამმა, — ეგ როგორ იქნება? არა მგონია ის გეწადოთ. შერცხვენილი დავრჩე! ხომ იცით, რომ ისე ვიქცევი, როგორც მიბრძანებთ ხოლმე?

— ჩემო ბატონო, — მიუგო მშვენიერმა იზოლდამ, — თვითონაც ბრწყინვალედ იცით, რომ თქვენი შერცხვენა არ მინდა, მაგრამ მე მსურს ჩემი თხოვნით შეიბრალოთ ეს უბედური სარკინოზი პალომიდი.

— ქალბატონო, — თქვა ტრისტრამმა, — თქვენი გულისათვის მე ვწყვეტ ბრძოლას.

მაშინ ქალი სერ პალომიდს მიუბრუნდა და უთხრა:

— აი, რას გიბრძანებ: ამ ქვეყნიდან წადი და არ გამოჩნდე, ვიდრე მე აქ ვარ.

— ქალბატონო, — მიუგო პალომიდმა, — ვემორჩილები თქვენს ბრძანებას, ოღონდ სურვილის საწინააღმდეგოდ.

— რაკი ასეა, — უთხრა იზოლდამ, — წადი მეფე ართურის სასახლეში, გადაეცი ჩემი სალამი დედოფალ გვინივერას და ჩემი სახელით უთხარი, რომ ამქვეყნად მხოლოდ ოთხმა იცის ნამდვილი სიყვარული: სერ ლანსელიტმა, ქალბატონმა გვინივერამ, სერ ტრისტრამმა და დედოფალმა იზოლდამ.

თ ა ვ ი ო ც ლ ა ა მ თ ო რ ა მ ა ტ ა

ამა ამბავი, თუ როგორ წაიყვანა უკან სერ ტრისტრამმა დედოფალი იზოლდა, როგორ დაკოზდნენ მუხე მარკი და სერ ტრისტრამი

დაღვრემილი სერ პალომიდი გაეცალათ. სერ ტრისტრამმა კი დედოფალი მეფე მარკს დაუბრუნა. დედოფლის დაბრუნებას ყველა დიდი სიხარულით შეხვდა. მთელი ამბის გმირი სხვა ვინ იქნებოდა, ტრისტრამის გარდა?

სერ ტრისტრამმა იზრუნა ამისათვის, რომ მეტყვევის ქოხიდან წამოეყვანათ რაინდი სერ ლამბეგუსი. დიდი დრო დასჭირდა მის მოკეთებას, მაგრამ ბოლოს მაინც მორჩა.

საამესა და კეთილდღეობას ბოლო არ უჩანდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი სერ ტრისტრამის ახლობელი ნათესავი, სერ ანდრეტი განუწყვეტლივ უკან დაჰყვებოდათ სერ ტრისტრამსა და მშვენიერ იზოლდას, ცდილობდა რაიმე საჩოთირო ამბავში გამოეჭირა და დაედუბა კეთილშობილი რაინდი.

პოდა, ერთხელაც, როცა სერ ტრისტრამი იზოლდას სარკმელს ქვეშ იდგა და ესაუბრებოდა, ისინი შეამჩნია სერ ანდრეტმა. იგი მაშინვე გაიქცა და ეს

ამბავი მეფეს შეატყობინა. მეფე მარკმა ხმალი იშიშვლა და სერ ტრისტრამს მივარდა. „მუხანათი“ უწოდა და აჩეხვა მოუხდომა. მაგრამ სერ ტრისტრამი ძალზე ახლო იდგა. მოასწრო. ეცა და ხმალი ხელიდან გააგდებინა.

მეფემ უკირილი ატეხა:

— სადაა ჩემი ხალხი? სად არიან ჩემი რაინდები? ეს მოლალატე!

მაგრამ იქ ერთიც არავინ აღმოჩნდა ისეთი. მეფის ბრძანების აღსასრულეზღად ნაბიჯი გადაედგა. როცა ნახა, იქ მისი მტერი არავინ იყო. სერ ტრისტრამმა ხმალი ისე შემართა, თითქოს მისი მოკვლა სდომებოდა. ამის დანახვაზე მეფე მარკი გაიქცა. ტრისტრამი კა უკან დაედევნა და ბარე ხუთჯერ სიბრტყივ დაჰკრა ხმალი კისერზე, ასე რომ, ბოლოს მარკი პირქვე დაეცა და ცხვირი მტვერში ჩარგო.

მერმე სერ ტრისტრამი მეფის სასახლეს გაეცალა, აბჯარი აისხა, თავისი ხალხი იახლა და უსიერ ტყეში დაიწყო ცხოვრება. იქ, ტყეში ტრისტრამს ერთხელ მეფე მარკის ორ რაინდთან, ძმებთან მოუხდა ბრძოლა. ერთს თავი მოჰკვეთა, მეორე კი სასიკვდილოდ დაჰკრა და აიძულა თავისი ძმის მუზარადიანი თავი მეფე მარკისათვის მიეტანა. ამავე ბრძოლაში მან დაჰკრა ოცდაათი რაინდი, ბოლო ის რაინდი, რომელსაც მეფესთან ძმის თავი გაატანა, მეფე-დედოფლის თვალწინ ისე მოკვდა. რომ სიტყვის დაჰკრაც არ დასცალდა.

მაშინ მარკმა ბარონები შეყარა და საკრებულოს ჰკითხა: სერ ტრისტრამს როგორ მოვექცეთო.

— სერ, — უთხრეს ბარონებმა და პირველი მათგანი იყო სერ დინას-სენეშალი, — ჩვენი რჩევაა, ხალხი გაგზავნოთ და ისევ მოიმხროთ სერ ტრისტრამი, იცოდეთ ბევრი ვინმე წაგივათ, თუ სერ ტრისტრამს შეავიწროვებთ, ამას გარდა, — განაგრძო დინას-სენეშალმა, — ესეც არ დაივიწყოთ, რომ ქრისტიან რაინდთა შორის, როგორც ამბობენ, მას ტოლი არა ჰყავს და ძლიერებით მხოლოდ ერთი, სერ ლანსელოტ ტბელი თუ შეედრება. თუ ტრისტრამი ჩვენს სამეფო კარს მიატოვებს და მეფე ართურს შეეხიზნება, რაღა თქმა უნდა, მას იქ ხელგაშლით მიიღებენ და მთელი თქვენი რისხვა მერმე უმწეო იქნება. ამიტომ, სერ, ჩემი რჩევაა, როგორმე მყისვე შემოირიგეთ.

— სიამოვნებით, — მიუგო მარკმა. — გაგზავნეთ ხალხი, რომ ისევ მეგობრები ვიყოთ.

ბარონებმა სერ ტრისტრამს შუაქაცები მიუგზავნეს და ლტოლვილი რაინდის უშიშროების თავდებობა თვითონვე აკისრეს. სერ ტრისტრამი სასახლეში დაბრუნდა, მას დიდი პატივით შეხვდნენ, უწინდელ ამბავს აღარავინ იხსენებდა და სასახლეში დიდი თამაშობანი, შექცევა და ლხინი იყო გამართული.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე ც ა მ ა ტ ა

ამა აბავი, თუ როგორ ებრძოდა სერ ლანსელოტი ოცდაათ რაინდს, და სერ ტრისტრამმა, მეფის ნებით, როგორ მოკლა მისი ბედაუკი

ერთხელაც მეფე და დედოფალი ტრისტრამის თანხლებით სანადიროდ წავიდნენ. ტყეში, მდინარის პირას, კარვები გამართეს. ყოველდღე ნადირობდნენ და ასპარეზობდნენ, თან ოცდაათი ისეთი რაინდი ახლდათ, რომ, ვისთან შებმაც

მოუხდებოდათ, უკან არ დაიხევდნენ. ბედისწერა იყო თუ რა, იმ დროს იმ მი-
დამოებში გამოჩნდნენ სერ ლამორაკ უელსელი და სერ დრიანტი ეს სერ
დრიანტი შუბით კარგად იბრძოდა, მაგრამ ბოლოს ძლეულ იქნა და ცხენიდან
ჩამოაგდეს. შემდეგ რაინდებთან ბრძოლაში გამოვიდა სერ ლამორაკი. იგი
ისე ოსტატურად ებრძოდა ოცდაათ რაინდს, რომ ერთიც ვერ გასუბღრდებ უნა-
გირზე. ყველანი ძირს ჩამოყარა, ზოგიერთი ჩამოვარდნისას მალე მძიმედაც
დაშავდა.

— ნეტავი გამაგებინა, ვინაა ის რაინდი, რომელიც ასე ოსტატურად
იბრძვის, — თქვა მეფე მარკმა.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — მე ვიცნობ მაგ რაინდს. მისი ხალარი
მეომარი ცისქვეშეთში ბევრი არ დაიარება, მისი სახელი გახლავთ სერ ლა-
მორაკ უელსელი.

— შევრცხვებით, თუ ის ჩვენი ქვეყნიდან დაუმარცხებლად წავა, — შე-
წუხდა მეფე.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — კეთილშობილ რაინდს ახლა დიდ
ბატის ვერ დასდებს მასთან ბრძოლაში გასვლა. მას ზომ დიდი ჯაფა დაადგა
ოცდაათ რაინდთან ბრძოლაში. იგი გადალლილია და მისი ცხენიდან ჩამოგ-
დება ვერაფერი ვაუკაცობა იქნება. ვფიქრობ, ახლა მისი გამოცდა მეტ სირ-
ცხვილს გვაქმევს, რადგან მის ცხენსაც არაქათი გამოეცალა და თვითონაც
ქანცაწყვეტილია იმდენი საგმირო საკმის შემდეგ, რაც დღეს მოახდინა. კაცმა
რომ გულახდილად თქვას, მისგან ნაქმნარი საკმენი თვით სერ ლანსელოტ ტბე-
ლის საკადრისია.

— თუ საქმე ამაზე მიდგა, — უთხრა მეფე მარკმა, — გიბრძანებთ,
ჩემი და დედოფალ იზოლდას სიყვარულისათვის, ახლავე შეებათ სერ ლამო-
რაკ უელსელს და გამოსცადოთ მისი მკლავის ძალა.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — თქვენ მიბრძანებთ მოვიქცე რაინ-
დული ღირსების საწინააღმდეგოდ. მისი უნაგირიდან გადმოვდება, ვფიქრობ.
თავისუფლად ძალმიძს, მაგ ამბავს დიდი საბრძოლო ხელოვნება არ დასჭირდება,
რადგან ჩემი ცხენი დასვენებულია და თვითონაც მისებრ დალილ-დაქანცუ-
ლი როდი ვარ. ლამორაკ უელსელი ამ შებრძოლებას რაინდული ქცევის წე-
სების დარღვევად ჩათვლის, რაც რაღა თქმა უნდა, სამარცხვინოა, რადგან
ქეშმარიტმა რაინდმა სხვისი სისუსტით არ უნდა ისარგებლოს. ამასთან, მე
ნება არა მაქვს, გაწყენინოთ და ამიტომ ისე მოვიქცევი, როგორც ჩემგან
მოითხოვთ.

სერ ტრისტრამმა მაშინვე აისხა აბჯარი. ამხედრდა და ველზე გავიდა.
სერ ლამორაკი მამაცურად შეხვდა მის გამოჩენას. ისინი შუბმომარჯვებულნი
ეკვეთნენ ერთურთს. სერ ლამორაკის ცხენი მაშინვე ძირს განერთხო და მხე-
დარიც დაბლა დასცა. სერ ლამორაკმა სწრაფად გაითავისუფლა ფეხები უზან-
გებიდან. ფარი იფარა და მახვილით შეუტია ტრისტრამს.

— ჩამოქვეითდი, რაინდო. ან იქნებ ვერ ბედავ, — შეუძახა მან ლიო-
ნელს.

— არა, სერ! — მიუგო ტრისტრამმა, — მე აღარ განვაგრძობ თქვენთან
ბრძოლას, რადგან ისედაც საკმარისად შევირცხვინე თავი და გასახელეთ
თქვენ.

— ვინდაც აგრე იყოს, — მიუგო ლამორაკმა, — მადლობას მაინც არ

ეტყვი. რაკი ცხენდაცხენ მძლიე, ახლა ჩამოქვეითდი და, თუ მართლა ტრისტრამ ლიონელი ხარ, ქვეითად შემები.

— ეგ არ მოხდება, — თქვა სერ ტრისტრამმა. — ჩემი სახელი მართლაც ტრისტრამ ლიონელია. თქვენ კი სერ ლამორაკ უელსელი ხართ. რაც ზიანი მოგაყენეთ, ჩემი ბრალი არ არის, ბრძანება მჭონდა შებმისკენ წაიყვანებოდა. სხვა დროს მუდამ ხალისით შევასრულებ თქვენს თხოვნას, ამჯერად კი არა. მე თქვენ აღარ შეგებრძოლებით, ისედაც საკმაოდ შევირცხვინე თავი.

— რაც შეეხება სირცხვილს, — უბასუხა სერ ლამორაკმა, — შენ შენის ნებით უკვე შევირცხვინე თავი, მე კი, რადგან ფაშატის შვილმა სამსახურზე უარი მითხრა, დედოფლის შვილი მზადა ვარ გემსახუროთ! და თუ მართლა ისეთი ღირსების რაინდი ხარ, როგორი ხმებიც ხალხში დადის, უნდა დაქვეითდე და შემები!

— სერ ლამორაკ, — მიუგო სერ ტრისტრამმა. — მე მესმის, გაჯავრებული ხართ და საამისოდ საბაბიცა გაქვთ. სიმართლე რომ ითქვას, მეც გავფიცდებოდდი, თუკი ვნახავდი, რომ კეთილშობილი რაინდი, რომელიც დასვენებულია და ძალი და ღონეც შემონახული აქვს, დაღლილ-დაქანცულ რაინდს შეებმებოდა. ამჟვეყნად ისეთი არც ცხენი და არც რაინდი არ არსებობენ. რომელთაც დაღლა არ იცოდნენ, ამიტომ, ვიმეორებ, აღარ ვიბრძოლებ, რადგან იმაზე ფიქრიც მაშფოთებს, რაც უკვე ჩავიდინე.

— რაკი ასეა, — მიუგო სერ ლამორაკმა. — როდისმე მაინც გაგისწორდები, როცა შემთხვევა მომეცება.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ა თ ო მ ხ მ ა ტ ა

აქა ახბავი, როგორ გამოუგზავნა ტრისტრამის სამტროდ სერ ლამორაკმა მეფე მარკს უანსი და როგორ დაიშალა ტრისტრამი სამლოცველოში

ბრძოლაგადახდილმა სერ ლამორაკმა სერ დრიანტის თანხლებით თავისი ვზით გასწია. წინ შემოეყარა რაინდი, რომელიც ქალბატონ ფეა მორგანს მეფე ართურთან გაეგზავნა. იმ რაინდს მეფესთან მიჰქონდა ოქროთი მოზარნიშებული ყანწი, რომელსაც ისეთი ჯადოსნური თვისება ჰქონდა, რომ ყანწიდან წყლის ტკბილი სასმელის ან ღვინის უბიფათოდ დაღვევა შეეძლო მხოლოდ ჯმრის ერთგულ კეთილშობილ ქალს. თუ ყანწს ჯმრის მოღალატე, ორგული მიიყუდებდა, დაღვევისას მთელი სითხე უთუოდ დაექცეოდა, ხოლო თუ ქალი უცოდველი იყო, შეეძლო დამშვიდებით შეესვა სასმელი. დედოფალ გვინივერას ჯმრისადმი ერთგულების გამოსაცდელად იყო ის ყანწი გაგზავნილი მეფე ართურთან. დედოფალს სერ ლახსელოტთან სიახლოვეში ედებოდა ენა ახსნილთაგან ბრალი. სერ ლამორაკმა ის რაინდი ძალით გამოტეხა, სად და ვისთვის მიჰქონდა ყანწი.

— ახლა აირჩიე, — უთხრა სერ ლამორაკმა, — ყანწს მეფე მარკს მიუტან, ანდა მოკვდები. ეს უნდა ჩაიდინო სერ ტრისტრამისათვის ვნების მისაყენებლად. მეფეს ეტყვი, რომ უფგზავნი ყანწს თანამეცხედრის ერთგულების გამოსაცდელად, და თუ დედოფალი არ დალატობს, ამით შეიტყობს.

რაინდი ვხას გაუდგა ძვირფასი ყანწი მეფე მარკს ჩაუტანა და აქა მისი ჯადოსნური თვისება

მაშინ მეფემ დედოფალი და ასი სხვა მანდილოსანი აიძულა იმ ყანწი-
დან შეესვათ სასმელი. მხოლოდ ოთხი აღმოჩნდა ერთგული ქმრისა და მარჩე-
ნებს სასმელი დაეღვარათ.

— აფსუს! — თქვა მეფე მარკმა, — ეს ხომ თავისმოკრე და უმჯობესი
სირცხვილია! მეფემ მაშინვე დაიფიცა, რომ დედოფალი და მარჩენი
მოლაღატე ქალებაც კოცონზე დაიწვებიანო.

მაგრამ ბარონები წინ წარსდგნენ და მტკიცედ განაცხადეს, რომ არა სურთ
რალაც ყანწის მიზეზით თავიანთი ცოლები კოცონზე დაწვან. მათი აზრით, ყან-
წიდან სასმელის დაუღვრელად შესმის ამბავი რომელიღაც ვერაგი კუდიანი
დედაკაცის მოჩხიბული უნდა ყოფილიყო. არავითარი სარგებლობა მავ ამ-
ბავს არ მოაქვს, მხოლოდ შუღლისა და განხეთქილების დათესვა შეუძლია.
ფითონ ის ჯადოსანი, ალბათ მთელს სიცოცხლეში მტერი იყო ყველა ქეშ-
მარიტად მოსიყვარულე წყვილისათ!

ბევრმა იქ მყოფმა რაინდმა კი დაიფიცა, რომ თუ სადმე იმ ფეა მორ-
განს გადაპყრიდა ბედი, მათგან თავაზიანი მოპყრობის იმედი არ უნდა ჰქო-
ნოდა. განსაკუთრებით განრისხდა სერ ტრისტრამი, რადგან მშვენივრად მიხ-
ვდა, რომ სერ ლამორაკმა ყანწი სწორედ მის დასალუპავად გამოუგზავნა მეფე
მარკს, და გულში ჩაითქვა, უსათუოდ ვანანებო.

იმ ხანებში სერ ტრისტრამი დღისითაც და ღამითაც, როგორც კი შეყრის
საშუალება მიეცემოდა, დედოფალ იზოლდასთან დადიოდა. მისივე საკუთარი
ნათესავი სერ ანდრეტი კი მოილი ღამეები დარაჯობდა ტრისტრამს, იქნებ
როგორმე დედოფალთან შევისწროო. აი, ერთხელაც, ღამით დანიშნულ დროსა
და საათს, როცა პაემანი ჰქონდათ სერ ტრისტრამსა და მშვენიერ იზოლდას,
დადარაჯებულმა ანდრეტმა მართლაც მიატანათ სერ ანდრეტს თან თორმეტი
რაინდი ახლდა. იგი მოულოდნელად დაესხა თავს სერ ტრისტრამს, საწოლს
მწოლი შიშველი კაცი შეკრეს, შებოჭეს და გათენების მოლოდინში ძირს
დააგდეს.

დილით მეფე მარკის, სერ ანდრეტისა და სხვა ბარონების გადაწყვეტი-
ლებით სერ ტრისტრამი გადაიყვანეს ზღვის ნაპირას, კლდის თავზე აღმართულ
სამლოცველოში. ეკვდერში, რათა იქ აღესრულებინათ განაჩენი. ტრისტრამი
წაიყვანეს ხელფეხშეკრული, ორმოცი რაინდის თანხლებით. როცა სერ ტრის-
ტრამმა ნახა, რომ სიკვდილის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, რაინდებს
უთხრა:

— ძვირფასო ლორდებო, გაიხსენეთ, რაც გამოიკეთებია კორნუელისათვის,
რა საფრთ ეში არ შემირგავს თავი. როცა უძლეველ სერ მარპაუსთან ორთა-
ბრძოლაში თქვენგან ვერავინ გაბედა გასვლა, კორნუელი რომ ხარკისაგან
მეხსნა, თავი გამოვიდღე და მე ჩავები ბრძოლაში, განა მაშინ ასეთ გასამრჯე-
ლოს მპირდებოდით? ამიტომ, თუ მართლა კეთილშობილი რაინდები ხართ,
ნუ გამწირავ უღვთოდ, ნუ მოაკვლევინებთ ასე ჩემს თავს, რადგან ეს ამბავი
სამარცხვინო იქნება რაინდთა მთელი წოდებისათვის. მე ხომ თამამად შე-
მიძლია ვთქვა, რომ ორთაბრძოლაში მრავალ რაინდს შევხვედრივარ და არა-
ვისთვის ზურგი არ მიჩვენებია, ბევრი კი მიძლევია.

— სირცხვილი შენ! — მიუგო სერ ანდრეტმა, — მთელი შენი სიმამა-
ცის მიუხედავად, მდაბალი მოლაღატე ხარ! და რამდენიც არ უნდა იკვეს-
ნო, დღეს უნდა მოკვდე!

— აჰ, ანდრეტი, ანდრეტი! — თქვა სერ ტრისტრამმა, — შენ ხომ ჩემი ახლობელი ნათესავი ხარ და ისე ლაპარაკობ, როგორც უბოროტესი მტერი. აქ რომ ორნი ვაყოთ, მე ხომ შენ არ მომკლავდი.

— როგორ თუ არა! — ამ სიტყვებზე ანდრეტმა ხმალი იშოშვლა და შებოჭილ რაინდს მოკვლა დაუპირა.

სერ ტრისტრამის ხელები აქეთ-იქიდან მდგარ რაინდებს მტკიცედ დაეზორკათ, როცა ანდრეტი აგრერიგად აღიძრა. ტრისტრამმა ერთი კი დაიხედა ხელებზე, მერმე მტკიცედ მოქაჩა სხეულისაკენ ორივე ხელი, ორივე რაინდი მოიზიდა თავისკენ, უცებ გაჰკრა ხელები, მოშვებული თოკი მოიხსნა, თავის ნათესავ ანდრეტს მივარდა, ხელიდან ხმალი გამოსტაცა, მოიქნია, დაჰკრა და ანდრეტი ძირს გაშხლართა, მერმე სხვებს დაერია და ათი რაინდი იქვე მიაწვინა. შემდეგ ეკვდერში შეაფარა თავი და თავდაცვა მამაცურად განაგრძო, ატყდა ერთი ყვირილი, წიოკობა და ვაი-უშველებელი. ასამდე რაინდი მიესმარა სერ ანდრეტს. სერ ტრისტრამმა დაინახა მის წინააღმდეგ შეკრებილი ამდენი რაინდი, თანაც მაშინლა გაახსენდა, რომ შიშველი იყო, ეკვდარში შევარდა და კარი შიგნიდან ჩაქეტა. მერმე სამლოცველოს სარკმელს რკინები მოგლიჯა, ფანჯრიდან გადახტა და პირდაპირ ხღვის სანაპიროს ქვებზე დაეცა.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ა თ ხ უ თ ა მ ა ტ ე

ესა ამაგავი, თუ როგორ იხსნის სერ ტრისტრამი საკუთარმა რაინდებმა, როგორ დააბდეს დედოფალი იზოლდა ამთროვანის ქოხში და როგორ დაჰკრეს სერ ტრისტრამი

ახლა სერ ტრისტრამთან ვეღარც სერ ანდრეტი მივიდოდა და ჭეღარც მისი მომხრე სხვა რაინდები. როცა ისინი წავიდნენ, უკვე ტრისტრამის მეგობრები დატრიალდნენ: გოვერნალი, სერ ლამბეფუსი, სერ სენტრალ დე ლიუშონი. ამ ადამიანებმა დაიწყეს სერ ტრისტრამის ძებნა და არ მოისვენეს, ვიდრე იგი არ ნახეს და ქსოვილზე დასვენებული არ წაიყვანეს.

როგორც კი სამშვიდობოს გავიდნენ, სერ ტრისტრამმა იკითხა, სად არისო დედოფალი იზოლდა.

— სერ, — უთხრეს, — ის ქალი კეთროვანთათვის განკუთვნილ ქოხშია.

— აფსუს! — თქვა სერ ტრისტრამმა, — შეუფერებელია ასეთი მშვენიერი მანდილოსნისათვის ასეთი საცხოვრებელი, და თუ ფებზე მალე დავდექი, ის დიდხანს იქ არ დარჩება.

როგორც კი მოიკეთა, თავისი ხალხი იახლა, მშვენიერი იზოლდა ქოხიდან გამოიყვანა, უსიერ ტყეში აღმართულ ერთ მშვენიერ სახლში მიიყვანა და იქ დასახლდნენ. ტრისტრამმა თავის ხალხს უბრძანა, ახლა დამტოვეთ, რადგან აღარ მესაჭიროებითო. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, გოვერნალს გარდა.

ერთხელ სერ ტრისტრამი შუაგულ ტყეში სეირნობდა, ერთგან მწვანე მთლი მოეწონა, წამოწვა და მალევე ჩაეძინა. სწორედ ამ დროს იქ გამოიარა ერთმა კაცმა, რომელსაც ოდესღაც ტრისტრამმა ძმა მოუკლა. დაინახა თუ არა ძმის მკვლელი, იმ კაცმა მშვილდი მოზიდა, კარგად დაუმიზნა, ესროლა და მხარში დაჰკრა ტრისტრამი. დაჭრილი წამოფარდა და ის კაცი იქვე მოკლა.

ამასობაში მეფე მარკს ამბავი მიუვიდა, სერ ტრისტრამი და იზოლდა ერთად ცხოვრობენო ტყის სახლში. მეფემ მრავალი რაინდი იახლა და იქით გაეშურა, რომ სერ ტრისტრამი მოეკლა. მაგრამ სერ ტრისტრამი შინ არ დაუბ-

ვდათ. მეფის ხალხმა ხელი სტაცა ქალს, სასახლეში წაიყვანეს და ისე ჩაკეტეს, რომ მშვენიერმა იზოლდამ ვერავითარი ცნობა ვეღარ მიაწვდინა ტრისტრამს.

ამასობაში სერ ტრისტრამი შინ დაბრუნდა და ნახა, რომ მისი სახლის ირგვლივ უამრავი ნატერფალი იყო ცხენებისა, მისი სატრფო კი თვეწლის მიწას ჩაეყლაბა, ისე უკვალოდ გაქრა. ტრისტრამს ღრმა მწუხარება დაიბრუნდა. ასე დაღვრემილმა და სნეულმა მრავალი დღე მარტოობაში გაატარა. ისარი, რომლითაც ის დაჭრეს, მოწამლული აღმოჩნდა.

კარგა ხანმა განვლო, ვიდრე მშვენიერი იზოლდა ერთ ქალს არ მოეღაპარაკა, ბრანგვეინის ახლო ნათესავს და ტყეში არ გააგზავნა. იზოლდამ ტრისტრამს შეუთვალა, შენი კრილობა არ მორჩება. თუ დახელოვნებული მკურნალი არ გიწამლებსო. ამიტომაც შენი ქალბატონი იზოლდა გიბრძანებს დაუყოვნებლივ გაეშურო ბრეტანში მეფე ჰოუელის კარზე, სადაც მეფის ასულს თეთრხელებიან იზოლდას ნახავ. ის გიმკურნალებს და მოგარჩენსო.

მაშინ სერ ტრისტრამი და გოვერნალი გემში ჩასხდნენ და ბრეტანს მი-აშურეს. როცა მეფე ჰოუელმა ტრისტრამი შეიცნო, ძალზე გაიხარა.

— სერ, — უთხრა ტრისტრამმა, — მე მოვედი თქვენს ქვეყანაში, რათა თქვენმა ასულმა განმკურნოს, რადგან მითხრეს, სხვა ვერავინ გიშველისო.

მართლაც, თეთრხელებიანმა იზოლდამ განკურნა იგი.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ა თ ე ა ქ ს მ ა ტ ა

როგორ შევიდა სერ ტრისტრამი ბრეტანის მეფის ჰოუელის სასახლეში და როგორ მოკლა ბრძოლაში მეფის მტერი

მეფე ჰოუელის სამფლობელოში იყო ერთი გრაფი, სახელად აგრიპი. ეს გრაფი თავისი ჯარით დაესხა თავს მეფე ჰოუელს, ომი გაუმართა. სასტიკად დაამარცხა და ალყა შემოარტყა მის ქალაქს. ერთხელ, სერ მეფისწული კეიპიდინი ალყაშემორტყმული ქალაქიდან გამოიქრა და თავს დაესხა მოალყეთ, მაგრამ ძალზე მძიმედ დაჭრეს და ლამის სიცოცხლეს გამოასალმეს.

მაშინ გოვერნალი ეახლა მეფეს და უთხრა:

— სერ, გირჩევთ მიმართეთ ჩემს ბატონს სერ ტრისტრამს, რომ ვასაქირში მოგეშველოთ.

— თქვენს რჩევას მივიღებ, — მიუგო მეფემ. იგი მაშინვე სერ ტრისტრამს ეახლა და სთხოვა, ომში მომეშველე, რადგან ჩემი შვილი სერ კეიპიდინი მძიმედ დაჭრილია და ბრძოლის ველზე გასვლა არ შეუძლიათ.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — მე გავალ ბრძოლაში და იმას მოვი-ტყმედებ, რაც ძალმიძს.

სერ ტრისტრამმა პატარა რაზმი იახლა და ქალაქის ალყაფის კარი უკან მოიტოვა. იგი მომსდურთ მიეჭრა და იქ ისეთი საგმირო საქმეები მოახდინა, რომ მთელი ბრეტანი ამაზე ლაპარაკობდა. ბოლოს თავისი მძლავრი მარჯვენით მან მოკლა თვით გრაფი აგრიპი. ასამდე სხვა რაინდიც დააწვინა იმ დღეს მიწაზე. ამის შემდეგ ქალაქის მოედანზე ტრისტრამს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. მეფე ჰოუელმა ორივე ხელი შემოჰხვია და უთხრა:

— სერ ტრისტრამ, მე მზად ვარ მთელი ჩემი სამეფო მოგიძღვნა.

— ღმერთმა დამიფაროს! — გააცინა ტრისტრამმა. — თქვენი ქალიშვილის წინაშე კიდევ მე ვარ ვალში.

მალე მეფისა და მეფისწულის დიდი ცდის შედეგად ჩაისახა სერ ტრისტრამისა და იზოლდას დიდი სიყვარული, რადგან ეს ქალი სახითაც მშვენიერი იყო. ზნითაც კეთილი, ჩამომავლობით კეთილშობილი და წარჩინებული. სიმდიდრით და პატივით გარემოსილმა, ყოველგვარი სიკეთითა და აღერსით ვაბრუებულმა ტრისტრამმა მოკლე ხანში ლამის დაივიწყა მშვენიერი იზოლდა.

კიდევ ცოტაც და სერ ტრისტრამი თვთრხელებიან იზოლდასთან ქორწინებაზეც დათანხმდა. ქორწილი დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადეს. მაგრამ როცა საქორწინო სარეცელში ჩაწვა, ტრისტრამს გაახსენდა თავისი მშვენიერი იზოლდა და ისე შეწუხდა, ისე დალონდა, რომ კანონიერ თანამეცხედრეს სხვა სიხარული ვერ აგემა, მხოლოდ ეხვეოდა და კოცნიდა. სხვა ხორციელი სიამე ამ ქალთან სერ ტრისტრამს არც არასოდეს განუცდიაო, ასე ამბობს ფრანგული წიგნი, იქვე ნათქვამია, რომ თვთრხელებიან იზოლდასაც აგრე ეგონა, მთელი სიყვარული ამ ხვევასა და კოცნაშია, სხვა არაფერი არ ყოფილაო.

იმ დროს ბრეტანში ცხოვრობდა ერთი რაინდი, სახელად სერ სუპინაბილი, იგი ზღვით ჩასულიყო ინგლისში, მეფე ართურის კარზე სერ ლანსელოტს შეხვედროდა. ტბელი რაინდისათვის ტრისტრამის ქორწინების ამბავი მოეთხრო, რის გამოც სერ ლანსელოტს უთქვამს:

— სირცხვილი ტრისტრამისა, რომ გული მისი აღარ მონებს რაინდული სიყვარულით მშვენიერ იზოლდას! ვანა შესაძლოა, რომ ისეთმა სახელოვანმა რაინდმა, როგორიცაა სერ ტრისტრამი, ვერ შეინარჩუნა ერთგულება პირველი სიყვარულისა და ზურგი აქცია კორნუელის დედოფალს? გადაეცით ჩემგან, — თქვა ლანსელოტმა, — ქვეყნად ყველა რაინდზე მეტად მიყვარდა და მისი საგმირო საქმეები მახარებდა, ვაფასებდი მის ქველობასა და კეთილშობილებას. განუცხადეთ, რომ სიყვარული დასრულდა და გააფრთხილეთ, რომ ამიერიდან მისი მოსისხლე მტერი ვიქნები.

თ ა ვ ი ო ს დ ა მ ი ჩ ვ ი დ მ ა ტ ა

როგორ აუფხა სერ სუპინაბილმა სერ ტრისტრამს, მეფე ართურის სასახლეში ცუდი სახელი დაგივარდაო, აზრითვე სერ ლანსელოტს ამბავი

სერ სუპინაბილი ბრეტანში გაბრუნდა, იქ სერ ტრისტრამი ნახა და უთხრა, მეფე ართურის სასახლეში ვიყავიო. სერ ტრისტრამმა პკითხა:

— ჩემზე ხომ არ მოვისმენია რაიმე ლაპარაკი?

— მოვისმინე, ღმერთია მოწმე, — მიუგო სუპინაბილმა. — მოვისმინე, როგორ გაძაგებდათ და გგმობდათ სერ ლანსელოტი იმისათვის, რომ თქვენს გულის მურაზს უღალატეთ. მიბრძანა გადმოგცეთ, რომ იმ დღიდან, რაც ეს ამბავი შეიტყო, იგი თქვენი მოსისხლე მტერი იქნება, სადაც არ უნდა შემოგეყაროთ.

— ეს კი მალონებს, — თქვა სერ ტრისტრამმა, — რადგან რაინდთა შორის მისი მეგობრობა ყველაზე მეტად მენატრებოდა.

შერცხვა ტრისტრამს და გამწარდა, რადგან კეთილშობილი რაინდები სიყვარულში ლალატისათვის კიცხავდნენ. ამასობაში მშვენიერმა იზოლდამ დედოფალ გვანევერას მისწერა წერილი, რომელშიაც ჩიოდა, სერ ტრისტრამმა მიღალატა, ბრეტანის მეფის ასული შეირთოო. დედოფალმა გვინევერამ სამა-

ვიერო წერილი გაუგზავნა მშვენიერ იზოლდას და ანუგეშა: „სიმწარეს სიტყ-
ბოება მოჰყვება, სერ ტრისტრამი ასე ლამაზი და კეთილშობილი რაინდია, რომ
ასეთებს ქალები ჯადოქრობით აიძულებენ. შეირთონ. მაგრამ ბოლოს და ბო-
ლოს მოხდება ისე, რომ მაცდურს შეიძულებს. თქვენ კი უწინდელზე უფრო
მხურვალე გულით შეგიყვარებით“.

ახლა ბრეტანში მივატოვოთ სერ ტრისტრამი და სიტყვა ჩამოვსვტოთ
სერ ლამორაკ უელსელზე. რომელიც ზღვით მიცურავდა. მისი გემი კლდეს
დაეჯახა, ვინც შიგ იმყოფებოდა, ყველა დაიღუპა და გადაარჩა მხოლოდ ორი
ადამიანი: სერ ლამორაკი და მისი საჭურველთმტვირთველი. სერ ლამორაკი
დაუღალავად მიცურავდა და მიცურავდა. ვიდრე კუნძულ სერვაეთან მეთევ-
ზეებმა არ გადაარჩინეს. საჭურველთმტვირთველს კი ველარაფერი უშველეს,
იგი ზღვაში დაიხრჩო. მეთევზეებს დიდი ჯათა დასჭირდათ, რომ ზღვაში ვა-
სულიყვნენ და სერ ლამორაკი გადაერჩინათ. რადგან კუნძულის პატრონი იყო
სერ ნაბონ შავი, მძლე ბუშბერაზი, რომელსაც სძულდა ართურ მეფის ყველა
რაინდი, დევნიდა მათ და გასაქანს არ აძლევდა. მეთევზეებმა სერ ლამორაკს
უთხრეს, ასეთი და ასეთი ბატონი გვყავს და ართურის ვერც ერთი რაინდი მას
ცოცხალი ვერ გადაურჩებაო. უკანასკნელად გოლიათს შებმია სერ ნანოუნ ტან-
მორჩილი, და როს ორთაბრძოლაში რაინდი ძლეულა, ართურის სიძულვილით
ნაბონ შავს იგი სამარცხვინოდ მოუკლავს: ნაფლეთებად უქცევია მისი სხე-
ული.

— სამწუხარო ამბავი მესმის, — თქვა სერ ლამორაკმა, — ეს რაინდი ჩემი
ნათესავი იყო. ახლავე რომ შემძლებოდა ბრძოლა, შურს ვიძიებდი.

— ჩუმად! — უთხრეს მეთევზეებმა, — კრინტიც აღარ დაძრათ, ვიდრე
აქედან წახვალთ. სერ ნაბონს შეატყობინებენ, რომ აქა ზართ და არც ერთს
არ შეგვრჩება თავი მხრებზე.

— ოღონდ მოვრჩე და გამოვჯანსაღდე, — მიუგო სერ ლამორაკმა, — გა-
მიაროს ზღვის სნეულებამ და მერე თამამად შეგიძლიათ უთხრათ, რომ მე
ართურ მეფის რაინდი ვარ, რადგან ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაიმეს
შიშით პატრონის სამსახურზე უარი მეთქვას.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ა

როგორ ჩავიდნენ უელსში სერ ტრისტრამი და მისი ცოლი, როგორ შეხვდა იმ
ტრისტრამი ლამორაკს

ახლა მივუბრუნდეთ სერ ტრისტრამს, რომელიც ერთხელ ორჩხომელში
ჩაჯდა და სასეირნოდ ნაპირს გაუყვა. მას თან ახლდნენ ცოლი — თეთრხელეა
იზოლდა და მისი ძმა, სერ კეიპიდინი. ორჩხომელი ღია ზღვაში გავიდა თუ
არა, ამოვარდა ძლიერი ქარი და ორჩხომელი უელსის სანაპიროებზე გარიყა.
ეს ამბავი კუნძულ სერვაეთან მოხდა, სადაც სერ ლამორაკი იმყოფებოდა.

აქ ორჩხომელი კლდეს მიენარცხა, იზოლდა დაშავდა, ძმამ და კმარმა
ციმციმ გადაიყვანეს ნაპირზე და ტყეს შეათარეს თავი. იქ წყაროსთან სერ
ტრისტრამი შეხვდა ქალიშვილთან ერთად მყოფ სერ სეგვარიდს და მიესალმა.
იმანაც სალამი უთხრა.

— სერ, — მიუბრუნდა სერ სეგვარიდი, — გიცანით, თქვენა ზარც. სერ

ტრისტრამ ლიონელი, კაცი, რომელიც ქვეყნად ყველაზე მეტად უნდა მძულდეს, საამისოდ მიზეზიცა მაქვს, თქვენ მოუღეთ ბოლო ჩემსა და მტერს ცოლის სიყვარულს, მაგრამ. — განაგრძო სერ სეგვარიდმა. — მე არა ვგაგანობ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ კეთილშობილი კაცი ქარაფშუტა ქალის მიზეზით შეიძულონ, ამიტომ გთხოვთ, იყავით ჩემი მეგობარი, მეგობრობას გაგიწევთ, როგორც შევძლებ. იცოდეთ, ამ ხეობაში სასტიკი განსაცდელი გელით, ალბათ შუბებით მოგვიწვეს დიდი ჯახირი ერთიმეორის დასახმარებლად.

სერ სეგვარიდმა სერ ტრისტრამი ერთ კორნუელი ქალთან მიიყვანა. იმ ქალმა სერ ტრისტრამს უთხრა, ამ ხეობაში ძრავალი საფრთხე მოგელის, რადგან ვინც კი ამ მხარეში მოხვდა, ჯერ არ ასცდენიაო სიკვდილი ან ტყვეობა.

— იცოდეთ, კეთილო ქალო, — უთხრა ტრისტრამმა, — მე მოვკალი სერ მარჰალტი და ვიხსენი კორნუელი ხარკისაგან. მე ის რაინდი ვარ, რომელმაც ახსნა ირლანდიის მეფე სერ ბლამურ განელისაგან, მე ვძლიე სერ პალიმიდიც ორთაბრძოლაში, მე ვარ სერ ტრისტრამ ლიონელი, რომელიც ღვთის შეწევნით იხსნის ამ ბედშავ კუნძულ სერვაესაც.

დაღლილ-დაქანცულმა სერ ტრისტრამმა ამ ღამით კარგად გამოიძინა და გამოშუშდა. დილით ერთმა უამბო: კუნძულზე იმყოფება მეფე ართურის რაინდი, რომლის გემიც კლდეს შენარცხებია, ხოლო თვითონ რაინდი დაღუპვას გადარჩენიაო.

— რა ჰქვია იმ რაინდს? — იკითხა ტრისტრამმა.

— ჩვენ არ ვიცით, — უპასუხეს მეთევზეებმა, — მაგრამ იგი სულაც არ მალავს, რომ მეფე ართურის რაინდია და ამ კუნძულის ბატონს არაფრად აგდებ.

— გთხოვთ, — უთხრა ტრისტრამმა, — თუ შეიძლებთ, ის რაინდი აქ მომიყვანოთ და, თუ ის მართლა ართურის სამეფო კარის კეთილშობილი რაინდია, უთუოდ ვიცნობ.

კეთილმა ქალმა მეთევზეებს, თავის მხრივ, სთხოვა, ის რაინდი ჩემს სახლში მოიყვანეთო. მეთევზეებმა მართლაც მოიყვანეს მეთევზის სამოსში გამოწყობილი რაინდი. ტრისტრამმა იგი ნახვისთანავე იცნო და გაუღიმა. მოსულმა სტუმარმა სერ ტრისტრამი ვერ შეიცნო.

— ძვირფასო სერ, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — ისეთი შეშლილი სახე და გამოხედვა გაქვთ, ეტყობა, ამ ბოლო ხანებში იავადმყოფეთ, თანაც შეჩვენება, თითქოს სადღაც უკვე გნახეთ.

— ადვილი შესაძლებელია, — ხალისიანად მიუგო სერ ლამორაკმა, — იქნება მართლა გინახივართ, რადგან ორთაბრძოლა მეფე ართურის სამეფო კარის ბევრ უკეთილშობილეს რაინდთან გადამიხდია.

— კეთილო სერ, — უთხრა ტრისტრამმა, — გამანდეთ თქვენი სახელი.

— სერ, ამას ერთი პირობით ვიზამ: მითხარით, თქვენ ხომ არა ხართ ამ კუნძულის გამგებელი, სახელად ნაბონ შავი?

— არა, არც ისა ვარ და არც მისი ყმა, მისი დაუძინებელი მტერი ვახლავართ, როგორც თქვენ, და ამას დაეამტკიცებ უმაღლეს ვიდრე ამ კუნძულს დავტოვებ.

— რაკი ასეა, — მიუგო სერ ლამორაკმა, — და თქვენ დაუფარავად

მიპასუხეთ ჩემს კითხვაზე, მეც გეტყვით, რომ ვარ სერ ლამორაკ ლიონელი, მეფე პელინორის ძე.

— მართლაც ასეა, — დაუდასტურა ტრისტრამმა, — და თუნდაც სხვა სახელი გეტყვათ, ჭეშმარიტება მაინც მეცოდინებოდა.

— ვინა ხართ, ასე კარგად რომ მიცნობთ?

— სიმართლე რომ გითხრათ, სერ, მე ვარ სერ ტრისტრამ ლიონელი.

— ერთხელ რომ ცხენიდან გადმომაგდეთ, მერე აღარ ჩამოქვეითდით და უარი თქვით ხმალდახმალ ჩემთან შებრძოლებაზე?

— სერ, ამის მიზეზი არ ყოფილა თქვენდამი შიში. მე შემრცხვა ბრძოლის გაგრძელება, რადგან იმ დღეს ასპარეზზე თქვენ დიდი ჯაფა დაგადგათ. ისე კი ვუწყვი, ჩემთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით თქვენ ფეა მორგანის ჯადოსნური ყანწი გაუგზავნეთ მეფე მარკს და ამით ბევრი ბოროტი ვნება მიაყენელ მრავალ მანდილოსანს. ის ყანწი განკუთვნილი იყო მეფე ართურისათვის, თქვენ კი ჩემდა საზიანოდ უცვალეთ გეზი.

— რას იზამ, — მიუგო ცივად სერ ლამორაკმა, — კვლავაც ასე მოვიქცეოდი, რადგან ვამჯობინებ ჭირი და უბედურება დაატყდეს არა ართურის, არამედ მეფე მარკის სასახლეს, ვინაიდან ამ ორი სამეფო კარის ღირსება ერთნაირი არ გახლავთ.

— მაგ ორი სამეფო კარის ღირსების თაობაზე გეთანხმებით, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — მაგრამ თქვენ ყანწს გეზი იმიტომ უცვალეთ, რომ ჩემთვის ვნება მოგეყენებინათ. მაინც, მადლობა ღმერთს, თქვენმა ბოროტმა ნებამ დიდად ვერავის ავნო, ამიტომ, — განაგრძო ტრისტრამმა, — საგულდაგულოდ ნუღარ მემტერებით, და აღარც მე კიქნები თქვენი მოსისხლე. მოდით, ერთად ვცადოთ ბედი, ყოველი ღონე ვიხმაროთ, იქნებ ამ კუნძულის პატრონთან, სერ ნაბონ შავთან ბრძოლაში რაიმეს გავხდეთ და საერთო ძალით მოვსპოთ მტარვალი.

— სერ, — მიუგო ლამორაკმა, — ახლა მთელი თქვენი კეთილშობილება საბოლოოდ ავწონ-დავწონე. ტყუილად კი არ ამბობს ხალხი, რომ სიბამაცით, თავაზითა და კეთილშობილებით რაინდთა შორის თქვენი ტოლი და ფარდი არ მოიძებნება. მე კი მთელი თქვენი სიკეთისათვის ბოროტით გიზღვთ. რასაც ახლა გულწრფელად ვნანობ.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ტ ხ რ ა მ ე ტ ე

აგა აგაპი. თუ როგორ ებრძოდა სერ ტრისტრამი სერ ნაბონს, როგორ სძლია ორთაბრძოლაში და როგორ მოიჭადინა კუნძულის გამგებლად სერ ლამორაკის დანიშვნა

ამასობაში გავრცელდა ცნობა: სერ ნაბონს თავის საბრძანებელში გამოეცხადებინა თავისი შეუვალი ნება, ოთხი დღის შემდეგ კუნძულის ყველა მცხოვრები გამოეცხადდესო ჩემს ციხესთან, იმ დღეს უნდა მომხდარიყო მისი შვილის რაინდად ხელდასხმა. ამ ამბავთან დაკავშირებით, უნდა გამართულიყო ასპარეზობა, ხეობაში მცხოვრები ყველა რაინდი უნდა მოსულიყო იმ შეჯიბრზე, სადაც ლოგრისის სამეფოს რაინდები ჩრდილოეთის უელსის რაინდებს შეებრძოლებოდნენ. ასეთი იყო ნაბონის ნება.

მორეული კუთხეებიდან ჩამოვიდა ხუთასამდე რაინდი. აქაურმა რაინ-

დებმა კი ტურნირზე წაიყვანეს: სერ ლამორაკი, სერ ტრისტრამი, სერ კეი-პიდინი და სერ სეგვარიდი. უიმათოდ გაძოსვლა ვერ გაბედეს. სერ ლამორაკს ცხენი სერ ნაბონმა ათხოვა, სერ ლამორაკმა ისე გამოიჩინა თავი იმ ტურნირზე, რომ მთელმა ხალხმა, და თვით ნაბონმა, თქვა: არასოდეს არ ვინახავს ასეთი მამაცი რაინდი. ფრანგულ წიგნში მის მიერ გადახდილ უსაჩუქრეებზე წერია, იმ ხუთასი ჩამოსული რაინდიდან თითქმის ყველა სძლიათ სერ ლამორაკმა.

მაშინ თვით რაინდმა ნაბონმა ისურვა სერ ლამორაკთან შერკინება იმ რაინდულ ასპარეზობაზე, მანამდე კი გულწრფელად თქვა, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, რაინდს ერთ დღეში ამდენი ბრძოლის მოგება მოესწროსო.

— სიამოვნებით, — მიუგო სერ ლამორაკმა, — შეგებმით როგორც შევიძლებ, თქვენთანაც ვიბრძოლებ, მაგრამ უკვე ძალა გამომელია და მრავალი ძლიერა დარტყმაც ვიგემე.

ორივემ შუბს ჩაავლო ხელი, მაგრამ სერ ნაბონი არ დაელოდა სერ ლამორაკის ძალის გამოცდას, მან პირდაპირ მის ცხენს ჩასცა შუბი თავში და მკვდარი პირუტყვი ძირს დასცა. ლამორაკმა ქვეითად დაიწყო ბრძოლა, ფარი წინ გაიწვდინა, ხმალი იშიშვლა და დაიწყო დაუნდობელი ჭიდილი. დიღლილ და ილაჩგამოცდილ სერ ლამორაკს ძალ-ღონე ელეოდა, სული ეხუთებოდა და თანდათან უკან-უკან იხევდა.

— არა, მეგობარო, — უთხრა სერ ნაბონმა, — არაქათგამოცდილი მანვილს ველარ იჭერ ხელში? წინათ არასოდეს შემვივრდომებია ბრძოლაში რაინდი, მაგრამ დღეს წყალობა მინდა მოვიღო. რადგან გაუგონარი რაინდული შემართება, თითქმის სასწაული ვიხილე. ამიტომ განზე გადაეჭი და მე შევიტყობ, ხომ არ იკისრებს შენი რომელიმე ამხანაგი ჩემთან შებმას.

ეს სიტყვები სერ ტრისტრამმა გაიგონა და თქვა:

— სერ ნაბონ, მათხოვეთ ცხენი და კარგი აბჯარი, მაშინ მივიღებ თქვენს გამოწვევას.

— კეთილი, მეგობარო, — მიუგო სერ ნაბონმა, — ეგერ იმ კარავთან მიდი, აისხი უკეთესი აბჯარი, რომელიც მოგეწონოს, და მაშინ შენთან სასწაულ თამაშს გავმართავ.

სერ ტრისტრამმა პასუხად უთხრა:

— ფრთხილად იყავით, იმ თამაშში არაფერი შეგეშალოთ, თორემ იქნებ ახალი გასართობი გაკვეთილი ჩემგან დაისწავლოთ.

— კარგად ოხუნჯობთ, — უთხრა სერ ნაბონმა.

სერ ტრისტრამი რჩეული საკუთრულით აღიჭურვა და ქვეითი ბრძოლისათვის გაემზადა.

— ასე ვამჯობინებ, რადგან ვატყობ, სერ ნაბონს არ მოსწონს შუბით ბრძოლა და უმალ ცხენს დაჰკრავს თავში, რომ რაინდი დააქვეითოს.

— კეთილი, მეგობარო, მაშ ვიკენწლაოთ.

დიდხანს იბრძოდნენ ქვეითად, უტევდნენ, უკან იხევდნენ. უწყალოდ ჩეხდნენ ერთმანეთს, გარნა შეუსვენებლივ და სულმოუთქმელად. ბოლოს იკადრა სერ ნაბონმა და სახელი ჰკითხა.

— ჩემი სახელია სერ ტრისტრამ ლიონელი, მეფე მარკის რაინდი ვარ, კორნუელიდან.

— აა, კეთილი იყოს თქვენი მოპრძახება! — მიუგო სერ ნაბონმა, — არც

ერთ რაინდთან შებმა არ მეწადა ისე, როგორც თქვენთანა და სერ ლანსე-ლოტთან.

ისევ მრისხანედ შეუტიეს ერთურთს, დიდხანს ამოდნობდნენ/ ბო-ლოს კი მაინც სძლია სერ ტრისტრამმა. აჩება სერ ნაბონი, მერმე ნახტომით უცებ გაჩნდა სერ ნაბონის შვილის პარისპირ და იმასაც თვეუცადებდა

ახლა კი მთელი კუნძულის მოსახლეობამ განაცხადა, ჩვენი პატრონი სერ ტრისტრამიაო.

— არა, ეს არ მოხდება, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — აგერ გახლავთ სა-ხელოვანი რაინდი სერ ლამორაკი, დაე, იმან განაგოს ჩემს მაგიერ კუნძული. მან ხომ დღეს წარმოუდგენელი საგმირო საქმეები მოახდინა!

— არც ეგ ამბავი შეიძლება, — თქვა სერ ლამორაკმა, — მე არა ვარ თანახმა, ამ ქვეყნის პატრონობა ვიკისრო, რადგან თქვენ უფრო დიდი და სასახელო გმირობა ჩაიდინეთ. ამიტომ ვისაც გენებოთ, იმას დაულოცეთ ამ მხარის გამგებლობა.

— რა გაეწყობა, — თქვა სერ ტრისტრამმა, — რაკი არც მე ვიღებ ჩემს თავზე კუნძულის გამგებლობას და არც თქვენ. მივცეთ ისეთ ვინმეს, ვინც ამ მხარის პატრონობას ჩვენზე ნაკლებად იმსახურებს.

— სერ, მოიქეცით, როგორც გენებოთ, რადგან ჩუქება — თქვენი უფ-ლებაა, მე კი მაშინაც არ დავდგებოდი კუნძულის გამგებლად, თუნდაც დამსა-ხურებული მქონდეს.

ითათბირეს და, საერთო თანხმობით, კუნძული სერ სეგვარიდს მიეცა. იმანაც მადლი მოახსენათ საჩუქრისათვის. ასე შეიქნა სერ სეგვარიდი კუნძუ-ლის ბატონად და ვიდრე მორჭმით იჯდა საბრძანებელზე, მოწყალე იყო და სა-მართლიანი. ყველა პატიმარი გაათავისუფლა და ადამიანური კანონ-წესები დაამყარა. შემდეგ კორნუელში ჩავიდა, მეფე მარკსა და იზოლდას მოახსენა, როგორ გაიმარჯვა სერ ტრისტრამმა და როგორ ჩააბარა კუნძული სერვაცი. მთელს კორნუელს მოსდო ამ ორი რაინდის გმირობის ამბავი, — ბავშვებიც კი ამაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ აუწერელი იყო მშვენიერ იზოლდას დარდი, როცა შეიტყო, რომ სერ ტრისტრამს კუნძულზე ახლდა თეთრხელებიანი იზოლდა.

თ ა ვ ი მ ა ო რ მ ო ც ა

როგორ დაშორდა სერ ლამორაკი სერ ტრისტრამს, როგორ შეხვდა იგი სერ ფროლს და შეხდებ კი სერ ლანსელოტს

ახლა მივუბრუნდეთ სერ ლამორაკს, რომელსაც გეზი მეფე ართურის სასახლისკენ ჰქონდა აღებული.

სერ ტრისტრამი, მისი ცოლი და სერ კეიპიდინი გემში ჩასხდნენ და პრე-ტანში გაბრუნდნენ. მეფე პოუელი და მისი კარისკაცები განუზომელი სახარუ-ლით შეეგებნენ დაბრუნებულთ. როცა დამხდურებმა მათი თავგადასავალი შეიტყეს, აღტაცებას ვეღარ ფარავდნენ ტრისტრამის კეთილშობილებისა და სიქველის განო.

სერ ლამორაკმა, სერ ტრისტრამს რომ დაშორდა, სავალად ტყის გზა

ორჩია და ვილაც განდევილის საფანეს მიადგა. განდევილმა რომ ნახა, ჰკითხა. ჩემს სამყოფელთან საიდან მოხვედიო.

— სერ, მე აი, იმ ხეობიდან მოვდივარ.



— მიკვირს და გამკვირვებია. — მიუგო განდევილმა. ექვეს შენს ჩელი ოცი წლის განმავლობაში არ მახსოვს შემთხვევა, რომ ურგებლოდ მომხვედრილი რაინდი არ მოეკლათ, მძიმედ არ დაექრათ, ან ბეჩავ ტყვედ არ ექციათ.

— სერ, ეგ ბოროტი ჩვეულება სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. — მიუგო სერ ლამორაკმა. — სერ ტრისტრამმა მოკლა თქვენი ბატონი სერ ნაბონი და ზედ დააკლა მისი შვილი.

განდევილმა დიდად გაიხარა და მასთან მისმა ძმებმაც, რადგან, მათი სიტყვით, ასეთი ტირანი საქრისტიანოში მეორე არ ყოფილა.

— მაშ, დღეიდან ეს მღონარი ხეობა სერ ტრისტრამის საგამგებლო იქნება? — იკითხა განდევილმა.

დილით სერ ლამორაკი განდევილის სახლიდან გაემგზავრა და თავისი გზით წავიდა. მიდის და ხედავს, ერთი რაინდი ოთხს შებმია. ბრძოლის დასაწყისში მარტოხელა რაინდი თავს ჩინებულად იცავდა, მაგრამ ბოლოს რაინდთა სიმრავლემ თავისი ქნა, და მაინც გადმოავდეს უნაგირიდან. მაშინ სერ ლამორაკი იმ ერთსა და ოთხს შორის ჩადგა და იკითხა, რას ერჩით ამ კაცს, რადგან ძალზე სამარცხვინო ამბავია, როცა ოთხნი ერთს ესხმიანო თავს.

— მაშ იცოდე. — უთხრა ოთხივემ თითქმის ერთდროულად. — რომ ეს კაცი მოლალატეა.

— ამას თქვენ ამბობთ, — მიუგო სერ ლამორაკმა. — მაგრამ როცა ამ კაცსაც მოვუსმენ, მაშინ ვნახავთ, ვიტყვი თუ არა მეც იმასვე, რაც თქვენ თქვით.

— სერ, — მიუბრუნდა სერ ლამორაკი იმ ერთს, — რას იტყვით ბრალდებაზე? ნუთუ თავს არ იმართლებთ და ვერ დაამტკიცებთ, რომ ტყუილად ვადაწინააღიარებენ?

... სერ, მე შემოდლია თავი ვიმართლო სიტყვითაც და საქმითაც, მე შემწევს ძლა დავუმტკიცო ჩემი სიმართლე მათ შორის უძლიერესს ორთაბრძოლაში.

ის ბივე ისევ ერთად ამეტყველდა:

— ჩვენ თავს სასიკვდილო საფრთხეში არ ჩავიგდებთ, მაგრამ ახლა რომ მაგას თვითონ მეფე ართური გამოექომავოს, ისიც ვერ დაიხსნის სიკვდილისაგან!

— აბა, როგორ გეკადრებათ, ეს უკვე მეტისმეტი კვეხნა და ქადილია. — უთხრა სერ ლამორაკმა. — თუმცა არის ისეთი ხალხი, ზურგს უკან კაცზე ბევრ რამეს ამბობს, პირში კი გადაბრუნებული სიტყვის თქმას ვერ უბედავს. თქვენი სიტყვების პასუხად გიცხადებთ, რომ ართურის კარის ერთ-ერთი სრულიად უბრალო რაინდი ვარ და ჩემი პატრონის აუჯად ხსენებას არ გაბატობთ, მისი სახელისა და ღირსების გულისათვის შეგებებით, და, თუ ბიჭები ხართ, დამიხვდით!

ოთხივე რაინდი ერთად დაესხა თავს სერ ლამორაკს, მაგრამ ლამორაკმა იმარჯვა და ორი დარტყმით ორი რაინდი მიაწვინა, ორნი კი გაიქცნენ. სერ ლამორაკი იმ რაინდს მიუბრუნდა, ოთხნი რომ ებრძოდნენ, წამოაყენა, ცხენზე შესვა და სახელი ჰკითხა.

— სერ, ჩემი სახელია სერ ფროლი და გარე კუნძულელი გახლავართ. შემდეგ სერ ფროლი თან გაჰყვა სერ ლამორაკს და გზად ერთად მიდიოდნენ. აი, მიდიან და ხედავენ: ვიღაც წარმოსადეგი, ერთიანად თეთრ სამოსში გამოწყობილი რაინდი ცხენს მოაგელვებს.

— აჰ, — შესძახა ფროლმა, — ამ რაინდთან ახლახან შეხვედრის მოლოლა. ცხენიდან გადმომავლო, ამიტომ ახლავე უნდა შევება.

— არა, თქვენ იმას ვერ შეებრძოლებით, — უთხრა სერ ლამორაკმა, — არ გირჩევთ. ჯერ კი მითხარით, რას მოაყოლეთ დავა და ვინ გამოიწვია? შენ თუ მან?

— რა თქმა უნდა, მე გამოვიწვიე, — მიუგო ფროლმა.

— სერ, ჩემი თხოვნა იქნება, თავი მიანებოთ და თავისი გზით წავიდეს, რადგან ძლიერ ქველი რაინდი ჩანს და ვატყობ, ხუმრობის ხასიათზე არაა. თანაც, თუ არ ვცდები, მრგვალი მაგიდის რაინდი უნდა იყოს.

— მერე რა! სულერთია, არ დავეთმობ! — თქვა სერ ფროლმა და შეუძახა: — სერ რაინდო, მოგწინადეთ საბრძოლველად!

— რა საჭიროა! — მიუგო თეთრმა რაინდმა, — არა ვარ ისეთ გუნებაზე, რომ ვიხუმრო ან შუბლს გავეთამაშო.

შუბლები მოიმარჯვეს, ერთმანეთისაკენ დაიძრნენ, შეეტაკნენ ერთურთს. თეთრმა რაინდმა ფროლი მაშინვე დედამიწაზე დააგდო, თვითონ კი ცხენი გააჯენა და თავისი გზით გასწია. სერ ლამორაკი დაედევნა, დაეწია და ჰკითხა, რა გქვიაო. — ისე მეჩვენება, რომ მრგვალი მაგიდის რაინდი უნდა იყოს.

სერ, გიპასუხებთ იმ პირობით, თუ ჩემს სახელს არავის ეტყვიოთ და არც თქვენს სახელს დამიმაღავთ.

— სერ, ჩემი სახელი სერ ლამორაკ უელსელი გახლავათ.

— ჩემი კი, სერ ლანსელოტ ტბელი.

ორივემ გაიხარა, მახვილები ჩააგეს და ერთიმეორეს გადაეხვივნენ.

— სერ, თქვენი ნებართვით, მზად ვარ გემსახუროთ, — უთხრა სერ ლამორაკმა.

— ღმერთმა დამიფაროს, რომ ასეთი კეთილშობილი რაინდი მემსახუროს. — მიუგო ლანსელოტმა და დასძინა: — მე მარტოდმარტო ვარ გამოსული საგმირო საქმეზე.

— მაშინ ღმერთი იყოს თქვენი შემწე! — უთხრა სერ ლამორაკმა.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს. სერ ლამორაკი უკან გაბრუნდა და სერ ფროლს ცხენზე შეჯდომაში უშველა.

— სერ, ვინ იყო ის რაინდი? — ჰკითხა ფროლმა.

— სერ, ამას თქვენ ვერ შეიტყობთ, და არც არის თქვენი საქმე.

— თქვენ ძალზე უხეში და ხეპრე კაცი ხართ, — მიუგო სერ ფროლმა. — ამიტომ ვწყვეტ თქვენთან მეგობრობას.

— ნება თქვენია, თუმცა ჩემი წყალობით შეინარჩუნეთ თქვენი გვირგვინის საუკეთესო ყვავილი.

ამაზე ერთიმეორეს დაშორდნენ.

თ ა ვ ი ო რ ა მ ო ც ღ ა მ ა მ რ თ ი



აჲა ამაბანი, თუ როგორ მოკლა სერ ლამორაკმა სერ ფროლი, და როგორ შეიბა რაინდულ ორთაბრძოლაში მის ძმას სერ ბელიანსს

ეკითხუნული

ორი თუ სამი დღის შემდეგ სერ ლამორაკმა წყაროსთან მძინარე რაინდი, მის გვერდით მანდილოსანი იჭდა და ფხიზლობდა. ამ დროს ჩამოიქროლა სერ გავეინმა, ქალს ხელი დასტაცა, თავის საჭურველთმტვირთველს შემოუსვა უკან და მასთან ერთად გააქროლა.

მძინარე რაინდი გამოფხიზლდა, უკან დაედევნა და შესძახა:

— ჰეი, რაინდო, მოაბრუნე ცხენი!

— რა გნებავთ ჩემგან? — ეკითხება სერ გავეინი, — მე მეფე ართურის ძმისწული ვარ.

— ამისათვის მზად ვარ მშვიდობით გაგიშვათ, მაგრამ ეს ქალი ჩემთან უნდა დარჩეს.

სერ გავეინმა ცხენი მიაბრუნა, შუბი მოიმარჯვა და ქალის დამცველისაგან გაემართა, რათა შუბი ჩაეცა. დამხდურმა რაინდმა ერთი მძლავრი დარტყმით ცხენიდან ჩამოაგდო იგი და ქალი დაიბრუნა.

ყველაფერი ეს საკუთარი თვალით ნახა სერ ლამორაკმა და თავისთვის თქვა:

— თუ ჩემი ამხანაგისათვის შურს არ ვიძიებ, შემდეგ ართურის კარზე შემარცხვენს, — და სერ ლამორაკმა ის რაინდი ორთაბრძოლაში გამოიხმო.

— სერ, მე მზად ვარ, — მიუგო იმან.

ისინი შუბებმომარჯვებულნი ეძგერენ ერთიმეორეს, სერ ლამორაკმა რაინდს შუბი მარჯვენა მხრიდან მარცხენამდე გაუყარა და იქვე გაათავა.

ქალი მაშინვე წავიდა თავისი რაინდის ძმასთან, რომელსაც სერ ბელიანსს ამპარტავანს ეძახოდნენ და იქვე მახლობლად ცხოვრობდა. შენი ძმა დაიღუპაო, მოახსენა.

— აფსუს — შესძახა მან, — მეტი რაღა დამრჩენია, შური უნდა ვიძიო! ბელიანსს ამპარტავანმა იარაღი აისხა, მოკლე ხანში სერ ლამორაკს დაეწია და ყიჟინით შეაჩერა:

— შემობრუნდი, ბატონო რაინდო, და ამ ქალზე ფიქრიც არ გაბეძდო, რადგან ჯერ ჩემთან მოგიხდება თამაში: სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა ვიბრძოლოთ, რადგან შენ მოკალი ჩემი ძმა ფროლი, კეთილი რაინდი, როგორიც თვითონ ვერასოდეს ვერ იქნები!

— ენას ძვალი არა აქვს, — მიუგო სერ ლამორაკმა, — მაგრამ დღეს მასთან პათიოსან ორთაბრძოლაში მე უკეთეს რაინდად გამოვიჩინე თავი.

ფიცხელი ბრძოლა შუბებით დაიწყო და ორივე ძირს დაეცა. მაშინ ფარები იცარეს და გაიმართა ფიცხელი დევგმირული ბრძოლა, რაც ორ საათს გაგრძელდა. ბოლოს სერ ბელიანსი ეკითხება, ვინა ხარო ასეთი, რომ შენი ძლევა გამიჭირდა?

— სერ, ჩემი სახელია სერ ლამორაკ უელსელი.

— აჲ, — შესძახა სერ ბელიანსმა, — ეს შენა ხარ ის კაცი, ვინც ყველაზე მეტად მძულს, მე ხომ შენი გადარჩენისათვის შვილები დამედუბა, ახლა კი ისევ შენ მოკალი ჩემი ძმა, სერ ფროლი! ვაგლახ! განა შემიძლია შენ შე-

გირივდე? მაშ, დაიცავი თავი! დღეს უნდა მოკვდე, აქ უკვე არაფრის შეც-
ვლა და გამოსწორება აღარ შეიძლება.

— სამწუხაროა! — თქვა სერ ლამორაკმა, — როგორ ვერ გიცხნით!

თქვენ ხომ ჩემზე ისეთი ამაგი მიგიძღვით, რომ ენით ვერ ფიქრუბუღოთ

ამ სიტყვებზე სერ ლამორაკმა დაუჩოქა და შეევედრა, მამატჩეჩიშეკა

— ადექი! — მიუგო სერ ბელიანსმა, — ადექი, თორემ აქვე აგჩეხავ ასე მუხლმოყრილს, მე და ჩემმა ღმერთმა.

— ეს რაღა საჭიროა! — უთხრა ლამორაკმა, — მე ხომ გნებდებით არა თქვენი ძლიერების შიშით, არამედ თქვენი სიკეთისათვის, რაც იმის ნებას არ მაძლევს, რომ შეგებათ. ამიტომ, გვედრებით ღვთისა და რაინდული ღირ-
სების გულისათვის, მომიტევეთ, რაც თქვენს წინაშე დამიშავებია!

— ვაგლახ! — შესძახა სერ ბელიანსმა, — წამოდექი, ნულარ ხარ დაჩო-
ქილი, თორემ აქვე აგკეპავ! არ შეგიბრალებ, იცოდე!

ისევ გაიმართა დაუნდობელი ორთაბრძოლა, ზედიზედ დასჭრეს ერთი-
მეორე, ასე რომ, მიწა, სადაც შეხლა-შემოხლა ჰქონდათ გამართული, ერთსა-
ნად სისხლით იყო მორწყული. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს სერ ბელიანსი
დაიღალა, ნელ-ნელა უკან დაიხია და წყნარად ჩამოჯდა ბორცვზე. იგი ისევ და-
სისხლიანებული იყო და ისევ არაქათგამოცლილი, რომ ფეხზე დგომის ღონეც
აღარ შესწევდა.

მაშინ სერ ლამორაკმა ფარი ზურგზე მოიგდო, მივიდა და ეკითხება:

— აბა, როგორაა საქმე?

— კარგად, — ამბობს სერ ბელიანსი.

— კეთილი, სერ, — ეუბნება სერ ლამორაკი, — თქვენთვის ამ მძიმე
კამს მინდა გულმოწყალე ვიყო.

— ეპ, რაინდო, — ეუბნება სერ ბელიანსი, — ნამდვილი სულელი ხარ.
შენ რომ ჩემს ხელში იყო, როგორც ახლა მე ვარ შენს ხელში, უყოყმანოდ
ვაგათავებდი, მაგრამ შენი გულკეთილობა და კეთილშობილება ისევ დიდია, რომ
სხვა რა დამრჩენია, უნდა დავივიწყო მთელი წყენა და ბრაზი, რითაც ეს გული
დამიბოღმე.

სერ ლამორაკი მის წინაშე ისევ მუხლებზე დაემხო, ჯერ მას გაუხსნა
მუხარადის ღვედები, მერე თვითონ გაიხსნა, შემდეგ ერთიმეორეს გადაეხვი-
ნენ და მდულარე ცრემლებით ატირდნენ. ბოლოს სერ ლამორაკმა სერ ბელი-
ანსი მონაზონთა სავანეში წაიყვანა, იქვე, მახლობლად, და ვიდრე სრულიად
არ გამოაჯანსაღა, მის საწოლს არ მოშორებია. მაშინ შეჰფიცეს ერთმანეთს,
რომ აღარასოდეს ერთმანეთის წინააღმდეგ აღარ აღმართავდნენ მახვილს.

ამის შემდეგ სერ ლამორაკმა გზა განაგრძო და მეფე ართურის კარზე
მივიდა.

აქ თავდება სერ ლამორაკისა და სერ ტრისტრამის ამბავი და იწყება ამ-
ბავი სახელოვანი რაინდისა, რომლის სახელია სერ ლა გოტ მეილ ტეილ კონ-
კიაელარუნა.

როგორ მივიღო მისი ართურის სასახლეში ჰაბუკი, რომელსაც სერ ჯონ დაცინვით „კონკია“ უწოდა



თავი პირველი

ერთხელაც ართურ მეფის სასახლეში გამოჩნდა ერთი მდიდრულად მოსილი ბრგე ჰაბუკი და თვით მეფის ხელით რაინდად კურთხევა ითხოვა. ზემოდან ერთი მოკლე მოსასხამი ჰქონდა მოგდებული. ოქროქსოვილი თუმცა ძვირფასი ფარჩისა იყო, მაგრამ ისერიგად აჭრილ-დაჭრილი და ოკრობოკრო, რომ კონკი გეგონებოდათ.

— რა გქვიათ? — ჰკითხა ჰაბუკს მეფე ართურმა.

— სერ, ჩემი სახელია სერ ბრიუნორ შავი და მოკლე ხანში დარწმუნდებით, რომ წარჩინებული გვარისა გახლავართ.

— შესაძლოა ასედაც იყოს, — უთხრა კეი-სენეშალმა, — მაგრამ თქვენ ისეთი ცუდი სამოსი გაცვიათ. ჯერჯერობით ხუმრობით „კონკიას“ დაგიძახებენ.

— შენ ცოტას არ ითხოვ, — განაგრძო მეფე ართურმა, — ან რა ძალა გადგია, ეს ფარჩის მოსასხამი რომ მოგისხამს?

— მაქვს მიზეზი, სერ, — მიუგო ჰაბუკმა. — მამაჩემი კეთილშობილი რაინდი გახლდათ; ერთხელაც იგი ტყეში სანადიროდ წასულა. დაღლილა, წამოწოლილა და ჩასძინებია. ამ დროს ტყეში გამოუვლია მის ძველადძველ მტერს, უნახავს კაცი ღრმა ძილს მისცემია და იქვე სასიკვდილოდ აუჩიხავს. ეს მოსასხამი ეცვა მაშინ მამაჩემს. ამიტომ მაცვია ძონძივით, რადგან აღარ დამიკერებია და არც დავაკერებ. მამის სახსოვრად ასე ვატარებ, ვიდრე შურს არ ვიძიებ. თქვენი სახელი განთქმულია, როგორც მეფეთა შორის უკეთილშობილესისა, ამიტომაც მინდა, კურთხევა პირადად თქვენგან მივიღო.

— სერ, — მიმართეს მეფეს სერ ლამორაკმა და სერ გაჭრისმა, — ეს კაცი მართლაც უნდა ვაკურთხოთ რაინდად. რადგან მისი გარეგნობაცა და თავდაჭერაც იმაზე მეტყველებენ, რომ ქველი და ძლევამოსილი რაინდი დადგება. ხომ გახსოვთ, სერ, ასეთი იყო სერ ლანსელოტიც, როცა სასახლეში პირველად მოვიდა, არც კი ვიცოდით, საიდან იყო. შემდეგ კი ყოველად ღირსეულ ვაჟკაცად გამოავლინა თავი. დღესაც მთელ დუნიაზე ჩვენი მრგვალი მაგიდის ბურჯი და დიდებაა, ვერც ერთი სხვა რაინდი რომ ვერ შეედრება.

— ეგ მართალია, — თქვა მეფემ, — ხვალ, თქვენი თხოვნით, მას რაინდად ვაკურთხებ.

დილით მარეკებმა ტყეში დიდი ირემი წამოაგდეს. ართური თავისი რაინდების რაზმის თანხლებით ირემს დაედევნა, ხოლო ჰაბუკი, რომელსაც სერ კეიმ კონკია უწოდა, დედოფალ გვინიფერასთან დარჩა.

სასახლეში, ერთ ქვითკირის კოშკში, საზარელი ლომი ჰყავდათ დამწყვდეული. სრულიად მოულოდნელად მოხდა ისე, რომ ლომმა ტყვეობას თავი დააღწია და გამძვინვარებული შეიჭრა დედოფლისა და რაინდების სამყოფელში. როგორც კი ლომი დაინახა, დედოფალი კვილით გავარდა გარეთ და საშველად რაინდებს მოუხმო, მაგრამ ადგილზე მხოლოდ თორმეტი რაინდი დარჩა, დანარჩენებმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოჰკურცხლეს.

მაშინ კონკიამ თქვა:

— ვხედავ, ჯერ არ გაწყვეტილა ყველა მხდალი რაინდი.

ამ სიტყვებზე ხმალი იშისვლა და ლომს წინ გადაუდგა. პირდაპირი მხეცი ღმუილით მივარდა ჭაბუკს, თან ტორებს იქნევდა და სეკვედელელებს უჩივებოდა. ჭაბუკი არ დაიბნა, ხმალი პირდაპირ შუბლში უსწორდა და სეკვედელეობა ორად გაუპო და ლომი ძირს მკვდარი დაეცა.

მაშინვე აუწყეს დედოფალს, რომ ჭაბუკმა, რომელსაც სერ კეიმ მეტსახელად კონკია უწოდა, საზარელი ლომი მოკლა. ამ დროს მეფე ართურიც დაბრუნდა ტყიდან და დედოფალმა პირველმა უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდათ. გაუხარდა მეფეს და თქვა:

— ჩემს თავს ვფიცავ, ეს ჭაბუკი ნამდვილი რაინდი დადგება, სიტყვის პატრონი, საქმეში ერთგული და თავდადებული!

ამის შემდეგ დაუყოვნებლივ აკურთხა რაინდად.

— ახლა კი, სერ, — თქვა ახალგაზრდა რაინდმა, — გთხოვთ თქვენცა და თქვენი კარის ყველა რაინდსაც, მიწოდეთ მხოლოდ ლა გოტ მეილ ტეილ კონკია, რაკი სერ კეი ჩემი მიმრქმელი გახლავთ და ასე მიწოდა, მეც მიიღა ასე ვიწოდებოდე.

— იყოს ნება თქვენი, — მიუგო მეფემ.

თ ა ვ ი მ ა ო რ ა

როგორ მივიდა სასახლეში ვინაჲ ძალაჲსი და მეფეს სთხოვა, რომელიმე რაინდმა ითავოსო ვიკრობა, როგორ იღო ის საქმე თავს სერ ლა გოტ მეილ ტეილსა

იმავე დღეს სასახლეში გამოჩნდა ვილაც ახალგაზრდა ქალი, თან დიდი წაფი ფარი მოიტანა, ფარის შუაში ამოტვიფრული იყო ხმალზე მოჭერილი ლეთრი ხელი, სხვა რამ სამკაული ფარზე არ ჩანდა. მეფე ართურმა ახალგაზრდა ქალს ჰკითხა, საიდან ხარ და რისთვის მოხვედიო.

— სერ, — მიუგო მანდილოსანმა, — დიდხანს მოვაჭენებდი ტაიქს და თქვენი სასახლისაკენ მომქონდა ეს ფარი. მრავალი დღე დავყავი გზაში, დიდი გზა გამოვიარე და აი, რისთვის მოვედი თქვენთან: ჩვენს მხარეში ცხოვრობდა ის რაინდი, ვისაც ეს ფარი ეკუთვნოდა. ამ ფარის მოსაპოვებლად მან მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა. მაგრამ მისდა საუბედუროდ ერთხელ გზაში შეეკარა სხვა მძლეობძლე რაინდი, სასტიკ ორთაბრძოლაში მრავალი მძიმე ჭრილობით დასერეს ერთიმეორე. ისე რომ ბოლოს ძალ-ღონე გამოეღიათ და დაზავდნენ. მალე ამ ფარის პატრონმა იგრძნო, რომ სიკვდილმა დასუნთქა. მაშინ მე მიბრძანა, ეს ფარი ართურ მეფის კარზე მიიტანე და სთხოვე, რომელიმე რაინდმა გაასრულოს ის საგმირო საქმე, რაც მე აუსრულებელი დამრჩაო.

— აბა, ვინ რას იტყვის ასეთ თხოვნაზე? — იკითხა ართურმა. — არის აქ ვინმე, რომ ეს ფარი აიღოს?

სიტყვა არავის დაუძრავს. მაშინ ფარი სერ კეიმ აიღო და მალლა ასწია.

— სერ რაინდო, რა გქვიათ? — ჰკითხა ქალმა.

— მოგახსენებთ, ჩემი სახელია სერ კეი-სენეშალი, და ეს სახელი ყველგან ცნობილია.

— სერ, — უთხრა ქალმა. — დადევით ფარი. ეს ფარი სათქვენო არაა. ვისაც ეს ფარი ჩაბარდება, ნამდვილად თქვენზე უკეთესი უნდა იყოს.

— ქალიშვილო, — უთხრა სერ კეიმ, — თქვენი ფარი მე ამ მინუტით არ ამიღია, რომ თან გამოგყოლოდით. ვაგვივით ის, ვისაც ენეჭეს, უკეთესი უნდა იყოს და ქალიდან ფეხსაც არ მოვიცვლი.

ბიზუიციუქა

კიდევ დიდხანს იდგა ის ახალგაზრდა ქალი და უსიტყვოდ ათვალიერებდა რაინდებს. ბოლოს ახალგაზრდა რაინდმა ლა გოტ მეილ ტეილმა თქვა:

— ძვირფასო ქალწულო, მე მზად ვარ ავიღო ეს ფარი და აღვასრულო ის დაუმთავრებელი საგმირო საქმე. თუკი მეცოდინება საით და ქვეყნის რომელ კუთხეს უნდა გავემართო, მე მხოლოდ დღეს ვეკუთხებ რაინდად და მინდა ეგ ხიფათიანი საქმე თავს ვიღო.

— რა გქვია, მშვენიერო ქაბუკო? — ჰკითხა ქალწულმა.

— ჩემი სახელია ლა გოტ მეილ ტეილ კონკია.

— ძალიან გიხდება. ეგ სახელი, — უთხრა ქალიშვილმა. — თუმცა ძალზე ცუდად შემოსილი რაინდი ბრძანდება, ოღონდ იცოდეთ: თუ იმდენად გაბედულა ხარ, რომ ეს ფარი აიღო და გამომყვე, შენი კანიც ასევე დაისერება, როგორც შენი მოსასხამია დაკონკილი.

— ამისათვის ნუ შეწუხდებით, — მიუგო კონკიამ. — თუ ასე მოხდა, წამალს არ მოგთხოვთ.

ამ დროს სასახლეს გაუსწორდა ორი პაეი, სადავეებით მოჰყავდათ თითო ბედაური, აღკაზმული და აღჭურვილობით დატვირთული. ქაბუკი მაშინვე შეიმოსა. შუბი აიღო, ბედაურს მოახტა და რაინდებს დაემშვიდობა.

— სერ, — უთხრა ართურმა, — არა გვსურს, ასეთ იღუმალ ფათერაკებით აღსავეს გზაზე წახვიდეთ.

— ეს ფათერაკი ბედმა მარგუნა. ეს იქნება ჩემს ცხოვრებაში პირველი თავგადასავალი და, რაკი ვიცისრე, უკან არ დავიხევ, რაც არ უნდა მომივიდეს, — მიუგო კონკიამ.

ამასობაში ქალიშვილი უკვე გზას გაუდგა და სერ ლა გოტ მეილ ტეილი ტენებთან მიჰყვა უკან. მალე დაეწია, მაგრამ ქალი საშინელი ლანძღვა-გინებით შეხვდა.

თ ა ვ ი ბ ე ს ა მ ე

როგორ დასცა სერ ლა გოტ მეილ ტეილმა პირს სერ ლაგონეტი, მისი მასხარა და რა სახვედურებით აავსო ამისათვის ქალწულმა

სერ კეიმ ქალწულსა და ქაბუკს დაადევნა სერ ლაგონეტი, მეფე ართურის ხუმარა. სერ კეიმ აბჯრით შემოსა იგი. იარაღით აღჭურვა და დაავალა, დაეწიე იმ ქაბუკს და ხმალში გამოიწვიეთ. ხუმარამ ბრძანება შეასრულა. დაეწია კონკიას და მიადანა: დამიხვდიო!

სერ ლა გოტ მეილ ტეილ კონკიამ ცხენი მოაბრუნა, შუბი ატაკა და ხუმარა ცხენიდან გადააგდო. ქალწულმა დაცინვა დაუწყო:

— ფუი! სირცხვილი შენის ახლა სამუდამოდ მოგეჭრა თავი ართურისა და მისი კარისკაცების თვალში: მათ ხომ გაგამასხრეს, ხუმარა მოგიგზავნეს და შენც პირველი ბრძოლა მასთან გადაიხადე.

ასე კალავდა დიდხანს ქალი, მაგრამ შემდეგ სერ ბლეობერისი შეხვდათ.

განთქმული რაინდი და გაიმართა ახალი, ნამდვილი ორთაბრძოლა. სერ ბლეობერისმა ისეთი ძალით ატაკა შუბი კონკიას, რომ ცხენი მხედრიანად მიწაზე დაეშრდა. მაგრამ კონკია ფეხზე მსუბუქად წამოიჭრა, ფარი იფარა, ხმალი იშვილა და ქვეითად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის გაემზადა. რადგან სიბრაზისაგან გაცოფებული იყო.

— არა, — თქვა ბლეობერის განელმა, — აღარ მეხალისება შენთან ქვეითად კენწლაობა.

მაშინ ავყია ქალწული მალდიზანტა კიდევ უფრო გაწიწმატდა, შეუბრალებლად დაუწყო ქირღვა და აგდება:

— მომშორდი, უმწეო ლაჩარო!

— აპ, მშვენიერო ქალწულო. — მიუგო ჯაბუკმა, — კეთილი ინებეთ და ნულარ მლანძღავთ, რადგან ისედაც ვერა ვარ კარგ გუნებაზე. თუ ფაშატის შვილმა მილალატა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ცუდი რაინდი ვარ. ისედაც არა მრცხვენია სერ ბლეობერისის შუბით ცხენიდან ძირს გადმოვარდნა.

ასე მგზავრობდნენ კიდევ ორი დღე, ვიდრე გზაზე ცნობილი რაინდი სერ პალომიდი არ შემოეყარათ. კონკიას სერ პალომიდიც ისე გაუსწორდა, როგორც სერ ბლეობერისი. ქალწულმა კი ისევ ამოიდგა ენა:

— აბა, რას ამეკიდე? გამცილდი-მეთქი! ორთაბრძოლაში ხომ ერთი წუთითაც ვერ მაგრდები უნაგირზე! შენ მხოლოდ ერთ რაინდთან შეგიძლია ომის გასწორება, შენი მოწინააღმდეგე უთუოდ მეფის მასხარა დაგონეტი უნდა იყოს.

— მშვენიერო ქალწულო, მე არც სერ პალომიდის შუბით დაბლა გადმოვარდნა მიმაჩნია სასირცხოდ, თანაც დიდი სირცხვილი არ მიჭამია, რადგან ღირითად ბრძოლა არც სერ ბლეობერისმა ისურვა და არც სერ პალომიდმა ინება.

— რაც შეეხება ქვეითად ბრძოლას, — მიუგო ქალიშვილმა, — უნდა იცოდეთ, რომ მათ ღირსების შელახვად ჩათვალეს ბრძოლა ისეთ უმწეო ბრიყვთან, როგორიც შენ ხარ.

მალე შემოხვდათ სერ მორდრედი, სერ გავეინის ძმა და ისიც დაუამხანაგდა მალდიზანტ ავყიას.

მალე ისინი ორგულუს ციხე-კოშკს გაუსწორდნენ, იქ კი ასეთი წესი სუფევდა: ყველა გამვლელი რაინდი ან ორთაბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო, ან ტყვედ ჩაბარებოდათ, ან უკეთეს შემთხვევაში, ცხენი და აღჭურვილობა უნდა დაეთმო.

მათ შესახვედრად ორი რაინდი გამოვიდა. პირველს სერ მორდრედი შეებრძოლა. დამხდურმა რაინდმა მორდრედი ცხენიდან ჩამოაგდო. მაშინ სერ ლა გოტ მეილ ტეილ კონკია მეორესაც შეება და ორივე რაინდი ცხენებიანად ძირს გაშხლართა. დამხვდურმა რაინდებმა მაშინვე გაითავისუფლეს ფეხები უზანგებიდან და ისევ ცხენებზე შესხდნენ.

სერ ლა გოტ მეილ ტეილ კონკია იმ რაინდისაკენ გაეჭანა, რომელმაც სერ მორდრედი ცხენიდან გადმოაგდო. სძლია, ძალზე მძიმედ დაკოდა და ცხენიდან გადააყირავა. ციხის რაინდი მკვდარი დაეცა ძირს.

შემდეგ თავის პირველ მოწინააღმდეგეს მიუბრუნდა, მაგრამ ის გაიქცა სერ ლა გოტ მეილ ტეილი დაედევნა, კოშკთან დაეწია და იქ აჩეხა.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ა

როგორ ეთმობოდა სარ ლა გოტ მილ ტილ კონკია მარტოხელას რაინდს და როგორ გადაარჩა ქალის შემწეობით



ერეკლე

მაგრამ კოშკთან კონკიას ერთბაშად თავს ასი რაინდი დაეხმარა. შეკრეს და ყოველი მხრიდან შეუტოეს. ხედავს კონკია, უთუოდ ცხენს მოუკლავენ, ამიტომ დაქვეითდა და ცხენი ჭიშკრისაკენ გააგდო. თვითონ საქალებოს კედელს მიეყრდნო, შეუპოვრად იცავდა თავს და თან თავისთვის ამბობდა: უმჯობესია პატიოსნად მოგვედევ ბრძოლაში, ვიდრე კიდევ მალტიზანდა ავყრას საყვედურები ვისმინო.

ვიდრე ის ასე მამაცურად იცავდა თავს, საქალებოდან ერთი მანდილოსანი გამოვიდა, მისი ცხენის სადავეს ხელი მოჰკიდა, ფარულად გაიყვანა უკანა ჭიშკართან და იქ დააბა. თვითონ კი ფარულადვე გამობრუნდა და დიდხანს უცქერდა, ერთი ასს როგორ ებრძოდა. კარგა ხანს უყურა და მერე სარკმლიდან ხმადაბლა უთხრა:

— რაინდო, ჯადოსანივით მებრძოლო! რაოდენ შემმართველიც არ უნდა იყო და რაოდენ მამაციც, სიკვდილი არ აგცდებოდა, თუ შენს სიმარჯვესა და გაჟკაცობას იმისათვის არ გამოიყენებ, რომ აგერ უკან ჭიშკრიდან გარეთ გაიქრა. იქ გელოდებოდა შენი ცხენი, რომელიც მე დავიჭირე და მოვიყვანე. თლონდ იცოდე, სიკვდილზე კი ნუ იფიქრებ. მთელი შენი ჭკუა-გონება რაინდულ პატიოსნებასა და დიდებაზე ფიქრს მოახმარე. მხოლოდ ამ რწმენითა და ვაჟკაცური სულიკვეთებით აღვსილი მიაღწევ უკანა ჭიშკარს.

ამის გამგონე კონკიამ ხმაღს უფრო მძლავრად მოუჭირა ხელი, შიგ რაზმის შუაგულში შეიჭრა, მტერთა შორის გზა გაიკაფა და უკანა ჭიშკარს მიაშურა. იქაც ოთხი რაინდი ელოდა მის მისვლას, მაგრამ ორი მოქნევით ორი იქვე აჩეხა, ორმა სხვამ კი გაქცევით უშველა თავს.

მაშინ მოახტა ცხენს და გაჰქუსლა.

ყველაფერი ეს მეფე ართურის სასახლეში შეიტყვეს და ჩურჩულებდნენ: ერთმა თორმეტი რაინდი მოკლაო ორგულუს ციხე-კოშკის კედლებთან.

კონკია ამ დროს თავის ცხენს მიაქროლებდა. მალდიზანტა ენამწარე კი სერ მორდრედს ეუბნება:

— ჩემს სულელ რაინდს ან მოკლავდნენ, ან ტყვედ ჩავარდებოდა.

ამ დროს უეცრად ხედავენ: კონკია ცხენს მოაგელვებს. მიეახლათ და ყველაფერი უამბო, როგორ გაუსწორდა ას რაინდს და ერთმა რა ამბები დაატრიალა ციხე-სიმაგრის კედლებში.

— მათგან ბევრი რჩეული რაინდი ველარაფერს გაიგებს.

— მატყუარა და ბაქია ხარ, — უთხრა ქალმა. — ამას დავამტკიცებ. ეტყობა, გაგიშვეს, როგორც მხდალი ხუმარა და რაინდის წოდების შემარცხვენელი.

— ამას დამტკიცება უნდა, — მიუგო კონკიამ.

მაშინ ქალიშვილმა ციხეში გაგზავნა თავისი მალემსრბოლი, რომელიც მუდამ თან დაჰყვებოდა. ისიც წავიდა, გამოიკითხა, რა მოხდა და როგორ დააღწია თავი რაინდმა ციხე-კოშკს.

ყველა რაინდი ერთბაშად უგზავნიდა წყველა-კრულუას და ამტკიცებდა, ადამიანი კი არა, ეშმაკი იყო.

— თორმეტი რჩეული რაინდი თვალწინ აგვიჩება, ჩვენ კი დღემდე გვე-
გონა, რომ ასეთი რამ მხოლოდ სერ ტრისტრამ ლიონელსა და სერ ლანსე-
ლოტს ძალედვათ. როგორ ვეცადეთ, როგორ დავუარეთ თავი და ვერაფერს
გავხდით, თვალსა და ხელს შუა გაქრა.

მალემსრბოლი ქალიშვილთან დაბრუნდა და ნამდვილ ბრძოლაში, მაშინ ქალმა თავი დახარა და აღარაფერი თქვა.

— თავს გეფიცებით, — მიმართა სერ მორდრედმა, — ქვეშაირტად
კაციცხვის ღირსი ხართ, სულ ტყუილად. დაუმსახურებლად კილავდით იმ სა-
ცოდავს. აქამდეც მითქვამს, უზადო რაინდია-მეთქი. იგი უსათუოდ გამოიჩენს
კიდევ თავს, როგორც კეთილშობილი გმირი. მართალია, უნაგირზე ჯერ კიდევ
მაგრად ვერა ზის, მაგრამ კარგი მხედარი რომ გახდეს, ვარჯიში და გამოცდი-
ლება გინდა. ხოლო იქ, სადაც ხმლის ქნევაა საჭირო, მძლავრია და მამაცი.
ამაში, ალბათ, სერ ბლეობერისი და სერ პალომიდიც დარწმუნდნენ. ისინი
ხომ მრავალ ორთაბრძოლა გამოვლილი რაინდები არიან და ერთი შეხედვით-
ვე შეატყობდნენ, ეს ბრვე ახალგაზრდა რაინდი უნაგირზე უფრო ძლიერია
თუ ხელჩართულ ბრძოლაში. უნაგირიდან რაინდის ჩამოგდება უფრო იოლია,
თუ ქვეითად ძლევა, ეს მათზე უკეთ ვინ უწყის. ისინი იშვიათად თუ გადმოხ-
დებიან ცხენიდან, რადგან მძიმე და მაგარი აბჯრები მოსავეთ. ახალგაზრდა რა-
ინდებთან ქვეითად ბრძოლა არც ერთ მათგანს არ ეხალისება. მოგეხსენებათ,
სერ ლანსელოტ ტბელიც კი პირველ ბანებში მუბით ბრძოლაში ხშირად მარც-
ხდებოდა, სამაგიეროდ, ქვეითად მუდამ იმარჯვებდა და მრგვალი მაგიდის
მრავალი რაინდი იმსხვერპლა და შეარცხვინა. სწორედ სერ ლანსელოტის ამ
ბრძოლებმა ასწავლეს სიფრთხილე ძველ ბრძოლებში გამობრძმედილ რაინ-
დებს. მე ხშირად მინახავს, რომ ძველი მრავალდარჯაკგამოვლილი რაინდები
მოუკლავთ ახლად კურთხეულ რაინდებს.

ასიოთი საუბრით განაგრძობდნენ ვჯას.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ი ე

როგორ მივიდა სასახლეში სერ ლანსელოტი, როგორ გაიგო სერ ლა გოტის ამბავი,
როგორ მონახა იგი და როგორ დაატყვევეს ლა გოტ მიილ ბილი

ახლა სიტყვა სერ ლანსელოტ ტბელზე უნდა ჩამოვაგდოთ. თუ როგორ მი-
ვიდა ის ართურ მეფის სასახლეში, გაიგო ამბავი ახალგაზრდა რაინდისა, რო-
მელსაც ზედმეტსახელად კონკია უწოდეს, შეიტყო ის ამბავიც, როგორ მოკლა
ლომი კონკიამ და იკისრა დაესრულებინა შავი ფარის თავგადასავალი, რაც მა-
შინდელ სამყაროში ყველაზე ძნელ გმირობად ითვლებოდა.

— ღმერთმა დამიფაროს! — უთხრა თავის ურიცხვ თანამებრძოლთ სერ
ლანსელოტმა, — ეს ხომ კეთილშობილ რაინდთა მთელი სამყაროს შერცხვენაა,
როგორ იქნება, ეგზომ ახალგაზრდას მიენდოს ეს უმძიმესი საქმე და ამით და-
სალუპავად გაიწიროს! იცოდეთ, — განაგრძობდა სერ ლანსელოტი, — ქალ-
წული მალდიზანტა ენამწარე დიდი ხანია დაატარებს ამ ფარს და ყველაზე
უფრო გამოიჩენილ რაინდებს დაეძებს, გახსოვთ ალბათ, ამ ქალს შავი ფარი ჩა-
მოართვა ბრიუს უმოწყალომ, რომელსაც ტრისტრამ ლიონელმა წაპვლიჯა ფა-
რი და უკანვე დაუბრუნა პატრონს. ეს ამბავი მოხდა სწორედ იმ ბრძოლის წინ,

რაც სერ ტრისტრამმა ჩემს ნათესავ სერ ბლამურ განელთან გამართა, როცა ჩემმა ნათესავმა ირლანდიის მეფე გამოიწვია ბრძოლაში.

ყველა რაინდი შეწუხდა იმის გამო, რომ ასეთ სამძიმო საკმეზე ახალგაზრდა სერ ლა გოტ მეილ ტეილ კონკია გააგზავნეს.

— მის კვალს უნდა გავყვეთ, — თქვა სერ ლანსელოტი.

გავიდა შვიდი დღე და სერ ლანსელოტი დაეწია იმას, ვისაც სერ ლა გოტ მეილ ტეილი ერქვა, მიესალმა მას და მასთან ერთად ქალწულს მალდიზანტას. სერ მორდრედმა თავისი გზით გასწია, ხოლო სერ ლანსელოტი მის ნაცვლად შეუამხანაგდათ. მთელი დღე ერთად მიაჭენებდნენ ცხენებს. მალდიზანტა ენამწარე გზაში სულ თავის რაინდს ლანსელოტი და აძაგებდა, ხოლო როცა სერ ლანსელოტი გამოეჭომაგა, ავყიამ კონკიას თავი ანება და სამავიეროდ სერ ლანსელოტს დაუწყო კილეა და ძაგება.

ამასობაში სერ ტრისტრამმა ერთი ქალიშვილის ხელით წერილი გაუგზავნა სერ ლანსელოტს, იგი ბოდიშს უხდიდა თეთრხელებიან იზოლდასთან ქორწინებისათვის, იმავე წერილში იმასაც ატყობინებდა ლანსელოტს, რომ ასეთუ ისე მაინც მშვენიერ იზოლდას ერთგულ რაინდად რჩებოდა, რაკილა თეთრხელებიან იზოლდასთან არასოდეს ჰქონია ხორციელი კავშირი. ასე თავაზიანად და მოკრძალებით სწერდა სერ ტრისტრამი სერ ლანსელოტს და სთხოვდა ჩემს ერთგულ მეგობრად დარჩიო. იმასაც ევედრებოდა, თუ სადმე მშვენიერ იზოლდას შეხვდები, ჩემს მაგიერ პატიება გამოსთხოვეო, ხოლო, თუ ღმერთი ინებებს, მე თვითონ შეხვდები მშვენიერ იზოლდას და ალბათ შემოქმედი თქვენი ხილვის შესაძლებლობასაც არ მომაკლებსო, სწერდა.

სერ ლანსელოტი ქალწულ მალდიზანტასა და მის რაინდს ჩამორჩა, რათა წაეკითხა, რა ეწერა წერილში და პასუხიც გაეცა სერ ტრისტრამისათვის.

სერ ლა გოტ მეილ ტეილ კონკია კი დაწინაურდა და ქალწულ მალდიზანტასთან ერთად აღმოჩნდა, ციხე-სიმაგრესთან, რომლის სახელაა პენდრაგონი. ალაყაფთან ექვსი რაინდე შემოეგებათ და ერთმა მათგანმა სერ ლა გოტი ორთაბრძოლაში გაიწვია.

სერ ლა გოტმა ხსენებული რაინდი ცხენის გავაზე გადააყირავა. მაშინ დანარჩენი ხუთი რაინდი ერთად ეძგერა ლა გოტს და ცხენიცა და მხედარიც ძირს დასცეს. ჩამოქვეითდნენ, შეჰკრეს და ტყვედ წაიყვანეს.

დილით სერ ლანსელოტი ადგა, სერ ტრისტრამთან ქალიშვილის ხელითვე წერილი გააგზავნა და მალდიზანტას და მისი რაინდის კვალს გაჰყვა.

გზად, ხიდთან ვილაც რაინდი შემოეყარა და ორთაბრძოლაში გაიწვია. სერ ლანსელოტმა იგი უნაგირიდან გადააგდო. შემდეგ გამართეს კეთილშობილური დევგმირული ბრძოლა, დიდხანს იბრძოდნენ ქვეითად, ბოლოს კი უცნობი რაინდი სერ ლანსელოტის წინაშე მუხლებზე დაეცა, ხელისგულებიც მიწას დააბჯინა, თავი ძლეულად გამოაცხადა, სერ ლანსელოტს დანებდა და პატიება ითხოვა. სერ ლანსელოტმა რაინდულად მიიღო ძლეულის თხოვნა.

— სერ, — თქვა რაინდმა, — გთხოვთ მითხრათ თქვენი სახელი, რადგან გული თქვენდამი კეთილგანწყობილებას გრძნობს.

— არა, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — სანამ ჩემს სახელს გეტყვით, გამანდეთ თქვენი სახელი.

— ჩემი სახელი სერ ნეროვენსი გახლავთ და რაინდად მაკურთხა სერ ლანსელოტი ტბელმა.

— ა! სერ ნეროვენს კუნძულელი! — შესძახა სერ ლანსელოტმა, მიხარია, რომ კარგი რაინდი გამოდექი, რადგან მე, სერ ლანსელოტი ვარ.

— ვაგლახ! — დაიგმინა სერ ნეროვენსმა, — ეს რა ჩავედინე! სერ ლანსელოტის ფერხთით დაეცა და უნდოდა მისთვის ფეხები დაეკოცნა, მაგრამ სერ ლანსელოტმა ამისი ნება არ მისცა.

შეხვედრით ორივემ გაიხარა და სერ ნეროვენსმა ლანსელოტი გააფრთხილა, პენდრაგონის ციხესთან ნუ გაავლიო.

— მისი მფლობელი თვითონაც მძლეთამძლე რაინდია, ამასთან ზევრი მხნე მებრძოლი რაინდიც ჰყავს. როგორც გავიგე, წუხელ, ღამით, მათ შეუპყრიათ ერთი რაინდი, რომელსაც თურმე თან ქალი ახლდა. ამბობენ, რომ იგი იყო მრგვალი მაგიდის რაინდი.

თ ა ვ ი მ ე მ ა ვ ს ა

როგორ უმება სერ ლანსელოტი ემგს რაინდს, უმადვ სერ ბრიანს და როგორ გაათავისუფლა ტყვეები

— ოჰ! — შესძახა ლანსელოტმა, — ის რაინდი ჩემი მეგობარია და მე იმას ან დავიხსნი, ან შევეწირები.

ეს სიტყვები წარმოთქვა, მთელი ძალით გაჰქუსლა და მოკლე ხანში პენდრაგონის ციხესთან გაჩნდა. იქ ექვსი რაინდი შემოეგება, ყველამ ერთდროულად მოიწადინა შებმა. მაშინ სერ ლანსელოტმა შუბი წინ გაიშვირა, მოძალებულს ჰკრა და ხერხემალი გადაუტეხა. სამმა ერთბაშად მოიწადინა ლანსელოტისათვის შუბის ჩაცემა და სამივემ ააცდინა, სერ ლანსელოტმა კი მათ შორის ჩაიჭროლა, ფიცხლავ მობრუნდა, კიდევ ერთ რაინდს გაუხვრიტა ზურგი და შუბის წვერი მკერდში გაახედა. მთელი ადლით წინ გაშვერილი შუბი შუაზე გადაუტყდა. დარჩენილმა ოთხმა ხმლები გააშიშვლეს და ერთად მიესივნენ, მაგრამ სერ ლანსელოტმა ისე ოსტატურად მოიხმარა მახვილი, რომ ოთხივე რაინდი ოთხი დარტყმით მძიმედ დაჭრილები ძირს დაყარა, თვითონ კი ცხენი მიაბრუნა და ციხეს მიაშურა.

ციხის პატრონი ბრიან-კუნძულელი სახელგანთქმული რაინდი, მეფე ართურის დაუძინებელი მტერი იყო. იგი მაშინვე აბჯარში ჩაჯდა და ამხედრებული გამოეშურა უცნობთან შესაბმელად. მათ შუბები მოიმარჯვეს, ცხენები ერთმანეთისაკენ დასძრეს და ისეთი ძალით დაატაკეს ერთმანეთს შუბები, რომ ორივეს ცხენი ძირს დაეცა. რაინდები მარდად წამოხტნენ, ფეხები გამოიხსნეს. ხმლები იშიშვლეს, ფარები იფარეს და გაიმართა სასტიკი და დაუნდობელი ორთაბრძოლა. მრავალი ამაო იერიშის შემდეგ მოთმინებიდან გამოსულმა სერ ლანსელოტმა ერთი ისეთი ძალით დაჰკრა ხმალი, რომ ბრიანმა ჩაიჩოქა, ლანსელოტი ელვისებური ნახტომით მიეჭრა და თავიდან მუზარადი წააცალა, ბრიანმა სიკვდილის სუნთქვა იგრძნო, იკადრა დანებება და მის მოწყალებას მიანდო თავისი სიცოცხლე.

სერ ლანსელოტმა ბრიანი აიძულა, ვინც კი ციხეში დატყვევებული ჰყავდა, გაენთავისუფლებინა. ციხის სარდაფებში ართურის რაზმის ოცდაათი რაინდი და ორმოცი მანდილოსანი აღმოჩნდა. ლანსელოტმა ყველას თავისუფლება მიანიჭა და თავისი გზით წავიდა.

როგორც კი ციხეს თავი დააღწია, სერ ლა გოტ კონკია მაშინვე დაფაცურდა, რათა თავისი ცხენი ეპოვნა, ფარ-ხმალი, აბჯარი, აღჭურვილობა მოენახა და ენამწარე ქალწული მალდიზანტა აღმოეჩინა.

ამასობაში სერ ნეროვენსმა, ვინც ლანსელოტისაგან იყო რაინდად ხელდასხმული, ქალი გააგზავნა, რათა გაეგო, როგორ გადარჩა ციხესივრეთა სერ ლანსელოტი. ციხეში კი ყველა განცვიფრებული იყო, ასეთი ვინაა, რომელი რაინდია, სერ ბრიანი და მისი რაინდები რომ აიძულა და ყველა ტყვე გააშვებინათო.

— ნუ გიკვირთ, — უთხრა ქალმა, — რადგან ქვეყნიერებაზე ყველას მჯობნი რაინდი იყო ახლა აქ და იმან ჩაიდინა ეს გმირობა. მაშ გახსოვდეთ, ეს იყო სერ ლანსელოტი.

სერ ბრიანს, მის ცოლსა და ყველა რაინდს ძალიან გაუხარდათ, რომ მათი დამმარცხებელი ასეთი სახელოვანი რაინდი აღმოჩნდა. სერ ლა გოტ კონკიამ და ქალწულმა მალდიზანტამაც გაიგეს, რომ მათი მხლებელი რაინდი თვით ლანსელოტი ყოფილა და როცა ქალი მიხვდა, ამ კაცს ვუწოდებდით ლაჩარს, სასტიკად ინანა.

თ ა ვ ი მ ე ზ ვ ი დ ე

როგორ შეხვდა სერ ლანსელოტი ქალწულს, რომლის სახელიც იყო მალდიზანტა მნამწარი და როგორ უწოდა სახელად ბიმენანსანტა კეთილშობილს

ლა გოტ კონკია და ქალწული მალდიზანტა ენამწარე ცხენებზე შესხდნენ და გააჭენეს, რომ სერ ლანსელოტს დასწეოდნენ. ორი მილი გაიარეს, დაეწინენ, სალამი მისცეს და მადლობა მოახსენეს. ქალწულმა კი ცრემლთა ფრქვევით სთხოვა პატიება თავისი ბოროტი სიტყვებისათვის: — ახლა კი ვიცი, რომ თქვენ მთელი ქვეყნიერების რაინდთა შორის ყველაზე მალლა მდგომი მწვერვალი ხართ და უმაღლეს რაინდულ დიდებას თქვენ და სერ ტრისტრამი ინაწილებთ. ღმერთია მოწმე, — განაგრძო ქალმა, — უკვე დიდი ხანია ყველგან თქვენ დაგეძებთ, ბატონო ჩემო, სერ ლანსელოტ, ასევე სერ ტრისტრამს. ახლა ვმადლობ ღმერთს, რომ, როგორც იქნა შეგხვდით. სერ ტრისტრამიც ვნახე ერთხელ კამელოტში, მან დამიბრუნა ეს შავი ფარი, რომელზედაც შიშველ ხმალს ჩაბლუჯული თეთრი ხელის გამოსახულებაა. ეს ფარი მან წაართვა სერ ბრიუს უწყალოს.

— მშვენიერო ქალიშვილო, საიდან იცით ჩემი სახელი? — ჰკითხა სერ ლანსელოტმა.

— სერ, — მიუგო ქალმა, — თქვენი სახელი მითხრა იმ რაინდის გამოგზავნილმა ქალიშვილმა, ვისაც თქვენ ხიდზე შეებრძოლეთ.

— ცუდად მოქცეულა, — თქვა რაინდმა, — მაგრამ, ეტყობა, მისმა ბატონმა, სერ ნეროვენსმა ასე უბრძანა. აი, რა, ძვირფასო ქალწულო, — განაგრძო ლანსელოტმა, — თქვენ გამოგყვებით ერთი პირობით: თუ აღარ აწყენინებთ ამ რაინდს, რომელსაც სერ ლა გოტ მეილ ტეილ კონკიას ეძახიან, რადგან ეს კეთილი რაინდია და კიდევ გამოიჩენს თავს, როგორც კეთილშობილი ადამიანი. მე ხომ ართურ მეფის სასახლიდან იმისათვის წამოვედი, რომ მეტად სახიფათო და სარიკო გზაზე დამდგარ ამ კაბუკს გასაჭირში მივეშველო და დავებმარო.

— იესო იყოს თქვენი მფარველი! — მიუგო ქალწულმა, — ახლა შემოდ-
ლია გამოგიტყდეთ, რომ ვკიცხავდი და დავცინოდი არა სიბოროტითა და სი-
ძულვილით, არამედ იმის გამო, რომ უზომოდ მიყვარს და მიმაჩნია, რომ მე-
ტისმეტად ყმაწვილია და ნორჩი იმისათვის, რომ ფათერაკებს სჯობს ვე-
სეთ საშიშ გზას დაადგა. ვცდილობდი თავიდან მომეცილებოდა, და დღესვე მი-
ნოდა, არაფერი მოიწიოს-მეთქი. გმირობა რომ ახალგაზრდა კაცის საქმე არ
არის!

— ღმერთმანი, ეს კარგად თქვით! — შესძახა სერ ლანსელოტმა, — უწინ
გეძახდნენ მალდიზანტა ავყიას, ენამწარეს, მე კი ბიენპენსანტა კეთილმოსურ-
ნეს გიწოდებთ.

ამ საუბარში იყვნენ და ცხენებს მანამ მიაჭენებდნენ, ვიდრე სურლუ-
ზას ქვეყანაში ჩაალწევდნენ. იქით გზა ერთ დიდ სოფელზე გადიოდა, და იმ
სოფლის გზაზე ცხესავით გამაგრებული ხიდი იყო. როგორც კი ხიდის თავზე
ფეხი შედგეს, წინ გამოეგებნენ ჯენტლმენები, იომენები, მთელი ლაშქარი,
და ასე უთხრეს:

— ძვირფასო ლორდებო! ამ ხიდზე და მის სიმაგრეებში ვასვლა ყველას
ერთად არ შეგიძლიათ იმ შავი ფარის გამო, რაც ერთ თქვენგანს აქვს. ნება
გეძლევათ, ხიდზე მხოლოდ სათითაოდ გაიაროთ. ამიტომ შეარჩიეთ, რომელი
თქვენგანი შეადგამს ფეხს პირველად ხიდზე.

სერ ლანსელოტმა პირველმა განაცხადა სურვილი გასვლისა და ბრძოლი-
სა, მაგრამ სერ ლა გოტ მეილ ტეილმა უთხრა:

— სერ, გეხვეწებით, პირველი მე გამიშვით; თუ რამეს გავბდები, შეგატ-
ყობინებთ, თუ მომკლავენ, მომკლან, რა გაეწყობა, ხოლო თუ ტყვედ ჩავვარ-
დები, თქვენ გამომიხსნით.

— სერ, არ მინდოდა ასეთ საშიშ საქმეზე პირველი გამეშვით, — თქვა
სერ ლანსელოტმა.

— არა, სერ, — არ დაიშალა სერ ლა გოტ კონკიამ, — ვაფიცებთ, ეს ფა-
თერაკი მე დამანებეთ.

— იყოს ნება თქვენი, — დაუთმო ლანსელოტმა, — იესო იყოს თქვენი
შემწე და წარმატების მომტანი.

ხიდზე გასულს ორი ძმა შეხვდა. ერთს ერქვა სერ პლეინ დე ფორს —
ვლესშემძლე, მეორეს სენ პლეინ დე ამორის — სიყვარულით უხვი. შეება
ძმებს სერ ლა გოტ კონკია. ჯერ ერთი გადმოაგდო უნაგირიდან, მეორე მეორე.

ორივე იმწამსვე წამოდგა ფეხზე, როგორც წესია, ფარები იფარეს, ხმლები
აღმართეს და ლა გოტს შეუძახეს, ცხენიდან გადმოდიო. იმანაც გაუგონათ;
დაიწყო დაუნდობელი დაკიდაკა, ჩახაჩუხი. ორმა შემოუტია, შეავიწროვეს,
მრავალი ჭრილობა მიაყენეს თავში, მკერდში და მხრებზე. თვითონაც იბრძო-
და, როგორც შეეძლო, მრავალი დარტყმა აგემა ძმებს. იმათაც უკან დახევა
დაიწყეს. გვერდებიდან შემოვლა სცადეს, მაგრამ კენტად მებრძოლი თავისი
სამარჯვითა და რაინდული შემართებით ყოველთვის პირისპირ აღმოჩნდებოდა
ხოლმე. მძიმე ტკივილებმა უფრო გააშმაგეს და გაორკეცებული ძალით შეუ-
ტია, ისე რომ მალე დაჭრილ-დასერილები ჩააჩოქა და ორივეს დახოცავდა, რომ
არ დანებებოდნენ და სიციცხლე მისი წყალობისათვის არ მიენდოთ.

მაშინ სერ ლა გოტ მეილ ტეილმა საშიდან საუკეთესო ცხენი შეარჩია, მო-
ახტა და ხიდის მეორე სიმაგრეს მიაშურა. იქ შეხვდა მესამე ძმა, სერ პლენო-

რიუსი, კეთილშობილი რაინდი, მყისვე შეიბნენ, გამოქანებულნი შუბებით დაეტაკნენ ერთიმეორეს და ორივე მხედარი ცხენებიანად ძირს გაიშლართა. ახლა ქვეითად განაგრძეს ქიდილი, ხმალდახმალ ბრძოლაში ხან ერთი მიიწყდა წინ ხიდზე, ხან მეორე.

ასე იბრძოდნენ ორი საათი და მეტიც, ისე, რომ მკლავები მათი მკვეთრებით სერ ლანსელოტი და ქალწული ნაპირიდან შესცქეროდნენ.

— აფსუს! — შესძახა ქალმა, — ჩემი რაინდი თავგამოდებით იბრძვის, მაგრამ ძალიან დიდხანს უხდება ბრძოლა.

— ახლა ხომ ხედავთ, — თქვა სერ ლანსელოტმა, — რომ ჭეშმარიტად ღირსეული რაინდია! თუ იმასაც ჩაეუთვლით, რომ აი, ახლა გადაიხადა სასტიკი ბრძოლა და მძიმედაა დაჭრილი, პირდაპირ გაგიკვირდება, საიდან აქვს ამ კაცს ამდენი ძალა, ასეთ ძლიერ რაინდს რომ საათობით ებრძვის და უმკლავდება.

თ ა ვ ი მ ა რ ვ ა

როგორ იხდეს ტყვედ ლა გოტ მვილ ტეილი, მინდებ როგორ იხსნა სერ ლანსელოტმა და როგორ დაამარცხა ამ უპანასკნელმა ოთხი მკა

სწორედ ამ დროს სერ ლა გოტ კონკია წაბარბაცდა და დაეცა; სისხლისაგან იცლებოდა და ისე დაიქანცა, რომ ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. იმ რაინდმაც შეიბრაღა და თქვა:

— ძვირფასო რაინდო, ჩუ დაღონდებით, თქვენ რომ ჩემსავით დასვენებული ჩაბმულიყავით ბრძოლაში, უთუოდ მძლევდით. თქვენი სიქველისა და სიმამაცისათვის მეც ისე კეთილად და წესიერად მოგექცევით, როგორც რაინდს შეჰფერის და შემიძლია.

ამ სიტყვებზე სერ პლენორიუსმა, ამ კეთილშობილმა რაინდმა, კონკია ფეხზე წამოაყენა, გადაეხვია და თავის კოშკში აიყვანა. იქ ღვინო მიართვა, მკურნალი მოჰგვარა და უბრძანა, სისხლის დენა შეუჩერეთო.

— სერ, — უთხრა ლა გოტ მვილ ტეილმა, — ჩემთან საუბრით ჩუ მოცდებით, წადით და ალბათ ხიდზე უკვე გელოდებათ მეორე რაინდი, იცოდეთ, ჩემი ტოლი და ფარდი არ გეგონათ.

— როგორ? — გაუკვირდა სერ პლენორიუსს, — განა იქ ვინმე ამხანაგი დაგრჩათ?

— დიახ, სერ, და ის რაინდი ჩემზე ბევრად უფრო ძლიერია.

— სახელად რა ჰქვია?

— მის სახელს ჩემგან ვერ შეიტყობთ.

— რა გაეწყობა, — თქვა რაინდმა, — აქ საკადრის მოწინააღმდეგეს შეხვდება.

ამ დროს რაინდის ძახილი მოესმა:

— სერ პლენორიუს, სადა ხარ? ან დამიბრუნებ ტყვეს, რომელიც კოშკში აიყვანე, ან ჩემთან ბრძოლაში გამოხვალ.

სერ პლენორიუსი მაშინვე დაბლა ჩამოვიდა, ცხენს მოახტა, შუბი აიღო და სერ ლანსელოტის შესახვედრად გაეშურა. სირბილშივე აჯახეს შუბები ერთიმეორეს, ისეთი ჯახანი გაისმა, თითქოს მეხმა იქუხაო. ისეთი ძლიერი შეტაკება იყო, რომ ცხენები ძირს დაცვივდნენ. მხედრები სწრაფად წამოდგნენ, ხმლები იშიშვლეს და გაშმაგებული ხარებივით ეკვეთნენ ერთიმეორეს. ლანსე-

ლოტმა მოწინააღმდეგე სულ მალე შეაფიქროვა და უკან-უკან დაახეინა. პლენორიუსი ცდილობდა, გვერდიდან შემოეველო, მაგრამ ლანსელოტი იქამდე უტევდა, ვიდრე მისი კოშკის კართან არ მიაგდო. იქ კი უთხრა:

— ვხედავ, სანაქებო რაინდი ხარ, მაგრამ იცოდე, შენე სიცოცხლე ჩემს ხელთაა. ამიტომ, დამნებდი და ჩამაბარე შენი ტყვე.

სერ პლენორიუსს სიტყვაც არ დაუძრავს საპასუხოდ, მაგრამ მოულოდნელად ისეთი ძალით დაპკრა ხმალი მუზარადზე, რომ ლანსელოტს თვალთაგან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. მაგრამ მალე დარტყმებს მოუხშირა და ისე დაჯაბნა, რომ პლენორიუსი ფეხზე ველარ გამაგრდა და ჩაიჩოქა. ლანსელოტი მიუხტა და ძირს დასცა. მაშინ კი სცნო პლენორიუსმა თავი დამარცხებულად და დანებდა, მის საჭველეს მიანდო თავისი სიცოცხლეც, კოშკიც და ტყვეებიც. სერ ლანსელოტმა ერთგულებისა და მორჩილების ფიცი ჩამოართვა ჩაჩოქილ მოწინააღმდეგეს. შემდეგ მეორე სიმაგრეში გავარდა და იქ შეება სამსხვა ძმას. ერთს ერქვა პილონი, მეორეს — სერ პელოგრისი, მესამეს — სერ პელანდრისი. ჯერ სამივენი უნაგირებიდან გადმოყარა, მერე ქვეით ბრძოლაში დააჩოქა და აიძულა დანებებოდნენ. შემდეგ სერ პლენორიუსის კოშკთან დაბრუნდა და იქ ნახა პურობილი მეფე შოტლანდიისა — კარადოსი და მასთან მრავალი რაინდი; ყველას თავისუფლება მიანიჭა.

წინ გამოვიდა სერ ლა გოტ კონკია. ლანსელოტს უნდოდა, მთელი ხიდი და სიმაგრეები მისთვის დაელოცა, მაგრამ ლა გოტმა თქვა:

— არა, სერ, მე ვერ მივიღებ სერ პლენორიუსის სამფლობელოს. თუ იგი დათანხმდება და სიტყვას მოგცემთ, რომ ძმებიანად მეფე ართურის კარზე წავა და ისიცა და მისი ძმებიც მეფე ართურის რაინდები გახდებიან, მაშინ ამორჩილესად გთხოვთ, სერ ლანსელოტ, დაუტოვეთ თავიანთი საბრძანებელი.

— ამ თხოვნაზე სიამოვნებით დაგეთანხმებით, — მიუგო ლანსელოტმა, — თუ მეფე ართურს ეახლება და თავის ხუთ ძმასთან ერთად ემსახურება, კეთილი და პატიოსანი, რაც შეგეხებათ პირადად თქვენ, სერ პლენორიუს, — მიუბრუნდა უმამაცესს, — მე ვიზრუნებ იმისათვის, რომ უახლოეს დღესასწაულზე, თუ თავისუფალი ადგილი იქნება, მრავალი მაგიდის რაინდობა გიბოძონ.

— სერ, — თქვა პლენორიუსმა, — ორმოცდაათთა მორიგ დღესასწაულზე გეახლებით და თქვენი და ართურ მეფის წყალობის მოლოდინში ვიქნები.

ამის შემდეგ სერ ლანსელოტი და სერ ლა გოტ მეილ ტეილი იქვე დარჩნენ, ვიდრე დაპრილები მოიკეთებდნენ და კრილობებს მოიშუშებდნენ. დიდი მხიარულება იყო, კეთილი დასვენება, სამამაცო სათამაშოები და მრავალი ლამაზი ქალი.

გაგრძელება იქნება



თარგმნა ცილა ჩაიძვა

ნავოლენა

ცხოვრობს ამქვეყნად კაცი, რომელსაც სულ უწი-
წკნის ყრუ და მტკივნეული იდეა — აუცილებლად რაიმე
სასიკეთო მოიმოქმედოს ადამიანებისათვის, მაგრამ ვერა და ვერ მოუხერხებია
ფერაფერი. როდესაც, მაგალითად, მისი თანდასწრებით ან სადმე მის ახლოს
შეიქნება ხოლმე ლაპარაკი რაიმე გასაჭირზე, ყურს მიუგდებს, ალგზნება და
ისწრაფვის დაეხმაროს.

— რა იყო, კაცებო? რა პრობლემები გაწუხებთ? — კითხულობს ისე,
თითქოს უიმიოდ საკმე არ დაიძვრის და მის მეტი ვერაფერ შესძლებს „პრობ-
ლემის“ სწორად გადაჭრას. სუნთქვაც კი ეკვრის ხოლმე, ისერივად სწყურია
სამსახური გაუწიოს ადამიანებს.

თაქაც ყოველთვის ჰგონია, რომ რაკილა კაცები რაღაცას შეუფიქრიანებია,
რაღაც გასჭირვებიათ. ეს, რაღა თქმა უნდა, დაღვეის „პრობლემა“. ჩვეულებას
წყალობით რაღაც განსაკუთრებული ალღო გამოუმუშავდა ამ საქმისა, თუ ზოგ-
ჯერ მართალი გამოდგება, ვარაუდში არ შეცდება და გამჭრიახობისა და დაგ-
როვებული ცოდნის მეოხებით მოახერხებს შექმნილი მდგომარეობიდან გამო-
სავლის პოვნასა და ადამიანების დახმარებას, ისეთ ნეტარებას განიცდის, რომ
არც კი შეეძრება იმ ერთ ყლუპ სპირტს, თავისი გარჯის საზღაურად რომ
იღებს, საერთოდ დაჩვეულია იფიქროს, რომ თუკი კაცებს თავი მოუყრიან
და რაღაცაზე შეფიქრიანებულან, რაღა თქმა უნდა, ეს გახლავთ ცხოვრების
უმთავრესი საკითხი: სად იშოვნონ ერთი ბოთლი არაყი? ამის თაობაზე გან-
საკუთრებული აზრი აქვს და მგონია, თავიც მოსწონს, ადამიანთა სუსტი მხა-
რეები ვიცოდ, თუმცა თუკი ახერხებს მიეხმაროს მართლაც გვემულთა და მწყუ-
რვალთ და თუკი, რაღა თქმა უნდა, არ შეუკურთხებენ და ჯანდაბაში ან სადმე
სხვაგან არ გაგზავნიან, პატარა გამორჩენა თვითონაც აქვს.

ამპარტავანი არ გახლავთ და, თუ ვერ გაუგებენ ხოლმე, არა სწყინს,
ოღონდ ჩაიციანებს, თვალს შეავლებს ავის მთქმელს, ტურებით რაღაცნაირ
დორბლიანი წკლაპუნის ხმას გამოსცემს და ნაღვლიანად ამბობს:

— მაშასადამე, ისა... არ გამოგვივიდა ძმაკაცობა... რას იზამ... თქვენ
იცით თქვენი საქმე, ჩემთვის სულ ერთია — გიყვარვართ თუ გძულვართ.
სინდისი ბროლივით კრიალა მაქვს. მინდოდა თქვენთვის მეშველა, სხვა არა-
ფერი, კარგად იყავით.

და გაეცლება ხოლმე, თან ებრალება ადამიანები, რომლებმაც ვერ დააფასეს მისი დანატრებული სულის სწრაფვა.

შეურაცხყოფელი მეტსახელი „ბრიყვოც“ კი მაინცდამაინც არა სწყინს, გაეხშიანება ხოლმე და გუნებაში ებრალება ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ასე უპატიოდ მიმართონ იმ კაცს, ყოველ წუთს რომ მზადაა მათ დასახმარებლად. ჩვეული ცნობისმოყვარეობით უცქერის მათ, თითქოსდა განუწყვეტლად სწავლობს მათ ქცევა-ხასიათს, თითქოსდა ეუბნება თავისი მოჭუტული, დაკვირვებული პატარა თვალებით, სადაც მუდამ გამოუკრთის ამღვრიული და ბრაზით დაუცველი რალაცნაირი მხუთრი გრძნობა: „ოხ, ადამიანებო, ადამიანებო! მებრალებით“. ამასთან თავს გრძნობს ყოველგვარ შეურაცხყოფაზე, ადამიანთა ვნებებზე და თვითონ იმ ადამიანებზე მალლა, რომელთაც შეუძლიათ მას „ბრიყვი“ უწოდონ.

ფული ჯიბეში არ უჩერდება. საერთოდ ყოველთვის უფულოდაა, ამასთან იცის, რომ მის ირგვლივ მყოფნიც მუდამ ჯიბეგამოფხეკილები არიან, მაგრამ თუ კაცები სერიოზულად შეფიქრიანდებიან, ცოტაოდენი ფული მაინც ჩნდება ხოლმე, კაცმა არ იცის, საიდან. გეგონებათ, ის წყეული თავისით ჩნდება ჰაერიდან, არაფრიდან, როდესაც საქმე „პრობლემას“ ენება. ამ უცნაურ მოვლენაში, როგორც ფოკუსში, რასაკვირველია, აშკარად გამოსჭვივის კიდევ ერთი უპირატესობა ადამიანთა კოლექტიური დარაზმულობისა, როდესაც შეუძლებელიც კი შესაძლებელი ხდება. ადამიანები ხალისდებიან, არაჩვეულებრივი გრძნობები ეუფლებათ, თითქოს მათ თვალწინ მოხდა სასწაული, რომელიც მანამდე არ სწამდათ, და დახმარებისათვის „ბრიყვს“ მოიხმობენ ხოლმე.

ზოგჯერ, რა თქმა უნდა, გამოტყვრება წუთები, როდესაც მეგობრულად უპარტყუნებენ მხარზე ხელს, ნდობით აღსავსე მზერით შესცქერიან თვალებში, რაც არცთუ ისე ხშირად ხდება, და გრძნობამორეული, შეზარხოშებული ხმით ეუბნებიან:

— კარგი კაცი ხარ, ვასია, ოღონდ ბრიყვი ხარ, შენ თვითონ მაინც ხომ გესმის, რომ ბრიყვი ხარ?

— რატომაც არა, რა თქმა უნდა, მესმის, — ხალისით ეთანხმება ისიც, — ეგრე რომ არ იყო, ხომ დიდი კაცი ვიქნებოდი.

ვასია სოფელში დაიბადა, იმ სოფელს ქალის სახელი ანიუტა ჰქვია და ვაწოლილია გზატკეცილის გაყოლებაზე, მდინარე ნევილენკასთან, ტბას რომ ერთვის.

ფიქვნარს, ან, როგორც სხვაგვარადაც უწოდებენ, ფიქვნარ-ერიკებს, ქვიშოვან დაბორცვილ მიწაზე რალაც გიგანტური ბალახივით რომ ხარობს, სოფლის ირგვლივ მთელი თვალმისაწიერი სივრცე დაუფარავს. და რომელიმე მაღალი გორაკიდან თვალი რომ მოატაროთ ირგვლივ, ფიქვების მეტს ვერაფერს დაინახავთ. ფიქვები არცთუ ძალიან მაღალია, ახლო-ახლო, მჭიდროდ დგანან. თავიანთ დროს რომ მოსჭამენ, წაიქცევიან, ტანზე მოეხვევათ მოცისფრო-რუხი ხვიფლი. ლამის დაჰფარავს ერიკა, რომელიც ყველგან მოდებულა და რომლის ვამოც დაარქვეს კიდევაც ფიქვნარს ერიკები, ხოლო მათ ადგილას ამოიზრდება ახალი ფიქვები, მტკაველ მიწასაც რომ არ უთმობენ რომელიმე სხვა ჯიშს. ასეა უხსოვარი დროიდან.

ფიქვებით მოფენილი გორაკები და ლარტაფები, ღრმულები და მაღლობები რაც უფრო შორდება თვალს, მით უფრო ერთიანდება ტალღოვან ლენ-

ტებად, ღია მწვანე ფერის ნაცვლად გაუმჟვირი ლურჯი ფერისა ხდება, ხოლო შემდეგ გაუმჟვირი ცისფერიც, ფირუზისფერიც, ძლივსღა რომ გამოარჩევ ცისა და მიწის ზღვარზე. ტყე კი არა, ზღვაა და ეგ არის! მარტოოდენ ზოგჯერ, აგვისტოში, ამ ტალღებს შორის ჩალია სახურავივით ყვითლად გამოკიდებული ხოლმე დამუშავებული მიწის ნაგლეჯი. შვრია რომ სთესია, და ხოლოდნელად ბებში, გორაკის ძირას, ვრცელი ნაკაფების კიდებში თეთრად გამოკრთება უანგისფერი გვიმრით დაბარდული არყის ხეები. გველებით სავსე წყეული ადგილებია. სხვა მხრივ კი, საითაც არ უნდა გაიხედო, სულ ფიჭვებია.

მზიან დღეს ამ მწვანე, ლურჯ, ცისფერ ტალღებს, ქვეყნის ყოველ მხარეს რომ მიემართებიან, მთელ იმ ფიჭვნარ მხარეს ისეთი სინაზით, ისეთი ალერსით გადაჰფარებია ცის სილაჟვარდე, თბილ ჰაერში მინაბული ფიჭვები ისეთი სიხასხასით გამოანათებენ და გამოხატულან, ისე მკაფაოდ და გარკვევით მოჩანს ყოველი მწვანე წიწვი მზით გაკაშკაშებული ფიჭვების პრიალა ყვითელ წვეროებზე, საკმევლის ისეთი სურნელი გელვრება მკერდში. რომ ყოველი ქვიშოვანი გზა ამ უსასრულო ტყეში სამოთხისკენ მიმავალი გზა გეგონება.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, აქ მართლაც სამოთხეა. ნამდვილად სამოთხის ველზე მიედინება მდინარე ნევილენკა, რომელსაც თავს დასცქერიან ძალუმი, გატოტვილი, მზითა და სილაღით ნაალერსები ფიჭვები, რალაც სხვა ჯიშისანი რომ გგონიათ, ვიდრე მკიდროდ შექუჩებული მათი ურიცხვი დები.

სწრაფი ნევილენკას გამჟვირვალე წყალში, ჩქერებზე, მქრქალად მოჩანს წყლის მდინარებით მოსილული ქვიშოვანი ფაფარი. მწვანე ნაკადებად ირბევიან ნაპირებთან ხშირ-ხშირ წყალმცენარეთა ქოჩრები. ჰაობიან პატარ-პატარა მდელოებზე, მიყუჩებულ და ღრმა ნაკალაპოტრებში, დუმფარასა და წყლის შროშანას პრიალა ფოთლებით დაფარულ მდინარის ამ ყურეებში, მზიან ამინდში დილაობით თავიანთი წყალქვეშა სამეფოდან ამოყელყელავდებიან და აშლებიან თეთრ-ვარდისფერი ზღაპრული ყვავილები. იშლებიან და კიაფობენ მზის შუქზე მუქმწვანე ფოთლებსა და უხვად მოფენილ დუმფარათა შორის.

წყალქვეშა მალალ ბალახში, თითქოს სადმე სანაშენეში არიანო, მშვიდად და აუჩქარებლად დასრიალებენ წვრილი თევზები: ქორკილა და ნაფოტა, იდი და ფარფლწითელა. გარეულ იხვებს აქ მოჰყავთ თავიანთი ჭუკები. პატარ-პატარა მდელოებში ჩიბუხები ბუდობენ. ნისლჩამოწოლილი განთიადის მდუმარებაში რა ხმებსა და ბგერებს არ გაიგონებთ ნევილენკას ნაპირებზე! ვაღმა, ისლის ჰაობიან შამბნარში, ვილაცა ფრთხილად და აუჩქარებლად გაიშლაპუნებს, გაირინდება, დააყურადებს და, უხილავი, კვლავ ააშრიალებს ისლს, შლაპაშლუპით გასწევს თავის საქმეზე, მერე შეჩერდება და მადიანი წკლაპუნით რალაცას შეეკცევა. ვინ არის? რა ჰქვია? ღმერთმა უწყის. ცხოვრობს აქ თავისთვის, არაჯის ხელს არ უშლის, რალაცას უთუოდ თავისებურად ფიქრობს ცხოვრებაზე, რალაცაზე ზრუნავს, ვილაცისა ეშინია, ვილაცას თვითონაც აშინებს, მაძლარიც არის ხოლმე და მშიერიც. მხიარულიც და ავიც, როგორიც უნდა იყოს კიდევაც ყოველი სულდგმული. ის კი არავინ იცის, რას წარმოადგენს ეს მალული, მებინდია არსება, რა აცვია, რანაირი შესახედაობისაა, — რადგან აქ ნაკლებ არიან მონადირეები, ხოლო თუ ვინმეს აქვს თოფი, მარტოოდენ იხვებს აუ უსვრის.

მწუხრისას და ცისკარზე მდინარეში დგაფუნობს მსხვილი თევზი, ტლაშუჩით არღვევს დაბინდულ მდუმარებას. სოფელში მამლები ჰყივიან. ჰაერში

იხვეების ფრთათა ტკაცანი გაისმის. ძაღლები ყეფენ. ამ დროს გზატკეცილი უკაცური და იშვიათად თუ გაიშრიალებს ხოლმე ეული მანქანა.

ხალხი აქ ცოტაა. მხოლოდ გზატკეცილის გაყოლებაზე ცხოვრობენ. არ შედიან ტყის სიღრმეში, სადაც, კაცმა რომ თქვას, ადამიანს არც არაფერი ესაქმება. აქაური ერთადერთი სარეწი — საკმეველ-ფისის შეგროვება — კარგა ხანია ჩაკვდა. ფიჭვებს შემორჩათ ნაქდევების ჩამუქებული ნაკვალევი და აქაიქ ჰყრია სულერთიანად დაქანგული თუნუქის ხუფები, რომლებშიც ჩაედინებოდა ოდესღაც ფიჭვის თეთრი სურნელოვანი ფისი.

სიჩუმესა და სიმშვიდეში დგას ფიჭვნარი. ზამთრობით თრთვილით დაფიჭული ფიჭვები რუხი ფერისა გეგონებათ, ზაფხულობით მცხუნვარედ ელვარებენ მწვანედ და სპილენძისფრად, ლილისფერი დაჰკრავთ ძარღვიანი ერიცასაგან, ყველგან რომ გაფენილა.

ასეთი იყო აქაურობა ძველთაგანვე. უკაცური, ველური და ერთფეროვანი. ჯარი რომ მოითავა, ვასია სოფელში აღარ დაბრუნებულა, რაიონის პატარა ქალაქში დასახლდა. რომელიღაც მექანიკურ ციციქნა ქარხანაში მუშაობდა. ვიდრე არ გადავიდა ახალ სამეცნიერო ქალაქში, რომელიც, როგორც იტყვიან, ტრიალ ადგილას გაშენდა.

ქარხანაზე საკმაოდ უცნაური მოგონებები შემორჩა; ეს მოგონებები უმიზნოდ, უცებ წამოსცდებოდა ხოლმე, თითქოს რაღაცამ ერთბაშად გონება გაუნათაო. ფიქრით მიჰქროდა თავის ამასწინანდელ წარსულში და არ შეეძლო გაჩუმებულიყო, ადამიანებისათვის დაემალა ყოველივე ეს.

— ერთხელ არაყის მოსატანად გამგზავნეს, — იწყებს მოგონებებს. — ქარხანაში ხდება ეს ამბავი, გასასვლელში არ შეგატანინებენ, მესერიდან თუ გადაიტან. ერთს ხელში აიყვანენ და მესერს გადაღმა გადასვამენ, ისიც გარბის, მოაქვს არაყი, ჩამოართმევენ. ისევ ხელს შეაშველებენ, უკანვე გადმოჰყავთ, და ყველაფერიც რიგზეა! მაგრამ ერთხელ ჩვენ ამბავი დაგვემართა, გაგიჟდებით!.. მთელი არაყი, არც მეტი და არც ნაკლები — ექვსი ბოთლი მთავარმა ინჟინერმა ჩამოგვართვა და, არ დაიჭერებთ! — აღარ მოგვცა. ჩვენს თვალწინ დაამსხვრია! აი რა სასჯელი მოიგონა!

თანამგრძნობი ცოტა ჰყავს, ისინიც ერთს გაურკვეველად გასჭიმავენ „პოო-ო“, და ივიწყებენ, ხოლო ვასია, რომელმაც თითქოს შეება იგრძნო, რაკილა ის ძველი ბოღმა მოიშორა. დაინტერესება კი ვერ ჰპოვა, კვლავ თავისას განაგრძობს:

— ერთხელაც გამგზავნეს არაყის მოსატანად და სწორედ ამ დროს აკი ამწე არ შემორახრახდა ქარხნის ეზოში. მეამწეს შევეხვეწე და იმან შემოიტანა, ნანუსიანი კაცი გამოდგა. დავუსხით, როგორც წესი და რიგია, მან კი — არა, არ შემოძლიაო, ვერ დავლევ, საჭეს ვუზივარო. წესიერი კაცი იყო. ერთხელ კიდევ... გამგზავნეს არაყისათვის და სწორედ ამ დროს ცისტერნით მაზუთი მოიტანეს. გამორთმევით კი გამომართვა, მაგრამ აღარ მომცა — წავიდა. არც მეტი და არც ნაკლები — შვიდი ბოთლი იყო. სხვა რა ჩარა იყო, ბურსა და ლორზე გადავიარეთ.

გამომცდელად შესცქერის ადამიანებს, ელის, რომ უთანაგრძნობენ ან თუნდაც რაიმეს შეეკითხებიან, დაინტერესებას ეძებს, მაგრამ მათ თითქოს არც გაუგონიათ, გულგრილად ეკიდებიან მის წუხილსა და სიხარულს — ეგეთები მომხდარა ცხოვრებაში?

ვასიას ალალი, გაუბედავი შეცბუნება უკრთის თვალბში. გაოგნებულსა და დაბნეულს მზერა გადაურბის მსმენელთა სახეებზე, თითქოს ვკითხება: „ეს რანაირადაა? ამდენი ბოთლი არაყი დაიკარგა და თქვენ კი — ვითომ არაფერი მომხდარა! ოხ, ადამიანებო, ადამიანებო, მებრალეებით, ღმერთმანო, მხოლოდ ადამიანებზე ფიქრობს, საკუთარი თავი ავიწყდება, მათზე არაფერი ადის, გაართოს. უყვარს ისინი და ებრალება. როგორც პატარა, ბედით დაჩაგრული ბალები, თან ვარაუდობს. ან, უფრო სწორად, იმედი აქვს მათგანაც საპასუხო გრძნობებისა; და ძალზე ნაღვლობს, თუ ადამიანებს არ ესმით მისი.“

სიცოცხლის ასეთ სევდიან წუთებში გამოიბრუება ხოლმე და წყველაკრულვას უთვლის ყველაფერს, რაც ირგვლივია: ქალაქს, დამტვერილ ქვაფენილებს, აქოთებულ სატვირთო მანქანებსა და ბედკრულ ქალაქელებს, რომლებიც ასეთ ამღვრეულ გუნებაზე ყოფნისას ჭირივით ეჯავრება.

— ეხ, ადამიანებო, ადამიანებო! ცხოვრებას მართო ტელევიზორში ხელავთ. დაგავიწყდათ, როგორია ნამდვილად! თუნდა ჩვენი სოფელი ვთქვათ! ლამაზადა დგას მჩქეფარე მდინარის პირას. ირგვლივ ფიჭვებია, ქვიშა, ჰაერი... საღამომობით გარეული იხვები ფრენენ; მდინარეში თევზი დგაფუნობს. აი სადაა ცხოვრება! თქვენ კიდევ, რა ჰქვია... სულ ტელევიზორში უყურებთ ცხოვრებას, არადა იქაა, ფანჯრის მიღმა. დაიკარგეთ, თქვენი რჯულიც არ იყოს. სულაც წავალ აქედან. მომბეზრდა ყველაფერი! ისე მომბეზრდა, გული მტკივა.

და ზოგჯერ ტირის კიდევ, რომ უძლურია ადამიანებს დაეხმაროს.

— მიყვარან ადამიანები, — ამბობს და სიმთვრალენარევი ცრემლი ეპარება ხმაში. — ჩემი კარგი... ამხანაგები...

და კიდევ უფრო მწარედ ტირის, რადგან ესმის, რომ სწორედ ამხანაგები კი არა ჰყავს. როგორც გუგული ტყეში, ისე მართო ამ ქალაქში, რომელიც გაწოლილა ორ დიდ გზას — რკინიგზასა და ასფალტიან გზას შორის, სამოცდაათ კილომეტრზე მშობლიური სოფლიდან, — აბა იქ ჰყავდა, თუ ჰყავდა ოდესღაც ამხანაგები, ისეთივე ბიჭუნები, როგორიც თვითონ იყო. მათმა დედებმა, ისევე როგორც დედამისმა, ომი და გერმანელთა შემოსევა გადაიტანეს. ახლა კი სოფელში ის სკოლაც აღარ არის, სადაც ოდესღაც სწავლობდა ვასია მუხარხოვი, რადგან სოფელში სასკოლო ასაკის ბავშვები აღარ არიან: მხოლოდ დედაბრები და მართხელა დედაკაცები დარჩენილან. შვილები და შვილიშვილები კი დაიხარდნენ და წავიდ-წამოვიდნენ.

ისე მწარეა ამის შეგნება, რომ სწადია მონახოს ამხანაგები, თავი მოუყაროს ყველას და ტირილით გული მოიოხოს: ალბათ ყველას მოეძევებოდა თითო მანეთი, ძმურად ჩამოვიდოდნენ, ბავშვობას გაიხსენებდნენ — მართოკა რას ვაიხსენებ ყველაფერს, რაც კი თავს გადახდენიათ.

ფიქრობს ამაებს ვასია იწმენდს და იწმენდს ჩამომდინარ ცრემლებს, იმიტომ რომ დედამიწის ზურგზე ვერავინ გაიხსენებს, როგორი იყო ის პატარაობისას, ეგ კი არა, იმასაც კი ვერავინ დაადასტურებს, რომ ოდესღაც ისიც პატარა იყო, გაზაფხულობით ტირიფის აყვავებული ტოტებისგან სასტვენები უკეთებია. შეარჩევდა ხოლმე სწორ ტოტს. რომელსაც პაწია მუხლუხებივით აჭდა ნაზი ყვითელი კლერტები, მოჭრიდა, მერე წვნიან კანს დანით ფრთხილად შემოსერავდა კიდევ ზოლ-ზოლად. ღეროს ნაჭდევს გაუკეთებდა, დანის ტარს ურტყამდა, ამ ნაზ კანს ნელ-ნელა დასძრავდა გათეთრებული ღეროდან და ციმციმ აახვევდა წვრილ მილაკად. სულერთიანად მთრთოლვარე, ცოცხალი,

სურნელოვანი იყო ტოტის კანისგან ახვეული ეს მილაკი: არც ნაბზარი აჩნდა სადმე, არც ანავლეჯი, კანგაცლილი, გასლიბინებული ღერო დაე ვეღარებდა, თითქოს ზედ ლაქი წაუსვამთო. სწორედ აქ იწყებოდა მთავარი სამუშაო: კანის გაცლა საქმის დასაწყისი იყო, ახლა პაწია ცილინდრი უნდა ჩამოეჭრა კატიტვ-ლებული ღეროსათვის, ხოლო ამ ცილინდრის ბოლოს, მისგან წაეფიქრონა წაწი-ლისათვის. სწორად უნდა ჩამოეთალა პატარა სოლი, ამ სოლისთვის ბრტყელი კრალი უნდა გაეკეთებინა პაერის გასასვლელად, მერე კი ორივე ბოლოში გაერჭო ხის კანისგან გაკეთებული, რბილი და მოქნილი ნაზი მილაკი. სასტვე-ნიც მზად იყო! უბერავდა შიგ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, და სიხარულით დეხზე არ იდგა. როცა თავისი ხელით გაკეთებული ამ ცოცხალი სათამაშოს წვრილი და ყურისწამლები სტვენა ესმოდა.

ვასია მუხარიოვს ზოგჯერ ეჩვენება, რომ ახლაც მოესმის ნალვლიანი თუ ხალისიანი, ყურთასმენის წამლები თუ მოლალურის გალობასავით ნაზად მორა-კრაკე საგაზაფხულო სტვენა. ერთი ამხანაგი ისეთ სასტვენს გააკეთებდა ხოლ-მე, წვრილზე წვრილი ხმა ჰქონდა, მეორეს სხვანაირი ხმა გამოსდიოდა: ვერა-სოდეს ვერ გამოიცნობ, რა ხმაზე ამღერდება ზამთრის ყინვების მერე გამო-ცოცხლებული, ნოტიო მიწის წვენით გაჟღენთილი მოჭრილი ტოტი.

ნალვლიან წუთებში ისიც ეჩვენება, რომ ვანა მხოლოდ მაშინდელი სტვენის გადაძახილები მოესმის, — თითქოს ტუჩებითაც შეიგრძნობს იმ ცოცხალი სასტვენის სუნს, სურნელოვანი წვენით გაჟღენთილი, მოჭრილი ტოტის მწება-რე სიმწარეს.

მოდლებული მოგონებებით გულშეძრული ვასია სლუკუნებს და ეჩვენება, რომ თვით ბავშვობა უხმობს სტვენით. შორიდან: ჰეი, ვასკა, სადა ხარ? სად დაიკარგე! აქ მოდი!

ახლა ის იკითხვით, რა ჯებირებს აკეთებდა ხოლმე გაზაფხულობით მოჩქ-რიალზე, ნაკადულებზე! თავით ფეხამდე ამოიგანგლებოდა ტალახში, დააგუბებდა რომელიმე მორაკრაკე ნაკადს და უხაროდა, რომ შეაჩერა აჩქარებული დინება, სულ უფრო და უფრო აღმფოთებული წყალი კი მღვრიედ და ქაფქაფით ფარ-თოვდებოდა, ვიდრე არ გაარღვევდა საგუბარს, მხიარული ტლაშუნით არ გა-დმოთქრიალდებოდა მიწის სადინარში და მდინარისკენ არ გაექანებოდა. ისევ უნდა ემუშავა! ისევ უნდა მოეთრია მიწა, ქვები. ამასობაში დედა ეძახდა სა-დილის საკმელად. „ვასიოკ! — მთელ სოფელს სწვდებოდა მისი მეღერი ხმა. — ახლავე აქ გაჩნდი!“. ამ ძახილის ვაგონებაზე შიშიც კი აიტანდა, რადგან მაშინდა მოეგებოდა გონს, მაშინდა გრძნობდა, რომ სულერთიანად გალუმბული იყო, კიპამდე ტალახში ამოთხვრილი, და ნამდვილად გაიტყიპებოდა! რაც მამა გარდაიცვალა, დედა ძალზე ბრაზიანი და მოჩხუბარი გახდა, თითქოს ვასკას ბრალი ყოფილიყო მისი სიჭკრივე და დარდი, თითქოს რალაციის გამო შეიძულა შეილა, ვასკას აქამდეც ეშინია დედისა. ამქვეყნად არავისი არ ეშინია, დედის წინაშე კი ფრთხება. როგორც ბუნების რაიმე მრისხანე მოვლენის წინაშე.

დედა ახლა მოხუცია და დაჩიავეებული. გაავდრების წინ ხელ-ფეხი სტებს, თითქოს წყალი ძვლებში ატანს და მომაბეზრებელსა და გულისგამაწვრილებელ ტკივილს იწვევს. ისე უშნოდ დადის, გევონება, ომბოხებზე დგასო, ჩაშავეებული სახე დაძაბული აქვს და დაღვრემილი, ხოლო მწვანე თვალები არ უც, მენ გიცქერიან, თუ დამძიმებული მზერით ტკივილს, სასოწარკვეთილებასა და ბედის უძლურ ჩივილს გამოხატავენ. თავზე თავშალი ახვევია, ტანთ ოდეს-

ლაც შავი, ახლა კი გარუხებული, გამოხუნებული კაბა აცვია მუდამ. მხოლოდ დღესასწაულებზე შემოიხვევს თავზე თეთრ თავშალს, ჩაგარდნილ საფეთქლებზე შეიკეცავს თავისი მოუღრეკავი, გაშეშებული თითებით. სახსრები/დააიებული აქვს, ვარდისფრად უბრიალებს, თითქოს კანი გადახეხვილი და ხორცი მოუჩანსო. არც დაჩივლება, არც კვნესა — არაფერი ამგვარად არსებობს მისგან ვასიას, როცა ზოგჯერ, წელიწადში ერთხელ, ხან უფრო იშვიათადაც ჩამოაკითხავს ხოლმე ქალაქში, თან, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად ჩამოდის. დედას ქალაქში ძმაცა ჰყავს ცოლშვილიანი.

— წერილი მაინც მოგეწერა, დე — იწვევს ვასია ძველ ჰანგზე, — ან დეპეშა მოგეცა. შევემზადებოდით, დაგვდებოდით, როგორც წესი და რიგია. თორემ ისე ჩამოხვედით, თითქოს რევიზორი იყო. უნერხულიც კია! ხელფასამდე კიდევ ოთხი დღეა. მე კი ისევ შემომაკლდა ფული, ფული ხომ იცი რაცაა: ესაო, ისაო, გაიხედავ და აღარაფერი დაგრჩენია, ამხანაგებს დაესესხები, მერე ხელფასს აიღებ და უნდა დაუბრუნო. სინდისზე ხელს ხომ არ აიღებ კაცი! თუ გამოართვი, დაუბრუნე კიდევაც. შენ მასწავლე ასე ცხოვრება. ჩემი ნება აღარაა. მთელი ჩემი დღე და მოსწრება მაღლობელი ვიქნები შენი. იმიტომ რომ ამხანაგები ძალიანაც მაფასებენ ამისათვის და თავის დღეში უარს არ მეუბნებიან. თუ ვთხოვ, ამას იმიტომ გეუბნები, დედა, რომ ჯერ დეპეშა უნდა გამოგეგზავნა, ავდგებოდი და ვისესხებდი ერთ თუმანს, ან სულაც თხუთმეტ მანეთს! კამფეტებს ვიკიდდი და სხვა რამეებს... თორემ ხომ ჩამშხამდა სიხარული. დედა ჩამომივიდა, რე კი არაფერი მაქვს, რომ გავუმასპინძლდე, ლამის ავტირდე. ან არადა, ერთ ბოთლ წითელ ღვინოსაც დავლევდით გახარებულები. ურიგო იქნებოდა?! ახ, დედი, დედი! მებრალეები, ასეთი ბენტერა შვილი რომ გყავს. თავის ყველ აზე საყვარელ ადამიანს. შეიძლება ითქვას, თავისი ცხოვრების საუკეთესო ამი ანაგს ვერ დახვედრია, როგორც წესი და რიგია. მეჩხუბე, დედი, მეჩხუბე... დ მნაშავე ვარ შენთან. ისე დამნაშავე ვარ, რომ გული მტკივა! გჯერა ჩემი თუ რა? ვხედავ, რალაცნაირი უნდობელი ხარ, თითქოს გატყუებდე. არადა არ გატყუებ. მე რასაც ვგრძნობ, იმას ვამბობ. ამიტომაც მაფასებენ ამხანაგები. ჩემი პატიოსნებისათვის მაფასებენ. მე პატიოსანი კაცი ვარ, რასაც ვიღებ, იმითი ვცხოვრობ. სხვები ახერხებენ ცხოვრებას. შენ კი მთელი სიცოცხლე სხვა რამეს მასწავლიდი. მეც ვცხოვრობ, როგორც შენ მასწავლე. პატიოსნად. ამას წინააღმდეგობა ვხედავ, ორი ქალი შეხვდა ერთმანეთს, შეიძლება ითქვას, შენი ხნისა იქნებოდნენ. ერთი ეუბნება: ვხედავ, შენი კოლია კარგ ფულს შოულობს, ეტლიანი მოტოციკლეტი უყიდიაო. მეორე კი პასუხობს: საზრიანი ბიჭია, რატომაც არ უნდა იშოვნოსო. თან თვითონ ეჭვიანად შესცქერის. ის კიდევ ეუბნება: საზრიანია, საზრიანო. ხან სახურავს შეღებავს სურინჯით, ხანაც შესურის შესაღებავად დაუქირავდება ვინმეს. ფულებსაც ჯიბეში იმით იწყობსო. რალაც გადაკვრივთ ეუბნება, მეორეს კი ძროხასავით ყბა ჩამოუვარდა: რატომაც არ უნდა ჩაიწყოს, თუკი იშოვნის. ეგ შენი ბიჭია, ჯიბეგამოფხეკილი რომ დაიარება, ჩემი კი ჰკვიანია, თავი მხრებზე აბია და მუშაობა უყვარსო. ვუცქერი და ვფიქრობ: ნეტავ ახლა ის რას უბასუხებს, რითი გაამწარებს-მეთქი, იმიტომ, რომ ვხედავ, თვალეები მოწყურა და თავი უკან გადასწია. ეუბნება: ჩემი არ ქურდობს და ჯიბეგამოფხეკილიც იმიტომ დადის, შენი კი იმ საღებავს საღა შოულობს. მა? აბა წადი, მაღაზიაში იყიდე! ფაბრიკიდან იბარავს. ჩემი წყვილი საღებავით უნდავეს ის შენი მუშა ბიჭი. თი საიდანა აქვს ფულიც.

სახელმწიფო ხაზინიდან! ჩემი ეგეთ რამეს არ იკადრებს. ჩემი ბიჭი პატროსანია, რასაც იღებს, იმითი ცხოვრობს. ჯერ კიდევ გასარკვევია, ვინაა სულელი და ვინაა ჭკვიანიო. უყვირიან ერთმანეთს. მაგრამ რას უყვირიან ქუჩაში ზედ ამ ფანჯარასთან. ის კიდევ, ის ძროხა, ყვირის: შენ იმას საღებავს ნუ ამადლი, იმ საღებავისათვის თავს საფრთხეში იგდებსო! გესმის, დედო, მისთვის უყვირებს ამბობენ? თანაც ვინ? დედები! ნუ ამადლი, იმიტომ რომ ამისთვის თვითონ აგებს პასუხს, სხვას კი ამ ამბავთან არაფერი ესაქმებაო. ამას ამბობს დედა! იცის, რომ შეილი ქურდობს, ის კი გაიძახის — ნუ ამადლიო! აი, როგორა ცხოვრობს ხალხი. დედი, ვისაც ფული აქვს! სიცილით მოკვდება კაცი!

ვასია დუნედ და რალაცნაირად მტირალა ხმით ხითხითებს, თან შესცქერის გაულიმარ, მკაცრ დედას, რომელიც მღუმარედ უსმენს შეილს და ათვალთვლებს, ისე ათვალთვლებს, თითქოს დაძაბულად და მტანჯველად ფიქრობს რალაცას და ის საფიქრალი ისე შორსაა ყოველივე მოსმენილისგან, ისე მძიმეა, გამოთქმაც კი შეუძლებელია.

— შენ მგონი, არა გჯერა ჩემი, დედი! — ლაციკა გაკვირვებით გაიძახის ვასია და შეხტება კიდევაც; მისი საწოლი საცოდავად ჭრიალებს.

საერთო საცხოვრებლის ოთახში ვასია, საბედნიეროდ, მარტოკაა: ამხანაგები სამუშაოდ არიან, მას კი ორი თავისუფალი დღე აქვს ღამის მორიგეობის შემდეგ, დედა ზის სკამზე, უცქერის შეილს, თეთრად შეფეთებულ კედლებს, კედელზე მიჭედებულ ფოტოსურათს, რომელიც არყის ხის ქერქივით დაგრენილა და დაუფარავს ზედ გამოხატული ვიღაც ქალის სახე, უცქერის მაგიდას, რომელზეც დევს ელექტროქურა, გამხმარი პურის ნაჭერი, ზედ რომ ბუზები დაცოცავენ, ვასკა ზის მის წინ ტრუსის ამარა, გაბურძღნული, ქუჩყიანი, ფეხდაუბანელი, გაშელოტებული და გათაღლითებული.

ოთახში ჩახუთული პაერი დგას მისი ნამთვრალევი სუნთქვისაგან, დედას ნესტოები ებერება ბრაზისაგან, ან იქნებ იმისაგან, რომ უნდა ერთხელ კიდევ დარწმუნდეს, ასეთი მყრალი სუნი სწორედ მას, ვასკას ამოსდისო, ვასკა ერთბაშად ყველაფერს ხვდება, დინჯდება, ეგ კი არა, შუბლსაც იკმუხნის და ხელს აქნევს:

— აპა-პა-პა, დედი! შენ თუ ფიქრობ, რომ... ტყუილად ფიქრობ! სამუშაოზე თავის დღეში არ დამილევია! ეს ისე, დაღლილობისგან იყო, საშინლად დავიღალე! მთელი დღე და ღამე თვალი არ მომიხუჭავს, მორიგეობისას, იცი, ყოველ წუთს შეიძლება უფროსმა დარეკოს, იქ ისეთი პასუხისმგებლობაა — მოგეცა ლხენა! ჩემი თავის მტერი ხომ არა ვარ! სამუშაოდან რომ მოვდიოდი, მაშინ კი დაღვკარი ამხანაგებთან ერთად, ქვეყანა ხომ არ დაიქცა, იმუშავე, მერე კი დაისვენე, ყველაფერი კანონიერადაა, მე, დედი, აპა-პა-პა! რაა ამბობ! რა ხანია პირში აღარ ჩამიშვია, გუშინ დავლიე სწორედ და აკი შენც არ გამოშეცხადე! თითქოს გრძნობ ხოლმე, რომ მთლად ისე ვერა ვარ. — ისევ ლაციკით იცინის ასია. — ნამდვილი რევიზორი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, ობეცეხი: რას გაჩუმებულხარ, დედი! მგონი, არ გიხარია, ხომ მშვიდობაა? — ისევ წარბს შეიკრავს და დაკვირვებით აცქერდება, ეშხადება, რომ დედის ბავთაგან რალაც საშინელი ამბავი მოისმინოს.

მაგრამ დედა მიუხვდება ეშმაკობას, მოხარშულს იცნობს, ოტიქსოდენა იმედიც არ უკიაფებს გულში, მარტოოდენ სევდა ჩაბუდება, მშრალად ყლაპავს მწებარე ნერწყვს, გაკვირვებით ალებს დაპრანკულ ტუჩებს და ზედ ენას

ისკამს. — დაღალა გზამ. სიცხემ. იმ გულწინაბრევი პაუზა, რომ კლავიკ მო-
შვილი ცხოვრობს.

— წყალი მოგიტანო, დედი? — ეკითხება ვასია და საწოლში ამბობს
აჭრიალებს. — ახლავე მოგიტან. თუ გინდა, განა ეს საქმეა! ჩიითაც კი ვერ
გავმასპინძლებივარ ღვიძლ დედას... კამფეტები ჩიით! მთელი მთელი ამ
ჯამაგირის მიღების წინ. ნუ გეწყინება. დედი, ახლავე რაღაც მოვისასწოებ. —
ეუბნება ის. — ახლა ჩავიცვამ, პირს დავიბან, კომპენდანტს დავესესხები ან
სხვა ვინმეს... არხეინად იყავი დედი. ყველაფერი აკვი იქნება. ხა-ხა! ასე
ამბობენ ახლა. ამერიკელები ამბობენ. სატანკო ჯარებში ყველაფერი
რიგზეაო. — იმათებურად. — აკვი. აქ ერთი ცხოვრობს. აკვი იმ საწოლზე
წევს. — ამბობს ვასია და ძლიერ დგება საწოლიდან. ურუღ, უმონკა-
ლად სტკივა თავი. მაგრამ ყოველნაირად ცდილობს დედას არ შე-
ამჩნიოს. — ვაღია ბუხანოვი... ჩუი ახალგაზრდაა. სწავლობს. პოდა,
სწორედ ის ამბობს ხოლმე. აკვი, აკვი! არა სვანს. ყოველი ბიჭია. აქ
საირთოდ არა სვამენ ბიჭები. სულ ერთიმეორეზე უკეთესები არიან. აკვი
იქ. უფლებში. ჩემი საუკეთესო ამხანაგია. ჭურავლიოვი სტიოპკა. წესიერი კა-
კია. იმას ქარბანაში... უ-უ-უ! ძალზე დაღასაიფელი მუშაია. ეგეთი ადამიანი
ჩემს სოცოცხლეში არ მიხახავს! პატროსანია კეთილი და რაც მოთავარია. ცხოვ-
რებას, ადამიანებს იცნობს. ეგ, დედი. ჩემი ყველაზე კარგი ამხანაგია. აი მოვა
სადამოთი და უსათუოდ მისაყვედურებს. — ვასია ისევ ხიოხიოებს. თან ტვივი-
ლისგან იტყუბნება. — როგორც კი დავღვე... ცოტას... სულ ერთი პეწოს. აი.
ნავალითად, როგორც ახლა... აი, ჩახავ! მოვა თავისი ცკლიდან. ხელად იყნო-
სავს. როგორც ვთქვით... როგორც შენ! მეტყვის: „ვასია, სმა მანებებელია!“.
და იცი, დედი, მისგან არასოდეს არა მწყინს! ეგ კი არა, ზოგჯერ მრცხვენია კი-
დევაც! ასე მგონია, რომ გამილაწუნოს კიდევაც, არ მწყინება. აფსუს, რომ
შემბრალეს. მე იმას პატრეს ვცემ. დედი, იცი, როგორც ჩემს საუკეთესო ამხა-
ნავს. — თითქოს გულწრფელი ნდობით ამბობს ვასია, თან შარვალს იცვამს და
ბარბაცებს. — შენც მაპატრე, დედი. შენ ხომ... გესმის. — ამბობს. მის ხმას ძალი
აკლდება. — შენ ხომ, შეიძლება ითქვას. ჩემი ყველაზე საუკეთესო ამხანაგ.
ხარ. შენ გამაჩინე. სოცოცხლე მაჩუქე. ეს, იცი, რამოდენა ამბავია! ეს ბედნი-
ერებაა. მე ყველაფერიც მესმის. არხეინად იყავი. მესმის. ყველაფერი აკვი!
დედი, იცი, რას გატყვი! — უცებ ამბობს ისე თითქოს შუბლში იტყოს ხელი-
თითქოს როგორც იქნა მოისახია და მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვნოს.
— რაღა სადღაც წავიდე და თავი დავიმპირო. არ მინდა ხედმეტად... რა საქო-
როა? ადამიანებმა შეიძლება ვერც გამოგონ. შენ კი გამოგებ, ხუთმანეთიანი
გაქვს? ან სამმანეთიანი? — საკუთარი თავბედობისა და გაბედულებასგან
ვასიას მუხლები ეკვეთება და, თითქოს მოიკლდა, საწოლზე ეშვება. შაო-
გლის შეკვრასაც ვერ ასწრებს. — თუ გაქვს ხელფასამდე მომეცი. მე კი ახლავე
პირს დავიბან და გავვარდები... კამფეტებს ვიყიდი... მე ვიცი, შენ მომეცი
კამფეტებისათვის გიყიდი... მომეცივოს ვიყიდი. ჩაისაც ვიყიდი... და კლავი-
კა-ფფასიან... წითელ ღვინოს... „როზოვოე“ ბჭვია. შეიძლება ითქვას. კუჭის
სამკურნალო ღვინოა. კუჭს უხდება. ჩამღვილს გეუბნები. დედი! ექიმებიც კი
უწყებენ ხოლმე, როდესაც ვინმეს მუცელი სტკივა. ეგ კი არა, ჭურვანზე ამბო-
ბენ და ავადმყოფ ბავშვებს კოვზით ასმევენ. თუ უმადობა სჭირო, ეს იცი რა...
ეს ნაღდია... სტიოპკა ჭურავლიოვი... წელან რომ ვითხათი... ჩემი საუკეთესო

ამხანაგია-მეთქი... როცა კი გაცივდება, მაშინვე ერთ ბოთლ „როზოვოეს“ იყიდის და საბანში შეძვრება. დილით ჩიტვითაა... დედი, რა მოგივიდა? ისეთი განა რა ვთქვი? ცუდი არაფერი მითქვამს. ყველაფერი აქვე! შენ რა გავლე გულში? მწყინს კიდევაც. ოხ, დედა, დედა! — ოხრავს ის... მებრალეები. რას არ ვიზამდი, ოღონდ შენ ბედნიერი იყო. ამას რა გეუბნებოდა? აი, „როზოვოე“ რომ ვთქვი... მე ახლა მრცხვენია. ამ დღეში რომ ვარ, განა არ მესმის. ჰოდა, ერთი პატარა ჭიქა რომ დავლიო შენს სადღეგრძელოდ, შენთვისვე იქიება უკეთესი. ხელად გამოვკეთდები და გესიამოვნება ჩემი ცქერა. ახლა კი აბა რა სახითა ვარ დედაჩემის წინაშე. განა არ მესმის — სატირალია და სხვა არაფერი. ნუ მიწყენ, დედა, მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ. სიტყვას გაძლევ! აბა... ტყუილად არა გჯერა, დედი, ტყუილად! გეფიცები, ტყუილად, რა მოგივიდა, დედი! იტირე მაინც... რამე მაინც მითხარი. ისე გაჩუმებულხარ, თითქოს დაძრკალ... დაკრძალვაზე იყო...

დედა ძლივს ამოთქვამს ბრაზისა და მწუხარებისგან გამშრალი პირით: — თავს მოერიე, ვასია, დაიხსომე ჩემი შეგონება: თავს მოერიე! განაწყენებულვით ცხოვრობ, სულ ტყუილებს მეუბნები. მე ხომ მოხარშულს გიცნობ. უილაჯო და ჯანგატეხილი გახდი. ასე ცხოვრებას გერჩივნა სოფელში გეცხოვრა. ფიჭვის ჰაერი ფილტვებს უხდება. გამოცოცხლდები, სმას თავს დაახეებ, ვოლნუშკა ახლა კარგად იწველება. რძეც კარგი აქვს. თორემ დაიღუპები! მეტს არაფერს გეტყვი, არაფერსაც არ მოგცემ, თუმცაღა კი მთხოვ. ერთს კი ვაგილაწუნებდი ყბაში. — ამბობს დედა, სახე ეღრუბლება და ცეცხლი ეკიდება, — მაგრამ მერე სახსრები ამტკივდება. ოხ, დედაო ღვთისა, მომიტევე, და შემიწყალე! მთლად გაცრუებენტელავდა! თვალეებში მომჩერებია დედას და ტყუის, რას ტყუის... ხმა რომ არ ამომელო, ეგრევე გაუჩერებლად იცრუებდა... საზიზღარო! განა მაგას გასწავლიდი? ტყუილების თქმას გასწავლიდი? დედას ატყუებ... პატარა რომ აყავი — არა სტრუობდი. ახლა კი აგე თავზე თმა აღარა გაქვს — და სულ ტყუილებს ახეთქებ. ოხ, ვასკა, მათრახით უნდა აგაქრელოს კაცმა. მამაშენი რომ ცოცხალი ყოფილიყო. ის მოგივლიდა... ახლა კი წავალ ჩემს ძმასთან. — ამბობს დედა და მძიმედ დგება. — არ მინდა არც შენი წყალი, არც შენი ჩაი და კამფეტი... არაფერი არ მინდა. ჩაცეცხლე ის შენი „როზოვოე“. აი, როცა გონს მოხვალ, მაშინ დამიძახებ. მე კი მეტს აღარ ჩამოგაკითხავ. შენ თვითონ თუ ჩამოხვალ შინ — გამიხარდება. ეგ კი არა, რაიმე ვარდისფერ ან მწვანე სასმელსაც დაგიდგამ სუფრაზე. თანაც მე შენი ამხანაგი კი არა, დედა ვარ. შე გამოჩურჩუტებულო. მთლად გაქაჩლებულხარ, დაფიქვინებულხარ... ნეტავი როგორ გაჩერებენ იმ ქარხანაში, რატომ არ გაგდებენ. ვერ გამიგია. უფროსებიც რომ გამოსულელდნენ! ძალა ვერ გამოუჩენიათ... შენ ეგრე თვალდაჭყეტილი ნუ მომჩერებიხარ, თორემ ხელებს აღარ გავუფრთხილდები, გავუძლებ ტკივილს. ოხ, ღმერთო ჩემო, რას დაემსგავსე! თავს მოერიე, ვასკა! დამიბრვიებიხარ. ისე კი... იცხოვრე, როგორც გინდა.

სდუმს ვასკა, ფიქრიანად შეჰყურებს დედას. ტუჩებს იკვნეტს და ისე ნაწყენია, ატირებას არაფერი უკლია. მუდამ ასეთია დედა — სულ პატარაობიდან უყვირის და ტყავს აძრობს. მისგან ცემის მეტი არაფერი ახსოვს. თბილი ხელი აქვს თუ ცივი, ვასკამ არ იცის. იმიტომ რომ არასოდეს უგემნია მისი ილერსი, თავზე ხელი არასოდეს გადაუსვია შვილისთვის... ეგ კი არა, ხელჩაკიდებულვით კი არასოდეს წაუყვანია. თუ ერთბაშად გაუბრაზდებოდა, დაით-

რევდა, თოჯინასავით განზე მოიქნევდა, დაუყვირებდა რალაც ბრაზიანს და ისეთ ავ ცეცხლს შემოანათებდა, ვასკას შიშისგან ენა უხვევდებოდა, ატყობდასაც კი ვერ ბედავდა!

უყურებს ახლა ვასკა, როგორ მიდის დედა, და იმავე დაუვიწყარი ზავშვური შიშით ეწურება გული, გული, რომელიც ისე ატყინა მოსტეკის ლაშის მკერდიდან ამოუვარდეს.

„აბა რა მოვატყუე? — ფიქრობს მარტოკა დარჩენილი ვასია. — არაფერიც არ მომიტყუებია! თუ მაინცდამაინც — სულ ერთი ბეწო, ისე კი სულაც არ მომიტყუებია, ოღონდ ცოტათი თავი მოვიკატუნე. ა-ა-რა, აუტანელი ადამიანია! დედაა, რა თქმა უნდა, მაგრამ... ისე მინდოდა რაიმე კარგი მეთქვა. გული მთხოვდა გამეხარებინა, ის კი სულ თავისას გაიძახის... მამაჩემი რომ ცოცხალი ყოფილიყო, იქნებ მეც სხვა ადამიანი ვყოფილიყავი, იქნებ კეთილი იყო, მე რა ვიცი, დედაც სხვანაირი იქნებოდა, მამას რომ ეცოცხლა“.

ვასიას მამა არ ახსოვს, მამაშისი ომიდან უფლებო დაბრუნდა, ვასიას და-აპახსოვრდა მხოლოდ ომბოხის კაკაკუკი, დაამახსოვრდა, როგორ დადიოდა მამა ქოხში: ერთი ნაბიჯი რბილი, მეორე — ტუკ, ერთი რბილი, მეორე — ტუკ! მეტი არაფერი ახსოვს მამისა, ის მოჰკლა ნამსხვრევმა, რომელიც სისხლს აჰყვტ და გულს შიადგა, როცა ვასია სულ ორნახევარი წლისა იყო, დედამისიც კი ეუბხებოდა ხოლმე: „შენ აბა საიდან უნდა იცოდე, ომის მერე გაჩნდი ამ ქვეყანაზე! წინათ უნდა გენახა — შეხვიდოდი ტყეში, ავე იქ, გზა რომ მინდოდა გადის, ჯვრებით იყო მოფენილი იქაურობა, იმ ჯვრებქვეშ გერმანელთა ჯარი იყო დამარხული, მათი ჯარი აქ იდგა, ფიქვნარში, ჩვენებმა დაბომბეს, დაესივნენ, მაგრამ რა დაესივნენ! ოხ, რა იყო! სარდაფებში ვისხედით ყველანი, გვეჯონა, საცაა ქოხები თავზე დაგვემხოზაო, ისე ირწეოდა მიწა... სამებაში ეკლესიაც დაიწვა და მთელი სოფელიც, ჩვენი სოფელი კი გადაარჩა... ომის დრო არეული დროა, შენ აბა საიდან უნდა იცოდე, შე ცინგლიანო!“

როდესაც ვასია მუხაროვი გამოფხიზლდება ხოლმე და კვლავ ჩაებმება ქალაქურ ცხოვრებაში, მაშინ საერთოდ აღარაფერი ახსოვს წარსულისა: არც მამა, არც დედა, არც სასტვენები თუ საგუბრები, ისევ ერთი საზრუნავი ჩასტეფია გონებაში: რანაირად მიეხმაროს ადამიანებს, რანაირად გაუწიოს სამსახური ამხანაგებს.

— რამ ჩაგაფიქრათ, კაცებო? პრობლემა გაწუხებთ? — გაუბედავად, ქლესა სახით ჰკითხავს ხოლმე ამხანაგებს და მისი სული ნეტარებს ამოფრენას ლაშობს, როდესაც ადამიანებ სთხოვენ, „პროდუქტზე“ გაგვეგზავნო, ისე-რად ახარებს თავისი თანაზიარობა ამ მამაკაცურ მეგობრულ წრესთან, ისე-რიგად ისწრაფვის მათი თხოვნის შესრულებას, რომ იტყვიტ, უკეთეს ხვედრზე არც უოცნებიაო, განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობს ამ თავის ბედნიერებას ზაფხულობით, ქალაქის გარეუბანში, რკინიგზის ბალახიან ფერდოზე.

ზურგს უკან აკაციის დამტვერილი ბუჩქებია, ბუჩქებს უკან პანელით ნაგები სახლების კუბოკრული კედლები, ავტობუსის ბოლო გაჩერება, ხალხის რია-რია, ხმაური და ჟრიაბული, აქ კი, თითქოს ქვეყნის დასალიერში, ნამწვებით, ქაღალდებით, დამსხვრეული შუშით, ლუდის ბოთლების დაქანგული სახურავებით დანაგვიანებული, გასრესილი, დამტვერილი ბალახით დაფარული ფერდოა; ამ ფერდოს რკინიგზის გასწვრივ დრენაჟის არხი გასდევს, ქანვისგან წითელფერდაკრული გაზეთილი შპალები კიბესავით მიემართება შორს, უსა-

სრულობაში. ლიანდაგის თავზე ანძიდან ანძამდე გაჭიმული მავთულები უცებ წყნარად იწყებენ ზუზუნს, ვით ერთბაშად მოვარდნილი კოლონების გუნდი. და უცებ ზამბარასებრ გაჭიმული მოსახვევიდან გამოსრიალდება მწვანე სითამაშოსნაირი ელმავალი და მოპირვეს ვაგონებს, რომლებიც ჯერ მხოლოდ ზევიდან ჩანან, მოჩანს მათი მურა სახურავები სავენტილიაციო მიწისქვეშა მურა. მწვანე-ალისფერთაგვიანი გველი უჩუმრად იზნიჭება, იწელება, და თვალდახელშეუა იზრდება, ემატება ზომა, ხმაური. ლიანდაგის მკვეთრი ელრიალი.

ვასია კი ზის ამხანაგებთან ერთად მზისგულზე, ფერდოს გაქაჩლებულ ბალახზე, თვალები ნეტარი ღიმილით მოუჭუტავს, თითქოს მატარებელი კი არ მოჰქრის. თვითონ მიფრინავს სადღაც. მწვანე ხალიჩაზე მჯდარი, უკაცრიელი საშალლიდან გადმოსცქერის დგანდგართა და გრუხუნ-გრუხუნით მომქროლავ დამტვერილ ვაგონებს; ვაგონები, ვაგონები, ვაგონები... საიდან მოდიან? ვინ არიან, მქრქალი ფანჯრებიდან რომ იცქირებიან? ბოთლები უწყვიათ მაგიდებზე, ისევ ბოთლები: ლუდის მუქმწვანე და რძის თეთრი ბოთლები. მოსკოვს მიემგზავრებიან! მაშასადამე, არ გაჩერდება, სისწრაფესაც კი არ შეანელებს ეს გადარეული ეშელონი, მისი მძიმე ქროლვისაგან ზრიალებს დედამიწა, რომელიც ამ ზრიალს ნეტარებასმიცემულ ვასია მუხარითვის სხეულს გადასცემს. ამ წუთებში თავს ისე გრძნობს, თითქოსდა არსად არ არის. ზურგს უკან მოედნის ფრიამულია. ქვევით — მატარებლის ხმაური, ის და მისი ამხანაგები კი გასხვდისების ზოლში არიან. რომელ რესტორანში ისიამოვნებ ასე?! შინაური ლორი დევს გაზეთზე, ბლომად მარცხმოყრილი, ნივრის სუნით გაელენთილი, გადანაჭერზე მოთეთრო-მოვარდისფრო და ფენოვანი; რუხი პურის დასვრეტილი ნაჭრები; ქორფა, მწვანეფოჩიანი ნიორი. „ახ! სიცოცხლიც ამას ჰქვია!“ — ფიქრობს ვასია, თან გასცქერის ლიანდაგზე სრიალით მიმავალ უკანა ვაგონს და ესმის თავდახსნილი ლიანდაგის წკრიალა გუგუნო. რაღაც ყვავილებს არხევს ქარი, კვლავ ძირს ეშვება ჰაერში აჭრილი ნაგავი და მტვერი. ბელურები კვლავ ტოვებენ აკაციის ბუჩქებს და ფერდოზე ეშვებიან, ელურტულებენ, ფუსფუსებენ, ფუთფუთებენ ბალახში.

ზამთარში, რა თქმა უნდა, უარესია. ვასიას არ უყვარს ზამთარი. მისი ნება რომ იყოს, ზამთარში სულაც არ გამოვიდოდა შინიდან, იქნებოდა, როგორც ბუნაგში: იძინებდა და იძინებდა. ირგვლივ სიცივეა, ტალახი, ფეხი ცურავს. სიცივეში მთვრალივით დაბარბაცებს და ისე დადის, ნახევრად მძინარე ეგონება კაცს. თხელი ნაცრისფერი პალტო აცვია, თავზე კურდღლის ბეწვის ქუდი ახურავს, გამოხუნებული, ფარატინა, ოფლით გაელენთილი, ბინძურსარჩულიანი. პირის კანი ნაცრისფერი უჩანს, გეგონება. ზედ ნაცარი აყრიას, თვალბეჭეშ ვარდისფერი პარკუჭები აქვს, ცივი ქარისგან თვალბეჭეშში ცრემლი ჩასდგომია. ბეჭებში მოხრილი დადის, პალტოს მოკლე საყელო აუწევია. ფეხი უცურდება გაყინულ ტროტუარზე. წონასწორობას ვერ ინარჩუნებს და ეცემა. ხან იდაყვს იტკენს, ხან მუხლს, და სიმწრით იტყანება. პალტო სულ არ ათბობს. თუმცა ჯერ ძველი არ ეთქმის. შარშან იყიდა შვიდ თუმნად და ძალზე გააკვირვა ამხანაგები, რომლებმაც ისეთი ქება შეასხეს მის შენაძენს, ახალი საზღვარგარეთული პალტოს ბედნიერ მფლობელს შერცხვა კიდევაც. ძაგება დაუწყოს თავის პალტოს.

— კარგი არა, ის არ გინდათ! საყელო, შეიძლება ითქვას, არა აქვს, ჩიბები ერთი ციციქნაა. მაინც რა ჩიბეებს აკეთებენ! ხედავ! — ამბობს ვასია და

ხელებს იყოფს გარეთა და შიგნითა ჯიბეებში. — ამას თუ ჯიბე ჰქვია, არა-
ფერი მცოდნია! შიგ ვერაფერს ჩაიდებ კაცი, ბოთლზე რომ აღარაფერი ვთქ-
ვათ. ჩაიდებ ბოთლს და გადმოგივარდება. იმიტომ ვიყიდუ, რომ მაინცდამაინც
ძვირი არ იყო და ზომითაც მომერგო. ისე კი — ბევრი ვერაფერს შეიღია.
ჯიბეები უნდა გავალრმავებინო. ქვევით მოვაჭრევენებ და წაგამსტყებნებ პა-
ტარა ტომსიკებივით. ვინმე დედაკაცსა ვთხოვ, ტილო მიშოვოს და მიმიკე-
როს.

მაგრამ ვერა და ვერ მოაბა თავი ამ საქმეს. დადის ყინვაში და ჯიბეებში
ითბობს, დაწითლებულ-დაზრულ ხელებს. არანაირი ხელთათმანი არასოდეს
არცა ჰქონია და არცა აქვს. ფული არა ჰყოფნის ხელთათმნის საყიდლად,
თანაც რაღაც უცნაური გრძნობითაც ეკიდება, თითქოს მეტიმეტი ფუფუნება
იყოს. ხელებზე სულს იბერავს, ოდნავ თბილ ჰაერს ასუნთქებს ზედ. ისრესს,
ისევ ჯიბეში იწყობს; ჯიბეში ხელები თითქოს უღღვება და სტკივა. მთელი
ზამთარი იმით სულდგმულობს, რომ მოუთმენლად მოელის გაზაფხულსა და
ლიბოს, შექხარის მარტის დადგომას, მერე აპრილის დადგომასაც... ზოგჯერ
გაახსენდება ფიჭვნარი თავისი სოფლის ირგვლივ, ჭალარა და დაღვრემილი
ღის ქვეშ. და ქობში მდგარი აღუზღუზებული ღუმელი. ქობში თბილა: წინკა-
რში კი წყალი იყინება ვედროებში. ღუმელზე ოდნავ მხუთრის სუნია: სადღაც,
რონგლიდაც ნაჩვრეტში კვამლი იპარება; მშრალი თიხისა და თბილი მტვრის
სუნია დგას, ბალინჯოს სუნთან შერეული. დედა ღუმელს უჩხიკინებს სატაცებს.
საქმელს ამზადებს ოჯახისა და საქონლისთვის. თან კატას უწყურება. სულ მის
გინებაშია, ებუზღუნება. თუნდაც თავისთვის ეძინოს, ღუმელის თბილ კუნჭუ-
ლში ამ მოჩხუბარა დედაბრისგან მიმალულს. გარეთ ღრუბლიანი და ულიმლა-
ძო აბინდია. ირგვლივ დაჭირხლული ფიჭვნარია. სკოლაში წასვლა არ უნდა.
ნეტავ სულაც ცეცხლი წაეკიდებოდეს და დაიწვებოდეს! სხვა საქმეა მარტში,
როდესაც მზე დაადნობს ფიჭვებზე დადებულ კირხლს და ისინიც, დაბანილნი,
ხასხასანი, ლამაზად მოჩანან ცივი ლაყვარდი ცის ფონზე, ოქროსფერ თოვლს
დაპნათიან.

გაახსენდება ვასიას ის დრო, გაახსენდება გამაგრებული თოვლი, რომელ-
ზეც შეეძლო ერბინა და არკი ჩაფლულიყო, ევლო მზით გამთბარ ხასხასა და
სურნელოვან ფიჭვებს შორის. ესმინა, რა ხმამალლა ჰყვიან წიწკანები ტყის
მდეუძარებაში, როგორ სტვენენ გნოლქათმები, როგორ აკნაწუნებენ გირჩებს
წარწუხები, — და კვლავ მოუვლის სახლის, გახურებული ღუმელის, გიზგიზა
ცეცხლის ნატვრა.

„ჯანდაბას ყველაფერი! — ლამის ჩურჩულით წარმოთქვამს თავის მკრეხე-
ლურ ფიქრებს ქალაქზე, საერთო საცხოვრებელზე, ამხანაგებზე. — ოთახში
ღინჯაა ბატარეები ოდნავაა თბილი. ვერსად გათბები კაცი! ხელფასამდე კი
ჯერ სადაა... უბედურებაა! სად ვიმოვნო ხელფასამდე?.. წუწკები არიან, ოხრები.
ოღონდ კი თავიანთ მუცელზე იფიქრონ, თავიანთ თავზე... ოხ, ადამიანებო,
ადამიანებო! ნეტავ არასოდეს არა მცნობოდით. არავითარი გრძნობა თქვენ არ
გაგაჩნიათ. გულცივები ხართ. აჰ კაცი კვდება სიცვივისაგან, თქვენთვის კი სულ
ერაოია: კვდება და მოკვდესო. ეხ-ხა-ხა! წესიერი საბნები მაინც მოეცათ! წვივ-
სახვევისნაირი რაღაც მოგვიგდეს, სულ არ ათბობს, ოხერი. პალტოთი უნდა
გაილობო კაცმა ფეხები. ამასაც თუ სიცოცხლე ჰქვია! სტებკაც ისე ხვრინავს,
თითქოს ყელს ჭრიანო. ესეც თუ ადამიანია! ძილს არ მაკლის, მუდრეგი. დახე-

რას შვრება, რა ხმებს უშვებს. მიდი-მიდი!“ — უკურობებს ვასია თავის „საუკეთესო ამხანაგს“ და სიცივისაგან კანკალებს იმ თავის სიფრიფანა სახანქვეშ.

დღისით გამოიძინა და ახლა ძილი აღარ ეკარება. მისჩერებია ბნელ ქვერს და ისეთი საძაგელი გრძნობა აქვს, ნატრობს გაეცალოს აქაურობას. წავიდეს სადმე, ვინმე აღერსიან, კარგ ადამიანებთან, რომ ერთთავად უკლებს და ესალმებოდნენ: „გამარჯობათ, ვასილი ნიკოლაევიჩ, როგორ ბრძანდებით? ხომ არაფერი ვტკივათ? სული რასა იქნს? ხორცი? ყველაფერი რიგზეა? მადლობა ღმერთს. ოღონდ კი არ დაგვაღალატოთ, ვასილი ნიკოლაევიჩ, და მზად ვართ თქვენი გულისთვის ყველაფერი გავაკეთოთ, ოღონდ კი მაძლარი და ჩაცმულ-დახურული იყოთ. უთქვენოდ დავიღუბებით, ვასილი ნიკოლაევიჩ, ემანდ ავად არ გახდეთ. გულს ნუ გაიტეხთ. გვითხარით, რაც გკირდებათ, ყოველთვისაც გიშველით“. სეირნობენ ეს ადამიანები ბაღში, ქვიშით მოფენილ მოკრიალებულ ბილიკებზე, ირგვლივ წყალნაპკურები ვარდები ჰყვავიან, ბილიკებიც ხრაშუნებს ფეხქვეშ: ხრაშ-ხრაშ, ხრაშ-ხრაშ.

ბედი იყო თუ რა ერთხელაც ეს ბუნდოვანი ოცნებანი, სამოთხისებრი ცხოვრების ზმანებასავით სურათები აკი არ აუცხადდა ვასია მუხარიოვს! რაღა თქმა უნდა, მის ახალ ცხოვრებაში ყველაფერი არ დაემთხვა ნაოცნებარს, მაგრამ ზოგი რამ მაინც წაიგავდა.

მან მალე თავი დაანება ქარხანას და გაემგზავრა თავისი სოფლიდან კიდევ უფრო შორს, თუმცა ეს „უფრო შორს“ სულ ოცდათხუთმეტი კილომეტრი იყო რკინიგზით. სწორედ იქ, რაიონული ცენტრიდან ოცდამეთხუთმეტე კილომეტრზე, სწრაფად გაიზარდა და მომაგრდა სრულიად ახალი, საკავშირო მხიშვნელობის სამეცნიერო ქალაქი, სადაც ჩავიდნენ მეცნიერები მთელი ქვეყნიდან. ძირითადად, რაღა თქმა უნდა, ესენი გახლდნენ ყმაწვილი კაცები. საკუთარ თავში დარწმუნებულნი; ისინი ცხოვრებას სულ სხვანაირად უყურებდნენ. ვიდრე დანარჩენი ადამიანები დედამიწის ზურგზე. თითქოსდა მარტო მათთვის ებოძებინა ვიღაცას რაღაც განსაკუთრებული უფლება, დანარჩენებისთვის კი არა, ხოლო ეს უფლება, როგორც ვასია მუხარიოვს ესმოდა, იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ახალ ადამიანებს თითქოს არ უნდოდათ და არც შეეძლოთ ეცხოვრათ ისე, როგორც ცხოვრობდა მთელი დანარჩენი მოსახლეობა. მათ აუცილებლად ესაჭიროებოდათ საკუთარი ავტომანქანები, საკუთარი ბაიადერები, ნავეები, იახტები და ლამის საკუთარი პატარა აეროდრომები საკუთარი თვითმფრინავით ან ვერტმფრენით. ამ ადამიანებს არაფრისა არ ეშინოდათ, თითქოს სრულიად არ იცოდნენ, რა იყო შიში. ზოგჯერ ვასიას ეჩვენებოდა, რომ ისინი იტანჯებიან კიდევაც, შიში რომ არ იციან. იმიტომაც ერთთავად თვითმფრინავით დაჰქრიან, რკინიგზა აუთვალწუნებიათ, ერთთავად თავიანთი ავტომობილებით დაგრილებენ, ქარიან ამინდში იახტებითა და რაღაც იალქნიანი ფიცრებით ტალღებზე დასრიალებენ, თბილამურებით ეშვებიან ხევებით დაფარული მაღალი მთებიდან, აგებენ თავიანთთვის რაღაც იალქნიან ტივებს და შვებულების დროს მიფრინავენ ტაივის მიყრუებულ მდინარეებზე. რათა ამ ტივებით დაუყვნენ მდინარეს. გადალახონ ქვიანი ჭორომები ღამე ათიონ კოცონთან, ფოტოსურათები გადაუღონ დათვებს, კინოფილმები შექმნან თავიანთ მოგზაურობაზე, ხოლო მერე თავიანთ ამხანაგებს აჩვენონ, თან გაამასხარაონ საკუთარი მარცხი და ხელის მოცარვა; აჩვენონ, მაგალითად, თუ როგორ გადაყირავდა ჭორომზე მათი ტივი და კინალამ

არ დაიღუპნენ ამობოქრებულ მდინარეში. დამცინავი ხმით ყვეტიან მიკროფონში მთელი დარბაზის გასაგონად, თუ რაზე ფიქრობს მანო რომელიმე ამხანაგი, როდესაც ტიტლიკანა დახტის ეკრანზე და სველ ტანსაცმელს სწურავს, ან, მაგალითად, აჩვენებენ რომელიმე ამხანაგს, რომელიმე ქვეშის შეღწეწოდა და თეთრი სალბუნით იყო აქრელებული, თან სესხავდათ მარტოპოფნით მისი სახის გამომეტყველება. დარბაზში მსხდომნი იცინოდნენ, თითქოს ცხოვრება მათთვის ცხოვრება კი არა, რაღაც მხიარული ცირკი იყო.

მთავარი ისაა, რომ ქალებსაც არაფრის არ ეშინოდათ! ისინიც დააგრიალეზდნენ ავტომობილებს, თხილამურებით მოჰქროდნენ მთებიდან. ცურავდნენ ბაიადერებზე, შემოცვეთილი ჭინსები ისე შემოჰქერილი ჰქონდათ, რასაც განდა. იმას წარმოიდგენდი, როცა უყურებდი წინ მიმავალ თმაჩამოშლილ, მაკოუნებელ ქარაფშუტა გოგოს. ვასია მუხარიოვს ტყეშიც, სახლიდან კარგა შორსაც შეხვედრია ასეთი ქალები, ლაქის რეზინის ჩექმები რომ ეცვათ. დადიან არხეინად მთლად მიყრუებულ ადგილებში, თითქოს ამქვეყნად არაფრის შიში არა აქვთ — არც მგლისა, არც კაცისა, თითქოს ეს ტყე კი არა. სულაც რომელიმე ქალაქის ბულვარია, შუადღის მზით გაკაშკაშებული. არადა, აქაური ტყე სულ სხვანაირია. ვიდრე სოფელ ანიუტას ირგვლივ მდებარე ტყე. ჩაშავებულებული, დანაგვიანებული, დაბლობ ადგილებში წყლით დაფარული; ხავსოკიდებული, ხვიფლმოდებული, კოლოებითა და ტკიპებით სავსე. ძალზე იშვიათად თუ გამოკრთება ფოთლოვან ტყეში მზით განათებული მწვანე მდელო. სადაც ბალახი წელამდეა, ბალახში კი ათასნაირი ყვავილი ყელყელაობს სამაგიეროდ ამ ტყეებში უამრავი არყა-სოკო იცის, სურნელოვანი. მოთეთრო, თითქოსდა ხავსით შეღინდლული, — ნამდვილად კეთილშობილი არყა-სოკო, უძაღლესი ხარისხის სოკო! აი, ამ სოკოს საკრეფად დადიოდნენ.

ვასია მუხარიოვი თვითონ არ ამაროვებდა არყა-სოკოს. მაგრამ პატარა ბაზარში კი ჰყიდდა. გული შეეწვარდა ამ ხალისიან საქმიანობაზე და სოკოს თავგასობებული ტრფიალი გახდა.

საერთოდ ძალზე მხიარული ცხოვრება შეექნა ახალ ადგილზე, ახალ სახლებს, ახალ ადამიანთა შორის, დაავიწყდა თავისი მეტსახელი, გულს უხარებდა მწვანე გაზონების, ასფალტირებული ტროტუარებისა და ქვაფენილების ძებრა დამხმარე მუშად იყო სამეცნიერო ინსტიტუტში. ვეება ქარხანას, რომ ჰკავდა; ხეირიანად არც იცოდა, რას საქმიანობდნენ სწავლულები და საერთოდ მთელი კოლექტივი. ხოლო როდესაც რაიონიდან ქალაქში უხდებოდა ჩასვლა და თავის ძველ ამხანაგებს ხვდებოდა, მათ შეკითხვებზე იღუმალი ჩაღამილებით, პასუხობდა, — ასეთი ღიმილი მანამდე არავის შეუმჩნევია ვასიას სახეზე.

— რაღაც-რაღაცებს ვაჯვარებთ. — ამბობდა თვალმოჭუტული. — მადლობა ღმერთს, გამოგვდის. — ჯიბიდან ამოღებულ მწვანე სამმანეთიანს კოჭირის კარტივით იჭერდა ხელში და ჩაიცინებდა დაურთავდა: — ყველაფერი აკვი! იქ ერთი კაცია! ჩემი ამხანაგია სამუშაოზე... იმან იცის ხოლმე. აი, ასე ამოიღებს ფულს, აჩვენებს ყველას და იტყვის: მოდიეთ, კაცებო: ერთი დღე ორად ვაქციოთო. ჩვენც გავიცინებთ ხოლმე და ვაქცევთ. მაშ რა! ერთი დღე კარკია, მაგრამ ორი სჯობსო, გვეუბნება. ყველაფერი აკვი... რას ვაჯვარებთ? რაც საქირთა, იმას ვაჯვარებთ — პასუხობს, თან სამმანეთიანს იტყაპუნებს გაბეჭელებულ ხელისგულზე. — იგულისხმე, რომ ხორბალს ვაჯვარებთ შერი-

იასთან... რისთვის! რისთვის და... მოსავალი რომ გავზარდოთ ჩვენში. ისე კი მე პატარა კაცი ვარ. ვაჯვარებთ რაღაც-რაღაცებს — ძალიანაც კარგი, მაღლობა ღმერთს. მთავარი ისაა, რომ გამოგვდის. სწავლულებმა იციან, რასაც აჯვარებენ. იმათ ამისთვის დიდ ფულს უხდიან. განა რამეს გეტყვიან? მთავარი ისაა, რომ ვიტამინი იყოს მეტი. ჰოდა, ამ პრობლემაზე იმტვრევენ თავს, იტყუდა ამოაზვრით. — ხალხი არ ჰყოფნით. ვეხმარებით.

კმაყოფილია და სავსებით ბედნიერი ვასია მუხაროვი, ეამაყება თავისი ახალი როლი და თან რცხვენია, რადგან მთელ სიცოცხლეში არ ღირსებია ამხანაგებისაგან ასეთი ყურადღება, დაჩვეული არ არის. თავს ისე გრძნობს. თითქოს ძალზე გაუღიმა ბედმა, ეცოდება ამხანაგები, ზოგავს მათ და ცდილობს რაც შეიძლება თავმდაბალი იყოს, მეტისმეტი ტრაბახი არ გამოუვიდეს და არ გააღიზიანოს ისინი თავისი ქუდბედიანობით. სიცილ-სიცილით ყვება მეცნიერთა ამბებს, მათ თავის შექცევას, იმას, თუ რა ბავშვური გატაცებები აქვთ, განზრახ ენაბილწობს, როდესაც ყვება ქალებზე, თავიანთი „ავლადიდება“ ასე საჯაროდ რომ გამოუფენიათ, მინიშნებით უამბობს ერთგვარ იღუმალ კავშირზე ძაითან და ასეთ წუთებში პატარა თვლებში თითქოს ნერწყვი უდგება.

„როზოვოე“ თბილად უბუყბუყებს მუცელში, თავს უხურებს ფანტაზიებით. ქვევით, ფერდობის ძირას, ღრიალ-ღრჭიალით მიჰქრიან შორი მატარებლები. ვასია მუხაროვი მასპინძლობს თავის ამხანაგებს, ლამის ქველმოქმედად მიაჩნია თავი და ვერ ამჩნევს, დაცინვით რომ გადახედავენ ხოლმე ერთმანეთს, ეშმაკურად კვერს უკრავენ და აგულიანებენ.

შეხურებული ვასია მკლავში ხელამოდებული მიჰყავთ სადგურში, ეხვეწებიან, საერთო საცხოვრებელში გაათიე ეს ლამე, შინ ნუ წახვალ, დილის მატარებელს გაჰყევიო. ვასია ისე გულაჩუყებულია, ლამის ატირდეს, მთლად ალერსად იღვრება.

— აა-ა-რა, — ეუბნება. — ჩემი დარდი ნუ გექნებათ. ყველაფერი აკეი! მე ამქვეყნად თქვენზე უკეთესი ამხანაგები არა მყოლია. ალალი გულით გეუბნებით! არა გჯერათ? ტყუილად. ისინი ყველანი მეჯავრებიან, თქვენ კი ყველანი მიყვარხართ, იმიტომ, რომ... სტიოპ! ჩამოდი ჩემთან, მესტუმრე! მითხარი, ჩამოხვალ თუ არა, თორემ უშენობა არ შემიძლია. შენ ჩემი საუკეთესო ამხანაგი ხარ. ისე პატივსა გცემ, მებრალეები კიდევაც... შენ მებრალეები! კარგი ადამიანი ხარ... სტიოპ, თუ რამე იყოს, მე დამიძახე, გესმის? ჩამოდი. მე შენ ყოველთვისაც მოგეხმარები. საერთოდ ყველანი ჩამოდით! გულახდილად გეუბნებით! ალალი გულით, ადექით და ერთ შაბათ დღეს ჩამოდით. იკითხავ. საერთო საცხოვრებელი სად არის-თქო, ყველა მოგასწავლის. ვასკა მუხაროვი სად ცხოვრობს-თქო? აქა და აქაო. ნალდია!

დილით თავის მეწყვილესთან ერთად დაღვრემილი დაათრევს რაღაც ნაც-რისფერ ყუთებს, გულდარდიანი ფიქრობს გუშინდელ ხელგაშლილობაზე, რამაც ჩვეული კალაპოტიდან ამოაგდო. თათხავს თავის ამხანაგებს, რომლებმაც არ შეაჩერეს და სწორად ვერ გაუგეს: მან ხომ შესთავაზა ფული ყველამ დავდოთო, არადა, ისე გამოვიდა, რომ მარტოკა დაიხარჯა. ცუდად მოიქცნენ, რაღა თქმა უნდა. შეეძლოთ მოესაზრებინათ, თორმეტი მანეთი გაანიავა, არც მეტი არც ნაკლები!

წვიმა დაკრძობია კვამლისფერ ცას, მაგრამ მიწაზე არ ჩამოდის. ვერ ძალიან მოუტვრებიან. მზეს გამოუჩნათებია მაღალი ღრუბლების კიდევები. ვერ-

ცხლისფერ არშიად არტყია, და როგორც წვიმა, თითქოს ისიც მიწაზე კი არ ეშვება სხივებად, არამედ საღვთო იქ. ცაზე სტოვებს მთელ თავის არწყინვალენას. დედამიწას ოხშივარი ასდის და სუნთქვა სჭირს: არც ნიაფი იძვრის და არც ჰაერი. ყველაფერი გარინდებულა. ვერხვის ფოთლებიც კი არა თრთიან, არ აჩენენ თავიანთ ნაცრისფერ სარჩულს.

შინჯიროთქა

მძიმე კია ეს ყუთები! არადა, თითქოს ჯიბრზე, ადამიანებს არაფერიც არ აფიქრებთ. მუშაობენ თავისთვის არხეინად.

ერთხელ ვასიამ ყური მოჰკრა რომელიღაც უფროსის სიტყვებს, — ის უფროსი გამოვიდა ცენტრალური შესასვლელიდან, სადაც კედელზე გაკრული იყო მინის აბრა: „დირექცია“, ფართო კიბეზე შეჩერდა და ლაპარაკი განაგრძო:

— მოძებნა უნდა! იქ სულ დავობდებით სინესტისგან... ტბა, თქმა არ უნდა, აბრა რამაა. ჰორიზონტამდე სარკესავით კრიალებს. მაგრამ ნაპირები? როგორ გინდა მიუდგე? გზა უნდა მოვკირწყლოთ. მერე ფული სად ვიშოვნოთ? საამისო ფულს არავინ მოგვცემს. ნუთუ სხვა ადგილები არ არის? იყოს ცოტა შორს, ოღონდ მშრალი იყოს. აი, ამბობენ, იქითა მხარეს ფიჭვნარიაო. მე იქ არა ვყოფილვარ, სხვებისაგან ვიცი... კიდევ ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. იქ ხომ ბავშვებიანად ჩავლენ ხოლმე. ხომ სწორია? მერედა რამდენი ქინჯლაა იქ? აა-რა, ამ ვარიანტს კარგი დაფიქრება და აწონ-დაწონვა უნდა. თქმა არ უნდა, ტბა მაცთუნებელია: თევზაობაო, იახტებიო... ერთი სიტყვით, ხეში აზრით ისაა, — არაფერს ორიგინალურს მე არ ვამბობ, მაგრამ როგორც იტყვიან, ასჯერ გაზომეო... ტურბაზა ხომ ერთი-ორი წლით არ უნდა ავაშენოთ... ამიტომ კაპიტალი ქკუით უნდა დავაბანდოთ, უნდა მივიარ-მოვიაროთ აქაურობა. მოვძებნოთ. იქ, მგონი, მდინარეც არის.

— მდინარე კი არის, — ყოყმანით მიუგო მეორე უფროსმა. — მაგრამ კარგა შორსაა. ასი კილომეტრი მაინც იქნება. ავტობუსი დაგვკირდება. მძლოლი, თანაც განა ერთი მძლოლი. იქნებ ერთი ავტობუსი არც გვეყოს. მდინარეც პატარაა.

— მერე რა მოხდა? ავტობუსები, მძლოლებიო. ნახეთ თქვენც სიძნელეები! ეს აბრა უფრო იაფი დაგვიჯდება, ვიდრე გზის გაყვანა. იქ ხომ სადრენაეო სამუშაოებია საჭირო! არ ვიცი, არ ვიცი... ჩემი აზრით, ეგ ყველაფერი არარეალურია. ქაობში ხომ არ დავსახლდებით!

კიდევ რაღაცას ლაპარაკობდნენ, დაობდნენ, რაღაცას უმტკიცებდნენ ერთმანეთს, ვასია კი, თითქოს ერთბაშად გონება გაუნათდაო, ყველაფერს უცებ მიხვდა და ჩაფიქრდა. მოგვიანებით, ვითომდა სხვათა შორის, იკითხა, უფროსები რაზე ლაპარაკობდნენო, და შეიტყო, რომ ტურბაზისთვის ეძებენ ადგილს, ოღონდ ისეთ ადგილს, რომ სიმშრალეც იყოს, ტყეც და წყალიც. სასურველია ტბაც, რათა იალქნებით სიარული შეეძლოთ.

— მშრალი ადგილი უკეთესს ვერ იშოვნით. — ჩუმად თქვა ვასიამ უფროსებს. — ვიცი, თქვენც კიდევაც შიშისაგან, ვაითუ უფროსობამ არც მომისმინოს, ჩემი სამსახური რომ შევთავაზო. წარმოიდგინა მათი სახის გამომეტყველება, როდესაც ეტყოდნენ გაგულისებით: წადით, თქვენს საქმეს მიხედეთ. უთქვენოდაც იოლად წავალთო.

და დაიწყო მისი საშინელი ტანჯვა-წამება, ღამითაც კი ეღვიძებოდა ხოლმე გაუფიქრებელი შიშით ცივ ოფლდასხმულს, ძალა არ შესწევდა დილაზე სძინე-სძინო. აღიარებდა დალოდებოდა. ვერ ეტეოდა საწოლში, ვერ ეტეოდა სიბნელეში.

რომელიც თითქოს სხეულზე ეწებებოდა მსუყე თბილი ტალიხივით, სუნთქვა უჭირდა, თითქოს რაღაც მძიმე სენი შეჰყრიაო. სამუშაოზე ისე მიდიოდა გეგონებოდათ, ბამბის ფეხები ასხიაო, სულ ერთიანად აეტანა მანამდე არც კი იცოდა შიშს — ეშინოდა უფროსობისა, რომელთანაც აუცილებლად უნდა შეეჯერებინა მიღებაზე ჩაეწეროს და უამბოს ნევოლენკაზე, დიდ ტბას რომ ერუფეს, ერუფენარსა და ქვიშრობიან გზებზე, სადაც ყოველგვარ ამინდში შეიძლება გავლა. მთელი ის ხანი თავს ისე გრძნობდა, თითქოს შემთხვევით აღმოაჩინა განძი, რომელიც გზაზე იდო, ხალხი ზედ აბიჯებდა ან გვერდს უვლიდა. ვერ მიმხვდარიყვნენ მის ნამდვილ ღირებულებას, მარტოკა მან ნახა ის განძი და ახლა არ იცის, რა უქნას: სახელმწიფოს ჩააბაროს, როგორც წესია და კანონი, თუ მიისაკუთროს. გაუგებენ, ყურს ათხოვებენ, ან მოიწადინებენ თუ არა იმ ადგილის ნახვას, საერთოდ — დაუჭერებენ კია? აი, რა სტანჯავდა ყველაზე მეტად. ან როგორ მივიდეს უფროსებთან? ხომ არ ეტყვის, როგორც თავის ამხანაგებს ეუბნებოდა ხოლმე: რა იყო, კაცებო, რა პრობლემები გაწუხებთო?

საჭირო იყო კარგად მოზომვა-მოფიქრება, როგორ შეეტყუებინა ადამიანები ნევოლენკას ნაპირებზე. არადა, ვასია მუხარიოვი არ იყო დაჩვეული ფიქრს, უთუოდ ამიტომაც მისი დამფრთხალი ტვინი შეშინებული იბლუნძებოდა თავის ქალაში, შიში და სასოწარკვეთილება შეჰყროდა.

მას აქეთ, რაც ვასიამ ყური მოჰკრა უფროსთა ლაპარაკს, თავისი თავი დაავიწყდა კიდევაც, სულ ადამიანებსა და მდინარე ნევოლენკაზე ფიქრობდა. ებრალებოდა ადამიანები, რომლებსაც აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ იქვე-მათ ახლოს, — სადმე ტაიგაში, ციმბირში ან კავკასიის მთებში კი არა, — აუტომობილით სულ რაღაც ორი საათის სავალზე მიედინება კამკამა მდინარე, სავსე თევზით, და ერთვის ღრმა და ასევე კამკამა ტბას. თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო თავი უზარმაზარი სიმდიდრის პატრონად. სიმდიდრისა, რომელიც იმოდენაა, რომ ვერა საანგარიშო მანქანაზე ვერ დაითვლი, და რომლის ფლობაც მარტოკას არ ძალუძს: ადამიანებს უნდა უწილადოს.

თავისი თავი — ძველი, ადრინდელი ვასია. — დავიწყებას მისცა, ხოლო ახალ, მომავალ ვასიაზე — გამუდმებით ფიქრობდა, უფრო სწორად — პირველად დაფიქრდა სერიოზულად. წარმოსახვაში აშენებდა ტურბაზას ნევოლენკას ნაპირზე და თითქოს თავისი თავიც მოარგო ამ ტურბაზას რაღაც იმნაირად, ჯერ თვითონაც ვერ მიმხვდარიყო. „ოხ, ადამიანებო, ადამიანებო, მებრალებით! — ოხრავდა ღამით. — სულ მუდამ თქვენი თავის იმედზე ხართ. სულ მუდამ! ძე კი ისეთ ადგილს გაჩვენებთ, პირს დააღებთ! ერთთავად იმის ძაბილში იქნებით, ამას რას ვხედავთო!“

ამ იდეამ ისე გააწამა, რომ ამხანაგები დაინტერესდნენ კიდევაც, მუხარიოვი ავად ხომ არ გახდაო. მაგრამ პასუხად თავიდან ისე იცილებდა ვით მათხვედრელ ბაღლებს, ფიქრს რომ არ აცლიდნენ. ვერა და ვერ მოეფიქრებინა, რანაირად მოეხერხებინა, რომ ერთბაშად დაეინტერესებინა უფროსობა. ერთი ცუნახოთ, მივიდა მათთან, ისინი კი ეტყვიან: შენ ვინ გეხვეწებოდაო? არადა, მიუსვლელობაც არ შეიძლება. უნდა მივიდეს. მიხვალ, ისინი კი მასხრად აგიგდებენ და გეტყვიან: „ეგ რა მოვიგონებია, კაცო? ამ ხუთწლეულში არავითარი ტურბაზა არაა გათვალისწინებული. ეგ სამერმისო საქმეა. მაგას ისა სჯობს, წახვიდე და იმუშავო“. მაშინ როგორღა იცოცხლოს? აი, რა არის თავსატეხი! ტვინი უკვე ისე მტკიცედ ჰქონდა მომართული ამ ტურბაზაზე, რომ ვასია სიზმარშიც და

ცხადწიაც მას ხედავდა, ტურბაზა არ ასვენებდა ფიქვნარის სუნითა და სისუფთავით. ქვიშამოყრილი ბილიკებით და ყვავილნარში გაშლილი ვარდებით. თავის თავსაც ხედავდა იქ — მოფუსფუსე და შეურვებულ მეპატრონეს, რომელსაც ყველანი პატივსაც სცემენ და სახელითა და მამის სახელითაც ეძახდებიან: „განაჩობათ, ვასილი ნიკოლაევიჩ, მინდა სადმე დრო გავატარო სწავლებებით და ჩემი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ... რაიმე ისეთი, რომ ყველაფერი იყოს აკეი. მირჩიეთ, ვასილი ნიკოლაევიჩ, თორემ სული მთხოვს რაღაცას, არ ვიცი კი—რას“. ისიც მოუსმენდა ყურადღებით, თავის ქნევით მოუსმენდა, ვითომ შესმისო, იმიტომ რომ ადამიანებს, თუმცა ყველანი ნასწავლები არიან, ცხოვრობის აზრი არ ესმით. უნდა უკარნახო ეს აზრი და იმათაც გულს მოეფონებათ.

„ოხ-ხო-ხო! ადამიანებო! არ იცით საკუთარი ბედნიერება. მარტო აზარტითა გაქვთ გული სავსე“.

ისე ჩანდა, რომ ამ სატანჯველს ვასია მუხაროვს მხოლოდ უფროსობა თუ გადააჩენდა. სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა მისულიყო. მაგრამ ვისთან მისულიყო? მიხვალ, ისინი კი შემოგხედავენ, როგორც ვიღაც სულელს, და გეტყვიან: ჩვენ რა შუაში ვართ? ჩვენი საქმე ეგ არ არის, არც არაფერი ვიცითო. აა, რა აფიქრებდა. ვინ არიან ის ამხანაგები, კიბეზე რომ ლაპარაკობდნენ მაშინ? იქნებ ადგილკომიდან იყო ვინმე, ან იქნებ ღირეჟკიიდან? ან იქნებ სულაც ისე, უბრალოდ ლაყბობდნენ? იქნებ უფროსობა არც იყო, უბრალოდ დაინტერესებული ვიღაცები იყვნენ საზოგადოებრიობიდან? ერთი მოაძებნინა ის, რომელიც არ ეთანხმებოდა, რომელიც ფიქვნარზე ლაპარაკობდა. სწორედ იმასთან უნდა შევიდეს. ნამდვილად!

მაგრამ რარიგ არ იძიებდა და ირკვევდა, ის თხისწვერა და პორტფელიანი კაცი ვინ იყო, სანუგეშო ვერავინ ვერაფერი უთხრა. ვინ იცის, აქ რამდენი წვერიანი და პორტფელიანი დაიარებაო!

ერთიანეთს მისდევდა თბილი დღეები, წვიმდა, მზე იჭყიტებოდა, ვასია კი ისე დააბიჯებდა ამ მიწაზე, თითქოს საშინელი ზამთარი იდგა. სახე მიწისფერი გაუხდა, თვალები ჩაულამა უძილობის ავმა ნალველმა და სადარდებელმა, ქარსისებრ უბრწყინავდა ცრემლები, გეგონებოდათ, ცივმა ქარმა დაადინაო. მოსახვევებში მთვრალივით ქანაობდა და ამქვეყნად აღარაფერი ახარებდა. თავს ისე ცუდად გრძნობდა, ერთი სული ჰქონდა, ვიდრე საწოლთან მიაღწევდა. განსაკუთრებით ცუდად იყო ხოლმე დილაობით, როდესაც სამუშაოზე მიდიოდა და ეშინოდა უფროსობისა, რომელთან შეხვედრაც უსიკვდილოდ გადაეწვეტა, ცუდად იყო სამუშაო დღის ბოლოსაც, როდესაც ეს გადაწყვეტილება კვლავ გადაიდებოდა.

შინ, საერთო საცხოვრებელში მისვლა უმძიმდა. შეგნება იმისა, რომ დრო მიდის, უფროსობამ კი შეიძლება იმდენი იღავა და იკამათა, გადაიფიქრა კიდევაც ახალი ადგილის ძებნა, — ამის შეგნება ისე უცნაურად უბნელებდა გონებას. აღარც კი ეხმიანებოდა რომელიმე ამხანაგს. თითქოს არ ესმოდა, მას რომ ეძახიან.

— ვასკ, რა მოგივიდა? დაყრუვდი?

ის კი ყეყეჩივით შესჩერებოდა და დაღვრემით ეკითხებოდა:

— რაო?

— როგორ თუ რაო? მე გეკითხები, შენ კი თითქოს ურუ იყო.

ვასია ნაძალადევად გაიღიმებდა დამნაშავე ღამილით და მღუმარედ გაეცლებოდა, რათა არ ჩასციებოდნენ და ფიქრში ხელი არ შეეშალათ.

დიდ საიდუმლოსავით ატარებდა გულში ნევოლენკაზე აგებული ტურბაზაზე ოცნებას, ფიქრით სახლდებოდა კიდევაც მის ფიქვის ძელებიდან ნაგებ კოშკში. მის მოვლილ ბილიკებზე, პლაყებზე, ნავების სადგურზე, სადაც უკვე დასრულდა უკმა უნდა, დათახხმდებიან, — სულ ამას ფიქრობდა, თითქოს დაუქოქავთო, — რა თქმა უნდა, მეც მომინახავენ რამე სამუშაოს. ყველაფერი აკეი იქნება! აი, იუნდაც ნავების სადგური ავიღოთ. განა რა ისეთი განსაკუთრებული რამ უნდა? არაფერი, ნავი უნდა ნაძენძით დაგმანო, გაფისო, შეღებო, ეს შემოძლია, ან, მაგალითად...“ და კვლავ მტანჯველად და უნაყოფოდ ჩაფიქრდებოდა; რაიმე გაურკვეველობას რომ წააწყდებოდა, თითქოს იკეტებოდა თავის თავში, თავის წუხილში და ვერ დაელწია თავი ამ დამაჩლუნგებელი ფიქრებისაგან.

თენდებოდა ახალი დღე და ღამდებოდა, დღეები ერთმანეთს მისდევდნენ, როგორც შუქის უეცარი გაელვება წყვილიაღში.

ვასიამ ერთხელ აფთიაქშიც კი შეიარა, კარგა ხანს დაკვირვებით სწავლობდა მინის ქვეშ დალაგებულ წამლებს, განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა საგულე წამლებს, მაგრამ ვერ გაბედა საგულე წამლის თხოვნა და თავის ტკივილისა იყიდა. ერთბაშად ორი აბი დალეჭა და გული აერია, ეს იყო და ეს.

თუმცა თვითონაც იცოდა, რომ აქ წამლები ვერ უშველიდა: უფროსობასთან მისვლა იყო საჭირო. მაგრამ როგორ მივიდეს? მიხვალ და გეტყვიან: „აქამდე სად იყავით? ტბაზე ვაშენებთ. მდინარე სულაც არ გვინდა. პატარაა და არ გვაინტერესებს. ჩვენ სხვა ამოცანები გვაქვს. სხვა მიზნებს ვისახავთ. ჩვენი და თქვენი სურვილები ერთმანეთს არ ემთხვევა. წადით, იმუშავეთ, ამხანაგო მუხაროვ“. ამის გაფიქრებაზეც კი ვასიას ცივი ოფლი ასხამდა და ძალა ეცლებოდა, თითქოს ვიღაცამ ჩუმად და შეუმჩნეველად მუხლებში ჩაართყა წიხლი და სადაცაა ჩაიკეცებაო. „ეხ, ადამიანებო, ადამიანებო! აქვეა ხომ, თქვენ გვერდითაა ის ადგილი... მე ხომ ისეთ სილამაზესთან მიგიყვანთ, კრინტის დაძვრასაც ვერ მოახერხებთ. მუხლებში ჩამივარდებით, თორემ მე რად მინდა? მე არ მჭირდება. ჩემთვის კი არ ვიკლავ თავს, თქვენთვისა ვცდილობ, მიუხვედრელობალებო“.

შემთხვევა რომ არა, ვასია უთუოდ ვერც მოახერხებდა უფროსობასთან მიღწევას და კაცმა არ იცის, სადამდე მიიყვანდა ეს აკვიატებული იდეა ნევოლენკაზე გამართული ტურბაზისა.

ერთხელ ვასია მუხაროვი მთავარი შესასვლელის ახლოს მიდიოდა: თან ქვეშ-ქვეშ გასცქეროდა მინის კარების წინ ფართო ბეტონის კიბეს. სადამოჯამი იდგა, კიბე ცარიელი იყო და, როგორც ყოველთვის, მიუვალი, ვით ხანგრძლივი საცეცხლე წერტი, რომელიც მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევის უხილავი ლულებით შემოსცქეროდა. კანი ებურძღვებოდა ბეჭებზე, — ისეთი პატარა და უმწეო ეჩვენებოდა თავისი თავი ამ კიბის წინაშე. ასვლა მის კრიალა კიბეზე, რომელთა შორის მწვანედ მოჩანდა ბალახი, მისთვის იგივე იქნებოდა, რაც უდიდესი გმირობის ჩადენა. მაგრამ საამისო ძალა არ ჰყოფნიდა. შეიძლება, რა თქმა უნდა, გულის მოსაყვამად ერთი ჭიქა „როზოვოე“ გადაეკრაო, ფიქრობდა ვასია, მაგრამ, უმალ უკუაგდებდა ამ ფიქრს, რადგან უფროსობა მთვრალს

საერთოდ არ დაუწყებდა ლაპარაკს; ის-ის იყო ვასიამ დუნე, პატარ-პატარა ნაბიჯებით ჩაუარა კიბეს, თან საკუთარ თავს თათბავდა, რომ უცებ

ობ, ეს მხსნელი „უცებ“! ზღაპრული, არაჩვეულებრივი მშვენიერი, ნანატრი და სიმწრით მოპოვებული. უცებ მომხდარა ხოლმე დედოფანის: უცებ ხვდებოდნენ ერთმანეთს ადამიანები და უყვარდათ ერთმანეთს კარამდე; უცებ იწყებოდა ომები, რომლებიც ასობით, ათასობით, მილიონობით სიცოცხლეს იწირავდა; უცებ იბადებოდნენ პლანეტის ყრმა მაცხოვრებლები; უცებ იმსხვრეოდა ბედი... რა არ ხდებოდა ცხოვრებაში უცებ!

ვასია მუხაროვიც ასე იხსნა ამ ყოვლისშემძლემ უცებ დალუპვისაგან. ფართოდ გაიღო მინის კარი და კიბის ბაქანზე თხისწვერიანი კაცი გამოვიდა. გაიხედ-გამოიხედა, საათზე დაიხედა და ბოლთის ცემა დაიწყო, ეტყობოდა მანქანას ელოდა.

ვასიას ნერწყვი გაუშრა, ხელები გაუცივდა და, რაკი ესმოდა, მეტი ასეთი შემთხვევა აღარ შექნებოდა. ავარდა კიბის ბაქანზე და ძლივს ამოთქვა:

— გაძარჯობათ, ბოდიშს ვიხდი, რა თქმა უნდა... ისა... ყური მოგკარი, რომ თითქოს... რომ ლაპარაკი იყო, თითქოს დასასვენებელი ადგილი გჭირდებათ...

— რაო-რაო? — ვერ გაიგონა უფროსმა. — არაფერი მესმის.

— ამხანაგები ამბობდნენ, და გავიფიქრე, — დაიწყო ისევ ვასიამ საშინელი ტანჯვით. — რომ იმაზე უკეთეს ადგილს ტურბაზისათვის ვერ იპოვნით, რომლის ჩვენებაც მე შემიძლია. თუ გსურთ, რა თქმა უნდა.

— ადგილი? ტურბაზა? — მხრები გაკვირვებით აიჩეჩა უფროსმა, წარბები შეკრა, მაგრამ უცებ შვებით წამოიძახა: — ჰო-ო! აი, თურმე რაზე მელაპარაკებით! გასაგებია, მერედა, სადაა ეგ ადგილი?

— არის ერთი მდინარე, ნევილიენკა, აქედან ასე მეექვსე კილომეტრზე, — ხმა ჩაეხლიჩა ვასიას. — ღრმაა და კრიალა, ქვიშაზე მიედინება, სწრაფი დინება აქვს, და უერთდება უზარმაზარ ტბას, რომელსაც რატომღაც ვარვარას ტბას ვეძახით... არ ვიცი, რატომ... ტბა ღრმაა და ურიცხვი თევზია შიგ. ირგვლივ ფიჭვის ტყეა... გზები სულ ქვიშიანია, თუნდაც აპრილში, როცა თოვლი გადნება; თუნდაც ოქტომბერში, როცა წვიმები გახშირდება — მუდამ შეიძლება ყოველნაირი მანქანით გავლა. წითელი მოცვი ხარობს, სოკო ხომ იცის და იცის... თუ ინებებთ, სიამოვნებით გაჩვენებთ იმ ადგილს, იმიტომ რომ იქ დავიბადე და იქაურობას კარგად ვიცნობ. თუ ინებებთ, რა თქმა უნდა.

ვასია თავის თავს ველარა ცნობდა, ისე კარგად გამოუვიდა ყველაფერი, დალაგებით და გარკვევით, თითქოს გაკვეთილი გაუზუთხავსო.

— დიახ-დიახ... საიხტერესოა, თქვენი სახელი და მამის სახელი?

— ვასილი.

— მამის სახელი?

ვასიამ დარცხვენით ჩაიციხა და შემკრთალმა წაილულულა:

— ნიკოლაიჩ. — და დაურთო, ვიდრე არ განვლებულიყო: — იქ პაერია, იციო... ძალზე მშვენიერი. ისეთი, იცით... ფილტვებზე მოქმედებს. იქ ყველაფრის გაკეთება შეიძლება... ისეთი სილამაზე იქნება, პირდაპირ ბედნიერებაა ადამიანებისათვის, მე ისიც ვიცი, ბაზა სად...

ამ დროს შავი „ვოლგა“ მოვიდა, გაბრიალებულ ძარასა და ქრომს სულ კრიალი გაუდიოდა.

— ეგ ძალიან საინტერესოა, ვასილი ნიკოლაევიჩი. — აჩქარდა უფროსი. — ხვალ შაბათია, ხომ? თქვენ ხვალ თავისუფალი ხართ? კარგი, სად ცხოვრობთ? ახ, სანქტო საცხოვრებელში. კეთილი. დილის რვა საათზე გამოდით ქუჩაში და დამელოდეთ, მანქანით გამოგივლით და გავსწიოთ იმ თქვენი ნევოლენკასკენ. შეძლებთ, ვასილი ნიკოლაევიჩი? ჰოდა, ძალიან კარგი. იმედი მაქვს, არ დამაღალატებთ. კეთილი. ხვალამდე! — უთხრა უფროსმა და მხიარული, მაგრამ რალაცნაირი უსიცოცხლო ღიმილით გამოუწოდა ხელი, რომელიც ვასიამ ლამის ისე ჩამოართვა, როგორც პურსა და მარილს ჩამოართმევინ ხოლმე, მოწინებულის და მდაბალი თავის დაკვრით. — შეჩქარება! — ხელები გაშალა უფროსმა. — იქ არ იგვიანებენ ხოლმე. — თქვა თავისი უსიცოცხლო ღიმილით და თითი ზევით ასწია.

მან ახალგაზრდულად ჩაირბინა კიბე, მანქანის კარი გამოაღო და დახურვაც ვერ მოასწრო, რომ მანქანა ადგილს მოსწყდა, გამონაბოლქვი გაზის შიშინით გაქანდა ცარიელ ქუჩაში და მოსახვევს მოეფარა.

ვასია მუხაროვი კიდევ კარგა ხანს იჯდა ნორჩი არყის ხეების ქვეშ მდგარ ძელსკამზე, ნელ-ნელა გონს მოდიოდა და მშვიდდებოდა. „ნეტავ ვინ უნდა იყოს? — ფიქრობდა და შტერივით იღიმებოდა. — დირექტორი არ არის. მაგრამ ვიღაც დიდი უფროსი უნდა იყოს. ეტყობა, კარგი კაცია. ხელად მიხვდა ყველაფერს. ენერგიულია. მთავარია: „შეძლებთ, ვასილი ნიკოლაევიჩი?“. ხე-ხე! რას ჰქვია, ვერ შევძლებ? რა თქმა უნდა. შევძლებ, უცნაური კაცია! ამაღამ, რა თქმა უნდა, ძილი არ უწერია ვასილი ნიკოლაევიჩს. ემანდ ძილში დრო არ გამოეპაროს! ყოჩაღ, ვასკა! ძაან იმარჯვე! წვერი უნდა გავიპარსო ხეირიანად, შარვალი გავიუთოო, ხალათიც გასარეცხი მაქვს. ვაი, რამდენი საქმე მაქვს! მე კი აქ წამომეჭდარვარ პენსიონერით“.

ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა. ვასია მუხაროვს ახლა უყვარს მოყოლა, თუ ისა და ემილ ვლადიმეროვიჩი როგორ ჩაგრიალდნენ „ვოლგით“ ნევოლენკას ნაპირზე.

აგვისტოს წყნარი და თბილი დღეა. ცაში აქა-იქ მოჩანს ქათქათა ღრუბლები. მიწაზე ერიკა აყვავებულია. საკმეველი ღვეთავს ფიჭვის ტანზე. ისეთი სუნი დგას, არც კი გჯერა, რომ აქ მუდამ ასეა, თითქოს საგანგებოდ უფროსის ჩამოსვლისთვის გაკეთებულა ყველაფერი.

ემილ ვლადიმეროვიჩი მანქანიდან გადმოვიდა და დაინახა თუ არა სწრაფად მიმსვლელად წყალი, ხელები გაშალა და ბედნიერებისაგან ამოიკვნესა. უახლოესი ფიჭვიდან კი, თითქოს საგანგებოდ, ანაზდად შავი, ვეება ხავერდოვან ფრთებზე თეთრ არშიაშემოვლებული პეპელა ჩამოფრინდა და ხელზე დააჯდა ემილ ვლადიმეროვიჩს, რომელიც ამას არამც და არამც არ მოელოდა, აღტაცებული გაირინდა და მიაჩერდა ამ სასწაულს. სწორედ ამ დროს დიდმა თევზმა გაიდგა ფუხა წყალში, ძდინარე და სიჩუმე შეარხია თავისი ღონიერი ჩქაფუნით, რასაც პეპელაც კი არ მოელოდა. დაფრთხა და გაფრინდა. მაშინ ბევრი ასეთი პეპელა დაფრინდა ფიჭვებში. კერამიკასავით ყავისფერი, დიდთვალება და ფრთებგამკვირვალე ნემსიყლაპიები დაფრინავდნენ, აიხედავ ცაში — აგერ პეპელა, აგერ ნემსიყლაპია, აგერ კიდევ პეპელა... სულ მალლა კი ძერები დარიალებენ.

— ოჰ, ვასილი ნიკოლაევიჩი! — წამოიძახა ემილ ვლადიმეროვიჩმა. — ოჰ, ჩემო ძვირფასო! ჩვენ აქ ბრინჯაოს ქანდაკებას დაგიდგამთ, როგორც პირველ-ალაოძჩებს! ტურბაზას შენს სახელს დავარქმევთ! ვასენკა, მაპატიე, მაგრამ დიდი ეშმაკი ვინმე ყოფილხარ! ამდენი ხანი კრინტს არ სძრავდი ამ სასწაულზე! ჰა? სწორადაც იქცეოდი! სწორია, ამაზე კრინტი არ უნდა დასმულიყო! არავის უნდა უამბო, არ გენანება? ოღონდ პატიოსნად მითხარი! არ გენანება, შენი საიდუმლო რომ გაამხილე? ჰა? არ გენანება ახლა?

— რატომ უნდა დამენანოს? მე ხომ ჩემი ამხანაგებისთვისა ვცდილობ, დასანანი რა არის!

ემილ ვლადიმეროვიჩი ჩაფიქრდა, დაკვირვებით შეხედა დაჩუმად გაიმეორა ვასია მუხაროვის სიტყვები, თითქოს თავის თავს ეუბნება და თავის გულში იხედებაო:

— დასანანი რა არის... — ჩაიცინა და თავი გაიქნია.

ეს ყველაფერი ახლა უკვე წარსულშია. ახლა ვასია მუხაროვისა ც ველარ იცნობთ, როგორც ველარ იცნობთ მდინარე ნევოლენკას.

არა, მდინარე, რაღა თქმა უნდა, ისევე სწრაფად მიედინება ფიქვენარში, ნაპირებზე თხმელასა და კატატირიფას ბუჩქები არტყია არშოისავით, ისევე განქცევრვალე და გემრიელია მისი წყალი, რადგან მდინარის სათავეში არაა არც სამრეწველო საწარმოები, არც დამუშავებული მიწები, გაზაფხულზე მდინარეს რომ ქამიური სასუქები შემოერიოს, და ალბათ სადმე სხვა ადგილას, სადაც ნევოლენკა მიედინება, ყველაფერი ძველებურად დარჩა: ისევე დგაფუნობს განთიადზე დიდრონი თევზი, ჰაერში ისევ გაისმის იხვების ფრთათა ტკაცანი, შამბნარშიც პირს აწკლაპუნებენ რაღაც უცნობი ცხოველები (ალბათ ჩვეულებრივი ნუტრიები), ისევე, როგორც წინათ, წყნარ ნაკალაპოტარსა და პატარ-პატარა ყურეებში ჰყვავის და მოწმენდილ, მზიან ამინდში თავს იწონებს თეთრ-მოვარდისფრო შროშანი, ისარკება პრიალა, ჩაბნელებული წყლის სიღრმეში.

მაგრამ ლურჯად შეღებილი ასაწყობი საზაფხულო პატარ-პატარა სახლები უკვე ელვარებენ თავიანთ ფანჯრების შავი მინებით. ხეებს შორის მიმოფანტულია ყოველნაირი მარკისა და ფერის ავტომანქანები. ერთი საათიც არ გავა, რომელიმე მათგანი თუხთუხითა და გაკვირვებით არ გამოვიდეს მწვანე ჩრდილიდან და გათელილ, ნავალ ოღროჩოღროზე რწევა-რწევით არ გაჰყვეს ქვიშრობიან გზას გზატკეცილისკენ. ამ დროს სხვა მანქანა, ზემოდან გაკრული მძიმე ტვირთით, უკვე ეძებს თავშესაფარს ფიქვების ჩრდილში. გავარვარებულ ცხვირს შერგავს ცისფერ ერიკაში.

ახლა ჰაერში გამუდმებით დგას ავტომობილებისა და ნავეების ძრავათა რაღაცნაირი სულწასული, ხან ხმამაღალი, ხან მიყრუებული, ხანაც ძლივს გასაგობი გუგუნე. მაგრამ, საოცარია და, მდინარე, რომლის ნაპირებზეც ახლა უამრავი ხალხია, თავიანთი ხმებითა და ყოველნაირი ძრავას ხმაურით რომ ავსებენ გარემოს, მდინარე, რომელზეც დასრიალებენ ბაიადერები და ძრავიანი პატარა იახტები ან უბრალოდ კიდულძრავიანი ნავეები, წამდაუწუმ რომ მიადგებიან ან შორდებიან ფიცრულ ნავსაბმელს, ეს მდინარე, სავსე ახალი ცხოვრებითა და მოძრაობით, საოცარია და, დაცარიელებული და უსიცოცხლო გეგონებათ, არ ირბევა წყალმცენარეები დინებისას. არ დგაფუნობს თევზი, და მხო-

ლოდ მაშინ. როდესაც ცხვირაპრეხილი ჩაიქროლებს ძრავიანი ნავი და ტალღებს ააყუნებს, წყალზე გადახრილი ფიქვებიანი გამოხრამული ნაპირები გააბუნა ხმას გამოსცემს ხოლმე.

ხომ თითქოს ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო: ხმაურიანი და მხიარული ცხოვრება მოიჭრა ოდესღაც მიყრუებულ და წყნარ ყვეფეფეფეფეფეფე ან, კაცმა რომ თქვას, რა სარგებლობა აქვს მდინარეს, თუ წყალში მდინარეში დაიღარება? ზიანის მეტი არაფერია. ახლა კამკამაა და ფსკერამდე გამჭვირვალე სიღრმიდან გამოანათებს წიბოვანი ქვიშა: ასეთ მდინარეში ბანაობაზე უფრო სასიამოვნო რა უნდა იყოს. აქ ყველაფერი ადამიანისთვისაა: ჰაერიც, წყალიც, მიწაც.

არ არის მხოლოდ სულ ცოტა რამ: ლალი და ხელუხლებელი ცხოვრება. უთუოდ ამიტომაც გგონია, რომ ჰაერში ტრიალებს რაღაცნაირი სულის ამომხდელი, აბეზარი მოუთმენლობა, რომელიც კაცს მოსვენებას არ აძლევს, და ისიც კვლავ და კვლავ ქოქავს ძრავას, უფრო და უფრო შორს მიუყვება რბილ ქვიშრობიან გზებს ტყეში, მთის რომელიმე მწვერვალიდან ნეტარებით გასცქერის ტყით დაფარულ სივრცეს, სადაც ავტომობილით ვერ მიაღწევს; ანდა მცირე მოსახვევებზე მიაქროლებს ნავს ქუფრ და მკვრივ ტალღაზე, რომელიც თითქოს ქვებს სტეორცნის მსუბუქი ნავის ფსკერს და ცახცახს აწყებინებს. ნავში მჯდომს კი ავი ყინით აღავსებს.

ზოგჯერ გგონია, რომ ადამიანი ერთთავად ცდილობს მოერიოს თავის მოუთმენლობას, თავდავიწყება ჰპოვოს მოძრაობაში, შემხვედრი ქარის ხმაურსა და ძრავას ღრიალში, თითქოს ერთთავად რაღაც აკლია დედამიწის ამ სამოთხისებრ კუთხეში, თუმცა რა, თვითონაც არ იცის.

იქნებ ის ბუნებრივი ცხოვრება, რომელიც თვითონვე გამოსდევნა, დინებისაგან შოლივლივე წყალმცენარეთა ნაცვლად ნავი აამოძრავა წყალზე, გახთიადზე თევზების დგაფუნის ნაცვლად ავტომობილებისა და ნავების ძრავები ააგუგუნა, იხვის ფრთების ტკაცანის ნაცვლად საკუთარი ხმა და სიცილი მოჰფინა იქაურობას?

სხეული ისვენებს და ნებივრობს ქვიშიან ნაპირზე ან გრილ წყალში, გული კი წყეული მოუთმენლობით ელევა. გინდამც თეატრში მისულიყოს ადამიანი და წინასწარ ელოდეს ცრემლებსა და სულიერ ტანჯვას, მოუთმენლად გატრუნული შესცქეროდეს ფარდის ნელ-ნელა გახსნას, მისჩერებოდეს ფერადი პროექტორებით გახათებულ, ოსტატურად გაკეთებულ დეკორაციებს... მსახიობები კი არ გამოსულიყვნენ სცენაზე — მოქმედება არ დაწყებულყო.

რაღაც მსგავსი ხდება ახლა ნეეოლენკას ნაპირებზეც: მაყურებელი ბევრია, მსახიობები კი არ არიან.

საკმარისია ვინმემ ტბაში ქარიყლაპია დაიჭიროს, ყველანი მორბიან, ვნახოთ, რანაირიაო. შეექნებათ ხოლმე ერთი ვაი-უშველებელი, აღტაცებულნი ბესცქერიან მის სადაფისფერ სხეულს, დიდკბილა ხახას, ავ, გაშეშებულ თვლებს, და აღგზნებულნი გარბიან ისევ, კარგა ხანს ახსოვთ ეს მკვდარი ქარიყლაპია და იღბლიანი მეთევზის ამბავს ისე ყვებიან, თითქოს ვინმე ლეგენდარული პიროვნება იყოს.

ვასია მუხარიოვი ჩუმ-ჩუმად დასცინის ცნობისმოყვარეებს, თვალებს წკურავს; როცა იღბლიანი მეთევზის ამბავს უყვებიან, ხელს ისე იქნევს, თითქოს კოლოებს იშორებსო.

— ამას ჰქვია. ითვებავაო? აქ, იცი, წინათ რა იყო? თვეში თავსაყრელი იყო! აი ისინი... რა ჰქვია, წყალქვეშ თოფებით რომ ცურავენ... რომლებმაც მი-
ნახავს, ბრუნდებოდნენ იმ თავისი ნადირობიდან და ძლივს მოათრევდნენ თევზს.
ელი იცოდა აი, ამოდენა! ახლა ქარიყლაპია! ქორჭილა! ებრაელებს ცხლოვრამ
თევზს მოათრევდნენ! სულ დაიჭირეს, გაწყვიტეს, რაც კი მხვდება მისი და ახლა,
რალა თქმა უნდა, გაჰკვირვებიათ. ერთი ქარიყლაპია დაუჭერიათ. ეხ, ადამიან-
ნებო, ადამიანებო!

ახსენდება, როგორ შეშინდა პირველად, როცა დილის რიერაზე დაი-
ხახა ვიღაც უცნაური კაცი — შავი ტყავი ჰქონდა გადაკრულვ თუ ტიტველი
იყო, ვერ გაარკვია. — რომელიც მიუყვებოდა ნევოლენკას ნაპირს და ცვრიან
ბალახზე მიათრევდა გრძელ წნელზე წამოცმულ თევზს.

— ერთი კიხოა ეგეთი, აი, იმ კაცზე, ლაყუჩები რომ აქვს. — მხიარულად
ამბობს ვასია. — მეც გავიფიქრე, ის იქნება-მეთქი! თავისი ლასტები და სათვა-
ლვ მოჰქონდა, მილიმოდა. მე კი არ დაიჭერებ, კინალამ ისა ვქენი... შიშისაგან.
მერე კი მივხვდი რა თქმა უნდა, მერე უკვე ბევრმა ეგეთმა დაიწყო ჩვენში
სიარული, კოსტიუმი ეცვათ ისეთი, რა თქმა უნდა, თავდაპირველად კი გავი-
ფიქრე, რალაც ტყავი აცვიათ-მეთქი... აქაური დედაკაცი ჩემსავით მარტოა
რომ ყოფილიყო და დაეხახა, მოკვდებოდა, იქვე წაიქცეოდა გულგახეთქილი
ადამიანი არ ეგონებოდა.

ადრეულ გაზაფხულზე, სანამ ტურისტული სეზონი ჯერ არ დაწყებულა,
სანამ ირგვლივ უღაბურობა და უკაცურობაა, ავტობუსს ჩამოჰყავს ბაზის მუშა-
კები: ელექტრიკოსი, თეთრეულის გამგე ქალი და ვასია მუხაროვი, რომელიც
აქ თითქოს ყველა მათგანის მაგივრობას ეწევა ერთად. — სანლებსაც შეაკე-
თებს, ნავმისაბმელზეც ნაჯახს ააკაკუნებს, ნავებსაც ჯერ ნაჩვრეტებს დაუგმანავს
და გაცხელებული შავი ფისით შემოგოზავს, მერე კი ლებავს, აქ თითქოსდა ყვე-
ლაფერს ის განაგებს, ვასია მუხაროვს ყველა იცნობს და, მგონი, ცოტა ეში-
ხათ კიდევაც მისი, ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ კარგი ურთიერთობა
იქონიონ.

ავტობუსი ტვირთს გადმოსცლის, მოტრიალდება და უკან ბრუნდება. ის-
ინი კი სამნი რჩებიან, რათა ბაზა ტურისტების მისაღებად შეამზადონ. საქმე
იმდენია, თავს ვერ გაართმევ კაცი იქ ვილაცას ფანჯარა ჩაუმსხვრევია, იქ კიბე
დამბალა და მობრეცილა, თექისჩქმებიანი დარაჯი — სოფლიდან მოყვანილი
ბერკაცი — გაზაფხულის მზეს ეფიცება და გახარებულია, ხალხი რომ ჩამოვი-
და, მის სადარაჯო ჭიხურში თბილა და მოხარული კერძის სუნი დგას.

ელექტრიკოსი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, ფეხებზე ჩანგლებს იკეთებს
და მიძვრება წვიმისა და მზისგან გარუხებულ ბოდზე, რომელიც ოდესღაც აქ
მწვანე და ფუშფუშა ნაძვი იყო; სულ ზევით აყენებს მძლავრ დინამიკს, ჭიმავს
ძავეულებს, ფაციფუცობს, ჩქარობს, თითქოს სული ელევა და ვერ გაუძლია
უბუსიკოდ, რალაცას ჩართავს, რალაცას გადაახვევს, გაშლის, ისევ დაახვევს, რა-
ლაცას უჩხიკიხებს ძაგხიტოფოხს თავის პაწაწინა ოთახში, რადიოკვანძი რომ
ჰქვია, ხოლო როდესაც მოკრიალეებულ ცაზე მზეს ყვითელი ფერი ჩაედება, მალ-
ლიდან ერთბაშად ყრუ გრუხუნნი არღვევს გაზაფხულის მდუმარებას, ახშობს
ჩიტების ჭიკჭიკს და ნაკალაპოტარში დაბუდებული ბაყაყების ყიყინს, თითქოს
რომელიღაც საზარელმა გოლიათმა გაიღვიძა, ახველებს, ხრიალებს, ბუხუნ-ბუ-
ხუნით ბლავისო.

რალაცა არ გამოუდის ელექტრიკოსს. ისევ მიძვრება ბოძზე, რალაცას უჩხიკინებს გოლიათს ხახაში, თითქოს ყოველნაირი სისაძაგლე უნდა ამოწმობო. მერე ისევ მირბის თავის რადიოსაკვანძო ჯიხურში, რათა ამჯერად გარემოს მოჭფინოს რიტმული მუსიკა, რომლის ხმაზეც ძნელდება ლაპარაკიც და ერთმანეთის მოსმენაც.

ვასია მუხარიოვი ყვირის, ელექტრიკოსი ყვირის, თეთრეულის გამგე ქალი, სადილს რომ გაამზადებს, ყვირის... ყველანი ყვირიან! აღვზნებულნი, ბედნიერნი, მხიარულად სხდებიან ცივ მაგიდასთან მდგარ ცივ სკამებზე. მაგიდაზე დიდი ქვაბი ღვას და გემრიელი ოხშივარი ასდის.

— ყველაფერი აკეი! — ყვირის ვასია, თან თვალს მოავლებს თავის მხიარულ ამხანაგებს: ელექტრიკოსს, მოხუც დარაჯს და ნასტიას, რომელიც ახლა ცოლად მოხვდება, თუმცა მმაჩში ხელი არ მოუწერიათ. — მიყვარხართ ყველანი! — ყვირის ვასია, წინასწარ ტკბება, რომ თბილ კერძს შესჭამს და სპირტიანი სასმელი ყელს ჩაუწვავს, თან იცინის, გულწრფელი და უშფოთველი სიხარულით აღსავსე. — ჩამოვლენ ისინი და მაშინ ცუდი იქნება. ახლა კი კარგია აქ! სილაღეა! რაც გინდა, ის აკეთე, იცხოვრე! შენი თავის უფროსი ხარ! ეს მიყვარს!

გუგუნებს და გუგუნებს სიმღერები. სიტყვებს ვერ გაარჩევ, თითქოს ჩვენებური კი არა, საზღვარგარეთული იყოს ყველა. ანკი რა მნიშვნელობა აქვს, რა სიტყვებია. მთავარი ისაა, რომ სრული თავისუფლებაა! გაუშვი იღრილონ. მეტი მხიარულებაა. გინდამც რესტორანში ყოფილხარ. მთავარი ისაა, რომ ერთიმეორისა კარგად ესმით და კმაყოფილნიც არიან. პირს იფუფქავენ, ლეჭავენ ღორის ქონზე შემწვარ ხახვიან ფხვიერ კარტოფილს, წუწნიან უკვამლოდ დაშაშხულ მთელ-მთელ სკუმბრიას. ცარიელ თეფშზე ყრიან ოქროსფერ კანსა და ძვლებს.

ვასია მუხარიოვი ყვირილით უყვება ახალგაზრდა ელექტრიკოსს ამ ტურბაზასთან დაკავშირებულ თავის ამბავს. — აღარ ახსოვს, ნაამბობი აქვს თუ არა.

— იმათ იქ უნდოდათ, — ყვირის და ხელს იქნევს, — ჭაობზე, იმ ტბაზე!.. მიხვდი? იქ, ქალაქს იქით... მე კი ავდექი და იმ... ემილს ვეუბნები... ნეტავ იმ ჭაობში კარგი რა ნახეთ-მეთქი... ისეთი ადგილი გაჩვენოთ, პირს დააღებთ-ნეთქი. მანქანა გამომიგზავნა, შავი „ვოლგა“, ჩაეჯექი და მძლოლს ვეუბნები: „წავედით!“, მივქრით, მაგრამ რას მივქრით! ჩამოვიყვანე ემილი. რას ამბობ! არც ი დაიჯერა. ჩვენ შენ ბრინჯაოს ძეგლს დაგიდგამთ, ტურბაზას შენს სახელს დავარ ქმევთო. მიხვდი? აი, როგორ იყო ყველაფერი. მე რომ არა, ახლა იმ ჭაობში დალბებოდნენ. მიხვდი ახლა, რატომ უძახიან ამ ბაზას მუხარიოვკას? ჩემს საპატივეცემულოდ. ასეა საქმე! აბა, გავიმარჯოს!

ვასია არ სტყუის. ბაზას მართლაც თავდაპირველად ხუმრობით ეძახდნენ მუხარიოვკას, რადგან ვილაცას არ მოეწონა სიტყვა „ნეეოლენკა“, ძალზე არათანამედროვე ეჩვენა. მერე კი გადაავიწყდათ ეს ხუმრობა და ერთმანეთშიც კი ამ ბაზას მუხარიოვკად მოიხსენიებდნენ ხოლმე. ოფიციალურად „ოქროს პატარა საყე“ ერქვა, ხოლო მუხარიოვკა — არალეგალური მეტსახელივით იყო ნაზიარებთათვის.

— კარგი კაცი იყო ემილი! — ყვირის მუსიკის ღრილით გაყრუებული ვასია. — ეხერგიული! სამართლიანი კაცი. ესენი კი... — ვასია ზიზლით იკმუ-

ხნება, ხელს იქნევს. — ესენი სულ... — და, სიტყვებს რომ ვერ პოულობს, უჩუმრად აღრჭიალებს კბილებს, რალაცნაირი ზიზღი და გაუცხოება ეუფლება.

ამ დროს კი სოფელში მოხუცმა დედამ უკვე იცის, მისი შვილები რომ ჩამოვიდა. უძლურებით გაწამებული წყევლა-კრულვას უთვლიდა მისი და წყვეულ მუსიკასაც, მთელ ტყეს რომ მოჰფენია. გაზაფხულზე ისე სტკივა ხოლმე თეხები, სოფელში ძლივს ახერხებს სიარულს, მაშინაც ჯობს იშველიებს, ისიც თუ ხშირ-ხშირად შეისვენებს და სულს მოითქვამს. სოფელში არ უყვართ მოხუცი და ვასკას გამო საყვედურით ავსებენ.

ვასკა იშვიათად თუ ჩააკითხავს ხოლმე, ადრინდულად ეშინია მისი და შეხვედრას გაურბის. ხოლო თუ შუა ზაფხულში დედა თვითონ მოაკითხავს ბაზაში, პატარა ბიჭივით ემალება და ტყეში გარბის.

ყოველთვის ვერ ახერხებს მას. გაცეცხლებულ დედას შესცქერის და სულელურად იღმიჭება, ურცხვად ტყუის, თან ელაციცება:


— სულ მოუცლელი ვარ, დედი. ამას წინათ გავიფიქრე, მოდი ერთი დედაჩემს მივაკითხავ, ვინ იცის, შვილი მოენატრა-მეჩქი. მაგრამ აკი სწორედ მაშინ არ ჩამოვიდა უფროსობა! ინსპექცია თუ რალაც ამგვარი. იმდენი სარბენი გამიჩინეს. სული ამომხადეს, დედი. არიქა, ის მიაართვი, არიქა, ეს გააკეთე, ის არ ვარგა, ეს კარგიაო... ისე გავწვალდი, დავლიე კიდევაც, რომ დაღლილობას მოვრეოდო. რას ამბობ, დედი! რომ მინდოდეს, სულაც ყოველდღე მთვრალი ვიქნებოდო... ისეა საქმე! ჩამოვლენ ხოლმე... ჰოდა, იწყება: „ვასილ ნიკოლაიჩ, ვასილ ნიკოლაიჩ...“, თითქოს მართლა ლოთი ვიყო! აბა შენ თვითონ იფიქრე, რა უხდა ძექნა, როგორ მეცხოვრა, ყველასთან რომ დამელია? აქ ბარე ათასი კაცი ჩამოდის სეზონში. აქამდე ხომ რა ხანია სული გამძვრებოდა. ასე რომ, ნუ გამიბრაზდები, და ყველაფერი აკეი იყო. ეხ, დედა, დედა, განა არ მესმის შენი! ვინ იცის, ფიქრებ, სულ გამილოთდა შვილიო. აბა წადი და გამოჰკითხე ხალხს, ვინ არის ვასილი ნიკოლაევიჩ მუხარიოვი. ყველაფერს აგისწიან. მე, დედი, ახლა ვასიას მხოლოდ ჩემი ყველაზე კარგი და ახლო ამხანაგები მეძახიან, სხვები სულ ვასილი ნიკოლაევიჩო. ეგ კი არა, ბაზასაც მუხარიოვკა დაარქვეს. შენ კი მიბრაზდები. აბა რას მომჩერებიხარ ეგრე, თითქოს რაიმე ბრალი მიმიძლოდეს? მე არაფერი დამიშავებია! ეს ყველაფერი ხომ გზაზე იყო. — ამბობს და ხელებსა შლის. — ეს ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნის. ნეტავი რა არ მოგწონს, დედი? კარგი, კულტურული ხალხია. არავითარი სიგლაზე, არავითარი ცუდი რამ აქ არ ხდება... ყველაფერი აკეი. სხვა, თქვენს ადგილას, გაიხარებდა, თქვენ კი ყველანი ველურებით იქცევით. ირგვლივ სიცოცხლე დუღს! წამო, ცოტაზე გაგაცილებ, თორემ უამრავი საქმე მაქვს.

დედა გაჯავრებული მისჩერებია შვილს. მთლად დაბერებულა, გაფიქვინებულა მისი ვასკა. ცხვირ-პირი შეშუპებია და გასწითლებია სმისაგან. ახლა ვეღარც კი მიხვდება, მთვრალია თუ ფხიზელი. ბანცალებს თუ სიარული გაუხდა ასეთი.

მიდიან ტყის ბილიკზე, რომელიც ძლივს შეიმჩნევა, — ისერიგად აყვავებულა ერიკა. დღეს სქელი ბურუსია ჩამოწოლილი. ფუშფუშა ფიქვებს ნაცრისფერი დასდებიათ. მძიმე და გამოუძინებელი კაცივით მოღუშულ ბურუსს დაუფარავს მზე. ბილიკის ზემოთ ვეება ბუჩქი თივის ზვინსა ჰგავს. ფეხქვეშ

ყველგან ჩაფერფლილი ტიტები ან წაქცეული და დამბალი ფიჭვების ტოტები
პყრია, ასპიტვიით ნაცრისფერი. შიშს მოგგვრის კაცს!

— ასეთ ამინდში რამ მოგიყვანა, დედი? სულ ჩუმადა ხარ, კრისტს არ
სძრავ. მწყინს, ღმერთმანი, — ამოოხვრით ეუბნება ვასკა.

— იმიტომაც მოვედი! — იწყებს უცებ ჩვეული ბრაზით,  დედა.
— კარგ ამინდში გაძექცეოდი, აქ კი კუდში გწვდი და დაგიჭირეს უნახველ ტყეებ
უკანასკნელად, რა ლამაზიც გამხდარხარ. გამოგიჭირე, შე გლახაკო! ოხ, ვასკა!
კონი გინდა, ჯოხი. გეუბნებოდი, გარიგებდი: თავს მოერიე-მეთქი, — შენ მაინც
შენსას არ იშლი. გამომივიდა ესეც მხედართმთავარი! „ვასილი ნიკოლაევიჩ“.
შე კაცუნა, შენა! ხალხისა მრცხვენია. თავი მომჭერი ამ სიბერეში. შენ კი ფე-
ხებზე გკიდია, შე საზიზღარო.

ლაპარაკობს, ლაპარაკობს, თვალები კი მშრალი აქვს. ერთი ცრემლი მაინც
გადმოიეგდო, ვასია შევებას იგრძნობდა: შეიბრალებდა დედას, თვითონაც წაი-
ტირებდა მასთან ერთად. ეს კი მიაბიჯებს. როგორც უკანა ფეხებზე აყალყული
დათვი და ბუზლუნებს.

— ხალხი ამბობს, ცოლი შეირთოო, მე კი არაფერი ვიცი. მართალს ამბო-
ბენ?

— მ. ჰქარავენ, — ეხმიანება ვასია. — განა მე შენ დაგიმალავდი? როგორა
ფიქრი ბ?

— შენა? შენ ყველაფერიც შეგიძლია.

ტყვიდან მინდორზე რომ გადიან, დედა ჩერდება და ჯოხს აუქნევს.

— უკან გაბრუნდი. სოფელში ჩუ შემოხვალ... თორემ დაგინახავენ და
ჯოხითა გცემენ.

და გამოუმშვიდობებლად დაინთქმება ბურუსში.

ვასია მუხარიოვი კი მორბის ბილიკზე და სიხარულით ლამის ცას ეწიოს,
დედა რომ მოიშორა.

ტურბაზაში სიჩუმეა და მოწყენილობა. ზამთრის დღესავით უღიმღამო და
ცივი დღეა. ნევოლენკას, რომელიც შავ ნაკადად მისრიალებს ბურუსში, ისე
დააფეხია ორთქლის ბოლქვები, გეგონება, წყალი შეუთბიათო.

ინგლისური საოლის ვარსკვლავი

მოსკოვში თოლიები მოფრინდნენ. დაღლილნი, მღუმარედ დასტრიალებენ
თავს ტალახიან, ამღვრეულ, აბობოქრებულ იაუზას. მზე კაშკაშებს. ტრამვაები
ისე პრიალებენ, გეგონებათ, ქალაქზე გადასაყვანი სურათებიაო. მღვრიე
ძღინარეზე მორიალე თოლიები თოვლივით ქათქათანი არიან.

ადამიანები ფეხით გადადიან ხიდზე, ავტომობილებით მიჰქრიან, და გგონია,
თითქოს ირგვლივ ჟრიამულითა და ხალისით მოძრაობს ყველაფერი: ღრუბლები,
წყალი, მანქანები. ადამიანები, ზამთრის ნაბუქევიდან მარტოოდენ ცივი და
სველი მჭვარტლის ლაპლაპა ბორცვაკებილა შემორჩა. ქვაფენილზე ყრია ძალა-
ყინით დამტვრეული, ნახშირივით შავი ყინულის ლოდები.

ნიავე ცივად ხვდება ოფლიან შუბლს. თოლიების მღუმარე რიალი მდინა-
რის გრანიტიან ნაპირთა შორის, მისი მკვდარი წყლის თავზე, რომელზეც არც
ერთი მათგანი არ ჯდება, — ნეტა რას უნდა ნიშნავდეს? იქნებ ძველთაძველი
რიტუალია ფრიხველებისა, რომელთა წინაპრები მოფრინავდნენ ხოლმე აქ
დასაბუდეებლად ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც არ იყო ქალაქი? იქნებ მათს

იდუმალ სანავიგაციო რუკებზე სამარადუამოდ აღიბეჭდა ბოლო სადგური ამ გრძელი გზისა — სუფთა და თევზით სავსე იაუზა, მოსკვა-რეკას რომ ერთვის?

აქ ისვენებდნენ გადმოფრენის შემდეგ, აქ ჰქონდათ საცხენა, აქ ჩეკდნენ ოდესღაც ბარტყებს — საუკუნეთა სიღრმიდან დღემდე აქეთ მოაქროლებთ ინსტინქტი, ამჯერადაც აქ მოიყვანა, რატომ? თითქოს არ იციან, მაგრამ ზედ დასტრიალებენ, დარიალებენ, აიკრებიან შაღლა, ტყვიასავით დაეშვებიან, გაელაციციებიან წყალს, ლამის არის ტალახიან ჩქერს შეეხონ ნაცრისფერი ფრთებით.

ადამიანები შესცქერიან და ლძილით ამბობენ: „თოლიები მოფრინდნენ“ — თითქოს ფრინველებს, ამ ქვით ნაგებ, მანქანებით სავსე, რკინით მოგრუხუნე სამეფოში რომ მოფრინილან, ადამიანებით ახარებდეთ გაზაფხული.

კონსტანტინ ზიამლინი, იაუზასთან მდებარე სახლში რომ ცხოვრობს, ფახრიდან გაჰყურებს თოლიებს და რაღაც ყრუ შეშფოთება ეუფლება. ფიქრობს ამ ფრინველებზე, როგორც რაღაც ახირებულ არსებებზე, რომლებიც გაზაფხულზე თბილი ქვეყნებიდან მოფრინავენ თავიანთ მკმუნვარე, უბადრუკ წინარე სამშობლოში, და ელიან, რომ დახედებათ სასწაული: წყალზე გადაკიდებული ბუჩქები, ქვიშიანი მეჩჩეები ჩქერებზე, ლელიანი, პირველქმნილი სიჩუმე და რაც მთავარია, უკაცრიელობა. არ მოსწონს ზიამლინს ეს მდუმარე, მისი ფიქრით, აეი, თეთრი ფრინველები, რომელთა საუკუნეობრივი მოთმინება შიშსა ჰგვრის. წლიდან წლამდე, გაზაფხულიდან გაზაფხულამდე ელიან, სულწასულად ელიან ისინი, მოფრინდებიან, ტრიალებენ, აკვირდებიან აქაურობას, ალბათ თავისებურად იტანჯებიან, მერე უკვალოდ ჰქრებიან, რათა გაზაფხულზე კვლავ დაბრუნდნენ და კვლავ ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ მათი დრო ჯერ არ დამდგარა.

არადა, რა არის მათთვის დრო?! ასწლეული! ათასწლეული! ამასობაში რამდენი თაობა შეიცვლება? რა განსხვავებაა მათთვის! არსებითად ისინი ასრულებენ ბუნების მიერ მიცემულ მოქმედების პროგრამას: ეს მდინარე ოდესღაც მათ იკუთვნოდათ, თითქოსდა რაღაცის იმედი აქვთ, თითქოსდა გრძნობენ, რომ ჯერ კვლავფერი წინაა, ეგ კი არა, ზიამლინს ზოგჯერ კიდევაც ჰგონია, რომ აქ, იაუზაზე, ერთი და იგივე თოლიები მოფრინავენ, მათი რომელიღაც ერთი მოდგმისა, ასეული წლების წინათ რომ ედოთ ბინა აქ, ბარტყთა ბარტყები და ახალი ბარტყები — ზემოდან ნაცრისფერნი, სამგლოვიარო შავკაპიშონიანნი, ერთი და იგივენი, როგორც იყვნენ მრავალი ათასი წლის წინათ, ხოლო ის ბარტყები, რომლებიც ჯერ არ გამოჩეკილან, მაგრამ რომლებიც, დაფრთიანხებიან თუ არა, ოდესმე ასევე მოფრინდებიან აქ, წყლის ორი წვეთივით მსგავსნი იქნებიან ამ თოლიებისა, ახლა რომ დასტრიალებენ თავს იაუზას.

სწორედ ეს ერთფეროვნება აყენებდა ზიამლინს სევდიან გუნებაზე — ერთფეროვნება მოქმედებისა, ჩევიისა, ინსტინქტებისა, რითაც დაეჭილდოებინა ბუნებას ეს თეთრი ფრინველები, ბუნება ყოვლისშემძლეა, მაგრამ მანაც კი შეიქმნა თავისთვის კანონები, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევს სულიერი თუ უსული სამყაროს მართვისას. ზიამლინს შიში აიტანდა ხოლმე, როდესაც სიცოცხლის ამ ფორმულაზე ფიქრობდა, ისე გამოდიოდა, რომ ბუნება ბრძნული და ყოვლისშემძლე სახელმწიფოა, და მკაცრად ემორჩილება თავისსავე კანონებს, რომელთა დარღვევა თვითაც აღარ ძალუძს. მარ-

ტოოდენ ადამიანმა დააყენა თავისი თავი ამ კანონთა გარეშე. ექნება კია მიტე-
გება?

ასეთ განსჯაში იყო კონსტანტინ ლეონტიევიჩი, როდესაც ღია ფანჯარიდან
გაპყურებდა თოლიების ტრიალსა და წრიალს.

ამის თაობაზე პირველად დაფიქრდა ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც
მაისში შატურის მისადგომთან თევზაობდა სვიატის ტბაზე. იქ, ჭაობიან ნაპი-
რას, კოლოების საუფლოში, მეთევზეთა სახლი და სპორტული ბაზაა. ნავეები
აქვთ. ხოლო სახლს უკან, ტბისგან ოცდაათიოდე ნაბიჯზე, დაჭაობებულნი, გაუ-
ვალი ბუჩქნარია. გვერდითაა ქალაქი, შატურჰესის მიღები, ელექტროსადგუ-
რის ე. უ გუგუნო, რკინის ზღუქუნი და კვნესა. და იქვე ბუჩქნარში ბინადრო-
ბენ ბულბულები, რომლებიც ყოველ გაზაფხულზე მოფრინავენ აქ. ბულბული
ისე ბევრია, სადამოობით ძნელად თუ გამოარჩევ ერთის გალობას მეორისგან
— სადამოს წყნარი ჰაერი სულ ერთიანად სავსეა მათი გალობით: სტვენით,
რაკრაკით; აღარც კი გინდა უსმინო ამ ნაირხმოვნებას, რომელსაც ბოლოს ვე-
ღარც აღიქვამ ბულბულთა გალობად, თითქოს ბულბულები კი არა, ბაყაყები
მღერან ჭაობში. ბულბული მაშინ არის კარგი, როდესაც მარტოკა გალობს.

კონსტანტინ ლეონტიევიჩი სიგარეტის მოსაწევად გამოვიდა სახლიდან.
კოლოებს იგერიებდა, თან უსმენდა. იქვე აბოლებდა ვიღაც მეთევზე პენსიონე-
რთაგან და ისიც უსმენდა.

— გაკვირვებას ვარ. — უთხრა მან გულითადი ხმით. — ნეტავ რას იბუ-
დებენ ბულბულები ქალაქის ახლოს? მრეწველობაა, ხმაური, მიღებიდან ამო-
სული კვამლი, იმათ კი არაფრად მიაჩნიათ. რას ეტანებიან ადამიანებს, ვერ
გამიგია. თითქოს ბელურები იყვნენ...

კონსტანტინ ლეონტიევიჩი არც დაფიქრებულა, თითქოს ეს ყოველთვისაც
იკოდაო, ისე უბასუხა:

— ეგენი კი არ გვეტანებიან ჩვენ. ადამიანებს, არამედ ჩვენ მივეტანეთ.
ავაწენეთ ეს ყველაფერი, კვამლითა და გრუბუნით ავაფსეთ აქაურობა. მაგათ
აქ ედოთ ბინა, როდესაც ყოველივე ამის საბსენებელიც კი არ იყო. აი, ასე
გახლავთ, ჩემი აზრით, საქმე სადღა უნდა წავიდნენ! ეს მათი სახლია.

გაუბრაზდა კიდევაც იმ მოხუც მეთევზეს, ასეთი უბრალო ჭეშმარიტება
როგორ არ ესმისო.

ეს აზრი თავში ჩაეჭვდა და ხშირად ფიქრობდა ამაზე, თან ყოველთვის
ამოუხსნელი შეშფოთება ეუფლებოდა.

უკვე მეორე წელიწადი იყო, რაც კონსტანტინ ზიამლინს დილაობით ავტო-
მანქანა აკითხავდა და სადარბაზოსთან ელოდებოდა: მუქი ლურჯი ფერის არც
ბოლოდ ახალი, მაგრამ მაინც კარგად შენახული „ვოლგა“. საჭესთან მჯდარი
სიტყვაძვირი და უცხვირპირო კაცი მისალმების პასუხად თავს წაუკანტურებდა
ხოლმე, და კონსტანტინ ლეონტიევიჩს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ მოთუხთუხე
სტარტერს უფრო ახარებს მისი ნახვა, ვიდრე ამ კაცს.

მძლოლს ედუარდ სერაფიმოვიჩი ერქვა. ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა.
ქანიანი და ლამაზი მამაკაცი იყო, აშკარად არად აგდებდა ზიამლინს და თავი
ისე ეჭირა. აგრძნობინებდა, სრულებით არაფერი მესაქმება შენთან და მხოლოდ
წმინდაწყლის შემთხვევითობაა. იძულებული რომ ვარ საკვ ვატრიალო და
ახლის სადარბაზოდან იხსტიტუტის სადარბაზომდე გატარო ღირექტორის მო-

ადგილზე... თითქოს ეს რაღაც გაუგებრობა იყო, რაღაც არაბუნებრივი და უმართებულო რამ.

ზიამლინი ხეირიანად ვერც კი გეტყობდათ, რანაირი ხმა ჰქონდა ამ კაცს. რომელსაც თითქოს ენა ჩაეყლაპა. ეწინოდა მისი, როგორც ეწინოდა ხოლმე ბავშვს მკაცრი გადიისა. სამაგიეროდ ხშირად ესმოდა მძლოქრის უგანწყუნებული ამოხვრა და ყოველთვის ცდილობდა მიმხვდარიყო მისი უგანწყუნების მიხედვით, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა. ეტყობოდა, მძლოქრს ის სენი შეჰყროდა, თავისი თავის გადაჭარბებული შეფასება რომ ჰქვია. მას უამრავი თავისუფალი დრო ჰქონდა და კარგადაც იყენებდა თავისდა სახეიროდ, დაგრილებდა მოსკოვის ქუჩებში. ხოლო ყველაფერი. რაც ამ საქმიანობას მოაქდენდა, უსამართლო და საზარალო საქმედ მიაჩნდა. გუნებაში ნამდვილად დარწმუნებული იყო, რომ ზიამლინი, რომელიც შემთხვევას გაეხადა ინსტიტუტის ერთ-ერთ ნელმძღვანელად, ყველასათვის უსარგებლო კაცი იყო; მძლოქრი ძალისძალიად ეპორტილებოდა, როდესაც ზიამლინი უკიდურესი თავაზიანობით სთხოვდა წაეყვანა სამინისტროში, ან შინ. ან მოსულიყო ამა და ამ საათზე აქა და აქ, თან — გეთაყვაო, დააყოლებდა. მძლოქრი ყოველთვის იღმიჭებოდა და განაწყენებით ოხრავდა, უხალისოდ და თითქოსდა გაუბედავად მიჰქონდა ხელი ჩასართველისკენ, ამასთან სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაც საძრახი საქციელისაკენ უბიძგებენო... „კარგი, რას იზამ, — თითქოს ამბობდა ჯავრმოსული. — ოღონდ ეს უკანასკნელი იყოს. მეტად აღარ მთხოვო“. ზუსტად ასევე ეღმიჭებოდა სახე, როდესაც მოსკოვის ქუჩების ზედახოცვაში ვინმე გაუფრთხილებლად გადაურბენდა წინ მის მანქანას ან რომელიმე სხვა მძლოქრი დაარღვევდა მოძრაობის წესებს და გზას გადაუჭრიდა, ან მარცხენა მხარეს მიზოზინობდა და გადასწრებას არ ანებებდა. კონსტანტინ ლეონტიევიჩი ისე შეეჩვია თავის გაჯავრებულ მძლოქრს, რომ თავსაც მუდამ რაღაც დაუწერელი კანონების დამრღვევად გრძნობდა, თან ვერ მიმხვდარიყო, რა დააშავა.

თუ ალა ნიკოლაევნა, მისი ცოლი, სთხოვდა, ბარემ მეც წამიყვანე, გზა იქით მაქვსო გულწრფელად იტანჯებოდა, რომ უარს ეუბნებოდა, არწმუნებდა, სამსახურ ბრივი მანქანის არაღანაშნულებისამებრ გამოყენება არასაკადრისიაო.

— ნუ გეწყინება, გთხოვ, არ მინდა ჩემზე რაღაცები თქვან, ხალხი, ხომ იცი... აფიქრებენ, რომ ეს... თუმცა რას მალაპარაკებ! მაპატიე, მაგრამ არ შემიძლია. უფლება არა მაქვს. მერე კიდევ ეს მძლოქრი... ძალზე უცნაური ვინმეა. მგონი, მეც ძლივს მიტანს, თითქოს ზურგზე შემჯდარს დამატარებდეს... ჯანდაბას იმისი თავი! — იტყობდა ღიმილით და ცოლს მომლოდინე მზერას მიაპყრობდა, გამიგო თუ არაო.

— კი მაგრამ მეც ხომ იქით მოვდივარ! — გაკვირვებული გაიძახოდა ალა ნიკოლაევნა. — გადახვევაც კი არსად დაგჭირდებათ. განა ეს დანაშაულია?

— არა, რა თქმა უნდა. მაგრამ — მე არ მინდა. შენ თუ ეს არ გესმის, ძალიან საწყენია.

და სახლიდან გამოდიოდა, ცოლი კი მთლად გაოგნებული რჩებოდა.

კონსტანტინ ზიამლინი ისე გაჭაღარავდა, თვითონაც არ შეუმჩნევია, თითქოსდა მანამდე ერთთავად კაკლისფრად იღებავდა თმას, მერე მობეზრდა და, როგორც იქნა, თავისი ნამდვილი ფერით ეჩვენა ხალხს. შლილი, სადად დავარცხნილი თმა გაუვერცხლისფერდა, ოღნავლა გადაპკრავდა ოქროსფერი. კვლი-

ვინდებურად ხშირი და დამყოლი თმა კიდევაც დაუმშვენა ჭალარამ: ზიამლინი ჭერ მანამდეც ლამაზ მამაკაცად ითვლებოდა ნაცნობ-მეგობრებში, არც კი, ორპოცდაშვიდს რომ შიალწია, როგორც იქნა, თვითონაც მოეწონა თავისი თავი.

მისი ავსტრიული ყაიდის, ზედა ტუჩს ზემოთ აჯაგრული კანის მქონე მკვრივი, რომელთაც თვითონ უწყინარი დაცინვით მონარქისტულს უწოდებდა, მისი ელვარე თვალების თბილსა და აღერსიანად ზანტ მზერას ერთგვარ სიმკაცრესა და გარკვეულობას სძენდა. როდესაც წარბებს შეიკმუხნიდა, ისეთი შთაბეჭდილება გეკმნებოდათ, რომ წარბები და თვალები კი არა, უღვაშები ეკმუხებოდა. იშვიათად თუ შეგხვდებოდათ კაცი, რომელსაც ისე უხდებოდეს და ისე ესაჭიროებოდეს უღვაშები, როგორც ზიამლინს.

ახლა ნაცნობი ქალებისაგან, რომლებიც უცებ აღმოაჩენდნენ თავიანთი სათაყვანებელი მეგობრის გარეგნობაში ამ მანამდე შეუმჩნეველ ცვლილებას, ხშირად ესმოდა განცვიფრებული წამოძახილები:

— კოსკა! მთლად გაჭალარავებულხარ! რარიგ გალამაზდი! როდის მოასწარი, ბიჭო?

და ხელებს იწვდიდნენ მისი საყვარელი თმისკენ, რომლის შეხებასაც ზიამლინი არავის არ ანებებდა. ყოვლად სასიამოვნო ღიმილით, ზედ რომ დასთამაშებდა მის მკაცრ მონარქისტულ ჯაგარს, თავს განზე სწევდა და სურნელოვან თითებს ირიდებდა.

იყო დაღალა თაყვანისცემამ, როგორც ღლით ხოლმე ზოგჯერ ლამაზ ქალებს მამაკაცების მოძაბეზრებელი ყურადღება. მაგრამ ეს საამო დაღლილობა განლდათ.

კონსტანტინ ლეონტიევიჩს ყველა მეგობარი და ნათესავი მიიჩნევდა ადამიანად, რომელსაც საერთოდ ბევრ რამეში გაუმართლა ცხოვრებამ. თანაც ამ გარემოებას სხვადასხვაგვარად აღიქვამდნენ: მიუხედავად ამისა, შეხვედრისას ისეთი ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, როგორც დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, რომლის ნაცნობობაც და ნათესაობაც სიამოვნებას ჰგრიდათ.

არც მათ, არც კონსტანტინ ლეონტიევიჩმა, ვისაც საკმაოდ მყარი ადგილი ეკავა საზოგადოებაში, რადგან დირექტორის მოადგილედ იყო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომლის საქმიანობაზეც კონსტანტინ ლეონტიევიჩის ნათესავეებსა და მეგობრებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. — არც ერთმა მათგანმა არაფერი იცოდა ერთი უსიამოვნო ეპიზოდის შესახებ, რომელიც მოხდა მოსკოვიდან შორს მდებარე ერთ ქალაქში, სადაც უნდა გამოეცადათ ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ კონსტრუირებული მანქანის საცდელი ნიმუში.

დაახლოებით კი აი რა მოხდა. მანქანა თავდაპირველად კარგად მუშაობდა, მაგრამ მერე რაღაც მოუვიდა, მიზეზს კი ვერავინ მიხვდა. მანქანის გამოცდას ესწრებოდნენ ინჟინრები და ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები, აგრეთვე სამინისტროს წარმომადგენლები. მათ შორის იყო იმ მრეწველობის მინისტრის მოადგილე, რომლისთვისაც მზადდებოდა მანქანა. იღუპებოდა გეგმა, ქარწყლდებოდა მანქანის ჩაბარების, პრემიის მიღების იმედი — იშლებოდა სუყველაფერი. იმიტომ რომ მინისტრის მოადგილე ძალზე უარყოფითად იყო

გახსოვდა ახალი მანქანის მიმართ. მაშინ სხვა სამინისტროდან, რომელსაც ექვემდებარებოდა ინსტიტუტი. ჩამოფრინდა აგრეთვე ფრიდს დროს მუშაობას ჩამოჰყვა ინსტიტუტის დირექტორი...

მოკლედ, დაიწყო შველა-გადარჩენა არა მხოლოდ მანქანის, არამედ საქონიერო-კვლევითი ინსტიტუტის ღირსებისაც, რომ აღმოჩნდა იმ სახსრებზე, ახალი მანქანის დაპროექტებისათვის რომ იყო გამოყოფილი. რომელიღაც თანამშრომელს ანაზღად ფიქრად მოუვიდა შვებულეებიდან გამოეხმოთ კონსტანტინ ლეონტიევიჩი, რომელიც იმ დროს შავ ზღვაზე ისვენებდა ცოლსა და ქალიშვილთან ერთად.

— ეგ რომელი? — შეიკმუნა მშობლიური სამინისტროს წარმომადგენელი. — ზიამლინი ხომ არა? მერედა, რა ჯანდაბად გვჭირდება? საქმისა რა გეგება? რა შეუძლია?

— რაც უნდა იყოს, დირექტორის მოადგილე... თან მომხიბლველი კაცი. — ღიმილით შეეპასუხა თანამშრომელი. — ჩვენს დროში კი. მოგეხსენებათ მომხიბლველობით სამოთხეშიაც კი შეაღწევს კაცი და...

— არარაობაა! — კუშტად შეაწყვეტინა სამინისტროს წარმომადგენელმა ერთხანს იყუჩა და დაურთო: — აქ საჭიროა თავიანი, და არა მომხიბლავი კაცი... რა შუაშია მომხიბლაობა! აქ ცეკვა-თამაში არა გვაქვს და არც ჩვენა ვართ ქალები...

იქნებ სამინისტროს წარმომადგენელმა ეს იმიტომ თქვა, რომ ძალზე ვალი-ზიანებული იყო, იქნებ ეს უხეში აღშფოთება გამოიწვია საშინელმა სიცხემ და მტვრიანმა, ცხელმა ქარმა. ყოველ სულიერს რომ ილაჯს უწყვეტდა იმ მხარეში, სადაც მანქანას სცდიდნენ. მხარეში, რომელიც დიდად განსხვავდებოდა შავი ზღვის უშფოთველი პლაჟისაგან. სადაც იმ დროს განცხრომას მისცემოდა კონსტანტინ ლეონტიევიჩი. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ზიამლინის ასეთი შეფასება თავში ჩარჩათ თანამშრომლებს, თვალები დაბარეს და შეფიქრიანდნენ, პოლოს გადაწყვიტეს, უფროსებმა ჩვენზე უკეთ იციანო, და აღარ შესიტყვებინ. მით უმეტეს, რომ მანქანის საქმე მართლაც ძალზე სერიოზულად იყო. ყველასი შეტისბეტად აღგზნებულნი იყვნენ, ყველანი ცდილობდნენ ეპოვნათ მიზეზი, რათა თავიდან მოეცილებინათ თავიანთი თარსი ნამუშევარი. და იმ დაძაბულ, მძიმე დღეებში მართლაც არავის ეცალა ზიამლინისათვის.

მაგრამ ესეც უნდა ითქვას სავსებით გულახდილად: სულაც ცოდვილად ადამიანებს, რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო, უყვართ ხოლმე, როდესაც დიდი უფროსობა ცუდად მოიხსენიებს მათ უშუალო უფროსობას. ძალიანაც შესაძლებელია, რომ სამინისტროს წარმომადგენელმა იცოდა ადამიანთა ეს სუსტი მხარე და შემთხვევით არ უთქვამს, ზიამლინი არარაობააო, რათა ამ უღირსი ხერხით თავად მოეპოვებინა ერთგვარი. აგრეთვე უცნაური და გაუგებარი სიყვარული. თითქოს შიანიშნა ამ ჰკვიან და თავიან ადამიანებს, რომ მისთვის ისახი უფრო მეტს ხიშხავენ, ვიდრე ვიღაც ზიამლინი. ინსტიტუტის დირექტორი იმ წუთში იქ არ იყო, არ გაუგონია ეს სიტყვები თავისი მოადგილის შესახებ, რომელსაც მუდამ პატივს სცემდა და აფასებდა, და შემდეგაც ასევე ეპყრობოდა, რასაც ვერ იტყოდით ინსტიტუტის თანამშრომლებზე, რომლებსაც დააძახსოვრდათ დიდი უფროსობის ეს ნათქვამი და უნებურად უკვე რაღაცნაირი შინაგანი, ფარული უნდობლობით ეკიდებოდნენ ზიამლინს. თითქოსდა კონსტანტინ ლეონტიევიჩის ბედი უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

ამ დაუკვირვებელმა და, პრსებიტად, უსამართლო ნათქვამმა ეჭვი ჩაუ-
ნერგა ინსტიტუტის გამკრიახ და ჭკვიანურად მოაზროვნე თანამშრომლებს, რომ
ესკლთიგან ლამის ყოველ მათგანს არხეინად შეეძლო კონსტანტინ ლეონტიევი-
ჩის შეცვლა მის საბასუხისმგებლო პოსტზე.

მას აქეთ ინსტიტუტში არაჯანსაღი ურთიერთობა შეიქმნა. ინსტიტუტის
ლობასა და ხელქვეითთა შორის: დირექტორმა არ იცოდა, რომ მისი მისამართი
არარაობაა. თანამშრომლებმა კი ეს იცოდნენ, ეძებდნენ და პოულობდნენ სულ
ახალ-ახალ ნაკლს მის ხასიათში, მოღვაწეობაში, გამოსვლებსა თუ საერთოდ
საქციელში; კონსტანტინ ზიამლინმაც, თავის მხრივ, არ იცოდა და ვერც კი
ტვდებოდა, რომ იგი, ასეთი ლამაზი, ჭკვიანი, ყველასგან პატივცემული ადამი-
ანი, სინამდვილეში არარაობა ყოფილა.

იგი, რაღა თქმა უნდა, დაინდეს თანამშრომლებმა და არაფერი უთქვამთ
იმ უსიამოვნო ეპიზოდზე, სხვათა შორის, სწორადაც მოიქცნენ, რადგან გამო-
ხლა ხანი და ზიამლინი დანიშნეს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობათა შე-
მსრულებლად, ხოლო ადრინდელი დირექტორი სამინისტროში გადაიყვანეს.
ამ დროებითმა დანიშვნამ ისე სახტად დატოვა თანამშრომლები, რომ შვებით
ამოისუნთქეს და უკვე ამჩნევდნენ ზიამლინის ხასიათის საუკეთესო თვისებებს
— სიკეთეს, ინტელიგენტობას, სირბილეს და, რაც მთავარია, იმის უნარს, რომ
მოუსმინოს თანამშრომლებს და რჩევა ჰკითხოს, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილე-
ბას მიადებდეს. — რადგან ვარაუდობდნენ, დირექტორის თანამდებობაზე და-
რჩებას, მაგრამ დირექტორი მოვიდა, როგორც იტყვიან, გარედან, ზიამლინი
კი დაბრუნდა მოადგილის თანამდებობაზე, რამაც გულწრფელად გაახარა: მის-
თვის ისიც საკმარისი იყო, რამდენიმე თვე დირექტორის სავარძელში რომ იჯ-
და.

მეუობრეობა და ნათესავეობა, ცხადია, შეიტყვეს ეს ამბავი, ესე იგი, ერთ-
ხანს დირექტორად რომ იყო, და ახლა მას კოსკა-დირექტორად მოიხსენიებდ-
ნენ ხოლმე.

თვითონ კონსტანტინ ლეონტიევიჩი კი ამას ჩვეული გულგრილობით შეხ-
ვდა, ვინაიდან არასოდეს არ სჭირდა, როგორც მის მძღოლს, საკუთარი თავის
გადაშეტიებულიად შეფასების სენი, იცოდა, რომ ვერ ივარგებს მსხვილი სამეც-
ნიკო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე, „მე შექანიკოსი ვარ,
უბრალო შექანიკოსი“. — ერთთავად უშეორებდა ნაცნობებს, თითქოს თავიც
კი მოჰქონდა ამით.

მხიარული და, ერთი შეხედვით, ფუქსავატი, ქალების გამორჩევით საყვა-
რელი კაცი იგი განსაკუთრებით იბიტომ უყვარდათ ქალებს, რომ ასეთი ჭკვი-
ანი და ლამაზი მამაკაცი რაინდულად ერთგული იყო თავისი ცოლისა, მისი მა-
გალითი უსახავდათ იმედს და რწმენას, რომ შესაძლებელია ჭეშმარიტი სიყვა-
რული, წლების მანძილზე რომ გასტანს; იგი იყო განსაზიერება ყოველი ქალის
ოცნებისა...

ზოგი მათგანი გულახდილობის წუთებში ეუბნებოდა კიდევაც:

— ოხ, კოსკა! ალოჩკა რომ არა წავართმევდი შენს თავს, სიცოცხლეს
გავწირავდი, ოღონდ ჩემი გამხდარიყავი, მიზნად დავისახავდი ამას, ყველა-
ფერს ვიღონებდი, ოღონდ კი მოგწონებოდი, ოღონდ კი შეგყვარებოდი!

ზიამლინი კი ასეთი უცნაური აღსარებების დროს თავს დამნაშავედ გრძნობ-
და იმის წინაშე, ვისაც იგი მოსწონდა. ისერიგად შეებრალებოდა ხოლმე

საწყალი ქალი, რომ მაშინვე წაეპოტინებოდა საკოცნელად: თითქოს უნდა ცოლის სიყვარულისათვის პატიება გამოსთხოვოსო. და ყოველთვის მტკიცე წინააღმდეგობას აწყდებოდა, რაც თავგზას უბნევდა და თან ამბიარულეობდა. რადგან ვერაფერი გაეგო: ხან სიყვარულს ეფიცებოდნენ, ხან კიდევ ხელს ჰკრავდნენ. არა, ხაძღვილად ვერა გაეგო რა ქალებისა! ვერა ვერა უნდოდოდათ მისგან.

— რა კარგი ხარ, კოსკა! — ეუბნებოდნენ მას.

— მე?! — გაიძახოდა და ჭიკაძე უღვაში აუჯაგრებოდა. — ჩემში ეშმაკები ბუდობენ! ჩემნაირი არამზადა მეორე არ მოიძებნება! მეტსაც გეტყვით! ჩემთვის რომ, მაგალითად, მეორე სიცოცხლე მოეცათ და მცოდნოდა, მაგალითად, თუ როგორ განვვლე პირველი სიცოცხლე, არაფრის გულისათვის არ დავთანხმდებოდი მეორე სიცოცხლეს ასევე გამეტარებინა, არაფრის გულისათვის! ღმერთს ვთხოვდი, ჯერ ერთი, მოეცა სხვა სიფათი, რადგან ამან ისე მოძაბეზია თავი, წვერის გაბარსვა შემზარდა, გუნება მიფუჭდება, ჩემს თავს რომ ვხედავ სარკეში. ეს ერთი! მეორეც, არასოდეს ცოლს არ შევირთავდი და თავაწყვეტილად ვიცხოვრებდი. რომელიმე ლამაზმანი დანას გამიყრიდა ეჭვიანობის გამო ანდა ბალიშით მომგუდავდა, ცუდად დავამთავრებდი სიცოცხლეს... მაგრამ საძაგიროდ არავინ მეტყოდა, კარგი ხარო. მესამეც... თუმცა ამას აღარ ვაძახებ, რადგან ეს ისეთი სურვილია, რომლის ხმამალლა წარმოთქმაც არ შეიძლება. — იტყოდა ამას, თავს უკან გადააგდებდა და გადაიხარხარებდა, ამა ჩამოეშლებოდა და აბრეშუმით უბზინავდა.

— არა, რა საუცხოო ვინმე ხარ, კოსკა! — ეუბნებოდნენ. — თვითონ არ იცი შენი თავის ფასი! მართლა გენიოსი ხარ!

რამეს არ ეუბნებოდნენ! ის კი მერე ყველა ამ სისულელეს თავის მომხიბვლელ ალოჩკას ჩაუკაკლავდა ხოლმე და შესჩიოდა იმ ადამიანებზე, რომლებთან ურთიერთობაც სულ უფრო და უფრო მეტად ღლიდა.

იგი გულწრფელად გაამხიარულა მხოლოდ იმ მოულოდნელმა ამბავმა, რომ მისი ქალიშვილი, რომელიც გაგიჟებით უყვარდა, თურმე თხოვდებოდა.

— კატკა? თხოვდება?! — იყვირა და გადახარხარება დააპირა. მაგრამ ხაცვლად ამისა უღვაშები შეიკმუხნა და იკითხა: — ვის მიყვება? სერიოჟკას? ხა!

მას აქეთ სულ შემთხვევას ელოდა, რომ მომავალი სიძე გაემწარებინა.

— ერთი ეს მითხარით, სერიოჟა. — იწყებდა ყოველად სასიამოვნო ღიმილით და მისი თვალები რაღაცნაირი მთვლემარე ნეტარების გამომეტყველებას იძენდა, ხოლო მზერა დაფანტული უხდებოდა. — რატომ მოგიშვიათ ეგ კობცა წვერი? აბა შემომხედეთ. მე უკვე ჭიკაძე კაცი ვარ, მე, მაგალითად, უღვაშები მჭირდება. არ ვიცი, რისთვის, მაგრამ ვგრძნობ, რომ არ მიშლის, დამეთანხმეთ, ისე გამოვიყურები, თითქოს უღვაშებიანად დავიბადე. თქვენ კი ნეტავ რად გინდათ? მე უხეში კანი მაქვს. — ამბობდა და აკუტკუტებულ როკოსავით ყელს გამობერავდა. — უხეში ნაკვთები და, როგორც ხედავთ, ეს ავსტრიული ჯაგარი ტუჩზემთ — ერთადერთი სამკაულია ამ, ასე ვთქვათ, მოშველილ კონცხებზე. თქვენ კი? თქვენ ქალიშვილივით ნაზი კანი გაქვთ. ფერიც ნაზი. მზე კარგად გეკიდებათ... ძალზე სასიამოვნო ყმაწვილი კაცი ხართ. რად გინდათ წვერი? ახლა რომ ადგეთ და მოიპარსოთ, ხომ ნამდვილად ცისფე-

რი ნიკაპი გეჭნებათ... ზედ რომელიმე პაწია ვარდისფერი მუწუკით. — კონსტანტინ ლეონტიევიჩი სავარძელზე გადაწვებოდა ხოლმე და იცინოდა, თან ფართოდ აღებდა თავის, როგორც ამბობდა ხოლმე, ხუთასმანეთიან პიოს, რადგან მხედველობაში ჰქონდა თეთრი გვირგვინგადაკრული კბილები. — კატია, — ეუბნებოდა ჭინსებში გამოკვართულ შვილს, — განა შეიძლება შეიყვარდეს ცისფერნიკაპიანი ადამიანი? — და მყისვე აჩქარებით დგებოდა სავარძლიდან. რადგან იცოდა, რომ შვილი ახლა ჩხუბს დაუწყებდა. ისიც იცოდა, რომ შესწავლილი ჰქონდა კარატეს რამდენიმე ილეთი, თითქმის მთელი წელიწადი სპორტის ამ სახეობას მისდევდა. ზიამლინი მკაცრად აჯაგრავედა ულვაშებს, თვალები მხიარულად უელავდა. წინასწარ ხელისგულს აიფარებდა, შვილისაგან თავს იფარავდა.

— ხო, ხო, ხო! ვხუმრობ! ხო! და არ მინდა თქვენთან ჩხუბი. დღეს კარგ გუნებაზე ვარ და, თუ შეიძლება, ნუ ჩამაშხამებთ. მე მაქვს ამგვარი ხუმრობის უფლება, მამა ვარ. და ვერც შენ და ვერც სერიოჟა ვერ გაბედავთ, რომ გამიბრაზდეთ, რადგან მაშინ, იცი, რა მოხდება? აღარ გავატან შენს თავს! თქვენ გესმით, — მიუბრუნდებოდა სერიოჟას. — რისი თქმა მინდა? ჩვენს ოჯახში უკვე არის ულვაში, ეს ჩემი ულვაში გახლავთ. — აბა მიბრძანეთ, რალად გვინდა წვერი? ო, ბავშვებო, ბავშვებო! — ხმამაღლა ამოიოხრებდა, ძალზე კმაყოფილი, თან თავისი კაბინეტის კარისკენ იხევდა. — პატრონი არა გყავთ, რომ გაგწყებლოთ! — გავიდოდა და თან მისდევდა შვილის თვალჩაიციებულს, რალაცნაირად მომნუსხავი მზერა.

ბერე ისმოდა, ცოლს რომ ეუბნებოდა ხარხარით:

— განა ისეთი რა ვუთხარი? აბა რა? მართლაც, დაფიქრდი, ოა სასაცილოა — სიმამრი ულვაშიანი და სიძე წვერიანი. რალაცნაირი გაბანჯგლული ოჯახი გამოდის, ხომ სიცილს დაგვაყრიან. ამიხსენი, გეთაყვა, განა არ შეეძლო უწვეროდ შეერთო კატკა? ან ვითომ რაო, კატკა არ შეიყვარებდა? არა, მართლა, რად გვინდა წვერი? წვერს იყენებენ უმეტყველო სახის ადამიანები, სერიოჟკას კი კარგი სახე აქვს, ჭკვიანი, საზრიანი. უთუოდ მისთვის არავის უთქვამს ეს, ჰოდა, მე უნდა ვუთხრა, მორჩა და გათავდა. მაინც რა მიუხვედრელი ვინმე ხარ!

ზიამლიხების სახლში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კარგ სამოთახიან ბინაში, ან კიდევ უფრო ზუსტად, კონსტანტინ ლეონტიევიჩის კაბინეტში ძველღებური ავეჯი იდგა, ოღონდ საკომისიოში ნაყიდი კი არა, როგორც ხშირად ხდება ახლა, არამედ მამა-პაპათაგან შემორჩენილი. წიგნების დიდი კარადა, მთლიანი მუხისგან ნაკეთები, სამი მაღალი მინის კარით. შიგნიდან გამოხუნებულ, ლურჯ აბრეშუმჩამოფარებული, არც ისე ვეება ჩანდა ძველღებური სახლის ძალზე მაღალ კერქვეშ. ეს კარადა შემკული იყო კანელურიანი პილასტრის სვეტებით, ხოლო ზემოდან მიუყვებოდა რთული ლავგარდანი, შუა კარის ზემოთ ფრონტონითა და ვენჯელით. კარადა ჯერ ერთხელაც არ შეეკეთებინათ. თუმცა არც საჭიროებდა შეკეთებას. ყველაფერი გამართული, მორგებული, გარანდული და მკვიდრად ნაწებები იყო ამ დიდებულ, სამარადყამო ნაგებობაში. კარადა კი არა, რალაც ზღაპრული ხის სასახლე იყო, სადაც თავი მოეყარა გასული საუკუნეების საუკეთესო და უნიჭიერეს ადამიანთა თხზულებებს. მის ღია ფერის შიდა ნაწილს ხისა და წიგნების ისეთი საამო და იდუმალი სუნი ასდიოდა. ისეთი თვალისმომჭრელი და მცხინვარე იყო მოოქროვილი ყუები ძველი წიგნებისა.

გენიოსების სიბრძნისადმი მონურ მოკრძალებას რომ ილუძრავდნენ, ადამიანს, რომ ზიამლინები ბოლო ათი, თუ სულაც თხუთმეტი წელიწადი ერთ-ერთი თქმის ზელს არ ახლებდნენ ძვირფას წიგნებს და აშვიათად აღებდნენ კარდის კარებს. თითქოს ეშინოდათ არ დაერღვიათ მათი წმინდა სიმშვიდე, ადრე სასახლესავით რომ იყო. დროთა განმავლობაში თითქოს ტარად იქცა სადაც ზიამლინები არ შედიოდნენ, თუმცა ამავე დროს, ასე ვთქვათ, მორწმუნენი რჩებოდნენ. მძიმე ტუმბებიანი მუხის საწერი მაგიდა, აგრეთვე გამოხუნებული მწვანე მაუდი რომ ჰქონდა გადაკრული. საფეხბურთო მოედანივით ფართო იყო. ზოგჯერ კონსტანტინ ლეონტიევიჩის ცოლი დაფიქრებული მიაჩერდებოდა ამ მაგიდას და ამოიხვრით იტყოდა:

— არა, რაც უნდა თქვა, ფული რომ გვქონდეს... ბლომა ფული, — დაურთავდა იგი. — ამას ყველაფერს ავალაგებდი მაგიდიდან, ვიყიდდი სადმე, ვახსოვს, მე და შენ რომ ვნახეთ... მალაქიტის საფერფლეს... რა ღირდა? მგონი, ორი ათასი. დავაგდებდი მაგიდაზე სუფთა ქაღალდს და ზედ დავდებდი მალაქიტის კუს... ვახსოვს ის მალაქიტის კუ? ალბათ ვინმე ყვეჯმა იყიდა და ბექდებად და საყურეებად დააქუცმაცა... და კიდევაც გამდიდრდა, ხომ? აჟსუს!

კონსტანტინ ლეონტიევიჩი საყვედურით შეხედავდა ცოლს და გულკვლილად აჯაგრაავდა მონარქისტულ უღვაშებს, ცოლიც უსიტყვოდ მიუხვდებოდა და იტყოდა:

— ჰო, რა თქმა უნდა, კოსტია, რა თქმა უნდა... მაგრამ მაინც...

მალაქიტი მაგიდაზე არ იდო, მაგიდაზე იდო ორი ძველებური, ბრინჯაოს სახურავებიანი, კარგა ხნის ამომშრალი სხმული შინის სამელნე, მოელვარე და კრიალა წახნაგებით; შემორჩენილიყო მარტოოდენ როგორც ძეგლი იმისა, თუ როდესაც რაოდენ სარუდუნო და მძიმე იყო სამუშაო, კალმით, მელნით, ქაღალდით, მელნის ნაღვენთებითა და პრეს-პაპიეთი რომ სრულდებოდა. მწვანე იასპის პრეს-პაპიეც მაგიდაზე იდო, ისევე, როგორც იასპის საკალმე კალმები-საივის, როგორც ბრინჯაოს საათი, რომელიც გამოყვითლებულ ციფერბლატზე აყურული ისრებით ზუსტად შვიდ საათსა და ორმოცდაშვიდ წუთს აჩვენებდა ესენიც ძეგლებად ეწყო.

საერთოდ ეს ოთახი ძეგლი იყო პაპისა, ექიმ-პედიატრისა, რომელიც თავის დროზე ცნობილი იყო ძველ მოსკოვში და ბევრი ნორჩი სიცოცხლეც გადაურჩენია. იგი მკურნალობდა დეზინტერიას, ქუნთრუშას, ხუნავს და ამ დროის ვერაგ და სასტიკ სხვა სნეულებებს. რომლებსაც ახლა სულ იოლად ჰკურნავს ყველა ექიმი დედამიწის ზურგზე.

ოდესღაც სწორედ მან იქირავა ეს, იმ დროის კვალობაზე, უბრალო ბინა კერძო სახლში, რომელიც დღემდე გადაჰყურებს იაუზას და დაღმართ შესახვევს, სადაც ბავშვები და მოზრდილები ველოსიპედს დააქროლებენ ხოლმე გაზაფხულობით.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კატკაც დააქროლებდა ველოსიპედს. მშობლები თავბედს იწყევლიდნენ, რატომ ვუყიდეთო, რადგან, როგორც კი აყვავდებოდა ბებერი ალვის ხეები და შინდისფერი ციცათი შეიმოსებოდა, როგორც კი გამობრდღვიალდებოდა მზე და ბავშვები ტროტუარზე ცარკით კლასების ხაზვას იწყებდნენ. კატკა თავის მეგობრებთან ერთად ველოსიპედს დააქროლებდა შესახვევში. გაჭირვებით ადიოდნენ აღმართზე, სულ მალა და

ძალდა და მერე მოჰქროდნენ ქვევით. ფეხები ლამის საჭესთან ჰქონდათ ატანილი.

ერთხელ კონსტანტინ ლეონტიევიჩი თავის სადარბაზოსთან რომ მივიდა და მანქანიდან გადმოდიოდა. დაინახა შვილი, რომელმაც სხვა ბავშვებთან ერთად, საბეაწითლებულმა და გაოფლიანებულმა, სულერთად ზღაპრულად კისფერ-ალისფერმა, ადგზნებულმა და ბუნდოვანმა, გვერდით ჩაუქროლა ელვარე ველოსიპედით. ვერც ვერაფერს ხედავდა წინ და არც არაფერი ესმოდა, ამ დროს კი ქვემოდან ავტომანქანა მოდიოდა... კონსტანტინ ლეონტიევიჩს თავზარი დაეცა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იყვირა:

— კატია!

მაგრამ კათიას მისი ხმა არ გაუგონია. ავტომანქანა ტროტუარს მიეკრა, რათა მოეღვარე ბორბლებზე ამხედრებული ეს გადარეული კომპანია გაეტარებინა, ხოლო გაცოფებულმა და შიშისაგან ცოცხალ-მკვდარმა კონსტანტინ ლეონტიევიჩმა გადაწყვიტა, რომ ველოსიპედი კატკას საქმე არ არის. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვში მაინც. მაგრამ შვილს ველოსიპედი ვერ წაართვა: გოგონამ დაინახა თუ არა მამა. პედალს ფეხი დააჭირა და გაექცა.

იზრდებოდა რაღაც გაუგებარი პატარა არსება, რომელიც როგორც ზოგჯერ ეჩვენებოდა კონსტანტინ ლეონტიევიჩს, უცნაური, არაბავშვური ეჭვით უცქერდა ხოლმე თავის მშობლებს და რომელსაც ისინი, მშობლები, თითქოს ხელს უშლიდნენ ეცხოვრა თავის ნებაზე, იმ პროგრამის მიხედვით, რასაც უსახავდა მას. ამ პატარა ადამიანს, ცხოვრება.

კონსტანტინ ლეონტიევიჩი ერთხელ კიდევ გახდა მოწმე კატკას „ოინებისა“. როდესაც ისა და მისი ცოლი ესკალატორით ჩადიოდნენ მეტროში. შინ, სამზარეულოში დაუტოვეს ბარათი — ჩვენ სტუმრად მივდივართ, ესა და ეს შეჭამე დაახლოებით ამა და ამ დროს მოვალთო. ჩვეულებრივი ბარათი-როგორსაც უტოვებდნენ ხოლმე შვილს, როდესაც სადმე მიდიოდნენ. ორივენი ქვევით მიმავალი ესკალატორის კიბეზე იდგნენ, თან ანგარიშმიუცემლად ათვალთვლებდნენ ზევით მომავალ ხალხს... ვილაცის სახე ყურადღებას იქცევდა, ვილაცისა კი გაკრთებოდა შეგნებაში. როგორც არაარსებითი რამ — და უცებ... კატკა... ის გვერდით ედგა ვილაც ყმაწვილს, ცალი ხელი მის წელზე შემოესვია, მეორეთი ეჭირა თავის მხარზე ზანტად გადახვეული ხელი იმ ყმაწვილისა, და კისერში ჰკოცნიდა. ყმაწვილი მფარველურად უცქეროდა თავისი წყლიანი, სბლეტია თვალებით. მერე თვითონაც აკოცა უცებ კეფაზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ყოველთვის ჰკოცნიდა ხოლმე შვილს თვითონ კონსტანტინ ლეონტიევიჩი და ყოველთვის თვრებოდა იმ გამაბრუებელი სუნით, რომელიც ასდიოდა შვილის კანს, თმას. მთელ მის თავს. ასე ძალიან რომ უყვარდა, ახლა კი უცებ ამ თავხედმა გაბედა ეკოცნა მისთვის, გაბედა შეეყნოსა მისი სურნელება.

კონსტანტინ ლეონტიევიჩს სირცხვილისაგან სახე აეთაკლა შეშინდა, კატკამ არ დაგვინახოსო. მაგრამ კატკა, ისევე როგორც მაშინ ველოსიპედზე, თითქოს დაბრმავებულიყო და დაყრუებულიყო, იგი ხედავდა და უსმენდა მხოლოდ ამ თავდაჯერებულ ყმაწვილს, რომელმაც თვალი ისე გადააიტარა კონსტანტინ ლეონტიევიჩის სახეს, თითქოს ცარიელი ადგილი ყოფილიყო; კონსტანტინ ლეონტიევიჩი შეკრთა და თვალები დაახამბამა, თითქოს რაღაც ბასრი გადაუსვესო.

— ალა კოლაევენა ერთი კიბით დაბლა იდგა და, საოცარია, რომ არაფერი შეუძინებოდა.

— მოგეჩვენება, ღმერთმახი! — ეუბნებოდა ქმარს, როდესაც გაგონით მიდიოდნენ. — კატკა ბიჭს ეხვეოდა საჯაროდ? კოცნიდა კიდევაც? რას ამბობ? შენ რაო, კატკას არ იცნობ?



— საქმეც ეგაა!

— არც მე ვარ ბრმა, მეც ვიხედებოდი, — ამბობდა ალა ნიკოლაევენა, — და, რაღა თქმა უნდა, შეილს დაეინახავდი. ეგ შეუძლებელია! აუცილებლად დაეინახავდი.

— ჩვენკენ ზურგშემოქცეული იდგა.

— მერე რა? ვითომ ზურგიდან ვერ ვიცილობდი? რა უცნაური ხარ დღეს. ზღვა ხალხში მის უმცირეს მოძრაობას, მია გამოხედვას, მის თავს, მხრებს... რასაც გინდა! მაშინვე ვიცილობდი, რას მელაპარაკებდი! მე ხომ დედა ვარ.

— მაშ იხე გამოდის, რომ მე მაგ გრძნობას მოკლებული ვარ?

— ნუთუ გაუგებარია? მე ხომ დედა ვარ!

— მე კიდევ მამა მერე რაო? მე დაეინახე, შენ კი არ დაეინახავს.

— არ შეიძლებოდა მე არ დამენახა!

— ხა-ხა! — თქვა გაღიზიანებით კონსტანტინ ლეონტიევიჩმა, უკვე ბრაზი ეკიდებოდა.

— ეგეც შენი ხა-ხა. — ასევე გაბრაზებით გამოაჯავრა ალა ნიკოლაევენამ.

კოლ-ქმარი წაიკიდა და როდესაც მივიდნენ თავიანთ მეგობრებთან, არ დაუშალავთ ეს, ხოლო კონსტანტინ ლეონტიევიჩი, ცოლის ჭიბრზე მოყვა, რაც მეტროში ხახა და მოთმინებადაკარგულმა ალა ნიკოლაევენამ სხვათა თვალწინ დაუყვირა ქმარს.

— ლუქსია, ყმაწვილებო! ყველაფერი ლუქსია! — ხმამაღლა გაიძახოდა მასპინძელი, რათა შეერიგებინა კოლ-ქმარი. — შეილები იზრდებიან ისე, როგორც საჭიროა, ჩვენ ვიყავით, სოკოებივით რომ ვიზრდებოდით... ისინი კი იზრდებიან, როგორც საჭიროა, ყველაფერი ლუქსია!

მასპინძელს ხალათი ზედა სამ ლილზე შეეხსნა, სახელოებიც აეკეცა და ღობიერი, შავი ბალნით გაბანჯგლული გულმკერდის კუნთები მოუჩანდა; სახეზე აჩნდა ჭერ კიდევ ბავშვობისდროინდელი ნაიარევი. ძალზე მოსწონდა, რომ ზიამლინები მის სახლში ჩხუბობენ, თავიანთ საიდუმლოებას ანდობენ მას და საერთო მეგობრებს, რომელთაგანაც ზოგმა კონსტანტინ ლეონტიევიჩს დაუკირა მხარი, ზოგმა კიდევ ალა ნიკოლაევენას, კონსტანტინ ლეონტიევიჩს არწმუნებდნენ, კატკა ეგეთი არ არის და, რაღა თქმა უნდა, შეგეშალაო. ბოლოს და ბოლოს თვითონაც შეეჭვდა: მართლა კატკა იყო თუ არაო?

— კეთილი, შეგეშალა, — ამბობდა და უღვაშები გაკვირვებით ეჯავრებოდა. — მაგრამ საქმე ხომ ეს არ არის! ისე გამოდის, რომ ამას შეუძლია იცნოს შეილი ზღვა ხალხში, მე კი ისეთი ყეყეჩი ვარ, რომ ვერ ვიცილობ, რადგან იურმე მხოლოდ და მხოლოდ მამა ვარ, ესე იგი, არაფერი მისი აზრით, განა სისულელე არ არის?!

— კოსკა, ლუქსი ხარ! მამა, მამული, მამის სახელი, მამისეული სახლი, ლუქსია! — გაძვიროდა ბედნიერი მასპინძელი. — შენც უჩიალი ქალი ხარ! იცნობ შენს ცოლს და ეგერა მისი ქმარს კი, მაშე არ გჯერა, ვითაა ქოლქსის სახლი? — უკვე გაბრაზდა მასპინძელი, რომ ალა ნიკოლაევენამ...

თქვენს ადგილებზე და საქმეს შევუდგეთ ყველაფერი სწორია! ასეც უნდა გექნათ. მოხვედით, გაგვიზიარეთ, რაც გულში ბოღმა დავიგროვდით. ყველანი ერთად გავერკვიეთ! ოხ, მიყვარხართ, ყმაწვილებო! გადმოალაგეთ ყველაფერი და მერე გავარჩიოთ შენი და ჩემი. გულწრფელი იყავი მეგობრებთან! გული გეტკინა — გადაიხსენი, დაგვანახე გული. აი ჩემი გული! აჰა, შენც ხარ იმისა, ვინც გვაუთვნი! ყველაფერი ლუქსია. სხვაგვარი ცხოვრება არ არის... ალოჩკა, მე ხომ შენ მიყვარხარ. შენც იცი, თვრამეტი წელიწადია, მიყვარხარ... არა! რა არის დრო, ღმერთო ჩემო! უკვე ცხრამეტი წელიწადია! გაიღიმე, ლამაზო, უბნარი შენს კოსკას, რომ გაყოყონდა, და აკოცე... მე კი ზურგს შეგაქცევთ, რათა ცრემლი არავინ შემამჩნიოს... ჩემო ლამაზებო!

სამხრეთული სისხლი ჰქონდა და, როდესაც მეგობრები მის სახლში იყრიდნენ თავს, ენაწყლიანი და ხმაურიანი ხდებოდა. მას ლიოვკას ეძახდნენ. თუშცადა აქ ყველა ლიოვკა, კოსკა, იურკა, ლიოშკა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ უკვე ორმოცდაათს მიუკაკუნა. ხოლო ქალებს ალოჩკას, ტონეჩკას, საშენკას ეძახდნენ.


რომელიმე ახალგაზრდა კაცისათვის რომელიმე სხვა პლანეტის ზედაპირიდან ეს სასაცილო და სულელური გამოჩნდებოდა. მაგრამ ეს ხომ იგივეა, ვინდაც ხმაურიან ქუჩაში ტროტუარზე იდგა, უცქერდეს, როგორ მიჰქრიან ავტომანქანები, მოტოციკლები, ტროლეიბუსები. და გიკვირდეს, რახაირად ახერხებენ საჭესთან მჯდომი ადამიანები ამ ზედაზოცვასა და ჰეჭყვაში თავიანთ კაბინებში, სალონებში თუ მოტოციკლებზე ისხდნენ და არკი შეასკდებენ ერთმანეთს, არ შიალენონ გვერდები და ბამპერები. შორიდან ეს თითქმის წარმოუდგენელი რამ ჩანს! არადა, როცა თავად უზიხარ საჭეს, სულ სხვა სურათია: შენ საერთო დინებაში ხარ, შენნაირ მძღოლებს შორის. ავტომანქანებია შენ წინ. შენ უკან, გვერდით, ხან ოდნავ მოშორებით, ხან მოგიახლოვდებიან, ხან მოგშორდებიან, ხან ზედ მოგეკვრებიან. ხანაც განზე გასრილდებიან. არავითარი ალიაქოთი და გადარეული ქროლვა. ყველაფერი მწყობრად მიედინება და საკუთარი ავტომანქანის ხმაურში ირგვლივ სიწყნარე გგონია. ზიხარ შენთვის არხეინად, მსუბუქად მართავ მანქანას. ღინჯად მიგყავს. ფეხსაცმლის წვერით აწვები აქსელერატორს, ან მუხრუჭის პედალზე გადაგაქვს ფეხი, გადადიხარ ერთი მწკრივიდან მეორეში, თუ სხვა ქუჩაზე გინდა გადახვევა. შენ იმყოფები შენიანებში. რომლებსაც ესმით შენი.

ასევეა აქაც — არაეინ დაბერებულა. უბრალოდ — მათ გვერდით დაიზარდნენ ჩურჩუტი შვილები. ისინი ჭერ კიდევ ფეხით მოსიარულენი არიან, ტროტუარზე დგახან. შენ კი ხმაურიანი ქუჩის შუაგულში საჭეს უზიხარ. ესაა და ეს. აი, ასეთი მარტივი ფარდობითობის თეორიაა.

სიაძლიეები შინ შერიგებულნი და შეხმატკბილებულნი დაბრუნდნენ. კონსტანტინ ლეონტიევიჩმა აღუთქვა ალოჩკას, კატკას არაფერს გამოეკითხავო, დაეთანხმა. რომ ეს არაპედაგოგიური საქციელი იქნებოდა.

— საერთოდ, სჯობს წელს თავი დავანებოთ. — ეუბნებოდა ალა ნიკოლიევისა. — შეათე კლასი ისეთი საპასუხისმგებლო ხანაა მისთვის, რომ შიშით გული მელევა: ემანდ არ წაიფორხილოს-მეთქი. რაც უნდა იყოს, ვარსკვლავია! საუკეთესო მოწაფე!.. ისიც კი შემოძლია დავუშვა, რომ ვიღაცასთან ერთად

მიდიოდა... მერე რა მოხდა ვინ იცის, კიდევ რამდენი ეგეთი... ეყოლება, ამ მხრივ მისი შიში არა მაქვს.

კატკა ნიჭიერი და ძალზე საზრიანი ბავშვი იზრდებოდა.  ოთხი წლისა იყო, როდესაც თავისი შეკითხვით ჩიხში მიამწყვდია აუჯანყველად. ერთხელ ტროლეიბუსით მიდიოდნენ, ალოჩკამ, რომელმაც შეამჩნია, რომ იქნებ ტროტუარზე მიმავალი თავისი ამხანაგი დაინახა.

— აგერ ჩემმა კარგმა ამხანაგმა გაიარა, — უთხრა მან შვილს.

— დედა, განა არიან ცუდი ამხანაგები? — ჰკითხა კატკამ. — თუ ცუდია მაშინ რაღა ამხანაგია?

მას აქეთ ალა ნიკოლაევნა მიხვდა, რომ გენიოსი შვილი ჰყავს, და როდესაც დრო დაუდგა, მიაბარა ინგლისურ სკოლაში. სადაც მალე წარმატებას მიაღწია და საუკეთესო მოწაფეც გახდა. ოღონდ ალა ნიკოლაევნას არ მოსწონდა, როდესაც კატკა და მისი ამხანაგები, მისი თანდასწრებით, ინგლისურად ლაპარაკობდნენ და ყველანი, ეს უცნაური გოგო-ბიჭები, სიცილით იხოცებოდნენ.

— რა გაციხებთ? — მხიარულად ეკითხებოდა ალა ნიკოლაევნა. — მეც მიახბვთ. მეც მინდა ვაცანო.

— შენ ხომ მაინც ვერ ვაიგებ, დედა, — ყველას მაგივრად მასუხობდა კატკა. — სიტყვათა უბრალო თამაშია, ოღონდ გასაგებია მაშინ, თუ ინგლისური იცო. რუსულად კი არაფერია სასაცილო.

— ვითომ რუსულად რატომ არ არის სასაცილო? — გაკვირვებას იყო ალა ნიკოლაევნა. — ეგ რანაირად შეიძლება? უცნაურია, ინგლისურად სასაცილოა, ჩვენებურად კი არა... ვითომ რაო, რუსები შტერები არიან?

იგი შეურაცხყოფილი იყო რუსული ენის გამო, რომლის დაფასებასაც კატკა თითქოს გადაეჩვია. თუმცაღა სინამდვილეში ის სწყინდა, რომ კატკა ხეირიანად არასოდეს არაფერს უხსნიდა ხოლმე დედას. რა არის, შავალითად, სიტყვათა თამაში? რომელიმე ინგლისური ანეკდოტია? იქნებ უხამსიცაა?

თვითონ სკოლაში გერმანულს სწავლობდა. მაგრამ ენა არ იცოდა, სმენამ ვერ შეითვისა უცხო ენა. თავისი ქალიშვილი რაღაც საოცარ სასწავლად მიაჩნდა, უნებურად აზვიადებდა უცხო ენის ბრწყინვალე ცოდნის მნიშვნელობას და შვილს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. „აი შეხვალ უცხო ენებს...“ — უყვარდა თქმა ალა ნიკოლაევნას, ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც შეეძლებოდა მეგობრებისთვის ეთქვა, რომ კატკა უცხო ენათა ინსტიტუტში შევიდა. „აი თუ კატკა უცხო ენებს შევა...“ — ეუბნებოდა ხოლმე ქმარსაც და ვერც წარმოედგინა, ვერც მიმხვდარიყო, თუ რა სიფათი ელოდა მათ შვილს მომავალში ზიამღაინების ოჯახში გამეფებულ ამ განწყობილების წყალობით.

არიან ისეთი ბედნიერი დედები, რომელთა ცხოვრებაც სავსეა შვილების დაუცხრომელი სიყვარულით. ასეთი დედა გახლდათ ალა ნიკოლაევნა. იგი მომავალს შორს არ გაჰყურებდა, არაპრაქტიკული იყო, როგორც ყველა მოყვარული ადამიანი, მაგრამ არც ოცნების კოშკებს აგებდა ზოგიერთებივით. უბრალოდ ცხოვრობდა შვილის ინტერესებით, შვილზე მეტად ლელავდა გოგონების წინ და შვილზე მეტადაც ხარობდა, როდესაც მას მოჰქონდა ხუთიანი ენაში ან ოთხიანი მათემატიკაში. — ცოცხლობდა შემოდგომიდან გაზაფხულამდე, შვილის პირველი კლასიდან მეათე კლასამდე, ვარაუდობდა.

რომ შემდგომშიც ასეთი ბედნიერი დაძაბულობით იცხოვრებდა სესიიდან სესიამდე, ხოლო რა უნდა გამოსულიყო მისი ქალაშვილისაგან შორეულ მომავალში, რა პრივილეგიები ელოდა ცხოვრებაში — ამაზე არასოდეს დაფიქრებულა, თითქოს საამისოდ არ ჰყოფნიდა გამბედაობა ან იქნებ ფანტაზიაც.

ნათესავეებმა და ნაცნობ-მეგობრებმა იცოდნენ, რომ ალოჩკაში დაიარებოდა საბალეტო სკოლაში რომელიდაც, როგორც თვითონ ამბობდა. ცნობილ მასწავლებელთან, სახელდობრ ანდრეი ლეონტიევიჩ კამენეცკისთან, ვინც, როგორც თავმდაბლად დაურთავდა ხოლმე, დიდ მომავალს აღუთქვამდა ალოჩკას.

— ახლა სასაცილოა ამაზე ლაპარაკი და რაღაც მეუხერხულეა კიდევაც. მაგრამ როცა მახსენდება ჩემი თავი სრულიად ახალგაზრდა, არც მჯერა, რომ ეს მე ვიყავი... ბუმბულივით მჩატე... მერე კი ის საზარელი ტრაგედია... როდესაც ვონს მოვედი საავადმყოფოში. — უამბობდა ალა ნიკოლაევნა თავის ახალ ნაცნობებს, რომლებმაც ჯერ მისი არაფერი იცოდნენ, — პირველად ის კი არ ვკითხე ექიმს, ვიცოცხლებ თუ არა-მეთქი. მაშინ ჩემთვის სულერთი იყო! მე ვკითხე... — და მისი ყოველი მსმენელი უმალ ხედებოდა, რომ მან, რაღა თქმა უნდა, იკითხა, ვიცეკვებ თუ არაო. — დიას! ვკითხე, ვიცეკვებ თუ არა-მეთქი. და მახსოვს, ექიმმა მშვიდად და წყნარად, ღიმილით მითხრა: დაიცა, გეთაყვა, ყველაფერი თავის დროზე იქნებაო. მისთვის, ცხადია, მთავარი იყო, სიცოცხლე შეენარჩუნებინა ჩემთვის, არ ესმოდა, რომ არ მინდოდა სიცოცხლე, თუ არ ვიცეკვებდი... ეს არავის ესმის. არა... — იგი სევდიანად იღიმებოდა, თითქოს ებრალებოდა ადამიანები, რომლებმაც არა იცოდნენ რა პაეროვანი ცეკვისა. მერე რაღაცნაირად დაემანქებოდა ტუჩები და შეცვლილი ხმით ამბობდა: — ახლა კი ბალეტის დანახვაც აღარ შემიძლია. თეატრში არ დავდივარ, როცა ტელევიზიით აჩვენებენ. მაშინვე სხვა პროგრამაზე გადავრთავ ხოლმე. ვერც დიგურულ სრიალს ვუყურებ. არა არ შემიძლია. ასეთი რა დამემართა? — ფაქრიანად დაასრულებდა თხრობას. — მეც ვერ გამიგია. ეგ კია, რომ შემდეგში ვმასწავლებლობდი. ორმოცდაათი მოწათე მყავდა. ყველანი ცეკვავენ. ცხადია, თვითმოქმედების კოლექტივებში. მაგრამ ერთი თათარი იყო... ისეთი საამური ყმაწვილი, — ამბობდა გამოფხიზლებული ღიმილით. — სრულებით არა მქონდა მისი იმედი. ყველას იმედი მქონდა, ყველასი, მისი კი არა! არაფერი არ გამოუდიოდა. ზედ ეტყობოდა, რომ არ შეუძლია, ნიჭი არა აქვს. მაგრამ არნახული კერპი ვინმე გამოდგა. მეუბნებოდა: სულერთია, ალა ნიკოლაევნა, მაინც ყველაზე უკეთესად ვიცეკვებო. სასაცილოა, არადა. მართლაც ისე მოხდა, როგორც ამბობდა. სწორედ ის თათარია ერთადერთი. პროფესიულ ანსამბლში რომ ცეკვავს. იცით: რა სასიამოვნოა ჩემთვის! უ-უ-უუჰ! შეუძლებელია სიტყვებით გადმოცემა.

როდესაც ამას ყვებოდა, ზოგჯერ კონსტანტინ ლეონტიევიჩსაც კი რომელსაც მრავალჯერ მოესმინა ცოლის აღსარება, ეჭვი აღეძვროდა — ხომ არ იგონებს ალოჩკა თავისი ადრინდელი ცხოვრების ამბავს, ხომ არ შეთხზა და თვითვე იწამა თავისი ფანტაზიის ჭეშმარიტება. როგორც ემართებათ ხოლმე ზოგჯერ ადამიანებს? ყოველთვის აფაციცებდა ის, რომ ალოჩკას არ ახსოვს ზოგი ისეთი წვრილმანი, ურომლისთდაც მისი ნაამბობი მართოდენ ხმის ინტონაციას, გრძნობას ემყარება, და არა ფაქტებს. მაგალითად, როგორ დაეცა ისე, რომ გრძნობა დაკარგა და მის სიცოცხლეს საფრთხე ელოდა? ან, მაგალითად,

რად ესაჭიროებოდა იმის ლაპარაკი. ბალეტსა და ფიგურულ სრიალს ვეღარ ვუყუარებო, როდესაც თვითონ იყო მოწმე, რა გატაცებით უყუარებდა იმავე ფიგურულ სრიალს. განსაკუთრებით მამაკაცთა სრიალს. კერძოდ, თავისი უსაყვარლესი იგორ ბობრინის გამოსვლას?

კონსტანტინ ლეონტიევიჩს ვერ გაეგო, რა აიძულებდა იმდენჯერ კოლს მოატყუოს ადამიანები და რად ესაჭიროება ეს? ნუთუ ფიქრობს, რომ რასაც ახლა აკეთებს, ესე იგი მხატვარ-მემოდელეს სამუშაო — მარტოოდენ უბადრუცი აჩრდილია მისი წინანდელი ოცნებებისა? თითქოს ოდესღაც რაღაცას წარმოადგენდა, ახლა კი — აღარაფერია, და ცხოვრებაში მარტოოდენ წარსულის მოგონებებიღა დარჩენია.

წყინდა ამაების მოსმენა, რადგან ალოჩკას ახლანდელ ცხოვრებაში ცოტათი მასაც მიუძღოდა ბრალი. თუმცა კოლს არასოდეს კრინტი არ დაუძრავს ამაზე და იქნებ გულშიც არ გაუვლია მსგავსი არაფერი. მაგრამ კონსტანტინ ლეონტიევიჩი მის მოგონებებს აღიქვამდა, როგორც დაჩვილებას, რომ ცხოვრებაში სრულიად აღარაფერი დარჩა საინტერესო.

ეს ძალიან აბრაზებდა. პირდაპირ ღვთისწყრომად ექცა ეს უცნაური ამბავი ბალეტისა, უხიჭო მოწაფისა, რომელიც ყველაზე ნიჭიერი გამოდგა და ანსამბლში ცეკვავს. რომელ ანსამბლში? სად?

— ალა, ისევ დაიწყე შენებურად! — განაწყენებული ეტყოდა ხოლმე, — მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, ყველას აქვს თავისი რაღაც მოგონებები, მაგონებს ხომ არ შეიძლება წარსულით იცხოვროს ადამიანი?

— ისე მელაპარაკები, — ჩაიცინებდა ალოჩკა, — თითქოს ჩემთვის რაიმე აქოს ამაზე უფრო ძვირფასი... თუ არ გაინტერესებს, ნუ მისმენ. მერე კიდევ ვახსნა ეს წარსულია? ესაა ის, რაც მუდამ ჩემთანაა. მე ამით ვსულდგმულობ და საერთოდ, როგორ არა გრცხვენია?!

ალა ნიკოლაევნა ისე აღშფოთდებოდა ხოლმე, როდესაც ქმარი შეაჩერებდა, რომ კონსტანტინ ლეონტიევიჩს ეჩვენებოდა, თითქოს გადალახა რაღაც ნაკრძალი საზღვარი, გადააბიჯა იმ მიჯნას, სადაც იწყებოდა სხვა, მისთვის გაუგებარი და უცხო ალოჩკა.

— კეთილი წავალ, — მხრებს აიჩეჩავდა კონსტანტინ ლეონტიევიჩი. — რა თქმა უნდა, არ მინდა ამის მოსმენა შეასეღ. რა საჭიროა? — და კარს გაიჯახუნებდა.

ზას არ უყვარდა ეს სხვა ქალი. რომელიც ზოგჯერ იღვიძებდა ალოჩკაში, ეგ კი არა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდევაც მისი. ეს იმას ჰგავდა, გინდაც მისი ცოლი სულ უმიზეზოდ უცებ მის თვალწინ დამთვრალიყო, გონება არეოდა ანდა მთვარეული გამხდარიყო. რაღაცნაირი ცუდი, უსიციოცხლო საზეუსებოდა, და კონსტანტინ ლეონტიევიჩი ვეღარ ცნობდა კოლს, თავს ისე გრძნობდა, როგორც გრძნობს ხოლმე ადამიანი, რომელსაც უცებ დაავეიწყდა საკუთარი სახელი ან საკუთარი ბინის ტელეფონი. შეცბუნება, შიში, შეშფოთება ეუფლებოდა. ძალზე მძიმედ იტანდა კოლის მოგონებებს, რაღაც უცნაურობადოს რომ წააგავდა: ამ დროს კაცი ვეღარაფერს შეასმენდა.

ზოგჯერ შეშფოთებულ წარმოსახვას იმ აზრამდე მიჰყავდა, რომ ალოჩკა ახლა მხოლოდ ამ უცნაური შენათხზის სანეტარო წუთებისათვის ცოცხლობს აბჭვეყნად, ხოლო დანარჩენ დღეებში მხოლოდ მოსაჩვენებლად იღებს ისეთ სახეს, თითქოს ცოცხლობს. უყვარს, იღიმება, ჯავრობს ან ზრუნავს მასზე და

შვილზე, სინამდვილეში კი გამუდმებით დაეძებს ადამიანს, რომელსაც ჯერ არ მოუსმენია მისი უბედურების ამბავი. რომელიც ბოლომდე მოუსმენს და იქნებ დაუჯეროს კიდევაც.

ზიამლინი იშორებდა ამ ექვებს და წარმოთქვამდა მხსნელ სიტყვებს: „ო, ქალებო, ქალებო, შხამი ხართ, ჩვენს დედამიწაზე მოფენილთაში ყველა სისხლის ამ ცნობილი წამოძახილის პარაფრაზში აქსოვდა მთელ თავის ტკივილს, თავის შეშფოთებასა და ექვებს.

ამასობაში ორ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც კატკამ სკოლა დაამთავრა. მიიღო საბატო წოდება ინგლისური სკოლის ვარსკვლავისა, დედამისმა რომ მიაკუთვნა, რადგან ამ საგანში ყველას სჯობდა.

მაგრამ ვერაფერმა — ვერც თავდაჯერებამ, ვერც მშობლების დახმარებამ — ვერ უშველა, რომ იმავ წელს შესულიყო უცხო ენათა ინსტიტუტში: ქულა დააკლდა, მეორე წელიწადს რამდენიმე თვე იმეცადინა მასწავლებელთან, რომელიც ავარჯიშებდა ინსტიტუტის მოთხოვნათა შესატყვისად, მაგრამ ახლანახევარი ქულა დააკლდა; სასოწარკვეთილებას მაინც არ მისცემია, ადგა და დაიწყო მზადება, რათა მესამედ და, როგორც ეგონა, საბოლოოდ ეცადა ბედი, და უცებ მოულოდნელად გათხოვება არ გამოტყვრა!

კონსტანტინ ლეონტიევიჩი ძალზე გაკვირვებული დარჩა. ალა ნიკოლაევნამ კი გათხოვება მიიჩნია შვილისთვის ბედისგან ნაბოძებ სულისმოთქმად ინსტიტუტში შესვლის აკვიატებული იდეისაგან. განა მხოლოდ შვილისათვის! გოგო მეოცე წელში გადადგა, — მსჯელობდა დედა, — და თუ მესამეჯერაც ვერ ჩააბარა, ქვეყანა არ დაიქცევა, იმიტომ რომ გათხოვილი იქნება და საქმე გაუჩნდება. ხოლო თუ მაინც ჩააბარა, რაღა თქმა უნდა, ამას რა სჯობია, რადგან მაშინ ჩიტივით თავისუფალი, დამოუკიდებელი გახდება. ალა ნიკოლაევნას წარმოდგენით, უცხო ენების სტუდენტის ქმარი უნდა მიხვდეს თავის როლს და უნდა შეეგუოს თავის მდგომარეობას.

— კატკა არ შეიძლება ოჯახის იმედით იყოს, — ამბობდა ის. — ჩვენს დროში ეს ძალზე მერყევი და ძალზე არამყარი რამ გახდა. შენ ხომ გესმის, — ეუბნებოდა კონსტანტინ ლეონტიევიჩს, — მე თვითონ არასოდეს გავთხოვდებოდი; შენც კი არ წამოგყვებოდი, იმ ტრავმის მერე ცეკვა რომ შემძლებოდა. ოჰო-ჰო! — წამოიძახებდა გატაცებული. — რამდენი თაყვანისმცემელი მეყოლებოდა. შენ თვითონ ვერ შეძლებდი ჩემთან ცხოვრებას. ხოლო თუ კატკა უცხო ენებზე შევა, რა თქმა უნდა, იქ ისეთი გარემოა, ისეთი ლაღი სტუდენტური ცხოვრება, ისეთი ყმაწვილები... ქვეყანა არ დაიქცევა, ისა და სერიოჟა რომ ვაიყარნენ კიდევაც. კატკას უნდა შთავაგონოთ ეს აზრი, გათხოვდეს, გვარი გამოიცვალოს — ეს გამოახალისებს. რაც უნდა იყოს, კარგად უღერს: ეკატერინა ვედენიჩევა ან კატენკა ვედენიჩევა... შემდეგ კი ვნახოთ.

კონსტანტინ ლეონტიევიჩი ცოლს ველარ ცნობდა.

— იცი რა, — ეუბნებოდა გაკვირვებით შუბლშეკრული, — ვერ გამიგია... რა საჭიროა გეგმების დაწყობა, რაღაც სარგებლობის ძებნა ხან ერთ, ხან მეორე ვითარებაში?.. როდის იყო ჩვენ ასეთ რამეს მივსდევდით! მაშ რაღად გვინდა... კეთილი! მაგრამ კატკა ხომ ბალერინობისათვის არ ემზადება! შენ ისეთი უკუღმართი შეხედულება გაქვს უცხო ენების ინსტიტუტზე, სიტყვებიც ვერ

შიპოვნია, ეს ძალზე სერიოზული ინსტიტუტია, სერიოზულ სპეციალისტებს ამზადებს... რაზე ლაპარაკობ?

— შენ თვითონ რაღაზე ლაპარაკობ?! შენი აზრით, ბალეტი არასერიოზული რამაა? — აენტებოდა ალა ნიკოლაევნა. — რა თქვი? დაფრქვდა? რა თქვი? შენ პაიპარად შეურაცხყოფ იმას, რაც ჩემთვის ყველაზე უფრო მძინარეა და მინდა, და თან გინდა, რომ მოვისმინო.

— დალახვროს ღმერთმა! ვის შეურაცხყოფ?!
 — ვერც კი შეამჩნიე! შენ თქვი: კატკა ხომ ბალერინობისათვის არ ემზადებაო... თქვი? მერე რაღა თქვი? მერე: ინსტიტუტი სერიოზულ სპეციალისტებს ამზადებსო... როგორ არა გრცხვენია?!

— მე არ მინდოდა დამეპირისპირებინა... უბრალოდ... ხაზი გაუუსვი იმას, რომ მსახიობობას არ აპირებს...

— არა, აუტანელი ადამიანი ხარ!

— ალა!

— რა „ალა“! შენ არ გინდა მომისმინო, არ გინდა მოვითათბიროთ შენ ფეხებზე გკიდია შვილის ბედ-იღბალი, ჩემი ჯანმრთელობა.

ისინი საოცრად ადვილად ჩხუბობდნენ, თან ჩხუბის მიზეზი ავიწყდებოდათ და იეზუიტური ვერაგობით შეურაცხყოფდნენ და ადანაშაულებდნენ ერთმანეთს. ჩხუბობდნენ ყვირილის, ლანძღვისა და ცრემლის გარეშე, ხოლო მერე ბოდიშსაც არ უხდიდნენ ერთმანეთს, თითქოს ასეთი ჩხუბი მათთვის აუცილებელი იყო, როგორც აუცილებელია რომელიმე საავარიო სარკველი ორთქლის ქვაბში ან სხვა რთულ სისტემაში, სადაც შესაძლოა ზედმეტი შიდაწნევის დაგროვებამ ავარიის საფრთხე შექმნას.

მაგრამ დადგა დრო, როდესაც ასეთი ჩხუბი სულ უფრო და უფრო დაუხშირდათ და უფრო და უფრო მეტი ადგილი დაიკავა მათ ცხოვრებაში. ვერც ერთი ვერ მიმხვდარიყო უთანხმოება-განხეთქილებია მიზეზს. არც ერთს არ უნდოდა და ეშინოდათ კიდევაც ასეთი ჩხუბის განმეორებისა. და დაზავების დღეებში ისეთი სინაზითა და ალერსით ეპყრობოდნენ ერთმანეთს, ისე ცდილობდნენ არ ეწყენინებინათ ერთმანეთისათვის, რომ იტყოდით, ზიამლინებზე უფრო მოყვარული ცოლ-ქმარი დედამიწის ზურგზე არ დაიარებაო. მაგრამ დგებოდა დღე, როდესაც კონსტანტინ ლეონტიევიჩი ჯერ კიდევ ბერიანად გამოღვიძებულიც არ იყო, რომ უკვე გრძნობდა, დღეს აუცილებლად იჩხუბებენ, ხოლო ალა ნიკოლაევნა, რომელიც თითქოს ამასვე გრძნობდა, ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარა დაეწყო და მოემთავრებინა ჩხუბი თანაც დარწმუნებული იყო, რომ ჩხუბი ქმარმა წამოიწყო.

ჩხუბი იწყებოდა არაფრისგან, ჰაერიდან, სულ უბრალოდ წამოცდენილი სიტყვის ან საეჭვო დუმილის გამო. რაღა თქმა უნდა, მარტო ალა ნიკოლაევნა როდი იწყებდა ამ სავარჯიშო ლანძღვა-თათხვას. კონსტანტინ ლეონტიევიჩიც იყო ხოლმე წამომწყები, რადგან გრძნობდა, რომ აუცილებელია განმუხტვა. და თუ ადრე ყოველი ჩხუბი, მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ, იყო ზაფხულის კეჩა-ქუხილი, რასაც მოსდევდა სურნელოვანი სინოტივითა და თზონით სავსე საათები აღუშფოთველი სიბარულისა, დროთა განმავლობაში იგი გადაიქცა ნაბმულ წვიმებად, როდესაც გზები და გუბეები გაუვალი ხდებოდა, როდესაც ღრუბლებიდან იშვიათად თუ გამოაჭყეტს მზე და ვერ ასწრებს გაღუმებული.

გათოშლილი მიწის გაშრობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — აღრე მათ ურთი-
ერობაში ამინდი იცვლებოდა, ახლა კი თითქოს ჰავა შეიცვალა.

მთავარი ის იყო, რომ ვერც ერთი ვერ მიმხვდარიყო ამ საშოში დაბაბუ-
ლობის მიზეზს.

— ვბერდებით თუ რა გვემართება? — ეკითხებოდა ხანდახან კონ-
სტანტინ ლეონტიევიჩი. მორიგი ჩხუბი რომ ჩაცხრებოდა. — მე ბუზღუნა გა-
ვხდი. შენ კიდევ სულ უბრალო რამეზე ფეთქდები. რა ხდება? მოგბეზრდი?

— მე კი არა შენ მოგბეზრდი, — პასუხობდა ალოჩკა.

— ტყუილია!

— რა თქმა უნდა! განა მე შემოძლია სიმართლის თქმა. ხომ ვხედავ,
რომ მუდამ ეჭვით მიყურებ. გგონია, ტყუილებს გეუბნები. მართალი გითხრა,
მომბეზრდა.

— არა, საქმე ეს არაა! სულაც არ გიყურებ ეჭვით. მაგრამ მე და შენ ამ
ბოლო დროს სიხარულს გადავეჩვიეთ. აღარ გვიხარია, რომ ცოცხლები ვართ,
ვსუნთქავთ, ვხედავთ ცას, ღრუბლებს, ხეებს, ადამიანებს... ასე ცხოვრება არ
შეიძლება. და საყვედურებით ვერ განვიკურნებით. ამ სენზე უარესი არაფერია
ნუთუ არ გესმის? შევა კატკა ინსტიტუტში თუ არა, მე და შენ რა გვესაქმება?
ჩვენ მას მივეცი ყველაფერი, რისი მიცემაც შეგვეძლო. კატკა უკვე დიდი
ქალია. მეტსაც გეტყვი: სრულებითაც არ ვესაჭიროებით ჩვენი რჩევა-დარიგე-
ბებით. შენი თავი გაიხსენე! განა შენ მის ასაკში გესაჭიროებოდა მამა და დე-
და? არა, რა თქმა უნდა. კატკა ვითომ რითია შენზე ნაკლები? მე და შენ კი
თითქოს მანქანა ვართ. რაღაც რომ გაგვიფუჭდა, მაგრამ რა, არ ვიცით და ვერც
მიგმხვდარვართ. ჩემი აზრით კი ყველაფერი ნათელია! უნდა მოვიშოროთ მშო-
ბლის კომპლექსი! ჩვენ ჩვენი ცხოვრება გვაქვს, ჯერ არ დავბერებულვართ,
რომ თავი დავისამართო. სწორია? თითქოს დაგვიდგა სიხარულის ეამი, გავხა-
რდეთ ქალიშვილი — ჭკვიანი და ლამაზი გოგო... ხომ ხედავ, კარატესაც სწავ-
ლობს. ეგ რაღად უნდა? თუმცა ისწავლოს, შეიძლება გამოადგეს ქალიშვილ
მამოს. ხომ ხედავ! ყველაფერი კარგადაა! ჩვენ რაღა გვაწუხებს და გვტანჯავს?

ალოჩკა უსმენდა ქმარს, მერე ამოიოხზებდა და განწირული ხმით ამბობ-
და:

— ოხ, კოსკა! რანაირი ეგოისტი ხარ მაინც.

კონსტანტინ ლეონტიევიჩსაც მთელი ძალა უნდა მოეკრიბა, რათა თავი
შეუკავებინა და ეშმაკმა უწყის. რა არ ეთქვა ჭიუტი ცოლისათვის, რომელსაც
არაფრის შესმენა არ სურდა.

— ტყუილია, — იმეორებდა და თავს იქნევდა. — უბრალოდ იმის თქმა
მინდა, რომ ჩვენ ყველას უფრო გაგვიადვილდება ცხოვრება, თუ დავუბრუნ-
დებით იმ დროს... გახსოვს? ჩვენ მუდამ თითქოს ბედნიერების კარიბჭესთან
ვიდექით. ნუთუ გადავეჩვიეთ? მე და შენ ერთხელ... არ მახსოვს, არ ვიცო,
როდის იყო... მე და შენ უცებ გადავწყვიტეთ, რომ ყველაზე ბედნიერი ადამი-
ანები ვართ ამქვეყნად. ხოლო სრული ბედნიერებისათვის არ გვყოფნის სულ
ბაწია, სულ მცირე რამ — თღონდ კი ჩვენი შვილი უცხო ენებზე შევიდეს! ახ-
ახ-ახ! განა ესაა ბედნიერება? არსებობს კი იგი საერთოდ? ესე იგი, კი არსე-
ბობს, რა თქმა უნდა, მაგრამ რა არის ჩვენთვის ბედნიერება? აი, რაა თავიდათა-
ვი. ჩემი აზრით, მე და შენ ძალიანაც ვცდებით, როცა ვფიქრობთ, რომ კატკა-
სავის უკეთესი იქნება, თუ საკუთარ თავს დავივიწყებთ! სისულელეა! — იმე-

ორებდა ის დაბეჭითებით. -- თუ ჩვენ თვითონ გავიხარებთ სიციცხლით, გავიხარებთ, რომ ჩვენი შვილი ცოცხალია და ჯანმრთელი... თუმცა რა მზლპარაკებს! ისევ არ მისმენ. ესეც უბედურებაა! ჩვენ აღარ ვუსმენთ ერთმანეთს. შენ წინასწარვე იცი, რასაც გეტყვი, და მეც ვიცი ყველაფერი. *წინასწარვე იცი, რასაც გეტყვი.* იქნებ სჯობდეს გავეჭვოთ ერთმანეთს?

— იქნებ სჯობდეს, — ეთანხმებოდა ალა ნიკოლაევნა.

მაგრამ ერთმაც და მეორემაც მშვენიერად იცოდა, რომ არასოდეს არ გაიყრებიან, რადგან ერთმაც და მეორემაც იცოდა, რომ უერთმანეთოდ დაილუპებებიან. სწორედ ამიტომაც ლაპარაკობდნენ ასე იოლად გაყრაზე, თითქოს ეს იყო ერთ-ერთი ის სალანძღავი სიტყვა, რითაც ისე უხვად აჯილდოვებდნენ ერთმანეთს. შორიდან მაცქერალს ეგონებოდა, ორი მოძულე ადამიანი ჩხუბობსო.

მაგრამ ეს აღრეც მომხდარა ხოლმე, ხოლო რაც ახლა ემართებოდათ, ესე იგი ყრუ გაუგებლობა და გამუდმებული, სასოწარკვეთილი სურვილი კეთილად და ალერსიანად მოპყრობოდნენ ერთმანეთს, რაღაც შესაბრალისი და ამო წაბაძვა ბედნიერი ცხოვრებისა, რასაც აბათილებდა მორიგი წაჩხუბება, უსპობდა მათ იმის იმედს, რომ ეს მდგომარეობა ოდესმე მაინც გამოკეთდებოდა.

დამანგრეველმა ძალამ დაიბუდა მათ სახლში.

და უცებ — ქალიშვილის მოულოდნელი გათხოვება.

— სერიოჟა მოსულა! — მხიარულად წამოიძახებდა კონსტანტინ ლეონტიევიჩი, საკიდზე თხელ ლიბადას რომ დაინახავდა. — რაღა თქმა უნდა, ისევ წვერია?

შედიოდა შვილთან, ესალმებოდა. სავარძელში მოკალათდებოდა და მოულოდნელად და ისევ მხიარულად იკითხავდა:

— აბა ერთი ეს მითხარით, სერიოჟა, ბავშვობაში ხველების დროს რას ვასმევდნენ? თქვენ იცით, რა არის დანიის მეფის წვეთები?

— სიმღერიდან ვიცი. — პასუხობდა ყმაწვილი კაცი, ვითომც არაფერიც.

— ესე იგი?!

— „დანიის მეფის წვეთები სვით ხოლმე, კავალრებო!“. თქვენ? — ჰკითხავდა უმალ, თან ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა კონსტანტინ ლეონტიევიჩს.

— მე? მე სიმღერიდან არ ვიცი... ჰოო... დასანანია! მაშასადამე, არ გცოდნათ დანიის მეფის წვეთები. დასანანია. გემრიელი რამაა. ზოგჯერ განგებ ავიტეხავდი ხოლმე ხველას, რომ წვეთები დაეღვეინებინათ. მე ვფიქრობ, როდესაც ბავშვობას ანისულის წვეთების სუნი ასდის, ეს სამუდამოა, ეა ძალზე... არ ვიცი... ამას ვერ ახსნი კაცი. თქვენ კი უთუოდ აბებს გაყლაპებდნენ. საწყალო! საინტერესოა, რატომ აღარ ამზადებენ იმ წვეთებს? როგორ თქვით? „დანიის მეფის წვეთები სვით ხოლმე, კავალრებო!“. კარგია! არ მსმენია, კარგი სიმღერა უნდა იყოს, ახლა იშვიათად თუ ვხვდები ხოლმე ადამიანებს, ვინც ეს წვეთები იცის...

და კონსტანტინ ლეონტიევიჩი, ქმუტუნ-ქმუტუნით, აჯაგრული ბაგის წკლაბუნით გადიოდა ოთახიდან, სხვა აღარაფერი ჰქონდა სათქმელი სერიოჟასა და კატკასათვის.

რას ლაპარაკობდნენ მასზე, მარტოკანი რომ რჩებოდნენ, რას ფიქრობდნენ, არ იცოდა. თუმცა არც აინტერესებდა.

გამოცდების დრო ახლოვდებოდა. კატკა წინანდებურად გულჩახვეული და კუშტი ხვდებოდა ამ დღეებს. თავისი თავი აღარ ახსოვდა. გახდა, გაყინული, დაღლილობისაგან რალაცნაირად გამოვარდისფერებული თვალები ადგნებულად უგიზგიზებდა. ადვილად ფხუკიანდებოდა და თითქმის პირს არ აკარებდა საკმელს.

ურჩმა და თხელმა ქერა თმამ ისე მოაბეზრა თავი, ერთხელ საპარიკმახე-როში წავიდა და მოდის მიხედვით ააფუშფუშებინა; წვრილად დახვეული, აფუებული თმის ქვეშ სახე მთლად გაელია და ცხვირიც წაუწვრილდა.

თავი დიდი გამოუჩნდა, სახე კი მთლად მუკის ტოლა.

ალა ნიკოლაევნამ შვილის ახალი ვარცხნილობა რომ ნახა, გაკვირვებულმა ხელები გაასავსავა, მაგრამ გონს მოვიდა და ძალზე გაოგნებულმა დაბნეულ-მა უთხრა:

— რა უშავს? ახლა ეგრე იკეთებენ. არ ვიცი, მაგრამ... მე რომ მკითხო, სულაც არ არის ცუდი. შენ თვითონ მოგწონს? ჰოდა, ძალიანაც კარგი...

მაგრამ როდესაც შვილთან მივიდა, ხელი უნებურად მოუხვდა ზამბარი-სებრ და ხეშეშ თმაზე. ვილაც სიმპათიური ღიაფერისკანიანი ეთიოპელი ქალის თმას რომ დამსგავსებოდა, შვილს ლოყაზე აკოცა და მიტრიალდა, რათა მოუ-ლოდნელი ცრემლები დაემალა.

კონსტანტინ ლეონტიევიჩმა კი, შვილი რომ დაინახა, გაიცინა და თითქოს მასა და ცოლს პირი შეუკრავთო, ადისაბებელი გოგო ხარო, უთხრა.

იმ დღეებში შინ არავინ ლაპარაკობდა გამოცდებზე. კონსტანტინ ლე-ონტიევიჩს და ალა ნიკოლაევნას დროებით დაავიწყდით ჩხუბი და ცდილობ-დნენ მხიარულნი და ბუნებრივნი ყოფილიყვნენ.

ეტყობოდა, სერიოზაც აღარ აცდენდა კატკას: ყოველ შემთხვევაში, ასე ეკონათ უფროს ზიამლინებს, ამით ხსნიდნენ, რომ აღარ დაიარებოდა, და აქე-ბდნენ კიდევაც, რა სათუთი და ინტელიგენტი ყმაწვილიაო.

არავის შესწევს ძალა გაუგოს საბრალო მშობლებს, რომლებსაც გაგიჟებით უყვართ თავიანთი შვილი, არავის შეუძლია გაზომოს, რაოდენ მძიმეა მათი ტანჯვა და გამუდმებული მღელვარება, რაც მათ ხვდათ წილად ინსტიტუტში მისაღები გამოცდების დღეებში. და თავდაჯერებული იუმორისტები ტყუილად ეჭიბრებიან ერთმანეთს გაზეთის ფურცლებზე ენამახვილობაში, ასეთ მშფოთ-გარე მშობლებზე რომ წერენ. ნეტავ აცოდინათ ამ ენამოსწრებულ ყმაწვილებს, რარიჯ იტანჯებენ საბრალო მშობლები, რომელთა შვილებიც ჯანმრთელობას ინადგურებენ. წლიდან წლამდე ცდილობენ შეაღწიონ ამორჩეულ ინსტიტუტ-ში, თან არა აქვთ არავითარი შეღავათი, და უკვე ძნელადღა სწამთ თავიანთი თავისა. შეფასების სამართლიანობისა, გამომცდელთა ობიექტურობისა, — ნე-ტავ აცოდინათ, რომ მშობლებს უკვე აღელვებთ მხოლოდ და მხოლოდ ჯანმრ-თელობა თავიანთი ქალიშვილისა თუ ვაჟიშვილისა, რომლებიც პატარაობიდან მიაჩვიეს ამორჩეული სარბიელისადმი შეუპოვარ და წმინდა დამოკიდებულე-ბას. ნეტავ აცოდინათ — მაშინ თავს დაანებებდნენ, ხოლო უკეთეს შემთხვევა-ში თანაუგრძნობდნენ, მაგრამ ძალზე ცოტა ვინშემ თუ იცის ეს, გარდა უბე-დურა მშობლებისა, რომლებმაც აღზარდეს პატროსანი და მეტისმეტად წესიე-რი შვილები; აღზარდეს ისე, რომ შვილებს ვერ წარმოუდგენიათ რაიმე წაშვე-ლია, რომელიმე ვავლენიანი ნათესავის ან ნაცნობის მხრივ სიტყვის შეწევნა, რაც უღელვებდათ პროფესიისაკენ მიმავალ გზას.

კატია ზიამლინა სწორედ ის აუტანელი ჭიუტთაგანი გახლდათ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედით რომ არიან და ეზიზღებათ ყველაფერი, არ ებასუხება მათ ცხოვრების პრინციპებს, რა თქმა უნდა, სწორედ განსაჯა/ უცხო ენათა ინსტიტუტში შესვლა რომ მოიწადინა: ათი წელი ახარჯა/ დნენ მას სახალხო სახსრებს, რათა ინგლისური ენა შეესწავლა... ვიღაცას რადიკალისათვის ხომ ესაჭიროებოდა ეს? მაშასადამე, უნდა გაამართლოს კიდევაც მასზე დახარჯული სახსრები და პროფესია მიიღოს. მაშ რატომღა სწავლობდა ენას?

მაგრამ მთელი ეს ლოგიკური მწყობრი ნაგებობა ჩამოიქცა და კატია ზიამლინა დაღლილი და გამოცარიელებული დაბრუნდა შინ, დაოფლილი ყვრიმალეები უპრიალეებდა.

— რა ჰქენი? — კარებშივე ჰკითხა ალა ნიკოლაევნამ.

შვილმა კი პასუხის ნაცვლად რაღაცნაირი მოწყურული მზერა აარიდა დედას და ძალზე მკაფიოდ თქვა:

— ოღონდ ნუ შექმნით ერთ ამბავს! — და გაიმეორა: — ოღონდ ნუ შექმნით ერთ ამბავს, დაეიღალე, და ყველაფერი მომბეზრდა, ყველაფერი!

ისე მაგრად მომუჭა ხელი, რომ თითების სახსრები გაუთეთრდა.

შეტი არაფერი უთქვამს დედისთვის, რომელიც მისი ოთახის კართან იდგა და უყურებდა, როგორ ანგარიშმიუცემლად აიღო კატიამ თაროდან ინგლისურ-რუსული ფრაზეოლოგიის ლექსიკონი. ფურცლაგდა და შიგ რაღაცას ეძებდა, ეძებდა, ეძებდა. ფურცლებს შრიალი გაჰქონდა მის თითებში, ლოყებჩაცვივნული სახე მოუთმენლობას დაემანჭა... გამშრალი ტუჩები რაღაცას ჩურჩულებდნენ, გეგონებოდათ, ვერაფერსაც ვერ ხედავს ლექსიკონში. სტრიქონები თვალწინ გაერთიანებიანო, ისეთი გაუცხოებული, ავზნებული და მოუთმენარი მზერა ჰქონდა, ალა ნიკოლაევნა უცებ მიხვდა, რომ შვილი ვერც მას, კარის ლიობში ძეგარ დედას ხედავს.

უცებ კატიამ სქელი ლექსიკონი საყურნალო მაგიდაზე დადო, ბეჭებში მოაკაკვა და შემცივნული, სნეული ჩიტივით აიბუზა, უცნაურად დაწყობილი თმა, გაწამებულ შესახედაობას რომ აძლევდა მის სახეს, ფუშფუშა ბურთივით გადოეკიდა გაპრიალეებული მაგიდის სარკისებრ ზედაპირს, ნელა მიაბრუნა თავი დედისკენ, მშრალი თვალებით გაუღიმა და შემაშინებლად ნალვლიანი ღიმილით კიდევ ერთხელ უთხრა:

— ოღონდ ნუ შექმნით ერთ ამბავს... — და მიაპყრო დედას შივ უბებში ჩაცვივნული თვალები.

— რას ამბობ, კატიუშა! ევრე როგორ შეიძლება! შეგვიბრალებ მე და მამაშენი, რა ერთ ამბავს ამბობ? ახლავე, ახლავე... რა ხდება ჩვენს თავს!

იგი გაქანდა სამზარეულოში, მაცივრიდან გამოიღო ბორჯომის ბოთლი, კარგა ხანს ეძება გასახსნელი, დანა-ჩანგალს და კოვზებს სულ ჩხრიალი გაუღიოდა... აცახცახებული ხელებით ჩაასხა ჭიქაში ბუშტუკებიანი ცივი წყალი და წაუღო, გზადაგზა ეღვრებოდა. შვილი კი, რომელიც ისევ ისე იჯდა, მოსულ-ღელ-ნალვლიანი ღიმილით შეეგება ჭიქა გამოართვა და უცებ ხელიდან გაუვარდა, ჭიქა გატყდა, წყალი დაიღვარა.

ალა ნიკოლაევნა ჩვრით ხელში აგროვებდა ნამსხვრევებს, ფრთხილად იწყობდა ხელისგულზე და იატაკზე წყალს ამშრალეებდა.

— აი... ხომ ხედავ... ჭიქა გატყებ, — ეუბნებოდა ჩქარ-ჩქარა, — ეს ბედ-

ნიერების ნიშანია... ჭურჭელი რომ ტყდება... არაფერია. შენ დაწეჭი — დაისვენე. ჩემო პატარავ. ძალზე დაილაღე. მესმის შენი.

თვითონ კი ჭიქა სამზარეულოში გაიტანა და შიშით შვილის ოთახში დაბრუნება ველარ გაბედა. ყურმილი აიღო და ტელეფონთან ქმარი მოეხიზნა. მდივანმა ქალმა მკაცრად იკითხა: „ვინ კითხულობს?“

— მე ვკითხულობ, ღმერთო ჩემო... მე, მე! — იფეთქა ალა ნიკოლაევნამ. — ახლავე დაუძახეთ! ეს რასა ჰგავს!

ორი აუხსნელი შემთხვევა მოხდა კატია ზიამლინას ცხოვრებაში დროის ხანმოკლე მონაკვეთში, რასაც მისმა ფსიქიკამ ვერ გაუძლო და მძიმე დეპრესია შეეყარა.

პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა ინგლისური ენის გამოცდაში გაჭირვებით მიიღო ოთხიანი. მართლაც ძნელი ასახსნელია, რანაირად მოხდა ეს ამბავი. ზომაზე მეტად იღვლეა და პასუხი შეეშალა? არ უნდოდა საპასუხოდ გასულიყო იმ მაგიდასთან, სადაც ქალი იჯდა, და მაინც იქ მოუწია მისვლა? ერთიც, მეორეც, მესამეც. ან იქნებ იმ უცნაური ვარცხნილობის ბრალი იყო. მის სახეს მოსულელო და საცოდავ გამომეტყველებას რომ სძენდა?.. მკაცრი გამოძცდელის მტრული მზერა? მისი სქელი ოქროს ბეჭედი, რომელსაც ელვარე ამეთვისტოს თვალი ჰქონდა და ერთთავად ყურადღებას უფანტავდა, გულსუფურის მოკრებას უშლიდა? ძნელი ასახსნელია, რაღა სწორედ ინგლისურ ენაში უპასუხა ცუდად, როდესაც ეს ენა გაცილებით უკეთ იცოდა, ვიდრე ბევრმა აბიტურიენტმა, რომლებმაც მანამდეც და მერეც ხუთიანებზე ჩააბარეს. შემთხვევითობაა! მაგრამ განა ეს ახსნაა?

არა, ყოველივე ეს დიახაც აუხსნელი რამაა, ისევე, როგორც აუხსნელია საქციელი სერგეისა, რომელიც შემთხვევით შეხვდა ქუჩაში თავის ძველ ნაცნობ ქალს, ადრეულ სიჭაბუკეში სადარბაზოში რომ უკოცნია. ხოლმე, სახლამდე გააცოლა, გამოჰკითხა — რას შვრები და როგორ ცხოვრობო, მერე თავისი ამბავიც უამბო. ისიც კი უთხრა, ცოლის შერთვას ვაპირებო. მაგრამ ამას მაინც არ შეუჩერებია არც სერგეი და არც ის ქალი კვლავ განეახლებინათ შეხვედრები, ოღონდ უკვე არა სადარბაზოში, არამედ სერგეის ბინაში... ორი თვის მერე ქალმა უთხრა, ფეხმძიმედ ვარო, და ისიც, ვითარცა წესიერი და პატიოსანი კაცი, იძულებული შეიქნა ყველაფერში გამოტყდომოდა კატიას... ეს მოხდა მარცხით, დამთავრებული გამოცდის ორი კვირის შემდეგ.

— ჰოდა, კარგი. — გულგრილად უთხრა კატიამ. — ოღონდ ნუ შექმნი ერთ ამბავს. მაშ, ასეა საჭირო... შენ ნუ ღელავ... მე ისეთი არა ვარ, რომლებიც იცი... ავიშვიშდებიან! რომლებიც... ჩემთვის სულ ერთია... ყველაფერი მომბეზრდა... შენც მომბეზრდი, მაპატიე, და ნუ მიცქერი ეგრე, თუ შეიძლება. ვერ ვიტან, ეგრე რომ მიცქერიან... ჩემგან ნურაფერს მოელი: ნურც ცუდს, ნურც კარგს. კარგია, რომ მოხვედი და მითხარი... განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ასეთი რამ საკმაოდ ხშირია, მეტადრე მაშინ, თუ ნამდვილი სიყვარული არაა.

სერიოზა წავიდა, კატკა კი ისევ ისე იჯდა, სახეზე სრული გულგრილობა ეწერა.

— სერიოზა რატომ წავიდა? — ჰკითხა ალა ნიკოლაევნამ, როგორც ყოველთვის, მოუსვენარი, დაბნეული ხმით.

+ იმითომ, რომ სხვას ირთავს. — მიუგო კატიამ. თვალები მშრალი ჰქონ-

და და სახეზე ისეთი გამომეტყველება ეწერა. თითქოს არაფერიც არ მომი-
დარა.

— რანაირად? — ჩურჩულით ამოთქვა ალა ნიკოლაევნამ. — მის/სხადის
მაშინ. როდესაც შენ... — იგი ატირდა და იმწამსვე ცრემლები გადმოედინა
ლოყებზე. თითქოს თვალებმა ცრემლებად იფეთქეს. ტუჩები დაიჭრნენ.
კატკამ შეხედა და მშვიდად უთხრა:

— მე, დედა, საერთოდ აღარ მიყვარან ადამიანები. სერიოზულად არ მიყ-
ვარს. მე ის არ მჭირდება. აი, ცოტა ხანს იჯდა, მე კი უკვე დამღალა. შენც
წადი! — მკაცრად უთხრა მან. — ყველამ დამღალეთ. აღარ მიყვარან ადამიანე-
ბი. გესმის? იმიტომ, რომ მათ არ ესმით, რამდენი რამ დაჰკარგეს! კულტურა,
წარსულის ხსოვნა... ამდენი რამ დაჰკარგეს და არ ესმით. არც სერიოზულად ესმის.
წადი, დედა.

— ღმერთო! შვილიყო! ეგ გაგივლის, -- შეემუდარა ალა ნიკოლაევნა.
— ეგ გაგივლის. დაისვენებ — და ყველაფერი გაივლის.

— შენ ეგრე ფიქრობ? — გაკვირვებით ჰკითხა კატკამ და უსიციოცხლოდ
გაუღიმა. — ნეტამც...

მაგრამ ამას არ გაუვლია. კატია ზიამლინას მდგომარეობა დღითი დღე უა-
რესდებოდა. და დადგა დრო, როდესაც ეჭიმებმა ურჩიეს, ვიდრე გვიან არ
არის, სულით ავადმყოფთა სამკურნალოში დააწვინეთო.

ყველაფერი დაინგრა ზიამლინების ოჯახში. ორივემ — ალა ნიკოლაევნა-
მაც და კონსტანტინ ლეონტიევიჩმაც — დაკარგეს უნარი იმის გაგებისა, თუ რა
ხდება მათ თავზე და საერთოდ როსთვისდა უნდა იცოცხლონ ამიერიდან.

კონსტანტინ ლეონტიევიჩს დაბნეულობა და გულშავიწყობა დასჩემდა და,
რაც სრულიად არა ჰგავდა მას, დაიწყო ბევრი და ხარბი ჭამა. გამუდმებული
შიშნის გრძობას განიცდიდა, სწრაფად სუქდებოდა, სულ რაღაც სამიოდე
თვეში თანთალა, ყვითლად მოპრიალე ლოყები დაედო. ქოშინი მოერია ულ-
კაშები თამბაქოს კვამლისაგან გაუყვითლდა, თვალებმა ცრემლვა დაუწყო...

ალა ნიკოლაევნას კი თითქოს სულ ერთთავად ენა ებმოდა, ავიწყდებოდა
სიტყვები, ხოლო ზოგჯერ აზრიც იმისა, რაზეც ეს არის ახლა ლაპარაკობდა.
ახალი ეესტი გაუჩნდა: როდესაც ლაპარაკი უფერხდებოდა, სწრაფად აიქნევდა
ხელს. თითქოს სახიდან იშორებდა უხილავ აბლაბუდას, ენასაც იშველი-
ებდა, აგრეთვე ძალზე სწრაფად, და რაღაც შეშფოთებით ილოკავდა ტუჩებს.
შიში დასჩემდა, ტელეფონის ან კარის ზარის ხმაზე კრთებოდა. ასეთ წუთებ-
ში სახე ისე შეეშლებოდა, თითქოს ვიღაც სასტიკმა და ღონიერმა ხელი მოუქ-
ნია, ის კი ემალება ამ აქნევას და უნდა აიცილოსო. იყიდა, რაც კი რამ უაბ-
ლესი და ძალზე ძვირა წამლები იყო და ასმევდა და ასმევდა კმარს, რომელსაც
სამუდამოდ დავიწყებოდა დანიის მეფის წვეთები და არ ეწინააღმდეგებოდა

საერთოდ ალა ნიკოლაევნას ძალზე უცნაური ქცევა დასჩემდა. როდესაც
ვლადიმირიდან ჩამოუვიდა დეიდაშვილი, რომელიც ორ წელიწადზე მეტი იყო
არ ენახა, ალა ნიკოლაევნა შეშინებული შეხვდა კარებში. ხოლო როცა იცნო-
მყისვე ჩართული ტელევიზორისაკენ გაემართა:

— წამო ჩქარა. ნასტია, მოხერხებულად დაჭექი. ახლა გადაცემა იქნება.
აუღ ვუყურებ ხოლმე ამ გადაცემას. აი ის ღმერთო! „ცხოველთა სამყაროში“

რომ ჰქვია. ვნახოთ და მერე ვისაუბროთ. მე შენ ყველაფერს გაიამბობ და შენც ყველაფერი მომიყევი. ბარგი მანდ მიაგდე სადმე... მერე ვისაუბროთ.

მოუსვენარი მზერით მიეაღერსა თავგზადაბნეულ დაიას, თვითონ კი უკვე იქ იყო, მინის თხელ ზედაპირს უკან. სადაც ნაცნობი მუსიკის ჰანგზე უკვე გამოჩნდნენ მულტიპლიკაციური მაიმუნები, რომლებიც გიწვევდნენ ყველაფერს წეროები, რომლებიც აღვითქვამდნენ ყოველგვარ სასწაულთა სამყაროს, რასაც ერთვოდა გადაცემის წამყვანის, ნიკოლაი ნიკოლაევიჩის მომზიბლველი ღიმილი.

ალა ნიკოლაევნა ბედნიერი და მწარე ღიმილით შესცქეროდა მარტორქებს, რომლებზეც პატარა თეთრი წეროები შემსხდარიყვნენ, და მონუსხულივით უსმენდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩის ახსნა-განმარტებებს, სიტყვასაც კი არ სტოვებდა. მხოლოდ ზოგჯერ თუ გამოეთიშებოდა და ამბობდა:

— ოი, ნასტენკა! როგორ მიყვარს ეს გადაცემა! ნეტავი გაცოდინა! ესა და კიდევ... აი ის... რა ჰქვია! აი ის... „აშკარა — დაუჯერებელი“. ახლა არც ერთ ამ გადაცემას არა ვტოვებ. აქ ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი თურმე მარტივი ყოფილა... და ერთბაშად მიმშვიდდება სული. აი იმ „აშკარა — დაუჯერებელში“. რა თქმა უნდა, ყველაფერი არაა გასაგები, მაგრამ მაინც... სულ ერთია, ვმშვიდდები ხოლმე. გაუგებარს როცა უყურებ და ზედავ, რომ სხვებისთვის ეს ყოველივე გასაგებია, ესეც ხომ ამშვიდებს ადამიანს. ხომ მართალია? მაშ ასე ყოფილა საჭირო. სხვებს ესმით, შენ კი არა. არ მიყვარს ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი ესმით, არა მჯერა მათი. აქ კი უყურებ და ფიქრობ: ღმერთო, რა ჭკვიანი ადამიანები არიან. ეს რალაცნაირად მამშვიდებს... ყველაფერი იციან, ჭკვიანები არიან, სიმპათიურები. გაიფიქრებ შენს თავზე, მთლად სულელი არა ვყოფილვარო, და მაშინვე შვებას იგრძნობ... — და უსიცოცხლოდ იღიმებოდა, ეკრანზე გამოჩენილი ახალი სურათი იტაცებდა. — ღმერთო ჩემო! ეს რაღაა? შეხედე, შეხედე, რანაირი კუდი აქვს. ნამდვილად ვირთხას კუდივით ცივი ექნება.

ნასტია შემცბარი უქნევდა თავს და თვითონაც იღიმებოდა, მაგრამ მისი ყურადღება მიეპყრო არა იმ ცხოველებსა და მათ კუდს, არამედ მის დაიას, რომელსაც ველარ ცნობდა.

ახალი, უკვე თავს დატეხილ უბედურებაზე უფრო საზარელი უბედურებია გულგამგმირავი წინათგრძნობის ბრალი იყო, თუ პირწმინდად დაწყვეტილ-დაწეწილი ძარღვებისა, — ოღონდ ალა ნიკოლაევნას მართლაც ველარ იცნობდა კაცი. თვალები ერთბაშად გამოუთავყვანდა, ახლა ყველაფერს, რაც მის ირგვლივ იყო, რალაცნაირი არაჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა. ახლა ძალზე იოლი იყო მისი წყენანება სულ უბრალო, შემთხვევით წამოცდენილი სიტყვით, ხოლო მისი ცოტა არ იყოს სულელური მიმნდობლობა გამუდმებულ შიშს უფრო ჰგავდა, თითქოსდა თვით დარდა ან უბედურება კი აღარ აშინებდა, არამედ თავისი შიში. ან უფრო ზუსტად — თავისი თავი, რომელსაც აღარ შესწევდა უნარი აეტანა რაიმე ელდა, ცრემლები და დაფეთებული წამოკივლებანი. ეჭიმებმა მშვიდი ცხოვრება ურჩიეს, არ იღელვოთო, უთხრეს, და ისიც, როგორც შეეძლო, ცდილობდა ეცხოვრა სწორედ ისე, როგორც ურჩიეს. და თუ ადრე ადამიანებს ყოველთვის ამჩნევდა რაიმე ნაკლს, რაც აღიზიანებდა და რაზე აღშფოთებული ლაპარაკიც არ ბეზრდებოდა, ახლა

მისთვის ყველა ადამიანი თითქოსდა ერთნაირი მშვენიერი და უწყინარი გახდა. ეგ კი არა, ვინმე ჩაბინძურებულ, დაბიჟინებულ ლოთს რომ ნახებდა, ცდილობდა კეთილად ეფიქრა მასზე, ცდილობდა რამენაირად გაეშორებინა. „მერე რა, — თითქოს შეაგონებდა ვიღაცა. — მაშასადამე, ასე სჭირდება, მაშასადამე, სხვაგვარად ცხოვრება არ შეუძლია საბრალოს. რაინაა ეს მშვენიერება! რა ლამაზი და ჯან-ლონით სავსე ვაჟკაცი შეიძლებოდა ყოფილიყო და რა ცივში ჩაუვლია თავი. არადა, ეგეც — ხომ სწავლობდა სკოლაში, ეარზიყებოდა ვიღაც გოგოს. შეყვარებული იყო, ოცნებობდა... ოხ, საბრალო, საბრალო!“. ასე ფიქრობდა ვხლა, როცა გვერდით ჩაუვლიდა ვინმე ლოთს, რომელიც წინათ ზიზღისა და გულარძნილობის მეტს არაფერს აღუძრავდა.

იგი თითქოს მიხვებდა ვიღაც მრიახანე ძალმოსილის ნებას და მისგან გამოელოდა მარტოოდენ ერთ რამეს — კეთილგანწყობილებას ან თუნდაც შეწყობილებას.

მაგრამ, ვაგლახ, შეწყობილება არსად იყო, ერთხელ კარზე მოესმა ზარი, რომელმაც შეაკრთო, კარის გასაღებად გაეშურა, ხოლო როდესაც მიიღებინა, გაიგონა, რომ იქ, კიბის ბაქანზე, რომელსაც მუდამ კრიალი ვაჭქონდა და მოზაიკური ორნამენტით ხალიჩას მოგაგონებდათ, — იქ, თეთრი ღირსებიანი კარის მიღმა, რაღაც მძიმედ და შემზარავად დაებრეხვა... იგი ჯერ კიდევ ვერაფერს მიმხვდარიყო, მაგრამ უკვე იგრძნო, მთელი არსებით შეიცნო, რომ იქ ადამიანი დაეცა და თავი იატაკს დაარტყა.

ასე მოულოდნელად გარდაიცვალა კონსტანტინ ლეონტიევიჩ ზიამლინი ფიქრიანი ღიმილით შეხედა თავის ყოფილ თანამშრომლებს შავ ჩარჩოში ჩასმული სურათიდან, ხოლო მერე გამოჩნდა წითელ კუბოში, სამგლოვიაროდ მორთულ საკონფერენციო დარბაზში რომ ესვენა.

იგი მოკვდა, თავისი სახლის მეხუთე სართულზე ასული, ძალა არ იყო, ჯიბიდან გასაღები ამოეღო, ისღა მოახერხა, ზარის ღილაკს მისწვდენოდა, თითი დააჭირა და დაეცა.

მოკვდა ფეხზე მდგარი, როგორც ამბობდნენ ინსტიტუტში, უკვე მკვდარი იყო, როდესაც დაეცა. ქვის იატაკზე თავის დარტყმის ხმა, ალა ნიკოლაევიჩამ რომ გაიგონა, უკვე მკვდარის თავის დარტყმის ხმა იყო, კონსტანტინ ლეონტიევიჩს გული გაუხსკდა და წამში გათავდა, ვერც კი მოასწრო ვერაფრის გაგება, თუმცა საბრალო ალა ნიკოლაევიჩა, ვიდრე ქმარი კუბოში ესვენა, სულ თავზე უსვამდა ხელს, რადგან მთელ ქვეყანაზე მარტოოდენ მან გაიგონა ის შემაზრუნენი ხმა ქვის იატაკზე დაბრეხვებისა.

მას აქვთ ვერა და ვერ მოეშორებინა ის საბედისწერო ხმა, თითქოს სამუდამოდ შეეჭრა თავში, სადაც უკიდურესად დაძაბული ტვინის ხმაურში იშვიათად, მაგრამ მაინც გაისმოდა მაგარი დარტყმის ხმა, თითქოსდა თვით მისი თავი ეცემოდა ქვის იატაკზე. ალა ნიკოლაევიჩა თვალებს ხუჭავდა და ყურებზე ხელებს იფარებდა, მაგრამ ეს არ შველოდა, იმიტომ რომ ეს ხმა მისი ომღერეული ცნობიერებიდან მოდიოდა.

ასე სავალალოდ შეიტყო რამდენიმე ასეთმა კაცმა ამბავი ზიამლინიჩის პატარა ოჯახისა, რომელსაც უბედურება დაატყდა თავს. მაგრამ იმათგან, ვინც შეიტყო, ბევრმა მალე დაივიწყა ისინი. მართალია, ინსტიტუტში ეს გვარი შე-

დარებით კარგა ხანს ახსენებდა თავს განსვენებული კონსტანტინ ლეონტიევიჩას მიერ ხელმოწერილი რალაც საბუთებით. ანდა როდესაც ვინმე გაგულისებოდა იკითხავდა: „ვინ გასცა ასეთი განკარგულება? ეს ტექნოლოგია რომ მივიღოთ, ზედმეტი ნახევარი წელიწადი უნდა დავკარგოთ! ვინაა ასეთი პედანტი? გეგმა გვივარდება, დალახვროს ეშმაკმა!“. და როდესაც გაგულისებულად ადამიანს ეტყოდნენ, ყოველივე ამას ჯერ კიდევ ზიამლინმა მოაწერა ხელით. ის მოიღუშებოდა და მომბალი კილოთი გასცემდა განკარგულებას, ხელახლა გადახედეთ გადაწყვეტილებას და საქმე დააჩქარეთო. „დრო რომ მქონდეს, მეც ზიამლინივით ვიმუშავებდი. მაგრამ არა მაქვს! სამინისტროში მახრჩობენ“. — ამბობდა ისე. თითქოს კონსტანტინ ლეონტიევიჩს კი მქონდა ორი სიცოცხლე, ან. ყოველ შემთხვევაში, ერთი ძალზე ხანგრძლივი სიცოცხლე. რომელიც ნებას რთავდა ფუფუნება გამოეჩინა, არ ეჩქარა და ყველა დეტალი წვრილად კარგად მოეფიქრებინა და აეწონ-დაეწონა. ეს თვისება მართლაც ახასიათებდა ზიამლინს. რომელსაც უყვარდა ცნობილი გამოთქმა: არ შეიძლება ქალს ცხრა თვეზე ადრე მოალოგინებინოთ, თან დაურთავდა: რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები ყოფილა, დაბადებულან უღლეური ბავშვები. მაგრამ შემთხვევა შემთხვევაა, ჩვენ კი სერიოზული ხალხი ვართ და შემთხვევის იმედზე ყოფნა არ შეგვეფერისო; ამას ამბობდა. თან იღიმებოდა თავისი მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი უღვაშებით. ზიამლინის დროს ინსტიტუტი ხშირად იყო ჩამორჩენილი: აგვიანებდა დაგეგმილი სამუშაოს დროულად ჩაბარებას, მაგრამ ზიამლინი მისთვის დამახასიათებელი მომნუსხავი მომხიბლველობით ახერხებდა დაერწმუნებინა უფროსობა, რომ დაყოვნება აუცილებელია. ინსტიტუტი ლამის ყოველთვის ჩამორჩენილებში მიჩანჩალებდა და ზიამლინიც ხშირად ღებულობდა საყვედურებს. ახლა კი, როდესაც ზიამლინი აღარ იყო, ერთი წელიწადიც არ გასულა, რომ ინსტიტუტმა საქმე გამოასწორა. მოწინავეებში გადაინაცვლა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა რაიონში. ზიამლინიც თანდათანობით დავიწყების მისცეს, ხოლო თუ ვაიხსენებდნენ, მხოლოდ და მხოლოდ წარსულ საქმეებთან დაკავშირებით „რაც გინდათ თქვით, — იტყოდა ზოგჯერ რომელიმე მისი ყოფილი თანამშრომელი. — მაინც მასთან მუშაობა უფრო საინტერესო იყო. მიუხედავად ყველაფრისა, სასარგებლო პროდუქტი მეტი გვქონდა. საიმედოდ ვმუშაობდით. ახლა კი პარტუაპურტყით ვუშვებთ და ვუშვებთ... რალაც ბორბლებს“. თუმცა უფრო ხშირად კიცხავდნენ, იმასაც კი იხსენებდნენ, ერთხელ, მანქანის გამოცდისას, სამინისტროს წარმომადგენელმა რომ თქვა. არარაობააო... „მაგრამ მაინც, — შეესიტყვებოდა ვინმე და პაპიროსს მოქაჩავდა. — მასთან შესვლისას ყოველთვის გინდოდა პალსტუხი გაგესწორებინა. ეს კი რალაცას ნიშნავს. გარემოს ქმნიდა ისეთს! მე ის მიყვარდა“.

უცნაური მოსასმენი იყო ასეთი ლაპარაკი ზიამლინზე, რომელსაც ახლა წარსულ დროში მოიხსენიებდნენ. ყოველთვის ყველას ეგონა, რომ ის თვალის რომელიც ზეციდან გადმოსცქეროდა და შეჰხაროდა თავის ქმნილებას, ამ ადამიანისათვის გამონაკლისს დაუშვებდა და მარადი სიცოცხლით დააჩილდოებდა. ზოგჯერ გეგონებოდათ, თვით ზიამლინიც ასეთივე აზრისა იყო თავის თავზე: სხვისა არ ვიცი, მე კი ეს გამონაკლისი განაღდებული მაქვსო — თითქოს ეწერა თვალეებში, ნაცრისფერ მარმარილოსავით რომ უელავდა. რალა თქმა უნდა, დასანანი იყო მისი სიკვდილი.

აღარაფერს ვამბობთ ალა ნიკოლაევნაზე. რომელიც ქმრის სიკვდილის მე-
რე ნილად გაჭადარავდა. ეგ კი არა. თითქოს წამწამებიც გაუთეთრდა.

განვლო ერთმა წელიწადმა. ერთხელ ალა ნიკოლაევნამ თმა შეიღებდა და
წითურ, მსუქან და მოსულელო მიაპიტ ჯამბაზს დაემსგავსა.

სამუშაოზე წასვლისას ტუჩებზე პომადის წასმა და უჩინებლად შე-
ღებვა დაიწყო.

სამუშაო რთულიცა აქვს, თუ გავითვალისწინებთ, სადაც მოეწყო, და
საესებნით მარტივიც. იგი მოეწყო საჭმლის მიმტანად იმ საავადმყოფოში, სადაც
ძკურნალობს მისი უკვე სრულიად გულდაბნული შვილი.

საუზმის, სადილის, სამხრის, ხოლო მერე ვახშმის შემდეგ, კაც-
მა რომ თქვას, საქმე არცა აქვს. ალაგებს ქურჭელს მაგიდებიდან. წაიღებს
გასარეცხად, ისაუზმებს ან ისაიღებს. ამოირჩევს გემრიელ ნაჭერს — ქათმის
ბარკალს, სუფრას გადააფარებს მაგიდას დაცარიელებულ სასადილოში. საქ-
მელს მიაერთმევს ექიმებს, მედღებსა და მომვლელებს. უფრო გემრიელ და მსუ-
ქან ნაჭერს იმას გადაუღებს, ვინც მის შვილს მკურნალობს ან უვლის.

— აი ისა... — იწყებს მოყოლას, რომელიმე მომვლელის მაგიდასთან მიმ-
ჯდარი. — მე ოდესღაც ძალიან მიყვარდა ქურჭის კეთება... იცით, რა არის?
მაიონეზით უნდა დამზადდეს, ჯერ აიღებთ ერთ ფენა მაიონეზს, მერე დაადებთ
კარტოფილს, ასევე ფენებად, მერე სტაფილოს, წვრილად დაჭრილ ქაშაყს, ზე-
მოდან კი ისევ ფენა-ფენა კარტოფილსა და მაიონეზს. ისეთი გემრიელია. თი-
თებს ჩაატკვერთ! ქურაში უნდა შედოთ, რა თქმა უნდა. ძალზე შებრაწული
და წენიანი რამე გამოდის!

მას უსმენენ. ხოლო ვინც არ იცის ქურჭის ამბავი, განშეორებით ეკითხება.
რადაცას აზუსტებს და რეცეპტსაც კი იწერს. ასეთ წუთებში ალა ნიკოლაევნა
ძალზე კმაყოფილია და წვრილად უხსნის, განუმარტავს, უზუსტებს, იხსენება
რადაც საკუთარ საიდუმლოებებს.

— ჩემს ქმარს გაგიყვებით უყვარდა. — დაურთავს ხოლმე გაუბედავი ამო-
ღმვინვით.

ბალეტის ამბავსაც პყვება. ოღონდ ძალზე იშვიათად და მხოლოდ მაშინ,
თუ მარტოკა დარჩება ვინმესთან და მოწმე არაფინა პყავს. თითქოს თვითონაც
არა სჯერა თავისი მონაყოლი.

მაინც ყველამ იცის, რომ საბალეტო სკოლაში სწავლობდა, რომ ტრავმა
მიიღო, რის შემდეგაც იძულებული შეიქნა ცეკვისათვის თავი დაენებებინა:
„იციან, რომ მისი შვილი, რომელსაც პატარა ბალლივით აქმევს და სულ ეხვეწე-
ბა, აბა ეს ქამე და ეს დალიეო, რაზეც კატია ყოველთვის ჩლუნგად პასუხობს:
„ოღონდ ნუ შექმნით ერთ ამბავს“. — ოდესღაც ინგლისური სკოლის ვარსკვ-
ლავი იყო. მაგრამ გამოცდებს ვერ გაუძლო და აქ ამოპყო თავი. იციან, რომ
მისი ქმარი დიდი მოღვაწე იყო და პერსონალური ავტომობილით დადიოდა,
რომ მას აქვს სამოთახიანი ბინა, რომელიც იაუზას გადაპყურებს და რომელ-
ნიც ახლა იგი მარტოკა ცხოვრობს. მაგრამ იმედი აქვს შვილის გამოჯანმრთე-
ლებისა, მომავალი ცხოვრებისა და შვილიშვილებისაც კი.

იგი, მგონია, ყველას ეცოდება და უყვართ.

— აი ისა... — გაუბედავად უწყებს ლაპარაკს რომელიმე ექიმს, — მე, რა
თქმა უნდა, ბევრი არაფერი მესმის, იქნებ ვურევ კიდევაც რამეს... მაგრამ აქ
ერთმა ნაცნობმა ქალმა მითხრა, რომ ჩვენი გალაკტიკა ვიწროვდება. და ამი-

ტომაც დრო უფრო სწრაფად გარბის. მე კი ვფიქრობ, რომ სცდება. მე ვფიქრობ, არ მახსოვს, წავიკითხე, „ნაუკა ი ფიზნ“ წერდა თუ ტელევიზორი ვნახე „აშკარა — დაუჭერებელში“, ზუსტად აღარ მახსოვს... მაგრამ მე ვიცი, რომ თქვენს, რომ ჩვენი გალაქტიკა ვიწროვდება, ეს სწორია. მაგრამ ფიქრებს ვერ გამოუფრო ნელა მიედინება... მაშ რა გამოდის? ჩვენ უფრო დიდხანს ვიფიქრებთ თუ რაო? თქვენ როგორ გგონიათ? ან ისა... ვერაფერი გავიგე. ჩემი აზრით, ის ჩემი ნაცნობი სცდება... — ფიქრიანად ამბობს და პასუხს არ ელოდება. — ჩვენს გალაქტიკა ვიწროვდება, ეს კი ასეა, მაგრამ დრო უფრო ნელა მიედინება. ჩემი აზრით, ასეა. მე ასე გავიგე.

და სახეზე ეფინება ღრმა ჩაფიქრების გამომეტყველება. ვიდრე უცებ გონს არ მოეგება და ხელის აქნევით არ მოიშორებს სახიდან უხილავ აბლაბუდას...

— მამატივით, რა თქმა უნდა, ჭამის მადას გიფუჭებთ ჩემი შეკითხვებით, — იტყვის და გიჟმაყი ღიმილით გაიქცევა სამზარეულოში მეორე თავი კერძის მოსატანად.

გაზაფხულზე მღვრიე იაუზას ძველებურად თავს დასტრიალებენ თოლიები და ადამიანებს უხარიათ თბილი ამინდის დადგომა.

ზიამლინების ბინის ფანჯრები ზამთრისებრ მქრქალად და ყრუდ გადასცქერიან მზით გაბრწყინებულ მოსკოვს, ტროტუარებზე აჩქარებით მიმავალ ადამიანებს. მღუშარედ მორიალე თოლიებს, დამტვერილი ფანჯრები რა ხანია არავის გაუწმენდია. ბინაში ავეჯს ხელისგულს რომ დაადებთ, ზრაშენი გაუდის ქალოქის მძიმე მტვერს, მჭვართლის ხეშეში ნაწილაკები რომ ურევია, მტვერსასრუტის გარდა ვერაფრით ასწმენდ. მაგრამ ეს შერე... „კატენკას გამოწერის დრო რომ დადგება, მაშინ დავალაგებ, — ფიქრობს ალა ნიკოლაევნა. — ფარდებს გავრეცხავ, იატაკს მოვწმენდ... ყველაფერს გავაკეთებ. ოღონდ კი კატენკა მალე გამოსწერონ. აგერ, თოლიები ისევ მოჰრინდნენ, ისევ გაზაფხულია. დახე, რარიგ უხარიათ! ბავშვებივით არიან! დაიღალნენ საცოდავები! რაც მათ იფრინეს... აბა ახლა დაისვენეთ. — გუნებაში ეუბნება თეთრ ფრინველებს. — სადაცაა ზაფხულიც დადგება“.

გასცქერის მათ მღუშარე რიალს და მათთან ერთად ხარობს. წითურ თმას ბზისგარება დაუკარგავს, ბურტყლივით ადევს თავზე. ტუჩებზე ღია ფერის პომიდა სცხია. მოკლე წამწამებზე შავი ტუში უსვია. დაღლილი თვალები მიაშიტი სიხარულით იცქირებიან, ნაოჭები ჩაღრმავებია

სპარსულიდან

თარგმნა გელა შალვაშვილმა



„შაჰ-ნამე“ ერთი ეპიკური

ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ საგმირო-ისტორიული ხასიათის ეპოსია, იგი ორმოცდაათამდე წიგნისა, ანუ ეპიკოსისაგან შედგება. ქართულ ენაზე ამ ეკვივაკო პოემის მრავალი ვერსია მოიპოვება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფირდოუსის ქმნილება საქართველოში მხოლოდ ლიტერატურის სფეროში არ მომწვედებოდა, მან ფართო გასაქანი ჰპოვა ფოლკლორის ასპარეზზეც, რასაც თვალნათლივ ნიშნობს ქართული ხალხური „როსტომიანის“ მრავალი ვარიანტი.

გბეჭდავთ თანამედროვე ლექსით ნათარგმნ „შაჰ-ნამეს“ ერთ წიგნს, ანუ ეპიკოსს — „ქეი-ქაუსს“. ეს ეპიკოსი გვხვდება როგორც ქართულ ლიტერატურულ, ასევე ფოლკლორულ ვერსიებშიც, თარგმანი იბეჭდება შემოკლებით.

ლაშქრად წასვლა მახანდარანს

აჰა, იზარდა... ნერგმან რგულმან აიშვა თავი,
ვერ დაფარა და — გამოიღო ნაყოფი ავი.

მწვანე ფოთლები გაუყვითლდა, შეერყა ძირი, —
იდგა კენწეროჩაქინდრული, ვითარცა მწირი.

ის-ის იყო და ბრძოლა ჩაცხრა, შიში და ძრწოლა
მიჩუმათდა და... მზადდებოდა ხელახლა ბრძოლა.

გოლესთანებში მშვიდად რონინს ნატრობდა თვალი,
მყოვარ ყაშს ქარქაშს დავანებას ნატრობდა ხმალი.

გარნა ნუ გიკვირთ თუ ღვივდება მძნელობის თესლი,
მას ხომ საძირკვლად ადრიდანვე დაედო გესლი.

ხაზინა, განძი, არ ნაპოვნი მუქთად და უცბად,
დიდი ლაშქარიც ჩააბარა მშობელმა თუმცა,

რა ბედენაა უდიდესი დანატოვარი,
თუ ზრდილმა მზრდელის გზა არ იცნო კარგზე მგზოვარი.

თუკი მოძღვარის გზას არ გაჰყვა მსმენელი მისი,
არსთ-არსებისგან მიეზღვება დღეები მქისი.

ასეთი არის სამართალი უმართლეს მსჯელის,
მას არც უხამსი დაემალვის და არცა ტრელი
ცნობასუსტობით ვინც არჩია გზები რიოშიპიზლირთხეკა
გაიხლართება თვისსავ შექმნილ იონიოში.

ოდეს ქაუსი მამის გვირგვინს დაეპატრონა
და ვრცელ ქვეყანას ერთიანად დაეპატონა,
განძი ურიცხვი ჩაიბარა, სიმდიდრე — დიდი,
მუხლმოყრით იდგნენ რჩეულები მის ახლოს რიდით.

კარს გაღმა იდგა თაზურ ცხენთა ფრთიანი რემა...
ხარობს ქაუსი... სხივნიც მეტი დაგზავნა მზემან.

და შა, ბედნიერს გოლესთანში ქეიფი ნებავს,
თასი ასნია... ნეტარებით, სიამით დნება.

მორთხმული არის ოქროს ტახტზე, გარს კი წვეულნი —
შემოსხდომიან მთელი ქვეყნის რჩეულთ-რჩეულნი.

ლალობს ქაუსი, რჩეულთ ეტყვის: ურყევად მჯერა,
არა შობილა ჩემი სწორი მეუფე ჯერაც.

დიდებულთ უკვირთ მბრძანებელის უღვთო ქადილი,
გარნა მეფესთან შესიტყვება არ არს ჰდვილი.

და შა, ეშმაკი, აღკაზმული მუტრიბის დარად,
კარისკაცთ უფროსს მიეახლა, შესთხოვა წყნარად:

მაზანდარანით მოვიჩქარი... მინდა ნადიმი
გაგილამაზოთ... არ ტყუილი ვიცი ქადილი.

ისე ვიმღერებ, შეიდვრიან ქვანიც და ხენიც,—
გვერდით დამისვამს მეფე ოქვენი, ავავსებ ლხენით.

მეფესთან გაჩნდა იმავე წამს კარისკაცთ თავი,
სურნელოვანის მოიყოლა სიტყვების ხვავი.

მერმე აუნყა: მოსულია მუტრიბი უცხო,
მპირდება, შენდა საამებლად ძალ-ღონეს უხმობს.

მეფემაც უცხო მომღერლისა მოყვანა ბრძანა, —
მუტრიბთა შორის მიუჩინეს ადგილი თანაც.

რუდი აილო მან მოსულმან, და ვითა ბანგი,
მაზანდარანის გაბატონდა ჰაერში ჰანგი.

გალობდა იგი: დაილოცოს მაზანდარანი,
კვლავ იმარჯვებდეს მზიანი და საქმეალალი!

ჩემს მაზანდარანს არასოდეს ჭკნებიან ვარდნი,
ტიტა-შროშანი წლიდან წლამდე სურნელსა ბანდონს.
მაზანდარანში მარადისი გაზაფხულია,
ჩვენში სიცოცხლე გაზაფხულით დაზაფრულია.
განუწყვეტელი სურნელი დგას და სიმწვანეო,
არავინ უწყის სიმძიმელი და სიმწარეო.



ქართული
ლიტერატურის
სამეცნიერო
ცენტრი

წყარონი დიან, ვარდის წყლები არიან სწორედ,
ფირუზ-ბეჟმედის ფერი სძევსო მონმენდილ შორეთს.

დეი, ბეჰმანი, აზარი თუ ფერვერდინია,
ტიტებს მაინცლა ყვავილობა დაუჭინიათ.

არემიდამო მორთულია დიბა-ფარჩებით,
აღზევებულმა ხამს ადიდო ქვეყნის გამჩენი.

სიმღერის მსმენელ ქაუსის გულს ძგერამ უმატა, —
ჰანგმან მან ყველა სხვა სურვილი მიუჩუმათა.

აღზევდა ერთი სანადელი — მაზანდარანი
დაიპყროს... სურსლა მეტი არცრა, არცა არავინ.

მიუბრუნდება, აგრე ეტყვის სახელოვანებს:
ჩვენ აქ ვქეიფობთ, ნაირნაირ ჰანგებს ვხმოვანებთ,

გვავინყდება კი — ზიანია ომისთვის ლხინი, —
საომარ ძალას გამოვიცლით, აღვსილნი ღვინით.

ზოჰაქს და ყობადს დია ვმეტობ ჭკუა-გონებით,
საქონელიც მაქვს ვერვისაგან ანაწონები...

მაზანდარანთან ომი მმართებს ამიტომ თუნდაც, —
გამოვაჩინო გულოვნება-მხნეობა უნდა!

ამა ნაუბარს მბრძანებლისას ვინაც ისმენდა,
სიმძიმელსა და ჭმუნვარებას შემოისევდა.

გულში იუბნეს: შესჩენია ფიქრი ალემი,
ქაუსის ტვინში დაუწყიათ ქარებს თარეში.

დიალ, სურვილი ომისა და, თანაც დევებთან,
გონებასუსტის გუნებაში მოიძევება.

იდგნენ რჩეულნი, ეძლეოდნენ წუხილს და ლაღარს,
შეპასუხება გარნა მაინც არავინ სცადა.

წარსდგა გორგინი, წამოიწყო... და აჰყვნენ სხვანიც,
მეფეო. შენ ხარ მბრძანებელი, ჩვენ კიდევ — ყმანი.

რასაც ინებებ, აღვასრულოთ — ჩვენი ვალია,
მეფის სიმართლევც, არ სიმართლევც სამართალია.

გაინაპირეს მერმე ერთად, იუბნეს ბევრი,
ჭირმრავალნახულთ ამეტყველეს გონება მჭევრი.

ბჭობენ: იქნება ქეი-ქაუსს ღვინო მოედო...
დღევანდელ ჭმუნვას ხვალე იქნებ ბოლო მოედოს.

ხვალე იქნება არც ახსოვდეს ნათქვამი თვისი, —
ნასვამი კაცი, უწყით, სიტყვას ჰაერზე ისვრის.

თუკი ნადილი დღევანდელი ხვალაც გამოჰყვა,
მშვიდი ცხოვრება გაღმა რჩება, ჩვენ კი — გამოღმა.

ვაი, რომ ირანს სიმძიმილი მოეჯარება,
ეს უღმრთო ბრძოლა ჭირს გადაჰყრის აუარებას.

ქვეყნის კიდემდე პატივს სცემდნენ ჯემშიდის სახელს,
მზეებრ ნათობდა მისი საქმეც და მისი სახეც.

ძლიერიც იყო, უშიშარიც, მტერთა მზარავიც,
დაპყრობა მაინც არ უცდია მაზანდარანის.

საჭიროდ ეცნო ამნაირი ლაშქრობა-შებმა, —
რა დაუშლიდა მანუჩარის უმაღლეს ნებას.

თვით ბრძენ ფრიდონსაც არ მოსვლია ამგვარი ზრახვა,
და შმაგ დევებთან ქაუსს ბრძოლა სწადია ახლა...

რათა ქვეყანას ავაცილოთ უბედურება, —
ჭკუას მოუხმოს, ჭკუა სადმე თუ გეგულებათ!

მრავალ ჭირ-ვარამ გადახდილნო! — აუბნდა თუსი —
გულს შინა ღელვა-ფორიაქი მართლად სჯას უშლის...

მაინცლა ვფიქრობ გზა ერთია — საამის ზაალს
მივმართოთ... ხსნის გზა სხვა არ ვიცი, ეს ერთი გზა არს.

რა ძვირად უღირს ქეი-ქაუსს თათბირი მისი,
თავადაც უწყით... სხვა რა გითხრათ, შემძლე ვარ რისი.

ახლავ ვაფრინოთ მალემსრბოლი ფრთიანი რაშით,
ჩვენ ჩვენი ვცადოთ, ცუდი ანდა რა არის ცდაში...

შევსთვალოთ მას, რომ წამალს დია უებარს ვადრით,
დროულად უნდა აღუდგე-თქო უაზრო წადილს.

მხოლოდ იგი თუ შეაგონებს, რჩეულნო, მეფეს, —
ზაალის რჩევა-თათბირია მეფისთვის სეფე.

მართლაც მისწერეს ზაალ-დასთანს, შესთხოვდნენ შველას,
იმედის თვალით შეგყურებსო ჩვენგანი ყველა.

და ჰა, ნიმრუზში მალემსრბოლი მიქროლდა ქარებრ,
ენვია მას კაცს, განსჯაფართოს, პირმანგსა მთვარეს.

ჰკადრა: სალამი სახელგანთქმულ საამის ძეო,
 კეთილ ნაყოფით დახუნძლულ მალალო ხეო!
 საქმეა ერთი — გონებიერ კაცთათვის ნასი...
 და რადგან ვიცით სიტყვის შენის წონა და მისი მნიშვნელობა
 ჩვენი ქვეყანა თუ არ გინდა ჭირში ჩავარდეს,
 ქამარი უნდა შემოირტყა, — გრძელ გზას დავადგეთ!
 ირანის მეფე ავი სულის აჰყვა ცთუნებას,
 გონებისათვის არ საკადრი მოიგუნება...
 ზენამ ლაფალი საწადელი გაუვაზირა —
 დავეუფლოო მაზანდარანს, — მდიდარ ხაზინას.
 მცირე ხანიც რომ დააყოფრო, დევთა საუფლოს
 წავა სალაშქროდ... ჭკუათსაფერ გაესაუბროს
 და შეაგონოს, სხვას ვის ძალუძს, წავიდეთ ჩქარა,
 თორემ ირანელთ სისხლი მალე დაიძვრის ღვარად.
 მოხდება, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდი, —
 დაიღუპება, ყობადის დროს რასაც იძენდი.
 ჯერ ძუძუს სწოვდა, მაინც თანვე დაგყავდა შვილიც,
 ფიცხელ ბრძოლებში შემოაცვდა ბავშვობა ტკბილი,
 ჰოდა, რაც ჰპოვეთ, ყველა უცბად დაიღუპება,
 სიტყვა ამეფე და... წარსტაცე ამის უფლება!
 ცეცხლის ალივით გულზე ეცა ნათქვამი დასთანს, —
 თვითრჯულიაო მეფე ჩვენი, — რას ვიქმო მასთან.
 ერთიან და თრთიან დიდებულნი მეფის წინარე, —
 რომელიც გინდა დიდებული მასთან ვინ არი...
 ცხადია, ჩემი შეგონებაც არაფერს შეცვლის —
 გარდა ჩემივე გუნებისა.. გულს შინა ცეცხლი
 აგიზგიზდება, — მაგრამ ვის და რა უნდა ჰკადრო,
 ეს ის ცეცხლია, რომელს ფუჭად ანთებ და... აქრობ.
 კარგია, რჩევას უკვალოდ რომ არ აქრობს ქარი,
 მაინცლა წავალ დაძახილზე, რაც არი, არი!
 ლამე გაგრძელდა და ზაალი ფიქრში გაჰხვია,
 ხოლო როს მნათმა ღამის შავი ფარდა დახია,
 უმალ ქამარი შემოირტყა, დიდებულთ უხმო,
 ირანისაკენ გზას დაადგა ლაშქარი უხმოდ.
 დროშა გაშალეს, რა ირანის მიადგნენ საზღვარს,
 მალლა აღმართეს დროშა, ვითა უკვდავი ბაზმა.

დაიძრნენ სტუმრის შესახვედრად გივი, რაჰამი,
თუსი, გოდერძი... გულში მეფის ზრახვის მზრახვენი.

დიდი სპასპეტი ახლოაო, ოდეს იდროვეს,
პატივად მისდა, ყოველი სთვლის, ფეხით ვიდრეც
ქეი-ქაუსი

ქებანი ჰკადრეს საკადრი და სიტყვა მრავალი —
ამოდ სასმენი... სასახლისკენ ლაღად მავალი

ეუბნა თუსი: სწორედ დროზე მოხვედი, რადგან, —
მეფეს შენ უნდა მოაჩვენო ნათელი — ნათლად!

ამ ძნელს და გრძელ გზას ასე სწრაფად გალევდა კაცი,
დაფიქრებულა ვინც ირანის იღბალზე განცდით.

დიდება შენი გაცდენილ არს სამყაროს კიდეს,
გულებს მოგიძღვნით... ამავე დროს გაბარებთ კიდევ.

ისმის პასუხი ზაალისი: ვამჭევრებ ენას,
თუ დამიჯერა, მეც ვიხარებ, მოგეცათ ლხენა!

მეფეს რაიმე შეაგონო — ნამდვილად ვიცი, —
დია საძნელო საქმე არი... რად უნდა ფიცი —

თავს არ დავზოგავ. და თუ ყურად არ იღო რჩევა, —
ინანებს, ოდეს მიეგება დევთაგან ძლევა.

ლაღადჰყვეს ზაალს დიდებულთა: გსასიებთ, უწყი, —
საუბარკეთილს მეფენი ხომ გისმენდნენ უწინ...

ქაუსიც როგორ არ მოგისმენს, როცა გონებას
აჩირაღდანებ. — მოგდგამს ნიჭი და შთაგონება?!

2

ქეი-ქაუსის სასახლისკენ აიღეს გეზი,
არე-მიდამო მორთულია ოქსინო-ზეზით.

ზაალ-დასთან დიდებულთა დიდი ამალით
მიემართება... წელს უმჭვენებს ოქროს ქამარი.

დაღანდა მეფემ... პირისახე აუმცინარდა,
თვალმან გიშერი აგიშერა, ღანვმან — ივარდა.

მან უმაღლესმან უმდაბლესად დახარა თავი, —
მეფის წინარე ასადარებს... მაინცლა ზვავი —

ქებისა დაძრა ბაგეთაგან მეფის დიდებად, —
ეტყვის: სამყარო მალღის შენის შუქით ბრწყინდება...

თუმც დედამინა კიდით-კიდე გადაულახავთ,
მეფე შენგვარი არასოდეს, არსად უნახავთ.

განსჯამაღალო! — თვით არ ვიცი ვის შეგადარო,
 ღმერთმა სიმართლის, გამარჯვების გზებზე გატაროს!
 გვერდით დაისვა მეფემ იგი, ინება ღებნა,
 სასიყვარულოდ ამეტყველა სალუქი ენა. ^{ეროვნული}
^{ბიბლიოთეკა}
 არ დაგლალაო დაშქანცველმა, მტანჯველმა გზამან?..
 როსტომის გამოც არაერთგზის ჩაჰკითხა მამას.

მეფეო! — ეტყვის სახელგანთქმულ საამის ვაჟი, —
 აგრე მგონია გულის ნაცვლად მიდგია კაჟი,
 ბედნიერი ვარ, მეუფეობ ქვეყანას ზედა, —
 გზა რას დამაკლებს, როს ირანის მბრძანებელს გხედავ.

შემდგომ ამისა გულსა შინა ტყვედ მყოფი სიტყვა
 გააზაბათა და სათქმელი ამგვარად ითქვა:

ქვეყნის მაღალ მბრძანებელო, განსჯადიადო! —
 ცოტა კაცთათვის დროულად რომ ღადარ-წყვდიადობ,
 წელთა სიმრავლემ პევრი მარგო მზეცა და ნისლიც...
 და გამორჩევაც მართლად ვიცი კარგისგან მქისის.

სვებედნიერი მანუჩარის ვიყავ სარდალი,
 ძლევაშოსილი იყო იგი განსჯამართალი...

ძლიერნი იყვნენ ნოვზარი და ქეი-ყოზადიც,
 გონების თვალთ ფათურობდნენ მაინც მყოზადში.

მაზანდარანზე გალაშქრება არც უფიქრიათ, —
 კარგად უწყოდნენ, ეგე ფიქრი ფუჭი ფიქრია.

მაზანდარანი ხომ სავსეა ჯადო-დეყებით, —
 გრძნულთ რა ხერხით, მბრძანებელო, ვითარ შევებმით?!

მათ თილისმასთან უსუსური იქნება გორდა, —
 პანია ჩიტი რას გახდება, მეფეო, ქორთან.

ხალხიც საქციელს დაუწუნებს — იმათთან შებმად
 აახმაურებს ვინაც უღმრთოდ დაფსა და ებანს.

წინაპართ საქმეს გადახედე, მათ გზას მიჰყევი
 და რჩეულთაგან არასოდეს გაირიყები.

ჩადილი შენი შეწონილი არ არის მიზანს, —
 არა საქმნელი არ იქმნების... ნურცა შენ იზამ!

თუ ამ სურვილის არც უცდიათ როსმე მხილება, —
 შენ მათთან შებმა აგრე რატომ გეადვილება?

ეტყვის ქაუსი: მიხარია — გიმზერ და გისმენ, —
 ვითა მამზევე და მახარე, იხარე ისე!

გარნა ერთს გეტყვი: შენ არ უნცი ვით შემწევს ძალი,
რა აღმატებით შორს მიწვდება გონების თვალი.



ან მანუჩარი, ან ყობადი რა სათქმელია,
სახსენებელი ჩემთან, მითხარ, ან რომელია.

ქართული
ლიტერატურა

მე მათზე დიდი ხაზინაც მაქვს, ხმალიც და გულიც,
გამბედაობაც... მათზე მეტი მიტომაც მსურის.

ხომ უნდა ვამცნო დედამინას რის შემწევს ძალი,
ქარქაშსა შინა ხომ არ უნდა დაჩლუნგდეს ხმალი...

გმირები მათი ჩემს გმირებთან არც იხსენების, —
არა, დრო არ მაქვს განცხრომისა და დასვენების.

ის დევები და ჯადოქრები სიცილსა მგვრიან, —
ფერფლად გადვაქცევ მაზანდარანს, მეფე თუ მქვია.

საამო ცნობით ყურთასმენას დაგიტკობთ მალე, —
ჯადოქართაგან განმინდაო ლამაზი მხარე.

მთავარია, რომ შენა ძყავხარ როსტომთან ერთად...
თქვენ შეუწყობდეთ ოლიონდ ერთურთის ხმათა და ფერთა,

და შემოქმედი მიწყვი ჩემი იქნება შემწე, —
ურყევად მჯერა, შეუძლებელს მე აქვენი თ შევძლებ.

მხარს არ დამიჭერ? — მაინცალა ჩემსას გავიტან, —
ვერ ამოვიგდებ ამ ლაშქრობის სურვილს თავიდან...

იდგა ზაალი განკრძალული, გარეგნულ — წყნარი,
გულში ფიქრობდა: ჰო, რა ფუჭად ვნაყო წყალი.

მერმე მიბრუნდა, ქაუსს უთხრა: დიდო მეფეო,
მე მხოლოდ შენდა სასიკეთოდ დავიყუფეო.

მართალი ხარ, თუ არმართალი, ნება შენია,
კვალში დაგდევდე, — ჩემთვის ამო განაჩენია.

რჩევა თუ გკადრე, მათქმევინა ერთგულის ვალმა,
ვერლა დავფარე, რაც მანიშნა გონების თვალმა.

რადგან გზა ყველა საბოლოოდ სიკვდილთან მიდის,
დე, ახლა მოვეკვდე, — დანაკლისი არ არის დიდი...

უბედურება კაცს თუ გზაზე გადაგელობა,
იმასთან შებმად არრა ღონე აღარ გეყოფა.

იეზდანს ვვედრებ — დაგიმარცხოს მტერი ძლიერი,
არ შეგახსენოს დღევანდელი სჯა-ხანიერი.

სირცხვილს გაშოროს, რადგან თავი გადაგიდვია...
შფოთის წამომწყებ კაცის ბედი ბენვზე ჰკიდია.

მეფის სიმჩატით როს ზაალი სიმძიმის მიჰხვდა,
 დააგდო სრა და რჩეულთ რაზმიც კვალდაკვალ მიჰხვდა.
 მისდევს რაჰამი და გოდერძი, მამაცი გივი,
 გულეზა შინა არცა რილას იმედი ღვივს, —
 უტყვად ვიდოდნენ, მერმე გივი აღმოსთქვამს ცხარედ, —
 ქეი-ქაუსი სად არ მეფობს, — ნეტავ იმ მხარეს!..
 უსინათლოა ეს საბრალო გონების თვალით,
 მაგგვარ ხელმწიფის ხელში — ვაი, რჩეულთა ბრალი...
 მიჰმადლებია სიჯიუტე და უგბილობა —
 თითქოსდა იმად — მოგვაყენოს მეტი ჭრილობა.
 ნელინელ ჩაცხრა რჩეულების ოხვრა-ვნებანი,
 სისტანისაკენ წაემძღვართ სამბიკ-ებანი.

3

როგორც კი სისტანს მიაღწია საამის ვაჟმა,
 და მასთან ერთად დიდებულთა რჩეულმა რაზმმა,
 მოვიდა კიდევ მალემსრბოლი დანაბარებით —
 ლაშქარი დასძრა — ნებააო ჩვენი მბრძანებლის.
 გამოუგზავნა მოციქული ელვარე ოდეს —
 ცამ დედამიწას, — რაზმელები შარაზე ჰქროდნენ.
 ქვეყნის უფროსად მბრძანებულმა მილადი დასვა,
 ჰრქუა: ხაზინა ჩემი მიღირს სიცოცხლის ფასად,
 გაუფრთხილდიო, თანაც ჩვენსკენ გქონდესო ყური,
 მტრის დასახვედრად აღაჩინე მზადყოფნა სრული.
 მეორე დილას ახმაურდა წინწილა-ქუსი,
 სპას წარემძღვარა გოდერძი და ამაყი თუსი.
 მიდის ქაუსი. ესუერუზის მთას რომ მიადგა,
 მთას, რომლის წვერი ეფერება ზეცას ნიადაგ,
 შედგა, შეყოვნდა, შესვენება მცირე ინება, —
 ჯარი გაშალა, — აღაჩინა გულმოდგინება.
 ადგილი იგი იფარვიდა ჯადოქარ დევთა,
 უცხო მოსულებს იღუმალის ბურუსში ჰხვევდა.
 ოქრომკედით და ფარჩით იყო მოსილი ფორე,
 ღვინის სურნელი რომინებდა ჰაერში მდორედ.
 ფორეზე დადგეს ტახტრევანი, ქაუსი დაჯდა,
 ქაუსის გვერდით დიდებულთა ამალა დადგა.

მეჯლისად დასხდნენ, სიამობდნენ გათენებამდე, —
დილასისხამზე, ოდეს ველნი მზეში ებანნენ,

ოდეს იმატა მნათის სხივთა ელვარე რიცხვმა,
წამოიშარტნენ, შემოირტყეს ქამრები ფიცხლად,
გივი მოიხმო მბრძანებელმა ღიმილთ ნეტარით,
ორი ათასი ჩააბარა მარჯვე მხედარი.

ჰრქუა: ჰა, ბურთი, მოედანი... ახლა აჩინეთ
ძალი საჩინო და შერცხვენას გადამარჩინეთ!

ჭაბუკი მოგხვდეთ თუ ხნიანი, ბავშვი თუ ქალი,
დაუფიქრებლად აღუკვეთეთ სიცოცხლე ხმალით.

დასწვით, დაფერფლეთ სოფლები და დაბა-ქალაქნი,
დე, შავმან ჩრდილმან დაიკავოს ნათლის ალაგი.

ვიდრე ცნობაზე მოვიდოდნენ, დევთა ხსენება
ამოიძირკვოს.. და მაშინლა მომესვენება.

დაიძრა გივი, გაიყოლა ლაშქარი იგი,
დგებოდა დიდი შეტაკება-ბრძოლების რიგი.

შეჭურვილები სამანდრებით, სამანქანებით,
უეცრად მოწყდნენ, ვით უძველეს კლდეთა ქანები.

მაზანდარანის არემარეს დელგმად მოედვნენ,
ცეცხლი უმარჯვეს სახლებსა და დუბე-მოედნებს.

ულმართოდ ცელავდნენ ახალგაზრდებს, ჩვილებს და დიდებს,
შხამის მოფრქვევას არ დაუდეს ზღვარი და კიდე.

და აჰა, აღჩნდა მათ წინაშე ქალაქი ერთი,
სატახტოაო, იფიქრებდით, უმაღლეს ღმერთის.

მიმოდოდნენ ათასობით ბეჭფართო კაცნი,
თვალეები ჰქონდათ მოელვარე, ოდენი საცრის.

თვალისმიმტაცად ირხეოდნენ ალვა ქალები,
ტანკენარობდნენ ვერარასთან შესადარებნი.

მიმოფანტული ტოპაზებით, ბეჭმედით, ლალით,
აღმასებით და მარგალიტით ებმოდა თვალი.

ველზე პირუტყვი ნავარდობდა აურაცხელი,
აღმოიტყოდი: სამოთხისო გავხდი მნახველი.

ირანელები სიხარულის მიეცნენ ზღვაურს,
და ულამაზეს ამ ქალაქზე უამბეს ქაუსს.

უთხრეს: მართალ არს მაზანდარანს უწოდა ვინაც
სამოთხე, რადგან აქ დაუდგამს მშვენებას ბინა.

არ ეხამება სხვა სახელი, ზღაპრულის გარდა,
ვარდნარი, დიბა, ფარჩა სუნთქავს ყოველის კართან.

იტყვი, რეზვანმა ვარდის წყალი გადმოლვარაო,
გადაუშლია მზეს მიწაზე სხივნი მარაოდ,
ბოროტებისგან მოიცალეს, ლხენად დალაგდნენ,
მსგეფსსა ერთს დაჰყვეს მეომრებმა ამო ალაგზე.

მაზანდარანის მბრძანებელმა შეიტყო ყოვლი, —
გულზე ნალველი მიეტმასნა, სულში კი — თოვლი.

ვაჰ, დაიზახა, — მომხდარაო დუშმანი კართან,
არად ითქმოდა ცეცხლის კვამლი მის ჯავრის კვამლთან.

დევთაგან იქვე სენჯე იდგა, იხმო და უთხრა:
ხედავ, რა დარდი დამაწვა და რარიგად მთუთქავს?

ვითა ერთ წამში მზე აგზავნის სხივებს მიწაზე,
ასე გაქროლდი თეთრ დევთან და მერმე გინამებ.

მიდი, უთხარი: დაგვესხა-თქო ირანის ჯარი,
ბრძოლის მოსურნე და მოთავე ქაუსი არი...

ახლავ წამოდი, თუ არ გსურს-თქო ერთიან მოგვსრას,
გადაარჩენს-თქო მაზანდარანს შენილა მოსვლა.

გაქროლდა სენჯე, წამი ერთიც არ დაახანა,
თეთრ დევს უამბო არსაამბო საქმე ახალი.

მტრის თავხედობამ გაამეხა ამბის მსმენელი,
უთხრა: წამოვალ, მე ვარ საქმის ამის მშველელი.

მოვალ და მოსვლას დავანანებ, ირანელთ ლაშქარს,
ჰო, რა მტვერს ვადენ, რჩეულ ლაშქარს გავატან რა ქარს!

ამა სიტყვებით წამოდგა და... არეც გაშავდა,
მბრძანებლობსო თითქოს ღრუბელთ, ქართა აშართა.

ირანელთ თავზე შავი კვამლის დასცა კარავი,
ბნელი გამეფდა თვალის წინა, გულის მზარავი.

დელგმად და სეტყვად ღრუბლებიდან დაიძრა ქვები,
ირანის ჯარმა მეყვსეულად დაუშვა ფრთები.

ვისაც გონება კიდევ შერჩა, გაქცევა შეძლო, —
ერთბაშად ყველა წყევლა-კრულვას მეფისას ეძმო.

ახლოსმხედველი მეფის ჭკუით შავ დღეს წვეულნი —
მეტის სიმძლავრით მრისხანებდნენ ქვეყნის რჩეულნი.

ოდეს ინათა, ქაუსის თვალთ ბნელი ეფინა,
ვერ მოეფიქრა, თავი როგორ გადაერჩინა.

აუნონელი დაეკარგა ეონება-განძი,
ბევრი მხედარი დაეთხოვა სიცოცხლეს ტანჯვით.

აურაცხელი წარიტყვევნეს ირანელები,
ირანელთ სისხლით დაიტბორა მინდორ-ველები



ქართული
ლიტერატურა

აღმოიმწარა მბრძანებელმა: ძვირფასი რჩევა
ყურად არ ვიღე, უგბილობა რად დამყვა ჩვევად...

ზაალ-დასთანის შეგონება არ შევისმინე,
და აჰა, ბედიც ავბედიტად შემომსისინებს...

დღესა შვიდს უღმრთოდ გრძელდებოდა ჩეხვა-ოტება,
ირანელების გაისმოდა კვნესა-გოდება.

ქაუსს უყვირის თეთრი დევი: განძს რომ ეძებდი,
ხომ მოიპოვე... დამშვიდდელა ახლა ეგების!

მაზანდარანზე ბატონობა მოიწადინე? —
აქ აგრე ვახშობთ ცოტა კაცის წადილ-ქადილებს.

გაისულელე თავი შენი ფუჭი ოცნებით,
ამიერიდან ოცნებებზე ნულარ მოსცდები!

შურისძიებას სად წაუხვალ... გასწავლი ჭკუას, —
უჭკუო მაგ თავს ოდეს ლაღად გაგიპობ შუა.

თორმეტ ათას ტყვეს წარემძღვარა, კვნესოდნენ ტყვენი.
მათის ცოდვისგან იწვებოდნენ კლდენი და ტყენი.

დევს გაავებულს შესჩენოდა ფიქრი წყეული —
თავის მოკვეთა განეზრახა თითოეულის.

ჯერ კი იცოცხლონ, გარნა სიკვდილს გრძნობდნენო თანაც, —
სულ ცოტა-ცოტა მიჭმიეთო, — ტყვეებზე ბრძანა.

ირანელების დიდი განძი გაითავისა,
მფლობელი გახდა სპეკალების აუნყავისა.

ერყენგს მიახლო განძეულის მისი ფლობა,
თვალი თვისი კი ახლო მისით დატკობა-თრობას.

მერმე უბრძანა: ეს ყოველი მეფეს მიართვი
და გადაეცი: მზის და მთვარის ამო კიაფით —


ვერ დატკბებიან ირანელნი ამიერიდან, —
ჩვენ კი ქვეყანა უთვალავის შეგვრჩია ფერიტა!

აგრე უთხარი, ჯერ არ ესჯი-თქო ირანელ ტყვეებს, —
დე, ჯერჯერობით უმზირონ-თქო უმზეო დღეებს.

დაე, თავადვე იწყევლონ-თქო გაჩენის წუთი,
სულში ნაღველი ჩაენვეთოთ ათასი ფუთი.

თეთრი დევი რომ არხეინად გაუყვა შუკას,
 ცრემლებს ანთხევდა ქაუს-მეფე, — ნალველის ლუკმა.

4



სულჩაკირული, სვედამწვარი ირანის თავი
 ცრემლებს აფრქვევდა... მოსჯარვოდა ფიქრები შავი.

ბოლოს შიკრიკი მოისმო და... ძლივსალა დასცდა —
 ზაბულესთანში გაქროლდით, აუნყე, დასთანს:

ბედის სიავის წყალობით-თქო მტრის ლუკმა გავხდი,
 ასე უღმერთოდ დავკარგე-თქო გვირგვინი, ტახტი.

ლატაკმა ჭკუაშ. შოი, როგორ დამაგდო, დამცა,
 შენი თათბირი არ ვისმინე... მიშველის არცრა.

შენ თუ წამოხვალ როსტომითურთ, თუ არა, ბედი
 უღვთოდ წამლეკავს... მომიხრია თქვენს წინა ქედი, —

მოიღეთ ჩემთვის ძალი თქვენი ჯერ არნახული,
 უსამსახურო არ დაგრჩებათ ეგ სამსახური..

ოდეს შიკრიკი ზაბულესთანს ზაალს ეწვია,
 მოჰყვა რაც ნახა, რაც ესმინა და რაც ეწვინა.

თავი ჩაჰკიდა მსმენელმან და ურთხანს იყუჩა,
 ფიქრების მთები გარეშემო შემოიქუჩა.

მრავლის მნახველი მოატარა თვალი მიდამოს,
 გონება მისი სჭვრეტდა, სჯიდა, ჰქროდა მი და მო.

როსტომს გაანდო: ლადარობსო ბედი აშარი,
 დრო დამდგარაო — ქარქაშიდან ხმალი დასძარი!

გველეშაპს ხელში ჩაგარდნია მეფე ირანის...
 შეჭირვებული ურჯუკობას დია ინანის.

ჰოდა, შეკაზმე რახში შენი, ახლავე წადი,
 დროულად მიეც გული შენი მზრძანებლის წადილს.

მეფეებისთვის თავი ბევრჯერ გადამიგია,
 ორასზე მეტი წლის ვარ... ახლა შენი რიგია!

ნულარ ახანებ, ვეფხვის ტყავით მოირთე მკერდი,
 კაცებრ ჭკვიანი რახში გყავდეს ნიადაგ გვერდით!

სისხლის ზღვა უნდა დააყენო, ურყევად მჯდრა,
 ყველა სხვა ფერი ხამს აქციო მენამულ ფერად!

ერყენგს და თეთრ დევს მოუსწრაფე სიცოცხლის დღენი, —
 თავი და თავი საზრუნავი ეს იყოს შენი!

შენი ძალ-ღონე შეინიროს ერთბაშად თუნდაც,
მაზანდარანის მეფის თავი მოგვართვა უნდა!



ნადი. გფარვიდეს შემოქმედი. უმართლეს მსაჯულს,
რომელიც ძალას უათკიცებს სვიანს თუ ტანჯულს.
შევთხოვ, რომ მრთელად დამიბრუნოს შობილი ჩემი,
ნუ შემაგებებს სიკვდილსწინა ჩემს დღეებს გვემით...

გარნა საშუთრო თუ დასცალეუ ჯადო-დევებთან,
ცხადია, ჩეშთვის მზეს არცა როს გაემზევება...

მაგრამ სიკვდილი ასცდენია ვის, როგორ, როდის,
მოსახდენელი უნდა მოხდეს, ასეა ოდით.

რა გინლა ბევრი იმაშვრალო, იცხოვრო კაცმან,
სამარე გელის — ეს გზა ჯერეთ არავის ასცდა.

თუ სიცოცხლეში არ იქენი გონებამწირი,
დაგიჯაბნია სიკვდილი და... ნულარას სტყარი.

პრქუა როსტომმა: მორჩილი ვარ შენი ბრძანების,
დუშმანის მოსრვად ძალი არცროს დამენანების...

გარნა ბრძენკაცთა შეგონებაც გამიგონია —
სიკვდილი დროით მიაკითხავს მწირს და გოლიათს,

მაგრამ სიცოცხლე რადგან ძვირფას განძს სჯობნის მრავალს,
არ იჩქაროო, მოისწრაფო სიცოცხლე თავად.

ვიყავ, ვიქნები ბრძენი მამის აჯას მსმენელი,
აჰა, მივდივარ, — დაე, მოხდეს მოსახდენელი!

რადგანაც რწმენა ჩამინერგე საკუთარ ძალის,
ნავალ, ვიბრძოდებ... კარგად მიჭრის ფხიანი ხმალი.

ღმერთს შეჰლალადა — უვნებელი მყავდესო რახში,
ჰმუდარებდა და... ფოლალი ვი უჯღერდა ხმაში.

ფართო გულმკერდი ვეფხვის ტყავით გაილამაზა,
ამხედრდა უჩნსო, იფიქრებდით, ბრძოლა თამაშად.

გზა დაულოცა მრავალ ვარამნახულმა მამამ,
ააფრთიანა შეილი იგი მშობლისა ხმამან.

ასკეცი ცრემლი წარმოსდინდა რუდაბეს თვალებს,
ჭირის ზაალიც... ცხელი ცრემლი უტოვებთ ღარებს.

სტოვებო დედას? — მერამდენედ ჰკითხავდა ქალი
და ეხვეოდა მხოლოდშობილს მდნარი და მტკნარი.

შენ მიდიხარ და რას სტოვებო ნუგეშად ჩემდა...
არემიდაძოს მწუხარების ბურუსში ჰხვევდა.

ეუბნა შვილი: უტკბილესო ჩემო დედაო,
 არსთ-არსებისგან აგრერიგად დამებედაო...

ჩემს უნებურად ხდება ესე შებმა და ომი,
 თავადაც უწყი, სისხლისღვრისა არა ვარ მნებში



დაგრჩენიალა — შემავედრო უმაღლეს ზენას...
 უზენაესი მარად მზაა დედათა სმენად.

5

ასე... ნიმრუზის ფალავანი გაუყვა შუკას,
 ქარებრ გაქროლდა, მთა მრავალი ჩამორჩა უკან.

ერთ დღეში განვლო ორი დღის და ღამის სავალი,
 წინ — გასაღლელი მიხდორ-ველი იდო მრავალი.

თავისი მაინც გაიტანა შიმშილმა ოდეს,
 ველიც დაღანდეს... ველსა ზედა ქურციკნი ჰქროდნენ.

სეფქა იმარჯვა თვალის წამში როსტომმა ისე, —
 ქურციკის რემას გამოაკლო ქურციკი მყისვე.

არცა მაგიდა გააჩნდა და არცაღა სუფრა,
 ეგ იყო, — მალელით ცა დასცქერდა — კამკამა, სუფთა.

რახს მოუბოშა მოსართავნი, ველზე გაუშვა...
 თავად ჩამოჯდა, ოცნებების აფრა აუშვა.

დამათრობელი მოუპარა უეცრად რული,
 ძილმა სხეულზე ბატონობა ინება სრული.

მზემ გვირგვინებით ოდეს მორთო მთათა თავები,
 ღმერთი ახსენა, რახშს დაადგა მოსართავები.

6

მიჰქრის როსტომი — ქროლვა მისი ისარს ედრება,
 თავად არ იცის, ვისა და რას გადაეყრება.

კაპანებაა... გარეშემო დამდგარა ბული,
 არსაით წყარო... წვეთი წყალიც ძვირს ფასად უღირს.

ჭენებისა და წყურვილისგან დავარდა ცხენი,
 ორთქლი სდიოდა ცხენს და მხედარს — მხუთავი, ცხელი.

ძალგამოცლილი ძირს დაეშვა ფალავანთ თავი,
 უეცრად მოწყდა, მალლა ველარ აიღო თავი.

გარეშემოზე მოჩანს მხოლოდ ქვიშა და ქვიშა,
 წვეს ვით უსულო... არ ამავავენებს სიტოცხლის ნაშანს.

არსაიდან ხმა... გდია აგრე პირგამომშრალი,
დასტრიალებენ თავსა ზედა ქარნი ხორშაკნი.

არაფინ უწყის, საიდან და ვით გაჩნდა შველი,
ჩაუქროლა და... ჩაატარა სურნელი ველის.



ქართული
ბიბლიოთეკა

გაოცდა გმირი: სიახლოვეს ნუთუ წყალია,
წამოიწია... გააყოლა თვალი მალიად.

ერთი იძალა: მოიკრიბა უეცრად ძალი,
წამოიწია და — საყრდენად იმარჯვა ხმალი.

შემოანათა გულსა შინა იმედის შუქმან,
ძალს დაჰპატრონდა, — ქვიშაზე რომ ესვენა უქმად.

შველის კვალს გაჰყვა, მარჯვენს მაგრად უჭერდა გორდას,
უკვე სიცოცხლის დაბრუნების იმედი ჰქონდა.

და აი, შუა უდაბნოში გამოჩნდა წყარო,
ჰო, ღმერთიც ღმერთობს ჭეშმარიტად, წყალი თუ წყალრბს...

ზეცას მიაპყრო მადლიერი თვალები გმირმა,
მადლობის სიტყვა თქვა წუთის წინ უამშრალმა პირმან:

დამბადებელო, მაღალო და საქმეგზიანო,
შორს განმჭვრეტობა შენი ვით არ გავაზიარო!

რა ხერხიანად გააკეთე საქმნელი შენი,
საშველად ჩემდა რა ლამაზად მოჰგზავნე შველი...

გოლიათს მის ტანს განეშორა უეცრად დაღლა,
მადლი შესწირა კიდევ ერობელ შემოქმედს მაღალს.

როს დაასრულა ხოცბა ღმერთის მაღალღირსების,
რახშს წყალი ასვა... მოიღერა ცხენმა კისერი.

დაბანა ცხენი, აუბზინა ერთიან ტანი,
არ ღირსებოდა ბედკრულს წყალი — რამდენი ხანი.

წყალი აიღო მუზარადით, გავიდა გზაზე,
მომყმარიც იყო და თავს ეღარ უყრიდა აზრებს.

7

მფრქვეველი ცეცხლის, სიბინძურის, გესლის, შხამისა,
მოვარდა ერთი გველეშაპი შუალამისას.

ვარვინ ბედავდა მისი შიშით ამ ადგილს გავლას,
გადაექცია ეს ადგილი უწმინდურ თავლად.

მოვიდა, — ხედავს, რასა ხედავს — ბრგე, ახოვანი —
კაცი წევს ერთი, იქვე ცხენი — აღმა მფრთოვანი.

გაოცდა მხეცი: ვით გაბედა აქ მოსვლა კაცმა,
 ყველა აქ მომსვენებს როცა ვსჯით უღმრთოდ და მკაცრად.
 ლომს და სპილოსაც არ მოუვათ აქ გავლა ფიქრად,
 ეგ ფიქრი, ახლა ხორცშესხმული რარიგად ფიქრად
 ვინც აქ მოვიდა, დასასრულიც იპოვა თვისა,
 ამ გოლიათსლა აიძუდებს იმედი რისი?
 მონღოლური

მოდის, მოქმუის საზარელი, ცეცხლს აფრქვევს არეს,
 რახში იმ წუთსვე გაეშურა პატრონის მხარეს.

ხმით საზარელით აჭიხვიდა, მიწას სცა ტორი,
 სულ ერთიანად შეხახზარდა მდგელო და მოლი.

ძილს განაშორა ხმამან ამან დაუძლეველი,
 და... მხეცის ცეცხლმაც გაანათა მთელი ტყე-ველი.

ძილისგან მყისვე გამოფხიზლდა, მახვილი იძრო,
 ანაზდად ღიღში მრისხანება-ღადრობამ იძმო.

იქუხა, ვითა გაზაფხულზე მებთატეხამან, —
 ქუხილი მისი აიტყორცნა, ლაგვარდს ეხალა.

ურჩხულს შესძახა: ვინა ხარ და სით მოსვლით,
 მახვილმან ჩემმან ამოგხადოს უნდა სულით.

გარნა ვიდრე სულს გავაშორებ შენს ბინძურ ტანსა,
 მითხარ ვინა ხარ, შევხვედრივარ შენნაირს არსად.

მძლეთა-მძლეთა დასწვდა გველეშაპი... მოედო ცოფი,
 ვერცრა დააკლო... სიბრაზისგან დასდინდა ოფლი.

ნეორედ დასწვდა თუ არა და, აენტო ცხენი,
 ბრძოლა გამწვავდა... აცახცახდნენ ქვანი და ხენი.

ცოფიან ურჩხულს მიუშარჯევა რახშმა ტორები,
 მრავალგზის დასცხო... კიდევ დასცხო განმეორებით.

ათიოდ ვეფხვის ძალი ერთად აჩვენა რახშმან,
 ცხენი ვი არა, ღომი იყო, ქცეული ამრად.

რახშის სიმარჯვემ თავისთავზე მწყრალი გახადა,
 ხმალი იმარჯვა მრავალ ჭირ და ბრძოლანახადმა.

თავი მოჰკვეთა ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპს წამში,
 და სარდიონის შადრევნები აიჭრა ცაში.

სახიდან სისხლი მოიწმინდა. ურჩხულს დახედა,
 სიდიდით მისით სადაც იდგა, იქვე გახევედა.

იუზდანს მადლი შეჰღალადა, ამგვარად უთხრა:
 კომნიჭებელო ძალისაო, ნიჭო და სულთქმავ! —

მამარჯვებინებს შენი ნება, არცარა მეტი,
შენი სიმართლე-სიდიადით მესხმისო რეტი!

დე, მიდუშმანონ... არავის წინ მეცვლება ფერი,
შენ შემწედ მყავდე და — რას უნდა მაკლებდეს მტერი!



8

არსთა გამრიგეს ოდა-ხოტბა ჰკადრა მრავალი,
ახლა — ძნელი გზის გაგრძელება იყო მთავარი.

რახში შეკაზმა თუ არა და — გაქროლდა კიდეც,
ჯადო-დევებთან ბევრი ომი ელოდა კიდეც.

დიდხანს იქროლა. აჰა, მნათიც გამოჩნდა ცაზე,
ნაზად ავლებდა მთების თავზე სირმიან ხაზებს.

მისდარ ღირსეულს რომ ჰფერობდა დასავანებლად,
ისეთი მდელს დაინახეს შორით თვალებმა.

ხეების ჩრდილში წყარო ჩანდა რაკრაკის მცოდნე,
და წყაროს თავზე საამურნი სიონი ჰქროდნენ.

სუფრა დაღანდა პურმარლით, შემწვარი ცხვარით,
და... ღვინით სავსე ოქროს თასსაც წააწყდა თვალი.

გამოემართა იმავე წამს როსტომი აქეთ,
და ლხენად მსხდარნი ჯადოქარნი ეღვისებრ გაქრნენ.

ჩრდილში ჩამოჯდა ფალავანი და, სავსეს ღვინით,
თასს წაეტანა... მოხწყურდაო თითქოსდა ლხინი.

ვით არსთ-არსების გამოთლილი და ნაბოძვარი,
ამ თასის გვერდით იდო ერთი უცხო ორძალი.

საკრავს გადასწვდა ფალავანი, ჩამოჰკრა სიმებს,
ხმა დაიღვარა — როგორიც რომ სჩვევიათ წვიმებს.

მღერის როსტომი: პირველი ვარ უბედურთ შორის,
მე უბედოთა მეუფე ვარ, არა მყავს სწორი.

ჩემი ლხინი და გართობაა გორდას ტრიალი,
ჩემი ბუსთანი უდაბნოა — უწყლო, მტვრიანი.

ვნახე მრავალი... მოვიხილე უცხო ქვეყნები...
გზაზე ხან დევებს, ხან გველეშაპს გადავეყრები.

თასი აღვსილი ლაღის ღვინით, თრობა გოლესთანს,
სიზმრად ნახულის მსგავსად ახსოვს ამ ჩემს გონებას.

გმირის ამ მოთქმას ჯადოქარი ისმენდა, ერთი,
მიყუფულიყო ჩირგვსა ერისა, როსტომის გვერდით.

ბებერი იყო, უსახური, — შეძრავდა მნახველს...
გაზაფხულივით ქალწულის კი მიიღო სახე.

მიუახლოვდა დაუძლეველს სიოსებრ რხევით,
ალაპარაკდა ღიმილის და სურნელის ფრეჭეჭის ნუღი

ამო ასულის წარმოგზავნა აქ, ამ ადგილას,
როსტომს უმაღლე იეზდანის ეცნო ნადილად.

მაზანდარანის ველზე მისი უცბად გაჩენა —
ღვთის მადლიაო და... ალაპყრო მალლა მარჯვენა.

ვერ მიხვდა გმირი, დაბნეული, მშვენების ნახვით,
რომ აპრიმანი შემოუჩნდა ქალწულის სახით.

თასი აიღო, მადლობის თქმა ენადა ღვინით —
იეზდანისთვის, — რომ მიაგო სიამე-ლხინი.

გარნა სათქმელი, არსთ-არსების ქებად რომ ითქმის,
ჯადოქარს ართმევს ძალ-ლონეს და... ჯადოსაც თითქმის.

ჰოდა, როსტომმა იეზდანი როცა ახსენა,
იელვა კიდევ დაღრეჯილმა, უცხო სახემან.

უთხრა: ვინა ხარ, ვიდრე განთქმულ ჩემს მახვილს გახლი,
როგორიცა ხარ, მეჩვენეო იმგვარი სახით...

საზარი სახის დედაბერი დაუდგა თვალწინ, —
მის თვალთა ადგილს დაარქმევდით ქვესკნელის ნაწილს.

სხვა გრძნეულთა და ჯადოქართა შესაშინებლად
როსტომმა მისი ნაწილ-ნაწილ დაჭრა ინება.

9

კვლავ გზას დაადგა, წინ ისევ გზა უძევს გოლიათს, —
მოგზაურივით ძიებებს და გზებს აპყოლია.

ადგილს მიადგა — ქვესკნელივით ჩანდა ზემოდან, —
ადგილსა ამას მზის სხივები არ ეცემოდა.

ზანგისფერ არეს ჰბატონობდა მხოლოდ უკუნი,
სმენას სწვდებოდა უამური რაღაც გუგუნი.

იტყოდით, მზე და მნათობები ტყვედ არიანო,
არა მთვარობსო აქ მთვარე და — მზე არ მზიანობს.

ბნელში ვერც მთები დალანდა და ვერცაღა წყალი,
ნებას მიუშვა რახში თვისი — უკუნით მფრთხალი.

უეცრად მძიმე წყვდიადიდან ნათელში მოხვდა,
მდელო დალანდა მწვანიანი, ლამაზი, კობტა.

მდელოსა ზედა ღელე მიხტის, ყვავილი — ჭრელობს,
 ღრმა მოხუცსაც კი ახალგაზრდად აქცევდა მდელი.

განუწყვეტელი ჭინებისგან სდიოდა ხვითქი,
 დაღლილ-დამაშვრალს წართმეოდა ძალ-ღონე უფროსისა
 სიმწვანემ სულში ჩიტუნები შემოაფრინა, —
 სამოსი თვისი ოფლიანი — მზღუკ გაფინა.

ლაგამ-უნაგირს განაშორა რახში თუ არა,
 ძილის სურვილმა სხეულს მძაფრად მიმოუარა.

ტანისამოსი გამშრალიყო, ჩაიცვა მყისვე,
 მუზარად-აბჯრით შეიმოსა და... მინვა ისე.

ოდეს დარაჯმან მინდვრისამან ცხენი დალანდა,
 ცეცხლი მოედო. — ვით სჩვევიათ კაცთა არამთა.

როცა მხედარიც დაინახა, გადიქვა ცოფად,
 თქვა: ახლავ უნდა ვაწყველინო თავხედებს ყოფა!

როსტომისა და რახშისაკენ აიღო გეზი,
 ტკბილად ეძინა დაუძლეველს გულიგულ მზეში.

არგანი დაჰკრა მან, მოსულმან, წამოხტა გმირი...
 უშნოდ მოენგრა, ცოფსა ჰყრიდა დარაჯის პირი.

დასწვდა როსტომი, ააგლიჯა ორთავე ყური,
 ისეთის სახით, თითქოს არცრა ეწადა მტრული.

მერმე მინაზე დაახეთქა, პანღური სთუთქა,
 თქმით კი არც კარგი, არც უხამსი არარა უთქვამს.

ნაპანღურევა წამოკრიფა თვისი ყურები, —
 სით მოსულიყო, დაიდრა იმ მიმართულებით.

წარუდგა ავლადს — ის ამ მხარეს მეუფეობდა, —
 ჭკვიანს და გულადს ჰმორჩილებდა მთა და ხეობა.

ურვა-გოდების ძმობილი და თანაზიარი —
 ავლადს მიეჭრა ის დარაჯი თავსისხლიანი.

პრქუა: მინდორზე კაცი ნევსო დევივით შავი,
 ტანთ აცვიანო ვეფხვის ჭრელი, ლამაზი ტყავი.

ოდეს ჩამავლო გოლიათი თვისი მარჯვენა, —
 დამაწყველინა თავიცა და ქვეყნად გაჩენაც.

ყურნი მაგლიჯნა, მიმანება შორშოფს და ტირილს,
 თავად წამოწვა, არხეინად განაგრძო ძილი.

მივიდნენ, ნახეს უდარდელად მწოლარე ლომი, —
 თვალის სეირი იქნებოდა იმისთვის ომი.

ვინ იყო იგი, — ანვალეზდათ ცნობისნადილი,
 რად ირჩიათ განცხრომისთვის ჩვენი ადგილი?
 აჰა, როსტომშაც დაინახა მხედართა რაზმი,
 ცხენს ფარსაგი რამ არ სწიონო — გაუჩნდა მტერი მისი
 რაზმს მიაშურა, მოახტა და... მახვილსაც მისწვდა,
 აატორტმანა მეხისებრი ზახილით მიწა.

ჰკითხავს ავლადი: ვინა ხარ და რომელი გვარის,
 რომელ მბრძანებლის სამბრძანებლოს აქცეე მხარი...

იცი თუ არა, იმყოფები დევთა მხარეში,
 ვით ითავხედე და გაბედე ჩვენში თარეში?

ისმენს ავლადი საპასუხოს: მე ვარ ღრუბელი,
 ლომის ბრჭყალებით ვიარები, ღმერთის — უფლებით.

მახვილი ჩემი ლიბოს უღებს სამართალს მართალს,
 და აცალკევებს თავხედების ტანთა და თავთა.

ქამანდის მარჯვე მტყორცნელზედაც არა გსმენია? —
 რა გსმენია და არ გსმენია, — ნება შენია...

შენისთანები იქადნიან, გუმბათის წვერზე
 კაკალს დავსვამო... ლაჩრულად კი კვდებიან ველზე.

ხმალი იმარჯვა ამ სიტყვებთან, დაუშვა თავში,
 დააცხრა... ვითა წვრილმან თევზებს ნიანგი — ზღვაში.

ვით ლომმა ფარას, ხელი აგრე დაჰრია ყველას,
 მრავალ იმათგანს გაუხევა მზერა და სმენა.

ვინაც იაზრა და გაიქცა, გადარჩა ისლა, —
 ურჩხულთა სისხლი დაიძრა და — შეიპყრო ზიზღმა.

ახლა ქამანდი მოიმარჯვა, გადავლო შუკა, —
 ავლადი უნდა გამხდარიყო იმისი ლუკმა.

ავლადს რომ მისწვდა, მოისვენა მხოლოდლა მტრის,
 წინ გაიგდო და — თვითონ უკან მისდევდა რაზმით.

უთხრა: ხამს დევის და ერჟენგის ბინა მაჩვენო
 და ფულადისაც... გაირჯები თუკი საჩემოდ,

თუ მიძასწავლი სად ჩაკეტა მტერმა ქაუსი;
 გპირდები, რომ შენს აღზევებას არცრა დაუშლის.

გზას არ მაცდინო და სიმართლე მითხარი მხოლოდ,
 თუ არ გინდა, რომ საშინელი შეგექნას ბოლო!

პრქუა ავლადმან: ნუ მრისხანებ, ამდოვრე გული, —
 ჩემი სიმართლის დაგყვებოდეს იმედი სრული!

ადგილს გაჩვენებ თეთრი დევი, ბიდი რომ სახლობს,
 ეგე ადგილნი არ გეგონოს ოღონდაც ახლოს...

ქვი-ქაუსის ადგილ-სამყოფს ფარსანგი ასი
 და უფრო მეტიც კი გვაშორებს. გზა არის



გზაზე კლდეები... კლდეთა ზედა ქვიანი ჭეო...
 წყვდიადი მეფობს, დღე არ დღეობს, არცა მზე მზეობს.

უფსკრულებს ამას თვით ჰომიაც ვერ გადაუფრენს,
 უფსკრულთა ხახა ძეს კაცისას თავგზას აუბნევს.

სადარაჯოზე დგას თორმეტი ათასი დევი,
 წარმოიდგინე... ათასობით დევი და... ხევი.

ამ თორმეტ ათასს სათავეში უდგას ფულადი,
 მცველებად სენჯე, ბიდი დგანან, ორნივ — გულადნი.

სარანგი მათი, უკვე იცი, თეთრი დევია,
 აქამდე, უწყი, ვერავისგან დანაძლევი!

თუმც გამოცდილი მებრძოლი ხარ, იცი ხერხებიც,
 ადგილზე აშთობ, ჯავრიანი რასაც ეხები,

იცი ქამანდის ხმარებაც და გორდას ტრიალიც.
 ძალმოსილს ასეთს დაგამარცხებს მაინც... ტიალი.

ჩვენ გადავივლით ერთ დიდ ველსაც — დიხაშხოს, ქვიანს,
 იქ დევთა შიშით ქურციკები ვერასდროს ჰქრიან.

იმ ველის იქით მდინარე დის, გრძელი და ფართო,
 მთელი სიცოცხლე მისი ცქერა გეყოფა მარტო...

მეთვალყურეობს მდინარესაც გრძნეული დევი —
 შემოგარენსაც... მზერას ავლებს ზევით და ქვევით.

იქ თუ გავალწევთ, სხვა გზა არის კიდევ სავალი,
 ებგურ-დარაჯი გაფანტულა გზაზე მრავალი.

ძალმოცემულნი — აპრიმანით — დააბოტებენ;
 შეებრძოლები, ძალს აჩვენებ... გარნა როდემდე?

ყოველს ისმენდა ფალავანი, კი არ კრთებოდა,
 ავლადის თქმული სასაცილოდ ეჩვენებოდა.

პრეტუა: რა გაგვა, გზას დაედგეთ, გამიძებნა წინა,
თავად იხილავ, ვის და როგორ დასჯაბნის ვინა.



მე ღრუბელი ვარ... ოდეს რისხვა-ლადრობებს, თუ ვინა
თავად იხილავ, ვით გავფანტავ უმწეო მხსნელებს.

შემხედავს მტერი, — ათრთოლდება, მინახავს ისიც —
ათრთოლებულებს ეყინებათ ძარღვებში სისხლი.

ეროილა გვმართებს — ქაუსისკერ გავუყვეთ ევროსს,
ღმერთმა ნუ ქნას და ვერ მივაგნოთ, ამოდ გვევლოს.

ელვად გადიქცნენ. გზას დაადგნენ. ნიადაგ ქროდნენ,
ესფერუზის მთას დამაშვრალნი მიადგნენ ოდეს, —

ჩამოქვეითდნენ... აქ დამარცხდნენ ირანელები...
გამენამულდა მათი სისხლით მინდორ-ველები.

უხიზლობდა მთვარე, არ ისმოდა არსაით ჩქამი,
მხოლოდ ქუხილი იძრა მერმე, გვიანი ღამით.

მაზანდარანში ცას სწვდებოდა ცეცხლის ალები,
ღამის სიბნელე აღით იქმნა განამკრთალები.

ჯადოქარსაც კი დააფიქრებს იმ ცეცხლთან ჩავლა,
რა ცეცხლიაო, ეკითხება როსტომი ავლადს.

გათენებამდე არ სძინავთო ებგურ-აეშაგო,
ეშინიათო გაღმა მხარეს ვინმე გაეშვათ...

იქ მბრძანებელობს ერყენგი და ცახცახებს ხალხი,
არემიდამოს მისი შიშით ჰბატონობს თალხი.

დანვა როსტომი, დაიძინა. ამო ზმანებათ
თავი მხოლოდღა გამთენიის ხანზე ანება.

მინდორზე ერთი ხე შენიშნა — ვეება, დიდი,
იმ ხეს მიაბა ავლადი და სახითა მშვიდით —

ჯავშნით მოსილი, ზვიადი და მეფურ-მთებური,
შუკას დაადგა ატაცებულ-გულანთებული



მკერდს ვეფხვის ტყავი უდიადებს, თავს — ხოსროვანი!
 მიდის კი არა, მიფრთიანობს ჭკუამხცოვანი

ერყენგისაკენ ეშურება ცნობადლიერი,
 მრავალ ომგადანახადი და — ომით მშიერი.

აჰა, მივიდა, ცეცხლოვანი იშიშვლა ხმალი.
 რა შეუზახა, ატორტმანღნენ ზღვანი და მთანი.

ერყენგ-ღევს მხედრის გამონვევა როგორც კი ესმა,
 დასტოვა თვისი სამყოფელი, აღავსო გესლმა.

ფალავანთ თავი დაინახა, დაიძრა მისკენ,
 გარეშემოზე ეშმა-ღევთა გუნდები ისხდნენ.

გადმოიხარა რახშიდან და ყურებში დასწვდა,
 თავი მოსწყვიტა... ერყენგს მხოლოდ ხავილი დასცდა.

მის ბრბოს მიუგდო ერყენგ-ღევს თავი და ტანი,
 ქმედებას თვისას მისცა მეტი სივრცე და განი..

დაფრთხნენ ღევეები. დაჰპატრონდათ დაბნევა, შიში.
 ასეთი ძალის არ ენახათ მომხედური ძილშიც.

გადააფინყდათ ქვეყნის დაცვა... თავისთვის ჰგამათ,—
 რბიან... მამა შვილს აღარა სცნობს, შვილი კი მამას.

გაგრძელება იქნება



საქართველოს
წიგლისწერეთა
კავშირის კავშირი

მ ო თ ხ რ ო ბ ა ინვლისურიდან

თარგმნა ბეჟან სიხიჯაძემ

მე მგონია, იგი ყველას გვიყვარდა. იმის შემდეგაც კი, რაც „თხრილის მეგობრული კომპანიის“ საქმეები პირწმინდად ჩაფუშა, ყოველთვის თანაგრძნობას ვუწევდით, თუმცა ბევრი ჩვენგანი აქციონერები ვიყავით და მძიმე ზარალი ვნახეთ. მახსოვს, მჭედელი იმდენად შორს წავიდა. დაბეჭდვით განაცხადა: მაგ ჯეილები, მოხუცს ამდაგვარ პასუხისმგებლობას რომ აკისრებენ, პირდაპირ ლინჩის წესით დასასჯელები ბრძანდებიანო. მაგრამ მჭედელი არ ყოფილა აქციონერი და მის ნათქვამს უყურებდნენ როგორც ფართო ბუნების ადამიანის შესაწყნარებელ ახირებულობას, და, რაკი ამასთანავე მძლავრი აგებულების სხეულითაც გამოირჩეოდა, მისთვის შენიშვნის მიცემა როდილა ღირდა. ასეა თუ ისე, მითქმა-მოთქმას ბოლო აღარ უჩანდა. და მაინც, მე მგონია, ყველა ნანობდა, რომ ამ უბედურების გამო მოხუცს დიდი ხნის მოტიქრებული „შინ წასვლის“ გეგმა ჩაეშლებოდა.

მართლაც, ბოლო ათი წლის განმავლობაში მოხუცი ყოველთვის „შინ მიდიოდა“. მოხუცი შინ მიდიოდა მონტეფლეტში ექვსი თვის ცხოვრების შემდეგ; მოხუცი შინ მიდიოდა პირველი წვიმების გადაღების შემდეგ; მოხუცი შინ მიდიოდა, როცა წვიმები დამთავრდებოდა; მოხუცი შინ მიდიოდა, როცა ირმის გორაზე ტყეს გაჩეხავდა; როცა ჯოგს დაუსფლეთისაქენ გაუყენებდა; როცა ევრიკას გორაზე ოქროს მდიდარ საბადოს წააწყდებოდა; როცა „მეგობრული კომპანიიდან“ პირველი მოგების წილს ვაინაღდებდა; როცა არჩევნები დამთავრდებოდა; როცა ცოლისგან პასუხს მიიღებდა. და ასე წელიწადი მისდევდა წელიწადს, გაზაფხულის წვიმები იწყებოდა და მთავრდებოდა, ირმის გორას ტყეები მთლიანად მიწასთან ვასწორდა; დაუსფლეთის საძოვარი ჩაჰკანა და გადახმა; ევრიკას გორამ ოქროს მარაგი ჩამოილია და თავისი მფლობელი ცივ ქვაზე დასვა: „მეგობრული კომპანიის“ პირველი მოგების წილი აქციონერთა შემოსავლით დაფარეს; მონტეფლეტში ოლქის ახალი ხელმძღვანელობა აირჩიეს; ცოლისთვის გაგზავნილ პასუხს დაჟინებული კითხვები მოსდევდა. მოხუცი პლანკეტი კი ისევ იმავე ადგილას რჩებოდა.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოხუცმა რამდენიმეჯერ კიდევაც სცადა გუდა-ნაბადი აეკრა. ხუთი წლის წინათ მობინადრეებს გულმხურვალედ ჩამოართვა ხელი და მონტეპილს დაემშვიდობა. ოღონდ მიხლობელ დაბას მაინც არ ვასცილებია. იქ იძულებული ვახდა, წითელი ულაყი, რომლითაც თვითონ მიემგზავრებოდა, წაბლა ფაშატში გადაეცვალა. ამ გარეგნებამ მის მხიარულ წარმოდგენას მყისვე მოშავალი სართიანი ვაკრობის ფარ-

იო ასპარეზი გადაუშალა. რამდენიმე დღის შემდეგ ანგელოზელმა ებნერ დინმა მისგან წერილი მიიღო, მოხუცი იტყობინებოდა, ვისალიაში მოვდივარ ცხენების საყიდლად.

„მე კმაყოფილი გახლავარ, — იწერებოდა პლანკეტი ისეთსავე ახალგაზრდასავე, რომელიც კილოზე, რითაც ყოველთვის გამოიჭრებოდა, — მე კმაყოფილი გახლავარ, რომ ბოლოს და ბოლოს მივაგენით კალიფორნიის ნამდვილ სიმდიდრეს. მსოფლიო ოდესმე მიაპყრობს თვალს დაუსვლელს, როგორც მეცხოველეობის უდიდეს კერას. ამ საქმის წამოწყების გამო ერთი თვით გადავდევნი მგზავრობა“.

მთელი ორი თვე გავიდა, სანამ მოხუცი პლანკეტი, უკვე საკმაოდ ჯიბეამოფხეკილი, კვლავ დაგვიბრუნდებოდა. ექვსი თვის შემდეგ ისევ მოახერხა ალმოსავლეთის შტატებისკენ გეზი აეღო და ამჯერად სან-ფრანცისკომდე მიეღწია. აგერ წინ მიდევს მისი ქალაქში ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ მიღებული წერილი და ვბედავ, აქედან მცირე ამონაწერი მოვიყვანო.

„თქვენ იცით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს თამაში, რასაც მოუაზრებლად შეუფერებელ სახელს უწოდებენ, კალიფორნიაში ჯერ კიდევ ბავშვური განვითარების დონეზეა. მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ შეიძლებოდა ისეთი სრულყოფილი წესების გამოგონება, რომელთა გათვალისწინებაც გამჭრიახ მემორიანს ერთგვარ სარგებლობას მოუტანდა. ახლა არა მცალია, სათანადო წესები გაგიმტკიცონო, მაგრამ, ვინემ ქალაქიდან წავიდოდე, განზრახული მაქვს, ბოლოს და ბოლოს სრულყო იგინი!“

ალბათ, მოხუცი პლანკეტი ასეც მოიქცა და მონტეფლეტს სრულიად გაფცქვნილი დაბრუნდა, ამდაგვარი სრულყოფილი წესების დანერგვის შედეგად მთელი თავისი კაპიტალიდან მხოლოდ ორი დოლარი და ოცდაჩვიდმეტი ცენტრი დაარჩენოდა.

საბოლოოდ მოხუცმა პლანკეტმა შინ წასვლა ათას რვაას სამოცდარვა წელს მოახერხა. მოხუცი ხმელეთით გაუდგა გზას... გზას, რომელიც, როგორც თვითონ ამბობდა, დაუმუშავებელი მადნეულის აღმოჩენისთვის დიდ ვასაქანს იძლეოდა. მისი უკანასკნელი წერილი ვირჯინია სიტიდან მოვიდა. თვითონ კი მთელი სამი წელიწადი აღარ გამოჩენილა. ხოლო შემდეგ, შუაზაფხულის ერთი მეტად მხურვალე დღის ბოლოს მოხუცი პლანკეტი, ვისთფისა და მტვერსა და დროს თმა და წვერი შესამჩნევად დაეზარდა, უინგდემის ეტლიდან ჩამოვიდა. პლანკეტის მოსალმებაში მისთვის ჩვეული გულახდილი ენამრავლობისგან სრულიად განსხვავებული, ერთგვარი თავდაჭერილობა იგრძნობოდა, თუმცა ხასიათის ასეთ ცვლილებას ჩვენზე რაიმე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია. რამდენიმე დღე ბოლონდელ მოგზაურობაზე საუბრისგან თავს იკავებდა და, მეტად თუ ნაკლებად, გამომწვევი სიტყვებით კმაყოფილდებოდა: ყოველთვის ვამბობდი, შინ შავდივარ-მეთქი და ახლა ხომ მაინც ავისრულე საწადელიო. მოგვიანებით ლაპარაკს უფრო მოუმატა, ნიუ-იორკისა თუ ბოსტონის წესებსა და ჩვეულებებს თამამად კიცხავდა, თავისი სხვაგან ყოფნის დროს მომხდარ საზოგადოებრივ ცვლილებებზე მსჯელობდა და, მაგონდება, „გამეფებულ აღვირახსნილობას“. რომელიც, როგორც თვითონ აცხრობდა, „დამახასიათებელია ცივილიზაციის მაღალი მდგომარეობისთვის“, მალიან მკაცრად გამოხდა. კიდევ უფრო გვიან ალმოსავლეთის მობინადრეთა უმალღესი წრეების ზნეობრივ გარყვნილებაზე ბუნდოვნად მიუთითებდა. მაგ-

რამ, სულ მალე იქაურობას საბურველი მთლიანად ჩამოჰგლიჯა და ნიუ-იორკის საზოგადოებრივი ცხოვრების გარყვნილება ისე ცხადად გამოაშკარავა, რომ მისი გახსენება ახლაც კი მზარავს. თანახმად ნაამბობისა, ქალაქის/პირველ მანდილოსნებს მაგარი სასმელებით დათრობა საერთო ჩვეულებად გადაქცეოდათ. წრესგადასული უზნეურობა, რისთვისაც მოხუცს შესაფერის სახელის მისადაგება ვერ გაებედა, ორივე სქესის რჩეული ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობას შეადგენდა. სიძუნწე და გაუმადლორობა მდიდართა და მუცელვაბე-რილთა ნიშანდობლივ მანკიერებას წარმოადგენდა.

— მე ყოველთვის ვამტკიცებდი, — განაგრძობდა მოხუცი, — რომ ვახრწნილება სუფევს იქა, სადაც ფუფუნება და სიმდიდრე ბატონობს, ხოლო კაპიტალი ქვეყნის ბუნებრივი საგანძურის დამუშავებისთვის არ გამოიყენება... ვმადლობთ... მე უშაქროდაც გეახლებით.

სავსებით შესაძლებელია, რომ ამ სამწუხარო წვრილმანებიდან რამდენიმე ადგილობრივ გაზეთებშიც შეიპარა. მე მახსოვს „მონტეფლეტის გუშაგის“ მოწინავე წერილი „დაუძლურებული აღმოსავლეთი“, რომელშიც ნიუ-იორკისა თუ ანალი ინგლისის საბედისწერო ზნეობრივი დაცემულობა ოსტატურად აღინუსხებოდა, ხოლო კალიფორნია ხასიათდებოდა, როგორც ერთადერთი სა-შუალება ბუნებრივი ხსნისა.

„ალბათ, — წერდა „გუშაგი“, — საჭიროა დავუმატოთ, რომ აღმოსავლელ წელმაგარ სტუმარს საუკეთესო პირობებს სთავაზობს კალავერასის ოლქი“.

მოგვიანებით პლანკეტმა სიტყვა ჩამოაგდო თავის ოჯახზე. გოგო, შინ პა-ცაია ბავშვი რომ დაეტოვებინა, გაზრდილა და ლამაზი ქალი დამდგარა: ბი-ჭუხა უფრო მაღალი და დიდი გამზდარა, ვიდრე მამამისია და, როცა ერთმანეთს სუმრობით ღონე მოუსინჯეს, „ახალგაზრდა ყალთაბანდმა“, — მამობრივი სი-ამაყისა და გამკილავი საყვედურის გაბზარულ ხმაზე დაუმატა პლანკეტმა — მოსიყვარულე მშობელი ორჯერ გააკრა მხრებით მიწას. და მაინც უმეტესად თავის ასულზე საუბრობდა. ალბათ იმ აშკარა ცნობისმოყვარეობამ გაათა-მამა, რასაც მონტეფლეტის მამრობითი მოზინადრენი ქალის სილამაზის მიმართ იჩენდნენ, რომ ქალიშვილის მომხაბლობისა თუ სხვა ღირსებებზე გაბმულად მოჰყვა ლაპარაკსა და ბოლოს, მათდა გასაკვირლად, ჯიბიდან მეტად მშვენიე-რი გოგოს ფოტოსურათი ამოაძვრინა. თავის ქალიშვილთან პირველი შეხვედ-რის თხრობა იმდენად უჩვეულო გამოდგა, იძულებული ვხდები, შესაფერისი თანმიმდევრობით გადმოვცე ქვემოთ, ოღონდ მოხუცის სიტყვას როდი ემჩნე-ოდა ისეთივე სიცხადე და დახვეწილობა, როგორც მისი ნაწერის ენას.

— იცით რა, მეგობრებო, მე ყოველთვის იმ აზრის ვიყავი, რომ კაცს თავისი სისხლისა და ხორცის გამორჩევა ალღოთი უნდა შეეძლოს. ათი წელი გავიდა იმის შემდეგ, რაც ჩემი მელინდი არ მენახა, ის მაშინ შვიდი წლის ჯალდი იყო... დაახლოებით ამოდენა სიმაღლისა. ჰოდა, როცა ნიუ-იორკში ჩავედი, რაღას ვიზამდი მაშინ? პირდაპირ შინისკენ გავეშურებოდი და ცოლსა და ქალიშვილს მოვიკითხავდი მსგავსად სხვებისა? არა, ბატონებო! სახელდა-ხელოდ გამოვეწყვე, როგორც მეწვრილმანე, როგორც მეწვრილმანე, ბატონე-ბო, და ზარი დავრეკე. როცა მსახური კარს მოადგა, მინდოდა... ვერ გაიგეთ?... შეჩვენებანა მანდალოსნებისთვის ზიზილ-პიპილოები. შემდეგ კიბის მოაჯირი-დან ხმა ჩამოისმა, — არაფერი არა გვკირდება... გააგდეთ ეგა აქედანო. — ძალიან კარგი მაქმანები, ქალბატონო შემოტანილი საქონელი-მეთქი, ვუთ-

ბარი და ზემოთ ავიხედე. — გაეთრიე გარეთ, არამზადაო. — გაიმეორა მან. მაშინვე ვიცანი ქალის ხმა, მეგობრებო, ეს იყო ჩემი ცოლი, როგორც როგორც ორი ოთხია... ალლო რაღა საჭირო იქნებოდა აქა. ვეგებ, ახალგაზრდა მანდილოსნებს მოესურვოთ რაიმეს ყიდვა-მეთქი, ვეკითხები. — ეკვჩუჩუბუჩუ რას გეუბნებიო! — დამიყვირა ცოლმა და შემომიტირა, მე კი, მოგვტყუე რაღა მაშინვე მოვკურცხლე! უკვე ათი წელიწადი გასულიყო, მეგობრებო, დედაბერი აღარ მენახა. მაგრამ, რატომღაც, ხელაღებით რომ გამომეკიდა, ბუნებრივია, თავქუდმოგლეჯილი მოვძურწე.

მისტერ პლანკეტი, ამას რომ ამბობდა დახლთან იდგა, თავის ჩვეულ ადგილას, ოღონდ ბოლო სიტყვის წარმოთქმისთანავე სახე ნახევრად იბრუნა და მსმენელებს ძალიან მკაცრად მოავლო მზერა. შარტლაც, ზოგიერთებმა, რომლებიც უნდობლობის მცირეოდენ ნიშნებსა და ნაკლებ ყურადღებას იჩენდნენ, მყისვე ისეთი გამომეტყველება მიიღეს, თითქოს ნამეტნავი კმაყოფილებითა და დაძაბული ცნობისმოყვარეობით უგდებდნენ ყურს.

— ჰოდა, ერთი თუ ორი დღე ვუტრიალე იქაურობას, ბოლოს გავიგე, რომ მომდევნო კვირას მელინდის დაბადების დღე ექნებოდა და დიდი წვეულება უნდა გაემართა. აგერ გეუბნებით, მეგობრებო, იმისთანა მასპინძლობა ჯერ არავის უნახავს! მთელი სახლი, ყვავილებს აევსო და ჩირაღდნებს გაეკაშაშებინა, ბოლო აღარ უჩანდა მსახურებსა და ცივ სასმელებს, ნაირნაირ საჭმელებს თუ საწებლებს...

— ძია ჯო.

— ჰა?

— სად იშოვეს ამდენი ფული?

პლანკეტმა უღმობელი მზერა გადაავლო თანამოუბარს.

— მე ყოველთვის ვამბობდი, — ნელ-ნელა გაეპასუხა იგი, — რომ, როდესაც შინ წავიდოდი, წინასწარ გავგზავნიდი ათა ათასი დოლარის ქვითარს! მე ყოველთვის ვამბობდი ამას, არა? ხომ მართალია? ვამბობდი, შინ ძივდივარ-მეთქი... და ვიყავი კიდევაც... არა ვყოფილვარ? ჰა?

თხრობის ამგვარ თანმიმდევრობაში გარკვეული მომხიბლავი დამაჯერებლობა იგრძნობოდა თუ მოხუცის თავგადასავლის ბოლომდე მოსმენას სურვილი მძლავრობდა, ღმერთმა უწყის, ოღონდ საუბრისთვის მეტად აღარავის შეუშლია ხელი. მოხუცმა პლანკეტმა მალე დაიბრუნა ხალისიანი ვულახდილობა, ხმადაბლა ჩაიხითხითა და არხეინად განაგრძო:

— ქალაქის ყველაზე დიდ ოქროულობის მაღაზიას მივაშურე, ბრილიანტის საყურე ვიყიდე, ჯიბეში ჩავიდე და სახლისკენ გავუყევი. რომელი ბრძანდება-თქო? — მეკითხება ჯეილი, ვინც კარი გამიღო და ისე გამოიყურებოდა, თითქოს ხელზე მოსამსახურისა და სამრევლო მღვდლის ნაჯვარევი ყოფილიყოს. სკისიკსი-მეთქი, ვუპასუხე. ჯეილმა სასტუმრო ოთახში შემიყვანა და სულ მალე იქ ჩემი ცოლიც შემოლივლიდა და მითხრა: ბოდიშს ვინდი, მაგრამ არა მგონია, მაგნაირ გვარს ვიცნობდეთ. მეუღლე ძალზე ზრდილობიანად მეპყრობოდა, რადგან წითელი პარკი და ქილვაშები მქონდა გაკეთებული. თქვენს ქმრის მეგობარი ვახლავართ, ქალბატონო, კალიფორნიიდან. საჩუქარი ჩამოვუტანე თქვენს ქალიშვილს, მის... აქ სიტყვა გამიწყდა, ვითომდა სახელი აღარ მომგონებოდეს. თუმცა სულ მოულოდნელად ვიდაცის ხმა გაიგონებინა, — აგრე იოლად ვერ გავვატურებო. — და ოთახში მელინდი შემოვიდა.

ნამეტანი უხეარო ფანდია, მამა, თავი მოიკატუნო, ვითომდა საკუთარი ქალიშვილის სახელი დამავიწყდაო. ასე არ არის? როგორა ხარ, მოხუცი? და თან სასწრაფოდ მელინდომ ნილაბი და ქილვაშები ჩამომგლიჯა და კისერზე მკლავები მომხვია. სისხლიერი ალლო, ბატონებო. წმინდა წყლის სესხლეტი ალლო!

მელინდას ქალიშვილური გამჭრიახობის აღწერისგან გამთრეწილ სიცილით გამხნევებული პლანკეტი მისი ნათქვამის განმეორებას კვლავ შეუცვლა, იღონდ ამჯერად მეტ-ნაკლები სიზუსტით ჰყვებოდა, ბოლოს საერთო მზიარულებას თვითონაც შეუერთდა, ხშირად სხვებზე უფრო ბევრს ხითხითებდა და მთელი იმ საღამოს განმავლობაში იგივე ოჯახური ამბავი მეტ-ნაკლებ დაუღაგებლად არაერთგზის ჩამოღერდა.

ამრიგად, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, უმთავრესად კი დუქნებსა და ლუდხანებში, მონტეფლეტის ულისე ხალისიანად ჰყვებოდა, თავისი ზოგჯერ ამბებს. მოხუცი პლანკეტის ნაამბობში შეიმჩნეოდა ცალკეული წინააღმდეგობანი, ხანდახან მნიშვნელოვან ალაგას იკავებდა მომაბეზრებელი წვრილმანება, ზოგჯერ იცვლებოდა მოქმედი პირები და მოქმედების ადგილი. ერთხელ თუ ორხელ სრულიად სხვანაირი გამოდგა თხრობის დასასრულიც, მაგრამ მეუღლისა და ბავშვების მონახულების ამბავი ყოველთვის უცვლელი რჩებოდა. რასაკვირველია, ისეთ ურწმუნო საზოგადოებაში, როგორიც მონტეფლეტის საზოგადოება გახლდათ, საზოგადოება, სადაც მობინადრენი დიდი აწედიტ ტკობასა და მცირე ნაყიფის მოწევას მისჩვეოდნენ, საზოგადოებაში, სადაც ადგილობრივი კუთხური გამოთქმა „სუფთა ოქროს ეძებდნენ და უუჭქანს წააწყდნენო“ უფრო ხშირად იხმარებოდა, ვიდრე რომელიმე სხვა ოქრომამძიებელთა ბანაკში. ასეთ საზოგადოებაში მოხუცი პლანკეტის მოცხრობილი ამბები, ცხადია, ბოლომდე არ სჯეროდათ. მაგრამ ჩვეულებრივ ურწმუნოებს შორის არსებობდა მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისი, სენდიბარკლი პენრი იორკი. ეს იყო იორკი, ნიადაგ ყურადღებით რომ უსმენდა მოხუცს; სწორედ იორკის ღარიბული ქისა ამარაგებდა მალ-მალე პლანკეტს უსარგებლო საქმიანობათა წამოწყებისათვის; სწორედ ეს იორკი უსმენდა უფრო ხშირად მელინდას მომხიბლაობის ამბავს; სწორედ იორკმა გამოართვა მოხუცს მისი ფოტოსურათი; სწორედ იორკი იჯდა ერთ საღამოს თავის პატარა ქობში და ქალიშვილის ფოტოსურათს მანამდე ჰკოცნიდა, სანამ უწყინარი სანდომიანი პირისახე მოძალებულმა სიწითლემ მთლიანად არ დაუფარა.

მონტეფლეტში მტვერი იდგა. ყველგან ხანგრძლივი მშრალი სეზონის ნამუსრევი ეყარა; მომავლად ზაფხულს წათელი მტვერი ყველგან წვივის სიმაღლეზე დაეფინა და ბოლოს მოუსვენარი გზატკეცილების ზემოთ მოქანავე წითელსავე ღრუბლებში დაფავდა სულს. მურყანისა და ალვის ხეები, წყლის კალაპოტის მიმართულებას გარკვევით რომ აღნიშნავდნენ, მტვერს ყავისფრად მოეჭარგა და ისე ვამოიყურებოდნენ, თითქოს ფესვები ჰაერში გაუღვამთო. ამომშრალ კალაპოტში ქვები ისე ქათქათებდნენ, როგორც სიკვდილის ხეობაში მოფენილი გამოფიტული ძვლები. ზოგჯერ მტვრიანი დაისი შორეული მთების ფერდობებს სპილენძის მქრქალი ფერით ხატავდა; ხოლო ზოგჯერ კადევ უფრო შორეული სანაპირო მთაგრეხილის განშტოებათა ვულკანურ თხემებზე უჩვეულო, მოცახცახე წრიული ნათება გამოჩნდებოდა ხოლმე. ჰევიტრის გორაზე ცეცხლწაკადებული ტუიდან კვლავინდებურად მომავალი მძაფრი ფისოვანი კვამლი მონტეფლეტელებს თვალებს უწვავდა და სუნთქვას უხ-

წობდა: სიერას ფერდობებზე გაშმაგებული ქარი დაგელავდა და ყველაფერს, რაც კი გზაზე ხვდებოდა, მათთან ერთად დაგრაგნილი ფოთლოვანი ვხომშ-რალ ზაფხულსაც, წინ-წინ მიაქანებდა, მცხოვრებლებს თავთავიანთი ქონების-კენ მიაბრუნებდა და ფანჯრებთან წითელ მუშტს უქნევდა. ასეთ-სადამოს, რაკი მონტევიდეოს საზოგადოებრივი განვითარების ბორბლებს უძრავად უჭერ-რუჭებდა, ადვილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობა „მოკელამნის სასტუმროს“ მოოქროვილ დუქანში უღიმღამოდ იყრიდა თავს, იქ წითლად გავარვარებულ ლუმელზე, მონტევიდეოს გაკრეჭილ ცხვრებს მთის ქარებისგან რომ იცავდა. ნდუმარედ აფურთხებდნენ და ასე ელოდებოდნენ წვიმის მოსვლას.

მონტევიდეოსთვის ცნობილი დროსტარების ყოველი ხერხი მანამდე გა-მოცადეს, სანამ დიდი ხნის ნალოდინარი ბუნების ეს უჩვეულო მოვლენა დად-გებოდა. მართალია, ასეთი ხერხი ბევრი არ ყოფილა და, უმთავრესად, საერ-თოდ გავრცელებული ოხუნჯობით შემოიფარგლებოდა, რასაც, უბრალოდ, „მწარე ხუმრობა“, ეწოდებოდა, მაგრამ ამისთანა გართობაც კი თანდათან მნიშ-ვნელოვანი საქმის ხასიათს ღებულობდა. ტომი როის, თავისი ქარის წინ ორ-მოს ამოთხრაში ორი საათი რომ დაეხარჯა, სადაც იმ საღამოსვე შემოხვევით რამდენიმე მეგობარი ჩასცვივნოდა, დანა კბილს არ უხსნიდა და უკმაყოფი-ლებას ვეღარ მალავდა; ოთხ გამოჩენილ მოქალაქეს, შარაგზის ყაჩაღებისთ-გადაცმულებს, უინგდემის გზაზე ოლქის ხაზინადარს რომ დახვედროდნენ, თავიანთი ეშმაკობით მოგვრილი სიამოვნება უკვე მეორე დილასვე მოპყრჭე-ბოდათ. მონტევიდეოს მთავარ ექიმსა და კანონმცოდნეს, რომლებიც მზაკე-რულ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ, რათა კალავერასის შერიფი და მისა ზელქვეითები იძულებული გაეხადათ, რუხი დათვი ანუ საჩივარში შენიღბულად მოხსენიებული „ერთი Major Ursus“¹, პევიტრის გორას კორომებში რომ ხშირად დაეხეტებოდა, იქიდან სასამართლო უწყების მეშვეობით გაესახლები-ნათ. მეტად უდრტვინველი და მოთენთილი გამომტყველება ჰქონდათ. თვით „მონტევიდეოს გუშაგის“ რედაქტორიც კი, იმ დილით აღმოსავლელი მკით-ხელებისთვის უიპნეკელ ინდიელებთან ბრძოლის ამალეღვებელი ანგარიში რომ გამოექვეყნებინა, თვით ისიც კი დაღვრემილი და ღონემიხდილი გამო-იყურებოდა.

როცა ბოლოს სან-ფრანცისკოში სტუმრად ნამყოფი ანგელოზელი ებნერ დინი დუქანში შეპოვიდა, რასაკვირველია, ჩვეულებრივ ორიოდ გარეგნულად გულწრფელ შეკითხვას, რაკი თვითონაც ასევე გულწრფელად გაეპასუხა, მოუ-ლოდნულად ემსხვერპლა, შემდეგ მორიგი შეკითხვის მახეშიც ადვილად გაება და სრული დამცირება იწვნია, ოღონდ ეს იყო და ეს, არავის გაუცინია, თუმცა ებნერი შეურაცხყოფილი დარჩა, თავდაჭერილობა მაინც არ დაუკარგავს. თა-ვის მტანჯველებს მშვიდად მიუბრუნდა და ალაპარაკდა.

— მე მაგაზე რალაც უფრო კარგი მომეძევება... მოხუც პლანეტს იც-ნობთ?

კაცებმა ლუმელს ერთდროულად დააფურთხეს და თავი დაუქნიეს.

— გახსოვთ, სამი წლის წინათ შინ რომ ვაემგზავრა?

ორმა თუ სამმა მახლობელი სკამების საზურგელებიდან ფეხები ჩაპოი-ლო, ერთმა კი ამოღერდა:

1. დიდი დათვი (ლათ.).

— დიახ.

— კარგი დრო გაატარა შინ?

ყველამ იქვენულად გადახედა იმ კაცს, ვინც „დიახ“ წარმოთქვა, იმან-
ვე დიდი პასუხისმგებლობა იკისრა, გულის ფანქალოთ გაიღიმა, კვლავ წარ-
მოთქვა „დიახო“ და მძიმედ ამოისუნთქა.



— მოინახულა მეუღლე და ბავშვი... მშვენიერი გოგუნა? — ფრობილად
აკითხა ებნერმა.

— დიახ, — ჭიუტად მიუგო იმავე კაცმა.

— იქნებ მისი ფოტოსურათიც ნახეთ? — მშვიდად განაგრძობდა ებნერ
დინი.

ახირებულმა კაცმა უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, ეგებ ვინმემ მხარი ამიბა-
სო. ორნი თუ სამნი, უფრო ახლოს მსხდომარენი, აქამდე ამკარა ცნობისმოყ-
ვარეთა გამომეტყველებით რომ ამხნეებდნენ, ახლა სამარცხვინოდ უღალატეს
და თავი მოარიდეს. ჰენრი იორკი ოდნავ წამოწითლდა და თავლისფერი თვა-
ლები დახარა.

ახირებული კაცი ჯერ შეყოყმანდა, მერე კი ნაძალადევი ღიმილით, რა-
საც ნათელი უნდა მოეფინა იმ გარემოებისთვის, რომ თვითონ ამგვარი და-
კითხვის მიზანი მშვენიერად ესმოდა, კარვ გუნებაზე ბრძანდებოდა და მარ-
ტოლდენ ხუმრობა მოესურვებინა, ისევ ისე გაეხმიანა:

— დიახ!

— გაგზავნა შინ... მოიცათ, ვნახოთ... ათი ათასი დოლარი, არა? — განაგრ-
ძობდა ებნერი.

— დიახ, — იმნაირივე ღიმილით გაიმეორა ახირებულმა კაცმა.

— ჰო, მეც აგრე ვფიქრობდი, — მშვიდად დაემოწმა ებნერი, — მაგრამ,
საჭმე ის გახლავთ, რომ მოხუცს საერთოდ არ გადაუდგამს ფეხი შინასაკენ...
არასოდეს.

ყველა ნამდვილად განცვიფრდა და ებნერს ცნობისმოყვარედ მიაშტერდა,
ებნერი კი გამომწვევად, მშვიდად და ოდნავ ზანტად განაგრძობდა:

— იცით რა, მე აგრე ფრისკოს ერთი კაცი ვნახე, რომელიც მოხუც პლან-
კეტს იცნობდა და მთელი იმ სამი წლის მანძილზე სონორაში ხვდებოდა. მო-
ხუცი ხან ცხვარს მწყემსავდა, ხან საქონელს უვლიდა, ხან გადამყიდველობას
ეწეოდა, ჭიბეში კი ყურგახვრეტილი „მაურიანიც არ ებადა. ჰოდა, ისე გამო-
დის, რომ... ე მაგ პლანკეტს „ორმოცდაცხრის“ შემდეგ კლდოვანი მთებიდან
აღმოსავლეთისკენ ფეხი არ გაუდგამს.

გულიანი სიცილი, ებნერ დინი დაბეჯათებით რომ მოელოდა, ნამდვილად
ატყდა, ოღონდ იქიდან მწუხარე და გესლიანი ბგერებიც გამოკრთოდა. უფიქ-
რობ, მსმენელები ამკარად გამოხატავდნენ გულისწყრომას, უწინარეს ყოვლისა,
გარკვევით იგრძნობოდა, რომ „მწარე ხუმრობასაც“ თავისი საზღვარი უნდა
სდებოდა. ამგვარი მოლორება, თითქმის მთელ წელიწადს რომ გრძელდებოდა,
მონტეფლეტის გამჭრიახობას სახელს უტეხდა და უმკაცრეს სასჯელს იმსა-
ხურებდა.

რა თქმა უნდა, მოხუცი პლანკეტის არავის სჯეროდა, მაგრამ აკვიატებუ-
ლი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ შეიძლებოდა, მეზობელ ბანაკებს ერწმუნათ,
მონტეფლეტელებს მოხუცის სჯერათო, მწუხარებასა და აღშფოთებას იწვევ-
და. კანონთმცოდნე აცხადებდა, მოტყუების გზით ფულის მიღებისთვის სავსე-

ბით დასაშვებია, საბრალდებო ოქმი შევუდგინოთ; ექიმი აღარ მალავდა. დიდი ხანია, ვამჩნევდი, მოხუცი ჭკუაზეა შერყეული და შემოღობილი საოლში უნდა მოთავსდესო; ოთხი გამოჩენილი სოციაგარი ამბობდა, მონტეფლესის/ვაქრობის საქმე მოითხოვს, რაიმე მკაცრი ღონისძიება ვავატაროთ. ვმდგარი ალგზნებული და ბრახმორეული შუაქანათის დროს კარი გმდგარო და დუქანში მოხუცი პლანკეტი შემოღობილდა.

უქანასკნელი ექვის თვის განმავლობაში მოხუცს საცოდავად შესცვლიდა გარეგნობა. თმა ჰევიტრის გორაკის ფერდობებივით მტვრიანი და ნაცრისფერი გახდომოდა; სახე ცვილივით გამკრთალებოდა, თვალის უბეები შეშუპებოდა და ჩალურჯებოდა; ტანსაცმელი გასუქუქციანებოდა და გასცვეთოდა, წინ ნაჩქარევი დგომელა საუზმობისგან ლაქებით მოსწინწკლოდა, უქან ნიდავ სატელდახელოდ მოწყობილ საწოლზე ხოჩიალისგან მატყლითა და თმით მოღინღვლოდა. თანახმად უცნაური განონისა, რომელიც ცხადყოფს, რომ აღამიანს, რამდენადაც უფრო უმწვირიანდება და უჭუქციანდება ტანსაცმელი, იმდენად უფრო ეზარება მისი მოშორება, თუნდაც დღე-ღამის ყველაზე ნაკლებ საჭირო დროის განმავლობაში, პლანკეტის ტანსამოსი თანდათან ბის ქერქსა თუ სხეულიდან გამონაზარდ საფარს დაჰგვანებოდა, რისთვისაც პასუხისმგებლობა მის მფლობელს მთლიანად როდი ეკისრებოდა. და მაინც, როცა პლანკეტმა ოთახში შემოაბიჯა, საერთოდ მიღებული სისუფთავის ჩვეულების შესაბამისად, ჭუქციანი პერანგი რომ დაეფარა, სცადა, ქურთაუკი შეეხებია და ნამცეცეებით მოპენტილ წვერზე ბრჭყალისებური თითები ნადირივით მოიფათურა. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მიხრა-მახრისა, ბაგეზე სუსტი ღიმილი გაუჭრა და ხელი, ღილის ირგვლივ, ამოად რომ ეგახირობოდა, უმწეოდ ჩამოუვარდა. რადგან, როცა ზურგით დახლს მიეყრდნო და სახე კრებულისკენ იბრუნა, პარველოდ შეამჩნია, რომ ყველას, გარდა ერთი კაცისა, მისთვის დაჟინებით მიეპერო მზერა. მოხუცი პლანკეტის ავორიაქებული წინააგრძობა მყისვე ჩასწვლა შექმნილ გარემოებას. მოხუცის სამწუხარო საიდუმლოება გამოჩვენებულიყო და ზედ მის გარშემო ჰაერში ტრიალებდა. მოხუცმა სასოწარკვეთილად გადახედა ჰენრი იორკს, ვითარცა უქანასკნელ ნუგეშს. მაგრამ იორკს ანთებულა სახე ფანჯრისკენ მიეზრუნებინა.

კრინტი აღარავის დაუძრავს. მღღუქნემ დახლზე სურა და ჭიქა უხმოდ დადგა, მოხუცმა თეფშიდან ნამცხვარი აიღო და გულგრილად დაუწყო ლილნა. ეისკს მანამდე წრუტავდა, სანამ მისი ძალა მოშვებულ კუნთებს გაუთავრებდა და გონებრივ დაძაბულობას მოუდუნებდა, მერე კი თავმოყრილ მამაკაცებს ერთბაშად მიუბრუნდა.

— აგერ, ეტყობა, შობამდე თათქოს ცვარი წვიმა არ უნდა გვეღირსოს. — გამომწვევად თქვა მან.

პასუხი არავის გაუცია.

— სწორედ ისევე, როგორც ორმოცდათორმეტ წელს, და კიდევ სამოც წელს. მე ყოველთვის მჯეროდა, რომ გვალვა ხანგამოშვებით დგება ამას ვამბობდი წინათაც. ამას ვამბობ ახლაც. ზუსტად ისევე, როგორც შინ წასვლის თაობაზე, თქვენ იცით ეს, — სასოწარკვეთილი გამბედაობით დაუმატა მან.

— აგერ ერთი კაცი ამბობს, — ზანტად შენიშნა ებნერ ღინმა, — მოხუცი პლანკეტი შინ არ წასულა. მთელი საბი წელიწადი სონორაში იმყოფე-

ბოლო „ორმოცდაცხრის“ შემდეგ არც ცოლი უნახავს და არც ქალიშვილი. ექვსი თვის განმავლობაში მაგ ბანაკს აბუჩად იგდებდათ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ გაისმა ხმა. გაისმა ქავესებით წყნარად.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეგ კაცი ცრუობს.

ეს არ ყოფილა მოხუცის ხმა. ყველა იქით მიტრიალდა, როცა პენრი იორკი ნელ-ნელა წამოდგა, ექვსი წყრთა სიმაღლის ტანი მთლიანად გაიმართა. ჩიტუხიდან გულზე დაცვენილი ფერფლი ჩამოიფერთხა. პლანკეტს გვერდით აუჩქარებლად ამოუდგა და პირი დანარჩენებისკენ იბრუნა.

— ის კაცი აქ არ არის, — უშფოთველად განაგრძო ებნერ დინმა და თვითონვე დამბაჩის ახლოს მარჯვენა ხელი მოურიდებლად დაიდო. — ის კაცი აქ არ არის, მაგრამ თუ მისი ნათქვამის დამტკიცება მომეთხოვება, მე აგერ გახლავართ, პო, აგერ გახლავართ.

როცა ორი კაცი, მათს შორის. გარეგნულად ალბათ, ყველაზე ნაკლებ ფიცხი, ერთმანეთს მიუახლოვდა, ყველანი წამოიშალნენ. კანონმცოდნე მათ შუა ჩადგა.

— ეტყობა, აქ რაღაც გაუგებრობაა. იორკ, ნამდვილად იცი, რომ მოხუც-ნა მიიჩნეულია შინაობა?

— დიახ!

— რა იცი?

იორკმა კანონმცოდნეს ნათელი, უმწიკვლო, ალალი მზერა მიაპყრო და თავის სიციცხლეში ერთადერთი აშკარა ტყუილი თვალის დაუხამხამებლად წარმოთქვა.

— მე თვითონ ვნახე იქ.

პასუხი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მთელმა მონტეფლეტმა იცოდა, რომ იმ დროს, როცა მოხუცი პლანკეტი მათთან აღარ იმყოფებოდა, იორკი აღმოსავლეთში მოგზაურობდა.

ორთა საუბარმა მოხუცს დანარჩენების ყურადღება ჩამოაშორა, თვითონ კი თავის მოულოდნელ მხსნელს გაფითრებული და სუნთქვაშეკრული მიშტერებოდა შემდეგ, როდესაც თავის ულმოებელ მტანჯველებს კვლავ მიუბრუნდა, თვალეში ისეთი გამომეტყველება გატკრთა, რომ უფრო ახლოს მდგომარეთ ძალაუნებურად უკან დაახევინა და ყველაზე მამაცებსა და თავხეულადებულებს უცნაური, გაურკვეველი ყრუოლა მოჰგვარა. ხოლო როცა ნაბიჯი წინ წადგა, ექიმმა, თითქმის ვერ გაიაზრა რისთვის, გაფრთხილების ნიშნად ხელი ასწია და მოხუცმა პლანკეტმა, თვალეში წითლად გავიარვარებული ღუმელისთვის რომ მიეშტერებინა და ბავეზე უჩვეულო ღიმილი დასთამაშებდა, გაცხარებით წამოიწყო:

— დიახ... რასაკვირველია, მნახე! ვინ ამბობს, არ უნახიაო? ეს ტყუილი არ არის. ვამბობდი შინ მივდივარ-მეთქი და ვიყავი კიდევაც. არა ვყოფილვარ? ღმერთო დიდებულო! ვიყავი, ვინ ამბობს, ტყუილს როშავსო! ვინ ამბობს, ეზმანაო! ეს სიმართლეა... შენ რატომ არ იღებ ხმას? ეს სრული სიმართლეა, უწინარეს ყოვლისა. შენა თქვი, მე თვითონ ვნახე იქაო, რატომ აღარ ამბობ კიდევ. თქვი! თქვი!.. სიმართლეა? ახლა აპირებს, ო, ღმერთო დიდებულო... ისევ აპირებს! ახლა აპირებს. მიშველეთ!

მოხუცმა გაშმაგებით შეპყვირა და გრძნობადაკარგული იატაკზე დაეცა.

როცა კვლავ მოიკრიბა გონება, ნახა, რომ იორკის ქოხში ბრძანდებოდა. გაუთლელ ნივნივებს ფიჭვის შტოების ცეცხლის მოციმციმე შეჰქიპებდა და ზემოთ ნაძვის გირჩებით ლამაზად მოჩარჩოებულ ფოტოსურათს ეცემოდა, ქვემოთ კი ფიჩხის კონაზე თვითონ იწვა. ეს იყო ყმაწვილი ქალის სურათი. მოხუცს პირველად სწორედ ამ სანახაობამ მოსტაცა მზერა და მისი მზერა მტკივნეულმა გრძნობამ აუელვარა, შეაერყოლა და აჩქარებით მიიხედ-მოიხედა. მაგრამ მის თვალებს იორკის ნათელი, დაღვრემილი, გამომცდელი, მოთმინებით აღსავსე თვალები შეხვდა და პლანკეტმა კვლავ ჩაღუნა თავი.

— მითხარი, მოხუცო, — არცთუ შეუბრალებლად, ოღონდ ისეთსავე ცივსა და გამჭვირვალე ხმზე მიმართა იორკმა, ერთი წუთის წინ მისი მზერა რომ ამჟღავნებდა, — მითხარი, ესეც სიცრუეა? — და სურათისკენ თითი გაიშვირა.

მოხუცმა თვალები დახუჭა და პასუხი არ გასცა. ორი საათის წინ ასეთი კითხვა ან რაიმე ეშმაკობას ჩაადენინებდა, ან კვებნას წამოაწყვებინებდა. მაგრამ საიდუმლოების გამომჟღავნებამ, მიცემული კითხვიდან რომ გამოკრთოდა, ისევე როგორც იორკის ხმის კილომ, შესაბრალოს მდგომარეობაში ჩავარდნილი უმწეო ადამიანი ახლა საკმაოდ დაამშვიდა. მოხუცის დაბინდული ტვინისთვისაც კი ნათელი გახდა, რომ იორკმა იცრუა, როცა მის მონაქორს დუქანში კვერი დაუჭრა. ახლა ცხადად ხედავდა, რომ შინ ნამდვილად არ ყოფილა და, როგორც აქამდე შიშობდა, არც ჭკუაზე შემცდარა. ამან ისეთი შეება მოჰგვარა, რომ წინანდებური თავქარიანობა და ახირებულობა კვლავ დაუბრუნდა. ჯერ ჭიბხითს მოჰყვა, მერე კი ხმამაღლა ახარხარდა.

იორკმა, მოხუცისათვის თვალები ისევ ისე რომ მიეშტერებინა, უკანვე წაიღო ხელი, რომლითაც მისი ხელი ეჭირა.

— გვარიანად არ გავაცურეთ, ჰა, იორკი! ჰი! ჰი!.. ყველაზე დიდი ოინი გამოვიდა, რაც კი ამ ბანაკში ოდესმე ჩადენილა! მე ყოველთვის ვამბობდი, რომ, ერთხელაც იქნებოდა, მაგათ მოვალორებდი და ვალორებდი კიდევაც... მთელი ექვსი თვის განმავლობაში. არ არის სასეირო... არ არის სასეირო ოინი? შესწრებიხარ ოდესმე ამნაირ ოინს? ხედავდი ებნერის სახეს, იმ კაცზე რომ ლაპარაკობდა, მაგას სონორაში ხვდებოდაო?... მოგეცა ლხენა, ჯამბაზებივით არ გამოგვივიდა? ოჰ, ეს უკვე მეტიმეტია.

მოხუცმა ბარძაყზე ხელი დაირტყა და ისე გაშმაგებით მორთო ხარხარი, კინაღამ საწოლიდან ჩამოვარდა, თუმცა, ეტყობოდა, მისი სიცილი მაინც ნაძალადევი და მოჩვენებითი გამოვიდა.

— იმისი სურათია? — ხმადაბლა ჰკითხა იორკმა მცირეოდენი სიჩუმიანად.

— იმისი? არა! ეს ერთ-ერთი სან-ფრანცისკოელი მსახიობი ქალია, ჰი! ჰი! ვერ ატყობ?... ოცდახუთ ცენტად ვიყიდე ეგ წიგნების მალაზიაში. ფიქრადაც არ მომსვლია, თუ ამასაც ულაპავდნენ! თუმცა აკი ულაპეს! ჰოდა, ამჯერად ვააცურა მოხუცმა ეგენი. არა?... ხომ მართალია?

მოხუცი უცნაურად შეაცქერდა იორკს სახეში.

— დიას, ოღონდ გამაცურა მეც, — გაეპასუხა იორკი და მოხუცს თვალებში ჯიუტად ჩააცქერდა.

— ჰო, რასაკვირველია, — აჩქარებით მიაგება პლანკეტმა, — მაგრამ შენ გესმის, იორკ, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ჩინებულად გამოხვედი! შენც

აუხვიე თვალი მაგათ. ერთი სიტყვით, ორთავემ ყველას ჩაღა გამოვაღვლეთ პირში... შენა და მე... ახლა მხარი უნდა მივცეთ ერთმანეთს, ძალიან კარგად მოიქეცი, იორკ, ძალიან კარგად! პოდა, შენ რომ ლაპარაკობდი, იორკსიტში ვნახე ეგაო, პო, ღმერთი გამიწყრეს, თუ არ მეფიქროს...

— არ გეფიქროს რა? — წყნარად ჰკითხა იორკმა, რადგან მისთვის შენა და ება, სახე გაუფიქრდა და თვალების ცეცება დაეწყო.

— პა?

— შენ ამბობ, როცა ლაპარაკობდი, ნიუ-იორკში ვნახე ეგაო, თუ არ მეფიქროს...

— სტუთინარ! — გააფთრებით მიახალა მოხუცმა. — როდის ვითხარი, რაიმეს ვფიქრობდი-მეთქი? რატომ ცდილობ, სიტყვაზე დამიჭირო? პა?

მოხუცს ხელები აუცახცახდა, საწოლიდან ბუზღუნით წამოდგა და ეკრისკენ ნაბიჯი გადადგა.

— ცოტა ვისკი მომიტანე, — საჩქაროდ მოაყოლა მან, — და მორჩილად დასჯობას. ასეა თუ ისე, პატივი უნდა სცე ადამიანს. მაგ ხალხსაც პატივი უნდა ეცა წუხელს. ღმერთმანი, კი ვუტირე ყოფა მაგათ. მხოლოდ ცოტა უქეიფოდ შევიქენი.

იორკმა მის გვერდით მაგიდაზე სასმელი და თუნუქის ფინჯანი დადგა, თვითონ კართან მივიდა, სტუთარს ზურვი შეაქცია და ღამეულ სივრცეს გახედა. თუმცა მალლიდან მთვარის ქათქათა შუქი იღვრებოდა, იორკს ნაცნობი მიდამო ასე მოწყენილი მაინც არასოდეს მოსჩვენებია; უინგდემის მიყრუებული ფართო შარაგზის მისადევარი არასოდეს მოსჩვენებია ასე ერთფეროვანი, ასე არასოდეს ჰგვანებია განვლილი ცხოვრების გზას და მომავალი ცხოვრების გზას, ასე არასოდეს ჰგვანებია მოხუცის ცხოვრების გზას, ზოგჯერ საითკენდაც რომ მიემართებოდა და გარკვეულ საზღვარს კი ვერასოდეს გასცილებოდა.

იორკი ისევ მოტრიალდა. პლანკეტთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და წარმოთქვა:

— მინდა, პასუხი გამცე ერთ კითხვაზე პატიოსნად და გულახდილად.

სასმელმა, ეტყობოდა, მოხუცს ძარღვებში მოდუნებული სისხლი გაუთბო და ბოროტეული ცეცხლი ჩაუქრო, რადგან იორკისკენ მიქცეულ პირისახეზე ემჩნეოდა, რომ უკმეხი ნაკვთები დასცხრობოდა და უფრო ყურადღებიანი გამომეტყველება აღბეჭდვოდა.

— ინებე, ძმობილო.

— გყავს ცოლი და... ქალიშვილი?

— ღმერთი მოწამეა, რომ მყავს!

ცოტა ხანს ორივე კაცი დუმდა. ორივე ცეცხლს ჩასჩერებოდა. შემდეგ პლანკეტი ნელ-ნელა მოჰყვა მუხლების ფხანას.

— ცოლი, მე და ჩემმა ღმერთმა, დიდი არაფერი შვილია, — ფრთხილად წამოიწყო მან, — ცოტა უტიფარი ბრძანდება. მაშასადამე, აკლია, ასე ვთქვათ. კალიფორნიული აღზრდის სულგრძელობა... ეს კი იძლევა, მაშასადამე, მეტად არასასიამოვნო შეხამებას. ჩემის აზრით, უარესი აღარსად მოიძებნება. პოდა, ენა ყოველთვის მზადა აქვს, ისე როგორც ებნერ დინს დამბაჩა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქალბატონი სისხლს უშრობს სხვებს, როგორც თვითონ ბრძანებს, ჯიბრის გულისთვისო. და რაღა ტარქრელი კოვზები უნდა, მუდამ

გაგეზებულა და საშველს არ გაძლევს. ასეთია ზნედაცემული აღმოსავლელი, ძმობილო, ეს ლუბავს იმასაც... ნიუ-იორკსა და ბოსტონში ცოლი არვისებს მაგ დაწვევლილ იდეებს, რომლებმაც სწორედ ამდაგვარ გზაზე დააყენა ისიცა და მეცა. მე იდეების გამოდევნებას როდი ვუშლი, სისხლს რომ არავის უშრობდეს. თოდონდ რაკი აღამიანს უხამსური მიდრეკილება გაუჩნდებოდა, მაგისთანა იდეებს ისევე უნდა მოერიდოს, როგორც ცეცხლსასროლ იარაღებს.

— ქალიშვილი? — დაეკითხა იორკი.

აქ მოხუცის ხელებმა ანგარიშმიუცემლად მიაშურა თვალებს, მერე კი ორივე, ხელებიცა და თავიც მაგიდაზე დაემხო.

— ნურაფერს იტყვი იმაზე, ძმობილო, ნუ მკითხავ ახლა...

მოხუცმა ცალი ხელით თვალები დაიფარა, მეორე ხელით კი ჯიბეში ცხვირსახოცი მოიძებნა, მაგრამ ამაოდ. შესაძლოა მოხუცმა ასეთი მიხრამოხრის წყალობით ცრემლი შეიკაფა. რადგან, როცა ხელი ჩამოიღო, თვალები სრულიად მშრალი ჰქონდა. ბოლოს კვლავ დაიბრუნა მეტყველების უნარი.

— ჩემი გოგო ლამაზია, ძალიან ლამაზი... თუმცა, გეუბნები, შენ თვითონ ნახავ, ძმობილო, შენ თვითონ ნახავ, ეჭვი არ შეგეპაროს. ახლა თითქმის ყველა საქმე მოგვარებული მაქვს. ერთ-ორ დღეში მადნის გამდიდრების გეგმას გავაუმჯობესებ და ყველა სადნობი ღუმელის სამუშაოები აღებული მექნება. — აქ მოხუცმა ჯაბიდან მთელი დასტა ქალაქები აჩქარებით ამოიღო და იატაკზე დაუცვივდა. — და მერე უკვე ჩამოვიყვან თჯახს. აგერა მაქვს ფასიანი ქალაქები, ესენი შექდეგ თვეში ათი ათას დოლარ სუფთა მოგებას მომიტანს, — სწორედ მაშინ დაუმატა მან, როცა გულმოდგინედ ცდილობდა ძვირფასი საბუთების აკრეფას. — საშობაოდ ჩამოვიყვან იმათ, თუ ვიცოცხლე, და შენც ჩვენთან ერთად მოუჯდები საშობაო სუფრას, იორკ, ძმობილო... უკველად მოუჯდები, ეჭვი არ შეგეპაროს.

მოხუცს სასმელმა გვარიანად ამოადგმევინა ენა და მომავალი საქმიანობის დიადი სურათები ერთბაშად გადმოალაგებინა. მოხუცი მეტნაკლებ აზნეულად ლაპარაკობდა, საოცნებო გეგმებს გულმოდგინედ ამუშავებდა და ახეიადებდა, დროდადრო კი მათ ისე წარმოიდგენდა, როგორც უკვე განხორციელებულ სინამდვილეს. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ ცაზე მთვარე კარგა ნიღლა ამოვიდოდა და იორკი შექვიფიანებულ სტუმარს ისევე ისე დააწვევდა ფიჩხის ლოგინზე. მოხუცი ერთბაშს გაუგებრად ბუზღუნებდა, მერე კი ღრმა ძილში ჩაიძირა. იორკი რომ დარწმუნდა, სტუმარმა დაიძინაო, კედლიდან სურათი და ჩარჩო ფრთხილად ჩამოიღო. კერასთან მივიდა. ორივე დანელებულ ნაკვერცხლებში ჩაყარა, თვითონ დაჯდა და ცქერა დაუწყო.

ნაძვის გირჩებს მყისვე მოედო ცეცხლი და ქალის გამოსახულება, ყოველ საღამოს სან-ფრანცისკოს მაყურებლას აღტაცებას რომ იწვევდა. აგიზგიზდა და ვაჭრა, ისე როგორც ჭრებიან ამნაირი საგნები. თანდათან ვაჭრა დამცინავე ღიმილიც იორკის ბაგეზე. მერე კი ნაკვერცხლები ერთმანეთს შიეხალა და იორკმა მოულოდნელად ვადვივებულ სინათლეზე ძირს დაგდებული ქალაქი შეამჩნია. ეს იყო მოხუცის ჯიბიდან ამოვარდნილი ერთ-ერთი საბუთი. იორკმა გულგრილად აიღო ქალაქი და მისი ნაკვეციბიდან ფოტოსურათი გამოცურდა. სურათის წინა მხარეს ყმაწვილი ქალის გამოსახულება მოჩანდა, უკანა მხარეს კი — ჯღაბნია ჩელით ჩანაწერი: „მამას მეღინდასაგან“.

ფოტოსურათი, უკეთეს ზემთხვევაში, ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მაგრამ ვაი. შენ ჩემო თავო... ვშიშობ რომ მისი ახალგაზრდული სხეულის უმოწყალო სიგამბდრეს, უგვანო თვითკმაყოფილებას, ულაზათო მტრთულობას თუ პირისახის არასანდომიან გამომეტყველებას თვით უმალღესი ხელოვნების დახვეწილი თავაზიანობაც კი ვერ შეალამაზებდა. იორკს მეორედ აღარც გადაუვლია თვალი მისთვის. ბოლოს წერილს მიუბრუნდა, ^{ჩვენს შემსწავლელთა შიშ-შიშობაში} მაინც ეპოვა შვება.

ბარათის ნიშანდობლივ თავისებურებას შეადგენდა ბევრი შეცდომა, სასვენნი ნიშნების სრული უქონლობა, ბატიფებური ხელით ნაწერი, კირვეული კალო და პატივმოყვრული გრძნობა. ვშიშობ, რომ განსაკუთრებული თავისებურებით არც მასში აღწერილი უბედურება გამოირჩეოდა. ეს იყო უღმობელი მოთხრობა სიღარიბეზე, ეჭვიანობაზე, სულმდაბლურ მოშურნეობაზე და ნამუსის შებღალვაზე, საწყალობელ სურვილებზე, მწუხარებაზე, რაც ადამიანს ამცირებდა და ბედუკუღმართობაზე, რაც სიბრაღულს იწვევდა. მაგრამ იქიდან მაინც გამოკრთოდა ვიღაც გადაგვარებულ მამაკაცთან ახლოყოფნის ბუნდოვანი სურვილი და მისდამი გულწრფელი სიყვარული, უფრო მეტად ანგარიშ-მიუცემელ გრძნობას რომ მიემსგავსებოდა, ვიდრე კეთილგონივრულ მიწრაფებას.

იორკმა წერილი ფრთხილად დაკეცა, მოხუცს ბალიშის ქვეშ შეუდო და ისევ ცეცხლს მიუჯდა. მწარე ღიმილი, სახეზე დიდხანს რომ დასთამამებდა და უღვაშის მიღმა ნაოჭებს მკვეთრად უღრმავებდა, თანდათან ნათელ თავლისფერ თვალეში გადაუვიდა და მალე სულ ჩაუქრა. მაგრამ ღიმილმა ყველაზე დიდხანს მაინც თვალეში შემოიკადა და გაუჩინარების შემდეგ, თუმცა ეს საკმაოდ უცნაურად მოეჩვენებოდათ იმათ, ვინც იორკს არ იცნობდა, იქ ცრემლი მოიტოვა.

იორკი ცეცხლპირას კარგა ხანი იჯდა, ტანი წინ წაეხარა და თავი ხელებში ჩაერგო. ამოვარდნილი ქარბორიო, ქერელის ტილოს სახურავს გულმოდგინედ რომ ეურჩებოდა, მის კიდევებს ერთბაშად შეუდგა. მთვარის შუქი უეცრად წიგნით ჩაცურდა და შეფიქრიანებულ მასპინძელს მხარზე წამიერად ეღვარე მახვილის პირივით დაედო. მისი შეხებისაგან გულწრფელი პენრი იორკი რაინდის ღირსებამდე ამაღლდა და უკვე გამხნევებული, დიდი სასოებით აღვსებული ფეხზე წამოდგა და თავის თავს სავსებით ერწმუნა!

ბოლოს დაიწყო წვიმები. პევიტრის გორაკის ფერდობებს სიმწვანე შესამჩნევად მოერიო. უინგდემის შარაგზის თეთრი კვალი კი სადღაც შორს, მონტეფლექტიდან რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე, ტბორებსა და გუბეებში იკარგებოდა. მდინარეთა ამომშრალი კალაპოტები, რომელთა თეთრი ძვლები ველდაბლობზე დიდი ხნის მივიწყებული უზარმაზარი ხვლიკის ჩონჩხის მალებივით მიბვეულ-მოხვეულად გამწკრივებულიყო, ძველებურად ამოავსო წყალმა. ხეობაში მშრალი ძვლები ერთხელ კიდევ ამოძრადნენ და თბრილებს ხალისიანი ხმაური მოედო, „მონტეფლექტის გუშაგის“ გვერდებზე კი სავსებით შესაწყნარებელი გაზვიადებული ანგარიში გამოჩნდა.

„ამ ოლქის ისტორიაში წინათ არასოდეს მიუღწევიათ ასე ნაყოფიერი გამომუშავებისთვის. „პილსაიდის შუქურის“ ჩვენს თანამედროვე მემატიანეს, ვინც ვუშან ხუმრობით მოიხსენია ის ამბავი (?), რომ ჩვენი საუკეთესო მობინადრენი მოტბორილ დაბას ხისგან „გამოთლილ ნავეებზე“ ამხედრებული

ტოვებენო, ძალიან გაეხარდება, როცა გაიგებს, ჩვენმა გამოჩენილმა თანამოქალაქებმა, მისტერ ჰენრი იორკმა, ახლა ნათესავეების მოსანახულებლად ნომოსავლეთში რომ გაემგზავრა, ბოლო ხანს ისეთივე „ხისგან გამოთლილი ნაჭით“ წაიღო ცოტათდენი ოქრო, ორმოცდაათი ათასი დოლარის რაოდენობისა, ნაყოფი ერთი კვირის რეცხვისა. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა უნდა იყოს რძობდა ეს ხალისიანი გაზეთი, — რომ ჰილსაიდს მსგავსი „უბედურება“ ალბათ მიმდინარე სეზონზე აღარ ეწევა, ამასთანავე გვჯერა, რომ „შუქურას“ თანამშრომელს რკინიგზის გაყვანა ნებაეს“.

რამდენიმე გაზეთი პოეზიამ გაიტაცა.

„სიმპსონის ჯვარედინის“ ტელეგრაფისტმა სან-ფრანცისკოს „სამყაროს“ აცნობა: „ჩამოდაბლებული ღრუბლები კურთხეულ ცვარს მთელი დღე უხვად აკურებენ არემარეს“.

სან-ფრანცისკოს ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა მშვენიერი ლექსი, მოხდენილად შენიღბული, როგორც მოწინავე წერილი: „გაიხარეთ, მოდის შხაპუნა წვიმა, კამკამა და მარგალიტად ქცეული, მოუვლინა სერებს ლოცვა-კურთხევა და მდებლობებს მოჰგვარა სიხარული. გაიხარეთ!“... და ასე შემდეგ.

რასაკვირველია, დარჩა მხოლოდ ერთი ადამიანი, ვისთვისაც წვიმას სიხარული არ მოუტანია. ეს იყო მოხუცი პლანკეტი. რაღაც იდუმალი და გაურკვეველი მიზეზით ამინდმა მადნის განდიდრების ახალი წესის სრულყოფაში ხელი შეუშალა და მისი გამოგონების დანერგვა მომდევნო სეზონამდე გადაიდო. წარუმატებლობამ კვლავ დააბრუნა იგი დუქანში, ჩვეულ ადგილას, სადაც ჩამოჯდებოდა და უყურადღებო, გულგრილ მსმენელს აღმოსავლეთისა და თავისი ოჯახის ამბებს უამბობდა.

მოხუცს არავინ უშლიდა ლაპარაკს, ხმა დადიოდა, თითქოს ვიღაც უცნობ პირს თუ პირებს დუქანის მფლობელისთვის გარკვეული თანხა ჩაებარებინოთ, რათა მისი ღარიბული მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ. მოხუცის აზირობულობას, როგორც მონტეფლეტში მის საქციელს განმარტავდნენ, ისე ღმობიერად უყურებდნენ, რომ დაპატიჟებაზე, შობას ჩემს ოჯახთან ერთად ისაძილეთო, თანხმობასაც კი იძლეოდნენ, დაპატიჟებას კი, რაღა თქმა უნდა, ყველას გულახდილად სთავაზობდა. ვისთანაც სვამდა ან საუბრობდა, და, აი, ერთ დღეს, ყველას განსაცვიფრებლად, ღია ბარათით დუქანში შევარდა. ბარათი შემდეგ ამბავს იუწყებოდა:

„მზად იყავი, რომ ქრისტეშობის დღეს ოჯახს ჰევიტრის გორაზე ახალ ჭობში შეხვდებოდი, ვინც ვინდა, ჰენრი იორკი“

ბარათი მდუმარედ გადადიოდა ხელიდან ხელში. მოხუცმა პლანკეტმა, ვისი გამომეტყველებაც ერთსა და იმავე დროს იმედსაც გამოხატავდა და შიშსაც, თანამეინახეთ დაჟინებული მზერა მოაველო. ექიმი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ კი მრავალმნიშვნელოვნად ასწია თავი.

— აშკარა თაღლითობაა, — ხმადაბლა თქვა მან. — ამდაგვარი ოცნების მოსაწყობად იმას ჰყოფნის ეშმაკობა... მაგათ ყოველთვის ჰყოფნით ეშმაკობა... მაგრამ აგერ ნახავთ, რომ თავის ჩანაფიქრს ბოლომდე ვერ მიიყვანს. ხედავთ, რას სჩადის?!.. მოხუცო, — უეცრად აუმაღლა ხმას მან, — ეს არის ხრიკი... თაღლითობა... და შენ იცი ეს! ნამუსიანად გამეცი პასუხი და თვალეში მიყურე. ასე არ არის ეს?

მოხუცმა პლანკეტმა ერთი წუთი ეჭიმს დაქინებით უყურა, მერე კი უმწეოდ დახარა თავი. ბოლოს კიდევ უფრო უმწეო ღიმილით წარმოთქვა:

— მე როდი ძალმიძს თქვენ ქედი მოგახრეფინოთ, მეგობრებო. ეჭიმი სწორს ამბობს. მცირე თამაშობანა დამთავრებულია. შეგიძლიათ ნიღაბი ჩამოხსნათ მოხუცს.

მოხუცი პლანკეტი ოდნავ ხითხითებდა, ცახცახებდა და მუხლს ძლივს იმაგრებდა, ბოლოს ჩვეულ ადგილას ჩამოჯდა და გაჩუმდა. მეორე დღეს, ჩანდა, ეს ამბავი სულ გადავიწყებოდა და მოახლოებული დღესასწაულის თაობაზე უზომოდ ლაყბობდა.

ასე გადიოდა დღეები და კვირეები მანამდე, სანამ მონტეფლემში ქრისტე-წობის კაშკაშა ნათელი დღე, სამხრეთის ქარებით გამთბარი და გახაფხულის ამოწვერილი ბალახებით გამხიარულებული დღე შემოვიდოდა. მაშინ კი სასტუმროს დუქანში მოულოდნელად ატყდა ჩოჩქოლი. ებნერ დინი მთელმარე მოხუცს მივარდა და ნჯღრევა დაუწყო.

— გაიღვიძე, მოხუცო! იორკი ჩამოვიდა- მეუღლე და ქალიშვილი გელოდებიან ქობში ჰევიტრის გორაზე! წამოდი, მოხუცო! აბა, ბიჭებო. ავსწიოთ!...

მომდევნო წუთს რამდენიმე ძლიერმა ხელმა მოხუცი თავისუფლად აიტაცა, ახალშენის ქუჩა ზეიმით ჩაატარა, მერე ჰევიტრის გორაკის ციცაბო აღმართზე აიყვანა და პატარა ქობის აივანზე გაძალიანებული და შეშფოთებული ჩამოსვა. იმავე წამს ორი ქალი მისკენ გამოეშურა, მაგრამ ჰენრი იოროკის აქნულმა ხელმა შეაჩერა ისანი. მოხუცი ძლივძლივობით წამოდგა ფეხზე. ბოლოს ღიმილი ვაივაგლახით გაიმართა წელში, სულ ერთიანად ცახცახებდა, თვალები გამოსცივებოდა, კისერი ჩალურჯებოდა და ხმა ჩახლენოდა.

— ეს სულ ხრიკია და მოტყუება! ეგენი არ არიან ჩემი სისხლი და ხორცი! ეს არ არის ჩემი მეუღლე, არც ეს არის ჩემი შვილი. ჩემი ქალიშვილი ლამაზი გოგოა... ლამაზი გოგო... გესმით? ის, ნიუ-იორკშია, თავის დედასთან. პოდა, მე ჩამოვიყვან იმას აქა. მე ვამბობდი, წავალ შინ-მეთქი, და კიდევაც ვიყავი შინ... გესმით? მე ვიყავი შინ! ეგ უხამსი ხრიკია! თქვენ მოხუცის გაცურებას ცდილობთ! გამიშვიოთ, გეყურებათ? მომაშორეთ მაგ ქალები! გამიშვიოთ!... მე შინ მივდივარ!...

მოხუცმა გაშმაგებით აიქნია ხელები, შემდეგ ნახევრად შებრუნდა, კიბეს გვერდით დაეცა და მიწაზე ჩამოგორდა. აღამიანებმა სწრაფად წამოაყენეს იგი. მაგრამ მაინც დაიგვიანეს. მოხუც პლანკეტს უკვე გაეშურებინა შინისაკენ.



წერილები

თარგმანა ნანა კანდელაკმა

დიდი რუსი პოეტის — მარინა ცვეტაევის ეს წერილები ნაწილია იმ პუბლიკაციისა, რომელიც მისმა ქალიშვილმა ა. ს. ეფრონმა 1969 წ. თუბსალ „ნოვი მირის“ მეოთხე ნომერში გამოაქვეყნა.

მარინა ცვეტაევა დიდბანს ცხოვრობდა სამშობლოს გარეთ. მაგრამ მშობლიურ მიწას სულიერად არასოდეს განშორებია და მის ფესვებს არასოდეს მოსწყვეტია. მარინა ცვეტაევის უყვარდა რუსეთის მიწის სურნელი, ტკიოდა სამშობლოს სატყეარო და ხარობდა მისი ბაღის წარმატებებით, პოეზიაში ექნებოდა ეს თუ მეცნიერებაში, რთულია ამ წერილების შინაარსი, ისევე, როგორც რთული აღსაქმელია თვითონ ცვეტაევის პოეზია: — თვითმყოფადი და ღრმად ინტელიქტუალური.

მთარგმნელისა: ნ

მ. ი. ბრიუსოვის

მოსკოვი, 15 მარტი, 1910 წ.

დიდად პატივცემულო ვალერი საკოვლევიჩი წელან ვოლგთან თქვენ თქვით: „თუმცა არა ვარ როსტანის თაყვანისმცემელი“.

მე იქვე მინდოდა მეკითხა თქვენთვის, რატომ? მაგრამ ვიფიქრე, რომ შეკითხვას ამაო ცნობისმოყვარეობად ჩამითვლიდით ან პატივმოყვარე სურვილად — „შესაუბრა ბრიუსოვთან“. წასვლისას კი, კარი რომ გაიხურეთ, დავღონდი, ვინანე, რად გავჩუმდი-მეთქი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს თავი იმით დავიმშვიდე, ხომ შემიძლია წერილით იგივე გკითხოთ.

რატომ არ გიყვართ როსტანი? ნუთუ თქვენც მასში ხედავთ მხოლოდ „ბრწყინვალე მოლაქლექს“, ნუთუ თქვენც შეუმჩნეველი დაგრჩათ მისი უსაზღვრო კეთილშობილება, მისი თაყვანისცემა სიზამაცისა და სიწმინდისადმი?

ეს არ არის ამაო შეკითხვა.

როსტანი ჩემი სულისა და გულის ნაწილია. ძალიან დიდი ნაწილი.

იგი მე მამშვიდებს, ძალას მმატებს მარტობაში. ვფიქრობ — ისე არავინ იცნობს, ისე

არავის უყვარს და ისე არავინ აფასებს მას, როგორც მე.

თქვენმა ანაზღად ნათქვამმა ძალიან დამანადვლიანა.

ფიქრობდი ჩემთვის: ყველა ჩემი საყვარელი პოეტისათვის აბლობელი უნდა იყოს როსტანი. ჰაინეს, ვიქტორ ჰიუგოს, ლამარტინს, ლერმონტოვს — ამათ ყველას უთუოდ უყვარებოდათ იგი.

ჰაინესა და მას აერთიანებთ რომის ხელმწიფისადმი სიყვარული. მელისანდისადმი, ტრაპოლის პრინცესასადმი. ლამარტინს წარმოუდგენელია არ ყვარებოდა „Amant du Rebe“, „მწირი“-ს დამწერი ლერმონტოვი მაშინვე დაინახავდა „l'Aliglon“-ის ავტორში დიდძალ ძმას, ვიქტორ ჰიუგო იამაყებდა ასეთი მოწაფით.

მას რატომია, რომ ბრიუსოვი, რომელსაც უყვარს ჰაინე, ლერმონტოვი, პატივს სცემს ვიქტორ ჰიუგოს, ისე გულგრილია როსტანისადმი?

დიდად პატივცემულ ვალერი იაკოვლევიჩ, თუ ჩათვლით ჩემს კითხვას პასუხის ღირსად. — მომწერეთ ამის შესახებ [...]

გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი

მ. ცვეტაევა.

3. 3. რუზანოვს

ფეოდოსია, 8 აპრილი, 1914 წ.

...გწერთ მამაზე, ჩვენ მას ძალიან ვუყვარდით, გთვლიდა „ტალანტებად, ნიჭიერებად, განათლებულებლად“, ოღონდ აშინებდა ჩვენი სიზარმაცე, დამოუკიდებლობა, სითამამე, სიუვარული იმისადმი, რასაც იგი „ექსცენტრილობას“ ეძახდა (მე 18 წლისას ნაპოლეონი ისე მიყვარდა, რომ მისი პორტრეტი სახატეში ჩავსვი. იყო ბევრი რამ ამგვარიც). ასიამ რვა წლისა იყო, მე — ათის, საზღვარგარეთ რომ გავემგზავრეთ — დედამ¹ ფილტვების ქლექი აღმოაჩნდა. საზღვარგარეთ სამი წელი დავუავით — დედამ, ასიამ და მე. პირველ წელიწადს უველანი ერთად ვიყავით ნერვიში, შემდეგ მამა რუსეთში დაბრუნდა. მე და ასია — ლოზანის პანსიონში დავრჩით. დედამ კიდევ ერთი წელი დაჰყო ნერვიში. ლოზანის შემდეგ ჩვენ — დედა, ასია და მე — გადავედით შვარცვალდში. ზაფხული მამასთან ერთად გავატარეთ. შემდეგ ზამთარს მე და ასია ვიყავით გერმანულ პანსიონში ფრეიბერგში. დედა ჩვენგან არც ისე შორს იყო. თებერვალში ხელახლა დაეწყო პროცესი (სავსებით დახურული ნერვიში) და შვარცვალდის ერთ-ერთ სანატორიუმში გაემგზავრა.

1905-1906 წლის ზამთარი იალტაში გავატარეთ. ეს იყო დედას ბოლო ზამთარი. მარტში მას დაეწყო სისხლისღებინება. სენი, რომელსაც წინათ თითქმის ვერ ვამჩნევდით, საოცრად სწრაფად განვითარდა. „შინ მინდა, მინდა ტრიობრუდნიში მოვკვდე!“ (შესახვევი,

სადაც ჩვენი სახლი იყო).

დედა გარდაიცვალა 1906 წლის 5 ივლისს, ტარუსაში. კალუგის გუბერნიაში, სადაც ჩვენ ბავშვობაში ვცხოვრობდით ზაფხულობით. თავის აღსასრულს დედა ნათლად გრძნობდა. „ახლა დამეწუება აგონია“².

გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე დედა გვეუბნებოდა მე და ასიას: „რა საწყენია, რომ უველა ქურის სულელი განხავთ მოწიფულ! მე კი...“ და შემდეგ: „მენანება მხოლოდ მუსიკა და მზე!“ სიკვდილის წინ სამი დღე ძალიან ეწამა, ერთი წუთი არ ხძინებია.

„დედა, იქნებ დაგეძინა...“
„გამოვიძინებ — კუბოში!“

დედა დედისერთა იყო. დიდედა — პოლონელი თავადების შთამომავალი. 26 წლისა გარდაიცვალა. ბაბუამ მთელი სიცოცხლე ჩ დედას შესწირა, რომელიც თავისი დედის სიკვდილის შემდეგ სულ პაწაწინა დარჩა. დედა ჩემის ცხოვრებამ ბაბუასა და შვეიცარიელი აღმზრდელი ქალის ხელში გაიარა. ეს იყო კარჩაკეტილი, ავადმყოფური, არაბავშვური ოცნებებითა და წიგნებით სავსე ცხოვრება. შვილი წლისა იცნობდა მსოფლიო ისტორიას და მითოლოგიას, ბოდავდა ამ გმირების სახელებს, მშვენივრად უკრავდა როიალზე.

ნაცნობი ბავშვები თითქმის არ ჰყავდა დედას, გარდა ერთი გოგონასი, დის მაგივრად რომ მოუყვანეს შინ. და მიუხედავად იმისა, რომ დედას ძლიერ უყვარდა იგი, მაინც სულ მარტო იყო მამას — ალექსანდრ დანილოვიჩ მენის — მთელი სიცოცხლე ეთაყვანებოდა. იმასაც გაგიჟებით უყვარდა დედა.

დედას ქალიშვილობამ, ისევე როგორც ბავშვობამ — მარტობაში გაიარა. იგი იყო ავადმყოფურად მგრძნობიარე, მემამოხე, ძალზე გულჩახვეული. მისი გმირები იყვნენ: ვალენსტინი, პოსარტი, ლუდოვიკო ბავარიელი. მგზავრობა მთვარიან ღამეს ოდერზე, სადაც ის დაიღუპა. დედის თითიდან ჩამოსხლტა ბექედი — წყალმა მიიღო, — შედგა ნიშნობა გარდაცვლილ ხელმწიფესთან. როცა რუბინშტე-

1 მ. ცვეტაევას მოგონებებში ბრიუსოვზე — „შრომის გმირი“, აღწერილია მისი შეხვედრა „ცოცხალ ბრიუსოვთან“ ვოლფის წიგნის მალაზიაში. რის შემდეგაც დაწერა ცვეტაევამ გაბოქვეყნებული წერილი. იმ წლებში ცვეტაევა გატაცებული იყო ღრანგი პოეტისა და დრამატურგის ედმონ დე როსტანის (1868-1918) შემოქმედებით და თარგმნა მისი პიესა „მარტვე“.

2 ე. ი. ნაპოლეონ II — რეიპშტადტის პერცოვი, როსტანის პიესას „მარტვეს“ გმირი, ჰაინე რამდენჯერმე აბსენებს მას თავის ნარკვევებში „ფრანგული საქმეები“.

3 მელიასანდა, ტრიობოლის გრაფის ასული, ცხოვრობდა XII საუკუნეში, როსტანის პიესა „ოცნების პრინცესის“ მთავარი გმირი. მას უმღერა ჰაინემ ლექსში „ქოფრუა რიუდელი და მელისანდა ტრიობლი“.

4 „ოცნების სატრფო“ (ფრანგ.).
5 „მარტვე“ (ფრანგ.).

ინმა ხელი ჩამოართვა, ორი დღე არ წაუძვრია ხელთათმანი. პოეტებიდან: შაინე, გოეთე, შილერი, სპაკერშპეარე, — უფრო მეტად კითხულობდა უცხოურ წიგნებს, ვინემ რუსულს. ქალწულური ზიზღი — ზოლასა და მოპასანისადმი. საერთოდ ღრანგი რომანისტებისადმი, ერთობ შორეულად რომ თვლიდა.

აღიზარდა მთლიანად გერმანული სულიკვეთებით. გატაცებული იყო მუსიკით, უზომოდ ნიჭიერიც (როიალზე და გიტარაზე მსგავს დაკვრას ველარასოდეს მოვისმენ!) ადვილად ითვისებდა ენებს, აქონდა ბრწყინვალე მეხსიერება, შესანიშნავი ენა, წერდა ლექსებს რუსულ და გერმანულ ენებზე. იტაცებდა მხატვრობა.

მის სიამაყეს ხშირად გულცივიობას აწერდნენ. იყო მორცხვი, თავშეკავებული ბუნების, არ უყვარდა აღერსი (გარეგნულად). აღმერთებდა მუსიკას. დარდი და კაეშანი არ შორდებოდა.

თორმეტი წლისა შეხვდა ჭაბუკს — სერიოჟა ე-ს (გვარი არ ვიცო, ინიციალები კი ჩემი სერიოჟასი აქონდა)¹⁰. ვაჟი ოცდაორი წლისა იყო. ისინი ცხენებით ერთად სეირნობდნენ მთვარიან ღამეს. თექვსმეტი წლისა დედაც მიხვდა და ვაჟიც მიხვდა, რომ ერთმანეთი უყვართ. მაგრამ ის უკვე ცოლიანი იყო. გაყრას ბაბუა ცოდვად თვლიდა. „შენ და შენი შვილები, თუკი ისინი გაჩნდებიან — ჩემთვის ახლობლები იქნებით. ის კი ჩემთვის არ იარსებებს“. დედას ძალიან უყვარდა ბაბუა და უარი თქვა ასეთი პირობით გათხოვებაზე. სერიოჟა ე. სადღაც შორს გაემგზავრა. ექვსი წელი მასზე დარდით ცხოვრობდა დედა. კონცერტზე შორიდან მისალმებოდა და ორი წერილი, — ეს იყო და ეს! — მთელი ექვსი წლის განმავლობაში დედას (შვეიცარიელ აღმზრდელს) რომელთანაც ბაბუას არ აქონია ახლო ურთიერთობა, გაგიჟებით უყვარდა დედაჩემი, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ბაბუა დაღუპდა. აღარაფერი უთქვამს.

ოცდაორი წლის დედა მამაჩემს მისთხოვდა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ დედის მაგიერობა გაეწია დაობლებული რვა წლის ვაჟიერობა და ერთი წლის ანდრეისთვის¹¹. მამინ მამა ორმოცდაოთხი წლისა იყო.

დედაჩემს მამა უზომოდ უყვარდა, მაგრამ პირველ ორ წელიწადს ძალიან სტანჯავდა მამის გაუნელებელი სიყვარული ვ. ი. ილოვაიასკიასადმი¹².

„ჩვენ ჯვარს ვიწერდით კუბოსთან“, — წერს დედა დღიურში. ბევრი აწამა ვალერიამაც. დედა ცდილობდა მიეჩვია მისთვის სულით უცხო ეს გოგონა, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა განსვენებული დედამისი და ამიტომ დედინაცვალს ახლოს არ იკარებდა. ბევრი მწარე დღეები გამოიარა დედამ. მშობლები არაფრით არ მგავდნენ ერთმანეთს. თითოეულს გულში თავისი ჭრილობა აქონდა. დედას — მუსიკა, ლექსები, დარდი და კაეშანი, მამას — მეცნიერება. სიცოცხლე გვერდი-გვერდ მიედინებოდა, მაგრამ არ კი ერწყმოდა. ეს კია, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. დედა ოცდაჩვიდმეტი წლისა გარდაიცვალა, დაუკმაყოფილებელი, შეურთგებელი. მღვდელსაც არ დაუძახა, თუმცა აშკარად არაფერს უარყოფდა და უყვარდა კიდევ ღვთისმსახურება.

მისი ტანჯული სული ჩვენში ცოცხლობს — ოღონდაც არ ვმალავთ იმას, რასაც იგი მალავდა. მისი შეამბოხე სული, მისი გატაცებები, მისი წყურვილი ჩვენში კივის.

თორმეტიდან — თექვსმეტ წლამდე რევოლუცია მამობდებდა. თექვსმეტი წლისას გაგიჟებით შემიყვარდა ნაპოლეონ I და ნაპოლეონ II. მთელი წელი კარჩაკეტილი ვცხოვრობდი, მარტო, ჩემს პატარა ოთახში, ჩემს უზარმაზარ სამყაროში.

თუმცა ამ ხანის შესახებ დაგიწეროთ ასიამ. მოგწერთ მამაზედაც.

იგი 80 აგვისტოს გარდაიცვალა, 1918 წელს.

¹⁰ როზანოვი ვასილ ვასილიევიჩი (1856-1919) — მწერალი, ფილოლოგი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი. ცვეტაევას ეს წერილი ერთ-ერთ ამ სამ შემორჩენილ წერილთაგანია, პეტერბურგში რომ მისწერა როზანოვს 1914 წლის განათხულებზე.

¹¹ ცვეტაევი ივან ვლადიმეროვიჩი (1846-1913) — ცნობილი ფილოლოგი და ხელოვნებათმცოდნე, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, რუმბინცევის მუზეუმის დირექტორი, მოსკოვის ნატიფი ხელოვნების მუზეუმის დამაარსებელი (ამჟამად პუშკინის სახელობის სახლითი ხელოვნების მუზეუმი).

¹² მ. ცვეტაევას და, ანასტასია (დ. 1894).

⁹ მეინი მარია ალექსანდროვნა, ცვეტაევას დედა (1868-1906).

¹⁰ ეფროსი სერგეი იაკოვლევიჩი, მ. ცვეტაევას ქმარი (1893-1941).

¹¹ ვალერია ცვეტაევა (1883-1966), მ. ცვეტაევის და (დედით სხვა), ანდრეი ცვეტაევი (1890-1933), მ. ცვეტაევას ძმა (დედით სხვა).

¹² ი. ვ. ცვეტაევის პირველი ცოლი.

გულის ხანდაზმული ავადმყოფობით, რომელიც ბოლო წლებში გამოაჩნდა. ხუთ ბოლო წელს მან იგრძნო ჩვენი სიყვარული, ადრე კი ძალიან იტანჯებოდა ჩვენ გამო და არ იცოდა, როგორ მოგვექცეოდა. როდესაც გავთხოვდით, ძალია დელავდა. არც სერიოჟას, არც ბორისს¹³ არ იცნობდა. სერიოჟა მერმე შეუყვარდა, იწამა რა მისი სურვილი — მიედო უმადლესი განათლება, — ეს მისთვის მთავარი იყო. როგორც ადამიანებს, არც სერიოჟას, არც ბორისს სრულებით არ იცნობდა, — არ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი, ვინც ჩვენ გვიყვარდა.

ალია და ანდრიუშა¹⁴ ძალიან უყვარდა, ძალიან ხარობდა მათით და, როგორც მე გავიგეთ, ყველას უამბობდა მათ ამბავს. მაგრამ ისინი ხუთ პატარები ჰყავდა ნანა ერთი წლის ასაკამდე, ეს მეტად დასანანიია! რა საოცარია! მე ამას ვიამბობთ.

მოსკოვში 15 აგვისტოს ჩამოვედი, სახლის გასაქირავებლად (ჩემი და სერიოჟას სახლისა).

მამა თავის მამულში იყო კლინის მახლობლად, სადაც შესანიშნავ პირობებში გაატარებდა მთელი ზაფხული.

22-ში შევხვდით ერთმანეთს ტრიოხბრუდნი¹⁵ზე, 23-ში ერთად გავემგზავრეთ მიურთან¹⁶, მას უნდოდა ჩემთვის რაიმე ეჩუქებინა. მე ავირჩიე ხავერდის პატარა პლედი — ერთი მხარე ყავისფერი ჰქონდა, მეორე — ოქროსფერი. მამა საოცრად უურადღებიანი და ალერსიანი იყო.

როცა თეატრალურ მოედანზე მივდიოდით, ნაირფერადი ყვავილებით რომ ბრწყინავდა, მოულოდნელად გაჩერდა, ხელი გაიშვირა ბაღის ბიხკენ და ნაღვლიანად თქვა: „გახსოვს, ჩვენ აგარაკზეც გვქონდა ბაღბა“.

გული შემეკუმშა. მინდოდა სადგურზე გამეცდილებინა, მაგრამ არ დამთანხმდა: „რატომ? რისთვის? მე კიდევ მუზეუმში უნდა გავიარო“.

„ღმერთო ჩემო, ვაითუ ეს უკანასკნელადაა?“ — გავიფიქრე და, რომ არ დამეჭერებინა საკუთარი თავისათვის, — დავინიშნე დღე — 28 რიცხვი, როცა მე და ასია მას აგარაკზე ჩავაკითხავდით.

ღმერთო, გული მეკუმშება! — 27-ში ღამით იგი აგარაკიდან თითქმის მომაკვდავი ჩამოიყ-

ვანეს. ეჭამმა თქვა, ადამიანების 75 პროცენტი დაიღუპებოდა ასეთი მგზავრობის დროსო. ველარ ვიცანი მამა, მასთან რომ შევედი: საოცრად თეთრი, ლოყებჩაცვენილი შემხვდა, საერთოდ მთელი ეს დრო ალერსიანი და მშვიდი იყო. მეკითხებოდა სახლზე მსულსწრისუთული ხმით, მიკარნახა წერილი თავის ახალგაზრდა საყვარელ თანამშრომელთან. საერთოდ სულ ლაპარაკობდა, თუმცა კი ხმა არ უნდა ამოედო. ლაპარაკობდა სერიოჟაზე, მის საქმიანობაზე, მის ჭანმრთელობაზე. ალიაზე, ანდრიუშაზე, — „მინდა შევუგროვო მათ ათ-ათი ათასი“, — თავის ავადმყოფობაზე ამბობდა. „ექიმებმა გააზვიადესო“, და გეგმავდა მომავალ ღიქციებს. რაღაც თქვა მუზეუმზე. ასიამ გაამეორებინა, რაო? „ჰო, რუმბიანცევის მუზეუმ ვთქვი, საიდანაც გამაძევებს!“¹⁶.

მან ორდღენახევარი იცოცხლა. ეს დრო სულ უბრალო რაღაცებზე ლაპარაკობდა, გვემუდარებოდა, წადით და დაიძინეთო, დაიღლებითო. გვეკითხებოდა ამინდზე. მე რაღაც ვუამბე ფეოდალურ ციხე-კოშკზე.

„წავიდა ფეოდალური ციხე-კოშკების დრო, — დადგა მშრომელი ადამიანების დრო!“.

სიკვდილამდე ერთი დღით ადრე მკითხა: „რასა იქმს ის შენი... პლედო?“

ღმერთო ჩემო!

ბოლო დღე თითქმის უგონოდ იყო. მოკვდა დღისით, 1 3/4 საათზე. მე და ანდრეი მის ოთახში ვიყავით. სული ეხუთებოდა, ყოველი წუთის ზუსტად ერთ მესამედ მონაკვეთზე სულთქმა იცვროდა. სუნთქავდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ: საშინლად ხმამაღლა: „ახ! ახ!“

პირველი წუთიდან უკანასკნელამდე სიტყვა არ დასცდენია სიკვდილზე, მოკვდა მღვდლის გარეშე. ვფიქრობ იმიტომ, რომ არ იცოდა, თუ კვდებოდა. — იგი მოჩწმუნე იყო. — ა/ ეს საიდუმლოდ დარჩა. ახლა უკვე ველარასოდეს გავიგებთ, გრძნობდა თუ არა მოახლოებულ სიკვდილს.

მისი გარდაცვალება ჩემთვის სავსებით საოცარი იყო: მშვიდი, ვაუკაცური, — თავდაჭერილი [...]

კუბოში მამას მშვენიერი, ნათელი სახე ჰქონდა [...]

13 ტრუხაჩოვი ბორის სერგევიჩი (1893-1920) — ა. ი. ცვეტაევის ქმარი.
14 ალია — არიადნა სერგეევნა იფრონი (დ. 1912), მ ი ცვეტაევის ქალიშვილი, ანდრიუშა — ანდრეი ბორისოვიჩ ტრუხაჩოვი (დ. 1912), ა. ი. ცვეტაევის ვაჟიშვილი.
15 მაღაზია მოსკოვში (მის მფლობელთა ერთ-ერთის გვარით ცნობილი).
16 ი. ვ. ცვეტაევი მოხსნეს რუმბიანცეის მუზეუმიდან 1909 წ., განათლების მინისტრის ... E. შვარცის ინტრიგების გამო.

ა. ა. ახმატოვას¹⁷

მოსკოვი, 22 რუს. აპრილი, 1921 წ.

ძვირფასო ანა ანდრეევნა!

რაოდენ ბევრია სათქმელი — და რა მცირე დროა! გმადლობთ ჩემი ცხოვრების მორიგი ბედნიერების — „მრავალძარღვასთვის“. ვერც მე ვიცოდებ და ვერც ალია იშორებს! გიგზავნით ორივე წიგნს!¹⁸ წააწერთ.

არ იფიქროთ, ავტოგრაფებს ვაგროვებდე. — რამდენი წარწერიანი წიგნი გავასაჩუქრე! — არაფერს ვაფასებ და არაფერს ვინახავ, თქვენსას კი კუბოში ჩავიტან — ბალიშქვეშ!

კიდევ ერთი თხოვნა: ალკონტი¹⁹ თუ გამოსცემს ჩემს „წითელ რაშს“ (გეძღვნებათ თქვენ) — და საშუალება არ მექნება თვითონ წავიკითხო კორექტურა, — წაიკითხეთ ჩემ მაგიერ. მჯერა თქვენი სიზუსტისა.

წაწარმოები ხულ პატარაა, დიდ დროს არ წაგართმევთ.

ვამზადებ კიდევ წიგნს: „ჩემს თანმედრეთ“ — ლექსებს, მიძღვნილს თქვენდამი, ბლოკსა და ვოლკონსკისადმი²⁰. სულ ოცდაოთხი ლექსია. თქვენდამი მიძღვნილთა შორის არის თქვენთვის ახალიც.

ო, როგორ მიყვარხართ, როგორ ვნარობ თქვენათ, როგორ მიკვნის თქვენზე გული და რარიგ მამაღლებთ სულით! — უურნალები რომ იყოს, ო, რა წერილს დავწერდი თქვენზე! — უურნალები — წერილები — მეცინება — ციური ხანძარი!

თქვენ ჩემი უველაზე საყვარელი პოეტი ბრძანდებით. ოდებლაც, დიდი ხნის — ასე ექვსი წლის წინათ, — სიზმარში გნახეთ. — თქვენი მომავალი წიგნით: მუქმწვანე ტარსიკონის უდაში ჩასმული, ვერცხლით ნატვიფრი — „სიტყვანი ბაჯალლოსანი“, ძველთაძველი ჯადო-თილისმით სავსე, ლოცვის მსგავსი (უფრო სწორად — პირუკუ) და როცა გამედგამა, ვიცოდი, — თქვენ დაწერდით ამ წიგნს.

ო, რარიგ მწყდება გული, რომ ეს უველაფერი მხოლოდ სიტყვებია, ასე საყვარელი — არ შემოდლია, მე ვინატრებდი წამდვილ კოცონს, რომელზედაც დამწვავდნენ.

მე შესმის თქვენი ყოველი სიტყვა! მთელი აღმაფრენა, მთელი სიძიმე — „მწიბრის“ ღეშების მსუბუქი წკრიალი²¹, — ამაზე ნაზად სიყვარულზე არავის უთქვამს.

და ეს მოულოდნელი — ველურად წარმოსლგარი — ლამის თვალით ხილული „იაროს-ლაველი“²². — ო, რა რუსეთია!

კიდევ მოგწერთ წიგნის შესახებ. რა გახარებული ვარ სამივეთი — ასე უმწეოებით და ასე პაწაწინებით! კრილოსანი — თეთრი გუნდი — მრავალძარღვა. რა მსუბუქი ტვირთია — თან სატარებელი. თითქმის ერთი მუტა ფერფლი.

თუ ბლოკი წაიღებს ხელნაწერს, გაჩვენოთ ჩემი „წითელი რაში“ (წითელი, როგორც ბატებსეა) — და აუცილებლად მომწერთ, უფრო გრძლად, ვინემ მაშინ! ხომ იცით, როგორ ვერ ვძლები ვერც თქვენი სულით და ვერც თქვენ მიერ დაწერილი ასოებით.

გკოცნით ნაზად, ჩემი მგზნებარე ოცნებაა — ჩამოვიდე პეტერბურგში. მოიწერთ თქვენს უახლოეს ბედ-იღბალზე, — სად იქნებით ზაფხულში და საერთოდ უველაფერზე.

თქვენი ორივე წერილი — მე და ალიასთა — გამოგზავნილი — მუდამ ჩემთანაა.

ა. ა. ახმატოვას

31 რუს. აგვისტო, 1921 წ.

ძვირფასო ანა ანდრეევნა! მთელი ეს ღღეები თქვენზე ავი ხმები დადიოდა²³, რაც თანდათან უფრო დაუინებული და უცილობელი ხდებოდა. გწერთ ამას იმიტომ, რომ ვიცი, თქვენამდე მაინც მოაღწევს ეს ამბავი — მოდა, მინდა სიმართლე იცოდეთ. გეტყვით პირდაპირ, რომ ერთადერთი — ჩემი დაკვირვებით,

¹⁷ ახმატოვას მ. ცვეტაევა პირველად 1914 წ. ახსენებს. 1915 და 1916 წლებში უძღვნის რამდენიმე ლექსს. ოციან წლებში ცვეტაევასა და ახმატოვას შორის მიმოწერა იწყება. პირადი შეხვედრა კი შესდგა მხოლოდ 1940 წელს, მოსკოვში.

¹⁸ ა. ახმატოვას კრებულები „თეთრი გუნდი“ და „კრილოსანი“.

¹⁹ 1918 წელს პეტერბურგში ჩამოყალიბებული გამომცემლობა, სადაც ხშირად იბეჭდებოდა ა. ბლოკი და სადაც მ. ცვეტაევა აპირებდა თავისი „წითელი რაშის“ გამოცემას (1920).

²⁰ ვოლკონსკი სერგეი მიხაილოვიჩი (1860-1937) — დეკაბრისტის შვილიშვილი, თეატრალური მოღვაწე, ცვეტაევას მეგობარი, რომელსაც მიუძღვნა ლექსების ციკლი „მოწაფე“ (1921).

²¹ ა. ახმატოვას ლექსიდან „ნამქერზე“.

²² ა. ახმატოვას ლექსიდან „«Ты отступник; за остров зеленый...»“

— თქვენი მეგობარი (მეგობარი — მოქმედი),
— პოეტთა შორის აღმოჩნდა მაიაკოვსკი, დაქ-
რილი ხარისხით რომ დაბორიანდებდა მუყაოსა-
გან ნაგებ „პოეტების კაფეში“.

ღარდით მოკლული — იგი მართლაც ასე
გამოჩნდებოდა. მანვე გაგზავნა ნაცნობების
დახმარებით ღებეშა თქვენი ამბის საკითხავად
და მისი მადლობელი ვარ — სამახარობლო
ცნობაზე... დანარჩენებზე (პოეტებზე) არც
მოგიყვებით, — იმიტომ კი არა, დაგაღონებთ,
ვინ არიან ისინი, მათ გამო დაღონდეთ? —
უბრალოდ, არ მინდა კალმის წვერი დავბლაგვო.

ეს ღღეები — იმ იმედით, რომ რამეს შე-
ვიტყობდი თქვენზე, — პოეტების კაფეში გავა-
ტარე, რა სიმახინჯეა! რა უბადრუკობა! რა ნა-
ძირალები! აქ იყო ყველაფერი: ჰომუნკულუ-
სებიც, ავტომატებიც, ჭიხვინა ცხენებიც და
იალტელი გამცილებლებიც შეღებილი ტუჩებით.

გუშინ შეჯიბრი იყო: დაფნა — ტიტული
შემჯიბრელისა, კავშირში ნამდვილ წევრად მი-
ღებისათვის. საერთო ორი ნაკადია: ნაღსონი და
მაიაკოვსკი. უარს იტყოდა ნაღსონიც და მა-
იაკოვსკიც. აქ იყო ვარდებიც, ცრემლებიც და
პიანისტებიც, ოთხი ფეხით რომ უკრავდნენ
ქვაფენილის კლავიშებზე... გუგულის მონოტო-
ნური ხმა (ასე იწყება ერთი ლექსი) და პოემა
იპონელ ქალიშვილზე, რომელიც მე მიუყვარდა
(ბალმონტის თემა, სვერიაინინის შესრულე-
ბით):

ეს ზღვის ნაპირზე მოხდა,
საცა ყვავიან ანემონები...

და მთელი დარბაზი აჭყვა:

სად იშვიათად გვხვდება
ქალაქის ფაეტონები.

მაგრამ ყველაზე აუტანელი და უსასოო ის
იყო, რომ ვინც ყველაზე მეტს ჭიხვინებდა და
კიჟინას სცემდა, — თვითონ არიან ასეთები, —
გუშინდელი შეჯიბრების შემდეგ.

განსხვავება იმაშია, რომ მათ უკვე გაიგეს —
სვერიაინინი აღარ არის მოდაში და შეცვალეს
იგი (უარესით!) შერშენევიჩით.

ესტრადაზეა — ბობროვი, აქსიონოვი, არგო-
გრუზინოვი²⁴, — პოეტები.

და — შამტანური ნომრები.

ბლოკნოტზე აქსიონოვს წავუწერე: „ბატონო
აქსიონოვ, ღვთის გულისაჲგჲს [...]
„შუხტად ახმატოვაზე“ (ხმა გავარდა, აქსიონოვ-
მა მაიაკოვსკი ნახაო). „ვშიშობ, ვერ დავრჩები
შეჯიბრების დასასრულამდე“.

და აქსიონოვის ზედიზედ თავის დაქნევა. მა-
შასადამე — ცოცხალიაო.

ძვირფასო ანა ანდრეევანა, რომ მიხვდეთ, რა
იყო ჩემთვის გუშინდელი საღამო და აქსიონ-
ოვის თავის დაქნევა, უნდა იცოდეთ ჩემი საში-
წინა ღღე, ერთი აუწერელი. ეს იყო საში-
წელი სიზმარი: როცა გინდა გაიღვიძო — და არ
შეგიძლია. მე ყველასთან ჭიქურ მივდიოდა,
თქვენს სიცოცხლეს ვევედრებოდი. კიდევ ცო-
ტა და სიტყვით ვიტყოდი: „ბატონებო, პქმე-
ნით ისე, რომ ახმატოვა ცოცხალი იყოს!“
[...] ალია მამშვიდებდა: „მარინა, მას ხომ ვაფი
შყავს!“.

გუშინდელი საღამოს დამთავრების შემდეგ
ბობროვს ვთხოვე მიეღინება: ახმატოვასთან.
ირგვლივ გაიცინეს. „ბატონებო, მე თქვენ ათ
საღამოს ლექსებს წავიკითხავთ, ზედიზედ, უფა-
სოდ. ჩემთან დარბაზი მუდამ სავსეა!“

ამ სამ ღღეს (უთქვენოდ) ჩემთვის პეტერ-
ბურგი არ არსებობდა, — თუმცა განა მართო
პეტერბურგი... გუშინ საღამოს კი — სასწაული:
„ღრუბლებად ვიქვეც დიდების სხივში“²⁵.

ამ ღღეებში თქვენზე წავიკითხავ²⁶ — პირ-
ველად ჩემს ცხოვრებაში: ვერ ვიტან მოხსენე-
ბებს, მაგრამ ამ პატივს სხვას ვერ დავუთნობ!
თუმცა რის თქმაც შემიძლია, ესაა: იდიდოსს
იდიდოსს!

ვამთავრებ — როგორც ალია ამთავრებს
მამასთან წერილებს.

გვოცნით და თავს დაბლა გიხრით.

მ.ც.

²³ ერთი პირობა, 1921 წელს, მოსკოვში მცდარი ხმა დარბა ახმატოვას სიკვდილის შე-
სახებ.

²⁴ შერშენევიჩი ვადიმ გაბრილოვიჩი (1893-1942) — პოეტი, თეორეტიკოსი, იმაჟინისტი.
ბობროვი სერგეი პავლოვიჩი (1889) — პოეტი და მთარგმნელი, ავტორი ნაწრომებისა ლექ-
სტმკოდნეობაზე აქსიონოვი (სწორია: ოქსიონოვი) ანოკენტე ალექსანდროვიჩი (1897). პო-
ეტი და კრიტიკოსი. არგო (გოლდენბერგი აბრამ მარკოვიჩი — 1897-1963) — პოეტი-სატირიკო-
სი და მთარგმნელი. გრუზინოვი ავან ვასილიევიჩი (1893-1942) — პოეტი-იმაჟინისტი.

²⁵ ახმატოვას ლექსიდან — „ლოცვა“.

²⁶ მ. ცვიტაშვილს მოხსენება ახმატოვას შემოქმედების შესახებ არ შემდგარა.

წ ა რ ი ლ ი კ რ ი ტ ი კ ო ს ს 27

20 აპრილი, 1923 წ.

არ ვიცი, მიღებული კია კრიტიკაზე ხხვა პასუხი, თუ არ გესლიანი და ისიც პრესის ფურცლებზე.

მაგრამ პოეტები არა მარტო წესებს მორჩილებენ, ქმნიან კიდევ მათ.

მაშ, ნება მომეცით ამ წერილით წესად შემოვიღო — პოეტმა მადლობით მიმართოს კრიტიკოსს.

(შემთხვევა საკმაოდ იშვიათი გახლავთ, რომ მიმღევრების დიდი იმედი გვქონდეს!)

მაშ ასე: მადლობელი ვარ გამოხმაურებაზე... ეს გამოხმაურებაა ამ სიტყვის მთელი პირვანდელი გაგებით. თქვენ არა მარტო (ასოებით ასოებს), არსით რაობასაც გამოხმაურეთ. მადლობას ამბობენ კი ამაზე? მაგრამ მადლობაც გამოხმაურებაა. გარდა ამისა, თქვენ ხომ ჩემთვის არ წერდით, ასევე მეც (ამ წერილს) ვწერ „არა თქვენთვის“, თუმცა თქვენზე.

მე არ მიყვარს კრიტიკა, არ მიყვარს კრიტიკოსები. ისინი უკეთეს შემთხვევაში ხელმოცარულის შთაბეჭდილებას ტოვებენ ჩემზე და, აქედან გამომდინარე, გაბოროტებულ პოეტებად მიმაჩნიათ, ამიტომაც ქება მათი ძაგებაზე მუტად მიუღებელია ჩემთვის... თითქმის ყოველთვის ზერეღე და არა არსებითია. ასე მაგალითად, ახლა გაზეთებში მე კი არა, ლიუბოვ სტოლიცას²⁸ აქებენ, ე. ი. ყველაფერი, რაც ჩემზე ითქვა, მას ვაკუთვნებ. ეს მე არა ვარ!

თქვენი კრიტიკა გონიერია, რადგან თქვენ იშვიათი მიდგომა გაქვთ ფოტოგრაფიასა (მუდამ უაღბსა!) და — განყენებულს შორის. თქვენ იღებთ იმ საშუალოს, რაც პოეზიის არს შეადგენს: გარდაქმნილ, გარდასახულ სიმართ-

ლეს. თქვენ ზრდილობიანი ბრძანდებით, ერიდებით გაშინაურებას, მუდამ „თქვენობით“ საუბრობთ. ზუსტად შენიშნავთ: — არა „პოეტი ქალი“, არამედ საერთოდ პოეტი.

თქვენ კარგი უნოვია გაქვთ, უსამიერი ჩაფიქრება. კუნსტიუკი²⁹ თუ სინამდვილე³⁰ (შეშლა აღვილია, რადგან ნაყალბევი მეტია, ვინც არსებითი) — არა, სინამდვილე! — ვამტიკცებ: მართალი ბრძანდებით. დიახ, ლექსებით ვცხოვრობდი, რაც... რაც დავიბადე! — მხოლოდ ამ ზაფხულს შევიტყვე ჩემს გამომცემელ გელიკონისგან³⁰, რა არის ქორე, რა არის იამბი, დაქტილი (იამბი ვიცოდი ბლოკის წიგნის სახელწოდებისგან, მაგრამ ლექსს განვსაზღვრავდი, როგორც „პუშკინის ზომას“ და „ბრიუსოვის ზომას“).

მე ვცხოვრობ — მაშასადამე, ვწერ — სმენის მიხედვით, ე. ი. რისიცა მჭერა, და არასოდეს შევმცდარვარ... თქვენთვის აღბათ საინტერესოა გაიგოთ, ბელიმ თავისი „გლოსალოლია“³¹, ისევე, როგორც თავისი „განშორების შემდეგ“³², ჩემი „განშორების“³³ მერე დაწერა. მე ის ცოცხალი მაგალითი ვიყავი, რომლის მეოხებითაც წარმოიშვა თეორია: ე. ი. მტიკცება ამჭერად წინ უსწრებდა თეორიას.

ამას გუბნებით ყოველგვარი პატივმოყვარეობას გარეშე [...]

კიდევ რა? ოპ, ვგონებ, ყველაზე მთავარი გულითადი მადლობა, რომ დედაკაცად არ წარმომადგინეთ «style russe»³⁴ არ შეგაცდინათ ხელვამ — (NB! დედაკაცი — დედაკაცს არ დაწერს!) — რომ ერთადერთმა იმათ შორის, ვისაც ჩემზე დაუწერია, ბოლოს და ბოლოს ყურადღების ღირსი გახადეთ არსი, ის, რაც ზეა და რაც მის მიღმაა.

გმადლობთ მზრუნველობისათვის. „შემდეგ საით? მუხიკისკენ, ე. ი. დასასრულისკენ!“³⁵

27 ასეა დასათაურებული წერილი 1923 წლის რვეულში. მიმართულია ემიგრანტი კრიტიკოსისა და ეურნალისტის ალექსანდრე ბახრაბისადმი. პირველი გამოქვეყნებული წერილი გამოხმაურებაა ა. ბახრაბის სტატიაზე „რიომების პოეზია, მ. ცვეტაევის წიგნზე „ხელობი“, დაბეჭდილი ბერლინის ერთ-ერთ გაზეთში.

28 სტოლიცა ლიუბოვ ნიკიტინა (1884-1934) — პოეტი ქალი, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში წასული.

29 ფოკუსი, მარჯვე ხუმრობა (გერმ. Kunststück).

30 ვიშნიაკი ა. გ. ბერლინის გამომცემლობა „გელიკონის“ მფლობელი.

31 ანდრეი ბელის „პოემა ხმაზე“, (ბერლინი, 1922).

32 ანდრეი ბელის ლექსების წიგნი (პრ. — ბერლინი, 1922).

33 მ. ცვეტაევის ლექსების წიგნი (ბერლინი, 1922).

34 რუსულ სტილში (ფრანგ.).

35 ა. ბახრაბი წერდა: „შემდეგი სვლა ამ გზით — სვლა უფსკრულისაკენ, პოეზიიდან გადახვევა სუფთა მუსიკისაკენ, პოეზიისთვის... დასასრულია“.

მჯერა, რომ გულწრფელად დაუფიქრდით მაშინ, ამიტომაც გიპასუხებთ: არა! ლირიკიდან (თითქმის მუსიკიდან) — ეპოსისკენ. ფლეიტა მაქსიმუმს რომ მიადწევს, უნდა დადუმდეს.

ეს თქვენი „ნელ-ნელა დაშვება“³⁶ არ არის, ეს ხმის განმუხტვაა — ხმებში, ერთისა — მრავალში. ვინემ ათასი ხმით გამოვხატო, ვაფლერო ერთი ჩემი სული, მიჯობს ერთი ხმით გამოვხატო და ვაფლერო ათასი სხვების, რომელთაგან ყოველი მაინც ერთია ის, რაც ერთს არ ძალუძს, ერთში — შეუძლია — მრავალს. ერთიანობა მრავლისა. ორკესტრიც — ერთიანობაა.

გასაგებია?

ეს კიდევ რაღა „ხელობაა“³⁷ სიმღერისა, რა თქმა უნდა. დაპირისპირება და გამოწვევა სიტყვისა და საქმესი (არა საქმისა) „ხელოვნება“. ამას გარდა — ჩემი ხელობა, ყველაზე უბრალო გაგებით, ისაა, რითაც ვსულდგმულე — აზრი, წრუნვა და სიხარული ჩემი არსებობისა. საქმე ჩემი დღეებისა და ხელებისა.

კაროლინა პავლოვას შესანიშნავი ფორმულა გააჩნია:

ქოი, შენ, რასაც მკრეხელობაც კი ტადარში ახლოს ვერ მიეკარა, ჩემო სიმდიდრე, უბედურება, ჩემო წმიდათაწმიდა ხელობაგ³⁸.

ამ ეპიგრაფზე არა მითქვამს რა, ჩემი წების — არა, ინსტიქტის თანახმად: არაფერი გაუუადვილო მკითხველს, როგორც ვერ ვიტან, მე რომ გამოადვილონ თვით მიხვდეს.

მკითხველი ხომ, სანამ არ შეეჭახები — მეგობარია, და სანამ შენზე არ დაწერს — პატივსა სცემ.

გაგზავნით ჩემს მეფე-ქალწულს³⁹ — განა გამოხმაურებისათვის, უფრო ამიტომ, რომ, გეტყობათ, არ წაგიკითხავთ, აი, წყარო ყველა თავზემოხვეულ რუსულ მანდილებიანა [...]

ბ. ლ. პასტერნაკი

მოკროპსი (ჩეხეთი), 11 ახ. თებერვალი 1923 წ.

ძვირფასო პასტერნაკ.

ეს წერილი თქვენს ნაწერებზე იქნება და — თუ დაპრჩება ადგილი და არ გამოქრება სურვილი! — ცოტა ჩემსახაც შევეხები. თქვენი წიგნი⁴¹ — მწველი შანთია, ის⁴² ღვართქაფი და თქეში — ეს მწველი შანთი. დამწვა, მაგრამ სულს არ ვუბერავ (სხვები — კოლდეკრემს ისვამენ, კართოფილის ფქვილს იურჩიან ნაძი-რალბი!) აი, ვიწვი, ვიწვი, ცაცხლი მდებდა, — აღარც ღამეა. აღარც დღეა ჩემთვის: მხოლოდ თქვენ, თქვენ ხართ ერთი. თვითონ დამგროვებელი ვარ, ჩემი ხა არა, მთელი სიცოცხლე ჩემს თავს გაფურბი! და მაშინ ვმწვიდდები მხოლოდ, როცა ჩემი უკვე აღარაფერი რჩება ჩემში. ძვირფასო პასტერნაკ, — ნება მომეცით, ნაბტომი გავაკეთო: თქვენ ბუნების მოვლენა ხართ. ახლავე ავიხსნით, რატომ. ჩემზე გამოვცადე. არაფერს ვიღებ მეორე ხელიდან „დამიანები კი — მეორე ხელია, პოეტები — მესამე. მაშასადამე, ვერაფერს ვერ შევსისხლხორციეო, ვერ შეეზარდეთ! და, რა თქმა უნდა — თქვენი დექსები არა აღამიანურია: ნიშატიც კი არაა ამისა. ღმერთმა მუხად ჩაგიოქვათ, კაცად კი გაქციათ, და თქვენ გატყდებით ყველა მენი (არჩან — ასეთი მუხები!), არადა, თქვენ უნდა იცოცხლოთ (მუხბას არ ვიუინებ: თავად ახლა მუხის

³⁶ მ. ცვეტაევის მხედველობაში აქვს სიტყვები: „აქედან, ანუ „ხელობიდან“ უნდა დაიწიოს მშვიდი, ნელ-ნელი დაშვება. უღელტეხილი გადალახულია“.

³⁷ „ეს კიდევ რაღა „ხელობაა“? — კითხვობდა გოგნებელი კრიტიკოსი“.

³⁸ კაროლინა პავლოვას ლექსიდან (1807-1893) „მათხოვრის გულში შემორჩენილი“.

³⁹ მ. ცვეტაევის პოემა-ზღაპარი, გამოვიდა 1922 წელს, ორი გამოცემით, — მოსკოვსა და სტრლინში.

⁴⁰ ცვეტაევის მეგობრობა ბ. პასტერნაკთან მიმოწერით დაიწყო, თუმცა ერთმანეთი ვერ ეკლავ. მ. ცვეტაევის საზღვარგარეთ გამგზავრებამდე გაიცნა 1922 წელს. მ. ცვეტაევის ლექსების კრებულში „ვერსები“ რომ წიციოთხა, პასტერნაკმა მისწერა რუსეთიდან სულ ახლახან წასულ ცვეტაევას. ცვეტაევამ უპასუხა, თითქმის ჩვიდმეტო წელი პოეტები არა მარტო წერბლებს სწერდნენ ერთმანეთს, რომლებიც თითქოს ამთოეული მათგანის „შრომისა და დღესა პატიანეს“ წარმოადგენს, ისინი უგზავნიდნენ ერთმანეთს აგრეთვე ხელნაწერებს, წიგნებს. თა შათი ცხოვრება მიედინებოდა შეუწყლებელ შემოქმედებით ურთიერთობაში.

⁴¹ ცვეტაევი წერს ბ. პასტერნაკს წიგნზე — „თქმები და ღართქაფები“.

⁴² ბ. პასტერნაკის წიგნი „ჩემი და — სიცოცხლე“, რომელზედაც მ. ცვეტაევი დაწერა 1922 წელს სტატია სახელწოდებით — „სანათლის თქეში“.

როდესაც ვარ და თავად უნდა ვიცი ცოცხელი, მაგრამ მიღმა!

პასტერნაკ, რომ შეცდომა და ტყუილი არ გამოვიდეს! ადამიანები მეორე ხელია, მაგრამ ხალხი, ზოგი ხალხი ძალიან ადრეულ ბავშვობაში. ბავშვები და პოეტები — ლექსის გარეშე, პირველი ხელია! თქვენ პოეტი ხართ ლექსის გარეშე, ე. ი. ასე უყვარს, ასე იწვის და ასე სწავს მხოლოდ ის, ვინც არ წერს, ვინც ერთხელ წერს — რვა მარცვლიანს მთელ სიცოცხლეში, ოღონდაც არა კალმის ხელოსნები (თუნდაც გენიოსები).

რატომ უღერს თქვენი ყოველი ლექსი, როგორც უკანასკნელი? „ამის შემდეგ აღარაფერი დაუწერია“.

თითქოს ვხვდები თქვენს რაღაც საიდუმლოს, საიდუმლოებებს. პირველი: თქვენი გატაცება და გზნება სიტყვებისადმი — მხოლოდ დასტურია, რა ზომამდე ისინი თქვენთვის საშუალებებია. ეს გზნება სასოწარკვეთაა სათქმელისა. ხმა, ბგერა თქვენ სიტყვაზე მეტად გიყვართ, და ხმაური (ცარიელი) ხმაზე, ბგერაზე მეტად. — იმიტომ რომ მასშია ყველაფერი ის არადა, განწირული ხართ სიტყვებზე, დონემიხდელი კატორღელივით ეწამებით... თქვენ შეუძლებელი გწადიათ, სიტყვათა სფეროს რომ სცილდებოდეთ. ის, რომ თქვენ პოეტი ხართ — შეცდომაა (ღვთისა — ღვთიური).

მეორე: თქვენ მკვრეტელი კი ირ, შემქმნელი და გამგებელი ხართ, — ოღონდაც აქ ასეთი საქმენი არ არს, ვერ წარმომიდგენინებთ ვერც მხედრად და ვერც შეფედ, და იმიტომაც, რომ არ არს საქმენი, — მთელი სიმშაგე და გააფთრება კმედებისა ლექსებშია: არაფერი არ დგას თავის ადგილზე.

იცათ რა, პასტერნაკ, თქვენ უნდა დიდი რაღაც დაწეროთ. ეს იქნება თქვენი მეორე სიცოცხლე. პირველი სიცოცხლე, ერთადერთი სიცოცხლე. თქვენ აღარავინ და აღარაფერი დაგჭირდებათ. თქვენ ვერც ერთ ადამიანს ველარ შეამჩნევთ. თქვენ საოცრად თავისუფალი იქნებით. თქვენ იმიტომ გიშვებთ, რომ ცდილობთ: უველაფერი ჩატიოთ ადამიანებში, ჩაჭედოთ ლექსებში. განა არ გესმით, რომ ეს უიმედო ცდაა, რომ მთლიანად ვერ დაიხარჯებით (თქვენი იღუმად ლტოლვა ხომ ისაა, მთელი არსებით დაიხარჯეთ) — მომისმინეთ, პასტერნაკ, გონივრულად და ხალად: ამ საუკუნეში თქვენ მოგვრათ მხოლოდ ერთი სიცოცხლე, ამდენი და ამდენი წელი — თუნდაც ოთხმოცი, მაგრამ მაინც ცოტა (განა დასაგრო-

ვებლად, დასაბარჯად), თქვენ ვერ დაიხარჯებით. მაგრამ დაიხარჯებით კი. შეგონების ქაფი გაცოფების ქაფად გალაქცევთ. თქვენ გჭირდებათ განმუხტვა: ყოველდღიური, თითქმის ყოველ საათს და წამს და სულ უბრალო რამით: რვეულით.

ლირიკული ლექსები (ის, რასაც ეძახიან) — ერთი მოძრაობის ცალკეული გაეღვება, წყვეტილი მოძრაობა... განსოვთ ბავშვობაში მბრუნავი კალეიდოსკოპები? თუ თქვენ ასეთი არა გქონიათ? ხელის იგივე მოძრაობა, ოღონდაც ოღნავ განწე: ვთქვით — მარჯვნივ, ოღნავ კიდევ მარჯვნივ, კიდევ ცოტა და ა. შ. ატრიალებ — და ისიც მოძრაობს. ლირიკა ეს წყვეტილი ხაზია, შორიდან მთლიანი, შავი, მაგრამ რომ დაუკვირდები: მთლიანად წყვეტილი — (გაურკვეველი წერტილები) — უშაერო სივრცე — სიკვდილი. და თქვენ ლექსიდან ლექსამდე კვდებით (ამიტომაც ყოველი ლექსი „უკანასკნელი“!).

წიგნში (რომანო თუ პოემა, თუნდაც სტატიკა!) ასე არ არის, იქ თავისი კანონებია. წიგნი დამწერს თავს არ ანებებს, — ადამიანებს — მათ ბედს — მათ სულს, ვისზედაც წერ, სიცოცხლე უნდათ. უნდათ დიღხანს იცოცხლონ დღითი დღე უფრო და უფრო მეტად, არ სურთ დამთავრდნენ! (გმირთან განშორება — ყოველთვის განხეთქილება!). თქვენ ხომ პროზის წიგნი გაქვთ, მე კი არ ვიცნობ. ვილაცის ბავშვობა⁴³. ხომ არ დამსიზმრებია? მაგრამ თვალით არ მინახავს. ან იქნებ თვითონ წამოგვდათ მოსკოვში? თითქოს ლილიტის მსგავსი.. ვგონებ, გელიკონმა⁴⁴ თქვა.

არ დაგავიწყდეთ მოწერა. ახლა პირდაპირ წიგნზე.. ჯერ ყველაზე საუვარედ ლექსებზე.

მაგიფებს: მარგარიტა. „ღრუბელი, ვარსკვლავები. იქვე კი...“ „შემედლო მათი დავიწყება“ (მთლიანად), — და უკანასკნელი.

ცეცხლი წამკიდა (შანთით დამწვა) — იმათმა განცდამ.

თქვენ წიგნის მეორე ნაწილს „მეორეთარიგინას“ ეძახით, — შეგობარო, ადამიანების მე შეექვსეხარისხოვნებაც მანთებს, აქ მე მსაჭულად არ გამოვდგები, მაგრამ — ლექსები! „შემედლო მათი დავიწყება“ — ეს ხომ მეორე ნაწილია!

ვიცი, შეიძლება არ გიყვარდეს, გეჭავრებოდეს წიგნი — დაუმსახურებლად, როგორც ადამიანი. იმიტომ, რომ დაიწერა მაშინ, იმათ შორის, იქ, იმიტომ, რომ ეს დაიწერა და არა ის. ვერ გავბედავ შეკამათებას, მაგრამ ალალი

43 ბ. პასტერნაკის მოთხრობა „ლიუვერის ბავშვობა“
44 ასე ეძახდა შ. ცვეტაევა ი. ვიშნიაევს, გამოსცემლობა „ველიკონის“ მფლობელს

გულით არ შემოიღია გავიზიარო. ამ წიგნში რამდენიმე მარადიული ლექსია, ისინი შენ თვალწინ იხატებიან, ისე, როგორც შეიღო პერანგიდან ძვრება გველი, შესაძლოა იმიტომაც არ გიყვართ იგი, თქვენს რომელ წიგნს თვლით პირველად და — რამდენი — გგონიათ, რომ დაწერეთ? [...]

ბ. ლ. პასტერნაკს

(ივლისის შუა რიცხვები, 1927 წელი)

ო, ბორის, ბორის, როგორ ვფიქრობ შენზე მუდამ, ნიადაგ, ფიზიკურად შენკენ, შენს მხარეს მიწა მოგბრუნდეს — ხსენისა და დახმარებისათვის! შენ არ იცი, რა მარტო ვარ... დავამთავრე დიდი პოემა, ვუკითხავ იმას, ვუკითხავ ამას — არსაიდან ხმა! — სრული დუმილი, ჩემი აზრით, მიუტვევებელი, და სულაც არა გრძნობათ სიჭარბით! — არამედ სრული ჩაუწყვდომლობით, ვერაფრის ვერ გაგებით [...] ჩემთვის ეს ნათელია, და ვერაფერა ვერ გამიწყვიტა. ამას წინათ ვილატას მივწერე: „ვფიქრობ ბორის პასტერნაკზე — ის ჩემზე ბედნიერია, იმიტომ, რომ ორი-სამი შეგობარ ჰყავს, — პოეტები, რომლებმაც იციან მისი შრომის ფასი, მე კი ერთი კაციც არა ჰყავს, რომელიც — თუნდ საათით — ლექსებს ამტობინებს ყველაფერს“. ეს ასეა. მყავს ნაცნობი ქალები, მფარველები, ზოგს კიდევ ვუყვარვა (უფრო მეტად მე, ვინემ ლექსები, ხოლო თუ ამასთან ლექსებიც უყვართ, გულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, 1916 წლის ლექსებს არჩევენ). მაშ, რისთვისაა მთელი ეს შრომა? სვეტების, სვეტების და სვეტების წერა — მხოლოდ ერთი სიტყვის საძებნელად, ხშირად რითმისაც არა, ისე სიტყვისა სტრიქონს შუა, — რატომ — არ ვიცი, მაგრამ უთუოდ რომ უდერდეს, როგორც —, ნიშნავდეს კა — შენ ეს იცი, იმიტომაც, ვითარცა ფიცარს ნაპირისკენ, — შენკენ მომაცურებს ტალღა...

ცხოვრებაში შენ როგორღაც შევეთვისე და შევეგუე ტკივილს... ფიზიკურსაც კი: გავარჯარებულსაც რომ მოვკიდო ხელი — ვერ

ვგრძნობ. ყველა ამბობს: ცაცხვი მუკავისო — მე კი არ მესმის, თითქოს ვილატას — შევებრაღე და გადაწყვიტა — ამას ეკმაყოფილება და გადამასხა კანგადამძვრალს ისეთი რამ, რომ ვერაფერმა ვერ გაატანოს. გახსოვს ზიგფრიდი და აქილეესი? გახსოვს, ცხვრებს უფროლი ერთისა და ქუსლი — შენთვისაა შენ...
შენ აღბათ შეტისმეტად შეაფასე ჩემი ლექსების წიგნი⁴⁵, ერთადერთი მისი სიკეთე კავშიანია. გაძლევ მას, როგორც ბოლო ლირიკულს, ვიცი, რომ საბოლოოა, კმუნვის გარეშე ის, რაც შეგიძლია — სავალდებულო არაა გააკეთო. ეს არის და ეს, იქ შე ყველაფერი შემოიღია, ლირიკა (მეცინება, თითქოს პოემები ლირიკა არ იყოს! მაგრამ შევთანხმდეთ, რომ ლირიკა — ცალკეული ლექსებია) — შემსახურებოდა მთელი რწმენით და სიმართლით, ვადავუჩინებარ, გამოვუყვანივარ კიდევ — და მომმართავდა ხოლმე ყოველ საათს თავისებურად, ჩემებურად, დავიღალე, აღარ მიწადა ვინღინებოდე ოზირისიციით? ნატებებად ვიმსხვრეოდე ლექსების ყოველი წიგნი — წიგნია განშორებასა და განხეთქილებებზე, თომასავით ურწმუნოების კრილოებით ერთსა და მეორე ლექსს შორის განა ჩვენ შორის ვინ დასვა წერტილი გულჩაწყვეტის გარეშე: ხოლო შენ დგრა? პოემასა და პოემას შორის შუალედები მცირეა, ერთიდან მეორემდე კრილობა ხორცდება. დიდი ნაწარმროებები — გაიხსენე შმიდტი⁴⁸ — stable fixe,⁴⁹ ლირიკა — ერთჯერედია, დღიური, ვითარცა ბედსვიანი უამარცხა. (თუ მოხვდა შენს ლირიკულ ტალღაში, — იცინე!).

ბორის, შენ როდესმე წაგიკითხავს ტრისტანი და იზოლდა დედანში? ყველაზე უზნეო და ყველაზე მართალი ამბავი დამნაშავეთა გარეშე, სადაც ყველა უდანაშაულოა, მოტყუებული ბელმწიფე მარკო, რომელსაც უყვარდა ტრისტანი და ტრისტანსაც უყვარდა იგი, იზოლდას ცრუ ფიცი, წმინდა ფიცის მუდმივი დარღვევა, და ბოლოს — ტრისტანის ქორწინება მეორე იზოლდაზე (თითქოს იყოს მეორე) — aux llanches mains.⁵⁰ — სულმოკლეობის, უიშელობის, თუ გნებავს, სულიერი ანგარების

45 ცაცხვის თითოღმა, ზიგფრიდს რომ დაეცა ზურგზე, როცა იგი ურჩხულის სისხლში იბანებოდა, რათა მტრების ლახვრისგან უვნებელი გამხდარიყო, გული დაუტოვა მოწყვლადი ამ ევრმანული ეპოსის გმირს, ისევე, როგორც ბერძნული ეპოსის გმირს — აქილეესს ქუსლი ღარჩა მოწყვლადი.
46 ხელნაწერი კრებულისა „რუსეთის შემდეგ“.
47 ეგვიპტური მითოლოგიის თანახმად, მზის დმგრთი ოზირისი ძმამ მოკლა და ნატეს-ნატეს დაამსხვრია.
48 ბ. პასტერნაკის პოემა „ლეიტენანტი შმიდტი“.
49 მყარი.
50 ხელუბთუთრა (ფრანგ.).

გამო. და როგორ არაფერი არ გამოვიდა აქედან. და როგორ არაფერი არ გამოვიდა ამ სიუვარულიდანაც. იმიტომ, რომ ცალ-ცალკე მოკვდნენ...

ამბავი, არაფრით განსხვავებული კაისა და გერდახნი ამბისგან.

ვაბარებ ერთ ეურნალში „ზღვიდან“-ს (შარ- შანდელი ზაფხულისას — ძღვნად შენ) და „სა- ახალწლოს“ (წერილს რილკესთან), გადავიწერე მეორესთვის „პაერის პოემა“, არ ვიცი, მიიღე- ბენ კი, ახლა მინდა ხელი მოკვიდო ფედრას, მაშინ მივლებულს, (31 დეკემბერს, 1926 წ.)⁵², მე-2 სურათზე ვარ. ვალს მოხდა უნდა.

ზაფხული იწურება, თუმცა ზაფხული არც უოფილა. ზოგჯერ სამჯერ, ზოგჯერ მეტადაც გაავდარდებოდა დღეში, ორ-ორჯერ გემრიელი თავსხმა და... ზაფხულის კაბებში ცივა, საჩქა- როდ ამოვადვირინე ზამთრის ტყავები. გუშინ, 14 ივლისს, ვუყურებდი ჩვენი შედონის რკი- ნიგზის ბიდადან — რაკეტებს და ვთრთოდი. ეს უკვე აღარ მიყვარს, ისე აღარ მიყვარს — უფ- როდ სამსახურებრივი მოვალეობის გამო...

ბორის. შენ არ იცნობ „ზღვიდან“-ს, „საახალ- წლოს“, „პაერის პოემას“, — ყველაზე არ- სებითს, რაც კი ოდესმე დამიწერია თუ დავ- წერ. ვიცი, რომ საჭიროა გაბეძვა და გადა- წერა, მაგრამ გადაწერა — შენთვის — იგივეა, რაც უბრუნებელი ხელმოწერა დასაბეჭდად- იგივეა, რაც ბავშვობაში რაღაცის მოულოდნე- ლი გადაგდება ჩქარი მატარებლის ფანჯრიდან. ბავშვის დაცარიელებული ხელი, ახლახან რომ ისროლა ჩქარი მატარებლის ფანჯრიდან — რა? თუნდაც დედის ჩანთა, რაღაც საბედისწერო...

ბორის, მე მომენატრა რუსული ბუნება, ბუფ- რა, სურსამოკიდებული ტყე, — ჩემი თავი — მანდ. რომ შეიძლებოდეს თავიდან დაბადე- ბა [...]

მ. ჩერნოსვიტოვას⁵³

(დაბლობებით 15 იანვარი, 1927 წელი)

ძვირფასო მეგობარო, გწერთ პასუხს უშუა- ლოდ აქვენი თავზარდამცემი წერილის შემდეგ.

რილკეს სიკვდილის ამბავი გავიგე 31 დეკემ- ბერს, ახალი წლის წინა დღე. შემთხვევითი ნაცნობისაგან, გავიგე უწრით, ანუ შევიდა ეურში და გამოვიდა. გაცნობიერება მოვიდა გვიან, თუ შეიძლება ~~შეიძლება~~ გაცნობიერება იმ მოვლენისა, ~~შეიძლება~~ შენ კი არ გჯერა. თქვენმა წერილმა მომიწრო მძი (უანდელს) ვითარებაში. ჩემი წერილის წერი- სას⁵⁴ — მასთან, ყოვლად შეუძლებლისა, რად- გან უნდა თქმულიყო ყველაფერი. 31 დეკემ- ბერს აქეთ — ამ წერილით ვცოცხლობ, მას გამო მივაგდე „ფედრა“ (11 ნაწილი „თეზევსი“ ჩაფიქრებული, როგორც ტრილოგია — თუმცა ცრურწმენის გამო —). ეტყობა, ამ წერილს ვერასოდეს დავასრულებ, ვინაიდან როცა „ახა- ლი ამბები“ შეგნიდან მოდის... მაუიქრებს, იხიც, რომ (წერილი) ღიაა. ღია წერილი ჩემგან — მას. (თქვენ მას იცნობდით და შესაძლოა მეც გამიცნოთ). წერილს, რომელსაც ყველა წაი- კითხავს, მის გარდა თუმცა იქნებ თვითონ წერს მას, თვითონ — მკარნახობს. ვნებათ ერთი სიმართლე ლექსებზე? ყოველი სტრიქო- ნი თანამშრომლობაა „ზესთა ძალებთან“ და ბოუტი — დიდი-დიდი მდივანი იყოხს — გიფიქრიათ კი, რა მშვენიერია ეს სიტყვა: მდივანი (secret)?⁵⁵

რილკეს როლი შეიცვალა მხოლოდ იმით, რომ სანამ ცოცხალი იყო, თვითონ თანამშრომ- ლობდა — ახლა კი თავადაა „ზესთა ძალა“.

ნუ დაინახავთ ყოველივე ამასი რუსულ მისტიკას! ლაპარაკი ხომ მიწიურ საქმე- ებზეა. და ყველაზე ზეციური შთაგონებაც — არარაა, თუ არ იქცა მიწიურ საქმედ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, თუ საი- დან გაიგეთ ჩემი მისამართი? ბელეჯუედან⁵⁷ მხოლოდ ერთხელ მივწერე — ღია ბარათი. მისამართი არ ეწერა Musal-ზე. ჩემს ბო- ლო წერილზე (ტენევიდან) მან არ მიპასუხა, იგი რაგარზე იყო. არ იცით, მიაღო თუ არა ის? კიდევ: ხომ არ უნსენებია როდესმე ჩემი სახელი, თუ შო, რატომ. რის გამო? ჰერ კიდევ არც ისე დიდი ხნის წინათ მე ვწერდი ბორი

51) ჰ. ანდერსენის ზღაპრის „თოვლის დედოფლის“ გმირები.

52) 1926 წლის 31 დეკემბერს ცვეტაევა გაიგო პოეტ რ. მ. რილკეს სიკვდილის ამბავი.

53) ევგენია ჩერნოსვიტოვა მუშაობდა მდივანად პოეტ რაინერ მარია რილკესთან (1875- 1926) 1926 წლის სექტემბრიდან — ნოემბრამდე. ცვეტაევას და რილკეს მიმოწერა ჰქონდათ 1926 წელს.

54) ცვეტაევა წერილს უწოდებს თავის პოემა „საახალწლოს“, რომლითაც მიმართავს რილ- კეს (1927).

55) „ფედრა“ — მ. ცვეტაევის ტრაგედია, რომელზეც იგი მუშაობდა იმ დროს.

56) საიდუმლო (ფრანგ.).

57) პარიზის გარეუბანი, სადაც იმ დროს ცვეტაევა ცხოვრობდა.

პასტერნაკს მოსკოვში: „დავკარგე რილკე ალ-
პების გზის რომელიღაც მოსახვევში...“

ახლა — უმთავრესი: თქვენ დაჰყავით
მის გვერდით: ორი თვე, ის კი მხოლოდ ორი
კვირის წინ გარდაიცვალა. ითავეთ დიდი და
გმირული საქმე: აღადგინეთ ეს ორი თვე,
გაცნობის პირველი წუთიდან. პირველი შთა-
ბეჭდილება, გარეგნობა, ხმა და ა. შ. აიღეთ
რვეული და ჩაიწერეთ — თავიდან უსისტემოდ,
ყოველი სიტყვა, მისთვის ჩვეული ყველაფერი,
სულ წვრილმანიც კი. როცა თანამიმდევრულად
ჩაწერთ — მერმე ყველაფერი თავ-თავის ადგილ-
ზე დადგება. ეს ხომ თითქმის დღიური იქნება —
ორი თვის დაგვიანებით, დაიწყეთ ახლაც, დღი-
სით ვერ მოიკლით — ღამე წერეთ. ნუ დაგი-
მორჩილებთ ეკვის დვთაებრივი გრძნობა, გან-
დგომა (საკუთარ მე-სგან, ჩემი-სგან) —
კიდევ უფრო დვთაებრივი რამაა. მოიგონეთ
ეკერმანის⁵⁸ წიგნი, ერთადერთმა რომ მოგვცა
ცოცხალი გოეთე.

წიგნობ, რომ მითოლოგიის⁵⁹ მიღება ამატი-
რებს. ჭერჭერობით — ერთი ცრემლი არ გად-
მომვარდნია: მოცლა არა მაქვს, არც ად-
გილი (სულ ხალხში მიხდება უოფნა), ან იქნებ,
გულახდით რომ ვთქვა, არც წადილი მაქვს:
უწადილობა კია. ტირილი — ცნობაა
მომხდარის, სანამ არ ვტირი — არ მომკვდა-
რა.

მე იგი არასოდეს არ მინახავს, ჩემთვის ეს
დანაკლისი — სულიერია (არის კი ამდაგვარი?)
თქვენთვის დანაკლისი უოფილისაა, ჩემთვის —
არყოფილის. მასთან ერთად სავოიის დავარგ-
ვაცა — სადაც არასოდეს არ ჩავალ — რომელ-
საც მთელ ალპებთან ერთად 31 დეკემბერს
მიწამ უყო პირი... რუკის ზოგიერთ ადგილს არ
მინდა ვუცქირო, — როგორც ხერხოდ არა-
ფერს.

ყველაფერ ამას ისიც მიუმატეთ, რომ ა/
დგუთვნი არც ერთ ეკლესიას [...]

ა. მ. გორაკის

(1927 წლის აგვისტოს დასაწყისი)



ძვირფასო ალექსეი მაქსიმოვიჩი!
გესვებით და მადლობას⁶⁰ მთავარწინებთ ასიას
გამონ. ჩვენ ცოტა ზეგნულად⁶¹ ცხოვ-
რებაში. რამეთუ მთელი სიცოცხლე ორივეს
ძლიერებად და — (...) ბედნიერებად გვთვლიან.
ეტყობა, ასეც არის.

ასიამ თუ გაგაღიწიანათ — ნუ გაჭავრდე-
ბით, მოუტევეთ (...) იგი საკმაოდ კეთილია.

გოგზავნით წიგნებს — რაც მაქვს, იქნებ
ვიშოვო მთელი „ვირთხის დამკერი“⁶². ნუ მომ-
წერთ იმათზე. მიიღეთ უბრალოდ, ნიშნად მე-
გობრობისა — გულით გულს.

...უნდა გითხრათ, რომ ერთ-ერთი ჩემი ყვე-
ლაზე ადრეული ბავშვობის მოგონებაა — სი-
ტყვა „მალვა“ — იქნებ შემოდგომაზე ჰყვოდა
ჩვენს ტარუსაში, იქნებ თქვენია, ჩემი სულ
ახალგაზრდა დედისაგან რომ გამიგონია. კი-
დევ ერთი: დედამ ერთხელ, მოფმანის კონ-
ცერტიდან დაბრუნებულმა, ძალი მოიყვა-
ნა შინ, ქუჩაში ადევნებოდა, — ყვითელი იყო
— და მამისა და მოსამსახურის წინააღმდეგო-
ბის მიუხედავად, ჩვენთან დააბინავა. დაარქვა
ჩელკაში. სამი დღის შემდეგ ძალი გადაი-
კარგა. ჩვენ ვტიროდით, — მე ყველაზე მე-
ტად. აი, ჩემი ბაღლობის გორკი — ჭერ კიდევ
სანამ ასოები ვისწავლეთ, თქვენი გვარი რა
შედგებოდა. გვიანდელზე, შემოდგომით პრა-
დაში ხოდანვეჩთან შეხვედრამდე, — მერმე
გიაშობთ. როდის შევხვდებით? — გმადლობთ
ამის სურვილისათვის.

და კიდევ — გმადლობთ ასიას გამო.

მარინა ცვეტაევა.

ა. მ. გორაკის

(1927 წლის 4 და 7 ოქტომბერს შუა)

ძვირფასო ალექსეი მაქსიმოვიჩი გწერთ ამ-
ჟამად დაზღვეულ წერილს. იმ წერილში გიუ-

⁵⁸ გოეთეს მდივნის — იოჰან პეტერ ეკერმანის წიგნი (1792-1854) — „საუბარი გოეთეს-
თან სიცოცხლის ბოლო წლებში“.

⁵⁹ ე. ჩეონოსვიტოვას მეოხებით რილკემ გაუგზავნა მ. ცვეტაევას გერმანული მითოლო-
გია, რომელიც მან მიიღო რილკეს სიკვდილის შემდეგ.

⁶⁰ 1927 წლის შემოდგომაზე ცვეტაევას უმცროსი და, ანასტასია, გორკის მოწვევით სო-
რენტოში ესტუმრა მას. მ. ცვეტაევას ეს წერილი (გაურკვეველი მიზეზის გამო გორკამდე რომ
ვერ მიადწია) დაწერილია მადლობის გრძნობით ასიას გამო.

⁶¹ ე. ი. უურნალის ყველა ნომერი, სადაც იბეჭდებოდა ცვეტაევას პოემა „ვირთხის დამ-
კერი“ (1925).

ვებოდით ჩემი ბაღის გორაკზე. 1) ჩემს პირველ მოგონებაზე: სიტყვა „მაღლაზე“, არ ვიცი თქვენსაზე, არ ვიცი უფროსებისაზე. მნიშვნელობა არ მესმოდა. 2) ძალზე — ჩემსაზე, სულ ახალგაზრდა დღეებში რომ მოიყვანა ჰოფმანის კონცერტის შემდეგ და ჩვეთან დაასახლა. და, რაღა თქმა უნდა, გავექცა და კიდევ მაღლობას ვიხდიდით მურტის ტოტზე, რომელიც ჩემს ღია რვეულში ჩამოვარდა სტრიქონებზე ასიას წერილიდან.

ბუჩქებში.

მურტისა — ბაგეთი — ბაგეზე! 62

მურტი, დაბრუნებული მურტის ხეს დაბრუნებული ფოთოლი.

კიდევ და კიდევ მაღლობას ვიხდიდით ასიას განო. მაღლობას ვიხდიდით კლავაცი — თქვენი სიკეთეზე, ადამიანთა მოდგმის მთელი წყენა რომ დაფარა.

ასიას უნდა გადმოეცა თქვენთვის „მეფე-ქალწული“. სხვა წიგნები არ მქონდა, მაგრამ მალე გამოვა ჩემი წიგნი „რუსეთის შემდეგ“. ე. ი. უველა აქ დაწერილი ლირიკული ლექსი — გამოგიგზავნით. როგორმე თუ შეძლებდით რუსეთში გაეშვათ, დიდებული იქნებოდა (შეგ არავითარი პოლიტიკა არ არის) — წიგნი დაუბრუნდებოდა თავის წიადს. აქ ის არავის სჭირდება, რუსეთში კი ისევ ვახსოვართ.

თქვენ მთხოვეთ პოლდერლინზე. — ეს გენიოსია, შემოწმებული არა მარტო საუკუნის, არამედ გოეთეს მიერაც. მკვდრეთით აღდგომის გასაოცარი შემთხვევაა საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ. ფული რომ მქონდეს — მაშინვე გამოგიგზავნიდით შესანიშნავ წიგნს შტეფან ცვაიგის „Der Kampf mit dem Dämon“, 63 სამი ბიოგრაფიით, ერთი მათგანი პოლდერლინისაა. უველაზე კარგი, რაც კი მახზე დაწერილია. გამოიწერეთ და იფიქრეთ, რომ ჩემგანაა. ეს კი სახსოვრად ჩემი უსაყვარლესი ლექსი:

O Begeisterhing! so finden
Wir in Dir ein selig Grab... 64

დაიბადა 1770 წ., ემზადებოდა, რამდენადაც მახსოვს, ჯერ მღვდლობისთვის — ვერ შეძლო. — სხვადასხვა უსიამოვნო ამბების შემდეგ მოეწყო ბანკირ ჰონტარის ოჯახში. შეიყვარა აღსაზრდელების დედა (Diolita მარადიული ხატო მისი ლექსებისა) — არ გამოვიდა, არც შეიძლება გამოსულიყო, რადგანაც აქ არ გამოდის, გაშორდა — წერდა — და ბოლოს, ოცდაათზე ცოტა მეტი ხნის გაგვიდა. ჯერ ლამის დასაბმელი გიჟი იყო, შემდეგ შედარებით უფრო წყნარი გახდა და სიკეთედილამდე. 1844 წლამდე ასე გასტანა. უკანასკ-

ნელი ორმოცი წელი ჰკუთხე შეშლილმა მარტომ გაატარა. მეტყვეის ქონში, მის მეთვალყურეობის ქვეშ. მთელ დღეს უკრავდა უხმო კლავესინზე. წერდა შესანიშნავ ლექსებს. არის ამ დროის მთელი რიგი ლექსები, გერმანული გამოთქმით: „Aus der Seit der Umnachtung“ — Umnachtung ლამეში გახვევა, ლამედ ქცევა. ასე ეძახიან გერმანელები დიდი ადამიანების ჰკუთხდან შემლას .ი. სტრიქონი მისი ბოლო ლექსიდან:

„Was hier wir sand-wird das ein Gott eigenzen...“ 66

ჩემი საყვარელი პოეტია. არამიწიერი, სვეტაკი და ძლიერი ხულის. ლექსების ტომის გარდა აქვს შესანიშნავი პროზა. Hyperion 67 — ზმირული სულისკვეთების ქაბუკის წერილები, მეგობრობის ამოთეოში. წარმოშობით — ნაკარდიან, სულით კი ელინი, ძმა იმ ღმერთებისა და ვმირებისა. გერმანული ორფეოსი. ძალზე გერმანული და ძალზე ელინური. პოლდერლინის მიხედვით შეიძლება დაადგინო გარკვეული კავშირი ამ ორი ხალხის სულს შორის. რამდენადაც გოეთე მარმარილოა. ხილული და ბელ-შესახები, იმდენად პოლდერლინი — ელისების მინდვრების აჩრდილია.

არ ვიცი, შეიყვარებთ თუ არა ჩემს სიყვარულს, რის მიმართაც არ უნდა იყოს, უველთვის რომ შეიცავს სიყვარულს, მისადმი უკუშექცეულს და თითქოსდა მისვე გამომრიცხულს. მეტსაც ვიტყვით, ვგონებ, უკუშექცეული კი არა, უბრალოდ, მორიგი ხატებაა — ერთიანია. აქედანაა ჩემი მიწიერება. ჩემი მთლიანი განდგომა ეკლესიისგან. ეკლესიის მიღმა უოფნა. ვიამბობთ როგორმე ერთ სასაცილო ამბავს. რაც მე და სერგეი ბულგაკოვს შეგვემთხვა.

კუბრუნდები რა პოლდერლინსა და გოეთეს მთა (მთის ძმა არის) — უბრალოდ, მე ერთი სული მაქვს გოეთესთვის, მეორე — პოლდერლინისთვის.

ეს მაგონებს — ერთი პატარა ბიჭუნას — ნაამბობს: „ნაპირზე შავი ზღვისა ზის შავი ჩიტი, ნაპირზე კასპიის ზღვისა ზის კასპიის ჩიტი, ნაპირზე თეთრი ზღვისა ზის თეთრი ჩიტი, ნაპირზე — უველა ჩიტი კი — ერთია“.

ნახვამდის. სანტერესოა, მოაღწევს თქვენამდე ეს წერილი? — საკვირველების ქვეყანა.

კიდევ ერთხელ გულითადი მაღლობა ასიას გამო. იმ წერილში, მაღლობას რომ გწერდით თქვენდამი, გწერდით, ნუ მიპასუხებთ, ნუ მოცდებით წერილის გამო თქვენს საქმეს-მეთქი, რადგან წერილი — იგივე შრომაა და

იგივე დროს ითხოვს, — მაგრამ რაკი ის წერილი დაიკარგა, მაშინ იმ ჩემს თხოვნასაც ბედი არ უწერია. ხომ არ შეიძლება ერთი და იგივე ორჯერ ითხოვს!

ერთი სიტყვით, სულაც არ მეწყინება, თუ არ მომწერთ და ძალიან გამეხარდება, თუ მოიწერებთ. მესამე წერილს ალბათ ასე დავიწებ: „ძვირფასო ალექსეი მაქსიმოვიჩ, მომწერეთ სანქაროდ!“ — (ვხუმრობ).

ლ. მ. პასტერნაკს

1927 წლის 11 ოქტომბერი

მალღობით ვადასტურებ, ძვირფასო ბატონო პასტერნაკ, რომ თქვენი ამანათი მივიღე, ვნახობ, რომ უნებლიეთ ესოდენ შეგაწუხებთ, ეს ერთი, მეორეც, და უმთავრესი, ნება მომეცით გითხრათ, რომ, ექვს გარეშეა, უბედნიერესა მამა ბრძანდებით, რადგან თქვენისთანა ვაჟის უოლა დიდი პატივი გახლავთ.

ამ ცოტა ხნის წინათ თანამედროვე პოეტების კრებულში წავიკითხე მისი ავტობიოგრაფიული წერილი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ბევრით, თუ ყველაფრით არა, უნდა ვუმაღლოდე მამას — აკადემიკოს ლეონიდ ოსიპოვიჩ პასტერნაკს და დედას...“⁶² თუ გახსოვთ (რაც აშკარად არ ახსოვდა თქვენს ვაჟს, როცა ამ სტოიქონებს წერდა) — ასე დაიწყო თავისი

წერილი მარკ ავრელიუსმა „მარტოდ საკუთარ თავთან“.

ჩვენს დროში (რომელიც მძულს), როცა ბუდიდან გადმოვარდნილი უოველი ბარტუი თავის თავს ციდან ჩამოვარდნილად თვლის, მსგავსი აღსარება, ამ სიტყვით, ~~ტრუტის~~ გაუგონარი რამაა და მხოლოდ ადასტურებს ავტორის ძალიან ჩამომავლობას. ტეშმარიტად დიდებული არახოდეს არ მიაწერს თავს საკუთარ თავს — რაც უეჭველად მართალია. ეს საკითხი უოველთვის შემკვიდრობითობის საკითხია, ის, რაც ვაჟს მამისგან მოხდგამს, გადმოეცემა.

ჩემი თხოვნაა, ძვირფასო ბატონო პასტერნაკ-უფროსო, როცა თქვენს შვილს მისწერთ, გადაეცით შემდეგი: 1) — მივიღე მისი წიგნი „1905 წელი“, რომლითაც აღფრთოვანებული ვარ მთელი სულით; 2) — ჩემი ბავშვები უკვე მთლიანად გამოკეთდნენ, მე — თითქმის; 3) — როგორც კი ჩვენთ, გააკეთებენ დეზინფექციას, მივწერ დიდ წერილს, რომელსაც მუდამდღე ვწერ ჩემს რვეულში.

და — ბოლოს თხოვნა — მიიღეთ ჩემგან მალღობისა და აღტაცების ნიშნად ლექსებ ბოლო წიგნი „რუსეთის შემდეგ“ (გამოდის ამ დღეებში) — ნუ შეგაცბუნებთ მისი „სიახლე“, თქვენი ვაჟივით მეც ფესვებით წარსულს ვეკუთვნი, მაგრამ მომავალი ხომ წარსულიდან იზადება.

მარინა ცვეტაევა.

62 სტრაქონები მ. ცვეტაევის ტრაგედია „ფედრას“ მეორე სურათიდან, რომელზედაც იმხანად მუშაობდა.

63 შტეჟან ცვაიგი — „ბრძოლა სიციქესთან“.

64 „ო, შთაგონებავ, ჩვენ ვპოვებთ შენში მარადიულ ნეტარებას!“

65 „როცა გონება ამღვრეულია“ (გერმ.).

66 „ჩვენი მიწიერ არსის შევსება მხოლოდ ღმერთს ძალუძს“ (გერმ.).

67 „პიპერიონი“ — პოლდერლინის რომანი მის თანამედროვე საბერძნეთზე. სათაური დაერქვა რომანის მთავარი გმირი ჭაბუკის სახელის მიხედვით.

68 პასტერნაკი ლეონიდ ოსიპოვიჩი (1862-1945) — მხატვარი, პოეტ ბორის პასტერნაკის მამა. წერილის დედანი დაწერილია ფრანგულად.

69 1924 წლის 8 პასტერნაკის ავტობიოგრაფია.





სტენდალი

ხელოვანი

გერმანულიდან თარგმნა

კარლო ჯორჯანელი

«A vrai dire, je ne suis moins que sûr d'avoir quelque talent pour me faire lire. Je trouve quelquefois beaucoup de plaisir à écrire. Voilà tout».

„ძალიად ვითხოვ, არა მგონია, საკმარისი ნიჭი გამაჩნდეს იწიხათვის, რომ ვინმე ვაიძულო ჩემი ნაწარმოებები წაიკითხოს. ზოგჯერ დიდ პიანოვნებას მანიჭებს წერა, ეს არის და ეს“.

სტენდალი ბალზაკს

არაფერს ბოლომდე არ ეწიარება მსხვერპლად სტენდალი, ეს თავის თავის ყველაზე ექვემდებარება კომპაგი მთელ ლიტერატურის ისტორიაში. — არც კაცს, არც პროფესიას, არც თანამედრობას და თუ ის წაგნებს, რომანებს, ნოველებს, ფსიქოლოგიურ თხზულებებს თხზავს, ამ წაგნებში მხოლოდ თავის თავზე წერს, ანდა, უფრო ზუსტად, წიგნებს წერს თავისთვის: ეს გატაცებად მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავით გატაცებაა. სტენდალი, რომელსაც თავი მოაქვს, რომ ისეთ რაიმეს „არ იქმნა, რაც არ სიამოვნებდა“, და ამას ცხოვრებაში უდიდეს მონაპოვრად მიიჩნევს, ხელოვნად მხოლოდ მანამდე რჩება, ვიდრე ეს საქმიანობა მას ახალისებს. იგი ხელოვნებას იმდენად ემსახურება, რამდენადაც ხელოვნება მის ჭიას ახარებს, მის «diletto»-ს. მის განცხრომას, მის თავშეკცევას ემსახურება. ამიტომ ლამის არის დილეტანტი უწოდოს კაცმა, ახალი დროის პროფესიონალთა კედმაღლობას ამ ხიტყვის თავდაპირველი კეთილშობილი მნიშვნელობა რომ არ შეეებლა. იგი ხომ ოდესღაც იმ სულიერი არისტოკრატის გულწრფელ პატივისცემას გამოხატავდა, ვინც ხელოვნება თანამგზავრად თამაშის ხალასი წადილის გამო, «diletto»-ს გამო აირჩია და მძიმე ხელობად ან შემოსავლის წყაროდ არ გაუხდია. ამიტომ სასტიკად სცდებ

ხიან ყველანი, ვისაც მგონია: რახან სტენდალი, როგორც მწერალი, დროთა ვითარებაში ასეთი მნიშვნელობა შეიძინა, თვითონაც ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის ხელოვნებას; ღმერთო ჩემო, როგორ აღშფოთდებოდა ეს დამოუკიდებლობის ფანატური მოტრფილე, ვინმეს რომ ეთქვა, მწერალთა დასს, პროფესიულ მწერალთა რიცხვს გაკუთვნებნო; და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისამებრ, სრულიად თვითნებურად და შეგნებულად დაამახინჯა სტენდალის უკანასკნელი სურვილი მისმა ანდერძის აღმსრულებელმა, როცა ეს ლიტერატურული გადაფასება საფლავის ქვაზე აღბეჭდა. „წერდა, უყვარდა, ცხოვრობდა“, — ამოკვეთა მან მარმარილოზე, მაშინ როცა საც ანდერძში ხაზგასმით სხვა თანამედვერობა იყო მითითებული: „ცხოვრობდა, წერდა, უყვარდა“, რადგან სტენდალს, თავისი დევიზის ერთგულს, ხურდა, რომ ამ თანამედვერობით უკვლავუოფილიყო ის უპირატესობა, რომელსაც ცხოვრებას ანიჭებდა მწერლობასთან შედარებით. მას ტკობა უფრო მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა, ვიდრე შემოკმედება, თავისი შრომა უფრო არსებითად, ვიდრე ღვაწლი, და თავისი მწერლობა სხვა არაფრად ესახებოდა. თუ არა საამურ დამატებით ფუნქციად თვითგამოვლენისა, მოწყენის საწინააღმდეგო მრავ

დასასრული დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 5.

ვალი სამუალებიდან ერთ-ერთ გადამაჩალიც-ბელ სამუალებად. ცუდად იცნობს სტენდალს ის, ვინც არ აღიარებს, რომ ლიტერატურა სიცოცხლით დატკობის ამ აზარტული მოყვარულისათვის საკუთარი პიროვნების გამაჩნების მხოლოდ შემთხვევითი და არცთუ ძლიერი ფორმა იყო.

თუმცა უმაწილკაცობისას, პარიზში ახლად ჩასულს, მეოცნებეს და გულუბრყვილს, მასაც სურდა მწერლად გახდომა, რასაკვირველია, სახელოვან მწერლად, მაგრამ სვიდმეტი წლისას სხვას ვის არ მოუწადინებია იგივე? იმსახურდა თუ იგივე ფილოსოფიურ ტრაქტატს თხზავს, მუშაობს კომედიასზე, რომელსაც ლექსად წერს და დაუმთავრებელი რჩება, მაგრამ ამას დიდი მონღომებითა და პატივმოყვარეობით როდი იქმს. შემდეგ მთელი თოთხმეტი წელიწადი სრულიად ივიწყებს ლიტერატურას, უნაგირზე ანდა საკანცელარიო მაგიდასთან ზის, სვირნობს ბუღვარებზე. მულანკოლიურად და უიმედოდ ვარსიყება საყვარელ ქალებს და ბევრად უფრო მხატვრობითა და მუსიკით არის დაინტერესებული, ვიდრე მწერლობით. 1814 წელს, ხელმოკლეობის უამს, განაწყენებული, რომ თავისი ცხენების გაქიდვაც კი უხდება, სახელდაბელოდ ამიფშიფებს წიგნს — „მაიდნის ცხოვრება“ და სხვისი სახელით აქვეყნებს, ან, უფრო ზუსტად, თავხედურად მპარავს ტექსტს ამ წიგნის იტალიელ ავტორს, საბრალო კარპანის. რომელიც შემდგომ ერთ ამბავსა ტუჩს: არიქა, მიშველით, ამ ვილაც ბატონ ბომბებს, რომ არ მოველოდი, ისე პირწმინდად გავუძარცვივარო. მერმე იტალიური ფერწერის ისტორიას ახომბარიკებს, კვლავ სხვათა წიგნების კომპილაციას იძლევა, ოღონდ შიგ რამდენიმე ანექდოტს ურევს, და ნაწილობრივ იმიტომ, რომ ამას ფული მოაქვს, და ნაწილობრივ იმიტომ, რომ გაკვრით წერა და ხალხის ნაირ-ნაირი ფსევდონიმებით გაბრიყვება ართობს, დღეს იმპროვიზაციას ახდენს ვითარცა ხელოვნების ისტორიკოსი, ხვალ — ვითარცა პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტი („შეთქმულება მეწარმეთა წინააღმდეგ“). ზეგ — ვითარცა ლიტერატორი და ესთეტიკოსი („რასინი დი შექსპირი“), ანდა ვითარცა ფსიქოლოგი („სიყვარულის შესახებ“). ასე შემთხვევიდან შემთხვევამდე ცდის კალამს და სულ მალე აღიარებს, რომ წერა არც ისე ძნელი საქმეა, თუ ჰკვიანი ხარ, აზრი აზრს სწრაფად მოსდევს და ენაზე ჰავლი არ გედება, წერასა და მასლათს შორის არსებითად მცირე განსხვავებაა, კიდევ უფრო მცირეა იგი ხაუბარსა და კარნახს შორის (რადგანაც სტენდალი ფორმის მიმართ იმდენად გულგრილია,

რომ თავის წიგნებს ან ფანქრით წერს გაკვრით, ანდა ხელდახელ კარნახობს ლადა), — ამრიგად, ლიტერატურას იგი უკეთეს შემთხვევაში როგორც საამურსა და ორიგინალურ გართობას აღიქვამს. მართო ის ამბავივე ვერაფერს თავს არ იწუხებს, ნამდვილი სხეულად იყურებოდა ანრი ბეილი — მოაწეროს თავის ნახელავს, ხაკმოდ დამაჭვრებლად მიუთითებს სახელისა და დიდების მიმართ მის გულგრილობაზე. „კვალერისი გამამდგარი ოფიცერი“ წიგნების წერას იმხანად მაინცდამაინც დამამცირებელ საქმიანობად არ მიიჩნევს, ვინაიდან სტენდალი მეზჩაჩუჩ „ღირსებას“ აბა რას დაგიდევდათ, მაგრამ ამასთანავე არც ისეთ რაიმედ თვლის, რითაც დიდსულოვანმა ჰენტლმენმა შეიძლება თავი გამოიღოს და თავის ნამდვილ გატაცებად გაიხადოს, და მართლაც: ვიდრე სამსახური და ფული აქვს, ბატონი აუდიტორი ანრი ბეილი ბევრს არას ნაღვლობს მწერლად სტენდალზე და მას თავისი არსებობის უოვლად მივარდნილ კუჩუკში ჩქმალავს.

მხოლოდ უკვე ორმოც წელს გადაცილებული უზის ხოლმე უფრო ხშირად სამუშაოს, რატომ? იმიტომ, რომ უფრო პატივმოყვარე, აზარტული და ხელოვნებაზე შეყვარებული გახდა? არა, სრულებითაც არა. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სიმსუქნე მოერია და უფრო საწერ მაგიდას ეგუება, ვიდრე უნაგირს, რადგან, ხამწუხაროდ, ქალებთან კიდევ უფრო ნაკლებად სწყალობს ბედი, საგრძნობლად უფრო ცოტა ფული აქვს და საგრძნობლად უფრო მეტი თავისუფალი დრო, როდესაც აღარ იყის, რა აკეთოს; მოკლედ, რადგან სუროგატები სჭირდება, რომ მოწყენილი არ იყოს. როგორც პარიკმა დაიჭირა მისი ოდესღაც ხშირი და გაწეწილი თმას ადგილი, ისევე რომანიც ახლა ცხოვრების ადგილს იკავებს. რეალურად თავს გადახდილ ამბავთა სიმცირეს იგი ნაირ-ნაირი წარმოსახული სურათების დახატვით ინაზღაურებს და ბოლოს წერას საამურ თავშეკცევადაც კი მიიჩნევს, ხოლო საკუთარ თავს უფრო სასიამოვნო და მახვილგონიერ თანამოსაუბრედ, ვიდრე სალონის ენაჭარტალები არიან. დიას, რომანების წერა, თუ დავუშვებთ, რომ კაცი ამ საქმეს ერთობ სერიოზულად არ მოეცილება, ოფლს არ მოიდენს და პატივმოყვარეობის გამო ხელს არ გაიმრუდებს, როგორც ამას პარიზელი ლიტერატორები სჩადიან, ძალზე სახალისო, სუფთა, კეთილშობილური დროსტარებაა, ეგოტიზტის შესაფერისი, ნატიფი და ლალი სულთერი თამაში, რომელიც ხანში შესულ კაცს სულ უფრო და უფრო იტაცებს, აბა მაინცდამაინც რა ძნელია: სამ თვეში უკარნახებ რომანს გა-

დამწერს. იაფად და იორდად, პირდაპირ, შავი ხელნაწერის გარეშე, ასე რომ, არც დიდი ჯაფა გადაგება და არც ბევრი დრო ეუბარება თანაც შეგიძლია შენი ჭია გაახარო. შენი მტრები გააპაპებულნი, ხაწუთროს ამოუბასა და ბრბოს გაუთლელობაზე წაიქილიყო: შეგიძლია ნიღაბს ამოფარებულმა, რათა საკუთარი თავი არ გასცე, ვიღაც ჩერჩეტებს თავი მასხარად არ ააგდებინო. შენი უფაქიზესი სულიერი განცდები ვინმე გამოგონილ ჭაბუკს მიაწერო და ისე გადმოსცე. შეგიძლია ვნებათა დელვას აბუვე და თავი არ შეიარცხვინო, ხანში შესულმა კაცმა პატარა ბიჭვით იოცნებო და საკუთარი თავისა არ მოგერიდოს. და აი, სტენდალისათვის შემოქმედება ნეტარებად იქცევა, უველაზე ხანუკვარ, უველაზე იდუმალ თვითაღტყინებად უამთა ვითარებაში განსწავლული ტკბობის მოყვარულისათვის. მაგრამ სტენდალი გულშიაც არ ივლებს, რომ დიად ბელოვნებას კმნის, ანდა სულაც ლიტერატურის ისტორიის ახალ ფურცლებსა წერს. „მე ვლამარაკობდა ისეთ რამეებზე, რაც მიყვარს და არახოდეს არ მიუყრია, როგორ უნდა იწერებოდეს რომანა“. — გულაბდილად ანდობს ბალზაკს; იგი არ ფიქრობს ფორმაზე, კრიტიკაზე, საწოგადობაზე, გაზეთებსა და მარადისობაზე; როგორც ხწორუპოვარ ეგოტისტს შეშვენის, წერის პროცესში მარტოოდენ თავის თავსა და თავის სიამოვნებაზე ფიქრობს, და ბოლოს, ვვან, შეტისმეტად გვიან, დაახლოებით ორმოცდაათი წლისა, ის უცნაურ რაშენაც აღმოაჩენს: წიგნებით თურმე ფულის შოვნაც კი შეიძლება. მართალია, ბევრისა არა, მაგრამ საშაგიეროდ ისე, რომ დამოუკიდებლობას არ კარგავ კაცი, არ გიხდება ქედის მოხრა და ლაქიაობა, ადამიანებთან შელაზღანდარავება, ბიუროკრატი უფროსისათვის ანგარიშის ჩაბარება. პოდა, ესეც ამხნევეებს და აქეზებს, ვინაიდან ანრა ბეილის უზენაეს იდეალად მარად და მარად მარტოობა და დამოუკიდებლობა რჩება.

ეს კია, რომ მის წიგნებს მაინცდამაინც წარმატება როდი ზქვთ, მკითხველთა კუჭი მიჩვეული არ არის ასეთ მშრალ, ხანტიმენტალაზმის ზეთით შეუზავებელ კერძებს და იგი იძულებულია საკუთარ პერსონაჟებთან ერთად აბლა მკითხველთა საწოგადობაც გამოაგონოს, შორეულ მომავალში, სხვა საუკუნეში მცხოვრება რჩეულთა დასა, 1890 თუ 1900 წლის თაობა, მაგრამ თანამედროვეთა გულგრილობა მაინცდამაინც არ აღონებს სტენდალს, საამინად მას ერთობ სძულს თავისი გარემო. საბოლოოს ტანში მისი წიგნები რომ მხოლოდ საკუთარ თავთან მიწერილი ბარათებია, ექსპერიმენ-

ტებს გრძნობისა, რათა თავისი არსება უფრო მკვეთრად გამოავლინოს და მთელ დელამიწის ზურგზე მისთვის ერთადერთი, უველაზე საუფარელი ინდივიდი — ანრი ბეილი უფრო განსულიერებულად, გონიერად — მტოდნიდ წარმოაჩინოს. თუ ცხნებაში მისი კანსა და შორცხვს, უარს ეუბნებოდნენ ქალები, აქ შეუძლია ცხადლივ სიზმარში მყოფივით თავისი თავი ტაქინარ და პირმშვენიერ ჭაბუკად წარმოიდგინოს, ვინმე უიულიენად ანდა ფაბრიციოდ, და იმ ქალებს, უწინ გაუბედავად რომ ეტრფოდა, ისეთი სიტყვები უთხრას, რომელთა წარმოთქმას პატარა ანრი ვერა და ვერ ბედავდა. თუ საგარეო საქმეთა სამინისტროში მოკლათებულმა ბრიყვებმა საშუალება არ მიცეს დიპლომატიურ სარბიელზე თავი გამოიჩინა, აქ შეუძლია ინტრიგების შეთხზვის უნარი, თავისი „მაკიაველიზმი“ გამოამტდავოს ლაბორინთივით დახლართულ კვანძებსა და გონების ურთულეს თამაშში, ბოლოს ისინი, ოტროველები, „in effigie“ გაიციხოს და გააპაპებულოს. შეუძლია ორიოდუ გულთბილი სიტყვა უძღვნას საყვარელ ლანდშაფტებს, მილანში გატარებული დღეები გააცოცხლოს. სტენდალი სულ უფრო და უფრო უგებს გემოს შემოქმედების რაფინირებულ ბადაგს; თავის თავში ჩაკეტილი, უველასაგან განდგომილი, მისი შემწეობით თავის მარტოეულ მეს უკავშირებს ქვეყნიერებას, ოღონდ ისეთ უხეშსა და მდაბალს კი არა, როგორიც ნამდვილი ქვეყნიერებაა, არამედ მისი სულისკვეთების შესაფერისს, მაშასადამე, უფრო მგზნებარეს, ვნებიანს, მჩქეფარეს და ამასთანავე უფრო გონივრულს, ბრწყინვალეს და თავისუფალს. — „რა მესაქმება სხვებთან?“ — სტენდალი მხოლოდ თავისთვისა წერს. სიბერეში შესულმა ეპიკურელმა ახალ, უკანასკნელ და უფაქიზეს სიტკბობებს მიაკვლია: მალლა, მანსარდში, ხის მაგდასთან მჭდომში, ორი სანთლის შუქზე წერს ან კარნახობს და ეს ინტიმური, შინაგანი საუბარი საკუთარ თავთან, საკუთარ სულსა და აზრებთან მისთვის სიცოცხლის ბოლოს უფრო არსებითი ხდება, ვიდრე ქალები და სხვა სიამენი, ვიდრე კაფე ფუა, ვიდრე კამათი სალონებში და თვით მუსიკაც კი. ტკბობა მარტოობაში და მარტოობა ტკბობაში — ეს გახლავთ მისი უპირველესი და უძველესი იდეალი და მას ორმოცდაათი წლის ანრი ბეილი ბოლოს ხელოვნებაში მოკვებს.

ისე კი, ნავიანევად მოხვეჭილი სიამეა, რა თქმა უნდა, დაისის სხივებით ძოწისფრად შეფე-

* „გამოსაბულებში“ (ლათ).

როდი და უკვე მოახლოებული ბოლოს გამოგულგატეხილობით დაქუფრული. — სტენდალს შემოქმედება ერთობ გვიან იფურჩქნება, რომ მის ცხოვრებაზე შემოქმედებითი ზეგავლენა მოახდინოს; ორმოცდასამი წლისა იწეებს სტენდალი თავის პირველ რომანს — „წითელი და შავი“ (უფრო ადრინდელს — „არმანსი“ სათვალავში ვერ მივიღებთ), ორმოცდაათი წლისა — მეორეს — „ლიუსიენ ლევენს“, ორმოცდაათობეტისა კი — მესამეს — „პარმის სავანეს“. სამი რომანით ამოიწურება მისი ლიტერატურული მოხაბოვარი, სამი რომანით, რომლებიც, თუ მათი მამოძრავებელი ცენტრის მიხედვით ვიმსჯელებთ, მხოლოდ ერთს შეადგენენ — სამ ვარიაციას ერთი და იმავე ძირითადი, პირველადი განცდისა — ჭაბუკი ანრი ბეილის ხულიერ ისტორიას, რომელსაც ხანში შესული ანრი ბეილი ვერა და ვერ შეუღვია და მისი ისევ და ისევ განახლება სწადია. სანიკვს შეიძლება მისი მიმდევრისა და განმაქიქებლის — ფლობერის მიერ მოგონილი სათაური ჰქონოდა: „გრძნობათა აღზრდა“.

რამეთუ ეს სამივე ჭაბუკი: ეიულიენი, ათვალწუნებული გლეხის შვილი, ფაბრიციო, განახლებული მარკიზი, და ლიუსიენ ლევენი, ბანკირის ვაჟი, უკიდევანო იდეალიზმით თანაბრად გაღველფილნი შემოდინ თავიანთ ცივ საუკუნეში; სამივენი ნაპოლეონს აღმერთებენ, დაადსაკმირო საქმეებსა და თავისუფლებაზე ოცნებობენ. სამივენი მოზღვავებული გრძნობების გამო თავდაპირველად უფრო ამალღებულ, განხულიერებულ, აღმაფრთოვანებულ ფორმებს ეძიებენ, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში ვხვდებით. სამივენი ქალისაკენ ფარული ვნებათა დეღვით აღსავსე, შეჩქვიფებული და უმანკო გულით ისწრაფიან, ჭერ არ შეხებიათ მდაბალი და ანგარიშეანი უოფიერება და ამიტომ არც გამორკვეულან სიუჟაწვილის რომანტიკიდან. ბოლოს კი სამივეს უღმობლად აფხაზღებს იმის სავალალო შეგნება, რომ ამ უაწულივით ცივსა და მტრულ ქვეყანაში შენი მხურვალე გული არ უნდა გამოაჩინო, მეოცნებეობა უარყო, შენი ჭეშმარიტი არსება დაამახინჯო. სამივეს ხალასი აღტყინება ქარწყლღება პარტოოდენ უუღლზე გადაგებული ეპოქის პღებეურ სულთან შეჯახებისას, იმ „სხვათა“ წერიღმანობისა და მეშჩანური სიმბღადლის გამო, რომელთაც სტენდალი მარად თავის მტრებად საზღდა, თანღათაწობით ისინი სწავღობენ თავიანთ მოწინააღმღეღვეთა ფანღებს, მათ ეშჩაკურ წერიღმან ხრიღებს, თაღლითურ ანგარიშეანობას და ინტრიღის ბღლოვნებას; ისინი ხაღსში გამოღიან, იბღენღებინ, ცრუ და გულცივი ბღებინ.

ანღა, რაც კიღვე უარღსია, — ჭკვიანერი, ცბიერი და ეგოისტი, რომელიც თვიონ სიბერიში შესული სტენდალია. — ბრწუინვაღე დიბღობატი ბღებინ, გენიალური საქმოსნები და მღდიღური ეპისკოპუტეღუ წყღღეღ, ზავს დებენ სინამღვიღესთან ჭღუ ჭღუღეღეღე ჭღესუ როგორც კი გუღისტიკიღით შეიგრიღობენ, რომ გამოგღებულნი არიან თავიანთი ჭეშმარიტი სამშობღოდან — ახაღგაზრღობისა და ხაღასი იღეღღაზნის საუღღოდან.

ამ სამი ჭაბუკის გუღისათვის დაწერა ორმოცდაათი წლის ანრი ბეიღმა ეს რომანები, ან, უფრო ზუსტად, აწ გარღასული უმანვიღი კაციის გუღისათვის, რომელიც ოღესღაც ცოცხღობდა მის მკერღში, მორცბვიცა და მგზნებარეც ერთსა და იმავე დროს, ნღობით აღსავსეცა და თავის თავში ჩაკეტიღიც. სურღა ერთსეღ კიღვე განეცაღა თავისი თავი ოცი წლის ასაკში. გუღცივი და გუღგატეხიღი აღამიანი ჭღვება თავისი გუღის სიუჟაწვიღის ამბავს, გამობრძმეღიღი, ფბიზელი ინტელექტუალისტი აღწერს პირველ განცღათა მარადიულ რომანტიკას, ასე რომ, ეს რომანები საუცსოოდ აერთიანებენ მისი არსების ოღინღედ წინააღმღეღობებს, აქ ჭარმაგი მოაზროვნის გამჭრიახობით ახაღგაზრღობის კეთიღშობიღ გრძნობათა ჩონქოღია გაღმოცემული, და ის ომი, რომელსაც სტენდალი მთელი სიცოცხლე აწარმოებღა გონებასა და გრძნობას შორის, რეაღაზმსა და რომანტიკას შორის, სამ დაუვიწუარ პოპოღაში გამარჯვებით არღს დაგვირგვინებული; უოვეღი მათგანი ისევე წარუშღელი იქნება კაციობრღობის ხსოვნაში, როგორც მარენგო, ვატერლოო და აუსტერიღი.

ეს სამი ჭაბუკი, თუმიცა სხვადასხვა ბეღის, სხვადასხვა რახისა და სხვადასხვა ხასიათისანი არიან, გრძნობის მხრივე მღებს წარმოაღგენენა შემოქმედმა მათ თავისი ბუნების რომანტიკული მხარე უანღერძა და მისი შემღღგომი განვითარება დააკისრა, და ასევე, მათთან დაპირისპირებული სამი პერსონაღიც ერთ ვინმეს განასახიერებს, გრაფი მოსკა, ბანკირი ლევენი და გრაფი დე და მოღი — ესენიც იგივე ბეიღი არიან, მაგრამ უფრო გვიანღელი, დაქყოინებული, ხანში შესული ბეიღი, მთღიანად გონებად დაკრისტაღებული ინტელექტუალისტი, რომელშიც განსჯამ რენტგენის სხივებივით თანღაათაწობით გადაბუგა და ვააცამტვერა იღეღღისტიური მისწრაფებანი. ეს სამი პერსონაღი სიმშობღურად გვიჩვენებს, ჭაბუკს ცხოვრება ბოღოს რად აქცივს, როგორ „ბღება აღტყინებულიისათვის უოვეღივე ამაზრზენი და იგი თანღათაწობით უფრო ნათღად განჭვრეტს უა-

ველიევს“ (ანრი ბეილი საკუთარი ცხოვრების შესახებ). გმირულმა ოცნებებმა გადაიქუხა, ჯადოსნურ წარწოშს ახლა უსიხარულო უპირატესობა ენაცვლება ტაქტიკასა და პრაქტიკაში, სტიქიურ გზნებას — თამაშის ცივი აზარტი. ისინი ვანაგებენ ქვეყანას: გრაფი მოსკა — ხამთავროს, ბანკირი ლევენი — ბირჟას, გრაფი დელა მოლი — დიპლომატიას, მაგრამ მათ არ უყვართ ის ადამიანები, რომელთაც თოჯინებით ძაფებზე გამობმულთ აცეკვებენ. ზინდნარევი სიძულვილით ეკიდებიან, ვინაიდან ერთობ კარგად იცნობენ, ერთობ მკაფიოდ ხედავენ მათ უბადრუკობას. მათ კიდევ ძალუთ მშვენიერსა და გმირულს თანაუგრძნონ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ თანაუგრძნონ, და რაც რამ აბადიათ, სიამოვნებით ანაცვალებდნენ ქვეშევცნეულ, დაუშვწნარ, მოუქნელ ახალგაზრდულ ვნებათა დელვას, რომელიც ვერაღერს აღწევს და ათას რაშეზე კი ოცნებობს მუდამ. როგორც ანტონიო, ცივი, გამჭრიახი გონების კაცი, — ტასოს, ახალგაზრდა და მგზნებარე პოეტს, ისე უპირისპირდებიან ეს ყოფიერების პროზაიკოსები თავიანთ ჭაბუკ მეტოქეებს, თან შემწეობა სურთ აღმოუჩინონ, თან მტრად ეკიდებიან, თან მჭირდავენ და თან გულის ხილრმეში შურით არიან აღსავსენი, — ისევე უპირისპირდებიან, როგორც გონება — გრძნობას, სიცხადე — სიზმარს.

მამაკაცის ხვედრის ამ ორ მარადიულ პოლუსს შორის ტრიალებს სტენდალის სამყარო: მამაკაცის მყოფობის თავსა და ბოლოს შორის. სიკაბუჯესა და მოხუცებულობას შორის, რომანტიკასა და სიმწიფეს შორის ეპიკურად დაგორავენ და დანაგარდობენ ფაფარაყრილი გრძნობის ტალღები. ჭაბუკებს, გულის სწორზე გაუბედავად და გზნებით მეოცნებეებს, ხვდებიან ქალები, ამ ვაფების ბობოქარი ვნებით თავიანთ მოწკრიალე ფიალებს ივსებენ, თავიანთი სიქველას მუსიკით აცხრობენ მათი გულისწადილის გააფთრებულ მძვინვარებას. კამკამა ალით აუკიაფდებთ ხოლმე გრძნობა სტენდალის ამ სათუთ, თვით ვნებათა დელვის ფამსაც კი კეთილშობილ ქალებს — მაღამ დე რენალს, მაღამ დე შაატელს, პერციოგის მეუღლე სანსევერინას, მაგრამ ამ ქალების წმინდა თავდადებაც კი ვერ უნარჩუნებს მათ სატრფოებს სულის პირვანდელ სისპეტაკეს, ვინაიდან, ცხოვრებაში ვადადგმულ უოველ ნაბიჯზე ეს უმაწილი კაცები სულ უფრო და უფრო დრძად ეფლობიან აღამიანთა სიმდაბლის ქაობში. ამ გმირ ქალთა ამაღლებულ, სულის შვეებით აღმვსება და აღმაფრთოვანებულ სტიქიონსაც ისევე და ისევე მდაბალი სინამდვილე, წვრილფეხა ინტრიგანებისა

და მომნაგრებლების ატეხეურ-პრაქტიკული, გველივით ბრძენი, გველივით ცივი მოღვმა უპირისპირდება — ერთი სიტყვით, ამ ჭურის ხალხი. როგორებადაც ხედავდა სათლამი ზინდნარევი სიძულვილით ვეჭვებულ ქტენდალი საშუალო ადამიანებს: უჭრუნო, ურყევეს კალებს სიკაბუკის რომანტიკული სათვალისა უჭვრეტს და ხანში შესული კაცი ისევე სიყვარულს ეტრფის, — მაშინ როდესაც მას ეს ნაოცნებარი კერპები გულის უილუმაღესი ციური თალებიდან თავის გმირებთან ჩამოყავს, სტენდალი, გულში რისხვადაგუბებული. თან, როგორც სასაკლაოზე, ისე მოერეება ასპარეზე არამზადების მთელ ზროვას. ტალახისა და ცეცხლისაგან ძერწავს იგი ამ მოსამართლეებს, პროკურორებს, მინისტრებს, აღლუმებზე გადაგებულ ოფიცრებს, სალონის მოლაუბეებს, — ყველა ჭურის წვრილმანი სულის პატრონი, რომელთაგან თითოეული სკორესავით წებოვანი და ბლანტია, მაგრამ — მარად და მარად მსახვრალი ამბავია — ეს ნოლები. ერთად ჩამწკრივებულნი. რიცხვებს ქმნიან, ძალზე დიდ რიცხვებს და, როგორც უოველთვის დელამიწაზე, აქაც ახერხებენ ამაღლებულ და სათუთ ქმნილებათა გასრესას. ამის გამოა, რომ მის ეპიკურ სტილში გამოუსწორებელი მეოცნების ტრაგიკულ მელანქოლიას გულგაცარუებულის ხანჯალივით ბასრი ირონია ენაცვლება. ორივე სფეროს ოსტატმა, ორი სამყაროს პირმშომ, გონთანაც და გრძნობასთანაც გაშინაურებულმა სტენდალმა თავის რომანებში რეალური ქვეყანა ისეთივე მძაფრი სიძულვილით აგვიწერა, როგორი მხურვალე გატაცებითა იდეალური, წარმოსახვითი სამყარო დავიხატა.

მაგრამ სწორედ ის ანიჭებს სტენდალის რომანებს განსაკუთრებულ ეშხსა და მნიშვნელობას, რომ ისინი გვიანდელი ქმნალებებია. მათში ჭერაც მჩქეფარე მოგონებათა ნაკადს ერთვის განჭვრეტა, სახეებად განმზოგადებული ხილვა, მათში გრძნობის სინორჩეა და ბრძნული აზრის სიდიადე, ვინაიდან მხოლოდ გარკვეული მანძილიდან შეიძლება უოველი ვნებათა დელვის აზრისა და ხიბლის შემოკმელებითი ინტერპრეტაცია. თვითონ ვნებით ატანილი კი იმ წამში ვერ საზღვრავს თავისი გრძნობის სათავესა და სამანებს; მას ალბათ ძალუძს თავის ექსტაზს ლირიკული მიზნი უძღვნას, გრძნობიერების უნაპირო სფეროში გადაიქრეს, მაგრამ ვერა და ვერ ამოხსნის, ეპიკურად ვერ განმარტავს. ჭეშმარიტი ეპიკური ანალიზი მუდამ სიუხნიზლება და გამჭრიახობას მოითხოვს, დამწნარ სისხლს, სათელ გონებას. ვნებათა დელვა უკვე გამოვლილი უნდა მქონდეს. დრო უნდა ამორებდეს

ეს მგრძნობიარეთა შორის ყველაზე მგრძნობიარე, არა და არ ურთილა გულცივი მთბრობელი. ესაა მხოლოდ: ისევე უსასოოდ, როგორც პირად ცხოვრებაში თავს არიდებდა საკუთარი გრძნობების გამელავნებას, შემოკმედებაშიც მორცხვად ღამობს მღელვარება ღინჯი, გულგრილი კილოთი დაფაროს, ვინაიდან გრძნობის საჭაროდ გამოფარჩავება ამ თავდაქერილი, მგრძნობიარე ადამიანისათვის ისევე აუტანელია, როგორც შეუხორცებელი ქრილობის მოურიდელები ჩვენება; გულდახურულობისა და კრძალვას გამო ეჭვარება; თბრობისაა თანაკრძნობით რომ აუთრთოდდებათ ხმა და გულაჩუქებულთ თვალზე ცრემლი მოადგებათ, სხაგს შატობრიანისეული კარგად დაუენებული „სადეკლამაციო კილო“, თეტრალური მაღაღფარდოვანობა ლიტერატურაში რომ გადმოაქვს. არა, ურჩევნია გულცივი გამოჩნდეს, ვიდრე გულჩვილი; ურჩევნია სადა იყოს, ვიდრე პათეტიკური; ღოგოცა ურჩევნია ლირიკას! ბოდა, ეს მისი სიტყვები გახლავთ, შემდგომ გულისაჩუქებლად ხშირად გამეორებულ-გადაღეჭილნი: ყოველ დილით, მუშაობის დაწყების წინ, სამოქალაქო კანონთა კრებულს ვკითხულობ, რათა ჩემი თავი მის მშრალ და საქმიან სტილს ძალით მივაჩვიო. მაგრამ ამასთანავე სტენდალს მშრალი სტილი თავის იდეალად სულაც არ შიანდა; ნამდვილად იგი ამ თავისი ღოგოცის გადაჭარბებული სიყვარულით, გარკვეულობისავენ ღოგოცით შეუმჩნეველი სტილის გამოძევაებას ცდილობდა, რომელიც გამოსახულების მიღმა თითქოსდა ქრება: „სტილი გამჭვირვალე ღაქივით უნდა იყოს: მან არ უნდა დაამაინჯოს ფერები, ე. ი. ამბები და აზრები, რომელთაც იგი უხვიათ“. სიტყვა ოსტატური კლორატურების გამო, იტალიური ოპერის „fiorituri“-ების გამო, ლირიკულად არ უნდა გხვდებოდეთ უურში, პირიქით, შინაარსის მადმა უნდა ქრებოდეს. იგი, ჭენტლმენის კარგად შეყრილი კოსტიუმის დარად, თვალშისაცემი არ უნდა იყოს და მხოლოდ სულის მოძრაობას გამოხატავდეს ზუსტად და მკაფიოდ. სტენდალსათვის თავი და თავი გარკვეულობაა, ვალისათვის დაბაბასათებელი გამჭვირბობის გამო მას ინსტიქტურად სძულს ყოველგვარი გაურკვევლობა, ბუნდოვანება, პათეტიკური, კომპეჩური, გაბერილი ამბები და უწინარეს ყოვლისა კი ეს საკუთარი თავის მამებელი სანტიმენტალიზმი. უან-ჟაკ რუსომ რომ უცხოურიდან ფრანგულ ლიტერატურაში გადაიტანა. მას სურს გარკვეულობა და სიმართლე შეიტანოს თვით ყველაზე ამღვრეულ გრძნობაშიაც კი და გულის ყველაზე ჩეროვან კუნჭულებსაც კი ნათელი მოჰფინოს.

წერა, მისთვის ნიშნავს ანატომირებას. ე. ი. რთული შეგრძნების დაშლას შემადგენელ ნაწილებად. გრძნობის ტემპერატურას დადგენას, ვნებათა დელვის კლინიკურად გამოკვლევის, თითქოს რაღაც სწეულებზე იყოს ვინაიდან გაურკვეველი ხელოვნებაში ისევე როგორც ცხოვრებაში, უნაყოფოა. ვინც თავს შეახელებით ირთობს, თვალდახუჭული იბრება გრძნობაში. მას, ტკბობის ზარბოშით რულმყოფდებულს, ნეტარების უზენაესი სულიერი ფორმა ეცლება ხელიდან: ტკბობის უამს შემეცნების საშუალება. მხოლოდ ის ტკბება ვაჟაკურად და ბრძანაკურად თავისი სულის სიღრმით, ვინც ამ სიღრმეს ზუსტად ზომავს, მხოლოდ მან უწყის თავის გრძნობათა სიღამაზე, ვინც მათ ჩაქიკლს თვალურს ადევენებს ამიტომ სტენდალი ისე ხალისიანად არაფერს ასდევს, როგორც ძველ სპარსულ საქველეს — მუღამ ცდილობს ფხიზელი გონებით გაიზროს ის, რასაც აღტყინებული გული ზარბოში ყოფნისას გახდობს. თავის ვნებათა ერთგული მსახური, ღოგოცის მეშვეობით მათი მეუფეც არის.

საკუთარი გულის შეცნობა, გონების ძალით ვნებიანობის საიდუმლოს გამოკვლევა და ამ გზით მისი კიდევ უფრო ვადვიება — აი, ეს გახლავთ სტენდალის ფორმულა. და ზუსტად ასევე განიცდიან მისი სულიერი პირმშონიც, მისი გმირები. მათაც არ სურთ თავი გაიბრიყვონ, ბრმა გრძნობას აძუენენ და უცნობ სიფრცეებში ვადაიჭრან; მათ სურთ გრძნობას ზედამხედველობა გაუწიონ, ყური მიუგდონ, გამოიკვლიონ, გაანალიზონ, მათ უნდათ თავიანთი გრძნობა არა მხოლოდ შეიგრძნონ, არამედ ამასთანავე გაიგონ კიდევ არც ერთი ფაზა, არც ერთი ცვლილება არ უნდა გამოებაროს მათ ფხიზელ მზერას, და ისინი განუწყვეთლივ უნდობლად ამოწმებენ საკუთარ თავს, ხალასია თუ უაღბი მათი ემოცია, რაიმე სხვა, უფრო ღრმა გრძნობა ხომ არ იმალება მის უკან, როდესაც შეუვარებულნი არიან, ღროდადრო უქმ სვლაზე გადაჰყავთ გრძნობის ძრავა და მრიცხველის შკალას აკვირდებიან, ეს საკუთარი გულის სტატისტიკოსები, საკუთარი გრძნობების გამჭვირბი, ფხიზელი და საწიომენტალობას მოკლებული ზედამხედველება, რათა დაადგინონ, რამდენ ატმოსფერულ წნევას განიცდიან, ერთთავად თავის თავს ეკითხებიან: „უკვე შემეფარდა? კიდევ მიუვარს? რას განვიცდი? რატომ მეტს არ განვიცდი? წრფელია ჩემი მისწრაფება თუ ნაძალადევი? იქნებ მხოლოდ ჩავაგონე ჩემს თავს, რომ მიუვარს, იქნებ მხოლოდ ემსახობობ?“ ხელით მუღამ პულსს უხინჯავენ თავიანთ მღელვარებას. და-


შინვე ამჩნევენ, როგორც კი თუნდ ერთი წამით უფრხდება მაჯისცემა; მათი თვითდაქვირვება დაუნდობელი საფხიზლით უპირობაობდა მათს თავდადებას, მანქანური გულცივიობითა და ხიზუსტით ანგარიშობენ თავიანთი გრძნობის გასავალს, თვით მაშინაც კი, როდესაც წარმტაცი მოქმედება ნიაღვარივით სწრაფად მიედინება, გაბმულ თბრობას წამდაუწუმ წყვეტს გაუთავებელი „pensait-il, «disait-il à sai-même», ეს „გაიფიქრა მან“ და „უთხრა თავის თავს“; უოველი კუნთის შეკუმშვაზე, უოველი ნერვის შეთრთოლებაზე, როგორც ფიზიკოსება ან ფიზიოლოგები, რაცაინაღუო კომენტარს ეძიებენ. ეს ანიჭებს მათ იმ განსაკუთრებულ ნამდვილ სტენდალისეულ გაორებულობას; ენთუზიაზმით აღსავსენი წონაან თავიანთ გრძნობებს და გულცივად გასწავის შემდეგ, თითქოს რაღაც საქმეს უნდა შეუდგნენო, ბედავენ აქვხენ ვნებათა ღელვას, მავალითისათვის ვიღებ „წითელი და შავიდან“ სახელგანთქმული სატრფიალო სცენის აღწერას, რათა ვაჩვენო, როგორ აიძულებს სტენდალი თავის პერსონაჟებს თავიანთად, გამჭრიახად და ფხიზლად იმოქმედონ თვით ისეთ მღელვარე წაშებნის, რომლებიც ქალწულის დანებებით მთავრდება უიულოენი სამკვდრო სასიცოცხლო რისკს ეწევა, ღამის პირველ საათზე კიბეს მიიღეს და ისე ამბარება მადმუაზელ დე ღა მოლთან, გვერდით კი ქალიშვილის დედას ფანკარა ღია აქვს, — გაფაციცებით აწონ-დაწონილი და რომანტიკული გულის მიერ შეთხზული ნაბიჯი გახლავთ, — მაგრამ გაჩაღებულ ვნებათა ღელვაში ორივენი მაშინვე გონს მოეგებებიან. „უიულოენი ერთობ დაბნეული იყო, აღაო იკოდა, როგორ მოქცეულიყო, სიყვარულს სუდაც არ გრძნობდა, დაბნეულობამ აფიქრებინა, მეტი სითამამე უნდა გამოვიჩინოო, და მატყლდას მოხვევა დაუბირა. „ფუი“, — აღმოხდა ქალიშვილს და ვაჟს ხელი უბიძგა, ამ უყუგდებით უიულოენი ძალზე კმაყოფილი დარჩა და ნაჩქარევად მიმოიხედა“, ასე ინტელიქტუალურად და შეგნებულად, ასე ცივად და ფხიზლად აზროვნებენ სტენდალის გმირები თვით უველაზე სახიფათო ფათერაკების დროსაც კი. ჰოდა, ახლა წაიკითხეთ იმ სცენის გაგრძელება, რომელშიც ამჟამი ქალიშვილი, თუშცა ღელავს, მაგრამ მაინც აწონ-დაწონის უოველივეს და ისე ნებდება მაშის მღივანს, „მატილდა თავს ძალას არანდა, რომ მისთვის შენობით მიემართა, და ვინაიდან ამ „შენ“-ს სინაზის გარეშე წარმოიქვამდა, უიულოენს იგი არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებდა, გაკვირვებულმა დაასკენა, რომ სულაც არ გრძნობდა თავს ბედნიერად, და რათა რო-

გორმე ზიარებოდა ამ გრძნობას, ისევ მსჯელობა მოიშველია: განა მას ეს ამბარტავანი ქალიშვილი არა სწყალობდა, რომელიც ისე არავის შეაქებდა, თუ მაშინვე რაიმე შენიშვნასაც არ დააყოლებდა? ამგვარად მსჯელობით მატყლმოყვარეობის ჭია გახსნა — და შეტრიატ კალივრა, ამრიგად, მხოლოდ „განსჯის“ შედეგად, მხოლოდ „გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე“, სინაზის გარეშე, რაიმე სიფიცხია და აღტყინების გარეშე აცდუნებს ეს თავიანთი ეროტიკოსი ქალიშვილს, რომელსაც რომანტიკულად ეტრფის, მატყლდაც, თავის მხრივ, აი, სიტყვასიტყვით რას ეუბნება საკუთარ თავს უშუალოდ ამის შემდეგ: „მაინც თავს ძალა უნდა დავატანო და ველაპარაკო, ასეა მიღებული, შეუვარებულთან საუბრობენ ხოლმე“, ამიტომ, შექსპირისა არ იყოს, იძულებული ხარ კაცი, იკითხო: „აბა, სხვა ვინა უოფილა დიაცთან ამ ხასიათზე?“ სტენდალამდე სხვა რომელიმე მწერალს თუ გაუბედია ოდესმე, აიძულებინა მოქმედი გმირები თვით შეცდენის წამშიაც კი ასე გულცივად გაეწიათ კონტროლი თავისი თავისათვის და აეწონ-დაეწონათ უველაფერი, თანაც ისეთ აღაშიანებს, როგორებიც არიან სტენდალის პერსონაჟები, — არცთუ ცივსინდიანებს? მაგრამ ჩვენ აქ უკვე ახლოს მიველით გმირის ფსიქოლოგიის გამოსახვის სტენდალისეული ხელოვნების უველაზე ფარულ ხერხებთან, თვით უკიდურეს სიცხესაც კი გრადუსებად რომ ანაწევრებს და გრძნობას ცალკეულ ამპულსებად შლის, სტენდალი ენებას მთლიანად კი არ განკვერტს, არამედ უოველთვის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად უოვს, თვალყურს ადევნებს მის კრისტალიზაციას გამაღიღებელი შუშით, ასე გახინჭეთ; „დროის მადიდითაც“³² კი იმას, რაც რეალურ სივრცეში ერთიან, ბიძგისებურ, კრუნჩხვისებურ მოძრაობასავით მიმდინარეობს, სტენდალის გენიალური ანალიტიკური გონება დროის უპასრულოდ მრავალ მოღვეკულად აჭუცმაცებს, იგი ხელოვნურად ანულებს ჩვენს თვალთა წინაშე უსიქიკურ მოძრაობას, რათა ჩვენი გონებისათვის უცრო იოლად აღსაქმელი გახადოს, ასე რომ, მოქმედება მის რომანებში (ეს გახლავთ მათა სიახლე!) მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკური და არა მიწიერი დროის ფარგლებში თამაშდება, იგი იმდენად რეალურ ამბავთა სფეროში კი არ მიმდინარეობს, რამდენადაც ჩქაროსნულ ნერვულ გზებზე, რომელნიც ტვინსა და გულის აკავშირებენ; სტენდალის თხზულებებში ეპიკურა ხელოვნება პირველად (გუმანით აგნებს რა შემდგომი განვითარების მიმართულებას) იწყებს არაცილობიერი ფუნქციური პროცესების გაშუ-

ქებას: „წითელი და შავი“ დასაბანი ეძლევა იმ «roman experimental»-სსპ, რომელმაც შემდგომ საბოლოოდ დაამზობილა ფსიქოლოგიური მეცნიერება და პოეტური შემოქმედება. ჩვენ არ უნდა გაგვაკვიროს იმ ამბავმა, რომ სტენდალის მიერ გრძნობის ანგვარა, ლამის მათემატიკური ანალიზის აღსაქმელად ჭერ კიდევ მოუმზადებელმა თანამედროვეებმა ესოდენ ახლებური ხელოვნება თავდაპირველად ხელოვნებად არც მიიჩნიეს. მას არსებითად ანტი-პოეტურად თვლიდნენ, აქაოდა, სულიერი პრაქსისები უბეზად, მექანიკურად, მატერიალიზებულიად არიანო წარმოდგენილნი. იმ დროს, როდესაც თვით ბალზაკიც კი (სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამა თუ იმ შინაგან მისწრაფებას მონომანიამდეც კი ზრდიდა და მას ერთ ბოლიანობაში წარმოგვიდგენდა, სტენდალი დაეინებოთ ეძებს მიკროსკოპით ბაცილებს — ყოველგვარ ვნებათა დელფის აღმძვრელთ, იმ საკვირველი ავადმყოფობის ერთი ციციქნა მატარებელთ და გამავრცელებელთ, რომელთაც ჭერ კიდევ აკვანში მწოლიარე ფსიქოლოგია ბუნდოვანი და ერთობ განმარტოვებელი ტერმინით აღნიშნავს: სიუვარული, სტენდალს სწორედ სიუვარულის ვარიანტები აინტერესებს სიუვარულის ცნების ფარგლებში, გრძნობის თვითდაშლა, გახლეჩა პატარა უჭრედისებურ ნაწილებად, ყოველი მისწრაფების მამოძრავებელი ელემენტი, ექვს გარეშეა, კვლევის ეს აუნქარებელი მეთოდი ამცირებს იმპულსურა გამოსახვის მედვარსა და ქმედით დარტყმით ძალას, და სტენდალის რომანების ზოგიერთი პასაჟი გულციფობითა და სიტხიზლით მართლაც ლაბორატორიას ან სასწავლებლის აუდიტორიას მოგაგონებთ: მაგრამ მაინც სტენდალის ხელოვნებით გატაცება და უნი ისეთივე შემოქმედებითი პოეტულის მქონეა, როგორისაც ბალზაკისა, ოღონდ უფროადღება ლოგიკურობაზე აქვს გამახვილებული, ფანატურად ეძიებს გარკვეულობას, სულის ნათელმხილველობას ესწრაფვის. მის მიერ დახატული სამყაროს სურათი მხოლოდ ადამიანის სულში ჩაწვდომის გზაა, ხოლო ადამიანთა სახეები — მხოლოდ ავტოპორტრეტის ესკიზებია. სტენდალი, ეგოისტი, ამ სიტყვის ამადლეუსლო, ყველაზე ამადლებული გაგებით, ვნებებს მხოლოდ იმიტომ ხატავს, რომ თავად ხელაზლა განიცადოს ისინი უფრო ძაფრად და უფრო გაცნობიერებულად აღიქვას, ხოლო ადამიანის შეცნობას მართოდენ იმიტომ ლამობს, რომ უკეთ შეიცნოს თავი; ხელოვნება მხოლოდ ხელოვნებისათვის, ობიექტური გამოსახვის სიხა-

რული, გამოგონებისა და შეთხზვის, სახეების აერწვის ხალასი სიუვარული სტენდალისათვის — აქ გადის მისა საზღვარი — ყოველივე უცხო იყო და არც დაგიღვედათ ყოველივე ამა. ეს ხელოვანთა შორის თავის თავზე ყველაზე უფრო შეუვარებული ხელოვანი, ეს სულერი ავტოკრიტიკის ოსტატი ვერა და ვერა მიდის იქამდე, რომ სამყაროს გულისათვის ხელა აიღოს თავის თავზე, მთლიანად გათქვევთა მოინდომოს გრძნობაში, მკლავებგაშლილმა წარმოთქვას: „მსოფლიო სულა, მოდი წამდეკე“. დაახ უნარი არ შესწევს რა თავზე ხელის აღების ექსტაზი განიცადოს, სტენდალს, მიუხედავად იმისა, რომ დიდებულად ესმის ხელოვნება, მაინც არ ძალუძს იმ მწერალთა შემოქმედება გააგოს, რომელნიც თავიანთ მისტურ ძალას მართოდენ ადამიანურის სფეროდან კი არ იძენენ, არამედ პირველქმნილი ქაოსიდან, კოსმოსიდან. ყოველივე პანურიზა და ტიტანური, ყოველივე რაც კოსმოსური გრძნობით არის გამსჭვალული, აფრთხობს ამ ადამიანს და მხოლოდ ადამიანს, — რემბრანდტი იქნება ეს, ბეთჰოვენი თუ გოეთე, — ამიტომ ყოველი მრუ და მების ჩამოვარდნასავით გამოგნებელი მშვენიერება მისი ნათელი გონებისათვის უიქედოდ დახშული რჩება, მისთვის მშვენიერება მხოლოდ აპოლონისებურ თანაზომიერ, მკაფიო ნაკეთებშია გასაგები, ასე რომ, მუსიკაში მოცარტი და ჩიპაროზა, წყაროსავით ანკარა მელოდიების ავტორები, ფერწერაში — რაფაელი და გვიდო რენი, საამურნი და მისაწვდომნი: მისთვის სრულიად უცხონი რჩებიან სხვები, დიადნი, შინაგანად გათიშულნი, მრისხანებისაგან გულგარღვეულნი, დემონურ ძალებს აყოლილნი. მთელ ამ ხმაურიან სამყაროში მის ცოცხელ უურადღებას მხოლოდ კაცობრიობა იპყრობს. ხოლო კაცობრიობაში კი, ისევ და ისევ მხოლოდ ერთი ადამიანი — მისთვის ბოლომდე ამოუცნობი კაცი, მიკროკოსმოსი, სტენდალი. მართა ამ ერთის სულში ჩასაწვდომად გახდა მწერალი, მძერწავად იქცა, რომ მისი სახე გამოედერწა თუშცა თავისი გენიის წყალობით სტენდალი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ხელოვანი იყო, პირადად მსახურად მას არ დახდგომია. მხოლოდ იუენებდა მას, როგორც ყველაზე ნატურსა და გონივრულ ხელსაწყოს სულის აღმფრენის გასაზომად და მუსიკად გარდასაქმნელად. ხელოვნება მისი მიზანი არ ყოფილა, იგი მართოდენ გზა იყო ერთადერთი და მარადიული მიზნისაკენ — საკუთარი მეს აღმოჩენისა და თვითშეცნობის სიხარულისაკენ მიმავალი გზა.

DE VOLUPTATE PSYCHOLOGICA*



«Ma véritable passion est/ celle de
connaître et d'éprouver Elle n'a
jamais été satisfaite»

„ჩემი ქვეყნის უმთავრესი სიამაღლეა და
განცდა იყო ეს ვნება არასოდეს არ და-
ცხრობია“.

ერთხელ წვეულებაზე სტენდალთან მიდის
ვილაც ალალი ბურჟუა და დარღიმანდულ-თა-
ვაზიან კილოზე მისთვის უცნობ ბატონს ეკო-
ხება: რა ხელობისა ბრძანდებითო. მაშინვე
ეშმაკური ღიმილი გადაურბენს ძწეოაღს ვი-
ნიკოსის პირზე, ეფუძატ თვალებს ანცო კად-
ნიერებით დააკვესებს და განგებ თაუშაბლუ-
რად მიუგებს: — „მე ადამიანის გულას მეთ-
ვალუურე ვარ“. ეს, რასაკვირველია, ირონია
გახლავთ, პირღია ბურჟუას გასაპამპულეზლად
ელვის სიხწრაფით ამოსროლილი ხუმრობა,
მაგრამ დამალოზიანას ამ კვიმატ თამაშშია გულ-
წრფელობაც საკმაოდ ურევია. რადგან სტენდა-
ლი მთელი თავისი სიცოცხლე მართლაც სხვას
არაფერს ისე მიზანსწრაფულად და გეგმავომაე-
რად არ ეწეოდა, როგორც სულიერი ცხოვრე-
ბის თვალუურის დევნებას: არაფერა ისე არ
აღვივებდა ხოლმე მის აზარტს, როგორც
„ადამიანთა ტვინში ჩახედვა“ არხეინად შეიძ-
ლება იგი ყველა დროის უღიადეს ფსიქოლოგებს,
ადამიანის სულის საუკეთესო მცოდნეებს მი-
ვაკუთვნოთ და ხოტბა შევასხათ, როგორც ახალი
დროის კოპერნიკს — გულის ვარსკვლავთმრიც-
ხველს. მიუხედავად ამისა, სტენდალს მაინც
უფლება აქვს გაიღიზოს, თუ თვითონვე ანდა
ვინმე სხვა უნებლიეთ მის მოწოდებად ფსი-
ქოლოგიას აღიარებს. ვინაიდან მოწოდება ყო-
ველთვის გულისხმობს სრულ თავდადებას, პრო-
ფესიულ, მიზანსწრაფულ საქმიანობას. მაშინ
როდესაც იგი სულის კვლევას გამოიწველად,
მეცნიერულად როდი აწარმოებდა, არამედ
თითქოსდა გაკვირით, სეირნობითა და თავმეკ-
ცევით. პოდა, თუმცა მრავალგზის უკვე ითქვა,
სიცხადისათვის ერთხელ კიდევ უნდა ხაზგასმით
უაყვებინოთ, რომ, ასე იქნება თუ ისე, სტენდა-
ლის ხასიათს ცუდად გავიგებთ, ბოლომდე ვერ
ჩავწვდებით და არასწორად შევაფასებთ, თუცა
მას საბუშაოსთან სერიოზულ დამოკიდებულე-
ბას, საქმიან სიმკაცრეს, ემოციური ან მორა-
ლური შემოქმედებისაკენ სწრაფვას მივაწერო.
თვით თავის საწუკარ ვნებებსაც კი ეს საოც-
რად არხეინი, თავშემაქცევარი კაცი, რომელმაც
ცხოვრების დღეიზად აირჩია: „ერთადერთი საქ-
მე ცხოვრებაში სიამოვნებაა“, — რაიმე სის-

ტემითა და პროგრამით კი არ ახდევედა, ნაუქე-
ბით შუბლდაღარული და ერთ ადგილზე მიჯაქ-
ვული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ როგორც
diletto-ს, გულის გადასაყრლებლად, რაიმე
მიზნისა და ძალდატანების გარეშე. როგორც ხე-
ლოვანი, სტენდალი არ ემოცნება თავას ნაწარ
მოებს, არ ეწირება მას ბოდღერის ან ფლო-
ბერის მანიაკური თავდადებით, ხოლო თუ სა-
ხეებსა ქმნის, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის,
რომ უფრო ძალუმაღ დატკბეს თავისა თავი-
თა და ქვეყნიერებით. ისევე როგორც მოვზაუ-
რობისას იგი ქვეყნებს მუმბოლტიფიკან კი არ უვ-
ლის, ვითარცა მკაცრი მკვლევარი და ბეჭითი
ტოპოგრაფი, არამედ მხოლოდ როგორც ტუ-
რისტი, და მოსეირნესავით აღტაცებაში მოდის
ლანდშაფტით, ზნე-ჩვეულებებითა და უცხო
ეროვნების ქალებით, ფსიქოლოგიასაც როდი
მისდევს როგორც „ძირითად სპეციალობას“
(ამას სწავლულზე იტყვიან, ის კი სწავილული
არ გახლავთ); იგი შემეცნებას არ ეწაფება
ნიცშესეული გამმსკვალავი, გამაწამებელი, გა-
აუთრებული სინდისიერებით ანდა ტოლსტოი-
სეული მონანიების წყურვილით. მისთვის შე-
მეცნებაც, ისევე როგორც ხელოვნება, მარტო-
ოდენ ტკობის ერთ-ერთი სახეობაა, როდენ
უპირატესად ტვინის მონაწილეობით წარმოე-
ბული, და უყვარს იგი არა როგორც ამოცანა,
არამედ როგორც გონების ყველაზე აზრიანი
თამაში. ამიტომ მის ყოველ მიდრეკილებასა და
მისწრაფებაში სიხადისის ფაქიზი პანგიც
ქლერს, რაღაც არაპროფესიულად მუნჯკალური,
რაღაც მხიარული და აღმამფრენი გამტსჭვივის,
ცეცხლის აღის სიმსუბუქე და მწველი სიხარბე
გამოკრთის. არა, არ შეადაროთ იგი სეროზულ-
სა და მუყაით გერმანულ სწავლულებს ამა ქვეყ-
ნის დაფარულ წიაღში წოლხვრელები რომ ეამ-
ყავთ, და არც პასკალივითა და ნიცშესავით
წყურვილისაგან გახელებულ ფიცხ მონადირე-
ებს, რომლებიც შემეცნების უზენაეს მონაპოვ-
რებზე ნადირობენ. სტენდალს აზროვნება
შამპანურის მსგავსი ხალისიანი ფიქრია, ცოდ-
ნისა და შვების მომტანი ადამიანური უკაცობაა.

* ფსიქოლოგის სიამეთა შესახებ“ (ლათ.).

მოხასხასე და მოკისკასე ნერვების წარმოში, ნაღდი და ნამდვილი ცხადი და ცანცხალი ცნობისმოყვარეობის ჭიის გახარებაა. ფსიქოლოგის ვნებათა ღელვაა.

სტენდალი იცნობდა, როგორც ცოტაა აუ იცნობენ. ფსიქოლოგის ამ მაგიურ უიხს და თითქმის ავსორცულად ეწაფებოდა გონების კაცის ამ ხანუყვარ ვნებას: მაგრამ რა მკვერ- მტყუელია გულის საიდუმლოებანათ მისი შე- წარბოშება, რა მსუბუქი, რა აღმაფრთოვანებე- ლია მისი ფსიქოლოგიური ხელოვნება! ცნობის- მოყვარეობა აქ ეურდნობა ჭკვიან ნერვებს, ფა- ქიზ სმენას, მახვილ მხედველობას და, ეშხშიმე- სული, ამ თავისებური სატაცებით ტკბილ სუ- ლიერ ტვისს იწოგს ცოცხალი საგნებიდან. მის მოქნილ ინტელექტს არ სჭირდება რაიმეს მაგ- რად ჩაატრინდეს, იგი ძალას არ ატანს მოვლე- ნებს, სახსრებს არ უმტვრევს მათ, რათა რაიმე სისტემის პროკრუსტეს საწოლზე³⁶ დასტოვს; სტენდალისეულ ანალიზს ანაზღვეული, იღბლი- ანი აღმოჩენის მოულოდნელობა ამახათებს, შემთხვევითი შეხვედრის სიახლე და სილაღე ახ- ლავს. მწერალს ვაჟკაცური, კეთილშობილური აღდო აქვს მონადირისა და ერთობ ამაყია იმისათვის, რომ ოფლში გაღვრილმა სდიოს შემეცნების ნამუსრევთ და არგუმენტთა მი- სევით ისინი სიკვდილის პირამდე მიიყვანოს; მას ეჯავრება ფაქტების საგულდაგულად გა- მოშიგვნიხა და შიგნულში მარუსსექსივით³⁷ ხე- ლის არევის უხვირო ხელობა: ფაქიზი მგრძნო- ბელობა, თითის წვერების ოდნავი შეხებით- ესთეტიკური ღირებულებების აღქმის უნაა აქვს და არ სჭირდება საგნებს უხეშად და ხაობად ჩაებლაუქოს, მათი არომატი, მათი არსის ოდ- ნავი მონაბერი, ეთერავით მსუბუქი ხულიერი ემანაცია ამ გენიალურ დეგუსტატორს უმაღ- ატუობინებს მათ შინაგან აზრსა და საიდუმლოს, ნაცვთის ოდნავ შეტოკებაზე გრძნობის რაობას ხწვდება, ანეკდოტით — ისტორიას, აფორიზ- მით — აღაშიანს; უკვე გაქრობამდე მისული, ძნელად გასარჩევი დეტალი, „რაკურსა“, შეგრ- ძნების ნატამალიც კი ჰყოფნის, რათა ვამქრო- ახა მწერით მიზანში მოახვედროს. და მან უწ- უის, „რომ სწორედ ეს ეთემატი დაკვირვებანა, „წვრილმანი უტყუარი ფაქტები“, ფსიქოლოგა- აში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. „შოლოდ დეტალებშია სიმართლე და სინამდელი“ — ამბობს მისი ბანკირი ლეენი და თავად სტენდალიც თავგამოდებით აქებს იმ ეპოქის ბეოლს, „დეტალები რომ უყვარს და სამარ- თლიანადაც“, წინასწარ გუშანით გრძნობს რა მომავალ საუკუნეს, რომელშიც ფსიქოლოგიას აღარ ააგებენ ფუჟე, მოუქნელ, მსხვილ-მსხვი-

ლად დაბლანდულ ჰაბოთეებზე, რომელშიაც უჩრდისა და ბაცილის მოღვივება კვშმა- რიტებებიდან გამოიყვანენ მოსაზრებას საკუ- ლის შესახებ, ხოლო დეტალებზე საგულდაგულ- ლო დაკვირვებებიდან, ნერვების უფლად თითო- ლისა და რხვეიდან უფრე-მწერებზე³⁸ მ- მოაანგარიშებენ სწორედ იმ ღროს, რომელიც კანტის შთამომავალი, როდესაც შეთავსო, მ- გელი და მათი მსგავსი თავიანთ კათედროვან- დაუუღებულნი, თითქოს ილუზიონისტები იყ- ვნენ, პროფესორის შლაპიდან მთელ სამყაროს იღებენ, ამ მარტოსულმა, საკუთარი თავის სიყ- ვარული შემეცნებისაკენ რომ ეწევა, უკუ უწ- უის, რომ მაღალკოშკურებიანი ფილოსოფი- ური ღრედნოუტების ეპოქა, გიგანტური სისტე- მების ეპოქა ისტორიას ჩაბარდა და მხოლოდ წვრილმან დაკვირვებათა ტორპედოებთან შეი- რაღებული მიმპარავი წუალჭვეშა ნაცვებ მბრძა- ნებლობენ გონის ოკეანეში. მაგრამ რა მარ- ტოდმარტო მისდევს იგი საიდუმლოთა ამოხნისა ამ ჭკვიანურ ხელოვნებას ამდენ ცალბრავ პრო- ფესიონალებსა და განუენებულ პოეტებში, რ- კენტად დგას, რა წინ გაუსწრო მათ, უაღვას, მაშინდელ მუჟაით და განსწავლულ ფსიქოლო- გებს, რადგან ერთდროით გატენილი ჰაბოთე- ზები არ ეკიდა ზურგზე, ხულიერი ომის აკვი- სუფალ მსროლელს არავის დაპურობა და და- მონება არა სურს: „მე არც ვგმობ, არც ვაწო- ნებ, არამედ მხოლოდ ვაკვირდები“ — და შემეც- ნებას, როგორც თამაშს, როგორც სპორტს, რე- ეწაფება, საკუთარი ჭიის გასაბარებლად! თავისი სულიერი თანამოდმის, ნოვალისის მსგავსად, რომელმაც ასევე გაუსწრო ფილოსოფიას პოე- ტური აზროვნებით, მას შემეცნებისა მარტო „უვაილების მტვერი“ უყვარს, ეს ქარის მიერ შემთხვევით მოტანილი, მაგრამ ყოველავ ცოც- ხალის დედარსით გამხჭვალული სპორტის ნა- ყოფიერების ელემენტები, რომლებშიც ჩანასა- ხობრივად, ჰაბოთეტურად, მოცემულია ფარ- თოდ განტოტვილი ვრცელი სისტემები. სტენ- დალი მუდამ აკვირდება უმცირეს, მხოლოდ მიკროსკოპით აღსაქმელ სწულილებებს, გრძნო- ბის კრისტალაზაციის პირველ ხანმოკლე წამე- მებს. მარტო აქ შეიგრძნობს იგი ცხოველმჟო- ფლად სხეულისა და სულის შეუღლებების მო- მენტს, რომელსაც სქოლასტიკოსები მაღალფარ- დოვნად „მსოფლიო გამოცანას“ უწოდებენ; სწორედ წვრილმანი დაკვირვებების წუალობის აგნებს მისი აღდო უდიადეს ჭეშმარიტებისა, ამიტომ მისი ფსიქოლოგიაში თავდაპირვითად ოქრომჭედლის უფაქიზეს ნამუშევრად გესაებათ, მინიატურისტის ხელოვნება დახვეწილობანას თამაში გგონიათ, რადგანაც უველგან, მათ შო-

რის რომანებშიაც, სტენდლის აღმოჩენები მოგვებში და ვარაუდები უხეზა მხოლოდ უკიდურეს დაბოლოებებს. გრძნობის უკანასკნელ, უკვე ძალზე ძნელად აღსაქმელ რხევებს; მაგრამ მას ურყევად (და სამართლიანადაც) აჭერია, რომ გრძნობაზე თვით უმცირესი ზუსტი დაკვირვება სულის მამოძრავებელ ძალთა შეცნობისათვის ბევრად უფრო მეტს იძლევა, ვიდრე რომელიმე თეორია: „გული უფრო გაგანდობს თავის თავს, ვიდრე გაგრძნობინებს“. ისევე როგორც სიცხეს ზომავენ თერმომეტრის შეჯლის წვრილი დანაყოფებით, სულიერ ცვლილებათა გარჩევაც უნდა ვისწავლოთ უველიაზე ინტიმური სიმბოლოებით, რადგან ადამიანის სულის შემსწავლელ მეთოდურებას წუვლიადში შედწევის სხვა უფრო საიმედო საშუალება არ გააჩნია. ვიდრე ეს შემთხვევით მოპოვებული დაკვირვებებია „მხოლოდ შეგრძნებანი არაა ნამდვილად უტაუარნი“. ასე რომ, კბარა „მთელი სიცოცხლე ხუთ-ექვს იღვას ჩამკირკატებდენ“ და უკვე გამოისახება კანონები. ოღონდ საყოველთაოდ სავალდებულო კი არა, არამედ ინდივიდუალურნი. გარკვეული სულიერი წყობის ამსახველნი, რომელთა გაგება ან თუნდაც მხოლოდ გუშანიტ მიკვლევა დიდი სიხარული და ნეტარებაა უოველი ქეშმარიტი ფსიქოლოგიისათვის.

ასეთი წვრილმანი სასარგებლო დაკვირვებანი, ანაზღურული, უცაბელი აღმოჩენები სტენდლის უამრავი აქვს, რომელთაგან ზოგი უკვე აქსიომად იქცა და სულიერი ცხოვრების უოველი მხატვრული ანალიზის ამოსავალს წარმოადგენს. მაგრამ თვითონ სტენდალი ამ აღმოჩენებს ჩიროდაც არ აჯდებს და დაუდევრად ვადააქვს ჭაღალაზე იღვები, ისევე, როგორც ვაუფლევებს ხოლმე თავში, არ აწესრიგებს მათ, ხოლო რაიმე სისტემის შექმნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მის წერილებში, დღიურებში და რომანებში ამ სათესლე მარცვლებს უხვად დაზვიანულ ფაქტებს შორის გაბნულთ ხვდებით, შემთხვევით ნაპოვნი, ისე ალაღებელზე არიან მის ნაწერებში გაფანტულნი, თითქოს კვლავ შემთხვევით აღმოჩენას ელოდებოდნენ. მთელი მისი ფსიქოლოგიური მემკვიდრეობა საბოლოო ჯამში რამდენიმე ათეული სენტენციისაგან თუ შედგება, რწვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც იწუხებს თავს ორი-სამი დებულების ერთად შესაკონწებლად, მაგრამ არ აღუდაბებს მათ ერთ მწუობრ ნაგებობად, არ აყალიბებს ერთ მთლიან თეორიად თვით მისი ერთადერთი მოწოგრაფია ფსიქოლოგიურ თემაზე, თავის ორ სხვა წიგნს შორის რომ გამოსცა და სიყვარულს მიუძღვნა, ვრამენტების, სენტენციებისა და ანეკდოტების

ნარეც წარმოადგენს. სიფრთხილის გამო თავის ნაშრომს „სიყვარულს“ კი არ უწოდებს, არამედ „სიყვარულის შესახებ“, ანდა ანუ სარგვნა უფრო აჯობებდა: „ზოგი რამ სიყვარულის შესახებ“. იგი აქ სიყვარულს უმეტესად რამდენიმე ჩანახატს იძლევა: „სიყვარული-ვნება“, „სიყვარული-ვიწროება“, „სიყვარული-მიდრეკილება“ — და სახელდაბელოდ მისი აღძვრისა და გაჭრობის თეორიის ესკიზს გვთავაზობს, მაგრამ, ასე ვთქვათ, მხოლოდ ფანქრით ნობაზუფს (საერთოდ კი, სტენდალი მართლაც ფანქრით წერდა ამ წიგნს). იგი სჭერდება მინიშნებებს, ვარაუდებს, არაფერს რომ არ ავალბებენ მას, ისეთ ჭაპოტეზებს, და მათ შიგადაშიგ, თითქოს მუსაიდობდეს, თავშესაქცევა ანეკდოტებით კაშმაგს. სტენდალს არა და არ სურდა ღრმანარკვანი უოფილიყო, ბოლომდე გაეზრებინა უველაფერი, სხვებისათვის ეაზროვნა, იგი თავს არ იწუხებდა, რომ შემთხვევით მიკვლეულისათვის შექცვომაც მიედევნებინა თვალი, მოფაქრების, დამუშავებისა და ჩამოყალიბების ჭაპანწუვეტას „სულითა ევროპაში“ მომთაბარე ეს დაუდევარი ტურისტის დიდსულოვნად და დარდიმანდულად ანდობს ფსიქოლოგიის მეფორნებებსა და მებარგულებს, მის მუშაყაცებს, და მართლაც განა ფრანგთა მთელი თაობა არ ეწეოდა იმ მოტივების დიდი უმრავლესობის პარაფრაზირებასმ, რომელნიც პარველად მისმა მსუბუქმა ხელმა ააღდერა პრელუდიის დარად, ათობით ფსიქოლოგიური რომანი აღმოცენდა მართო მისი სიყვარულის კრისტალიზაციის თეორიიდან (რომელიც გრძნობის გაცნობიერებას აღარებს იმ რტოს, ოდენსაც წათხში რომ იდო, მარილით გაიფდინთა და ახლა, მალაროს ტუტე წყალში მოხვედრილა, თვალის დახამხამებაში კრისტალებით იმოსება); მისი ერთ-ერთი გაკვრით მიჩხამნილი შენაშენიდან ხელოვანზე რახისა და გარემოს ზემოქმედების შესახებ ტენმაში თავისი გაბერილი და ფუფე მიპოთეზა შექმნა და ფილოსოფოსის სახელიც მოიხვეჭა. მაგრამ თვითონ სტენდალს, მუშაყაცს კი არა, არამედ გენიალურ იპაროვანატორს, ფსიქოლოგია მულამ ეპიზოდურად იუაცებს, იგი ფრამენტულად გამოთქმულ აზრზე, აფორიზმზე შორს არ მიდის და ამში თავისი ფრანგი წინაპრების — პასკალის, შამტეარის, ლაროშფუკოს, ვოვენარგის — მოწაფეა, რომლებიც, ისევე როგორც თვითონაც, უოუელეგარნი ქეშმარიტების ფრთამალი არხის მიმართ პატივისცემით გამსქვალულნი, საკუთარ შეხედულებებს არ აერთიანებენ ერთ ბრტყელ კვარცხლბეკზე, დასახმელ თოქმა ქეშმარიტებად, სტენდალი ხელგაშლით ფანტავს, რასაც

მიაკვლევს, და არ დაგიდევთ. წაადგება თუ არა იგი ადამიანებს, ახლავე მიიჩნევენ ქვეშა-რიტებად, თუ მარტოოდენ ასი წლის შექდევთავს არ იტკივებს იმაზე ფიქრით, მასზე ადრე ვინმემ დაწერა იგივე, თუ მისგან გადაიწერენ სხვები. იგი ისევე ძალდაუტანებლად და ბუნებრივად აწროვნებს და დაკვირვებებს ახდენს, როგორც სუნთქავს, შეტუველებს და წერს. თანამგზავრთა, მიმდევართა და მოწაფეთა ძიება არ შეადგენს ამ თავისუფლად მოაზროვნის საზრუნავსა და სადარდებელს, ქვრება და სულ უფრო და უფრო ღრმად განჭვრეტა, აწროვნება და სულ უფრო და უფრო ნათლად აწროვნება ჰყოფნის შვებად; ისეთივე გულუბნა და გულღიაა აწროვნებით მოგვრილი სიბარულის განცდისას, როგორც გახლავთ ყოველი ადამიანი, როდესაც რაიმე ელემენტარულ სიბარულს განიცდის.

სტენდალი უველა საქმიანსა და ცენზიან ფსიქოლოგზე იმ დიდებული უბირატესობას გამოიხარჯებს, რომ გულის შეცნიერებას ბრძნულად, მხიარულად და ნეტარებით მისდევს, მოვარცხელავენებას და არა როგორც ხელობას, არა როგორც სავალდებულო საქმეს. ნიკუესავით მას არა მარტო კარგი ვაჟკაცური შემართება აქვს აწროვნებაში, არამედ შიგადაშიგ აწროვნების გამართვის მომზიბლავი სიანცეც ახანიათებ; იგი საკმაოდ ძლიერი და თამამია იმისათვის, რომ ქვეშარიტება სათამაშოდ გაიხადოს კადეც და შეშეცნება ღამის ხორციელი გზნებით უყვარდეს. სტენდალის სულისკვეთება მარტოოდენ ტვინიდან არ იღებს სათავეს. იგი ცინცხალი, სრულთასოვანი, ცხოვრებისეული ინტელექტუალობაა, დარწყულებული და გაედენტილი მთელი მისი არსების ვიტალური სუბსტანციებით, შეზავებული მხურვალე გრძნობიერებით, მახვილგონივრული ირონიის ძარილით. მწარე გამოცდილებათა სიმჭანითა და პილპილივით ცხარე სიავით, მაშინვე იგრძნობა სული, რომელიც მრავალი ქვეყნის მზეს შეფაცხებია.

ჩაუსუნთქავს ყველა მხრის ქარი, იგრძნობა მთელი სიმდიდრე ხარბად დაწყუებული და ორმოცდაათი წლის ასაკში გერაც დაუშეცხრალი და გაუნელებელი ყოფიერებისა. რა უხვად ჩქეფს და ცივლიგებს, დუღს და კლმოდის ცხოვრების შემეცნებისაგან, მისი მუშუნა გონებას და მაინც მისი ცალკეული აწრები მარტოოდენ ობოლი წინწყლებია მწერლის სულიერი სიმდიდრისა, სავსე სასმისიდან შემთხვევით გადმოღვრილი შხეფებია. საკუთრივ სტენდალის საუნჯე კი მუდამ მის სულში ჩამარხული რჩება, ცივიცა და აღმგზნებიც ერთსა და იმავე დროს, ბროლის ფიალაში, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი დაამსხვრევს. მაგრამ თვით ამ გადმოღვრილ წვეთებსაც კი აქვთ გონების შემაზარხოშებელი ნათელი და აღმაფრთოვანებელი ძალა; ისინი კარგი შამპანურივით აჩქარებენ გულის მოღუნებულ ძგერას და ახლისებენ ცხოვრების აღქმის დაჩლუნგებულ უნარს. მისი ფსიქოლოგია განხწავლული ტვინის გეომეტრიაა კი არ არის, არამედ მყოფობის კონცენტრირებული ესენციაა, ნამდვილი ადამიანის აწროვნების საფუძველია. ამიტომაც მისი ყოველი ქვეშარიტება ასე ქვეშარიტა, მისი გაჭირიბობა ასე ნათელმზილველი, მისი აღმოჩენები ასე ზოგადკაცობრიული და უწინარი ყოველისა კი წამიერიცა და მარადიულიც ერთსა და იმავე დროს, ვინაიდან მოაზროვნის ვერავითარი მუყაითობა ვერ მოიცავს ისე ყოველისმომცველად ცხოვრებას, როგორც აწროვნების თავისთავადი სიყვარული, ღალი გონების დაურიღებელი სითამამე. ყოველივე მიზანშეწონილი მიზნის მიღწევისთანავე ქვაკდება, ყოველივე დროებითი დრომოკმული ხდება, იდეები და თეორიები მომეროსის მადესის აჩრდილებივით მუდამ შიშველი სქემებია, უსხულო ღანდებია და მხოლოდ მაშინ, თუ მათში ადამიანის სისხლი აჩქეფდება, იძენენ ხმას, სახეს და ძალუძთ რაიმე უთხრან კაცობრიობას.

თვითგამოსახვა

«Qu'ai-je sté? Que suis-je? Je serais bien embarrassé de le dire».
 „რა ვიყავ? რა ვარ? ამის თქმა ღამასაც გამიჭირდებოდა“.

სტენდალს — ავტობორტრეტის განაცაროსტატს — ამ საქმეში ხხვა მასწავლებელი არ ჰყოლია, საკუთარი თავის გარდა. „ადამიანს რომ

იცნობდე, საქმარისია საკუთარი თავი უეისწავლუ, ადამიანებს რომ იცნობდე, მათთან ურთიერთობაა საქირო“, — ამბობს ის ერთგან და მათ

შინვე უმატებს, რომ ადამიანებს ის მართლ-
ოდენ წიგნებით იცნობს, ხოლო დაკვირვებით
კი მხოლოდ და მხოლოდ თავის თავზე ახდენდა
დაკვირვებებს. სტენდლის ფსიქოლოგია მუ-
დამ სტენდლიდან გამომდინარეობს და მუდამ
მას დასტრიალებს, მაგრამ ეს ერთი ინდივიდის
ირგვლივ სრბოლა საერთოდ ადამიანის სულის
მთელ ასპარეზს მოიცავს.

თვითდაკვირვების პირველდაწყებით სკოლას
სტენდლი ბავშვობაში გადის. ადრე გაზრდი-
ლილი დედის მიერ მიტოვებული, რომელიც
გაგიყვებით უყვარდა, ირგვლივ მხოლოდ
მტრულად განწყობილ და უცხო სულისკვეთე-
ბის ადამიანებს ხედავს. იგი იძულებულია თავი
მოიკატუნოს და საკუთარი გუნებ-განწყობილ-
ბა დაფაროს, რათა სხვებმა ვერაფერი შენიშონ
და საკუთარი თავის მუდმივი უარყოფით სიყ-
რმიდანვე სწავლობს „მონების ხელოსანს“ —
სიცრუეს. კუთხეში მიუფუჭული, დამუნჯებუ-
ლი. გულდახურული ამ უნებ. პირმოთენ პრო-
ვინციელთა წინაშე, რომელთა წრეში შეცდო-
მით დაბადებულად გრძნობს თავს, მთელ დროს
იშას ანდომებს, რომ გაბუტულ-განაწყენებულა-
— მამას, მაშინდას, შინამასწავლებელს — თავის
უველა მტანჯველსა თუ მბრძანებელს — ჩუმ-
ჩუმად თვალუფროს ადევნებს, და სიძულვილი
მის მწერას სულ უფრო და უფრო ამბვილებს
და ააღმასებს. მართლობა ხომ, როგორც უნდა
იყოს ის, ადამიანს უფრო ფხიზელსა ზღის სა-
კუთარი თავისა და სხვების მიმართ ასე სწავ-
ლობს ის, ჭერ კიდევ ბავშვი, ბორბტად თვალ-
თვალს, უღმობლად მხილებას, ცნობისმოყვა-
რედ მიბარვას, ჩაგრულის უველა თავდაცვით
ფანდებს, დაქვემდებარებული კაცის „მონურ
ხრიკებს“, რომელიც ყოველ ბადეში ჩავარდნილ
თვალს ეძებს, რომ შიგ გაძვრეს, ყოველ ადა-
მიანში მის სუსტ ადგილს, მოკლედ, ქვეყნის
ავ-კარჯში განსწავლამდე იგი ფსიქოლოგიურად
უკვე გათვითცნობიერებულია, თავდაცვის სა-
ჭიროების გამო, რომ არ ესმოდათ მისი, იმის
გამო.

მეორე საფეხური ამ ესოდენ საშიში დაწყე-
ბითი განათლების მქონისათვის უფრო დიდხანს
გრძელდება, კაცმა რომ თქვას, მთელი მისი
სიცოცხლე. მის უმაღლეს სკოლად სიყვარული
იქცევა, ქალები. დიდი ხანია ცნობილია, — და
თვითონაც არ უარყოფდა ამ გულდასაწყვეტ
ფაქტს, — რომ სტენდლი, როგორც მიჯნური,
გმირი არ იყო, დამპყრობელი და გამარჯვებული
არ გახლდათ, ხოლო უველაზე ნაკლებად კი —
დონ უუანი, თუმცა მის სამოსში გამოწყობა დი-
ახაც უყვარდა. მერიმე იუწყება, რომ სხვაფერ-
არ უნახავს სტენდლი, თუ არა შეყვარებული,
და თანაც, სამწუხაროდ, თითქმის ყოველთვის

უნუგეშოდ შეყვარებული. „სიყვარულში თით-
ქმის სულ არ მწყალობდა ბედი“ — იძულებუ-
ლია აღიაროს მან, და თვით ებეცა კი: „ნაპო-
ლეონის არმიის ოფიცრებიდან იშვიათად მყო-
ლია ვინმეს ისე ცოტა ქალებზე უფრო მე“ —
თან მხარბეტიანმა მტრულ-მტრულურვალე
დედამ მემკვიდრეობად ძალზე ადგიანული
გრძნობიერება უანდერძეს, „ცეცხლივანი ცემ-
პერამენტი“, და მუდამ ანთებული თვალბით
უმზერს ქალებს. მაგრამ, თუმცა თავის უემპე-
რამენტს აყოლილი ყოველ ქალს სულსწრაფად
ამოწმებს, მისთვის „მისაწვდომი“, ხომ არ იქ-
ნება, და ჭიბით კი საგულდაგულოდ შენახული
რეცეპტი დააქვს, რომელიც ერთმა ოფიცერმა
აჩუქა: თუმცა მეგობარს შეეითხვაზე: რა აზრი-
სა ხარ, როგორ უნდა შეაყვარო ქალს თავიო, —
დარდიმანდულ რჩევას აძლევს: „ჭერ დაეუფლეთ
მას“ — მაინც, მიუხედავად ამგვარი, ვითომდა
ვაუკაცური ჩალიჩობისა, სტენდლი მთელი
თავისი სიცოცხლე სიყვარულის საკმაოდ მწუ-
ხარე სახის რაინდად რჩება. შინ, საწერ მაგიდას-
თან, ბრძოლის ველიდან შორს, ეს ხულწასული
და ავხორციული მეოცნებე ჩინებული ერთული
სტრატეგიით გამოირჩევა. („ქალისაგან მოშორე-
ბით თამამია და იფიცება, რომ უველაფერს გა-
ბედავს“). დღიურში ზუსტად ანგარიშობს,
როდის დააყრევინებს ფარ-ხმალს თავის ამეა-
მინდელ ქალმერთს („ორ დღეში ჩემი იქნე-
ბა“). მაგრამ როგორც კი მასთან ახლოს აღ-
მოჩნდება, ეს კაზანოვად ყოფნის მოსურნე მა-
შინვე გაუბედავ გიმნაზიელად იქცევა; პირველი
იერიში, როგორც წესი (თავად აღიარებს ამას)
შამაკაცის თავის შერცხვენიტ მთავრდება ხოლ-
მე უკვე დაყოლიებული ქალის წინაშე. სულ
უდროს დროს ყოველდ უნიათო გაუბედაობა
იპყრობს და (თვით ხორციელი თვალსაზრისი-
თაც კი) თრგუნავს მის მშვენიერ შემართებას,
„მხდალი და ბრიყვი“ ხდება, როდესაც მისი
გალანტობა უნდა გააქტიურდეს, ცინიკური —
როდესაც სინაზე უნდა გამოიჩინოს და სანტი-
მენტალური — იერიშის მომენტში, მოკლედ,
იმის გამო, რომ ბევრს ანგარიშობს და თავს
ლაღად ვერა გრძნობს, ხელიდან უშვებს. ვერ
იყენებს უველაზე მარჯვე შემთხვევებსაც კი.
სწორედ გრძნობის სიჭარბე და მეტისმეტა დახ-
ვეწილობა ხდის მას ტლანქსა და მოუქნელს.
სამორცხვის გამო, იმის შიშის გამო, რომ სან-
ტიმენტალური გამოჩნდება და „ბრიყვად გასაღ-
დება“, იგი — უდროს დროს რომანტიკოსი —
სინაზეს მაღავს „ჭუსარის მოსასხამქვეშ“ —
როყიო უხამსობისა და ჭარისკაცული პირდა-
პირობის მიღმა. აქედან მოდის მისი ამდენი
მარცხი ქალებთან, მის მიერ საგულდაგულოდ
დაფარული, მაგრამ ბოლოს მეგობრების მიერ

მაინც გამუდვებული ხელის მოცარვა. არაფერს ისე არ ესწრაფვის სტენდალი დღენიადავ. როგორც სიუვარულში თვალსაჩინო გამარჯვებებს („სიუვარული ჩემთვის მუდამ უველაზე მნიშვნელოვანი, ამ უფრო სწორად, ერთადერთი საქმე იყო“). და არავის მიმართ, არც ერთი ფილოსოფოსის, არც ერთი პოეტის მიმართ, თვით ნაპოლეონის მიმართაც კი ისეთ ვულნერაბელ პატივისცემას არ იჩენს, როგორსაც თავისი ბიძის — ვანონის მიმართ ანდა თავისი ბიძაშვილის — მარხილ დარჩუსი მიმართ, რომელთაც ქალები სწულაობდნენ, თუმცა რაიმე ფსიქოლოგიურ ხერხებს არ იყენებდნენ — ანდა, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც, რადგან სტენდალი თანდათანობით იმ დასკვნამდე მიდის, რომ რაც უფრო მოვერცევა გრძნობა, მით უფრო ვერ განმარჯვებ ქალთან: „ქალთან წარმატებას მხოლოდ მაშინ შეიძლება მიადწიო, როდესაც მის დასაბურობად იმაზე მეტად არ იწუხებ თავს, ვიდრე ერთი ხელი ბილიარდის მოგებისთვისაა საჭირო“, — არწმუნებს თავის თავს ბოლოს. ამრიგად, მისი აზრით, აქაც ბრალი მაყუდვას მის შემგრძნობიარე სულიერ წყობას, გრძნობის სიჭარბეს, რომელიც ძალას აცლია ამ დროს საჭირო შემართებას („მე ერთობ მგრძნობიარე ვარ, რომ ლოველასის ნიჭი გამაჩნდეს“). მას ერთობ ფაქიზად ორგანიზებულად მიაჩნია თავი, როგორც საერთოდ ყოველგვარი პრაქტიკული წარმატებისათვის, ისევე კერძოდ იმისათვის, რომ ქალების მუხუხად გამოდგეს, თუმცა ასეთად უოფნას ათასჯერ უფრო ინატრიდა, ვიდრე მწერად, ხელოვან, დიპლომატ სტენდალად უოფნას.

თავის არასრულფასოვან დონუჟანობაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა სტენდალს. ამდენს და ასე დაძაბულად იგი არც ერთ სხვ. პრობლემას არ ჩააკირკიტებდა. სწორედ მის ამ ნერვულ, ეჭვნულ, ანატომიურ თვითდაკვირვებას — ეროსის მიერ აღბრუნებს — უნდა უშაღლოდეს იგი (და მასთან ერთად ჩვენც) შეგრძნებათა უსათუთეს ბოქკოვებში ესოდენ ღრმად შეღწევას. თვითონ მყვება, რომ არაფერმა ისე არ შეუწყუო ხელი ფსიქოლოგიად ჩამოყალიბებაში, როგორც მარცხიანმა სატრფიალო თავგადასავლებმა, გამარჯვებების სიმცირემ (სულ ექვსმა თუ შვიდს ითვლის იგი, თანაც უმთავრესად სხვების მიერ უცვც მრავალგზის აღებულ სიმადგრეებს ანდა ნებაყოფლობით ფარ შამლის დამურელ სათნოების განსახიერებებს); მას რომ სხვებივით სიუვარულში იღბალი ქკონოდა, არ დასტირდებოდა ქალის ფსიქიკაზე, მას უნაზეს და უფაქიზეს გამოვლენებზე ასე დაჟინებით

დაკვირვება; ქალებზე ისწავლა სტენდალმა თავისი ხულის შემოწმება, აქაც რადრულში უოფნამ მეთვალყურე უბადლო მკოდნედ აქცია.

ასეთმა სისტემატურმა თვითდაკვირვებამ სტენდალი უჩვეულოდ ეჭვნულ მდგომარეობაში თვითგამოსახვამდე, თუმცა კარგად უფლებს განსაკუთრებული, ძალზე თავისებური მიზეზიც აქვს: ამ კაცს, ყველაფერი რომ სურს იცოდეს თავის შესახებ, ხშირად თავი ავიწყდება ხოლმე. სტენდალს ცუდი ან, უკეთ რომ ვთქვათ, მეტად თავნება და ხუშტურიანი მეხსიერება აქვს; ყოველ შემთხვევაში, საიმედო არა და ამიტომ მისი პატრონი ფანქარს არ აცდებს ხელიდან. განუწყვეტლივ იწერს და იწერს შენიშვნებს წიგნის მიხედობზე, ცალკე ფურცლებზე, წერილებზე და უწინარეს ყოვლისა კი — დღიურში. შიში იმისა, რომ შეიძლება განცდილიდან რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი დაავიწყდეს და ამით მისი ცხოვრების (ამ ერთადერთი მხატვრული ნაწარმოების, რომელზედაც გეგმაზომიერად და ხანგრძლივად მუშაობს) თანმიმდევრობა დაირღვეს, აიძულებს, გრძნობის ყოველი აზვირთება, ყოველი მომხდარი ფაქტი იმწამსვე წერილობით აღწუხოს. გრაფინია კიურიალის ბარათს, ქვითინით დაწერილ, შემადრწუნებელ სატრფიალო ბარათს, იგი რეგისტრატორის საქმიანი გულქვაობით თარიღს აწერს, როდის დაიწყო და როდის დამთავრდა მათი ურთიერთობა; სხვაგან აღნიშნავს, როდის და საბედობრ რომელ საათზე მოიპოვა ანუელა პიეტრაგრუაზე ბოლოს და ბოლოს გამარჯვება, ასეთივე სიზუსტით აღწუხავს აგრეთვე თავის ყველაზე ინტიმურ სულიერ საიდუმლოებებს და იმასაც, რამდენი ფრანკი დაუჭდა სადილი, წიგნები ანდა მრეცხავი ქალი. ერთთავად ყველაფერს იწერს, ყველგან და ყველაფერს ინიშნავს; ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფიქრს მხოლოდ მაშინ იწყებდეს, როდესაც ხელში საწერ-კალამს იღებს. საბოლოო ჯამში, ამ ნერვულ გრაფომანიას უნდა ვუმაღლოდეთ იმ სამოცსა თუ სამოცდაათ ტომს (დღემდე მათი ნახევარიც არ არის გამოქვეყნებული), რომელშიც ბელეტრისტული, ეპისტოლური, ანეკდოტური და კიდევ, რაც რამ სხვა ფორმა არსებობს, იმითაც მოცემულია მისი ავტობიოგრაფიკი. პათივმოყვარეობამ ანდა თვითგამიშვლების ავადმყოფურმა მოთხოვნებამ კი არა, არამედ იმის ეგოისტურმა შიშმა წემოგვიანება არსებითად ესოდენ სრულად მწერლის ბიოგრაფია, რომ მისი მეხსიერების მეჩხერ საცერში თუნდაც ერთ წვეთს არ გაეფონა იმ განუმეორებელი სუბსტანციისა, რომელსაც სტენდალი ეწოდება.

მეხსიერების ეს თავისებურება, ისევე როგორც უოველივე, რაც მის პიროვნებას ახასიათებდა, სტენდალმა ნათელმზილველის გამჭვირახობით გააანალიზა, უწინარეს უოველისა ის აღგენს, რომ უაღრესად ეგოისტური მეხსიერება აქვს, ანუ გულგრილად ივიწყებს უოველივეს, რაც უშუალოდ სტენდალს არ შეეხება. განსაკუთრებ კი იყო მოსალოდნელი? („მე სულ ვერ ვიმახსოვრებ იმას, რაც არ მაინტერესებს“). რაც პირადად მას არ შეეხება, რაც ბასრი ნამსხვრევივით არ ერჭობა, შიგ გულში იქნება ეს თუ გულის პერანგში, ის მაშინვე უშუშდება და უკვალოდ ქრება, ნაქრილოზრევი არ რჩება, ამიტომ ის, რაც მის სულიერ ცხოვრებას არ შეეხო, ნაკლებად ამახსოვრდება, ავიწყდება რიცხვები, თარიღები, ამბები, ადგილები; უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამბების არც ერთი წვრილმანი არ რჩება მის მეხსიერებაში, არ იმახსოვრებს, როდის შეხვდა ამა თუ იმ ქალს ანდა მეგობარს (თუნდაც იგი ბაირონი ან როსინი იყო); ერთმანეთში ურევს მოგონებებს, ნებითაც და უნებლიეთაც უმატებს მათ შეთხზულ ამბებს, და თან არც ფიქრობს უარყოს ეს ნაკლი, პირობით, გულწრფელად აღიარებს მას: „მე პრეტენზია არა მაქვს სიპართლესე, თუ საქმე ჩემს გრძნობებს არ ეხება“ სტენდალი მხოლოდ და მხოლოდ თავის შეგრძნების ფარგლებში იძლევა ფაქტების უტყუარობის გარანტიას, თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში იგი ხაზგასმით აცხადებს, რომ „არ ეისკუდობს საგანთა რეალობის აღწერას, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმ შთაბეჭდილებას აღწერს, რაც მაშინ მიიღო“. ამაზე უკეთესი დამამტკიცებელი სიბუთი რაღა იქნება იმისა, რომ სტენდალისათვის ამბები თავისთავად კი არ არსებობენ, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მის სულს აღელვებენ. სამაგიეროდ ეს აბსოლუტურად ცალმხრივი გრძნობადი მეხსიერება შეუდარებელი სისწრაფითა და სიმძაფრით ჩააროვება ხოლნე, იგივე სტენდალი, რომელმაც დანამდვილებით არ იცის, ესაუბრა თუ არა ოდესმე ნაპოლეონს, ან მართლა ახსოვს დიდ სიქ ბერნარზე გადასვლა, თუ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ნანახი გრავიურა აგონდება, რომელზეც ომის ეს ეპიზოდი იყო გამოსახული, — იგივე სტენდალი ცხადზე უცხადესად გაიხსენებს ქალის წამიერ ეესტს, ხმის კილოს, ან მიხრამობრას, თუკი ამან ოდესმე შინაგანად აღელვა, თან დამახსოვრების უნარს საკუთრივ ფაქტის მნიშვნელობა კი არ განსაზღვრავს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაქტის მაერ აღძრული გრძნობა, ყველგან, სადაც გრძნობა არ მონაწილეობდა, მრუმე ბურუსი ჩამოწოლილა და

ხშირად მთელი წლებია ნოსლის ფენებით დაბურული, ხოლო რაც კიდევ უფრო უცნაურია: იქაც, სადაც შეგრძნება ერთობ მძაფრი იყო, სტენდალის მეხსიერება შეღახულია, უამრავქერ, და თანაც მისი ცხოვრების უფლები დამაბუდი წამების აღწერისას (აღბებზე გადქვლავ პარიზს გამგზავრება, სიყვარულის პირველი დამე) ივიერთსა და იმავეს იმეორებს: „უცვ ადარ მახსოვს, ერთობ მძაფრად განვიცდილი“. ემოციის სიჭარბე სტენდალთან ისე ამსხვრევს შთაბეჭდილებას ატომებად, როგორც აფეთქება — ხელყუმბარას; დამაქერებლად არ შეუძლია აღწეროს ის, რაც სულ არ განუცდილა და არც ის, რაც ერთობ ძლიერ განიცადა, ისევე როგორც მისი ცხოვრებისმოყვარეობა ანუ მეომადისაკენ მიმართული მზერა, მისი მეხსიერებაც ანუ წარსულისაკენ მიმართული მზერა მხოლოდ და მხოლოდ ინტიმური, სულიერი ცხოვრების დეტალებზეა გამახვილებული.

ამრიგად, სტენდალის ცნობიერებაში მოგონებათა კრისტალიზაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როდესაც მისი გულის ხოდაბუნები მელეფარე გრძნობებით ირწყვება, მაგრამ წალეკილი არ არის ქეშმარიტი ვნებათა დელვის ამობოქრებული დვართქაფით, გრძნობათა ამ არეალის მიღმა სტენდალის მეხსიერება (და ამასთანავე მისი ხელოვნებაც) უნაკლო არ არის: „მე მხოლოდ იმას ვიმახსოვრებ, რაც აღამიანის გამოსახვას შეეხება, სხვა დანარჩენი ჩემ მიღმა რჩება“. მხოლოდ ის შთაბეჭდილებანი უძლებენ სტენდალთან დროს, რომლებიც მისი სულის მძლავრი გამომძახილით არიან გაძლიერებულნი, ამიტომ ეს თავგამოდებული ეგოცენტრიკოსი საკუთარი ბიოგრაფიის თვალსაზრისითაც კი თვითმზილველად არ გამოდგება; მას, კაცმა რომ თქვას, არ შეუძლია თავისი თავი წარსულში გაიხსროს, მას მხოლოდ ძალუძს თავისი თავი წარსულში იგრძნოს. შემოვლითი გზით, მის სულში დარჩენილი ანარეკლის მეშვეობით — და, მაშასადამე, პირდაპირ არა, მნემოტექნიკის? მეშვეობით არა — აღადგენს იგი ამბავთა ფაქტიურ მსვლელობას, „იგი თხზავს თავის ცხოვრებას“, ნაცვლად იმისა, რომ გაიხსენოს, იგონებს, გუმანით აგნებს ფაქტებს, ასე რომ, მის ავტობიოგრაფიას რაღაც სცხია რომანისა, ხოლო მის რომანებს — ავტობიოგრაფიისა, ერთგანაც და მეორეგანაც სტენდალის ნაწარმოებები რომანტიკული რეალობაა.

ამიტომ სტენდალის მოგონებებში ზუსტი მუდამ მხოლოდ ცალკეული რამ იქნება, დეტალი; მისგან არ უნდა მოველოდეთ საკუთარი სამყაროს ისეთ სრულ გამოსახულებას, რო-

გორაც მოგვცა, მაგალითად, გოეთენ თავის „კოეზიასა და სინამდვილესი“, და ავტობიოგრაფიის როლში. ბუნებრივია, იგი ფრაგმენტია ისტორიად, იმპრესიონისტად მოგვეფიქრებინა, დღაური, ერთი დღის კომენტარი, სახელდახელო ჩანწერი იმისა, რამაც ერთბაშად ვაუფიქრა თავში — ვახლავთ ის ფორმა, რაც სტენდალს თან დაჰყვა მართლაც, ის თავის პორტრეტს იწვებს ცალკეული შემთხვევითი ქანახატები თა და შენიშვნებით იმ დღიურში, რომელსაც ათეული წლების მანძილზე უურადლებას არ აკლებს, და, რა თქმა უნდა, მხოლოდ პირადად მისთვის არის განკუთვნილი (ასეთი დღიური მხოლოდ იმისათვის იქმნება, ვინც მას წერს“), ოღონდ — ვინაიდან სტენდალს გაორებული უფროსი, შემოკლითი გზებისა და გათვლილებების გარეშე არსებობდა არ შეუძლია, რაც თავის თავად ურიგო რამ არც არის — ეს დღიურიც ორმაგი „მე“-ხათვის არის განკუთვნილი. სახელდობრ, ცალკე იმისათვის, ვინც წერს და ტკბება საკუთარი მეობით 1801 წელს, და ცალკე მუშაობა სტენდალისათვის, რომელსაც სურს თავისი ცხოვრება გადაუძლიოს და განუშარტოს (ეს დღიური არისთვისაა, თუ ის კიდევ ცოცხალი იქნება 1821 წ. მე ხუთჯერ არ მინდა მას დღევანდელ ანრაზე ვაცინების საბაბი მივცე“) იმთავითვე ღამობს თავისი თავი იმეოს, ამოხსნას, შეიმეცნოს და ამით ამადღუნს (ადაშიანთა წედომისა და აღედგინების ხელოვნებაში დაოსტატდენ“). ეს ღაუფებელი მისწრაფება ჭერ კიდევ ცხრაშეკა წლისას ააძულებს კონტრაული დაუწყისოს საკუთარ თავს, მომავალი, უფრო ქვიანი „მეს“ კონტრაული, „უფრო უნდობი ანრისა“, უფრო უზიხელი და გუბიცვა სტენდალისა, რომელსაც სურს წარუდგინოს ეს „ჩანაწერები, რომლებიც მისი ცხოვრების ისტორიას გამოადგებიან“, თითქოს ჭერაც სულ მალეად ახალუარდამ მართლაც უკვე იცის, რომ ერთხელაც იქნება და უკვე დაუგაცვებული გატაცებით დაუწყებს მებნას მახალებს თავისი ერთიანი ავტობიოგრაფიისათვის. აქ საქმე გვაქვს სტენდალის გენიის ერთ-ერთ საიდუმლოებრივ გამოვლენასთან — მის წინასწარმეტყველურ თვითმომზადებასთან, რათა იმად იქცეს, რადაც შემდგომ იქცა ერთობ ადრე, ჭერ კიდევ მაშინ, როდესაც არ უწყის, გამოხატვის რა ფორმას აირჩევს და რამე კონკრეტული ნაბაფიკრი არ გაჩნია, უველაზე მიზანშეწონილ საქმეს იწყებს, სახელდობრ, სულიერი ცხოვრების ცალკეული მომენტების ფიქსირებას, უველაზე ძვირფასი, უველაზე ცინცხალი შთაბეჭდილებების დაგროვებას მტკიცედ იცავს ერთხელ აღებული

გეზს და უველაფერს ინარჩუნებს, რაც ხელში უფარდება, ინიშნავს უველა ამ „petits faits vrais“, უველა წვრილმანს, დაკვარვებას სპეციებს, რომლებათაც იგი, თითქოს ქვიშის წარღვლება იყვნენ, შემდგომ, უკვე უმეტირებულად, გამოცდილებას ქვიშის საათზე უველაფერების მსვლელობას გაზომავს, ჭერჭერობით კი უნდა ჩაიწეროს, არ უნდა გამოჩნეს არც ერთი წვრილმანი შთაბეჭდილება, ცხელ-ცხელად უნდა მოახდინოს მათი ფიქსირება, ვიდრე ხელში ისე მოუსვენრად უფარობალებენ, როგორც შეპურობილ ჩიტს უფარობალებს გული ამ უნდა მისცეს მათ გაფრენისა და გაქრობის საშუალება, უველაფერს უნდა იქერდეს და ინახავდეს, მენსიერებას არ ენდობოდეს ამ დაუდევარ მდინარეს, რომელიც უველაფერს ნთქავს და ლეკავს! დაურიდებლად, როგორც მოაუდება, დაახვავოს ვეება ზანდუში უწყინარი, ჰავშუერი სათამაშოები გრძობიერებასა, ვინ იცის, იქნებ უკვე მოწიფულმა უველაზე უფრო სწორედ თავისი დამცხრალი გულის ამ ურიოზულა და ბანალური ძეგლებით გაინაროს, გენიოსის ინსტიქტი ააძულებს კაბუცს სააუფილაგულოდ შეაგროვოს და შეინახოს თავისი განცდების ეს პატარა, ელვისებური ჩანახატები; მოწიფული ვაკაცია, გამოცდილი ფსიქოლოგი, ამადღებული ხელოვანი მადლიერებით აღსავსე და საქმის ცოდნით მათგან შემდგომ თავისი სიქაბუყის ერთ დიად ტილოს შექმნის — ავტობიოგრაფიას, რომელსაც „ანრი ბრიულარს“ დაარქმევს — ზანში შესული მწერლის მიერ თავისი თავშეგობისათვის წარმტაც და რომანტიკულ თვალს გადავლებას.

ვინაიდან მხოლოდ გვიან, თავისი რომანებით გვიან იწყებს სტენდალი თავისი სიქაბუყის გაცოდლებას, მისთვის ხელახლა ხულისა ჩაბერვას ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, — მხოლოდ გვიან და წარსულთან ნელანქალიერი გამოთხოვების დირიკულ წამებში, რომში სან პეტროს იმ მონტკარიოს ეკლესიის კიბის საფინურზე ზის ზანში შესული კაცი და თავის ცხოვრებაზე ფიქრობს, კიდევ რიოდე თვეც და ორმოცდაათი წლის ვახდება: უკან დარჩა, სამუდამოდ უკან დარჩა ახალგაზრდობა და მასთან ერთად ქალებიცა და სიყვარულიც, დიდგადრო, როდესაც ალბათ უადგილო არ იქნება იკითხოს: — რა ვიყავ, რის წარმოვადგენდიო, წავიდა ის დრო, როდესაც გული თავის თავს იკვლევდა, რათა უფრო მძლავრად აძვრებულიყო, უფრო მზნელ და აღმაფრენიო შეგებებოდა თავგადასავლებს, ახლა დაღვა დრო, როდესაც უოველივე უნდა შეაჭამოს, ვანვლიო გზას გადახედოს, სულ წინ აღარ იყურებოდეს

გაურკვევლობაში და საღამოს, ელჩის მიერ გამართული წვეულებიდან მოწყენილი რომ დაბრუნდება (მოწყენილი იმიტომ, რომ ქალებს ვეღარ იპყრობს და გაუთავებელი მიეტმოუთაღლის), ახაზდებულია გადაწყვეტს: „უნდა ჩემი ცხოვრება აღწეროს! და როცა მოვითავებ, ორ-სამ წელიწადში, ალბათ ბოლოს და ბოლოს მეცოდინება, როგორი ვიყავ: მხარული თუ სევდიანი, მახვილგონიერი თუ ბრაყვი, მამაცი თუ მხდელი და უწინარეს ყოველისა კი — ბედნიერი თუ უბედური“. კაენინიანი ლტოლვით იყურება სიბერეში შესული სტენდალი უკან, ხურა თავისი არსებობის დედააზრს ჩახწვდეს და გადაწყვეტს, აღასრულოს ის, რაც ბიჭს გუმანით ესაბებოდა: სულ ერთიანად აღწეროს თავისი ცხოვრება, სრულყოფილად შეიცემოს თავი სრულყოფილი ავტობიოგრაფიის შექმნით.

სათქმელად იოლია, მაგრამ განხორციელება ძნელია ვინაიდან სტენდალმა განსჯა ამა „ანრი ბრიულარში“ (რომელსაც დაშინებულად წერს, რათა ათასი ჯურის ცნობისმოყვარეებმა იგი ვერ იცნონ) „უბრალოდ სიმართლე“ წეროს; მაგრამ რა ძნელია, — მან იცის ეს, — სიმართლის წერა, სიწრფელის შენარჩუნება, როდესაც საკუთარ თავზეა ლაპარაკი, პატრიოტობის მიერ დაგებული უამრავ მახეებს შორის გაძრომ-გამძრომა, მით უფრო, რომ ესოდენ არამდგრადი, ესოდენ თავნება მებსიერება დაქვს როგორ უნდა გაიკვირო გზა წარსულის პინდბუნდით მოცულ ლაბირინთში, როგორ უნდა გარჩიოს სინათლის ჭიატი ნამდვილი შეჭურბუსაგან, როგორ უნდა აარიდო თავი სიცრუეს, რომელიც სიმართლედ შენიღბული ჩასაურბულია გზის ყოველ მოსახვევში და არ გეშვება? მოდა, სტენდალი, ფსიქოლოგო, უაღბო ფულის მჭრელს — ერთობ მამებელი მებსიერებას რომ თავი არ გააცურებინოს — პირველი და, შესაძლოა, ერთადერთიც — ავნებს გენიალურ ხერხს, სახელდობრ, გაკრული სულით წერას, გადაკითხვის, ხელმეორედ მოფიქრების გარეშე („წესად გავიხადე არაფრისა არ შემსრცხვეს და არაფერი არ წავშაღო“). პირველი ჩანახატის უფრო ნდობას, როგორც უფრო წრფელია, „რომ არ იცრუოს პატრიოტობის გამო“, ერთი სიტყვით, სირცხვილისა და მორიდების ხელაღებით გადაღაბვას; სრულიად მოულოდნელად ათასი რამის აღიარებას, ვიდრე შინაგანი განსჯა, შინაგანი ცენზორი გონს მოვიდოდეს, არ უნდა აღროვოს ხელოვანს ნათქვამის სტილიზაცია და შენიღბვა! ფერმწერებით კი არ უნდა იმუშაოს, არამედ მომენტალისტი ფოტოგრაფივით! ესე იგი გრძნობის პირვანდელი აზვირთება მუდამ მისთვის ყვე-

ლაზე დამახასიათებელ მომენტში აღბეჭდოს, ვიდრე იგი ხელოვნურ თეატრალურ პოზას მიიღებდეს და კვლავად მიტრიალდებოდეს მჭვრეტელისაკენ. სტენდალი თავის მოგონებებს გაკვირვებით წერს, ხელის ვერტიკალურ და განმეორებით მართლაც არსებობს ნაწერს, სრულებით არ დაგიდევთ არც სტილი, არც მთლიანობას, არც რაიმე მეთოდზე დაშვარბულ პლასტიკას, თითქოს ყოველივე მხოლოდ მეგობრისთვის მიწერილი კერძო ბარათი იყოს: „მე ვწერ ამას და ვიმედოვნებ, რომ არ ვცრუობ და ილუზიებით არ ვიკვებები, ვწერ სიამოვნებით, როგორც მეგობარს წერილს“. ამ წინადადებაში ყოველი სიტყვა მნიშვნელოვანია: სტენდალი წერს თავის ავტობიოგრაფიას, „როგორც ის იმედოვნებს“, გულწრფელად, ისე რომ „ილუზიებით არ იკვებება“, „სიამოვნებით“ და „როგორც კერძო წერილს“, და თანაც: „რათა უან-უაკ რუსოსავით მხატვრულად არ იცრუოს“. გულწრფელობისათვის შევნიღბულად მოაქვს მსხვერპლად შემუშარების სილაამაზე, ფსიქოლოგიას ზვარაკად ეწირება ხელოვნება.

მართლაცდა, წმინდა მხატვრული თავისაზრისით „ანრი ბრიულარი“, ისევე როგორც მისი გაგრძელება, „ეგოტიკის მოგონებანი“, ხელოვნებისათვის საჭოჭმანო მონაპოვარს წარმოადგენს. საამისოდ ორივე ერთობ ნაჩქარევად, დაუდევრად და უსისტემოდ გაბლავთ გადღაბნილი. რაც რამ ეპიზოდი აგონდება სტენდალს, ელვის სისწრაფით წიგნში ტენის და არ დაგიდევთ, შეეფერება იგი იმ ადგილს თუ არა. ზუსტად ისევე, როგორც მის უბის წიგნაკებში, აქაც ამალღებული ზედაპირულთან მეზობლობს, განყენებული ზოგადი ადგილები — ყველაზე ინტიმურ პირადულ ამბებთან, და თავდავიწყებული ენაწყლიანობა ხშირად აბრკოლებს დრამატის მოზღვაგებას. მაგრამ სწორედ ეს ძალდაუტანებლობა, გულარხეინი თხრობა განაპირობებს გულწრფელობას, ისეთი რამეების აღიარებას, რომელთაგან ყოველი მათგანი, როგორც ფსიქოლოგიური დოკუმენტი, უფრო ძვირფასია, ვიდრე ზოგადი სქელტანიანი ტომი. ისეთი კატეგორიული აღიარებანი, როგორიცაა უბაღაღებული მონათხრობი დედოსადში საბიფათო ლტოლვის შესახებ, მაშის ცხოველური, სამკვდრო-სასიცოცხლო სიმულაციისა და, საერთოდ, ისეთი გრძნობების შესახებ, რომლებიც სხვებთან მხდლურად იმაღებანი ქვეცნობიერის კუნჭულებში და საამკაროზე გამოსვლას ვერ ბედავენ, ვიდრე ცენზორმათი ზედამხედველობის დრო აქვს: ეს ყოველად ინტიმური ამბები — სხვაფრივ ვერ იტყვი კაცო — კონტრბანდად გადადიან საზღვარს იმ

მომენტებში, როდესაც წინებრავი საფიზიკე შეგნებულად მოდუნებულა; მხოლოდ ამ გენიალური ფსიქოლოგიური სისტემის წყალობით — არ აცდომს ბოლშე თავის შეგონებებს „დამაზად“ მოიხრონ და „წინებრავად“ მოგაზმონ, ანდა კდემამოსილების ნიშნად სიწიოდის აღმური წაიხიანონ — იჭერს სტენდალი მათ სწორედ იმ წამში, როდესაც ისინი უფელაზე საჩოთირონი არიან. როდესაც ისინი სხვა ცამკვირვებლებს, უფრო მთუქნელებს, ზანტებს, წივილით გაურბიან: შიწვლები, პირწინდად დედომობილები და უტიფარნი, ანაზდრულად ვადააქვს ქალაქზე ეს დახაშაულის ადგილზე წასწრებული ცოდვები და რბროდული ამბები და პირველად უურის თვალს თვალში მათ ადამიანი (ვინაიდან ზოგიერთი წვრილმანი ამ გულმამაც თავგების დამჭერამდერა არავის გამთუტყუებია სამალავებიდან). რა უცნაური, ტრაგიკული და ველური შიშის, რა პირველყოფილი, დემონური რისხვის ქარტახილები ბობოქრობენ ბოლშე ამ პაწაწინა ბავშვის გულში! განა შეიძლება კაცს დაავიწუდეს სტენა, რომელშიც პატარა ანრი, ეს მარტოსული ბაღლი, „მუხლებზე ეცემა და ღმერთს მადლობას სწირავს“, როდესაც მისი საძულველი მამიდა სერაფი კვდება (ერთ-ერთი იმ ორა ეშმაკეულიდან, ჩემს საბრალო ბავშვობაში მოჩენილი რომ მყავდა“ — მეორე მამამისი იყო)? და იქვე გვერდით (რადგან სტენდალთან გრძნობები ასეა ერთმანეთში გადახლართულ-გადააჯარუდინებული, როგორც ლაბირინთის გზები) პატარა შენიშვნა, რომ თვით ამ ეშმაკეულმაც კი ერთი (ზუსტად აღწერილი) წამით ნაადრევი ეროტული გრძნობა აღუძრა, რა ქვესკნელივიო ღრმა-ღრევაა პირველყოფილი შეგონებების! რა რსტატობაა საჭირო, რომ ასე ამურდულ განცლებში ნათლად გაერკვე, და რა სითამამე, რომ ისინი ასე აშკარად აღიარონ! სტენდალამდე აღბათ არავას უგრძვნია, რა მოავალმავია ადამიანი, რა მჭიდროდ ეხებიან ერთმანეთს მისი ნერვების უკიდურეს დაბოლოებებთან უველაზე კონტრასტული, ურთიერთგამომრიცხველი მისწრაფებანი და ჭერაც დაუფრთხიანებელი ბავშვის სული უკვე როგორ მოიცავს თავის თავში უსაფრთხიანეს შრეებად, ფენა-ფენა, სინდაბლებსა და ამალლებულს, უბეშობასა და სინაზეს; სწორედ ამ სრულიად შემთხვევითია, თვითონ რომ არაფრად აგდებდა, ისეთი აღმოჩენებიდან უაღიბდება არსებითად მის ავტობიოგრაფიაში ანალიზური მეთოდი, სტენდალი პირველი ამბობს უარს თავისი მონოლითური საბის შექმნაზე, რასაც თვით უან-უაკ რუსოც კი ლაშო (ისეთ მიაშიტ ავტობორტრეტიკებზე, რომ

ადარაფერი ვთქვათ, როგორც კანანოვა იქო, რომლისთვისაც საკუთარი „შეწრის“ მხოლოდ უველაზე ხელშისაწვდომო, არამედ ერთადერთი ხელსაწყოც გაზღავთ ცხოვრების ვასაგებად), იგი ცხადლევ გრძნობს, ურთიერთშეგნება, როგორ შერეულ-შედენეულებს — ვერაქმნის მისი სულის მრავალი ფენა და, როგორც არქეოლოგი ლარნაკის ნამსხვრევის მიხედვით, ქვაზე წარწერის მიხედვით, ძველთაძველ აიფანტურ ეპოქებს წარმოადგენს, რომლებიც მოცემულ ფენაში მოქმედებდნენ. ისევე სტენდალიც ერთი ცოცქნა რამის აღქმით ადამიანის სულის უსასრულო საუფლოებს აღმოაჩენს, მის მბრუნებლებსა და მტარვალებს, მის ბრძოლებსა და კიდილს საკუთარ სულში ახდენს რა გათბრებს, აღადგენს რა საკუთარ თავს, იგი გზას უყვალავს ახალი თამამი აღმოჩენებისაკენ უოველ მიმდევარსა და მიმბაძველს. ნაკლებად თუ უოფილაოდესმე ერთი კაცის უბრალო ცნობისმოყვარეობა საკუთარი თავის მიმართ უფრო შემოქმედებითი და ცოდნის დაგროვების თვალსაზრისით უფრო ბარაქიანი, ვიდრე ეს დაუდევარი, მაგრამ თვითშეცნობის ქეშმარიტი გენიოსის მიერ ავტობორტრეტიკის შექმნის ცდა ვაზღავთ. ვინაიდან სწორედ ეს დაუდევრობა, ეს გულგრილობა ფორმისა და არქიტექტონიკის მიმართ, მომდევნო თაობებისა და ლიტერატურის მიმართ, მორალიზა და კრიტიკის მიმართ, დიდებულნი ანტიმურობა და საკუთარი პირფენებით ტვობა აქცევს „ანრი ბრიულარს“ უბადლო ფსიქოლოგიურ დოკუმენტად. თავის რომანიებში სტენდალს, ასე თუ ისე, მაინც სურდა ხელოვანი უოფილიყო, აქ კი მხოლოდ ადამიანია, ინდივიდუუმი, საკუთარი თავის მიმართ ცნობისმოყვარეობით გატაცებული. მისი ავტობორტრეტიკი ენით აუწერლად მომხიბვლელია და ფრაგმენტულია და იმპროვიზებულია სტიქიური გულწრფელობით აღსავსე. ეს ბოლომდე განუსაზღვრელობა, ეს დაუშთავრებლობა გენინახავს ცოცხლად მისი პიროვნების ილუმალ მომხიბლაობას. სტენდალს ბოლომდე ვერ შეიცნობ ვერც მისი რომანიებითა და ვერც ავტობიოგრაფიით. ერთთავად გრძნობ, რომ ისევე და ისევე გიტაცებს მისი ვამოცანის ამოხსნა. მეცნობისას გინდა კიდევ გაუგო და რასაც გაუგებ, ის გსურს მის შეცნობაში დაგებმაროს. ეს მაცდური სული სულ ახალ-ახალ თაობებს აძულეებს მასზე მოხინჯონ თავიანთი ძალა. ასე რომ, მისი ორქოფული, ხან მგზნებარე და ხანაც ცივი სული დღესაც ქმედითად იღვწის ცოცხალთა შორის, საკუთარი თავი გამახახიერა და ახალ თაობას თავისი ცნობისმოყვარეობა და სულის ნათელმხილველის ზედოვნება ჩაუ-

ნერვა: თავისი განუმეორებლობის ქეშპარიტმა დამფასებელმა და სიურმიდანვე დაუცხრომელმა თაყვანისმცემელმა ჩვენ უველას გვასწავლა თვით-

დაკვირვებითა და თვითშესწავლით გულის გახარება და გაციხროვნება.



სტენდალი დღეს

„Je serai compris vers 1900“.

„მე 1900 წელს გამოგებენ“.

სტენდალი მთელ საუკუნეს გადმოკვლია — მეცხრამეტე საუკუნეს, მან სტარტი აიღო მეცხრამეტე საუკუნეში, დიდროსა და ვოლტერის უხეში მატერიალიზმის პერიოდში და პარლავი ჩვენს ფსიქოლოგიისა და აწ უკვე მეცნიერებად ქცეული ფსიქოლოგიის ეპოქაში დაეშვა. როგორც ნიცშე ამბობს, „ორი თაობა შეიქმნა საჭირო, რომ მას როგორმე დასწეოდნენ, ზოგი გამოცანა მაინც ამოეხსნათ, რომლებითაც ის იყო გატაცებული“. საოცრად ცოტა რამ არის მის თხზულებებში მოძველებული და გაყინული. საგრძნობი ნაწილი მის მიერ ეხოდენ ადრე მინიშნებული აღმოჩენებიდან უკვე კარგა ხანია საყოველთაო საკუთრებად იქცა. ხოლო ზოგი რამ, რასაც ის წინახწარმეტყველებდა, ახლაც ხდება. თანამედროვეთა შორის დიდხანს უკან მდგომმა ბოლოს უველას წინ გადაუხწრო, გარდა ბალზაკისა, ვინაიდან რა ანტიპოდურადაც უნდა უპირისპირდებოდნენ ისინი ურთიერთს თავიანთი შემოქმედებით მხოლოდ ამ ორმა, ბალზაკმა და სტენდალმა, შექმნა ეპოქას სახე, რომელიც თვით ამ ეპოქაზე დღევანდელი აღმოჩნდა: ბალზაკმა საზოგადოების ფენებად დაყოფისა და ამ ფენების შერევის, ფულის სოციალური ყოვლისშემძლეობისა და პოლიტიკის მამოძრავებელი მექანიზმის ჩვენებით, ყოველივე ამის იმდროინდელ ვითარებასთან შედარებით უსაშველოდ გაზვიადებულად გამოსახვით; ხოლო სტენდალმა კი „ფსიქოლოგიის გამჭრიახი თვალთა და ფაქტებში ჩაწვდომის უნარით“ ცალკეული ადამიანი ასო-ასო აქნა და მასში უამრავი ნიუანსი აღმოაჩინა. საზოგადოების განვითარებამ დაადასტურა ბალზაკის სიმართლე, ხოლო ახალმა ფსიქოლოგიამ — სტენდალისა, რადგან მათი საწყაოები მაშინ თუ ერთობ გადაქარბებულად ანდა ერთობ დიფერენცირებულებად ეჩვენებოდათ, დღევანდელი ადამიანისა და დღევანდელი საზოგადოებისათვის შედგამოჭრილნი არაა. ბალზაკის მსოფლმხედველობამ თანადროული ეპოქა იწინასწარმეტყველა. სტენდალის ინტუიციამ კი — თანამედროვე ადამიანი.

დღევანდელი ადამიანები, უფრო გარდაუღლი თვითგანჭვრეტაში, უფრო განსწავლულნი ფსიქოლოგიაში, უფრო ხალისიანი თვითშეგნებისა და უფრო თავისუფალი მოჩაღას მქონენი, უფრო ნერვიულები, უფრო ცნობასმოყვარენი საკუთარი თავის მიმართ, შემეცნების ათასგვარი ცივი თეორიებისაგან დაღლილნი და მხოლოდ საკუთარი სისხლის შეცნობას მოწყურებულნი. ჩვენთვის დიფერენცირებული ადამიანი უკვე უჩინელი აღარ არის. საგანგებო შემთხვევა აღარ არის, როგორც ადრე გრძნობდა თავს რომანტიკოსებს შორის მართლმართო მოხვედრილი სტენდალი: მეცნიერების ახალმა დარგებმა — ფსიქოლოგიამ და ფსიქონალიზმა — მას შემდეგ უამრავი უნატიფესი ხელსაწყოთი შეგვაიარაღეს საიდუმლოებისათვის შუქის მოსაფენად და დახვლანჭულის ამოსახსნელად. მაგრამ რა ბევრი რამ უწყობდა, აწ ჩვენც რომ ვუწყით, ამ ჭერ კიდევ საფიქტო დილიჟანსების ეპოქაში მცხოვრებმა და ნაპოლეონისდროინდელ მუნდირში გამოწყობილმა „საოცრად მისწერი გუმანის კაცმა“ (ასე იხსენიებს მას მეორედ ნიცშე) მისი ანტიდოგმატიზმი, მისი ნაადრევი ევროპეიზმი, შიშდი სამყაროს მექანიზტური და მშრალი ვაგებისა; სიძულვილი ყოველგვარი ზარზეიმა და მასობრივი საგმირო საქმეებისა განა ჩვენს სათქმელსაც არ ამბობს? რა სამართლიანი ჩანს მისა აშკარად ქედმაღლური დამოკიდებულება ეპოქის სანტიმენტალურ გულაჩუეებულობასთან. რა კარგად განსაზღვრა, როდის დარეკა მისი საათა ჩვენს საუკუნეში! აურაცხელია ის გზები და ბილიკები, რომლებიც თავისი განუენებული კვლევადიებით გადაუშალა ჩვენს ლიტერატურას: დოსტოვესკის რასკოლნიკოვი წარმოუდგენელი იქნებოდა მისი თიულიენის გარეშე, ტოლსტოისეული ბოროდინოს ბრძოლა — ისეთი კლასიკური მისაბაძი მაგალითის ვარეშე, როგორიცაა სტენდალის მიერ დახატული ვატერლოოს ბრძოლის პირველი მართალი სურათი, და იშვიათად თუ ვინმეს ისე გადაუხალისებია ხოლმე ნიცშეს ბობოქარი აზროვნების ენი. როგორც სტენდალის ცალკეულ გამო-

ნათქვამებსა თუ მთელ თხზულებებს. ასე მოვიდნენ ბოლოს მასთან ეს „მონათესავე სულები“, ეს „უზენაესი არსებები“, რომელთაც მთელი სიცოცხლე ამაოდ ეძებდა; ვცაიან შექენილმა სამშობლომ, ერთადერთმა, მისი მსოფლიო მოქალაქის თავისუფალი სული რომ აღიარებდა, სახელდობრ, „ერთობლიობამ იმ აღამიანთა, რომლებიც მას მგვანან“, საბუდამოდ მიანიჭა მოქალაქეობის უფლება და მოქალაქის გვირგვინითაც შეამკო. ვინაიდან მისი თაობიდან არავინ, გარდა ბალზაკისა, — ერთადერთისა. ვინც მას ძმურად მიესალმა, — დღეს ასე თანამედროვესავით ახლოს არა დგას ჩვენთან თავისი გრძნობითა და გონებით. ბეკდვითი სიტყვა, ქალაღის ცივი ფურცლები ფსიქოლოგიური მედიუმის მაგივრობას სწევენ და

ჩვენ წინაშე ცოცხლდება მისი ხატება, ასე ახლობელი და ნაცნობი, თუმცა ეს ბილომდე შეუცნობი. მიუხედავად იმისა, რომ მისებრი იშვიათად თუ ვინმეს შეუცვნია საკუთარი თავი, — უკიდურესობათა შორის მოქცეული საიდუმლოებრივი ფერებით გამოხატული და მაინც საიდუმლოთა შემცველი, თავის თავში დასრულებული და მაინც უსრულო, მარად ცოცხალი. ცოცხალი, ცოცხალი. ვინაიდან სწორედ საკუთარი ეპოქიდან განდგომილთ აყენებს მომდევნო ეპოქა ყველაზე უფრო მეტი ხალისით თავის შუაგულში. სწორედ სულის უფაქიზესი თრთოლა წარმოშობს ყველაზე შორს მსრბოლაც ტალღებს.

შენიშვნები:

31. როგორც ანტონიო... ტასოს — გოეთეს პოეტური დრამა „ტორკვატო ტასოს“ (1790 წ.) მთავარი მოქმედი პირნი: იტალიური რენესანსის მიწურულის ბრწყინვალე პოეტი ტასო (1544-1595) და მისი მოშუღლე ინტრიგანი კარისკაცი ანტონიო, პერტოგ დ'ესტეს მრჩეველი.

32. „დროის მაღიდა“ — კინოგადაღების დაჩქარებული მეთოდი, სწრაფ მოძრაობას შენელებულად აჩვენებს ეკრანზე.

33. «roman expérimental» — „ექსპერიმენტული რომანი“. ემილ ზოლას (1840-1902) კრიტიკული სტატიების ამ კრებულში (1880 წ.) ჩამოყალიბებულია ნატურალიზმის თეორია. მწერალი ამტკიცებს, რომ პერსონაჟთა ფსიქოლოგიის ანალიზი უნდა წარმოებდეს მეცნიერულად, ექსპერიმენტულ-ბიოლოგიური მეთოდებით.

34. ჰანური — ჰანს — არკადიელთა ტყეებისა და ჭალების დვთაებას — ზოგჯერ (მისტიკოსების შრომებში) ერთიანი სამყაროს სიმბოლოდაც მიიჩნევენ.

35. ჰუმბოლტი, ალექსანდერ ფრაიბერ ფონ (1769-1859) — ბერლინის უნივერსიტეტის დამაარსებელ ვილჰელმ ჰუმბოლტის ძმა — უნივერსალური მეცნიერი, მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევის ავტორი, საფუძველი ჩაუყარა ენოველთა და მეცნარეთა გეოგრაფიას, კლიმატოლოგიას, ვულკანიზმისა და სხვა გეოთერმულ მოვლენათა შესწავლას, ქვეყნების თანადროულ მეცნიერულ აღწერას. ბევრს მოგზაურობდა. მის მიერ მოწყობილი ექსპედიციების დიფენგვის, განხორციელებისა და მონაცემთა შეჯამება ინტერპრეტაციის დონე დღესაც სანიმუშოდ ითვლება. მისი უმთავრესი ნაშრომია „კოსმოსი, სამყაროს ფიზიკური აღწერის ესკიზი“ (5 ტმ).

36. პროკრუსტეს საწოლზე — პროკრუსტე (ძველბერძნულად — გამჭიმავი, გამწელაეი) — ვაზაკ დამასტოსის მეტსახელი; პროკრუსტე შეპყრობილ მგზავრებს საგანგებო საწოლზე აწვენდა და თუ მისი მსხვერპლი უფრო გრძელი აღმოჩნდებოდა, ზედმეტს წააკრიდა, ხოლო თუ მოკლე — საწოლის სიგრძესთან გათანაბრებამდე ჭიმადა.

37. ჰარუსპექსივით — ჰარუსპექსები ქურუმები იყვნენ ძველ რომში, რომლებიც მსხვერპლად შეწირული პირუტყვის შიგნეულზე მკითხაობდნენ.

38. პარაფრაზირება — გადმოცემა, დამუშავება სხვისი (მუსიკალური) თემისა დამოუკიდებელი ვარიაციებითა და სამკაულებით.

39. ტენი, იპოლიტ ადოლფ (1828-1893) — ფრანგი ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი, მწერალი და ისტორიკოსი. ტენის მიხედვით, ხელოვნების ხასიათს და მის განვითარებას განსაზღვრავს ტრიადა: „რასა“ (ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი ნიშნები), „გარემო“ (გეოგრაფიული და კლიმატური პირობები) და „მომენტი“ (კონკრეტული ისტორიული ეპოქა).

40. პასკალის, შამფორის, ლაროშფუკოს, ვოვენარგის მოწაფე პასკალი, ბლემ (1623-1662) — ცნობილი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ფიზიკოსი, ცვაიგს მხედველობაში აქვს მისი „აზრები“, რომელიც დამთავრებული არ არის, აფორისტული მონახაზები და ჩანაწერებია მყოფადი წიგნისათვის (იგი მისი სიკვდილის შემდგომ (1669 წ.) გამოიცა სათაურით: „პასკალის აზრები რელიგიასა და ზოგ სხვა რამ საგანზე“; შამფორი, ნიკოლა სებასტიან ჯოე (1741-1794) — ფრანგი მწერალი, ავტორი სატირული წიგნისა: „მაქსიმები და აზრები, ხასიათები და ანექდოტები“; ლაროშფუკო, ფრანსუა დე (1612-1681) — ფრანგი მწერალი-მორალისტი, აფორისტული სტილის ოსტატი, მისი უმთავრესი თხზულებებია: „ფიქრები ანუ სენტენციები და მაქსიმები“ (1645 წ.); ვოვენარგი, ლიუკ დე კლაპიე (1715-1747) — ფრანგი მწერალი, ცელთვნის წიგნი „მაქსიმები“.

41. მარსიალ დარიუ (1774-1827) — პიერ დარიუს ძმა, ფრანგთა მიერ ოკუპირებულ კვეყნებში მუშაობდა სამხედრო ადმინისტრაციულ თანამდებობებზე.

42. მნემოტექნიკა — წესებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელიც დამახსოვრების გაიოლებას ემსახურება (გონებაში ასოციაციების ხელოვნური შექმნათ).

43. ამ გულმამაც თავგების დამკვირამდე — ცვაიგს აქ მხედველობაში აქვს ძველი გერმანული თქმულება თავგების დამკვირზე, რომელმაც ქ. ჰამელნიდან მთელი თავგები გაიტყუა „დგილობრივ მკვიდრთა თხოვნით, მაგრამ როდესაც მცხოვრებლებმა პირობა არ შეასრულეს, უკან დაბრუნდა და იმავე ხერხით ასლა ბავშვები გაიტყუა ქალაქიდან.



სოკრატე

ბრიგოლ წერათლის ნათელ ხსოვნას

მეც წლის (ძვ. წ. ა.) თარგელიონის (აწინდელი მაის-ივნისის) მზიანი დილა თენდება ათენში, მცხუნვარე ატიკური ზაფხულის დილა. ნამძინარევი მთები ზანტი ზმორებით იცილებენ ნისლის ზეწარს და ახლად ამოწვერილი მზის სხივებით ივარცხნიან შრიალა ტყეებით აქოჩრილ თხემს. ნელა მოღელავს მოღუდუნე ილისი (შუადღის ხვატში ნამდვილი ნეტარებაა მის გრილ ტალღებში ფეხშიშველა ტყაუნი), მაცოცხლებელ ცვარ-ნამს აკურებს ხახასა მდელოს და ტალღებიდან მონაბერი ცელქი სიო სიცილით კოცნის ტუის ნიმფებისა და აქელოეს წმინდა ჭალაკს. მარადმწვანე სუროს ფოთლებსა თუ ვარდნარის ბარდებში მიმალული ბუღბუღების მთელი ლაშქარი თავდავიწყებული სტვენით აურუებს არემარეს (მაღე მახ აბეზარი კრიჭინების გულისწამლები კრიჭინი შეცვლის), მთის კალთებზე ვნების სახმილით ბორგავს აღტკინებული ბაქანტების ასაბიით გარშემორტყმული დიონისე და წინა დამით გაღეშილი სილენი დამაყრუებელი ხარხარით აფეთებს ილისისა და კეფისის ტალღებში მონებიერე ნიმფების გუნდს.

უჩვეულო ჩოჩქოლია ათენის ქუჩებში, საზეიმოდ მორთულ-მოკაშული. მოზიმშიმე ბრბო მოხდებია ქალაქის მოედნებს, ფოლორცებს, შუკებს. მოდიან ქურუმები და მხედართმთავრები, დემოკრატები და არისტოკრატები, ფილოსოფოსები და სოფისტები, პოეტები და მხატვრები, მოდიან ვაქრები და ხელოსნები. მონები და ჰეტერები. მოიგრაგნება ქალაქის ქუჩებში ათასხმიანი და ათასხაზოვანი ბრბო. ეველას ერთი განწყობა დაუფლებია, ეველას ერთი გზა უძევს. დღეს წარმოდგენაა, გრან-

დიოზული სპექტაკლი, არნახული სანახაობა, არნახული — თვით უოვლისმომსწრე და უოვლისმხილველი ათენელი მაყურებლისთვისაც კი. და მართლაც, რა არ უნახავს მას: ესქილესა და სოფოკლეს, აგათონისა და ევრიპიდეს ტრაგედიები; კრატესისა და ევპოლიდეს, ფრინიქესა და არისტოფანეს კომედიები. მაგრამ დღევანდელი დრამა სულ სხვაა, დღევანდელი დრამატურგიც სულ სხვაგვარი ინტერესის საგანი გახლავთ. მისი სახელია „კობიოს“ — „ცხოვრება“; ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე და ა. შ. და ა. შ. ამ უებრო ტრაგიკომიკოსის მეტ-ნაკლებად ნიჭიერი მოწაფეები არიან მხოლოდ და მხოლოდ.

დღევანდელ სპექტაკლში ოთხი მთავარი გმირი მონაწილეობს: სამი — ბრალმდებელი, ერთი — ბრალდებული. აქვეა ქოროც, მაგრამ მისი წევრები ქორეგტები კი არ არიან, არამედ ჰელიასტები — ნაფიცო მსაჯულები. ჰელიასტების ქორო ხუთასი კაცისაგან შედგება. ბევრია, არა? ნუ გაგიკვირდებათ: ეს ათენელ ნაფიც მსაჯულთა მხოლოდ ერთი მეთაურია — ერთი კოლეგია, ერთი პალატა, ე. წ. „დიკასტერია“ (ქალაქი, სადაც დაახლოებით ასორმოდღაათი ათასი კაცი ცხოვრობს, უოველწლიურად ხუთი ათას მსაჯულს ირჩევს; გეგონებათ, ათენელებს უველა სხვა საქმე დაღვეიათ, ერთმანეთის გასამართლების გარდა... არც ესაა გასაკვირველი: ათენის დემოკრატია, არსებითად, კოლექტიური ტირანიაა და არა დემოკრატია, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით). ქორეგტებისაგან განსხვავებით, ჰელიასტები ძალზე იშვიათად თუ ერევიან მოქმედების მსვლელობაში და მხოლოდ წარმოდგენის დასასრულს წარმოთქვამენ თავიანთ საბოლოო სიტყვას — განაჩენს. დღევანდელ სპექტაკლზე დასწრება უფასოა, თეატრის მისამართიც სხვაა: სეირს მოწყურებული ბრბო აკროპოლისის სამხრეთ-აღმოსავლეთით — დიონისეს

1 ზაფხულის დილისა და ათენის სანახების აღწერა თითქმის სიტყვა-სიტყვით რეპროდუცირებულია პლატონის დიალოგებისა და ბერძენ ტრაგიკოსთა ქმნილებების მიხედვით.

„დიდი თეატრიდან“ კი არ ნიშნავთ, რამე
მედიცინული ან ანთი-ბიოლოგიური
არამედ აკროპოლიის სამხრეთ-დასავლეთით,
ე. წ. „გორასაკენ“, სადაც მდებარეობს სა-
მსჯავრო („დიკასტრიონი“) და სადაც ქალაქმა
უნდა გასამართლოს ის, ვინც დღემდე თვით-
ონ ასამართლებდა ქალაქს.

თ. დიკასტრიონი: ბრბო ვაფთრებით აწ-
უდებდა სამსჯავროს ქარს, რა თქმა უნდა, მხო-
ლოდ მცირე ნაწილი ახერხებს დარბაზში შე-
ქრას და ადგალებზე მოკალათებას. შემდეგ
თავიანთი კორიფს — მეფე-არქონტის შე-
თაურობით დარბაზში შემოდინა და დამსწრე-
თაგან ხის მოაჩირთ გამოყოფილ მაღალ
სტენაზე რიგრიგობით სხდებიან მელიასტები.
მათ წინ, მარმარალოს შავიდაზე დგას პატარა
ურნა („კადისკოს“), რომელშიაც საქმის გარ-
ჩვეის შემდეგ მელიასტები სათითაოდ ადგებ-
ენ კენჭს, კენჭისურა ფარულია. თეთრი კენ-
ჭი („პსეფოს ლეუკე“) ამართლებს ბრალდებ-
ულს. შავი კი („პსეფოს მელანია“), პირიქით,
ამტყუნებს მას (თუ თეთრი კენჭების რიცხ-
ვი შავებზე მეტი აღმოჩნდა, ბრალდებული გა-
მართლებულად ითვლება). მოკლე ლოცვის
შემდეგ კოლეგიის მდივანი მღვდვარებისაგან
ჩაბღეჩილი ხმით კითხულობს ბრალდების
ტექსტს, რომელმაც უცვლელად, სიტყვა-სიტ-
ყვით მოაღწია ჩვენს ღრმბდე: „ეს დაწერა
და ფიცით დაადასტურა მელეტოსმა, მელე-
ტოსის ძემ, პიტთისებელმა, სოკრატეს, სოფ-
რონისკეს ძის, ალოპეკელის წინააღმდეგ სო-
კრატე მკრუხელობს, ვინაიდან არ აღიარებს
ქალაქის ღმერთებს, ვინაიდან შემოჭყავს ახ-
ალი ღვთაებები და ვინაიდან რყვნის ახალგა-
ზრდობას. სასჯელი: სიკვდილი“.

ურთ გუგუნი ფრუანტელივით უვლის აქამ-
დე ხუნთქვაშეკრულსა და ხულგანაბულ დარ-
ბაზს. მდივანი ხელის აწევით აწუნარებს ფე-
ნიასებულ ბრბოს და სიტყვას აძლევს ოფიცია-
ლურ ბრალდებლებს („კათეგორი“), რე-
გლამენტი წულის საათით („კლეპსიდრა“) არ-
ის განსაზღვრული. კათედრაზე („ბემა“) ერ-
თმანეთს ცვლიან მელეტოსი, მელეტოსის ძე,
ხელმოცარული ტრაგიკოსი პოეტი, რომელ-
საც უნიკობა თითქოს მემკვიდრეობით ზედა
წილად მამამისისგან, მასავით უბადრუკი ტრა-
გიკოსი პოეტისაგან (საცა სამართალია, მკრე-
ხელობისათვის სოკრატეს კი არ უნდა ასამარ-
თლებდნენ, არამედ — მელეტოსს, ვისი მთე-
ლი შემოქმედებაც სხვა არა არის რა, თუ არა
ტრაგიკული პოეზიის მუზის — მელპომენეს
უხამსი გამობა); ანიტოსი, ანთემიონის ძე, მდი-
დარი ათენელი მოქალაქე, სადაბალო სახელო-
სნობის მფლობელი, თრასიბულუსა და არქი-

ნესთან ერთად ათენის დემოკრატიის ერთ-
ერთი ბელადი, რომელმაც დემოკრატია და
დემოკრატიაც პირადი განზიდებისა და
გამდიდრებისათვის სჭირდება მხოლოდ (მარ-
თალია, მთავარი ბრალმდებელი ფორმა-
ლურად მელეტოსის შემოქმედებამოლოდ
მკედით სამართი თოჯინაა, და ამ მკე-
დის ბოლო ანიტოსს უპყრია ხელთ); მათ
მხარს უმშვენივს ენაბრგვნილი რიტორი ლაქ-
ონი. ცნობისმოყვარე ბრბო ხარბად ისრუტ-
ავს ბრალმდებელთა თვითველ სიტყვას. ის-
ინი ხომ საგანგებოდ ეშხადებოდნენ დღევან-
დელი დღისათვის: დიდხანს თითხნიდნენ თა-
ვიანთ ბრალდებას, გულმოდგინედ აკოწიწებ-
დნენ მის უოველ მუხლს, ასწორებდნენ ზვე-
წდნენ, მართავდნენ. საბოლოო ტექსტს თა-
ვისი „მადლიანი“ კალამი გაბერეს ლოგოგრა-
ფოსებმა, ე. წ. „სასამართლო სიტყვების“
(„ლოგოი დიკანიკოი“) დაქირავებულმა მოხზვე-
ლებმა.

მთელს დარბაზში მხოლოდ ერთი, ერთადერ-
თი კაცი არ უსმენს ბრალმდებლებს, თუმცადა
დაუფარავი ინტერესით მახჩერებია მათ. ეს
კაცი, რომელსაც ათენის დემოკრატია ასამარ-
თლებს არა მარტო როგორც მკრუხელს, არ-
ამედ როგორც არისტოკრატიული რეჟიმის
მომხრესაც, — უყანასკნელ მონაწედაც უარეს-
ად არის ჩაცმული. დახეული ქიტონი ძლივს
უფარავს ზორბა სხეულს და ზემოდანაც აავემ
დახეული, შავრამ ხუფთა მოსასხამი („ჰიმნატი-
ონი“) აქვს მოსხმული. არც მის ჩაცმულობა-
ში და არც გარეგნობაში არაფერია არისტო-
კრატიული. დიდი, მელიტი თავი; მოკლე, მო-
რგვივით მსხვილი კისერი; ვეებერთელა, მუხ-
ის კორწოვით მკვრივი მუჭეკა შუბლზე; პა-
ტუა ცხვირი; ხარის თვალვით გადმოყარკლუ-
ლი, დიდი, კრიალა, სევდიანი თვალები; ძარ-
ღვიანი, ხმელი ხელები; ზამთარ-ზაფხულ, და-
რსა თუ ავღარში, სიპ უინულსა თუ თაკარა
მზით გადახრუკულ მიწაზე უხამლოდ სიარუ-
ლისაგან დაშაშრული, თავისი ძველი ქოხის
საძირკველივით დამსკდარი ფეხები, რომლებ-
საც იშვიათად თუ ღირსებიათ ფეხსაცმელი.

2 სასამართლო პროცესის შესახებ იხ. პოლ-
გარო, ძველი ბერძნების კერძო და საზოგადო-
ებოერება, მ. 1913, გვ. 330-349; ფ. ლიუბკე-
რი, კლასიკური სიძველეთა რეალური ლექსი-
კონი, 1-3-ბ-მ., 1888, გვ. 1172-1176. ქსენო-
ფონტი, „სოკრატეს აპოლოგია“; პლატონი,
„სოკრატეს აპოლოგია“; დიოგენე ლაერტიელი,
II, 38-42; ქსენოფონტი, „მოგონებები სოკრა-
ტეზე“, I, 1, 17, 2, 1-63.

არისტოკრატისა რა მოგახსენოთ და, ის ზედმიწევნით წააგავს მოქანდაკეთა სახელოსნოებში გამოფენილ სილენებს, რომლებსაც დემიურგოსნი სირინგებს ან ფლეიტებს აქერინებენ ხელში“; მაგრამ ღარბაზში მყოფთაგან ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ „საკმარისია სულში ჩახედოთ ამ სილენს და ღვთაებათა ხატებს იხილავთ შიგნით“...³ კაცი მოხუცია. თავისი სამოცდაათწლიანი სიცოცხლის მანძილზე ის პირველადაა სასამართლო პროცესზე როგორც ბრალდებული; პირველად და უკანასკნელად, რადგან ამ პროცესზე მას მიესაჯა ხასჭელის უმალღესი ზომა — სიკვდილი, რომელიც მალე სისრულეში იქნა მოყვანილი. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უსამართლო მსჯავრი, მაგრამ ბრალდებული ჩვეული სიმშვიდით და აუმღვრევლობით შეხვდა განაჩენს. „ჩემთვის ყველაზე ძნელი ასატანი ისაა, რომ უსამართლოდ მოგისაჯეს სიკვდილი“, — უთქვამს განაჩენის მოხმენის შემდეგ აპოლოდორეს, მის ერთ-ერთ უფროსულეს მოწაფეს. „ნუთუ შენ გერჩია, ჩემო ძვირფასო აპოლოდორე, რომ სამართლიანად მოესაჯათო?“ — ასეთი იყო მსჯავრდადებულის პასუხი, რასაც მან გულიანი სიცილიც თან მოაყოლა თურმე⁴.

ვინ იყო ეს კაცი, არა მარტო „სოკრატეს აპოლოგიის“, არამედ პლატონის ყველა დიალოგის („კანონების“ გამოკლებით) მთავარი გმირი? რა შესცოდა ათენისა და ათენელების წინაშე? რატომ გაასამართლეს, ან რად მიუსაჯეს სიკვდილი? რატომ არ იკადრა თავის დაცვა იმ უღირსი საშუალებებით, რასაც ჩვეულებრივ, მიმართავდნენ ბრალდებულნი ათენის სასამართლოში⁵, ან რამ მისცა იმისი ძალა, რომ მშვიდად და წარბშეუხრელად მოესმინა სასიკვდილო განაჩენი? ამ კითხვებზე მთელი მისი ცხოვრება თუ ვაგვცემს პასუხს.

სოკრატე დაიბადა 469 წელს (ძვ. წ. ა.) ათენში. მამამისი სოფრონისკე მოქანდაკე თუ ქვისმთლელი იყო, ხოლო დედა — ფენარეტე — ბებია-ქალი, მემანი. სიჭაბუკეში თვითონაც მამამისის ხელობას მისდევდა, ხოლო დედის ხელობაზე უკვე მოწიფული, ხუმრობით იტყოდა ხოლმე: დედაჩემი ქალებს ამშობიარებდა, ხოლო მე ხიბრძნეს ვაშობინებ კაცთა ხულებსო⁶. სოკრატეს მშობლები ღარიბები იყვნენ. ამიტომ, როგორც ვარაუდობენ, მომავალ ფილოსოფოსს მხოლოდ ზოგადი, ყველა ათენელი უმაწვილისათვის სავალდებულო განათლება უნდა მიეღო, ე. ი. შეესწავლა

გრამატიკა, მუსიკა და გიმნასტიკა. მოზარდის სულისა და სხეულის პარმონიული განვითარება გახლდათ ბერძნული პირველდაწყებითი სწავლა-განათლების ძირითადი მიზანი. „ასეთი იყო სამი საგანი, რომლებსაც ვაყვებოდა ასწავლიდნენ ათენში: სიტყვიერება, მუსიკა და პალესტრა“; მაგრამ არა უმიზნოდ, არამედ იმ მიზნით, რომ სიტყვიერების ცოდნას განევითარებინა მათი გონება, მუსიკას სიტლანქისაგან დაეცვა მათი სული, ხოლო პალესტრასა და გიმნასიონებში წვრთნას ფუჭი ვნებების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოებრძმედა მათი სხეული⁷. უმრავლესობა სიჭაბუკეში ამთავრებს სწავლას, სოკრატე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლობდა. თუ ვინმე პარმონიულ პიროვნებად ჩამოუყალიბებია ამ თვითაღზრდას, ეს უწინარეს ყოვლისა, სოკრატეზე ითქმის. გონების უჩვეულო გამჭრიახობა, ნათელი, მძლავრი, ვნებათაგან აუმღვრეველი სული, რომელიც თანაბრად ინარჩუნებს სიმშვიდეს და შესაშურ წონასწორობას მეგობრებთან თუ მტრებთან საუბრისას, სუფრაზე თუ ბრძოლის ველზე, სასამართლოთა თუ სიკვდილის წინაშე; გაჭირვებასთან, სიღატაკესთან, სიცხესა თუ სიცივესთან ბრძოლით გაკაფებული და ომების ქარცეცხლში გამობრძმედილი სხეული; ერთის სიტყვით, მუდმივი თვითწვრთნის წყალობით ღამის სრულქმნილების ხარისხში აყვანილი ყველა ბუნებრივი მონაცემი, ნიჭი, უნარი, — აი, მისი თავდაპირილობისა და თვითფლობის, მისი შინაგანი პარმონიის უშრეტე წყარო, რაც უამრავ ხალხს იზიდავდა ამ კაცის ირგვლივ და მას არა მარტო სიბრძნის, არამედ სიხარულის, ცხოვრებით ტკბობის მასწავლებლადაც აქცევდა მათ თვალში.

შესაძლოა, სწორედ თვითგანსწავლის მძაფრმა წყურვილმა აიძულა ჭაბუკი სოკრატე ზურგი ექცია მამამისის ხელობისათვის; ან, შესაძლოა, აღრევე მიხვდა, რომ ბუნებით ხელოვანი კი არ იყო, არამედ მოაზროვნე, და ნაცვლად იმისა, რომ სხვისი სხეულები ექანდაკებინა, მტკიცედ გადაწყვიტა შინაგანი სრულქმნილების უზადო ნიმუშად გამოექანდაკებინა თავისი სული. „სხვები ქმნიან ნაწარმოებებს, მე ვქმნი ჩემს სულს“, — ამბობდა პოლ ვალერი. აღბათ, დაახლოებით ასეთი იყო ახალგაზრდა სოკრატეს მრწამსიც. უნდა ითქ-

³ პლატონი. „სოკრატეს აპოლოგია“, 39-39.

⁴ დიოგენე ლაერტილი, II, 18.

⁵ პლატონი, „თუეტეტი“, 149.

⁶ იხ. კომენტ., „პლატონის ცხოვრება“, 17.

⁷ ოლიმპიოდორე, „პლატონის ცხოვრება“.

³ პლატონი. „ნადიმი“, 215.

⁴ ქსენოფონტი, „სოკრატეს აპოლოგია“, 28.

ვას, რომ მაშინდელ მსოფლიოში არსად მოიძებნებოდა ათენზე უკეთესი ადგილი იმ შინის ხორცშესახსმელად, რომელიც დაისახა სოკრატემ. პერიკლეს დროინდელი ათენი მთელი ელადის პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ცენტრად გვევლინება. ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, ფერწერის, დრამატურგიის, ისტორიოგრაფიის, რიტორიკის, სოფისტის განვითარება თავის აპოგეას აღწევს. „ამ დროს ათენის მოსახლეობაში ხორციელდება დიდ ხნის წინათ დასახული გადატრიალება, დიდმნიშვნელოვანი სოციალური ცვლილება, რომელიც გადაშწვეტი ხდება მთელი შემდგომდროინდელი კულტურისათვის. მარტონელა მოაზროვნეთა წრეში ჩასახული და ვიწრო სასკოლო კავშირთა იდუმალი წიაღში კულტივირებული მეცნიერება ახლა ბაზრის მოედანზე გამოდის, საზოგადოებრივი ცხოვრების ორმეტრიულში იმაღლებს ხმას და ყოველდღიური ვნებების სამსახურში აუწებს თავის იარაღს. ახლა ბრბო უკვე უჭრადღებით უსმენს მის სიტყვებს... ცნობისწადილი თავდაპირველად ტკობად, ხოლო შემდეგ ვნებიან ინტერესად იქცევა და განათლების მძაფრი წყურვილი მოიცავს მთელ ათენს, მთელ საბერძნეთს, სწავლა-განათლების ციებ-ცხელება ეუფლება მთელ ერს“¹⁰.

ეს გარემოება უპრეცედენტოა ძველ მსოფლიოში. კაცობრიობის ისტორიაში ჩვენ პირველად ვხვდებით ხალხს, რომელმაც სწავლა-განათლება თავისი ეროვნული ყოფა-ცხოვრების არსებით ელემენტად, დიდმნიშვნელოვან სოციალურ ძალად აქცია. ამ მხრივ ელადას მხოლოდ რენესანსის დროინდელი იტალია თუ შეიძლება შეედაროს. მაგრამ ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს განათლებისადმი ამნაირმა დამოკიდებულებამ ერთბაშად სულიერი კულტურის არსებულ საფეხურზე აიყვანა მთელი ერი. „ბრბოსათვის მეცნიერული ცნობისწადილი მხოლოდ მოდის საქმედა რჩება: განათლების ადგილს იკავებს ნახევარცოდნა, ურმოსკრულის უაზრო გაშეორება, ქედმაღლური კრიტიკა, ერთის სიტყვით, მეცნიერული შარლატანობა. კამათი აბანოებში, პალესტრებსა თუ სიმპოსიონებზე ფილოსოფოსთა თეორიებისა და ვიპოთეზების ირგვლივ სპორტად იქცევა, და ათენის მოქალაქეთა ერთი ყველაზე საყვარელი თავშესაქცევი ის გახლდათ, რომ მოჩხუბარი მამლებივით ერთმანეთისათვის წაეცილებინათ ორი ფილოსოფოსი და მათი მიძგილისათვის ეყურებინათ... მაგრამ

ამ მნიარული თამაშის მიღმა სერიოზული საფრთხე იმალებოდა. ეს იყო ყველიები უფსკრულის თავზე“...¹¹.

რატომ? განა მეცნიერულ მიღწევათა ხალხის ფართო მასებში დაწინაურების გავრცელება და კულტურის — განათლების — პერველ დემოკრატიზაცია საზიფათოა ქვეყნისათვის? გაჩნია, ვინ ხელმძღვანელობს ერის სულიერ ცხოვრებას და რა კალაპოტით წარმართავს მის გონებრივ განვითარებას. ამ მხრივ კი ელადას მართლაც რომ საგანგაშოდ მჭონდა საქმე: როგორც აღვნიშნეთ, პერიკლეს ეპოქის განმანათლებლურმა სულისკვეთებამ, მეცნიერებისა და ხელოვნების უჩვეულო პროგრესმა, კულტურის მოღვაწეთა საყოველთაო აღიარებამ, მათ მიერ მოხვეჭილმა სახელმა და დიდებამ მოსახლეობის ფართო ფენებში პათეტიკური შინაარსის პარალელურად აღძრა სწავლა-განათლების უჩვეულოდ მძაფრი სურვილი, და ამ სურვილს თავისი შეურვეები, გამოუჩნდნენ სოფისტების სახით, რომლებმაც იტვირთეს საპატიო მისია — ხალხში დაენერგათ მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი.

სოფისტები ათენელები არ ყოფილან. ეს უცხოელი ბერძნები პირველად 440-430 წლებში (ძვ. წ. ა.) გამოჩნდნენ ატიკის დელაქალიქში, სადაც ახალგაზრდობის აღმზრდელებად და სიბრძნისა თუ სიქველის მასწავლებლებად ასალებდნენ თავს. სიბრძნის მასწავლებლები იყვნენ ძველი მოაზროვნეებიც, მაგრამ, სოფისტებისაგან განსხვავებით, სიბრძნე მთელი მათი ცხოვრების ერთადერთი მიზანი, მეტიც, თვითმიზანი იყო. ისინი ჭეშმარიტების გული-სთვისვე დაეძებდნენ ჭეშმარიტებას და თანამოაზრეთა ვიწრო წრეში კარჩაკეტილნი მხოლოდ ერთმანეთს უზიარებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას. თუ მოგზაურობდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ახალი ცოდნა შეეძინათ, მაგრამ არასოდეს უცდიათ თავიანთი მოძღვრების გავრცელება და არ უძებნიათ პოპულარობა; სოფისტები კი, პირიქით, ნამდვილი შეწვილმანელებივით დაეხეტებოდნენ ქალაქიდან ქალაქში და სავაჭრო საქონელივით ბყიდიდნენ თავიანთ ცოდნას. მათ განსაცვიფრებელ საქმოსნურ პრაქტიციზმს მხოლოდ პირადი გამორჩენის სურვილი, სიხარბე და ანგარება ედო საფუძვლად. საჭარო გამოსვლები, კერძო გაცვეთილები, ცოდნისა და ოსტატობის ხარველა მოდ გამართული ნამდვილი სასცენო წარმოდგენები, — ყველაფერი ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს: სიმდიდრისა და სახელის მო-

¹⁰ ვ. ვინდელბანდი, პრელუდიები, სპ. 3, 1904, გვ. 47.

¹¹ ვ. ვინდელბანდი, დისახ. ნაშრ., გვ. 48-49.

ხვეჭას. ეს კი საექვეო რეპუტაციას უქმნიდა თავიანთი ცოდნით მოვაჭრეებს და კეთილმოხუ-
რნედ როდი განაწყობდა მათ მიმართ დარბა-
ისეღ ათენელ მოქალაქეებს, რომელთა თვა-
ლშიაც მათი მოძღვრება სხვა არა იყო რა, თუ
არა მამა-პაპური ტრადიციების უხამსი ვიობა.
სამაგიეროდ ყოველგვარ სენსაციურ ხიბლეს
დახარბებული ახალგაზრდობა ისე ეხვეოდა
სოფისტებს, როგორც ბუზი — თაფლს, ასე
რომ, მათ არასოდეს შემოაკლებიათ გულუბრ-
ყვილო და მიაშიტი შეგარდები.

არ შეიძლება სოფისტთა მოღვაწეობის პო-
ზიტიური მონენტის იგნორირება (ეს მომე-
ნტი ჯერ კიდევ ჰეგელმა წამოსწია წინ, თუმ-
ცა შემდეგ ფილოსოფიის ზოგიერთმა ისტო-
რიკოსმა გადაქარბებული მნიშვნელობა მიანი-
ჭა მას): თავიანთ მრავალრიცხოვან მოწაფე-
ებს სოფისტები უნერგავდნენ აზროვნებისა და
მეტყველების კულტურას, აზიარებდნენ მჭევრ-
მეტყველების ხელოვნებას და სახელმწიფოს
პოლიტიკურსა თუ კულტურულ ცხოვრებაში
აქტიური მონაწილეობის სულიკვეთებით
ზრდიდნენ მათ. ვადამწყვეტ მნიშვნელობას
რომ ანიჭებდნენ ფორმის პრიმატს, ისინი თა-
ნმიმდევრულად ავითარებდნენ ენათმეცნიერ-
ებას, გრამატიკას, რიტორიკას, სტილისტიკას,
ფსიქოლოგიას, ფორმალურ ლოგიკას და, ამ-
რიგად, აბსტრაქტული აზროვნების უაღრესად
მოქნილ და დახვეწილ ინსტრუმენტად აღქვე-
დნენ ბერძნულ ენას¹². არანაკლები დამსახუ-
რება მიუძღოდათ სოფისტებს ზუსტი თუ სა-
ბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და სხვადა-
სხვა ხელოვნების პროპაგანდის დარგში. ასე
მაგალითად, პიპია თავის მსმენელებს ასწავლ-
იდა არითმეტიკას, გეომეტრიას, მუსიკას, ას-
ტრონომიას, მნემოტექნიკას, არქეოლოგიას;
ანტიფონი — ფიზიკას, წრის კვადრატურას-
თან დაკავშირებულ პრობლემებს, საზმრებ-
ის ახსნას; პროდიკე — სინონიმიკას, ფიზიკას,
ეთიკას; ევთადემე და დიონისიოდორე — სა-
მხედრო ხელოვნებას და ა. შ. და ა. შ. მაგ-
რამ, ჯერ ერთი, სოფისტების განათლება და
განსწავლულობა, მათი გონებრივი თვალსაწიე-
რი არ სცილდებოდა სასკოლო დიდებანტი-
ზმის ფარგლებს, და, გარდა ამისა, იყო კიდ-
ევ ერთი გარემოება, რომელიც თითქმის
მთლიანად აქა, უღებდა მათი პრაქტიკული
მოღვაწეობის მნიშვნელობას:

საქმე ისაა, რომ სოფისტებმა ბერძნულ სა-
მყაროში პირველად შემოიტანეს და დანერ-
გეს კიდევ სისტემატური სკეპტიციზმი. სო-
ფისტების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგე-

ნლებმა პროტაგორამ და გორგიამ სკეპტიციზ-
მის საგანგებოდ დასაბუთებულად თეორიაც და
შექმნეს, რომლის მიხედვითაც ცხელი აბსოლუ-
ტური პრინციპის რანგში იქნა აყვენილი. ის-
ინი ამტკიცებდნენ, რომ ^{ქვემოთ} ~~ქვემოთ~~ ან სა-
ერთოდ არ არსებობს ^{ქვემოთ} ~~ქვემოთ~~ ად-
ამიანს არ შესწევს მისი მიკვლევის ძალი. აზ-
რის ამნაირი ორიენტაცია, უწინარეს ყოველი-
სა, ბერძნული ნატურფილოსოფიის კრიზისით
განლდათ განპირობებული. სამხრეთ იტალიუ-
რი, იონიური თუ ელეატური მსოფლმხედველ-
ობრივი სისტემების შინაგანმა წინააღმდეგობ-
ებმა საკმაოდ პოზიტივი ნიადაგი მოამზადა სო-
ფისტური სკეპტიციზმის გასაღვივებლად. ბე-
რძნული ფილოსოფიური აზრის საუკუნოვანმა
განვითარებამ ვერ შესძლო შეექმნა სამყარ-
ოს, არსის, აზროვნების ერთიანი მოდელი და
მეზუთე საუკუნეს უანდერძა არა მარტო ერ-
თმანეთისაგან განსხვავებული, არამედ ხშირ
შემთხვევაში ურთიერთსაპირისპირო შეხედუ-
ლებებისა და წარმოდგენების კაოტური სიმ-
რავლე. საიდანაც სოფისტებმა მექანიკურად
გამოიტანეს ზოგადი დასკვნა, რომ საერთოდ
არ არსებობს ჭეშმარიტება, რომ მისი არსებ-
ობა ობიექტური კი არ არის, არამედ პირწმი-
ნდად შიჩვენებითი.

ამ თვალსაზრისით, უთუოდ ნიშანდობლივია
პროტაგორას შემეცნების სენსუალისტური თე-
ორია, რომელსაც ჰერაკლიტეს მოძღვრება
უღევს საფუძვლად. შემეცნებისა და ცოდნის
ერთადერთი წყარო პროტაგორასათვის მხო-
ლოდ გრძნობადი აღქმაა. თვით გრძნობადი აღ-
ქმა კი, მისი აზრით, სხვა არა არის რა, თუ
არა ცვლილება, რომელსაც გრძნობის მატე-
რიალურ ორგანოში მატერიალურ საგანთანვე
შეხება იწვევს. მაგრამ ყველა მატერიალური
საგანი, ჰერაკლიტეს მიხედვით, გამუდმებულ
ცვალებადობას განიცდის, მაშასადამე, გამუ-
დმებით იცვლებიან აღქმის ორგანოცა და აღ-
საქმელი საგანიც. ამიტომ ყოველი გრძნობადი
აღქმა მარტოდენ იმას გვიჩვენებს, თუ რო-
გორია აღქმული საგანი უშუალოდ აღქმის მო-
მენტში და უშუალოდ აღმქმელისათვის, ესე-
იგი, ყისაც რა როგორ ეჩვენება. სწორედ ის-
ეთია მისთვის და ისეთია მხოლოდ იმ წამს,
როცა ეჩვენება. ყოველი აღქმა, ყოველი შე-
გრძნება თანაბრად ჭეშმარიტია. მაგრამ ეს
„ჭეშმარიტება“ ისევე წამიერია, როგორც თვით
აღქმა, თვით შეგრძნებაა წამიერი. თუ იგივე სა-
განი მეორე კაცში იმავე წამს სულ სხვანაირ
შეგრძნებას იწვევს, ეს უკანასკნელიც არანაკ-
ლებ ჭეშმარიტია, მაგრამ ჭეშმარიტია მხოლოდ
ამ მეორე კაცისათვის და მხოლოდ
შეგრძნების მომენტში. ვინაიდან მომდევნო

¹² იხ. „მცირე პიპიას“ წინათქმა.

წამშივე შემგრობნიც იცვლება, შესაგრძობნიც და ამიტომ აღარც შეგროვება ქვემარტივ მთელი არსებული სანამდვილე არის მხოლოდ ის, რაც აღქმასა თუ შეგროვებაში გვეძლევა, და პირიქით, რაც არავისგან აღიქმება, რაც არავის ეძლევა აღქმით, ის არც არსებობს. აქედან პროტაგორას ცნობილი დებულება: „ადამიანი არის ყოველი საგნის საზომი. — არსებულისა, რომ ის არსებობს, და არარსებულისა, რომ ის არ არსებობს.“¹⁴ როგორც ვხედავთ, ამ უკიდურესად სუბიექტივისტური და რელატივისტური მოძღვრების თანახმად, არ არსებობს მცდარობა და მართადაც, არ არსებობს ქვემარტივების ზოგადი კრიტერიუმიც, არ არსებობს საყოველთაო ქვემარტივება, რაც შეუძლებელს ხდის მეცნიერებას არსებობასაც.

შედგეთა იმის მტკიცება, თუ რა სერიალურ დაბრკოლებას უქმნიდა ეს სექტიკური რელატივიზმი მეცნიერული აზრის განვითარებას, მაგრამ განსაკუთრებით საშიში იყო პავლე რელატივიზმიდან უშუალოდ გამომდინარე ზნეობრივი ინდიფერენტიზმი, რასაც სოფისტები ნებსით თუ უნებლიეთ თავს ახვედნენ საზოგადოებას. ბერძნების ქმედითი და მარად მამიებელი აზრი ძველთაგანვე იკვლევდა სამოქალაქო და ეთიკურ კანონთა არსს, მაგრამ სოფისტებმა პირველად დასვეს ზნეობრივ თუ სამართლებრივ ნორმათა ფარდობითი ღირებულებისა და პირობათობის საკითხი, რწმენა, ზნეობა, ადათი, ჩვეულებები, ეთიკური ნორმები, სამართლებრივი დადგენილებანი თუ დაწესებულებანი სხვადასხვანაირია სხვადასხვა ხალხში და ისინი ღრმთა ვითარებაში არა მარტო ისტორიული აუცილებლობის კარნახით, არამედ სახელმწიფო მოღვაწეთა და კანონმდებელთა თვითნებობითაც კი იცვლებიან ხოლმე, სამართლიანისა და უსამართლოს, კეთილისა და ბოროტის საზომი ბუნებით კი არ არის დადგენილი, არამედ ადამიანთა კოლექტიური ნებით, მათი ერთობლივი შეთანხმებით.

როგორც ადამიანთა ყოველი საგნის საზომი, ისე, ზნეობრივ თუ სამართლებრივ ნორმათა საზომიც ადამიანთა საზოგადოებრივი ზედშეკრულებით განისაზღვრება: ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის კეთილი და სამართლიანია მხოლოდ ის, რაც თვით სახელმწიფოს მიაჩნია კეთილად და სამართლიანად, და მხოლოდ მანამ, სანამ მიაჩნია, ასეთი დასკვნა გამოაქვს პლატონის პროტაგორას შემოადნიშნული დებულებიდან, ახე რომ, ხიკეთეცა და სამართლიანობაც, სახელმწიფოს უზენაესი ნება-სურვილით შეიძლება ბოროტებად და უსამართლობად იქცეს.

მაგრამ თუ ეთიკურსა და სამართლებრივ ნორმებს მხოლოდ სახელმწიფო ქმნის და ამკვიდრებს დასჯისა თუ წასჯილისგან ქრბისა თუ გმობის საშუალებით, მაშინ ადამიანთა მკვიდრი საზღვარი კანონსა და უკიდურესობას, სამართლიანობასა და სუბიექტივისტურ თვითნებობას შორის? ამიტომ ზოგადსაგადაღებული შეიძლება იყოს არა ეს ცვალებადი და პირობითი ნორმები, არამედ მხოლოდ ის ურყევი კანონები, რომლებიც თვით ბუნების მიერ ღვრათადაა ჩადებული ყოველი კაცის სულში. ამრიგად, ყოველივე ბუნებრივს ადამიანში გაცილებით უფრო ღილა მწაშენელობა მიენიქა, ვიდრე საზოგადოებრივს; ინდივიდუალურმა საწყისმა მთლიანად დაბრდილა სოციალური და რაც „ბუნებად“, უწინარეს ყოველისა, „ადამიანის ბუნება“ იქნა ნაგულისხმევი, ხოლო თვით ადამიანი თავისი სურვილებითა და ვნებებით თავისი მოთხოვნალებითა და ძინწრაფებებით ყოველი საგნის საზომად გამოცხადდა, პოზიტიურ კანონთა ქმედითი მადმოსილება ისევე შეეწირა მსხვერპლად სოფისტურ რელატივიზმს, როგორც თეორიული ქვემარტივება.

ახე დაუპირისპირდა ცალმხრივად გაგებული ბუნებრივი სამართალი პოზიტიურ სამართალს, ხოლო ამ დაპირისპირებაში სოფისტები თანდათანობით უკიდურესი ინდივიდუალიზმის, ძაღისა და ძლიერი პირთვების კულტის მკადავებელთა და აღმსარებელთა როლში გამოიყვანა: ბუნებაში ერთპირივნულად ბატონობს მხოლოდ ძალა, ცხოველთა საბუარო, ადამიანთა საზოგადოება, თვით ნეტარი ღმერთების დასი — ყველაფერი მხოლოდ ძალის წინაშე იხრის ქედს, ძალას ემონება და ემორჩილება, რატომაც ღონი ცხოველთა მეფე, ქსერქსე — აზრის მბრძანებელი, ხოლო ზევსი — უაზღვლო და მოკვდავთა მამა მხოლოდ და მხოლოდ ძალის წყალობით, სიმართლე ყოველთვის ძალის მხარესაა, მხოლოდ ძალაა მართალი¹⁴ („დიდი ათასწლეულება ყოველთვის მართალი არაა“, — იტყვის ათასწლეულების შემდეგ ხაპოლენონი). ამიტომ მთელი პოზიტიური სამართალი, სახელმწიფოში მოქმედი კანონების მთელი კოდექსი სხვა არა არის რა, თუ არა ბორკილი, რომლითაც სუსტი კაცუნების ბრბო მოქვავს და გასაქანს არ აძლევს ძლიერი პირთვნების ბუნებრივ მისწრაფებებს, მაგრამ ეს უჯანსკნელი (რომელიც ბევრი რამით მოგვაგონებს, ნიცშეს „ზეკაცს“) საკოთარი ძალისხმევით ამხვრევს ამ ბორკილს და სამოქალაქო

¹⁴ შდრ. სოფისტების მოწაფის — არისტოკრატი კალიკლეს სიტყვა პლატონის დიალოგში „კორკიას“ (282).

ცხოვრებისა თუ წნეობრივი ქცევის ერთადერთ ჭეშმარიტ, ბუნებრივ კანონად თავის აბსულუტურად შეუზღუდავსა და უოველგვარი პირობითობისაგან თავისუფალ ნებას აცხადებს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საით მიუძღვიან „სიბრძნისა და სიქველის მასწავლებლები“ ქვეყანას და ხალხს? რას ამტკიცებს მათი ბატონკაცური მორალი? რა მოსდევს შედეგად თვითნებობისა და ძალმომრეობის ამ უპასუხისმგებლო ქადაგებას? ტრადიციული წესჩვეულებების, მამა-პაპური ადამ-წესების ხაზოგადობრივი თანაცხოვრებისა თუ წნეობრივი თვითშეგნების საუკუნოვან საწყისთა რღვევა, პოლიტიკური (და არა მარტო პოლიტიკური) ანარქია: „დგება მომენტი, რომელსაც ფიხტემ თავის ისტორიის ფილოსოფიაში „საყოველთაო ცოდვითდაცემა“ უწოდა, — ე. ი. ანარქია პიროვნებებისა, რომლებიც აღარაფერს არა სცნობენ თავიანთ თავზე მალა“¹⁶ აღარც ღმერთებს, რადგან თურმე ღმერთებიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა პრაქტიკული საჭიროების დასაკმაყოფილებლად არიან გამოგონილნი, ისევე როგორც სახელმწიფო, სამართალი ანდა მორალი. ასე რომ, სოფისტური სკეპსისი რელიგიასაც გადასწვდა: სხვადასხვა ხალხს სხვადასხვანაირი ღმერთები ჰყავს, რომლებსაც სხვადასხვანაირად სცემენ თავიანთს. მაშასადამე, რელიგიური კულტიც ისევე პირობითია, როგორც ყველა სხვა ადამიანური დადგენილება თუ დაწესებულება, როგორც ყველა სხვა სოციალური ინსტიტუტი.

— არა! — გაიხმის სკეპტიკოსთა ამ გამაურუებელ გნაბში მშვიდი და ძლიერი ხმა: ეს ხმა სოკრატეს ეკუთვნის; — რატომ უნდა დარდილოს ჩვენს თვალში კერძო კაცმა მთელი კაცობრიობა? კაცის გონებამ — ზოგადსაკაცობრიო, ყველა კაცისათვის საერთო გონი? მიუტყვებელი შეცდომაა ფარდობითობის აუვანა აბსოლუტური პრინციპის რანგში, ხოლო შემდეგ ცალმხრივი დასკვნის გამოტანა აქედან და მისი გავრცელება ადამიანის სულიერი ქმედითობისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე. ნუთუ აქვენ შეგაძლიათ თავისუფლად ამტკიცოთ, რომ ჭეშმარიტება მართლაც სხვადასხვაა სხვადასხვა კაცისათვის, რომ ჩვენი აღქმაც და ჩვენი მსჯელობაც პირწმინდად ფარდობითია, რომ ყველაფერი რელატიურია, ხოლო უოველი საგნის სუბიექტური საზომი არის ადამიანი, ჩვენ ვი იმის უფლებაც არა გვაქვს, რომ ვიკითხოთ: ხომ

არ არის თვით ამ ადამიანში საყოველთაო და ობიექტური საზომი, მსჯელობისა და შეფასების ზოგადი კრიტერიუმი? თქვენ ხუცავთ მხოლოდ სხვაობას და დაფინქსტ ამტკიცებთ, რომ სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა მართლებრივი თუ უთიკურა წესჩვეულება სხვადასხვა ღმერთებს სცემს თავიანთს. მაგრამ ეს ხომ ბანალური ჭეშმარიტება უფროა, ვიდრე ორიგინალური? რატომ ხუცავთ თვალს, რატომ არა გსურთ დაინახოთ მთელი ამ სხვადასხვაობის საერთო საფუძველი? ყველა ხალხს თავისი ატულმდებლობა აქვს და თავის ღმერთებს სცემს თავიანთს. მერედა, რა არის ეს, თუ არა ყველა სხვადასხვა ხალხის საერთო დაუწერელი კანონი?

სოფისტის წინააღმდეგ ამ ფარულ თუ აშკარა პოლემიკაში იხვეწება სოკრატეს რაციონალისტური მრწამსი, უალიბდება მისი მსოფლმხედველობა. პლატონის მასწავლებლის „მახვილ თვალს და გამჭრიახ გონებას არ გამოჰპარვია, რომ სოფისტისა, თავისი არსით, სიკეთის, სამართლიანობისა და ჭეშმარიტების წინააღმდეგ მიმართული მოძღვრება იყო, რომლის გავრცელებასაც შეეძლო სავალალო შემოკმედება მოეზდინა ათენელთა პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ წნეობრივ მრწამსზე. ამიტომ სწორედ სოკრატე დაუპირისპირდა პირველად სოფისტების „სპირიტუალურ პარპაშს“ და თავის სახიცოცხლო საქმედ დასახა არა მარტო მათ წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ ბერძნული მეცნიერების რადიკალური რეფორმაციაც, რათა უფრო მეტად და სერიოზული მოთხოვნები წაეყენებინა მისთვის, ეს იყო წმინდათაწმინდა საქმე, სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლა ბერძნული კულტურის პრესტიჟისა და ღირსებისათვის; ბრძოლა, რომელიც სოკრატეს სიკვდილის შემდეგ წარმატებით განაგრძეს მისმა დიდმა მემკვიდრეებმა — პლატონმა და არისტოტელემ“¹⁷.

ბერძნული ნატურფილოსოფიის შინაგანმა წინააღმდეგობებმა განაპირობეს არა მარტო სოფისტის, არამედ სოკრატეს მსოფლმხედველობის ფორმირებაც. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩადრმავებისას, სადაც ამდენ თამამ პიპოთეზას საფუძვლად ედო მხოლოდ ორიოდე ზუსტი, ანტიუტური წვდომით მიკვლიული ჭეშმარიტება და ზოგჯერ საკმაოდ საყურადღებო, მაგრამ ცდით შეუმოწმებელი დაკვირვება, — სოფისტებისა არ იყოს, სოკრატეც თანდათან სკეპტიკური სულით განიმსქვალა ამ მეცნიერებების მიმართ. მის ხალ ბუნებრივ აზრს აფრთხობდა ეს ინტი-

¹⁶ იხ. „გორგია“, 384.
¹⁷ ე. ვანდუელბანდი, ლაპახ. ნაშრ., გვ. 60.

¹⁷ იხ. „მცირე პიპიას“ წინათქმა.

ლიტერატურა ავანტურაში, რომელიც უცნაურად ამღვრედა და აშფოთებდა მის ეთიკურსა თუ რელიგიურ მრწამსსაც. ყველა ძველ მოაზროვნეს ბრძალ სწამდა ადამიანური გონების უსასრულო ძალმოსილება, ყველა ცდილობდა ჩასწვდომოდა საგანაა იდუმალ სიღრმეს. შეეცნო მათი პირველმიზეზი და აქედან გამოეყვანა მთელი ცდისეული სამყარო; ყველა ცალ-ცალკე განიხილავდა რომელიღაც განყენებულ საწყისს, სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს და, თანაც, ერთპიროვნულად იჩემებდა ჭეშმარიტების ცოდნას. მეტიც, თავისი აზროვნებით თვითონვე ქმნიდა ამ ჭეშმარიტებას, სოკრატეს კი სწამდა, რომ ჭეშმარიტება აზროვნებაზე უწინარესია და საჭიროა მხოლოდ მისი მიკვლევა. სრულყოფილი ცოდნა სოკრატეს თვალში თანდათანობით იძენს ადამიანური ცნობიერებისათვის მიუწვდომელი იდეალის მნიშვნელობას. ჩვენ რომ მთელი ჭეშმარიტების მფლობელნი ვიყოთ, თვითონვე შევძლებდით საგანთა შექმნას; ბუნების კანონები, სამყაროს საიდუმლოებანი რომ ვიცოდეთ, თვითონვე ვიქნებოდით ღმერთები, რადგანაც აბსოლუტური ცოდნა მხოლოდ ღმერთების ბუნებრივია და არა ადამიანებისა¹⁸.

სოფისტებისა არ იყო, სოკრატეც ეჭვის თვალთ უყურებდა ტრადიციულ სარწმუნოებას, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო ამაღლებული რწმენა ჩაენერგა თავისი თანამოქალაქეების გულში; სოკრატეც დაუნდობლად ააშკარავებდა ბერძნული ფილოსოფიური აზრის ცდომილებას, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ სოფისტებისათვის უარყო ჭეშმარიტება, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მკაცრად განესაზღვრა ჭეშმარიტების კვლევა-ძიების სფერო და მყარ რაციონალურ საფუძველზე დაეფუძნებინა იგი ბუნების კვლევას. სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობას ამაოდ შეეწირა პირველხარისხოვან ბერძენ მოაზროვნეთა არა ერთი და ორი თაობის სიცოცხლე. ვანა ეს საქმარისი არ არის, რათა საბოლოოდ ვარწმუნოთ, რომ მთელი გრძნობადი სინამდვილის წვდომა ჩვენი გონების შესაძლებლობას აღემატება? აქედან სოკრატეს სახელმძღვანელო პრინციპი: ფილოსოფიამ ხელი უნდა აიღოს ბუნების შემეცნებაზე და მხოლოდ ადამიანის ბუნებით შემოიფარგლოს; არა „ფიზიკა“, არამედ ეთიკა; არა მატერიალური სამყაროს ახსნა, არამედ ადამიანის სულიერი სამყაროს შემეცნება, — აი, ჩვენი გონებრივი შესაძლებლობის თანაფარდი ერთადერთი სწორი მიზანი. ამიტომ-

აც იყო, რომ სოკრატე „ერთთავად ადამიანზე მსჯელობდა და ირკვევდა, თუ რა არის ღვთისმოსაობა და მკრებელობა, მშვენიერი და სამარცხვინო, სამართლიანი და უსამართლო, გონიერება და უგუნურება, მკაცრი და სიმდალე, სახელმწიფო უფრო სახელმწიფო მოღვაწი, კაცთგამგებლობა და გონიერი მმართველი კაცთა“¹⁹.

რაც მატერიალური სინამდვილე მკვეთრად გამოიჭნა სულიერისაგან და შემეცნების ერთადერთ საგნად სწორედ ეს უკანასკნელი გამოაცხადა, სოკრატე მთლიანად შემოიფარგლა ეთიკის სფეროთი, „რადგანაც სწორედ აქ ეძებდა ზოგადს და პირველმა მიმართა თავისი აზრი ზოგად განსაზღვრებათა საკვლევად“²⁰ სოფისტების საპირისპიროდ, რომლებიც პირწმინდად უარყოფდნენ, ყოველგვარ ობიექტურ ნორმას და ადამიანის სუბიექტურ წარმოდგენასა თუ შეხედულებას აცხადებდნენ „ყოველი საგნის საზომად“, — სოკრატემ სცადა თვით ადამიანის გონებაში დაეძებნა ჩვენი თეორიული თუ პრაქტიკული მოღვაწეობის, ლოგიკური მსჯელობისა თუ მორალური ქცევის განმსაზღვრელი ზოგადი და ობიექტური ნორმები. ჩვენი ცხოვრება საერთოდ წარმოუდგენელია გონების ქმედითობის, აზროვნების გარეშე და იმისათვის, რომ მართებულად ვიცხოვროთ, მართებულად უნდა ვაზროვნებდეთ; ხოლო აზროვნება სოკრატესათვის, უწინარეს ყოვლისა, იმის წვდომასა ნიშნავს, თუ რა არის სამართლიანი და უსამართლო, მშვენიერი და მახინჯი, კეთილი და ბოროტი, სახარებლო და საზიანო, რა არის ადამიანის ჭეშმარიტი სიკეთე.

მაგრამ რას ნიშნავს თვით ეს „მართებული აზროვნება?“ რა არის ამნაირი აზროვნების ზოგადი და ობიექტური საზომი, ნორმა? ადამიანური შემეცნების ბუნების კვლევამ სოკრატე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს შემეცნება „უპირატესად, ცნებების მეშვეობით ხორციელდება, სწორედ ცნებაა გონებრივი ქმედითობის ძირითადი ლოგიკური ფორმა და არა აღქმა ან შეგრძნება, რაც კაცმა რომ თქვას, არა მარტო ადამიანს, არამედ თვით ცხოველსაც კი ახასიათებს. შეგრძნება და აღქმა უშუალოდ გამოხატავენ მხოლოდ გრძნობად-კონკრეტულ და თვალსაჩინო ცდას, მაშინ როდესაც ცნება, თავისი არსით, აშკარად სცილდება ყოველივე იმის ფარგლებს, რაც გრძნობადი ცდით გვეძლევა. ცნების ფორმი-

18 ს. ნ. ტრუბეცკოი, ძველი ფილოსოფიის ისტორიის კურსი. მოსკ., 1910, გვ. 213.

19 ქსენოფონტი, „მოგონებები სოკრატეზე“, I, 1, 16 (თარგმანი ავ. ურუშაძისა).

20 არისტოტელე „მეთაფიზიკა“, I, 6.

რება შეიძლება მხოლოდ აბსტრაქციის გზით: ესაა კერძოდან, გარეგნულიდან, არაარსებითიდან არცკვლის, აბსტრაქტირებისა და ზოგადში, შინაგანსა და არსებითში შეღწევის, მათი ლოგიკური წვდომის გზა, ამიტომ, სოკრატეს აზრით, მხოლოდ ზუსტი ცნებაა ადამიანური ცოდნის ერთადერთი ობიექტურა ნორმა, მისი ქეშმარიტების საზომი. შემეცნების სოფისტური თეორიის საპირისპიროდ, რომელიც აღქმა-შეგრძნებით განპირობებული სუბიექტური წარმოდგენითა თუ შეხედულებით შემოფარგლავს ჩვენი ცნობიერების მთელ შინაარსს, სოკრატე ობიექტურ, ზოგადსავალდებულო ცოდნას მიელტვის და ცვალებად შეხედულებას („დოქსა“) მკვეთრად უპირისპირებს მუარ ცოდნას („ეპისტემე“).

მარტოოდენ შეხედულებაზე წარმოდგენაზე ქეშმარიტი ცოდნის დაფუძნება შეუძლებელია, ვინაიდან წარმოდგენა შეგრძნებებითა და აღქმებითაა განპირობებული, რომელთაგანაც არც ერთი არ შეიცავს საგნის არსებით ნიშან-თვისებებს, მაშინ როდესაც ცნება მთლიანად განაყენებს საგნისაგან ყოველივე შემთხვევითს, ზედპირულს, არაარსებითს და ერთობლივად მოიცავს მხოლოდ მის უცვლელ არსს. ამიტომ წარმოდგენა, შეხედულება ყოველთვის კერძოა, არასრული და ცვალებადი, ცნებით განსაზღვრული ცოდნა კი, პირიქით, — ზოგადი, სრული და უცვლელი, რადგანაც ზოგადობა და უცვლელობა ცნების არსებით ნიშნად გვევლინება. ისიც საგულისხმოა, რომ ყოველივე კერძო და კონკრეტული, სოკრატეს აზრით, მხოლოდ ზოგადის მეშვეობით შეიშენება. კეთილია თუ არა ესა და ეს კაცი? სამართლიანია თუ არა ესა და ეს ქცევა? ამ კითხვაზე მხოლოდ მაშინ შევძლებთ ამომწურავი პასუხის გაცემას, როდესაც გვეცოდინება, რა არის საერთოდ სიკეთე, რა არის საერთოდ სამართლიანობა. ზოგადი კერძოს შემეცნების აუცილებელი პირობაა. მარტოოდენ ზოგადის მეშვეობით მიღწეული ცოდნაა შეგნებული და ქეშმარიტი. ყოველგვარი შემეცნება ზოგადის გარეშე მხოლოდ მოჩვენებითი ცოდნა, მხოლოდ შეხედულება შეიძლება იყოს²¹.

ქეშმარიტა ცოდნის არსებითი ნიშანი ისაა, რომ თავისი თვითმკმარი სიცხადით თავს ეხვევა თვითეული ჩვენგანის სულს და ინდივიდუალური აზრების მთელი სხვადასხვაობის მიუხედავად მათ შინაგან თანხმობას განაპირობებს. მაგრამ ამ ცოდნას ისევე როდი შეიძლება დაეუფლო, როგორც ეუფლებიან, ვთქვათ,

მეცნიერების, ხელოვნებისა თუ ხელოვნობის სხვადასხვა დარგს. ის ჩვენს გარეთ კი არაა, არამედ თვითონ ჩვენშია და ქვედა ჩვენგანი მხოლოდ საკუთარ სულში ჩაღრმავების, თვითშემეცნების გზით თუ ეჭიარება მას. აქედან სოკრატეს მთელი სიცოცხლის დევიზი: „შეიცან თავი შენი!“ რომელიც მას სწავლავდა არა მარტო თავის უშუალო მოწაფეებს, არამედ თავის თანამოქალაქეებს და მთელ კაცობრიობასაც. სოკრატეს სწამდა, რომ ადამიანები მხოლოდ ზერულედ, ზედპირულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სულის სიღრმეში კი ისინი ერთნი და იგივენი არიან თავიანთი ინტიმური არსით, თავიანთი შინაგანი ქეშმარიტებით, და ის ცდილობდა ამ ილუზორული სხვადასხვაობის მიღმა გაცეხადებინა აზრის დასაბამიერი ერთობა, — ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში კაცთა ურთიერთსაპირისპირო ვნებების, ზრახვების და მიხწრაფვების გამაოგნებელი სიჭრელითა თუ შინაგანი წინააღმდეგობებით წაშლილ-წარხოცილი და გაქარწყლებული.

ულარესად ორიგინალურია გზა, რომლითაც სოკრატე ინდივიდუალურ სულთა სიმრავლესა და სიჭრელეში დაფარული ერთობის წვდომასა ცდილობს. მთელი მისი სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა ზემოაღნიშნული ერთობის კვლევა-ძიება განუწყვეტელი ექსპერიმენტებისა და დიდოსტატური ხელოვნებით განხორციელებული ცდების საშუალებით. ამ დაუცხრომელი ექსპერიმენტატორის უზარმაზარი ლაბორატორია მთელი ათენია, თავისი ქუჩებით და მოედნებით, თავისი პალესტრებითა და გიმნასიონებით, ხოლო ცდის პირი — ქველა ათენელი, თავისუფალი თუ მონა, მდიდარი თუ ღარიბი, სახელმწიფო მოღვაწე თუ მხედართმთავარი, მეთუნე თუ მეწაღე, ხურო თუ კალატოში, ქურუმი თუ ფილოსოფოსი, პოეტი თუ სოფისტი. ეს უცნაური კაცი, რომელმაც თავისი მძლავრი ნებით დათრგუნა ყოველგვარი პატივმოყვრული საცთური, სამუდამოდ აიღო ხელი სიმდიდრისა თუ სახელის მოხვეჭაზე და სიღატაკე ირჩია განუყრელ თანამგზავრად სულიერი სრულქმნილების ძნელად სავალსა და ნარცკლიან გზაზე, — თანამოქალაქეებთან ყოველდღიურ საუბრებს სახავს თავის ერთადერთ მოწოდებად, ერთადერთ საქმედ და ხელობად, დიახ, ის ყოველდღე ესაუბრება მათ და კითხვა-პასუხების მეშვეობით ააშკარავებს მათი პირადი შეხედულებებისა თუ წარმოდგენების შინაგან წინააღმდეგობებს, მათი აზრების ურთიერთშეუთავსებელ სხვადასხვაობას. მაგრამ, სოფისტებისაგან განსხვავებით, ეს წინააღმდეგობანი მისთვის ობიექტური ქეშმა-

²¹ იხ. ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1966, გვ. 214.

რიტების უარყოფის საბაბად კი არ იქცევიათ, პირიქით. — ქეშმარიტების წვდომის ერთადერთ აუცილებელ პირობად, სოფისტების მეთოდს „ერისტიკას“ — დავის, კამათის ხელოვნებას, რომელიც მხოლოდ მოწინააღმდეგის დათრგუნვასა და ამა თუ იმ კერძო მოსაზრების, პირწმინდად სუბიექტური შეხედულების დამკვიდრებას ისახავს მიზნად, მკვეთრად უპირისპირდება განსჯის, მსჯელობის სოკრატესული მეთოდი — „დიალექტიკა“, რომელიც კერძო მოსაზრებათა შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევის გზით ობიექტურსა და ზოგადსავალდებულო ქეშმარიტებამდე ამაღლებას ცდილობს.

აღქმებისა და შეგრძნებების დაახლოებით ერთსა და იმავე მონაცემებს ამუშავებს და „ინელებს“ უოველი კაცის სული. ამიტომ, სოკრატეს მიხედვით, შეუძლებელია უოველი აზრისათვის ერთი და იგივე ქეშმარიტება არ იყოს იმანენტური. ვაშ რა იწვევს თუნდაც ერთი და იმავე საგნის შესახებ აზრთა ესოდენ განსაცვიფრებელ მრავალფეროვნებასა და სხვადასხვაობას? საქმე ისაა, რომ უმრავლესობა თავისი პარტიკულარული წარმოდგენების, სუბიექტური შეხედულებების ტყვეობაში რჩება და ვერ ახერხებს მიაღწიოს იმ დონეს, სადაც ზუსტი ცნებების შეშვეობით უალიბდება ობიექტური და ზოგადი ქეშმარიტება, რაც, კაცმა რომ თქვას, უოველი ჩვენგანის სულში თვლემს, მაგრამ მხოლოდ ჩანასახოვანი, მხოლოდ გაუცნობიერებელი სახით. სოკრატე თავისი საუბრების მიზნად თვლის სწორედ ამ გაუცნობიერებლის გაცნობიერებას, ამ ჩანასახის მოშუშებას და მომწიფებას, ხოლო შემდეგ ქეშმარიტების დაბადებას კაცის სულიდან, რასაც იგი, დედამისის ხელობის ანალოგიით, ხუმრობით უწოდებს ერთგვარ სპირიტუალურ მეანობას — „მაიევტიკას“²³. მაგრამ რაოდენ ხერხიწული, ღრმა და მაღალი აზრი იმალება ამ სახუმარო სახელწოდების მიღმა: უოველი ახალი ქეშმარიტების დაბადება იგივეა, რაც ახალი სიცოცხლის გაჩენა ამქვეყნად; ასეთია ნათელი მიზანი, რომელსაც ემსახურება სოკრატეს დიალექტიკა, მისი დიალექტიკური ხელოვნება.

შეშველების სოფისტური თეორიის საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც უოველი კაცისათვის ქეშმარიტია ის, რაც მოცემულ მომენტში თვითონ მას ეჩვენება ქეშმარიტად, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქეშმარიტება იმდენია, რამდენი კაცაც

არის ამ ქვეყნად, — სოკრატეს ღრმად სწამს, რომ არსებობს მარადიული, სუოველთაო და ზთგადსავალდებულო კანონი, რომელიც უოველგვარ პირად წარმოდგენაზე მაღლა დგას; ნორმა, რომლითაც იზრდება, გამოიცდება და ფასდება თვითეულის შეხედულება. ამიტომ ქეშმარიტების ძიება მხოლოდ წაწინას შეხადლებელი, როცა ადამიანები, მათი პირადი შეხედულებების მთელი სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთად ცდილობენ გაიცხადონ ის, რასაც უკლებლივ აღიარებს ყველა მათგანი. ქეშმარიტების წვდომის გზა ერთობლივი აზროვნებაა, ხოლო ეს გზა მცდარი წარმოდგენების თანდათანობითი დაძლევის იწვევა; და აი, სოკრატე სასაუბროდ იწვევს თავის თანამოქალაქეებს, რათა კითხვა-პასუხების, აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებით გაკაფოს ქეშმარიტებისაკენ მიმავალი ბილიკი კაცთა პირადი წარმოდგენებისა თუ შეხედულებების უსიერ ტევრში. ის მიდის თანამოსაუბრესთან, როგორც არამცოდნე — მცოდნესთან: მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი, — ასეთია მისი საწყისი პოზიცია.²⁴ რამდენად უფრო თამამი და თავდაჭერებულია მისი პარტნიორი, რომელსაც ეჭვიც არ ეპარება თავის ცოდნაში. მაგრამ იწვევა მსჯელობა, გაბმით იბაწრება კითხვა-პასუხი, და ეს „ექვშეუვალი“ ცოდნა, რომელიც ესოდენ მთლიანი, მყარი და სარწმუნო ჩანდა, თანდათანობით ქუცმაცდება, ილევა და, ბოლოს, თვალ და ხელშუა ქრება. ნორწამსლარი თანამოსაუბრე ხედავს, როგორ ირღვევა მისი თვითრწმენის დუღაბით შეკრული და ერთის შეხედვით თითქოს მტკიცე წარმოდგენებით ნაგები კოშკი, ხოლო მის ადგილას თანდათანობით იზრდება უშნოდ აჩონჩხილი აბსურდი: სოკრატეს გამანადგურებელი ირონია თავის ჩვეულ საქმეს აკეთებს.

„მე შენთან შეხვედრამდეც გამიგონია, სოკრატე, — ამბობს მისი ერთ-ერთი „მსხვერპლი“, — რომ ერთთავად იმის ცდაში ხარ, თუ როგორ აირიო გზა-კვალი თავად, ან როგორ აუბნოო თავგზა სხვებს. აი, ახლაც უველაფერი ამირ-დამირივ, თავბრუ დამასხი და, ასე მგონია, გრძნეულივით მომწუხხე და მომაჯადოვე. იცი რას გეტყვი: ხუმრობით თუ ხუმრობაგაშვებითაც, კაცმა შენი გარეგნობა — და არა მარტო გარეგნობა — შეიძლება შეადაროს ზღვის ბრტყელ სკაროსს²⁴, რომელიც

23. იხ. პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, 21
24. ივულისხმება ელექტრული ნუბტის მქონე თევზი; დედანში — „ნარკე“, ამ თევზს იცნობენ არისტოტელე, ელიანე და პლინიუსი; სხვათა შორის, „ნარკეს“ ძირი იგივეა, რაც ყველისათვის ცნობილი სიტყვისა „ნარკოზი“.

²³ პარძნეული სიტყვიდან — „მაია“ — ნენი, ბებია ქალი.

მეუსუელად აშეშებს და ახვეებს ყველას, ვინც მას მიუახლოვდება ან მიეკარება. აი, ახლაც, თითქოს სკაროსს მივეყარეო. დამბლადაცემულს დავემსგავსე, სული შეშებუთა, ენა წამერთვა, და მე არ ვიცი, რა ვადონო, რა ვიპასუხო. მე ათასჯერ, ათასჯან და ათასნაირად მისაუბრია სიქველის შესახებ და, ჩემის აზრით, არცთუ ურიგოდ მისაუბრია, ახლა კი ისიც ვერ მითქვამს, რა არის სიქველე. როგორც ჩანს, სწორად იქცევი, აქ რომ ზიხარ ფეხმოუცვლელად, არხად მიემგზავრები და არც სადმე მიცურავ: შენ რომ ასევე გელაპარაკა სხვა მხარეში, მერწმუნე, არავინ დაგინდობდა უცხოელს და ზელად შეგიპყრობდნენ, როგორც ჯადოქარს“²⁵.

ადვილი ახატანი როდია „ათასჯერ, ათასჯან და ათასნაირად“ შემოწმებული და ცხოვრებისეული გამოცდილებით შესისხლბორცებული წარმოდგენების მხზვრევა, მაგრამ ჭეშმარიტება უღმობელია: ის მსხვერპლს მოითხოვს, და სოკრატეს დაუნდობლად აშბილებს თანამედროვეთა სუბიექტური შეხედულებების ცალმხრივობასა და მცდარობას. ააშკარავებს მათ შინაგან წინააღმდეგობებს და აბსურდამდე დაჰყავს ისინი, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელთა დაძლევათ, მათზე ამაღლებით ცდილობს გაკვალოს გზა კერძოდან ზოგადისაკენ, ყოველი ინდივიდუალური ცნობიერებისათვის ნიშნეული გრძნობადი წარმოდგენებიდან ლოგიკურად ჩამოყალიბებული მეცნიერული ცნებებისაკენ. ეს გახლავთ სოკრატეს დიალექტიკური მეთოდის გვირგვინი — ინდუქცია („ეპაგოგე“), რომელსაც კერძო აზრების, სუბიექტური შეხედულებების ქაოტური სიმრავლე საგანთა არსის გამომხატველი ზოგადი ცნების მწუობრი ლოგიკური ერთობისა თუ ერთადერთობის ხარისხში აჰყავს, რათა შემდეგ უკვე მიკვლეული ზოგადი ცნების კერძო შემთხვევებისადმი მიყენების გზით შეამოწმოს მისი ყოვლისმომცველობა და ამომწურავი სიზუსტე. მაგრამ ეს უკვე დიალექტიკური მეთოდის მეორე მომენტია — დედუქცია („სინაგოგე“). კერძოდან ზოგადისაკენ და, პირუკუ, ზოგადიდან კერძოსაკენ — ასეთია მკაცრად დასაზღვრული წრე, რომელშიაც პრუნავს სოკრატეს ბოხოქარი, ჭეშმარიტების მაძიებელი აზრი.

სულის სიცოცხლეს, აზრის ქმედითობას ჭეშმარიტების ვნებიანი სიყვარული — სოკრატეს მთელი მოღვაწეობის მამოძრავებელი მოტივი განაპირობებს, და ის ცდილობს ამავე გრძნობით აღანთოს თავისი თანამედროვენი, თანა-

მოქალაქენი, მოყვასნი. ადამიანთა თანამშრომლობა ცოდნის ძიების, ჭეშმარიტების წვდომის პროცესში, მისი აზრით, ეთიკური ურთიკართობის ნიშნეა. სულთა თანხმობა კამათისა და პაექრობის შემდეგ სოკრატესავე სხვა არა არის რა, თუ არა ცოდნის სიზუსტის აუცილებელი პირობა, ხოლო ჭეშმარიტების სიყვარულს მის გულში ორგანულად ერწყმის ფილანთროპია, მოყვასთა ექსპანსიური სიყვარული, თავისი კეთილშობილურებით, უზადო ტაქტით, თვითფლობის საოცარი უნარით, შემპარავი იუმორით, უზარმაზარი სასიცოცხლო ენერჯითა და ადამიანური სიბრძნით, ერთის სიტყვით, მთელი თავისი პიროვნული მომხიბვლელობით ის უამრავ ხალხს იზიდავს თავის გარშემო და ცხოვრებისა და მოქმედების საერთო საფუძვლის — მუარი რაციონალური ცოდნის ძებნად მიაქცევს მათ. „ამნაირი კაცია — ამბობს ლახესი. — ჭეშმარიტ მუსიკოსად მიმაჩნია, უმშვენიერეს მელოდიას რომ გამოაცემინებს არა ღირას ან სხვა რომელიმე საკრავს, არამედ თვითონ სიცოცხლეს, თავისი სიტყვისა და საქმის ჰარმონიული თანხმობის წყალობით“²⁶. ამ სიტყვებში არაფერია გათქარბებული...

ზემოთ უკვე ითქვა, რომ სოკრატემ იმთავითვე მკვეთრი ზღვარი გაავლო მატერიალურ და სულიერ სამყაროს შორის და შემეცნების ერთადერთ საგნად სწორედ ეს უკანასკნელი გამოაცხადა. ამიტომ მისი ფილოსოფია, უწინარეს ყოვლისა ეთიკური მოძღვრებაა: ცოდნა მისთვის თვითმიზანი კი არ არის, არამედ პრაქტიკულ ინტერესთა დაკმაყოფილების საშუალება, იმ კითხვების პასუხი, რომლებსაც ადამიანის წინაშე ყოველი ფეხის ნაბიჯზე აყენებს თვით მისი პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ პასუხის სისწორე განსაზღვრავს სოკრატეს აზრით, ადამიანის მორალურ სახეს, მის ბიწიერებასა თუ სიქველეს, მის ბედნიერებასა თუ უბედურებას. ცოდნა სიქველეა და სათნოება, არცოდნა კი ბიწი, — აი, სოკრატეს ეთიკური მოძღვრების საფუძველთა საფუძველი და, იმავდროულად, თითქმის მთელი მისი შინაარსიც...

საიმისოდ, რომ მოქმედებისა თუ მოღვაწეობის სწორი გზა ავირჩიოთ, საკმარისია ამ მოქმედებისა თუ მოღვაწეობის მიზნებისა და საშუალებების ცოდნა. თუ ყოველი საგნის, ყოველი ქცევის ფარდობითი ღირებულება ვიცით, მაშინ ზელთა გვაქვს ერთადერთი სწორი ორიენტირი: ჩვენი ქმედითობის რაციონალური ნორმა. თუ ჩვენსავე თავს ვიცნობთ, მა-

25. პლატონი, „მენონი“, 80

26. პლატონი, „ლახესი“, 188

შინ ისიც ვიცით, რა გვჭირდება, რას ვესწრაფით, რა არის ჩვენთვის სასარგებლო და სასიკეთო. ცხადია, თავისი თავისთვის არავის არ სურს ბოროტება, ყველა ესწრაფის მხოლოდ სიკეთეს, მაგრამ გააჩნია, ვის რა ესახება სიკეთედ და რანაირი საშუალებებით ისწრაფის მისკენ.

საქმე ისაა, რომ მიზანს ყოველთვის ნება სახავს და ნება ირჩევს მისი მიღწევის გზებსაც, ხოლო საკუთრივ ნება, ანუ სულის გარკვეული მიდრეკილება, მისი სწრაფვა ამა თუ იმ საგნის მიმართ თვით ამ საგნით კი არ არის მოტივირებული, არამედ შინაგანი განსჯით. იმ პიროვნული წარმოდგენით, რასაც სულში ეს საგანი იწვევს. რაც უფრო ზუსტია წარმოდგენა, რაც უფრო სრული და ამომწურავია ჩვენი ცოდნა, მით უფრო წრფელია ჩვენი ნება, მით უფრო წმინდაა მისი სწრაფვა, მით უფრო განუხრელად მიმართულია სიკეთესაკენ. ასე უშუალოდ ერწყმის ცოდნა და ზნეობა ერთიმეორეს. ცოდნის მიზანი ზნეობაა. მეტიც, ცოდნა თვითონაა ზნეობა. სიკეთის ცოდნა სხვა არა არის რა, თუ არა სათნოება, სიკველე, ხოლო სიკეთის არცოდნა — ბიწიერება, არისტოტელეს აცბუნებდა ეს რაციონალიზატური მორალი და სოკრატეს პირდაპირ ადანაშაულებდა იმაში, რომ მან ცნებებად და შემეცნებად აქცია ზნეობა. ვერ ვიტყვით, თითქოს დიდი სტაგირელის კრიტიკა მოკლებული იყოს საფუძველს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სოკრატეს არასოდეს გაუმიჯნავს ერთმანეთისაგან სიკეთის ცოდნა და სიკეთის ქმნა: სიკეთის ძალა, მისი აზრით, იმდენად დიდია, იმდენად კმედითი და ექსპანსიური, რომ ვერ თავსდება მარტოდენ ცოდნის ფარგლებში და საქმედ ვლინდება, კეთილმოქმედებად გარდაიქმნება, როგორც ცეცხლი თავისთავად იქცევა სინათლედ და სითბოდ. როდესაც სიკეთის ცოდნა სრულია და ნამდვილი, მარტო ჩვენ კი არ ვფლობთ ამ ცოდნას, არამედ ისიც, თავის მხრივ, ასევე გვფლობს ჩვენ. სიკველე, როგორც სულის თვისება იგივეა რაც ზნეობრივი აქტი—ქველმოქმედება. „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?“ — რუსთაველის ეს ზნეობრივი იდეალი პირწმინდად სოკრატულია.

სიკველე, სათნოება. — აი, ადამიანის შინაგანი სრულყოფილების, ისევე როგორც მისი ბედნიერების ერთადერთი აუცილებელი პირობა; ბედნიერებისა, რომელსაც, სოკრატეს აზრით, საფუძვლად უდევს ცოდნა, თვითშეგნება, თვითშემეცნება. ვინა ვართ და რანი ვართ ჩვენ? მხოლოდ ამ კითხვების პასუხი გვიჩვენებს, რა არის ჩვენი ნამდვილი ბედნიერება, რა

არის ჩვენი ქვეშაირიტი სიკეთე. აქ სოკრატეს აზრი უშუალოდ ერწყმის ორთავულ-პითაგორულ ღუაღიზმს, რომლის მიხედვითაც ადამიანი სხვა არა არის რა, თუ არა რაღაც ურთიერთსაპირისპირო საწყისების შეხვედრა და სორცის ერთობა. ამ ორთავულ-პითაგორულ საწყისში, პიროვნების უცვლელი და წარუვალი „მე“, ადამიანის ნამდვილი არსი — ასე სწამს სოკრატეს — მისი სულია; მხოლოდ სული აცოცხლებს ხორცს, რომელიც სულის გაყრისთანავე კვდება, იშლება და იხრწნება, მხოლოდ სულია ადამიანური არსების ღვთაებრივი ნაწილი: მარადიული — წამიერში, უცვლელი — მოკვდავში. ამიტომ ჩვენი უპირველესი საზრუნავი ჩვენივე სული, მისი სიმშვიდე და სიწმინდე, მისი სიწრფე და სიძლიერე, მისი მშვენიერება და სრულყოფილება უნდა იყოს²⁷. უთუოდ უნდა დაზუსტდეს: აქ მხოლოდ ადამიანის გონივრული სული იგულისხმება, რადგან არისტოტელეს მოწმობით, სოკრატე სულაც უარყოფდა თურმე სულის არაგონივრულ, აფექტურ ნაწილს.

ადამიანის მთელი სიცოცხლე, დაბადებიდან სიკვდილამდე, ბედნიერებისაკენ სწრაფვაა. ყველას სურს ბედნიერი იყოს, და არ არსებობს უფრო მძაფრი, უფრო უძლევი სურვილი: ყველანი ვირჩევთ მხოლოდ იმ გზას, რომელიც ჩვენის აზრით, ბედნიერებისაკენ მიგვიძღვის და ხალხით აღვსილთ საგზლად მიგვაქვს ერთადერთი საზრდო — იმედი. მაგრამ იწყება მგზავრობა, თანდათანობით უკან გვრჩება, თანდათანობით ილრვა გზა და, მასთან ერთად, ჩვენი იმედიც. რადგან ის, რასაც გზაში ვხვდებით, ყველაფერია, ბედნიერების გარდა. უკან მოხედვასაც ვერ ვასწრებთ, რომ გავაფხულის სიმწვანეს, სილალეს და სიკისკასეს შემოდგომის სიყვითლე, ქცობა და დაღლილობა ცვლის და; ხოლოს, თავადაც დამქანარნი, დაღლილ-დაქანცულნი და გამოფიტულნი სამსხვერპლო ზვარაკივით ვიჩოქებთ გზის პირას, რათა სათითაოდ შევეშატოთ ჩვენსავით უნუგეშოთა და უსახოთა საკრებულს — პესიმისტთა მსოფლიო ძმობას. რატომ მოხდა ეს? დილა ისეთი უღრუბლო იყო, გზის დასაწყისი — ისე მომხიბლავი და მრავლისაღმქმელი! პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ გზა შეგვეშალა; იმიტომ, რომ ბედნიერების ბილიკს კი არ ვადექით, არამედ ტკბობისას და განცხრომისას, ხოლო ტკბობა კი არ ემთხვევა ბედნიერებას, არამედ უპირისპირდება მას. ტკბობის ბილიკი ჩვენს გარეთ გადის, ბედნიერებისა კი — ჩვენსავე

27. იხ. პლატონი, „პირველი ალკობიადე“, 130 და შმდ.

სულში. ტაბობა სურვილთა დაკმაყოფილებასაგან იღებს დასაბამს: ბედნიერების სათავე სულ სხვაგვარია: სურვილებისაგან განთავისუფლება ანდა მათი დაურევება და დაწმენდა (კიდევ ერთი რუსთველური მოტივი: „რაც არა გინდეს, იგი პქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“).

ამიტომ ადამიანის უპირველესი მიზანი ანგარების, პატივმოყვარეობის, ქვენა გრძნობების მდაბალი ინსტიქტების დაკმაყოფილება კი არ უნდა იყოს, არამედ სულის სრულქმნილებისათვის ზრუნვა. — ასეთია სოკრატეს მთელი მოძღვრებისა თუ პრაქტიკული მოღვაწეობის დედააზრი, მისი სასიცოცხლო პროგრამა: „მე თქვენ პატივს გცემთ, მე თქვენ მიუვარხართ, ათენელნო, — მიმართავს იგი თავის თანამოქალაქეებს, — მაგრამ მაინც ღმერთის უფრო მჭერა, ვიდრე თქვენო: ამიტომ, სანამ პირში სული მიდგას და ძალა მერჩის, ხელს არ ავიღებ ფილოსოფიაზე, არ დავმშვიდდები, არ დავცხრები და ვეცდები იგივე შთავაგონო თვითოეულ თქვენგანს, რასაც აქამდე შთავაგონებდი: „ეჰა, უკეთილშობილესო კაცთა შორის, ეჰა, ათენელო, უდიადები და სიბრძნითა თუ ძალმოსილებით ყველაზე სახელგანთქმული ქალაქის მოქალაქეა, ნუთუ არა გრცხვენია, რომ მხოლოდ ოქრო-ვერცხლზე გიჭირავს თვალი, მხოლოდ ფულის მოგებაზე გეღვა ხული? ნუთუ მხოლოდ სახელისა და პატივის მოხვეჭაა შენი საზრუნავი და არა სიბრძნე, კუშმარიტება, სული? ნუთუ არ გინდა, რომ შენი სული უფრო წმინდა იყოს, უფრო მშვენიერი, უფრო ზნესრული? ხოლო თუ რომელიმე თქვენგანი შემედავება და დაიწყებს იმის მტკიცებას, თითქოს დიახაც ზრუნავს სულისათვის, იმ წამსვე კი არ დავუხსნები და გავეცდები, არამედ კითხვას გავუშვებ, გამოვცდი, გამოვააშკარავებ. და თუ შევატყვი, რომ სიქველის ნასახიც არ გააჩნია და მხოლოდ თავს გვაჩვენებს ქველად, დავგმობ, შევარცხვენ, შევაჩვენებ იმის გამო, რომ არაფრად აგდებს ყველაზე ძვირფასს, ხოლო ყველაზე უფასური თავს ურჩევნია. ახე მოვექცევი ყველას, ვისაც შევხვდები, — მოხუცსა თუ ახალგაზრდას, უცხოელსა თუ ჩვენებურს, მით უმეტეს. — თქვენ, ათენელნო, ვინაიდან თქვენა ხართ ჩემი სიხელი და ხორცი, მერწმუნეთ, ამას მიბრძანებს ღმერთი, და მე შეგონია, მთელს ქალაქში არ მოგეძებნებათ უფრო დიდი სიკეთე, ვიდრე ეს ჩემი სამხატვრო კონსერტის მიმართ“...28.

რაკიდა ადამიანის ნამდვილი არსი მისი კონვირტული სულია, ამიტომ ჩვენი უზენაესი სიკ-

ეთე სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენივე, გონივრული სულის სიკეთე, რასაც სოკრატე სიბრძნესთან, ანუ სულის შემეცნებით, ანუ თვითშემეცნებით მიღწეულ ცოდნას, და ამ ცოდნის თანახმად ქცევასთან უკავშირებს. „ჩვენგანაც, მისი აზრით, ფასეულია მხოლოდ ეს ცოდნა, ე. ი. ცოდნა, რომელსაც შეუძლია საქმედ იქცეს. სწორედ სიბრძნეა გონების ქმედითობის, აზროვნების ერთადერთი უპირობო და უნივერსალური მიზანი. სწორედ სიბრძნეა უზენაესი სიქველედც, რადგან თვით აზროვნების შინაარსი ეთიკურია, და არა მარტო ეთიკური, არამედ რელიგიურიც: ადამიანური აზროვნების ანალიზს სოკრატე უშუალოდ მიჰყავს ღმერთის აღიარებამდე, ღმერთისა, რომელიც ისეთივე გონივრული და ცხოველმყოფელი საწყისია სამყაროსათვის, როგორც ადამიანის სული — მისი სხეულისათვის. „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“, — დეკარტის ეს ცნობილი ფორმულა ოდნავ შესამჩნევად რომ შევცვალოთ, მივიღებთ სოკრატეს მრწამსს: „ვაზროვნებ, მაშასადამე, არსებობს“. — იგულისხმება: არსებობს ღმერთი. „გგონია თუ არა, რომ შენ თვითონ გაგაჩნია გონიერების რაღაც ნაწილი? — ეკითხება სოკრატე არისტოტელს, — პოდა, ფიქრობ თუ არა, რომ სხვაგან არსად არავითარი გონიერება არ არსებობს? მაგრამ ხომ იცი, შენს სხეულში რომ მხოლოდ უმცირესი ნაწილია ვრცელი მიწისა და უმცირესი ნაწილი უსაზღვრო წყლისა; რომ ასევე უმნიშვნელო ნაწილებია მასში ყველა სხვა დიდი საწყისისა და მათი კარმონიული შეთანხმებითა შექმნილი იგი? და ამის შემდეგ გგონია, რომ ბედნიერი შემთხვევით მხოლოდ შენ მოგეჩივა სხვაგან არარსებული გონება? ნუთუ ფიქრობ, სიდიდითა და სიმრავლით განუზომელი ეს სამყარო რაღაც უგუნურებითაა მოწესრიგებული?..“29.

ღვთისშეტყველება უშუალოდ გამომდინარეობს სოკრატეს მთელი მოძღვრებიდან. როგორც პლატონის „სოკრატეს აპოლოგია“ გვიმოწმებს, ადამიანური სიბრძნის უწმინდობისა და უბადრუკობის შეგნება თავისთავად ნიშნავს ღვთიური სიბრძნის უსასრულობის აღიარებას³⁰. კაცს, რომელიც ამტკიცებს, რომ არაფერი არ იცის, ურყევად სწამს ცოდნის მემკვიდრე ცოდნის არსებობა, პირობითი და ხასრული ცოდნა თავისთავად გულისხმობს უპირობო და უნივერსალურ ცოდნას, აბსოლუტურ სიბრძნეს, როგორც კერძო გულისხმობს ზო-

28. პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, 25 - 30.

29. ქსენოფონტე, „მოგონებები სოკრატეზე“, I, VI, 8 (თარგმანი აკ. ურუშაძისა).
30. „სოკრატეს აპოლოგია“, 23.

გადს. სულს სიცოცხლე, აზროვნება, ზნეობრივი თვითშეგნება. — აი, ის ხაძირკველი, რომელ- ზედაც სოკრატე აფუძნებს ღმერთის ცნებას. თვით იდეალური ზოგადი მიზნის არსებობა ადამიანის სულში, თვით აზრის სწრაფვა-ქეშ- მარტივებისა და სიჭეთისაკენ, თვით გონების ქმედითობის ეთიკური შინაარსი სოკრატესათ- ვის სამყაროს შინაგანი სიმართლისა და სიკ- ეთის, ზეპიროვნული და ზებუნებრივი გო- ნივრული პირველსაწყისის — ღმერთის არს- ებობის დამატკიცებელი საბუთებია. ადამიანის უოველგვარი ცნობიერი ქცევა, უოველგვარი შეგნებული მოქმედება თუ მოღვაწეობა ქვე- ცნობიერად გულისხმობს ჩვენი არსებობის ფა- რულ მიზანს, იმის უსიტყვო აღიარებას, რომ ამ არსებობას რაღაცა აზრი აქვს. მაგრამ ეს აზრი მარტოდენ ადამიანური გონების სუბ- ექტური პრინციპი როდია: ჩვენსავ საკუთარ შეგნებაში ის უშუალოდ განიცდება როგორც კოსმიური პრინციპი. ჩვენი გონება, ჩვენი აზროვნების უნარი, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით თავისი არსებობის ფაქტივად კი ცოცხალ პროტესტად გვევლინება სამყარო- ში აზრის უოველგვარი ნიშანწყლის უარყოფის, ტოტალური უაზრობის წინააღმდეგ. სოკრატ- ეს არა სწამს, რომ ჩვენი გონება ერთადერთი უცნაური გამონაკლისია მთელს სამ- ყროში, რომ ჩვენი აზრი სრულიად უც- ხო და უთვისტომო მოვლენაა აზრისაგან და- ცლილ კოსმოსში. პირიქით, მისი ღრმა რწმე- ნით, არსებობს უოველისმომცველი ცნობიერე- ბა, უნივერსალური აზრი, მთელი გრძნობად- კონკრეტული სინამდვილის მაფორმირებელი და მახულდგმულელებელი უზენაესი საწყისი — ღმერთი, რომელიც აზრს ანიჭებს ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ცხოვრებასა და საერთოდ სამყაროს არსებობასაც.

მაგრამ როგორ განსხვავდება სოკრატეს მრწამსი მითოლოგიური წარმოდგენებისა და პოპულარული სარწმუნოებებისაგან; როგორ არა მგავს მისი ღმერთი ხალხის მიამიტური წარ- მოსახვით შექმნილ ღმერთებს, რომლებიც ად- ამიანებივით კამენ, სვამენ, ღრეობენ, ლოთო- ბენ, მრუშობენ; ღმერთებს, რომლებსაც შიათ, სცივათ, სწყურიათ, სძულთ, შურთ და უყვ- ართ; ღმერთებს, რომლებიც მრისხანებენ, ში- შობენ, ეჭვიანობენ, იბრძვიან, მარცხდებიან და იმარჯვებენ; ღმერთებს, რომლებსაც მხოლოდ იმით განსხვავდებიან ადამიანებისაგან, რომ მა- თი ვნებები უფრო მძაფრია; მიზნები — უფ- რო დიადი; თვალსაწიერი — უფრო ჭარბი; აზ- რი — უფრო გამჭრიახი; ძალმოსილება — შე- უმუსრავი; თვითრწმენა — ურყევი; არსებო- ბა — წარუვალი... სოკრატეს თეოლოგია ძი-

რეულად უპირისპირდება ამ პრიმიტიულ მრწამსს: ღმერთი, როგორც კოსმოსის უზენ- აესი კანონმდებელი, ბუნებასა და სინამდვილ- ეზე ამაღლებული; ღმერთი, როგორც ეთიკუ- რი არსება, სამყაროს შინაგანი სიკეთე და სი- მართლე; ღმერთი, როგორც სინდრისის სიწრ- ფელე, ზნეობრივი საწყისის ზეობა ადამიანის სულში.

აკ ჩვენ მივაღებთ სოკრატეს მხოლოდშე- გრძნების სრულიად უჩვეულო და თავისებურ ასპექტს, რომელსაც პარალელი არ ეძებნება ბერძნული და არა მარტო ბერძნული ფილო- სოფიური აზრის ისტორიაში. მთელი სიცოც- ხლის მანძილზე სოკრატე უშუალოდ განიცდი- და მის სულში დამკვიდრებული ღვთაებრივი (დემონიური) ძალის ზემოქმედებას. ისმენდა მის იღუმალ კარნახს, რომელიც დროდადრო შთაგონებით ავსებდა და ამა თუ იმ კონკრე- ტულ შემთხვევაში ქცევის წესსა და მოქმედე- ბის გეზს უჩვენებდა მას; თუმცა ეს ხილვა, ეს ჩვენება უოველთვის ნეგატიური იყო; დემონი თითქოს ნიშანს აძლევდა, რა არ უნდა მოემ- ოქმედა, რისგან შეეკავებინა თავი, რას გარი- დებოდა. ...ღვთიური წინასწარგანჩინებით. — ეუბნება სოკრატე თეაგესა და დემოდოკეს, — ბავშვობიდანვე თანა მღევს რაღაც დემონიუ- რი. ესაა ერთგვარი იღუმალი ხმა, რომელიც ანაზდეულად ჩამესმის უოველთვის, როცა რა- ლაცის ქმნას ვაპირებ, და ნიშანს მაძლევს, თა- ვი შევიკავო ამისაგან. მაგრამ არაფრის საქმე- ლად კი არ მაქვსებს³¹. იგივე აზრი თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება „სოკრატეს აპოლ- ოგიაშიც“: „...მე ვგრძნობ ჩემში რაღაც ღვთა- ებრივს თუ დემონიურს, რასაც მეღეტოსმა ასე მწარედ დასცინა თავის ბრალდებაში. მაგრამ, რა ვქნა, თუ სიყრმითვე აშკარად ვგრძნობ, როგორ მეჩურჩულება რაღაც იღუმალი ხმა, რომელიც უოველთვის მიშლის იმის კეთებას, რისი გაკეთებაც მსურს, წაქეზებით კი არას- ოდეს არაფრისთვის არ ქაქეზებს³²“.

არსებობს მთელი ლიტერატურა ამ „დემო- ნიური“ ფენომენის შესახებ. სტოელები და ნე- ოპლატონიკოსები თითქმის უცვლელად იზიარებ-

31 პლატონი, „თეაგე“, 128.
32 პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, 31. შდრ. „ეეთიფრონი“, 3; „ეეთიდემე“, 272; „პირველი ალკიბიადე“, 103; „დიდი პიპია“, 304; „თევტეტი“, 151; შდრ. აგრეთვე ქსუ- ნოფტენტე, „მოგონებები სოკრატეზე“, 1, 1,4; არისტოტელე, „რიტორიკა“, 11, 23,5; პლუტარ- ქე, „სოკრატეს დემონისათვის“, ციცერონი, „მისნობისათვის“, 1,54; აბულეიუსი, „სოკრატ- ეს ღვთაებისათვის“ და სხვ.

დნენ სოკრატეს მრწამსს; ეკლესიის მამები მასში „ეშმაკს“ ან „ანგელოსს“ ხელავედნენ, იმის მიხედვით, თუ ვინ რა თვალთ უყურებდა ძველ ბერძნულ ფილოსოფიას; ახალი დროის სწავლულთაგან ზოგისათვის ესაა ე. წ. „მედ-იუმური“ მოვლენა, ზოგისათვის კი უბრალო აღგზორია, რომლითაც ფილოსოფოსი თითქოს მხოლოდ წილბავდა თავის ხალ ბუნებრივ აზრს. მაგრამ პირველწყაროების ურთიერთშეჭერება და სოკრატეს უშუალო მოწაფეების ერთსულოვანი აღიარება მოწმობს, რომ მათ პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდათ ეს „რალაც დემონიური“, უოველგვარი ორჭოფობის გარეშე სწამდათ ეს ღვთიური ხმა, რომელსაც თვითონ სოკრატე აღიქვამდა როგორც უწინაესი ძალისა თუ ნების ერთგვარ პროვიდენციულ გამოცხადებას³³. და ბოლოს, მკითხველსათვის, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება დიდი ფრანგი სეპტიკოსის მიშელ მონტენის აზრი:

„სოკრატეს დემონი, როგორც ჩანს, სხვა არა იყო რა, თუ არა მისი ნების ერთგვარი აღმაფრენა, რაც მისსავ გონებაზე როდი ვახლდათ დამოკიდებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ესოდენ ამაღლებულსა და თანაც სიბრძნესა და სიქველესი მიუღმივი თვითწვრთნით გამობრძმედილ სულში ნების ამგვარი მიდრეკილება, მთელი მისი ბუნდოვანებისა და გაუცნობიერებლობის მიუხედავად, ალბათ, უოველთვის გონივრული იყო და ღირსი იმისა, რომ მის მბრძანებლურ კარნახს აპუოლოდა კაცი. თვითეულ ჩვენგანს მეტ-ნაკლები სიცხადით განუცდია სულის ასეთივე ძლივამოსილი ლტოლვა, ანაზდეულად და მძაფრად აღძრული. მე ხომ ის კაცი ვარ, ვინც ეჭვის თვალთ უყურებს ადამიანთი გონიერებას, მაგრამ თვით ჩემს თვალშიაც კი დიდად ფასობს ნების ესოდენ ძალუში აღტყინება. თვითონაც ხშირად განმიცდია ეს უჩვეულო მდგომარეობა, არნახული ძალით რომ გვიზიდავს რაიმეს მიმართ, ანდა ზურგს გვაქცევინებს მისთვის; ეს უკანასკნელი განცდა უფრო ნიშნეული იყო სოკრატესათვის. მეც არაერთხელ აუყოლივარ ამ იდუმალი ხმის მბრძანებლურ კარნახს, რაც ბევრჯერ იმდენად დიდებული და ღირსშესანიშნავი შედეგით დაგვირგვინებულა, რომ, დმერთმანი, მისი მიზეზი ღვთაებრივ შთაგონებასთან უნდა იყო წილნაყარი“...³⁴

საკუთარ სულში დამკვიდრებული დემონის, ათენის, მთელი ელადის სამსახური მიაჩნია სოკრატეს თავის ამქვეყნიური არსებობის ერთ-

თადერთ დანიშნულებად. ესაა მისი რელიგია, მისი კულტი, მისი ნამდვილი ღმერთისმსახურება. სოფისტების „სპირტუალური პარპაშით“ დეზორიენტირებულ ქვეყანას, კალაპოტიდან ამოვარდნილსა და თავგზაუნულ ქვეყნებს მოვლდა-პატრონობა სტირდებულ მხრეებზე სიბრძნეს და სიქველეს თუ შეუძლია საყოველთაო სიყალბის იმ დახლართული ლაბირინთის გარღვევა, რომელშიაც სოფისტებმა შეიტყუეს ერი. სოკრატე თავის უშუალო მოვალეობად თვლის შეაგნებინოს თანამედროვეებს მათი სავალალო შეცდომა, გამოათხიზლოს სოფისტების ქადაგებით დაბანგული თანამოქალაქენი. მთელი მისი მოძღვრება — შემეცნების თეორია, ზნეობრივი სწავლა, ღვთისმეტყველება ძირფესვიანად უბირისპირდება სოფისტების გნოსეოლოგიას, ეთიკას, თეოლოგიას. ასევე მკვეთრად განსხვავდება მისი პრინციპული უანგარობა სოფისტების საქმოსნური პრაქტიციზმის, მათი სიბარბისა და მომხვეჭელობისაგან. ძნელია მოიძებნოს მეორე ფილოსოფოსი, ვისი სიტყვა და საქმე, თეორიული მოძღვრება და პრაქტიკული მოღვაწეობა ესოდენ სრულად რომ ერთხვეოდეს ერთიმეორეს.

„... მე რომ მართლა ისეთი ვარ, — არაორაზროვნად აცხადებს იგი სასამართლო პროცესზე, — როგორიც დმერთმა წარმომგზავნა ამ ქალაქში, აი, ამის უტყუარი საბუთი: მითხარიოთ, სად გინახავთ ან გაგიგონიათ, რომ კაცმა ხელი აიღოს თავის თავზე, ამდენი წელი გაჭირვებაში ამოხადოს სული საკუთარ ოქახს, და მხოლოდ თქვენი საქმე აკეთოს, თავისებურად მიუდგეს თვითეულ თვენგანს, როგორც უფროსი ძმა ან მამა, და სიქველისათვის დაუცადებელი ზრუნვა შთააგონოს. მე რომ რაიმე გამორჩენა მქონდეს ან სწავლის საფასურს მოვითხოვდე, კიდეც მო, კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ ანგარების კარნახით ვიქცევი ასე, მაგრამ ხომ თქვენი თვალთ ხელავთ, ჩემს ბრალმდებლებს, რომლებიც უველაფერში ასე ურცხვად მდებდნენ ბრალს, აქ უკვე აღარ ეყოთ უტიფრობა და ვერც ერთი მოწმე ვერ დაასახელებს იმის დასადასტურებლად, თითქოს ოდესმე ამეღოს, ან თუნდაც ვინმესთვის მომეთხოვოს სწავლის საფასური. მე კი, მათგან განსხვავებით, შემიძლია ჩემი სიბართლის სავსებით სანდო მოწმე დავისახელოთ. — ჩემი სილატაკე“³⁵.

თუმცა თავისი ხელმოკლეობის, თავისი სილატაკის მიუხედავად, ეს კაცი უველაზე პოპულარული პიროვნებაა მთელს ათენში. მას გარს ახვევია მოწაფეების, მეგობრების, თანა-

33. ს. ნ. ტრუბეცკოი, დასახ. ნაშრ. გვ. 231.
34. მიშელ მონტენი, „ცდები“, I, თ. XI.

35. პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“ 31.

მოაზრებების, ცნობისმოყვარე ათენელებისა თუ უცხოელების მრავალრიცხოვანი ამაღლა, როგორც დიონისეს — ფაგნები და სატირები. ან ლატაკი როგორ უნდა ვუწოდოთ მას, ვინც ყველაზე გულუბვი მასპინძელია ელინთა შორის: სიბრძნეა მისი ღვინო, სიხალისეა მისი პური. მერედა, რამდენი სული ეწაფება ამ ძელგსა და თავანჯარა ღვინოს. ქეშმარიტების ვნებიანი სიყვარულით შეძრული რამდენი სული. სოკრატეს სუფრას უზის მთელი ელადის ინტელექტუალური ელიტა. საკმარისაა ჩამოვთვალოთ რამდენიმე ყველაზე დიდი სახელი: ეკვლიდე (არ აგვერიოს გენიალურ მათემატიკოსში), ანტისტენე, არისტოპე, ფედონი (მისი სახელი ეწოდება პლატონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღიაფოსს), რომლებიც მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ დაარსებენ მეგარელთა კინიკოსთა, კორენელთა და ელიდეელთა ფილოსოფიურ სკოლებს და თვითონვე ჩაუდგებიან მათ სათავეში: ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ქსენოფონტი; დიდ ტრაგიკოსთა ტრიადის უკანასკნელი წევრი — ევრიპიდე და ბოლოს, ელადის სიამაყე — პლატონი, ვის ქმნილებებშიაც სოკრატე დღემდე აგრძელებს თავის მარადიულ სიცოცხლეს. ახლა კი ჩვენკენ გადმოჟინაცვლოთ დროში: კორენელთა სკოლიდან იღებს დასაბამს ეპიკურეიზმი, ხოლო კინიკოსთა სკოლიდან — სტოიციზმი (ძენონ კითონელი, კლემანთე, ქრისიპე, სენეკა, ეპიქტეტე, მარკუს ავრელიუსი); მაგრამ ყველაზე მძლავრი და ნაყოფიერია პლატონის ხაზი: ძველი, საშუალო და ახალი აკადემია (სპევსიპე, ქსენოკრატე, პოლემონი, კრანტორი, კრატესი, არკესილაოსი, კარნეადე), ნეოპლატონიზმი (პლოტინი, პორფირიოსი, იამბლიქოსი, პროკლე) და, ბოლოს, პლატონიზმის თავისებური განშტოება — არისტოტელიზმი. ასე რომ, სოკრატეს, მისი მოწაფეების, თანამოაზრეებისა და უახლოესი თუ შორეული მემკვიდრეების ცხოველყოფელი აზრი მზის სხივებივით განწონის მთელ ზოგადსაკაცობრიო კულტურას — ფილოსოფიას, რელიგიას, თეოლოგიას, მწერლობას, ისტორიას, ლოგიკას, ფსიქოლოგიას და ა. შ. და ა. შ.

მაგრამ ყოველივე ეს შორეული მომავლის საქმეა, საიდანაც გაცილებით უკეთა ჩანს სოკრატეს პიროვნებისა და ღვაწლის მნიშვნელობა, ვიდრე მის თანადროულ ათენში, სადაც დღითი დღე სულ უფრო მძიმე და დაძაბული ხდება ცხოვრება. პელოპონესის ომი (431-404 წ. ძვ. წ. ა.), რომელშიაც ელინურ სამყაროში ჰეგემონიის მოსაპოვებლად ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი უძლიერესი ბერძენ-

ული სახელმწიფო — სპარტა და ათენი, საბედისწერო აღმოჩნდა მთელი ელადისა და განსაკუთრებით ათენისათვის. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ამ ხანგრძლივი და ძაღამკვლელი ომის დრამატული ეპიზოდების დაწვრილებით განხილვა. ვიტყვით მხოლოდ, რომ 405 წელს, როცა მელესპონტში, ეგონ პოტამონის შესართავთან სპარტელებმა სასტიკად დაამარცხეს ათენელთა სამხედრო ფლოტი, გამარჯვებულთა მთავარსარდალი ლისანდრე პირეოსს მიადგა და ალყა შემოარტყა ათენს. 404 წელს ატიკის დედაქალაქი იძულებული შეიქნა ქედი მოეხარა და დანებებოდა მტერს. საზავო ხელშეკრულების თანახმად, რომლის პირობებსაც სპარტა უკვე თვითნებურად კარნახობდა თავის ყოფილ პოლიტიკურ მეტოქეს, ათენელებს მოწინააღმდეგისათვის უნდა გადაეცათ მთელი თავიანთი ფლოტი, მოესპოთ დემოკრატია, დაენგრიათ ქალაქის გალავანი და უყოყმანოდ ელიარებიანთ ლაკედემონის (სპარტის) ჰეგემონია. ლისანდრეს განკარგულებით, ათენის დემოკრატია დამხოვილ იქნა და მთელი ძალაუფლება გადავიდა ოლიგარქიული მმართველობის — ე. წ. „ოცდაათი ტირანის“ ხელში, რომლებსაც სათავეში ედგნენ დემოკრატის მოსიხბლე მტრები — სოკრატეს ყოფილი მოწაფე, პლატონის ბიძა (დედის ძმა) კრიტია და თერამენე.

წარმოუდგენელია უფრო თავზარდამცემი კატასტროფა, უფრო დიდი ეროვნული უბედურება, ვიდრე გადამწყვეტი ბრძოლის წაგება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა; არაფერია უფრო მწარე, ვიდრე საბოლოო მარცხის საბედისწერო შედეგი. თითქოს ერთბაშად დუნდება ერის მძლეთამძლე ნება, იწრიტება მისი სასიცოცხლო ენერჯია, უფასურდება ყოველგვარი ფასეულობა. სიამაყე მონურ ქედმოდრეკილობად და მლიქვნელობად იქცევა, თავგანწირვა — სიბრყველ, სიკვდილი — უაზრობად თვითრწმენა — უბადრუკილუზიად. ამას ზედ ერთვის სატელიტური მთავრობის სისხლიანი თარეში, უკანონობა, ძალადობა, უსამართლობა, — აი, რითი აღინიშნა ოცდაათი ტირანის მმართველობა, რომლებმაც ნამდვილი ნადირობა გამართეს დემოკრატის მომხრეებზე, პოლიტიკურად არასაიმედო პირებსა და მლიდარ მოქალაქეებზე, რომლებსაც განუკითხავად ხოცავდნენ, რათა მათი ქონება მიეთვისებინათ. ტირანებმა სამი ათას კაცამდე შეამცირეს ათენის სრულუფლებიან მოქალაქეთა რიცხვი და საგანგებოდ შემოღებული კანონის თანახმად უფლება მიიღეს სიკვდილით დაესაჯათ ყველა, ვინც შეტანილი არ იყო ამ სამი ათასი კაცის სიაში.

რებრესიებმა სულ მოკლე ხანში ათასობით მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ათენელთა საბედნიეროდ, ოლიგარქიულმა მმართველობამ მხოლოდ რვა თვეს გაძლო, განდევნილმა დემოკრატებმა, თრასიბულეს მეთაურობით, თავიანთ ძალებს თენესში მოუყარეს თავი და აქედან გაილაშქრეს ატიკაზე; თავდაპირველად აიღეს პარეოსი, შემდეგ — ათენი და ბოლოს ელევისი, სადაც გამაგრებულნი იყვნენ ათენიდან გაქცეული ოლიგარქები. ოცდაათთა ტირანიის ლიკვიდაციას ხელი შეუწყო იმ შინააშლილობამაც, რომელმაც სპარტაში იჩინა თავი. ლისანდრეს აღზევნამ და მისი გავლენის ზრდამ შეშფოთება გამოიწვია სპარტის მმართველ წრეებში. სპარტის მეფემ პავსანიამ სცადა ლისანდრესათვის გვერდის ავლით დაეზავებინა დემოკრატები და ზომიერი ოლიგარქები, 401 წელს ათენში გაიმარჯვა დემოკრატებმა, ხოლო 399 წელს ის მთლიანად აღდგენილ იქნა, მაგრამ უკვე საბოლოოდ დაჰკარგა იმის უოველგვარი შესაძლებლობა, რომ წარმმართველ პოლიტიკურ ძალად ქცეულიყო ბერძნულ სამყაროში... უველაფერი უჩვეულოდ დაკნინდა და დაპატარავდა. დემოკრატებს თავიანთ უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ შურისძიება: ცდილობენ შანთით ამოწვან და ამოძირკვონ ოლიგარქთა ბატონობის ყველა სავალალო შედეგი და ვერ კი გრძნობენ, რომ თანდათანობით ემსგავსებიან თავიანთ წინამორბედს.

პელოპონესის ომის დასაწყისში ათენის დემოკრატიის სათავეში იდგა დიდი პერიკლე, ომის დამლევეს კი დემოკრატიულად პარტიის ერთ-ერთ ლიდერად გვევლინება სოკრატეს ბრალმდებელი, სადაბალო სახელოსნოების მფლობელი ანიტოსი, — გაქნილი მედროვე, რომელსაც დემოკრატიაცა და დემოკრატობაც მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ ხალხის ხარჯზე მოითბოს ხელი და ანგარიში გაუსწოროს თავის პოლიტიკურ მტრებს. ანიტოსი გამონაკლისი როდია. ყველა თავისი გზით მიდის, ყველა თავის გამოსარჩენს ეძებს, ყველა ცდილობს მოიხსნას პასუხისმგებლობის ტვირთი და სხვებს აჰკიდოს მხრებზე. აღარც დიდი პოლიტიკა, აღარც დიდი მიწნები, აღარც დიდი მრწამსი. ირდვევა სახელმწიფოებრივი მთლიანობის, ეროვნული ერთობის ყველა ტრადიციული საწყისი. კალაპოტმოშლილი და ჭებირებმორღვეული ვეებერთელა წყალუხვი მდინარე უკიდევანოდ იშლება, ურიცხვ წვრილ ტოტად იწეწება და ბოლოს შმორიან გუბუნებად იქცევა, შიგ მოფუთფუთე თავკომბალებით.

ამ ძნელბედობის უამს სოკრატე არ უოფი-

ლა და არც შეიძლებოდა უოფილიყო სამშობლოს უბედურების, ხალხის კირ-ვარამის გულგრილი მოწმე, ცხოვრებისაგან განდგარი და საკუთარ ზმანებებში დანთქმული პაიიური მჭვრეტელი. თავის თანამოქალაქეებთან ერთად ის თავგანწირვით ებრძვის ათენის ღირსებისა და თავისუფლებისათვის. სამჯერ მონაწილეობს პელოპონესის ომში. მისი გამირობის მოწმენი არიან პოტიდეასთან (432 წ. ძვ. წ. ა.) დელაონსა (424 წ.) და ამფიპოლისთან (422 წ.) გამართული ბრძოლების მონაწილენი. შესაშური მისა მხნეობა და კირთათმენის უნარი ლაშქრობის უმძიმეს პირობებში. მისი შეპართება და ქედუხრელობა ბრძოლის ველზე, სადაც სიცოცხლე მხოლოდ უბადრუკი სათამაშოა სიკვდილის ხელში... პელოპონესის ომის წაგების შემდეგ კი სოკრატე კვლავ განაგრძობს ბრძოლას, ამჯერად უკვე თავისი დამარცხებული და ფეხქვეშ გათელილი ხალხის სულიერი სიმრთელისათვის: „ღიახ, ასეა, — აცხადებს იგი სასამართლოში, — ქეშმარიტად ასეა, ათენელნო: ვისაც რა ადგილი უჭირავს მწყობრში, სულ ერთია, იმიტომ, რომ თავისთვის ყველაზე უკეთესი და შესაფერისი მგონია იგი, თუ იმიტომ, რომ სწორედ ეს ადგილი მიუჩინა არქონტმა, ჩემი აზრით, იქვე უნდა დარჩეს და არად ჩააგდოს არც საფრთხე, არც განსაცდელი, არც სიკვდილის შიში, ერთი სიტყვით, არაფერი გარდა სირცხვილისა. იოლო მას შემდეგ, რაც თქვენს მიერ არჩეულმა არქონტებმა მომიჩინეს მწყობრში ადგილი, რათა მათი წინამძღოლობით შევბოდი მტერს, — ასე იყო პოტიდეასთან, ასე იყო ამფიპოლისთან, ასე იყო დელიონთან. — ღიახ, მას შემდეგ, რაც მე, ისევე როგორც ბევრი თქვენგანი, ათასგვარი განსაცდლისა და სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, მტკიცედ და ნირ-შეუცვლელად ვიდექი ჩემს ადგილას, — თავად განსაჯეთ, რას ემგვანებოდა ჩემი ქცევა. ათენელნო, თუკი ამჟამად, როცა თვით ღმერთმა ჩამაყენა მწყობრში და მიბრძანა, მესდიე ფილოსოფიას და გამოსცადე როგორც შენი თავი, ისე სხვებიცო, — ანაზდეულად შემაერთობდა სიკვდილისა თუ სხვა რამის შიში და ლარულად მივატოვებდი მწყობრს“³⁶...

არა, მას არასოდეს მიუტოვებია მწყობრი, არც ბრძოლაში და არც ბრძოლის შემდეგ, არასოდეს უღალატია თავისი წმიდათაწმიდა ვალისათვის. ღვთივრჩეულობის შეგნება ანიტებდა იმის ძალას, რომ წარბშეუხრელად დაპი-

36. იხ. პლატონი, „ნადიმი“, 220-221; სტრაბონი. IX, II, 7.
37. პლატონი, „სოკრატეს ამოლოგია“, 28

რისპირებოდა ოცდაათი ტირანის გულმხეცობას და სისასტიკეს... როცა ოლიგარქიის დრო დადგა, — შეახსენებს იგი თავის თანამოქალაქეებს სასამართლო პროცესზე, — ოცდაათმა ტირანმა... თოლოსში დამიბარა, ოთხ სხვა მოქალაქესთან ერთად, და მიბრძანა ღეონ სალამინელიმ ჩამომეყვანა სალამინიდან, ვინაიდან მისი სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამნაირი ბრძანება მაშინ ბევრმა სხვადასხვა მიიღო. ვინაიდან ტირანიას სურდა ამ გზით გაეწარდა დამნაშავეთა რიცხვი. მაგრამ მე ამჯერადაც სიტყვით კი არა, საქმით დავამტკიცებ, რომ სიკვდილი, თუ შეიძლება ასეთი ქვას, არაფრად მიჩანს, ხოლო უსამართლობისა და უკეთურობისაგან განზე დგომა უფლაფერია ჩემთვის. ხომ ასე ძლიერი და სასტიკი იყო ეს მმართველობა, მაგრამ ვერ შემაშინა და ვერ მაიძულა უსამართლობა ჩამედიხა. თოლოსიდან რომ გამოვედი, ოთხივე ჩემი თანამზრახველი სალამინს გაემგზავრა და ღეონი ჩამოიყვანა, მე კი შინსაკენ გავწიე ალბათ. სიკვდილით დამსჯიდნენ ამ ურჩობისათვის, მაგრამ ტირანია მალე დაემხო. რამდენი თქვენგანია უოველივე ამის მოწმე?³⁸

ტირანია დემოკრატიაზე შეცვალა, მაგრამ ამით, არსებითად, მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ახლა უკვე შურისძიების გრძნობით შეპყრობილი დემოკრატები ნადირობენ ოლიგარქებზე. ამოოდ ქადაგებს სოკრატე დიდსულოვნებას, ღმობიერებას, შემწუნარებლობას: „უნდა გვახსოვდნენ ამ ძმათაშვილელი ომების მსხვერპლნი და ვეცადოთ, შეძლებისდაგვარად, ლოცვითა თუ მსხვერპლშეწირვით შევევედროთ აქ მწოლარეთ, შეუნდონ და შეურიგდნენ ერთიმეორეს, რაკილა ჩვენც შევეურიგდით და დავუზავდით ერთმანეთს. ჩვენ — ცოცხლები — თვითონვე ვიყავით ამ უბედურების მოწმენი და, როგორც მათი თვისტომნი, ერთმანეთს მივუტევებთ იმას, რაც ჩავიდინეთ და რაც დავითმინეთ“³⁹. ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. — სოკრატეს უშედეგო მცდელობას უველაზე უკეთ ესადაგება ეს სიტყვები, რომლებსაც მხოლოდ ოთხი საუკუნის შემდეგ წარმოთქვამენ სულ სხვა ცნის ქვეშ და სულ სხვა ხალხში. ფუქია უოველგვარი ძალისხმევა, ვედარაფერი დაიურავებს შურისძიების თავაწყვეტილ უინს: სისხლი მხოლოდ სისხლით მოიბანება! თითქოს ჭერ კიდევ მოუშუშებელი ქრილობები საქმა-

38. ცნობილი დემოკრატია.
39. პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, 32.
40. პლატონი, „მენექსენე“, 244.

რისი არ იყო, დღითი დღე ახალი წულუღეები ემატება მრავალტანჯული ელადის სხეულს. თავისი დიდი ქირისფულას თვალში სულს დაფავს პარტიული ბრძოლებით, შინაშლილობებით, ძმათაშვილელი ომებით დაქცეული და გაპარტახებული ქვეყანის კლდეებში დემოკრატებს უთხრიან სამსახურს. ოლიგარქებს, ათენი — სპარტას, სპარტა — ათენს, ხოლო უველანი ერთად — საბერძნეთს, და ეს მაშინ, როდესაც აღმოსავლეთიდან დაუინებით მოიწევს უდაბნოს უოველისწამლევი სუნთქვა, მოიგრაგნება პირაშემული შავი ურჩხული — არტაქსერქსე II მნემონის სპარსეთი, შთანთქმას რომ უქალის ათენს, სპარტას, მთელ ელადას, როგორც უკვე შთანთქა და მოინელა მცირე აზიის ბევრი ბერძნული პოლისი.

როდენ მწარეა იმის შეგნება, რომ თვით უფროს და უტყვი ცხოველები, თვით ძალღებიც კი უკეთ ერკვევიან ასეთსავე ვითარებაში, ვიდრე მსოფლიოს უველაზე კულტურული ქვეყნის მოქალაქენი: ძალღები, რომლებიც მგლის გამოჩენისთანავე თავს ანებებენ ბრძოლას ნაპოვნი ძვლის დასაუფლებლად, რათა ერთად მოიგერიონ მტერი; ძალღები, რომლებიც მართო ეზოპეს იგავში კი არ იქცევიან ასე, არამედ ცხოვრებაშიც, სინამდვილეშიც, ნუთუ ბრმა ინსტიქტი უფრო ჭკვიანია, ვიდრე ცივილიზებული ადამიანის გონი? მხოლოდ სიბრძნით, სიბილწით, ეგოიზმით, პრაქტიკულ ინტერესთა გამოგნებელი სხვადასხვაობითა და გაუყულმართებული ნების სიმრუდით თუ აიხსნება ადამიანის ღირსების შეურაცხყოფელი ეს პარადოქსი. სისხლიანი სინამდვილე, ცხოვრების მწარე გამოცდილება ერთხელ კიდევ თვალნათლივ არწმუნებს სოკრატეს, რარიც აუცილებელია გონებაჩლუნგ დემაგოგთა პატავმოყვარული ზრახვების მსხვერპლად ქცეული ხალხისათვის მიწნებისა და საშუალებების მკაცრად განმსაზღვრელი ცოდნის, თვითშემეცნების, სიბრძნისა და სიტყველის მისეული იდეალი. არა, ის ადვილად არავის დაუთმობს გონიერების — თავისი სათაყვანებელი კერპის ხელყოფას, მის შეგინებას და შებილწვას.

რაც უფრო მეტად იჭუფრება ატიკის ცა, რაც უფრო მკაცრი, უნუგეშო და უსიხარულო ხდება ცხოვრება, მით უფრო შეუპოვარი და დაუნდობელია სოკრატეს ბრძოლა ადამიანური სიბილწისა და სიმდაბლის, უმეცრების, ქვენა გრძნობების, ზნედაცემულობის წინააღმდეგ; თავგანწირული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც თვით სასამართლოშიაც

გრძელდება: „ამრიგად, მე ახლა თავს კი არ ვიცი, ათენელნი, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს კაცს, არამედ თქვენ ვიცავთ, დიას, თქვენ, რადგან ვშიშობ, თუკი სიკვდილით დამსჯით, არ დაკარგოთ უფლის მიერ ბოძებული ღვთიური ნიჭი. მართლაც, თუ მომკლავთ, სადღა კმოვებთ ჩემნაირ კაცს, რომელიც — სასაცილოა, ღმერთმანი, — თვითონ უფალმა მიუჩინა ჩვენს ქალაქს, როგორც ძლიერსა და კეთილშობილ, მაგრამ მეტიმეტი სიმსუქნისაგან გაზარმაყებულსა და გაზულუქებულ ცხენს, რომელსაც უჭირს განძრევა, თუ აბეზარი კრაზანა თავისი ბასრი ნესტრით, როგორც წვეტიანი ღებებით, არ უწყლავს ფერდემს. მე მგონია, ღმერთმაც სწორედ იმ მიზნით წარმოგზავნა ამ ქალაქში, რომ მთელი დღე მუხლჩაუხრელად ვიარო კარდაკარ, გამოგაფხიზლოთ, მოსვენება არ მოგცეთ, ყვედრებით აგავსოთ. სხვას ჩემისთანას აგრე იოლად ვეღარ იპოვით, ათენელნი, მე კი, თუ მეტრწმუნებით, შეგაძლიათ შემინარჩუნოთ, თუმცა აღვილი შესაძლებელია, ისედაც მოხდეს, რომ ერწმუნოთ ანიტოსს, გაგულისდეთ და, როგორც ძალად გამოღვიძებულმა და თავგაბეზრებულმა კაცმა—აბეზარი მწერი, ბელის ერთი მოსმით გამსრისოთ. მაშინ კი მოგიწევთ მთელი თქვენი სიცოცხლე თვლენაში გალიოთ, თუ ღმერთმა მოწყალე თვალთ არ გადმოგხედათ და სხვა ჩემნაირი არ მოგივლინათ ვინმე“¹¹.

განწირულობის, გარდუვალი აღსასრულის წინათგრძნობით თავიდან ბოლომდე გამსჭვალული ეს სიტყვები სოკრატეს დროინდელი სინამდვილის, ბერძნული საზოგადოების წიაღში მოქმედ სოციალურ ძალთა თანაფარდობის, პრაქტიკულ ინტერესთა და ეთიკური იდეალთა სრული ურთიერთშეუსაბამობის, პოლიტიკასა და მორალს შორის საბუდისწერო გათიშულების უშუალო ანარკლია. იშვიათად დაცემულია სიკეთის თესლი უფრო მწირსა და უნაყოფო ნიადაგზე. ქვეყანა სიხარბის, ანგარების, პატივმოყვარეობის სათარეშოდ არის ქცეული. რაღა დროს იმის ჩხრეკაა, თუ რა არის სამართლიანი და უსამართლო, კეთილი და უკეთური? სახლი იწვის და მხოლოდ ბრძევები გარბიან წყლის მოსატანად, ვინაიდან ისაა ბრძენიც და ქველიც, ვინც ცეცხლის აღზე უფრო მარჯედ მოითბობს ხელს. „მე მგონია... — გაქნალი პოლიტიკოსის ცინიკური გულისხმიანობით ეუბნება ალკიბიადე სოკრატეს, ათენელებიცა და დანარჩენი ელინებიც იშვიათად თათბირობენ იმის თაობაზე, თუ რა

არის სამართლიანი და რა — უსამართლო. ისინი ფიქრობენ, რომ ეს თავისთავადაც ცხადია, ამიტომ გვერდს უვლიან ამ საკითხს და მხოლოდ იმაზე ბჭობენ, რაც მათთვის სასარგებლოა, მაგრამ, ჩემის აზრით, სპარტოელი და სასარგებლო სულაც არ არის უფრო უფრო იგივე მართლაცდა, რამდენმა ვინმემ ისარგებლა იმით, რომ საშინელ უსამართლობას სჩადიოდა, მაშინ როდესაც სამართლიან ხალხს, რამდენადაც ვიცო, თავისი სამართლიანობით არაფერი უსარგებლია“¹².

სარგებლობა თუ სამართლიანობა, პრაქტიკული ინტერესები თუ ეთიკური იდეალები, ერთის სიტყვით, პოლიტიკა თუ მორალი? — აი, მარადიული დილემა, რომელიც განსაზღვრავს ყოველგვარი საზოგადოებრივი წყობილების შინაგან ბუნებას, იმის მიხედვით, თუ ამ ორი სოციალური ძალიდან რომელია წამყვანი, წარმართველი, გეზის მიმცემი, ესე იგი, პოლიტიკა მთლიანად იქვემდებარებს მორალს, მთლიანად თრგუნავს და არარაობამდე დაჰყავს იგი, თუ ნაწილობრივ მაინც ხელმძღვანელობს ეთიკური პრინციპებით. თვითმკმარობის რაც უფრო მეტ ტენდენციას ამჟღავნებს პოლიტიკა, რაც უფრო სრულად ხდება საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ცნობიერების ერთპიროვნული მფლობელი, რაც უფრო უნაშთოდ ისრუტავს ყოველგვარ ფასეულობას და საკუთარ თვალსაზრისამდე დაჰყავს ყველა თვალსაზრისი, მით უფრო გარიყული და განაპირებული რჩება ყველა სხვა სოციალური ძალის ქმედობა, მით უფრო ვიწროვდება მათი მოქმედების ასპარეზი. ასეთი იყო ბერძნული პოლისური ცივილიზაციის უმწვავესი კრიზისის ეპოქა, ასეთი იყო ათენის სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე ძველი წელთაღრიცხვის V-VI ს. მიჯნაზე, და სოკრატე იმთავითვე ამკარად გრძნობდა თავის გარიყულობას ამ სინამდვილისაგან. აქედან გამომდინარე ყველა სავალალო შედეგით: „ღამერწმუნეთ, მოქალაქენო, მე რომ ოლესზე მეცადა და საზოგადო საქმისათვის მიმეყო ხელი, დიდი ხანია ჩემი სახსენებელიც აღარ იქნებოდა ამ ქვეყანად; ტყუილუბრალოდ დავიღუპებოდი, ისე რომ ვერც თავს ვარგებდი რასმე და ვერც ქალაქს. ნუ შემრისხავთ სიმართლის თქმისთვის: ჭერ კიდევ არ დაბადებულა ისეთი კაცი, ამ უკუღმართ ქვეყანაში ამდენი უსამართლობის აღმოუზერისა თუ უკანონობის აღკვეთის მიზნით ამკარად რომ დაგპირისპირდეთ. თქვენ ან რომელიმე სხვა უმრავლესობას და... ცოცხლი დარჩეს. არა და არა; ვინც მართლა სამა-

11. პლატონი „სოკრატეს აპოლოგია“, 30 -

12. პლატონი, „პირველი ალკიბიადე“, 113.

რთლიანობისათვის იბრძვის, თუ სურს ცოტა ნანს მაინც გაუძლოს მტრებს, ბოლომდე კერძო პარად უნდა დარჩეს: საზოგადოებრივი ასპარეზი მისი სარბიელი არ არის⁴³.

„არა არს წინასწარმეტყველი შეურაცხ, გარანა სოფელსა თვისსა და სახლსა შინა თვისსა“⁴⁴. სოკრატემ კიდევ დიდბანს გაუძლო მტრულ შემოტევას ამნაირ ვითარებაში. გაღიზიანებული პათივმოყვარეობა, მხილებული გაიძევრობა, უმეცრება, შური, ვერაგობა — უველათერი ერთად ირაზმება მის წინააღმდეგ. შურისძიებამ უკვე შემართა ხელი „აბეზარი მწერის“ გასასრესად. სახელდახელოდ ითითხნება უაღბო ბრალდება, უფრო სწორად, — აშკარა ცილისწამება. მართალია ოფიციალური ბრალმდებელთა რაოდენობა მხოლოდ სამი კაცი გამოდის, მაგრამ მთავარი ისაა, თუ რაწაირ გამოძახილს პოულობს ბრალდება და როგორ წარიმართება საქმის მსვლელობა სასამართლოში. ნუ დავივიწყებთ, რომ სოკრატეს საქმეს არჩევს ხუთასი ჰელიასტი (ნაფიცო მსაჯული), რომელთა შორისაც არიან ათენის მოსახლეობის უველა სოციალური წრისა და ფენის, უველა წოდებისა და პროფესიის წარმომადგენლები — სოფისტები, რიტორები, პოლიტიკოსები, მხედართმთავრები, პოეტები, მედუქნეები, ქურუმები, ხელოსნები, მეწარმეები და ა. შ. და ა. შ. ასე რომ, საწამლავით ჩავსე ფიალაში, რომელიც სასიკვდილო განჩენის გამოტანიდან ერთი თვის თავზე შესვა სოკრატემ, უველამ ჩაახსნა გესლის თითო წვეთი. მხოლოდ ბედის ირონიით, ან უფრო სწორად, საზოგადოებრივი აზრის სიბუციითა და მსაჯულთა სრული განუკითხაობით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ კაცს, რომელმაც მთელი სიცოცხლე სოფისტებისა და მათი მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია, ასამართლებენ როგორც არქი-სოფისტს; კაცს, რომელიც ოცდაათთა ტირანიის სისხლიანი თარეშის დროს თავგანწირვის ფასად იცავდა დევნილებსა და რეპრესირებულ დემოკრატებს, ათენის დემოკრატია სიკვდილს უსჯის როგორც არისტოკრატის მოსარჩლეს და ოლიგარქიული რეჟიმის ერთგულ მომხრეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ოცდაათი ტირანის ერთ-ერთი ლი-

დერი კრიტია ოდესღაც მისი მოწაფე იყო, არავის არ სურს იმის გახსენება, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე კრიტიამ სასტიკად აუკრძალა ფილოსოფიური / საუბრები თავის უოფილ მასწავლებელს⁴⁵.

რაც შეეხება საკუთარ ბრალდებას, ჩვენამდე მოღწეული ეს ~~საქმის დეტალი~~ ^{საქმის დეტალი} კომენტო აღამიანური სიმდაბლის უველა წესის უწადო დაცვითაა შესრულებული. ერთხელ კიდევ გავიმეოროთ სიტუვასიტუვით: „ეს დაწერა და ფიცით დაადასტურა მელეტოსმა, მელეტოსის ძემ; პიტთეისელმა, სოკრატეს სოფრონიეს ძის, ალოპეკელის წინააღმდეგ. სოკრატემ მკრებელობს, ვინაიდან არ აღიარებს ქალაქის ღმერთებს, ვინაიდან შემოაყავს ახალი ღვთაებები და ვინაიდან რუჯნის ახალგაზრდობას, სასჯელი: სიკვდილი“⁴⁶. ბრალმდებელმა იცის თავისი საქმე: ღვთისმგმობლობა უველაზე საზარელ დანაშაულად ითვლება ათენში. არცერთი ბრალდების უარყოფა არ არის უფრო ძნელი. სარწმუნოება სახელმწიფოს სულია, მისი კონსტიტუციის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, მისი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უველაზე საიმედო გარანტია. ამიტომაც, რომ მკრებელობა ღამის სამშობლოს დალატანაა გაიგივებული, 484 წელს, პერიკლეს მმართველობის დროს, დიოპიტემ წინადადება შეიტანა სახალხო სათათბიროში, რომ უველა ღვთისმგმობელი კანონის მთელი სიმკაცრით გაესამართლებინათ და სასტიკად დაესაჯათ, როგორც სახელმწიფო დამნაშავე. ამ კანონპროექტის პირველი მსხვერპლი გახდა პერიკლეს ხარკა, თავისი სილამაზით, გამჭრიახობითა და მჭევრმეტყველებით ცნობილი ჰალიტელი პეტერა ასპასია, აგრეთვე სოკრატესა და პერიკლეს მასწავლებელი, სახელგანთქმული ფილოსოფოს-ანაქსაგორა კლაძომენელი. ბრალმდებელმა იცის, თავის როგორი დამდაბლება დასჭირდა თვით დიდ პერიკლეს, რამდენი ცრემლი დვარა ნაფიც მსაჯულთა წინაშე. რათა შეწყალება გამოეტხოვა ასპასიასათვის, ხოლო ანაქსაგორა მალულად გააპარა ათენიდან და ასე გაღაარჩინა სიკვდილს⁴⁷. წარმოვიდგინოთ ამის შემდეგ ის გადაუღაზავი უფსკრული, რომელიც დევს სოკრატეს პიროვნულ მრწამსსა და ათენელთა ტრადიციულ სარწმუნოებას შორის; ის თვალუწვდენი მანძილი. ერთმანეთისგან რომ აშორებს სოკრატეს ღმერთსა და ბერძნული რელიგიის ანთროპომორფულ ღვთაებებს, და ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ბრალდებულს მოჭრილი მქონდა თავის მართლების უველავარი გზა. აი, რატომაც, რომ ნაფიც მსა-

43 პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, 31.

44 მათე, 13, 57.

45 ქსენოფონტე, „მოგონებები სოკრატეზე“, I, 2, 31; დიოგენე ლაერტელი, II, 5, 19.

46. იხ. პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, 24; ქსენოფონტე, „სოკრატეს აპოლოგია“, 10, „მოგონებები სოკრატეზე“ I, 1, 1; დიოგენე ლაერტელი, II, 5, 40.

47. პლატონი, „პერიკლე“, 32.

ყოფილა მსჯავრი ღვთისმგმობლად მიიჩნევა
კაცს, რომელსაც მთელს ათენში, შესაძლოა,
უველაზე გულმხურვალედ უყვარდა ღმერთი;
კაცს, რომელსაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ
თავის დიდ მოწაფესთან — პლატონთან ერთად
„ქრისტემდელ ქრისტიანულ“ შერაცხავენ აღმ-
ოსავლეთით ახლად მოვლენილი ღმერთისა და
მისი რელიგიის პირველი ადებტები და აპოლ-
ოგეტები⁴⁸.

ბრალდების მეორე მუხლი — ახალ ღვთაე-
ბათა კულტის დანერგვა — უშუალოდ მიმარ-
თულია სწორედ მოკრატეს პიროვნული მოწა-
მისი წინააღმდეგ: იგულისხმება ინდივიდუალ-
ური დემონის კულტი, თუმცა ამ მრწამსში იო-
ტის ოდენაც არაფერია იხეთი, შედგინებით
რომ არ ეთანხმებოდეს ოფიციალურ სარწმუ-
ნობას, დემონის ცნება თითქმის ინეთივე
ძველია, როგორც თვით ბერძნული მითოლო-
გია: ცნება, რომელიც მითოსურ წარმოდგენ-
ათა ისტორიული განვითარების ე. წ. პრეანი-
მისტული პერიოდიდან იღებს დასაბამს, როცა
პრველყოფილი ადამიანის ცნობიერება უკვე
ყოფს და განახსვავებს ერთმანეთისაგან საგა-
ნსა და მის იდეას, ანუ მითოლოგიური ტერ-
მინოლოგიით, „დემონს“ (დაიმონ), სინამდვი-
ლის ნებისმიერ ნივთსა თუ საგანს, მატერია-
ლური თუ სულიერი სამყაროს ნებისმიერ
ფაქტს, მოვლენას, ვითარებას, შემთხვე-
ვას, თანაფარდობას, მდგომარეობას და
ა. შ. თავისი საკუთარი „დემონი“ შეესაბამე-
ბა⁴⁹, მომეროსის პოემებში „დემონი“, ერთი
მხრივ, „ღმერთის“ (თეოს) სინონიმად უვე-
ლინება, მაგრამ, მეორეს მხრივ, ესაა ერთგვა-
რი უცნობი, უსახო და უპაროვნო ფატალური
ძალა, რომელიც ზოგჯერ თვით „ბედისწერას-
თანაა“ გააფივებული, ხან თვითნებურად რომ
სწყალობს, რჩევას აძლევს ან მოქმედების
გეზს უჩვენებს ადამიანს, ხან კი ასევე თვით-

48. არც ისაა შემთხვევითი, რომ საბელგან-
თქმული სტოელის ეპიტეტეს „ეხირიდონის“
(„საბელმძღვანელო“) ერთ ძველ ქრისტიანულ
პარაფრაზში, რომელიც 1659 წელს გამოსცა
კარობონმა, „სოკრატე“ უველგან შეცვლილია
„პავლეთი“. მაშინ როდესაც სხვა წარმოთ
ბრძენაკთა საბელებს ცვლის უპაროვნო გ-
მოთქმები, როგორც მაგალითად, „ერთი ქველ-
თაგანი“, „ერთი ბრძენთაგანი“ და ა. შ.

49. ამ მოსაზრების საილუმტრაციოდ ეამ-
რავ მაგალითს მოიხმობს ა. ფ. ლოსევი თავის
გამოკვლევაში — „ანტიკური მითოლოგია“,
მოსკოვი, 1957, გვ. 46 და შმდ.

50. იბ. ა. ფ. ლოსევი, დასაბ. ნაშრ. გვ. 66-
57.

ნებურად გარღვეული დაღუპვისაკენ მიაქანებს
„წერატანილ“ მსხვერპლს⁵⁰. დასლოებით ამ-
ნაირადვე წარმოვიჩინებ დემონს ბერძენი
ტრაგიკოსებაცა და ლირიკოსებაც⁵¹ პესიოდ-
ეს მიხედვით. დემონებუ დიდე ბნის წინათ გა-
რდასული ნეტართა მოღმწის უკრის ხანის
ადამიანთა სულებია, კაცთა მშარველი არამი-
წიერი არსებანი, დღედაღამ თავს რომ დააუ-
რიალებენ დედამიწას, თვალუურს ადევნებენ
კეთილსა თუ უკეთურ საქმეებს და სიკვდილის
სანაცვლოდ სიკეთეს მიაგებენ მართალთს⁵².
ბერაკლიტი ამტკიცებს, რომ „ადამიანის წნე
არის მისი დემონი“⁵³. აქედან იღებს დასაბამს
ინდივიდუალურ დემონთა კულტი, რომელიც
თავის გარკვეულ ადგილსა და დანიშნულებას
მოუჩენს დემონებს ბერძნული მითოლოგიისა
თუ ღვთისმეტყველების მიერარქიულ სისტემ-
აში; კულტი, რომლის თანახმადაც უველა კაცს
თავისი მშარველი დემონი ჰყავს, ეს რწმენა
კიდევ უფრო კონკრეტულ ხასიათს იძენს პლა-
ტონის დემონოლოგიაში: ქრისტიანული რელი-
გიის ანგელოსებისა არ იყოს „დემონები ღმე-
რთებს ამცნობენ და გადასცემენ კაცთა ლოც-
ვა-ვედრებას და შესაწირავებს, ხოლო ღმერთ-
თა ნება-სურვილსა და წყალობას — ადამიან-
ებს. საშუალო ადგილი რომ უჭირავთ კაცთა
და ღმერთთა შუა, ისინი მთელ სივრცეს ავ-
სებენ მათ შორის და, ამრიგად, შინაგანი კავ-
შირით აერთებენ უველას და უველაფერს
სწორედ მათგან იღებს დასაბამს მთელი მან-
ტყა და ქურუმთა ხელოვნებაც, რამდენადაც
მას მსხვერპლშეწირვასთან, ზიარებასთან, შელ-
ოცვასთან და, საერთოდ, გრძნეულებასა და
მაგიასთან აქვს საქმე. უკვდავი არ ერევიან
მოკვდავთა შორის და მხოლოდ დემონების მე-
შვეობით ესაუბრებიან და უკავშირდებიან მათ
როგორც ძილის, ისე ღვიძილის დროსაც. და
მას, ვინც უოველივე ეს შეიცნო, „დემონიურს“
ვუწოდებთ ჩვენ“⁵⁴. პლატონური ესქატოლო-
გიით, დემონები ადამიანის სიკვდილის შემდე-
გაც არ ტოვებენ მათ წილხვდომილსა თუ მათ-
თვის მიხედობილ სულებს და თავდაპირველად
ღვთიურ სამსჯავროსაკენ, ხოლო განსჯისა და
განკითხვის შემდეგ იმ ადგილისკენ მიუძღუ-
იან თვითთულ მათგანს, სადაც მათ სასჯელი
უნდა მოიხადონ, ან ეზიარონ საუკუნო ნეტა-
რებას⁵⁵. მთელი ელადა სულგანაბული, ში-

51. ა. ფ. ლოსევი, იქვე, გვ. 57-58.
52. პესიოდე, „სამეუშაონი და დღენი“, 122 და
შმდ.
53. ფრაგმ. 119, დილისი.
54. პლატონი, „ნადიმო“, 202-203.
55. პლატონი, „ფედონი“, 107.

მხარევი კრძალვით და განცვიფრებით. სახი-
 ებათ და მოწინებით უსმენს ათასწლოვანი მუ-
 ხის იდეალურ შრიადს (ზევის სამისნო დოდონა
 ში). თავანკარა წყაროს ჩუხჩუხს (კასტალია
 კარნახის მთაზე), კლდის ნაპრალიდან ამონადენი
 გავიარდოვანი ორთქლის შიშინს (დედფის სა-
 მახხო); ნეტარი ღმერთები მედიუმთა და დე-
 მონიურ ძალთა მეშვეობით ეხაუბრებიან და თა-
 ვიანთ ნება-სურვილს ამცნობენ მართლმორწმუ-
 ნე მრევლს. ქურუმების, მესნების, ქადაგებს,
 პოეტების, მაგების, პითიების, სიბიღების,
 მისტების საღმრთო ექსტაზი, მათი საკრალური
 ესთეზიკაში პირწმინდად დემონურია. ნუთუ
 სულეური ცხოვრების ამნაირ ფონზე სოკრატეს
 მრწამსი რაღაც უჩვეულო სიახლედ, მიუტყვე-
 ბელ მკრებელობად აღიქმება მხოლოდ იმიტომ,
 რომ ის არა მარტო საკურთხეველებისა თუ სამ-
 სხვერპლოების წინაშე, არა მარტო სამისნოებ-
 სა თუ ტაძრებში, არა მარტო მისტერიების
 „მზიანა ღამის“ წიაღში უსმენს ღვთიური ხმის
 იდეალურ ჩურჩულს, არამედ საკუთარი სულის
 ხიჯრმეშიც?

ღამოს, ბრალდების მესამე მუხლი უშუა-
 რად გამომდინარეობს პირველი ორიდან:
 სოკრატე მკრებელია და ღვთისმგმობი (ამიტომ
 თავის მრავალრიცხოვან შევირდებსაც ღვთას-
 მგმობლებად ზრდის და, ამრიგად, რყუნის ახალ-
 გაზრდობას. ამოდ ეკითხება ბრალდებული მე-
 დეტოსს, თუ იცნობ ერთ ახალგაზრდას ნაიბი,
 ღვთისმოსავი, თავმდაბალი და შრომისმოყვარე
 რომ იყო და ღვთისმგმობლად, მზვამბრად და
 უფსრად კი აქცია ჩემმა სწავლამაო? თავისი
 სიცოცხლის დანიშნულებად სოკრატეს ის მოაჩ-
 ნდა, რომ გადაერჩინა ადამიანი არარაობად ქცე-
 ვისაგან, სულიერი სიკვდილისგან დაეხსნა იგი.
 სუთუ სიკეთის, სიბრძნისა და წინებრივი
 სრულქმნილებისკენ სწრაფვას, რასაც იგი გა-
 მუდამებით უქადაგებდა თავის მსმენელებს, სრულ-
 ლოდ საპირისპირო შედეგი უნდა გამოეღო და
 საზოგადოებისათვის მიუღებელ, საშიშ და მავ-
 ნე სარკმეტებად ექცია მისი მოწაფეები?
 ბრალდებულს უპირს ამის დაჯერება: „მე ხომ
 სხვას არა ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ დავდი-
 ვარ ქალაქში და ვარწმუნებ ყველას, მოხუცსაც
 და ახალგაზრდასაც, უმეტეს და უწინარეს
 უოციონისა, სხუელსა და ფულზე კი არა, სულზე
 ვზრუნონ, რათა ის უფრო სრულქმნილი ვაბ-
 დეს; დიახ, მე ვამტკიცებ, რომ ფული კი არ
 ბადებს სიქველეს, არამედ სიქველე ანიჭებს კაცს
 ფულსაც და ყველა სხვა სიკეთესაც როგორც

პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. თუ
 ამნაირი სიტყვებით ვრევი ახალგაზრდო-
 რა თემა უნდა, დამნაშავე ვარ. ხოლო ვინც
 ამტკიცებს, თითქოს ამას კი არა სხვა რა-
 ვასწავლი ათენელ ქაბუკებს, წყალს ნაყავს მხო-
 ლოდ ამიტომ, კვლავ ვინებობ, ასე გელეო-
 დით თქვენ: „მიუხედავად იმისა, ვარწმუნებია
 თუ არა ანიტოსს, მიუხედავად იმისა, გამამარ-
 თლებთ თუ არა, მე ჩემსას არ მოვიშლი, ათე-
 ნელნო, ერთხელ კი არა, ათასჯერაც რომ
 მაკვლინოთ“¹⁸. ბრალდება, რომელსაც ამ სიტყ-
 ვების გასაბათილებლად არავითარი სამხილი არ
 მოეძებნება, ახლა სხვა მხრიდან უტყვს სოკ-
 რატეს: მე ვიცნობ იმით, — წამოიძახებს მე-
 დეტოსი, — ვინც შენ დაგიწმუნებია, რ
 მშობლებზე მეტად შენ გენდონ და დაგიჭერონ
 — კი მაგრამ, — მიუგებს სოკრატე, — განა
 ავადმყოფები ექიმებს არ ენდობიან მშობლებ?
 მეტად? განა სახალხო სათათბიროში ათენელები
 უველაზე გონიერ ორატორს არ უწევენ უფ-
 რო მეტ ანგარიშს, ვიდრე სხვა ვინმეს? ვა-
 მხედართმთავრის არჩევისას მამების, ძმების და
 თვით თავიანთი თავის წინაშეც იმას არ ანიჭე-
 ბენ უპირატესობას, ვისაც სამომარ საქმეში უ-
 ლაზე უფრო გამოცდილ და გამობრძმედილ კ-
 ცად იცნობენ? „მერტდა, რატომ არ გაოცებ-
 ის, რომ უოველ სხვა საქმეში დიდოსტატები არა
 მარტო თანასწორობით სარგებლობენ, არამედ
 მეტ პატივსაც იმკიან, მე კი, იმის გამო, რა
 ზოგიერთებისაგან აღიარებული ვარ ადამიანი,
 სათვის ისეთი უდიდესი სიკეთის ხელოვნად,
 როგორიც აღზრდაა, მღვწი და სასჯელად სიკ-
 ვდილს მიმზადებ“¹⁹.

მართალია ბრალდება უოველგვარი „გაოცე-
 ბის“, უოველგვარი ორქოფობისა და სინიდიას
 ქენჯნის გარეშე სიკვდილს მოითხოვდა სასჯე-
 ლად, მაგრამ, ალბათ, თვითონაც არა მქონდა
 იმის იმედი, რომ ამ მოთხოვნას თავს მოახვევ-
 და მსაჯულებს და საწადელს მიაღწევდა. გან-
 დევნა ან ფულადი ჯარიმის გადახდა, — ამნა-
 ირ განაჩენს მოელოდნენ არა მარტო სოკრა-
 ტეს მეგობრები და მოწაფეები, არამედ მტრე-
 ბიც, მაგრამ ბრალდებულმა, თვითონვე გაუც-
 რუა მოლოდინი ერთთაც და მეორეთაც. ნაც-
 ვლად იმისა, რომ თავი დაემდაბლებინა, რაც
 ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ ბერძნული სა-
 მართალწარმოების პრაქტიკაში, ნაცვლად იმი-
 სა, რომ პატივმოყვარე მსაჯულთა წინაშე
 ცრემლიანი სპექტაკლი წარმოედგინა და ანუ
 გამოეთხოვა შეწყალება, სოკრატე თავისი უბ-

¹⁸ შდრ. ქსენოფონტი, „სოკრატეს აპოლოგია“, 11-13.
¹⁹ ქსენოფონტი, იქვე, 19.

²⁰ ამ პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, 30.
²¹ ქსენოფონტი, „სოკრატეს აპოლოგია“, 20-21 (თარგმანი ა. ვ. ჯორჯაძისა).

რომ მშვენიერად შევძლებითა და უღმრთო ღმერთების დასაყრდენად ამათს ბრალდების უსაფუძვლო. ბას. ეს კაცი, რომელსაც არაერთხელ გაუსწორებია თვალი სიკვდილისათვის, ბოლომდე თავისი თავის ერთგული რჩება: „შესაძლოა ზოგი ვინმე განარისხოს იმის გახსენებამ, რომ როცა მისი, არცთუ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე ირჩეოდა, ცრემლების ფრქვევით სთხოვდა შეწყალებას მოსამართლეებს და მათი გულის მოსაღობად და ასაჩუყებლად თავისი შვილები და მრავალრიცხოვანი ნათესავები თუ შეგობრები მოძუადა აქ:—მე კი არაფერ ამის მსგავსს არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საქმე, როგორც ვატყობ, უკუღმა შეტრიალდა... არც ის მგონია მართებული, მოქალაქენო, რომ თხოვნით მოაბეზრო თავი მსაჯულებს და ვედრებით გამოსძალო შეწყალება, ნაცვლად იმისა, რომ დაწვრილებით აუხსნა საქმის ვითარება და შენს სიმართლეში დაარწმუნო ისინი. მსაჯული იმისთვის კი არ გვიზის, რომ თვითნებურად შეგვიწყალოს, არამედ იმისთვის, რომ წესისამებრ განგვსაჯოს და სამართალი გაგვიჩინოს. სიმართლის ერთგულებაზეც იმიტომ როდი დაიფიცა, რომ შეიწყალოს, ვინც მოეპრინება, არამედ იმიტომ, რომ კანონის მიხედვით გაგვიკითხოს და კუთვნილი მოგვაგოს. ამიტომ არც ჩვენ უნდა მივაჩვიოთ ფიცის გატეხას და არც თქვენ უნდა მიეჩვიოთ ამას, ვინაიდან ორივე მხარეს მკრებელობაში ჩამოგვეერთმევა ეს. ნუ ელით, ათენელნო, რომ თქვენს წინაშე ჩავიდენ იმას, რაც უკეთურობად, უხამართლობად და ღვთისმგმობლობად მიმაჩნია, — მით უმეტეს. ვფიცავ ზევსს, ახლა. როცა მეღეტოსი მკრებელობას მდებს ბრალად, თავისთავად ცხადია, მე რომ თხოვნით გამომეძალა შეწყალება და იძულებით გამეტეხინებინა თქვენთვის ფიცი, სხვას რას ჩაგაგონებდით ან გაფიქრებინებდით, თუ არა იმას, რომ ღმერთები არ არსებობენ და, ნაცვლად იმისა, რომ თავი შემართლა, თვითონვე გამოვიდოდი საკუთარი თავის ბრალმდებლად და თვალნათლივ გიჩვენებდით, რომ ღმერთები არა მწყაშს. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარადაა საქმე: ღმერთებს მე უფრო ვცემ თავიანთს, ათენელნო, ვიდრე რომელიც გნებავთ ჩემი ბრალმდებელი, და ამიტომ სწორედ ღმერთს და თქვენ განდობთ, ისე განსაჯოთ, როგორც თვითონ შიიჩნევთ უმჯობესად, როგორც ჩემთვის, ისე თქვენთვისაც“⁶¹.

„ღმერთს და თქვენ განდობთ!“... უნდა ვიცოდეთ, ვინ იყვნენ მელიასტები, რომ ჩვენს თვალს არ გამოეპაროს მათი მისამართით წარმოთქმულ ამ სიტყვებში ჩაქსოვილი მძაფრი

სარკაზმი; მელიასტები, რომელთა უმრავლესობასაც არამცთუ კანონმდებლობის არსი, მისი ანაბანაც არ ესმის, თუმცა თანამდებობაზე არჩევისას დიდის ამბით კი წარშოსთქვაშენ საზეიმო ფიცს, ტრაგიკული ქორუბ-ქაფად სიტყვებს: „მე მივცემ ჩემს უფროსს და ათენელი ხალხისა თუ ხუთასთა საბჭოს დადგენილებების თანახმად. როცა კანონი უტყვი იქნება, მე მივცემ ხმას საკუთარი სინიდიისის კართანით, მიუკერძოებლად და მძულვარების გარეშე. მე ერთნაირად კეთილმოწყალებ ვიქნები როგორც ბრალმდებლის, ისე ბრალდებულის მიმართ. ვფიცავ ზევსს, აპოლონს, დემეტრას“⁶². არა, ისინი თანაბრად კეთილმოწყალებნი არ არიან ბრალმდებლებისა და ბრალდებულის მიმართ. ორივე „აპოლოგია“ — პლატონისა და ქსენოფონტისი — თვალნათლივ გვიმოწმებს, რა უდროოდ და უადგილოდ იწყებენ უაყანს სოკრატეს პირდაპირობით აღზფოთებული მელიასტები, რამდენჯერ უხეშად აწყვეტიანებენ ბრალდებულს სიტყვას. ბევრი მათგანი თავის პირად მტრად თვლის სოკრატეს, ბევრის გულში ჭერ კიდევ ბორგავს ბრმა სიძულვილი, ათეულ წლოებით დაგუბებული ბოღმა, რომელიც გასაქანსა და გამოსავალს ეძებს და ყოველგვარი რილის გარეშე, საჭაროდ და სააშკაროდ, უველას თვალწინ იქცევა შურისგების გრძობად. რა „მიუკერძოებლობა“, რის „მიუკერძოებლობა“, ფიცის სიტყვები მხოლოდ მარჯვედ შორგებული ნილაბია, რომლითაც მელიასტები ოსტატურად მალავენ თავიანთ გაუმადლარ სიხარბეს, ვერაგობას, უმეცრებას, გაუტანლობას. მათი უმრავლესობისათვის მსაჯულის თანამდებობა სხვა არა არის რა, თუ არა პირადი ანგარებისა და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება. „მიანდეთ ხუთასი თუ ექვსასი ამნაირი მოსამართლისაგან შემდგარ სამსჯავროს კერძო პირთა სიცოცხლე და ღირსება, დაავადეთ მათ დახლართულ საკითხთა გადაჭრა, სადაც აუცილებელია სამართლის ცოდნა... და თავად განსაჯეთ, რანაირ სამართალს უნდა მოელოდეთ ამნაირი სასამართლოსგან? კეთილსინდისიერებიც რომ იყვნენ და საქმის მართებულად გარჩევას ცდილობდნენ, მათი უმეცრება და ცრურწმენა მაინც თვითნებურ გადაწყვეტლებას გამოატანინებთ: ხოლო თუ უპატიოსნოები არიან, წარშოდგენაც კი ძნელია, სანამდე შეიძლება მივიდეს მათივე სიხარბით წაქეზებული მათი სიბრყვე“⁶²...

და აი, ახლა სწორედ ამ ხალხმა უნდა გა-

⁶¹ იხ. პოლ გირო, ძველი ბერძნების კერპო და საზოგადო ცხოვრება, მოსკ. 1913, გვ. 338.
⁶² პოლ გირო, დასახ. ნაშრ. გვ. 339-340.

⁶⁰ პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, 34

მოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება: პლატონის თანახმად, სოკრატეს ზემოთ ციტირებული სიტყვებით მთავრდება სასამართლო პროცესის პირველი ნაწილი. ჰელიასტებმა უკვე მოუსმინეს ბრალდებულებს („კატეგორი“), მოისმინეს ბრალდებულის მიერ თავის დასაცავად წარმოთქმული სიტყვაც („აპოლოგია“).
 „...მათ ფარული კენჭისყრით უნდა გადაწყვიტონ, დამნაშავეა თუ არა სოკრატე, ესე იგი, ან გამართლონ და გაათავისუფლონ, ან განაგრძონ საქმის განხილვა და განაჩენი გამოუტანონ ბრალდებულს. უველაფერს წუვეტს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. როგორც მოხალღნითი იყო, კენჭისყრამ სოკრატე დამნაშავედ ცნო: ხუთასი ჰელიასტიდან მას მხარი დაუჭირა ორას ოცმა. ხოლო წინააღმდეგ ხმა მისცა ორას ოთხმოცმა. ბრალდებულმა მშვიდად მოისმინა ნაფიც მსაჯულთა პირველი განაჩენი: „ბევრი რამ არ მძლევეს იმის ნებას, რომ თქვენმა გადაწყვეტილებამ აღმაფოთოს მართალი გოთხრათ, ეს მოულოდნელი არც ყოფილა ჩემთვის. პირიქით, მე გაცილებით უფრო გამაკვირვა ურთიერთსაპირისპირო ხმების რაოდენობამ. არ მეგონა, თუ მათ შორის ესოდენ უმნიშვნელო განსხვავება იქნებოდა: გაცილებით მეტს მოველოდი. ახლა კი, როგორც ირკვევა, საქმარისი იქნებოდა სულ რაღაც ოცდაათი კენჭი აქეთ ჩაგეგდოს და არა იქით, რომ სამართლის სასწორი ჩემსკენ გადმოხრილიყო...“
 ამ სიმშვიდესა და აუმღვრევლობაში არაფერია უჩვეულო და მოულოდნელი არც ჰელიასტებისა და არც სასამართლო პროცესზე დამსწრე საზოგადოებისათვის. უველა მშვენივრად იცნობს სოკრატეს, უველას კარგად მოეხსენება, რა ნებისა და ნერვების პატრონიცაა ბრალდებული. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ხდება ის, რასაც, აღმათ, უკვე აღარ მოელოდა არაეიკანონის თანახმად, განსასჯელს უფლება ეძლევა, საკუთარი ნება-სურვილით, თვითონვე შეაფასოს თავისი დანაშაულის სიმძიმე თუ დამნაშავეობის ხარისხი და განაჩენიც თვითონ გამოუტანოს თავის თავს. რა თქმა უნდა, ამ „თვითგანაჩენს“ მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ პროცესის დამთავრების შემდეგ შეიძლება სასამართლოს საბოლოო განაჩენთან იქნეს შედარებული. და, აი, ბრალდებული სასჯელის ნაცვლად ჭილდოს უნიშნავს საკუთარ თავს, და მერე როგორ ჭილდოს — უველა ათენელისათვის სასუკვარ პატივის: ყოველდღიურ უფასო სადილს პრიტანეიონში, სადაც სახელმწიფოს ხარჯზე სადილობენ მხოლოდ ისინი, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღ-

83 პლატონი. „სოკრატეს აპოლოგია“, 35-36.

ვის ჭვეუნისა და ერის წინაშე: მხედართმთავრები, პოლიტიკური მოღვაწენი, გმირები, ქურუმები, ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულნი და სხვ.:

„...მაგრამ მე რაღაც მივესჯე, ათენელნო, საკუთარ თავს? აღმათ იმას, რისე კლირსივა ზარ მერედა, რისი ღირსი ვა? მაინც? რას ვიმსახურებ, ან რა სახის ჭარიმა უნდა გადავიხადო იმისთვის, რომ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მოსვენებას არ ვაძლევედი საკუთარ თავს და არაფრად ვთვლიდი ყოველივე იმას, რასაც ასე ელოლიავება უმრავლესობა, — ანგარებას, ოჯახის კეთილდღეობას, მხედართმთავრობას, ბელადობას, ძალაუფლებასა და უველა იმ შეთქმულებასა თუ ამბოხებაში მონაწილეობას, რაც ესოდენ ხშირია ჩვენს ქალაქში. — ვინაიდან მეტისმეტად წესიერ კაცად მიმაჩნდა თავი და იმედი არა მქონდა, რომ ცოცხალი გადავრჩებოდი, თუ უველაფერ ამას ვიტვირთებდი ან ყოველივე ამაში მივიღებდი მონაწილეობას; რას ვიმსახურებ იმისთვის, რომ თავს ვარიდებდი უველაფერს, რითაც ვერც თქვენ გარგებდით რასმე და ვერც საკუთარ თავს, და ყოველთვის ვილტვოდი იქით, სადაც განზე გამდგარსა და განკერძოებულს შემეძლო, როგორც მოგახსენეთ, უდიდესი სიკეთე გამეწია თვითეული თქვენგანისათვის და ცალ-ცალკე ჩამეგონებინა უველასთვის, — უწინარეს ყოველისა, თქვენს საქმეებზე კი არა, თქვენს თავზე იზრუნეთ, რათა, შეძლებებისამებრ, უფრო უკეთესნი გახდეთ-მეთქი... დიახ, რას ვიმსახურებ ყოველივე ამის სანაცვლოდ? მე მგონია, კეთილ საზღაურს, ათენელნო, თუკი კაცს დამსახურებისამებრ უნდა მიეზლოს მისი კუთვნილი; და, თანაც, ისეთ საზღაურს, რაც საჭიროა ჩემთვის. მაგრამ რა სჭირდება ჩემსავით კეთილისმყოფელსა და ჩემსავით ღატაკ კაცს, რომლისთვისაც აუცილებელია მოცალეობა თქვენს დასამოძღვრად? ამნაირი კაცისთვის, ათენელნო, სწორედ რომ მისწრაფება იქნებოდა ყოველდღიური სადილი პრიტანეიონში. მერწმუნეთ, ეს მისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე ოლიმპიურ თამაშებში ცხენოსანთა მარულასა თუ ორ ან ოთხცხენიან ეტლთა შეჭიბრში გამარჯვებულისათვის; ვინაიდან ის მხოლოდ მოჩვენებითს ბედნიერებას განიჭებთ, მე კი — ჭეშმარიტს; ის უზრუნველყოფილია და უფასო სადილი არა სჭირდება, მე კი მჭირდება. ასე რომ, თუ სათანადოდ განვსჯიდი ჩემს დამსახურებას, მხოლოდ ერთ რასმე მივესჯიდი საკუთარ თავს: ყოველდღიურ სადილს პრიტანეიონში“
 ეს კი უკვე მეტისმეტია. კაცი, რომელიც

84 პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, 36-37.

ნაფიც მსაჯულთა პირველადი განაჩენით ეს-
 ესაა სისხლის სამართლის დამნაშავედ იქნა-
 ცნობილი, დამნაშავედ, რომელსაც ეფარდება
 სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი, ისე
 გამომწვევად იქცევა, რომ ამ კრიტიკულ მო-
 მენტში, როცა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი
 უნდა გადაწყდეს, თავს ნებას აძლევს ნახევრად
 სახუმარო და ნახევრად სერიოზული კილოთი
 უმაღლესი პატივი მოითხოვოს ჭილდოდ: ყო-
 ველდღიური სადილი პრიტანეიონში. მას მწა-
 რედ აზღვევინებენ ამ „თავგასულობას“. სულ
 მალე ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ მეორე —
 საბოლოო განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას
 არ ექვემდებარება. სოკრატე უნდა მოკვდეს. —
 ასეთია ჰელიასტთა ურყევი ნება-სურვილი. მაგ-
 რამ აქ საგულისხმოა ერთი დეტალი: საქმე
 ისაა, რომ სოკრატე დამნაშავედ ცნო და მისი
 სიკვდილით დასჯას ხმა მისცა ამჭერად უკვე
 სამას სამოცმა მსაჯულმა, წინააღმდეგი კი მხო-
 ლოდ 141-მან (ხმების თანაბრად გაყოფა არ
 შეიძლებოდა და ამიტომ 500 ჰელიასტს საგან-
 გებოდ დაემატა კიდევ ერთი). შევადაროთ ამას
 პირველადი კენჭისყრის შედეგი: შესაბამისად—
 280 და 220. ამრიგად, 80-მა მსაჯულმა, რომელ-
 მაც ადრე უღანაშაულოდ ცნო სოკრატე, ახლა
 უყოყმანოდ მოაწერა ხელი სასიკვდილო გა-
 ნაჩენს. „ობიექტურობაც“ ამასა შქვია. დღეს
 ადვილია სათქმელად: სოკრატეს რომ მეტი
 „კეთილგონიერება“ გამოეჩინა, ვინ იცის, როგორ
 შეტრიალდებოდა საქმე? მაგრამ ბრძენმა ჩვენ-
 თვის აუხსნელი მიზეზის გამო, ზურგი აქცია
 კეთილგონიერებას, აშკარად დაასწრო ჰელიას-

ტებს და მათზე უმაღლესი თვითონვე გამოუტანა
 თავის თავს სასიკვდილო განაჩენი. ადვილი რო-
 დია მართებულად შევაფასოთ სოკრატეს ქცევა-
 შეუძლებელია თვითონ მას სიკვდილად ჰქონო-
 და, თუ რაწაირ ზემოქმედებდას მისი განაჩენი მსა-
 ჯულებზე თავისი სიტყვით. სიტყვით ამხილავ
 ბრძენზე უკეთ ვის უნდა სცოდნოდა, თუ რო-
 გორ გააღიზიანებდა ჰელიასტებს? მაინც რას
 ისახავდა მიზნად? მოწამეობრივ სიკვდილს მი-
 ელტვოდა? ის ბევრი რამით ჰგავდა ქრისტიან-
 ნებს, მაგრამ არა ამ მხრივ. ან, იქნებ, თავის
 გადარჩენა სურდა? მაგრამ არც ისე მიაბიტი
 იყო, არც ისე ცუდად იცნობდა თავის თანამო-
 ქალაქეებს, რომ ამნაირი გზა აერჩია. სიკვდილ-
 შემდგომი დიდების პატივმოყვრული სურვილი
 ამოძრავებდა? მთელი მისი სიცოცხლე გვიმ-
 ტკიცებს, რომ არავინ ყოფილა უფრო მეტად
 თავისუფალი ამნაირი სურვილისაგან. იქნებ სა-
 მოცდაათი წლის ბერიკაცი დაღალა ცხოვრებამ
 და რაკი ზიზღით უყურებდა თვითმკვლელო-
 ბას, გადაწყვიტა მსაჯულთა ხელით ესარგებ-
 ლა? სოფისტებზედაც უარესი იქნებოდა, ამ მიზ-
 ნით განზრახ და შეგნებულად რომ გამოეწვია
 სასიკვდილო განაჩენი. შეიძლებოდა უსასრუ-
 ლოდ გავევგრძელებინა ეს კითხვები, მაგრამ
 არცერთის პასუხი არ იქნებოდა ამომწურავი
 და დამაჭერბელი. თვითონ კი ერთადერთი პა-
 სუხი ჰქონდა: ასეთი იყო მისი დემონის
 ნება⁶⁷.

⁶⁶ იხ. ვ. ვინდელბანდი, დისაბ. ნაშრ. გვ. 67.
⁶⁷ ქსენოფონტე, „სოკრატეს აპოლოგია“, 4,7.



⁶⁵ იხ. დიოგენე ლაერტელი, II, 42.

სამართველო ოგანეს თუმანიანი
წერილები

სომეხი პოეტისა და ჰუმანიანის (1869-1923) წერილები და სტატიები შეიცავენ მდიდარ დოკუმენტურ მასალას საქართველოზე, მის ხალხზე, ლიტერატურაზე, ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე... ოვ. თუმანიანი არა მხოლოდ სიტყვით, საქმიანად განამტკიცებდა ჩვენი ხალხების ისტორიულ ძმობა-მეგობრობას, რაც იმთავითვე სათანადოდ იქნა დაფასებული მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მიერ. ტ. ტაბიძის სიტყვებით, ოვ. თუმანიანი იყო „პირველი ადამიანი, რომელსაც ყველაზე უფრო აწვალებდა ფიქრი სომეხებისა და ქართველების ძმობაზე“. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის დიდ ღვაწლს. ოვ. თუმანიანმა თავისი სიყვარული „გულწრფელად უძღვნა ქართველ ხალხს“, — წერს ტ. ტაბიძე. პოეტმა საქართველო, რომელსაც იგი „მგოსანთა წმინდა ქვეყანას“ უწოდებდა, მეორე სამშობლოდ იწამა და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თბილისში გაატარა.

სამუდამო განსასვენებელიც აქვე კპოვა. მუდამ ახლოს იყო ქართველებთან, კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურას. მის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. დიდ სომეხ პოეტს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა ტ. ტაბიძესთან, რომელსაც თავის უმცროს მეგობარს უწოდებდა. ქართველი პოეტის სიტყვით, ოვ. თუმანიანს სომეხ ხალხზე ნამდვილი ძველი პატრიარქის გავლენა ჰქონდა, სწორედ ისეთი, როგორც ჩვენს დიდ ილია ჭავჭავაძეს ქართველ ხალხზეო. ტ. ტაბიძე იხსენებს: „ოვ. თუმანიანს პირველად 1914 წ. შევხვდი. ამ დროს იგი თავდაუზოგავად იღვწოდა ორი მოძმე ხალხის მეგობრული და კულტურული ურთიერთობის განსამტკიცებლად. ხშირად მართავდა ქართული

მწერლობის შესახებ მოხსენებებს. ჩვენ მიერ გამართულ ყველა საღამოზე საპატიო სტუმარი იყო და არასდროს ხელცარიელი არ მოვიდოდა. მისი ლექსი „ქართველი პოეტები“ სწორედ ასეთ საღამოზეა წაკითხული.“ ქართველი და სომეხი ხალხების დაახლოების საქმეში დიდი სომეხი პოეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ერების ლიტერატურული შემკვიდრების გაცნობას. მას დიდი სურვილი ჰქონდა ეთარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ამის თაობაზე ოვ. თუმანიანი კავკასიის საგანმცემლო საზოგადოებას მოეთათბირა და ვადად ხუთი წელი დაუდო, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

1910 წელს ოვ. თუმანიანმა გამოაქვეყნა რეცენზია ნ. მარის შრომაზე «Вступительные и заключительные строфы поэмы «Витязя в барсовой шкуре» Шоты из Рустава, СПб. სადაც გამოთქვა რამდენიმე ლიტერატურული ინგვისტური მოსაზრება. პოეტის თქმით, ქართველის შესანიშნავი თვისებებია: „უშუალო და წრფელი ბუნება, სულის კეთილშობილება, ბუნებრივი სიწმინდე და უზადობა, თავისუფლებისა და სილამაზის სიყვარული — ყოველივე ეს, სიცოცხლის წყურვილით გასხივოსნებული და ნაზი სევდით შეფერილი, საუცხოოდ ჩანს შოთა რუსთაველში და იგი მთელი თავისი არსებით ქართველი პოეტია“. რეცენზიაში ოვ. თუმანიანი განიხილავს პოემის ცნობილ სტროფს და ცდილობს მოუძებნოს ლიტერატურული პარალელები სომხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებიდან. „თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლითა ცრემლდათხეული“, — მელნად გიშრის ტბა ვიხმარე, კალმად — რხეული ლერწამიო, — ამბობს გამიჯნურებული პოეტი, საქართველოს უკვდავი შოთა. სომეხ სასულიერო პოეტ ნარეკაციასაც სამონასტრო განდევილობაში თავისი სულის უძირო ტანჯვასა და ვნებებს ღმერთს რომ ავედრებს,

აღმოხდება: (მელნის) ტბაც რომ მქონდეს... ეკლესიისგან (ბოძებული). მრავალი ასპარეზით შემოსაზღვრული მინდვრებიც რომ დაეფარო ფართოდ გაშლილი ეტრატით, ლერწმის ტყის დარი წამწამთა ბაღი კალმად რომ მოვიწარ- ჩვო, მაინც არ ძალნიძდა ამეწერა უსჯულოება- თა უსასრულო რიგით. „ვეფხისტყაოსნის“ ამა- ევ სტროფის ლიტერატურულ პარალელს ოვ. თუმანიანი ეძებს მე-16 საუკუნის სომეხი პო- ეტის ნაჰაპეტ ქუჩაკის ერთ ლექსში:

მელნად რომ იქცეს მაგ თეაღთა ზღვა,
რომელსაც ვევედრებ,

რაც კი ჭალაში ლერწამია, დამჭირდებოდა...

ოვ. თუმანიანი განაგრძობს: „დღემდე ჩვენი ხალხური ბაიათი ტირის, აფსუს, მთლიანად არ მახსოვს, მაგრამ მასში ნათქვამია: „ტყევიც რომ კალმებად იქცენ, ჩემი დარდების აღწე- რას ვერ შეძლებენო“.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ავტორი პარალელურ უძებნის „ვეფხის- ტყაოსნის“ სტრიქონებს: „მელნად ვიხმარე გი- შრის ტბა და კალმად მე ნა რზეული,“ მსგავ- სებას აღნიშნავს დამოუკიდებლად. რეცენზე- ნტის თქმით, „ნ. მარის მიერ მოტანილი პარა- ლელები, სტროფების ანალიზისას რომ მოაქვს გზებსა ხსნის, რომელნიც მიმართულებას გვაძ- ლევენ ფიქრისას, რათა მივიღეთ წარსულის ადამიანთან, მის ცხოვრებასთან, სიმღერასთან და სიტყვასთან, რაც ახლი გამოცანად ქცეუ- ლა ჩვენთვის, გვაძლევს ფარდა ავხადოთ იმ პროვინციალის ყოყონობას, რომელიც იტყვის: ყოველივე კარგი ჩვესა და ჩვენგან იღებს სათიყვეს. თქვენ ხედავთ, ვინ იცის რომელი ტბის, რომელი ზღვის ნაპირზე პირველად და- კენესებულ ამ სტრიქონებს რა გზები, რა გუ- ლები გამოუფელათ, რა სახე მიუღიოთ, სად მიუღწევიათ?“

ამის შემდეგ რეცენზენტი განიხილავს ქალის კულტის პრობლემას: „შეყვარებული მიჯნუ- რი მთლიანად ქალის ყმა და ტყვეა, როგორც შთაა ამბობს იგი მზად არის უდრტყინველად აიტანოს მეფის რისხვა, მაგრამ ეკრძაღვის და ერთის შეყვარებული ქალის წინაშე. ჩვენი სა- იათნიოვაც თავდაჯერებით ამყობს: „არ შეეე- პუები სიკვდილს, რაყიფსაც ტოლს არ დაგუ- დებ, ოღონდ მიბრძანოს შაჰმა“. სტროფის წინაშე კი თრთის: „სულთანი და ხანი ხარ ჩემთვის“. ან კიდევ: „სული ყელში მეჭვინება, საცა ამომხდება კიდევ, რას მიბრძანებ, გან- ვიტევო, თუ ვიცოცხლო?“.. აი, მიზეზი და

ახსნა იმ მოვლენისა, რომ ბევრი, ძალიან ბევ- რი საქმე შესრულებული საყვარელი ქალის ბრძანებით. ასევე ნესტან-დაბუჯის ფარული შეხვედრის დროს უბრძანებს თავის მიჯნურს: „წა, შეები ხატაელთა, ვაჟი ქვეყნად გამაჩვე- ნე...“ ამასვე ვხვდებით, ქვეს, ვაჟი, სასუნ- ციში“. ხანდულთ-ხანდშიც არა თუ არ უმასუხებს ჩვენი ახალგაზრდა გოლიათის მგზნებარე სი- ყვარულს, არამედ — როგორ თუ კოცნა განი- ბედაო — ისეთსილას გააჩნავს, რომ ცხვირ- იდან სისხლი წასკდება. „როგორაო, ხოის, ზორასნისა და ლორეს ფალავანთა თავები მო- მიტანე, რომ მკოცნიო?“ და უბრძანებს, წავი- დეს და მათი თავები მოუტანოს. „ახლა ლამეა, დილით წავალ და მოგიტანო“, — ეუბნება გოლიათი. ადათი, ან უფრო სწორად, ბუნების წესი ასეთი ყოფილა. მიჯნური თავისი მიჯნუ- რის ყმაა, ტყვე, მორჩილი მუღამ მზად არის მისი სურვილების შესასრულებლად თუნდაც ცეცხლში გადაეშვას და უხდა მქონდეს უმაღ- ლესი თვისება კეთილშობილის, რაინდის, მა- მაიცისა, რომელიც ქართულად ერთი სიტყვით გამოითქმის — ყმა. ამის შემდეგ ოვ. თუმა- ნიანი სხვა მკვლევართა მიერ წამოყენებულ ამ სიტყვის განმარტებათა გვერდით გვაწ- ვდის თავის დაკვირვებას, აღნიშნავს, რომ ნ. მარი ლიად ტოვებს საკითხს და მის გარკვევის მომავლის საქმედ მიიჩნევს. რეცენ- ზენტი წერს: „პატივცემული მეცნიერი მოგვი- ტეგებს, თუ მის ყურადღებას მივაპყრობთ „ხუმა“ სიტყვაზე, რომელიც კეთილშობილი სა- ხეობის არწივს აღნიშნავს, იმ არწივს, რომლის შესახებაც არსებობს თქმულება, რომ არასო- დეს მიწაზე არ ჩამოდის და მუღამ ჰაერის ზედა ფენებში დანაეარდობს. სახელი „ხუ- მა“ წმინდა იყო აღმოსავლეთში, იგი თავის- თავში მოიცავდა ყოველგვარ კეთილშობილ და ამაღლებულ თვისებას; მის მფარველობას შეეძლო გაეზენდიერებინა ადამიანი და მეფო- ბამდეც მიეღწევიანებინა. მის სახელს მეფეებიც პატივს სცემდნენ და ღღესაც შეტანილია სულ- თნის ტიტულებში (პუმაიუნ სულთანი). ხომ არ შეიძლება სპარსულ „ხუმა“ სიტყვას ქვე- შირი მქონდეს ქართულ სიტყვასთან „ყმა“? — სვამს კითხვას ოვ. თუმანიანი.

შემდეგ იგი განიხილავს ნ. მარის მიერ გა- მოთქმულ მოსაზრებებს მიჯნურზე, რომელსაც ბერივით „უყვარს განცალკევება და გატრბის ცხოვრებას, რათა სიმარტოვეში მთიკრიბოს აზრები, თავის მიერ გაღმვრთებული ქალის „ღვთიური სილამაზე“ განადიდოს და თავგან-

წირვით მხოლოდ მას ემსახუროს," ოვ. თუმანიანი ეთანხმება ნ. მარს, რომ ქალის კულტის ინსტიტუტის წარმოქმნა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ გარეშე ლიტერატურული გავლენით და აქ უცილობლად ივარაუდება „ქრისტიანული ეკლესიის ქვეშევრდომი ძველი ქართული საზოგადოების შინაგანი მზადყოფნა და ისიც, რომ ეთიკური შეხედულებების შეცვლის გარეშე იგი ვერ შეითვისებდა და ვერ შეიმუშავებდა ქალის კულტს. ოვ. თუმანიანის სიტყვით ნ. მარი არკვევს იმ საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ პირობებს, რომელთაც საქართველოში გააადვილეს მუსულმანურ-ირანული თქმულებებიდან წმინდა საერო-სარაინდო იდეალების მიღება და განვითარება, ყურადღებას ამახვილებს მის შეხედულებაზე, რომ თამარის დროს საქართველოს ეროვნულ-კულტურულ ცხოვრებაში ორი დინება შეინიშნება: ერთი ასახავდა იმ დროის რჩეული, რაინდულად განწყობილი ფეოდალების, მეორე კი განდევნილ ქრისტიანთა გემოვნებას, შემდგომში კი, საქართველოს შავი დღეები რომ დაუდგა, სამონასტრო პოეზიის იდეალები და მოტივები შეითვისეს საერო პოეტებმა.

ოვ. თუმანიანი ცდილობს ნ. მარს იმ ვარაუდის გაძლიერებას, რომლის მიხედვით ოდიოზიანე არსებობდა ქვეშირი სასულიერო და საერო პოეზიას შორის, რის დასამტკიცებლადაც ნ. მარს მოაქვს შოთას წინამორბედად მიჩნეული ქართული ხალხური პოეზიის თექვსმეტმარცვლიანი სალექსო საზომით დაწერილი X ს.-ის სასულიერო საგალობელი. ასეთი ქვეშირის ნათელსაყოფად ოვ. თუმანიანი გვაწვდის ნიმუშებს სომხური ლიტერატურიდან. „ადამიანს უნებლიეთ გაახსენდება, — წერს ოვ. თუმანიანი, — როდესაც ცხოვრებასა და ქალს გამოქცეული, უდაბნოს თავშეფარებული ჩვენი განდევნილები მონასტრებსა და უდაბნოებში კვნესოდნენ ქალის სიყვარულს მოკლებულნი და იწყებდნენ გალობას სიმბოლოებითა და ალეგორიებით (წმინდა ქალწულნი, ანგელოზები, ვარდ-ბუღბული), ვიდრე თანდათან არ გაეხსნათ ენა და ნათლად არ გამოთქვენს კონსტანტინე ერზინკაციით:

ბრძენთა სიტყვის მოსასმენად გამიღია ჩემი სული,
მაგრამ სხეულს წარიტაცებს მიწიერი სიყვარული,
ორთა შუა სანთელი ვარ ცეცხლის აღში ანთებული...

ხოლო ოვანეს ოლკურანცი უკვე ანდობს ლამაზს, რომ ჯვრის წინ მისი სახება წარმოუდგება.

საინტერესოა ოვ. თუმანიანის შეხედულება ქართული და სომხური საგალობლების შესახებ და „შარაკან“ ტერმინის მიხედვით ეტიმოლოგიური ინტერპრეტაცია. „ქართულ საგალობლებზე მსჯელობისას ნ. მარი მიგვითითებს მხოლოდ ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის გავლენაზე და უგულვებელყოფს წარმართულ აღმოსავლეთსა და მის რელიგიურ საგალობლებს, რომელთაც, უეჭველია, დიდი გავლენა მოახდინეს როგორც ქართულ, ისე სომხურ საგალობლებზე. მეტად საინტერესო იქნებოდა, თუ პატივცემული მეცნიერი ამ მხრივ მიუდგებოდა საკითხს და სულისა და ხორცის ბრძოლაში მოძებნიდა ძველი რელიგიისა და მისი საგალობლების გავლენას, ესოდენ რომ ეთაყვანებოდნენ ქალს და არ იცნობდნენ ახალი რელიგიის ასკეტიზმს. წარმართული სარწმუნოების კვალი ქრისტიანობასწიარებულ აღმოსავლეთში პირწმინდად ხომ არ აღმოუხვერილა და მთლად არ გადაშენებულა! ჩვენ იმასაც კი ვვარაუდობთ, რომ ჩვენა შარაკანები... უწინარეს უკავშირდება „შარკ“ (აღმოსავლეთი), „სარაკინოს“ (აღმოსავლური) და მსგავს სიტყვებს და აღნიშნავს მზის საგალობლებს, მზის ამობრწყინებას და თვითონაც მეტწილად მიძღვნილნი არიან მზისადმი და სავსენი არიან მზით“.

ასეთია ოვ. თუმანიანის მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები ნ. მარის შრომაზე.

1913 წ. გამოქვეყნებული წერილი „ორი დიდი თბილისელი“ ოვ. თუმანიანმა მიუძღვნა გ. სუნდუკიანისა და სიათნოვას ხსოვნას. ავტორი სევდით ლაპარაკობს ძველი თბილისის კოლორიტზე, მის განუმეორებელ ყოფით სურათებზე და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მე-19 ს.-ის 80-იანი წლებიდან თბილისმა ფერი იცვალა. „მე ძველი თბილისის უკანასკნელ დღეებს მოვუსწარი, — წერს ოვ. თუმანიანი. — რომლის მიმზიდველ და საინტერესო ცხოვრებაში ტონის მიმცემი მხნე ქართული სული იყო, ხოლო კავკასიის სხვა ხალხები თითქოს სანადიმოდ იყვნენ მიწვეულნი. ძველი თბილისი განსაკუთრებულ, თავისთავად სამყაროს წარმოადგენდა თავისი ლაღი ცხოვრებით. მაგრამ ყოველივე ეს გაქრა. გაქრა და აღარც დაბრუნდება“. ძველმა თბილისმა, ოვ. თუმანიანის სიტყვით ორი დიდი სომეხი მწე-

ოლის სახელი დაუტოვა შთამომავლობა. —
საიათნოვასი და გაბრიელ სუნდუკიანისა —
მშობლიური თბილისის დამახასიათებელი ენით,
სუნთქვითა და სულით.

პოლემიკურ ხასიათს ატარებენ 1915 წ. გამოქვეყნებული სტატიები „ორიოდე ცნობა“ და „უბედურება და არა პოლიტიკა“ ოვ. თუმანიანი ცდილობს განმარტოს, რომ სომეხთა ლტოლვა საქართველოსაკენ გამოწვეულია სომეხი ხალხის თავს დატეხილი უბედურებით და არა პოლიტიკური წინასწარდასახულობით. პოლემიკა მიმართულია გაზეთ „Знамя Кавказа“-ის რედაქტორ ჯ. თუმანიშვილისადმი, რომელმაც „Грузин“-ის ფსევდონიმით რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა. ოვ. თუმანიანი აკრიტიკებს შეხედულებას, თითქოს სომეხები მოქმედებდნენ გამოწვეული პოლიტიკით, როცა საქართველოს თავს აფარებენ. „იგი (ჯ. თუმანიშვილი — მ. რ.) — ოდნავადაც არ იცნობს უახლეს სომხურ ლიტერატურას, რომელიც გაბნეულ სომეხობას სამშობლოსკენ — სომხეთისკენ მოუხმობს. არ იცნობს ჩვენი ინტელიგენციის იმ მიმდინარეობას, რომელიც საკუთარი სიცოცხლის ფასად უკვალავს გზას სომხეთისაკენ გაბნეულ სომეხობას, არ იცნობს სხვადასხვა სომხური ორგანიზაციის ცდებსა და მოწოდებებს, რომ სომეხი ხალხი დარჩეს თავის სამშობლოში და გადახვეწილიც უკან დაბრუნდნენ... არ იცის, თუ როგორ მოუწოდებდა მათ მთელი სომხური პრესა — სამშობლოში დაბრუნდითო, მოუწოდებდა იმ ხალხს, რომელმაც დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ჯერ ვერ შეძლო ერთ ადგილზე დამკვიდრება და სულის მოთქმა, დატანჯულ, მშვიერ და დაქანცულ ხალხს და ეს ხალხიც ათეულ ათასობით ნიაღვრად მოასკდა და მოედინება სამშობლოსაკენ“. ოვ. თუმანიანის სიტყვით, სომეხებს მხოლოდ ერთი მისწრაფება აქვთ: არამც თუ საკუთარი ქვეყნიდან არ გადაიხვეწონ, ვინც წავიდა, ისინიც უკან დააბრუნონ. „სომეხი ლტოლვილი თავის მიწაზე უნდა დაბრუნდეს და ბრუნდება ამ წუთშიაც კი, როდესაც ყველა გზაზე მას მკვლელები ჩასაფრებიან... ჩვენ ვისურვებდით, რომ იმ სომეხებმაც, რომელნიც ძველთაგანვე გაბნეულნი არიან საქართველოში, ერთ დღეს დატოვონ თქვენი ნაყოფიერი მიწები და თავიანთ მკაცრ სამშობლოს მიაშურონ!!!“

პოლემიკური ხასიათისაა 1916 წ. დაწერილი სტატია „რას ამბობენ?“. მასში ოვ. თუმანიანს მიზნად დაუსახავს გაფანტოს ის

მძიმე ბოლოდება, რომელიც ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებული წერილების გამო დაედო სომეხთა ეპისკოპოს მესრობს და სომეხი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელი ბოძოლის მეთაურს — ანდრანიკს.

„წარსულში, ორიოდე ცნობის ქართული პრესიდან, ასევე ერთი რუსული გაზეთიდან თარგმნილი სტატიები დაიბეჭდა სომხურ პრესაში, თითქოს ეპისკოპოსი მესრობი იარაღს უნაწილებს სომეხებს, ანდრანიკი კი რაზმებს ადგენს ქართველთა წინააღმდეგ. როგორც ანის დამწერი, ისე გამოქვეყნებული უეჭველია, ან მეტად ჭკუათხელია და ამ ქვეყნის სრულიად არა გაეგება რა, ანდა ნამდვილი აეყიას. მე მუდამ ბქითევენ ვიბრები, რომ პირველი დაეინახო. მაგრამ, ვინც არ უნდა იყოს იგი, ორივე შემთხვევაში დაწერილი უნდა ეკლავადოთ“. ოვ. თუმანიანი გაოცებულია, რომ „ეს ხმა ნეტარი მესრობის შესახებ, რომელიც ოფიციალური პირობა, ოფიციალურადვე არ უარყვეს“, ანდრანიკის შესახებ კი წერს: „ანდრანიკს მართლა რომ რაზმი შეედგინა ქართველების წინააღმდეგ, უეჭველია, ვერასოდეს იმდენ ზიანს ვერ მიაყენებდა ქართველ ხალხს, რაოდენი ზიანიც მოაქვთ ამგვარ პუბლიცისტიებს, რომლებიც წამლავენ ხალხის გონებასა და სულს“.

შეტად საინტერესოა ოვ. თუმანიანის შეხედულებები ქალის როლის შესახებ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყაროში, რომელთაც გამოთქვამს 1915 წ. დაწერილ სტატიაში „ქალი და მაჰმადიანურ სახელმწიფოთა დაცემა“. მასში ქრისტიანული ოჯახის ჯანსაღი ტრადიციები და სიწმინდე ავტორმა დაუპირისპირა მაჰმადიანური ოჯახის მაგნე ჩვევებს და გვიჩვენა ამ უკანასკნელის წამბილწველი გავლენა ქრისტიანულ სამყაროზე. ოვ. თუმანიანის სიტყვით, „სომეხი თუ ქართველი თავისი რელიგიის სულითა და სუეუნეობრივი ტრადიციებით ქალსა და კაცს ერთ სხეულად, ერთ მორალურ მთლიანობად მიიჩნევს. ქალს მიიჩნევს თავისი არსების ნახევრად და ოჯახის მოთავეობას აკისრებს, სადაც თავი აქვს მოყვრილი ოჯახის სიტკბობასა და ბედნიერებას. მაჰმადიანმა, პირიქით, ქალიც ცხოვრების ერთ-ერთ სიტკბობად მიიჩნია. პარამბანაში ჩაკეტა, მეთვალყურეობად მკვლელები დაუყენა და ცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო ესიამოვნა, რადგან რელიგია და საღმრთო ადათი ჰკარნახობდა: ნება გაქვს ოთხი კანონიერი ცოლი იყოლიო, ხარკად კი რამდენსაც მოიწადინებ, ან რამდენის საშუალებაც გექნება.“

ასეთია მათი ზნეობრივი შეხედულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო პრაქტიკულ ურთიერთობებს და ასეთია ის გზები, რომელთაგან ერთს მიჰყავს ოჯახისკენ, მეორეს — პარამხანისაკენ“. შემდეგ ავტორი გვიჩვენებს პარამხანის ინსტიტუტის გამხრწნელ გავლენას ქალის სულზე: „საზოგადოდ ფიქრობენ, რომ პარამხანა მონობაა ქალისათვის. ეს შეცდომაა. პარამხანა მონობაზე გაცილებით უფრო მდაბალი და სამარცხვინო მდგომარეობაა. მონას შეუძლია თქვას: მე ვმუშაობ, ჩემი შრომით სხვასაც ვინახავ და მეც ვცხოვრობო. პარამხანის ქალი კი, არა თუ არ შრომობს და არცვის ინახავს, არამედ თავად ცხოვრობს თავისი ქალობის ხარჯზე. ასეთი მდგომარეობა, თუ არ ვცდები, არ არსებობს მთელ ცხოველთა სამყაროში და მხოლოდ ადამიანმა შექმნა, განავითარა და ბოლოს პარამხანით დააგვირგვინა. მაგრამ პარამხანამ არა მხოლოდ ქალის სული წაბილწა, მისგან გამომდინარე შედეგები რისხვად მოეკლინა ქრისტიანულ ქვეყნებს, რადგან მაკმადიანს არა ჰყავს ცოლი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და, რადგან ცოლი არა ჰყავს, არც სახლი აქვს, არც ოჯახი, არც მორალურად მტკიცე, ძლიერი საფუძველი და საყრდენი. მარტოხელა და მიუსაფარი კაცია, რის გამოც გარედან შინ არ შედის, ცხენიდან არ გადმოდის, იარაღს არ იხსნის, რჩება ერთგვარად გაგარეულებული, მხოლოდ თავის იარაღზე დანდობილი, ნიჟარა ბრძოლისთვის გამზადებული და ბრძოლის მოტრფიალე; აქედან გამომდინარე კი მოუსვენარი და სახიფათო მეზობელი“. პარამხანის ინსტიტუტი, ავტორის სიტყვით, ქალთა ნაკლებობას მეზობელ ქვეყნებზე თავდასხმით ანაზღაურებდა, რითაც აუწერელ ლახვარს სცემდა ქრისტიანული ქვეყნების ოდინდელ ტრადიციებს. „ძლიერ შეცდება ის, — წერს ავტორი, — ვინც იფიქრებს, რომ ხ. აბოვიანის „სომხეთის წყლული“ რაღაც გამონაკლისია. ეს წიგნი იწყება გატაცებული ქრისტიანი ქალის შემზარავი კვილით. არა მხოლოდ სომხობის, მთელი კავკასიის ისტორია ამგვარი „წყლულების“ და მისი ახლო თუ შორეული შედეგების ისტორიაა უმეტესწილად“. ოვ. თუმანიანის სიტყვით, აუწერელი უბედურება ქართველ ხალხსაც მისწვდა: „და ასე, საუკუნეთა მანძილზე მაკმადიან დამპყრობთა ხელქვეით მყოფი ქართველი ხალხის სახელგანთქმული სიღამაზე სასჯელად ექცა მასვე. იგი დამარცხების შემთხვევაში იძულებული იყო წლიურად ათასობით ქალიშვილი გაეგზავნა პარამ-

ხანებში, ვითარცა გამოსაღები. ქართველთა მეფის — თეიმურაზის მოწმობით, მარტო გურიის არქივისკომისი ურეულწლიურად თორმეტ ათას ქალიშვილს გზავნიდა თურქეთში, თხზმაც კი ასწავლიდა — ჯგზავნიდა ძღვნად. დღესაც კი, კარგად არის შენახული მაკმადიანთა ქარებს „გურჯისტანის გოზალებს“ — საქართველოს ლამაზმანებს პპირდებიან, ხოლო ფებთა ქვეშ გათელილ სომხეთშიც ხომ ქალის ხვედრი ასევე მძიმე იყო. მშობლები იძულებულნი იყვნენ თავიანთი ქალიშვილები სახლებში ჩაეკეტათ, მათთვის სახე მოეხურათ, ლამაზები დაემახინჯებინათ, დაეუშნობინათ, ანდა ვაჟის ტანისამოსი გადაეცემიათ. მაგრამ მარტო ქალების გატაცებით როდი თავდებოდა უბედურება, ვინაიდან ამ „უქმ და დაუსაქმებელ ქალთა საპყრობილეს“ შენახვა სპირდებოდა. პარამხანის პატრონი კი არც ვაჭარი იყო, არც ხელოსანი და არც მიწათმოქმედი. ასეთ სახსარს კი მის ახალი ლეშქრობა და ისევ კარის მეზობლის დარბევა მოუტანდა... დღესაც კი თითქოს ისევ გვესმის ასეულ ათასობით განაწამებ, თმაგაშლილ ქალიშვილთა კვილი და ისევ ვძლიერდებით საბრძოლო გზაზე ჩვენს დამცველსა და მოკავშირე დიდ რუსეთთან“. თუმანიანის სიტყვით, მოწინავე ხალხთა რიგებში შესვლა შეუძლებელია, თუ უარყოფილ არ იქნა „არა მხოლოდ პარამხანა გარეგნულად, არამედ პარამხანული შეხედულება შინაგანად“. ავტორი მიუთითებს, რომ ამ გარემოებას უკვე გრძნობს ახალ გზაზე დამდგარი მაკმადიანური სამყაროს ჩანსალი ნაწილი და გამოთქვამს რწმენას, რომ მომავალში ეს ახალი გზა შექმნის გვერდიგვერდ ძმური ცხოვრების შესაძლებლობას. ოვ. თუმანიანს მჭიდრო, შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. წერილებში მთელი სიღიადით წარმოადგება ოვ. თუმანიანის დიდბუნებოვნება, მისი განუმეორებელი პიროვნების ძალში ენერჯია. პოეტი დარწმუნებულ იყო: იმისათვის რომ ქართველებმა და სომხებმა გაიგონ ერთმანეთის ავ-კარგი, პირი და ლხინი, საჭიროა ერთმანეთის კარგად გაცნობა, სიყვარულისა და პატივისცემის გაღვივება, რაშიც უდიდესი როლი ენიჭება ლიტერატურის ცოდნას, რადგან მასშია არეკლილი ხალხის ეროვნული მეობა. ტ. ტაბიძის სიტყვით, ოვ. თუმანიანი იყო „პირველი ენთუზიასტი ამიერკავკასიის ხალხთა მწერლობის დაკავშირებისა“. წერილში „ქართული ლიტერატურის შესახებ“ (1914) ვკითხულობთ:

„ჩვენ გულსტკივილით ბევრჯერ ვაღიარეთ, რომ არ ვიცნობთ მეზობელ ხალხებს, მათ რიცხვში ქართველებსაც, რომლებთან ერთადაც ვცხოვრობთ უძველეს დროთაგან და მაინც არ ვიცით არც მათი წარსული ისტორია, არც მათი ახლანდელი ცხოვრება და ლიტერატურა. შესაძლებელია თავი ვიმართლოთ იმით, რომ ჩვენს საკუთარ ისტორიას, ცხოვრებასა და ლიტერატურასაც კი არ ვიცნობთო, მაგრამ ეს თავისმართლება უფრო მეტად გვიძიძინებს ბრალდებას. ძალიან სარწმუნოა, რომ ჩვენს დღეში არიან თავად ჩვენი მეზობლებიც. ეს მეტად სამწუხარო და დასაძრახი მოვლენაა, რომლის აღმოსაფხვრელად რეალური ნაბიჯები უნდა გადავდგათ ცხოვრებაში“.

1918 წ-ის ბოლოს სომეხ დაშნაქთა და ქართველ მენშევიკთა დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგად იფეთქა ქართველ-სომეხთა ძმათამკვლელმა ომმა, რომელსაც სისაზღვრო დავა ედო საფუძვლად. ოვ. თუმანიანმა მაშინვე ეწერა გიულად გაილაშქრა ამ სამარცხვინო ომის წინააღმდეგ. ტ. ტაბიძემ ღია წერილით მიმართა მას გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე 1919 წ., სადაც მაღალი შეფასება მისცა ოვ. თუმანიანის მიერ გაწეულ საქმიანობას ორ მეზობელ ხალხს შორის ერთსულაოვნებისა და მშვიდობიანობის აღსადგენად. „თქვენ ქართველი საზოგადოება გიცნობთ, როგორც პოეტსა და პატრიოტს, — სწერდა ტ. ტაბიძე ოვ. თუმანიანს, — არავის არა აქვს ისეთი უფლება, ილაპარაკოს სომეხი ხალხის სახელით, როგორც თქვენ“. ოვ. თუმანიანმა ქართველ პოეტს უპასუხა ვრცელი წერილით. ამ და სხვა წერილებში, ძმათა სამარცხვინო ომს რომ მიუძღვნა ოვ. თუმანიანმა, გატარებულია აზრი, რომ ქართველი და სომეხი ხალხების სულს, რომელთაც საუკუნეობრივი მეგობრობა აკავშირებთ, არ შეხებია ის შხამი, რომლის ჩაწვეთებას ასერიგად ცდილობდნენ ორივე ხალხის გაბატონებული წრეები.

სტატიაში „ჩემი პასუხა ლევან ყიფიანს“, რომელიც 1919 წ. გამოქვეყნდა „Кавказское слово“-ში და წარმოადგენს პასუხს ამავე გაზეთში დაბეჭდილ ქართველი ჟურნალისტის ღია წერილზე, პოეტი ამბობს, რომ ხალხისათვის, რომელიც საუკუნეებში გამოტარებული გამოცდილებით ხელმძღვანელობს, უცხოა კაბინეტში მოკალათებული პოლიტიკოსის გულნამცევობა და დროებით მიმართულთა ავადმყოფური პანიკა, „ეს არის მიზეზი იმისა, რომ მას შეუძლია გაუძლოს ყოველგვარ შხამს, რომელიც მის დატანჯულ სხეულში შეჭყავს

სხვადასხვა მიმართულსა თუ ხელმძღვანელს მაღალი იდეების სახელით, არც პირდაპირ ბარბაროსულად“. ოვ. თუმანიანი ქუმანიანისტი იდეების ქადაგების საქმეში პირველხარისხოვან როლს ანიჭებს პოეტს „ქვეყნის“ დროა, — განაგრძობს იგი, — განსწავლეს ქვეყნის საქმეებით მოეკიდონ საქმეს საუკეთესო გრძნობების დამცველნი და გამღვივებელნი“.

ღიდი ქუმანიანი მუდამ თავის სამწერლო ღვაწლზე მაღლა აყენებდა იმ დამსახურებას, რაც მას ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში მიუძღოდა. ამავე წერილში ეკითხულობთ: „ჩვენი ახალი თაობა აღფრთოვანებული ტაშით შეხვდა ჩემს სიტყვას, რომელშიც ანდერძად დავეზღვე, ჩამოშორებოდნენ ძველ გზას, გამოეყენებინათ ძველი თაობის გამოცდილება და სოლიდარული კავშირი განემტკიცებინათ მეზობელ ხალხებთან. უნდა გენახათ რა აღფრთოვანება ეუფლებოდა ყოველთვის ჩვენს საზოგადოებას, როდესაც მშობლიურ პოეტებთან ერთად მის წინაშე მეზობელ და, საერთოდ, სხვა ხალხთა პოეტები გამოდიოდნენ. ამით ჩვენი ხალხები მათ უკვე თვითონ უკვალავენ გზას და ამ გზით სიარულს უწერგავენ“.

ოვ. თუმანიანი ღრმად არის დარწმუნებული რომ „მტრობა, რომელიც ჩამოვარდნილია ჩვენს შორის, ხელოვნურია, ხოლო სიყვარული და ძმობის გრძნობა — ბუნებრივი და უფრო ძლიერი, ვიდრე ამას ჩვენში ფიქრობენ“.

1920 წ. დაწერილ შესანიშნავ სტატიაში „ნათელი ფურცლები“ პოეტი წერს: „ღიან, ჰქონია ადგილი სამწუხარო ინციდენტებს, მაგრამ მათ შეძლეს მხოლოდ დროებით გაეციებინათ, აემღვრიათ, მოეწამლათ ამ ხალხთა ურთიერთობა, ისიც მხოლოდ ზედა ფენებში, ქართველი და სომეხი ხალხების სულის სიღრმე კი აუმღვრეველი დარჩა“. ამის მიზეზი ის ძმობა-მეგობრობაა, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს. „საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში საუკეთესო ქართველი იცავს სომხეთს, სომეხი კი — საქართველოს“... კონკრეტული სომხური და ქართული ისტორიული წყაროებიდან მოხმობილ მეგობრობის დამამტკიცებელ საბუთებთან ერთად ოვ. თუმანიანი იმომბებს ეროვნულ სომხურ ეპოსს „დავით სასუნცის“, მოაქვს მაგალითი ხალხის ღიადი ძალის, მისი მშვიდობისმოყვარეობისა ამ ძალამ გოლიათს ამოწვდილი მახვილი ქარქაშში ჩააგებინა. „დავით! — მიმართავს მოხუცი გოლი-

ათს, — ჩვენ საცოდავი მიწის მუშა ხალხი ვართ, მეფემ ძალით შეგვყარა და საომრად წამოგვასხა, შენ არაფერს გერჩით, შენი მტერი მეფეა, იმას შეეხი შენი მახვილით! რას ერჩი საცოდავ ხალხს? — და გოლიათს მკლავი ჰაერში გაუშეშდა.

ოვ. თუმანიანი არ ეთანხმება აზრს, რომ ხალხი მკრთალად ჩანს ისტორიაში: „მე ვფიქრობ, ხალხი არის, ჩანს, იგი მეტყველებს ათასნაირი ფორმითა და გამოთქმით, ოღონდ საჭიროა ვიპოვოთ, შევნიშნოთ და დავინახოთ“. შემდეგ ოვ. თუმანიანი ლაპარაკობს სომეხთა გოლიათ დავითსა და ქართველთა გოლიათის — გიორგის შესახებ: „სომხურ ეპოსში მუდამ ურყევად დგანან გვერდი-გვერდ დავითი და გიორგი... მათი ხმლები არასოდეს გადაჯვარედინდებიან. გიორგის ქვეყანაში დავითი მხოლოდ სიყვარულისა და მეგობრობისთვის მოდის. ამაში უდიდესი აზრია ჩაქსოვილი. ეს არის თაობათა მიერ განმტკიცებული კავშირი, სამუდამოდ გაკვალული გზა. სომეხი იქნება თუ ქართველი, ამ გზიდან თუ გადაუხვევს, თავის თესლ-ტომის სულს უღალატებს“.

ქართველთა მიმართ დიდი პატივისცემის გამომხატველია ოვ. თუმანიანის შემდეგი სიტყვები: „თუკი მსოფლიოში არიან ხალხები, რომელნიც საუკუნეობრი-

ვი სამართლიანი ომების, დიდი მიზნებისა და სიწრფელის გამო ორსნი ბრიან უკეთესი მერმისისა, უეჭველია, მათ შორის არის ქართველი ხალხიც“.

ქართველი პოეტები ^{ქართული} ^{ლიტერატურის} ^{მოდერნიზაციის} მოღვაწეები დიდი სიყვარულს ^{და} ^{სიღმინის} ^{სიღმინის} ცემით ეკიდებოდნენ სომეხი ხალხის დიდ შვილს — ოვანეს თუმანიანს, აფასებდნენ მის მწერლურ და საზოგადოებრივ ღვაწლს. ეს გულთბილი დამოკიდებულება აისახა მათ მოგონებებში.

იმ დიდ სიყვარულს, რომელიც ამოძრავებდა ოვ. თუმანიანს საქართველოს მიმართ, ქართველი საზოგადოებრიობა სიყვარულითვე უპასუხებდა. ტ. ტაბიძის მეუღლე ნინო ტაბიძე იგონებს: „მე არ მახსოვს, როდესმე ასე გულწრფელად დაეტიროთ ვინმე სხვადასხვა ხალხის პოეტებს. ოვ. თუმანიანის ანდერძი, რომ დაემარხათ იგი საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მის საყვარელ ქალაქში, სამარადისოდ აკავშირებს ჩვენთან ამ პოეტს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ხალხს შესწირა და უმწიკველოდ გამოატარა ხალხთა მეგობრობის დროშა“.

თუმანიანის წერილებიდან ნათლად გამოსკვივის პოეტის მთლიანი პიროვნების შესანიშნავი თვისებები, რაც ესოდენ მახლობელი და ძვირფასი იყო და არის ქართველი ხალხისათვის.



„ხელნაწერები არ იწვიან“

ქერ არ დამცხრალა ჯიუტი ომი,
დაუდგრომელი, ქარივით მკვეთრი,
და ატორტმანდა ჩვენი ბათოში,
მწვანე ბათოში — მაისის ხვედრი! —

წერდა პაოლო იაშვილი ჩვენი საუკუნის მეორე ათწლეულის დამდეგს.

შეოთიანსა და მღელვარე 20-იან წლებში, რომლებმაც თითქმის წაშალა ზღვარი ლიტერატურულ, პოლიტიკურ თუ ცხოვრებისეულ მიმდინარეობებს შორის, რუსული ლიტერატურისა და ინტელიგენტური აზრის ისტორიის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენლისათვის ბათუმი იქცა წმინდა ელენეს კუნძულად.

ამ პერიოდის დრამატიზმით გამსჭვალულ მოვლენებსა და საზოგადოების ეთნოგრაფიულ სიჭრელეზე (1921 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა გასამმაგდა და მისმა რიცხვმა 120 ათასს მიაღწია) დღესაც თვალში საცემი არქიტექტურული ექსპლექტიზმი თუ მიგვანიშნებს, თორემ სახლმუზეუმების ან ნაცროსფერ შენობებზე შემორჩალური დაფების მოსაძიებლად ამოდ დავშვრებით.

არარსებულ შემორჩალურ დაფებს კი უთუოდ დაამშვენებდა სადღეისოდ განსაკუთრებით საინტერესო და ძვირფასი სახელები: ანდრეი ბელი, ალექსეი ტოლსტოი, ბიკენტი ვერესაევი, ველემირ ხლებნიკოვი, ოსიპ მანდელშტამი, მიხაილ ბულგაკოვი.

„ციხფერუანწელთა“ მიერ ბათუმის — როგორც „მაისის ქალაქის“ — აღქმა („მაისი უველგან არის მაისი, მაგრამ ბათუმში მაინც სხვა არის“, — ტიციანი; „მწვანე ბათოში — მაისის ხვედრი“, — პაოლო) ხშირად ხულ სხვადასხვაგვარ შემთხვევებში იძენს სიმბოლურ მნიშვნელობას: დიდი რუსი მწერალი მიხაილ ათანასეს ძე ბულგაკოვი მაშინ, როდესაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „იდგა მაისი ქრისტეს შობიდან ათას ცხრაას ოცდამეერთე წლისა და იყო რევოლუციის დაწყებიდან წელი მეხუთე“, ბათუმს ჩამოვიდა...

„უნდობარი ხანების“ შემდეგ სავსებით კანონზომიერია, რომ მ. ბულგაკოვის შემოქმედებისადმი ინტერესი დღით დღე იზრდება. ცნობილი ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის

პ. პალიევსკის ნათქვამი რომ გავიმეოროთ, „უოველი ახალი რეცენზია მის (მ. ბულგაკოვის — ლ. ე.) ნაწარმოებებზე თითქოს სხვას მოითხოვს და ჯერჯერობით არც იგრძნობა, რომ მდგომარეობა შეიცვალოს“. მწერლის შემოქმედების მკვლევარი მ. ჩუდაკოვა კი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მ. ბულგაკოვის ლიტერატურული შემეცოდრეობის ისტორიულ-ლიტერატურული შესწავლა ჯერ კიდევ დაწყებული ეტაპზე იმყოფება. დაუდგენელია, თუნდაც, უველაზე ზოგადი სახით, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიური ქარგა, არ არის აღდგენილი მის ნაწარმოებთა შემოქმედებითი ისტორია“ («Записки отдела рукописей библиотеки им. В. И. Ленина». Вып. 37, М., 1976).

ამ თვალსაზრისით, ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მივიწუებულ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებსა თუ მწერლის ეპისტოლარულ არქივში მიმოფანტული მისი „ქართულ ცხოვრებასთან“ დაბოკავშირებული უოველი სტრიქონი.

კიევის სასულიერო სემინარიის პროფესორის უფროსი ვაჟი, მ. ბულგაკოვი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდის მეტად რთულ ვითარებაში: ძველი ინტელიგენცია „ქეშმარიტი გზის“ ძიების მტკივნეულ პროცესს განიცდის, საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში ბუნდოვნად თუ ისახება მომავლის კონტურები, იკარგება ორიენტირი... რეალურად დგება იმის საფრთხე, რომ „რეპინის ნახატები პოლიტიკური პლაკატებით შეიცვალოს“ (ლუნაჩარსკი)...

ამგვარ ვითარებაში მ. ბულგაკოვი ტოვებს მშობლიურ ქალაქს, თავს ანებებს საექიმო კარიერასაც და 1920 წელს ვლადიკავკაზში მიემგზავრება. მოგვიანებით, 1921 წლის ოქტომბერში ის თავის „ავტობიოგრაფიაში“ იტყვის: „1920 წლის დასაწყისისათვის მე მივატოვე ექიმობა და ვწერდი ვცხოვრობდი შორეულ პროვინციაში და ადგილობრივ სტენაზე ვდგამდი პიესებს. შემდგომში, უკვე მოსკოვში ხელახლა გადავიკითხე რა ისინი, სასწრაფოდ

ცეცხლს მივიც... ვიმედოვნებ, რომ არც ერთი
გაზემპლარი არ გადაჩენილა...

ხელნაწერები არ იწვიან...

ავტობიოგრაფიულ პრაქსას, რომელშიაც
ღირსეული აღხარება მართლაც რომ გასაყ-
ვირველად ეხამება გროტესკს, მწერალი მთელი
ცხოვრების მანძილზე ქმნიდა. ამგვარი ფორმის
ნამუშევრებში მის საუკეთესო ნიმუშად მიჩნე-
ლია საყოველთაოდ აღიარებული „თეატრალუ-
რი რომანი“, რომელსაც წინ უძღოდა: „ექიმის
არაჩვეულებრივი თავგადასავლება“ (1922 წ.),
„მანუეტებზე ჩანაწერები“ (1923), „ბოქემა“
(1925), დაუმთავრებელი მოთხრობა-აღხარება
„იღუმალ მეგობარს“ (1929), შედარებით გვი-
ანდელი „იღვა მაისი“ (1934) და სხვები.

ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებთაგან ჩვენ-
თვის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა „მან-
უეტებზე ჩანაწერები“.

„ელექტრული ნათურის მიმკრალ შუქზე, არა
სინათლის აღზე შევთხზე წიგნი „მანუეტებზე
ჩანაწერები“ — წერს თავად ავტორი (Сбор-
ник «Писатели». Под редакцией В. Лиди-
на. М., 1926 г. «Современные проблемы»):
„მოთხრობა? არა. მოთხრობა კი არა, რაღაც
მემუარების მაგვარი იყო“.

ხსენებული „რაღაც მემუარების“ პირველი
ნაწილი, რომელიც გმირის ვლადიკავკაზში ჩა-
მოსვლით იწყება და ტაფლისა და ბათუმში
ყოფნის აღწერით მთავრდება, მოიცავს 1920-21
წლებს (სრული სახით „ჩანაწერები“ გამოქ-
ვეუნდა: აღმანახში „ვოზროუდენიე“ (1923 წ.,
მ.ტ. 2), ბერლინში გამოშავალ გაზეთ „ნაკანუნეს“
ლიტერატურულ დამატებაში (1922, № 68) და
ჭურნალში „როსია“ (1923, № 6). სხვათა შო-
რის, ამ უკანასკნელ ჟურნალში (გამომცემელს
წ. კაგანსკი) დაიბეჭდა შემდგომ პირველად
მოთხრობების ციკლი «Диаволиада» და
რომან „თეთრი გვარდიის“ პირველი სამი ნა-
წილი). აქ მოცემული ინფორმაციების მწერლის
პირად წერილებთან შენაარსობრივი და ქრონო-
ლოგიური შეჯერების შედეგად აღინდება, რომ
ამ პერიოდში შექმნილია და 1923 წელს განად-
გურებული პიესები იქნა: „თვითდაცვა“, „რე-
ვოლუციური დრამა მთიელთა ცხოვრებიდან“..
კომედია-ბუფი „თიხის ხასიძობები“, სამაქტიანი
„პარიზის კომუნარები“, „მოლას ვაჟიშვილები“
და „ძმები ტურბინები“. როგორც ჩანს, პიესათა
უმრავლესობა აგიტაციურ ხასიათს ატარებდა
და პროვინციული თეატრის მოთხოვნილებებს
შეესაბამებოდა იმ გამონაკლისის გარდა, რომ-
ლის შესახებაც მ. ბულგაკოვი 1920 წლის 28
აპრილს სწერდა დას — ვ. ბულგაკოვას: „...დი-
დი მადლობა ლიტერატურული წარმატებების
სურვილისათვის, ვერ აგიწერ, ბანდაბან როგორ

ციტანებში... საკუთარ შემოქმედებას მკვეთრად
ვეოფ ორ ნაწილად: იმად, რაც წამდვილია, და
ნაცოდვილარად. „წამდვილ“ ნაწილებში საუკე-
თესოდ „თიხის ხასიძობა“ ვთვლი და ისიც არ
იდგმება, არც დაიდგმება, რა უმჯობესაა მოსმენის
დროს კომისია მთელი ხაშიფიქტეს განმავლო-
ბაში ბარხარებდა... საბოლოოდ სალონურიაო“
(«Письма к родным. 1921-22», Известия АН
СССР Серия литературы и языка. 1976,
: 35. № 5; стр. 451—464. წერილების
ციტირებას შემდგომშიც მოვანდენთ ამ გამოცე-
მის მიხედვით — ლ. ე.).

ბედის ირონიაა, რომ ამ პერიოდის ერთადერ-
თი დრამატული ნაწარმოები, რომელმაც ჩვენამ-
დე მოაღწია, არის თავად ბულგაკოვის კლასი-
ფიკაციით „უნიკობის საუკეთესო ნიმუში“,
პიესა „მოლას ვაჟიშვილები“. რომლის ორი —
რუსული და ოსური ვარიანტი — არსებობს.
პიესა ვლადიკავკაზის თეატრის სცენაზე დიდი
წარმატებით დაიდგა 1921 წლის მაისში, მაგრამ,
როგორც ირკვევა, მაინც ვერ მოიპოვა ავტორის
სიყვარული და თანაგრძნობა: „მე დავიწყე ნაწე-
რის (იგულისხმება პიესა „მოლას ვაჟიშვილების“
ნაწერი — ლ. ე.) მოსპობა, მაგრამ უცებ
შეგჩერდი... ხელნაწერთა განადგუ-
რება არ შეიძლება... ჩემი ბელით —
არასოდეს!“

ხელნაწერები არ იწვიან.

ჩვენი ინტერესების სფეროს რამდენაღმე შე-
ესაბამება მოთხრობა „ბოქემაც“. რომელიც
1924 წელს დაიწერა და დაიბეჭდა ჟურნალში
„კრასნაია ნივა“ (1925, № 1). მასში აღწერილია
ის წინააღმდეგობანი, რომლის გადალახვაც უბ-
დება მწერალს ვლადიკავკაზიდან თბილისში
ჩამოსასვლელად და საშუალებას იძლევა ვიძს-
ჯელოთ იმ მიზეზებზე, რომელთაც იგი საქარ-
თველოში ჩამოჰყავთ.

პირველ რიგში, მას წმინდა ლიტერატურუ-
ლი მიზანი ამოძრავებს: „დიდ დრამად“ გადა-
აქეთოს და თბილისში დადგას უკანასკნელი
პიესა „ძმები ტურბინები“ (ეს პიესა მხოლოდ
ბერსონაჟთა გვარით ჩამოგავს შემდგომში გაზ-
მაურებულ „ტურბინთა ცხოვრებას“, რომლის
პრემიერაც 1926 წლის 11 ოქტომბერს გან-
ხორციელდა მხატ-ში და რომელიც რაკპელთა
კრიტიკის მუდმივი ობიექტი გახდა. თუმცაღა
1930 წელს კრიტიკოს ბილ-ბელოცერკოვსკი-
ხაღში მიწერილ წერილში ი. სტალინმა სტულ
სხვაგვარა ახსნაც მოუძებნა მას: „ტურბინთა
ცხოვრება“ — ბოლშევიზმის ყოვლისდამორგუნ-
ველი ძალის დემონსტრაციაა, რაშიც ავტორს
არავითარი ბრალი არ მიუძღვის“ — В. Петелин.
«Память сердца неистребима», М., «Ого-
нёк», 1970). როგორც ჩანს, ამ სამუ-

შაოს იგი ბათუმშიაც აგრძელებს. საიდანაც 1921 წლის 2 ივნისს დასთან — ნ. ზემსკაია — ბულგაკოვასთან გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „...ტურბინებს“ ვაკეთებ დიდ დრამად, „დრამად აღიოსო ტურბინზე“.

მეორე მიზეზად კი სამსახურეობრივი მოვალეობა უნდა მივიჩნიოთ: ვლადიკავკაზში ყოფნის ბოლო ხანებში მ. ბულგაკოვი პოლიტიკანათლების სისტემაში მუშაობდა და ამ ხაზით მიაღწინეს ბათუმს.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებასაც. „მანუეტებზე ჩანაწერებში“ ვკითხულობთ: „...ვლადიკავკაზში ორპირი ქარი ქრის, რომელიც მწერლებსა და პოეტებს, მსახიობებსა და მუსიკოსებს სხვადასხვა მხარეს ჰფანტავს; ზოგს ჩრდილოეთიდან — სამხრეთისაკენ მიაქანებს, ზოგს — პირიქით... რიურის ივნებს — ტფილისიდან მოსკოვში, ოსიპ მანდელშტამს — ურიშიდან ბათუმს...“ საგულისხმოა, რომ ოსიპ მანდელშტამთან შეხვედრის სურვილი (რომელიც უკვე გახმაურებული ლექსების ავტორი იყო და „ამაყად და პოეტური უღარდულობით ცხოვრობდა“ ს. ერმოლინსკი) გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი იქნებოდა მწერლისთვის, ვიდრე სამსახურეობრივი დანიშნულება.

და კიდევ: მოთბობის „ბოჰემა“ I თავში, რომელსაც ეწოდება „თბილისი გაქენება თბილისისაკენ“ («Вверхом на пьесе в Тифлис»). მ. ბულგაკოვი წერს: „რატომ? რატომ მაინც-დამაინც თბილისში: ...ამბობენ, რომ: 1) თბილისში ღიაა ყველა მაღაზია 2) თბილისში არის ღვინო 3) თბილისში ძალიან ცხელია და ძალიან იაფია ხილი 4) თბილისში ბევრი გაზეთი გამოდის... მეც გადავწყვიტე გავმგზავრო“.

ლოგიურია დავასკვნათ, რომ საქართველოში ჩამოსვლისას მწერალს ადგილობრივ პრესაში დაბეჭდვის სურვილიც ამოძრავებდა (უნდა გავითვალისწინოთ მომდევნო სტრაქონებიც „მანუეტებზე ჩანაწერებიდან“: „ყველაფერს ნაჩქარევად ვაკეთებ... დღესა და დამეს ვასწორებ მუშაობაში. ეჰ, სადმე დაბეჭდვა რომ შეიძლებოდეს...“).

გზა რთული და გრძელი იყო: ბაქოს გავლით — თბილისისაკენ 1921 წლის 26 მაისს მ. ბულგაკოვი უკვე თბილისშია, ბინავდება სასტუმრო „პალე-როიალის“ ნომერში (სახანლის მოედანი № 6) და აგზავნის წერილს კიევში დასთან — ნ. ზემსკაია-ბულგაკოვასთან: „...ველოდები ვლადიკავკაზიდან ტახიას (ტახიანა ნიკოლოზის ახული ღამა — მწერლის მეუღლე — ლ. ე.) და ჩამოსვლისთანავე გავმგზავრებით ბათუმს. რაც შეიძლება, უნდა ვიჩქარო, რამდენ ხანს დაფრჩხები — ჯერ არ ვიცი... თუკი ამ წე-

რილის მიღებიდან ნახევარი წლის განმავლობაში ჩემგან არავითარი ცნობა არ გქნა, ჩემეული ხელნაწილები დაწვი...“

ხელნაწილები არსებობდა...
...ბათუმის პორტში გარდაცემული წითელი არ წყდებოდა ცხოვრების მაჭისცემა. ის იყო დიდი საზღვაო კარიბჭე, გამაყრუებლად გუგუნებდნენ რეიდზე მდგომი გემები მარსელიდან, კონსტანტინოპოლიდან, ლონდონიდან... გაიხსნა ყრიმკავკასიის სამგზავრო-სასაქონლო ხაზიც...

და როგორც თვითონ იტყოდა, მაშინ, როდესაც „იღვა მანსი (ბოლო დღეები მაისისა) ქრისტეს შობიდან ათას ცხრაას ოცდამეერთე წლისა და იყო რევოლუციის დაწყებიდან წელი მეხუთე“, მ. ბულგაკოვი ბათუმს ჩამოვიდა.

მწერლის ბიოგრაფიის პირველი „ბათუმის პერიოდი“ მოიცავს თითქმის სამ-ნახევარ თვეს: მაისის ბოლოდან 10-15 სექტემბრამდე. (17 სექტემბრით თარიღდება მისი უკვე კიევიდან გაგზავნილი ბარათი დედასთან, რომელსაც ბათუმში გატარებული მძიმე დღეების კვალი ატყვია: „ბევრს მიეცემდი, რომ თუნდაც კიდევ ორი დღე გამოვიძინო ჩვენს ძველებურ დივანზე და არაფერზე არ ვიფიქრო...“).

მკვლევარი მ. ჩუდაკოვა — ეყრდნობა რა მ. ბულგაკოვის მიერ ჯერ კიდევ ვლადიკავკაზიდან გაგზავნილ წერილს კ. პ. ბულგაკოვისადმი (მწერლის ბიძაშვილი — ლ. ე.): „ჩემი ფელეტონები მიღის კავკასიის ბევრ გაზეთში. ეწერ რომანს (იგულისხმება პირველი მონახაზები რომანისა „თეთრი გვარდია“ — ლ. ე.). ...მაგრამ, მაინც არ მტოვებს ნაღველი: ეს ხომ ინდივიდუალური შემოქმედებაა, ახლა კი სულ სხვა რაღაცის დროა“. მწერლის არქივის დოკუმენტები და მისი ჯერ კიდევ გამოუვლენელი და შეუფროვებელი პუბლიკაციები კავკასიის სხვადასხვა გაზეთებიდან — აი, ორი მთავარი წყარო მ. ბულგაკოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ პერიოდის შესწავლისათვის“. საინტერესო მასალები იქნა აღმოჩენილი, ამ მხრივ, მკვლევარების დ. გირევისა (ორჯონიკიძე) და ვ. ჩემოტარიოვას მიერ (იხ. გვ. „ბაკინსკი რაბოჩი“, 1987, 14-11).

მ. ბულგაკოვის ბათუმში ყოფნისას აქ მხოლოდ ორი გაზეთი გამოდიოდა: ბათუმის რევკომის ორგანო „ივესტია“ (იგივე „ბატუმსკი რაბოჩი“) და „ბატუმსკი ჩას“. საქციალისტთათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ საკითხით დაინტერესება მწერლის დღემდე გამოკვლეული და ცნობილი ფსევდონიმების მოშველიებით (მ. ბული; გ. პ. უბოვი; ფ. ს-ოვი; ტუსკარორა; მიხაილი; ეშმა. ბ. — ამ ფსევდონიმებს ეფარებოდა იგი სხვადასხვა პერიოდულ

გამოცემებში, მათ შორის: „გუდოცში“, „კრას-
ნი უურნალ დლა ვსესში“, „კრასნაია გაზე-
ტაში“, „კრასნაია პანორამაში“ კორესპონდენ-
ტად მუშაობისას).

„მანუალებზე ჩანაწერების“ გროტესკულ-
სარკაზმული სტილისაგან მკვეთრად გამოირჩევა
გეზალტირებული სტრიქონები: „ცხვისძირი,
მხინჯაური, მწვანე კონცხი, მაგნოლიები უვა-
ვიან, თუღის სიმსხო თეთრი უფაილები, ბა-
ნანები, პალმები გეფიცებით, მე თვითონ ვნა-
ხე: პალმა მიწიდან იზრდება, და ზღვაც ვა-
ნუწყვეტლივ მღერის გრანიტის ლოდთან.
თურმე, არ იტყუებოდნენ წიგნებში: მზე ზღვაში
იძირება, ზღვის სილამაზე, ზევის სიმაღლე,
ჩაქვი, ცხვისძირი, მწვანე კონცხი“

ბათუმისა და მისი შემოგარენის ლანდშაფტი-
თა და კენიზებით აღფრთოვანების გარდა, აქა-
ური დღეები კიდევ ორი მოვლენით უნდა უო-
უოჟიდიუო დაუვიწყარი მწერლისათვის. იგი
ბათუმში იგებს ბლოკის სიკვდილს (ალექსანდრ
ბლოკი გარდაიცვალა 1921 წლის 7 აგვისტოს)
და აქ ეცნობა ოსიპ მანდელშტამს. ეს უკა-
ნასკნელი 1921 წელს მეორედ ჩამოდის სა-
ქართველოში (თანამშრომლობს ნ. მიწიშვილის
„ფიგაროში“, თარგმნის „გოგოთურ და აფში-
ნახ“...) მათი შეხვედრა ერთგვარად სიმბოლუ-
რი მნიშვნელობისაა: ათი წლის შემდეგ მ. ბულ-
გაკოვი დაიწყებს მუშაობას თავის მთავარ სი-
ცოცხლის ფასადქმნილ რომანზე, ხოლო ხუთი
ათეული წლის შემდეგ მასზე დაწერილ სტატი-
ებსა და რეცენზიებს არ მოშორდებათ მიპოთე-
ზა მანდელშტამის ტრაგიკული პიროვნებისა და
ბიოგრაფიის პროტოტიპად გამოყენებისა „ოს-
ტატის“ მარადიული სახის შექმნისას.

მ. ბულგაკოვის შემდგომი კონტაქტები
ბათუმთან დაზუსტებას მოითხოვს. მწერლის მე-
უღლის ლ. ე. ბელოზერსკაია-ბულგაკოვას ცნო-
ბით — ისინი კიდევ ოთხჯერ იყვნენ აქ (1927-
28 წ.წ.) და ცხოვრობდნენ მწვანე კონცხზე,
ბარათოვას აგარაკზე. მისივე გადმოცემით,
მწერალს ძალიან უყვარდა ეს ადგილები და
მწვანე კონცხიც ხშირად ფიგურირებდა მის
ნაწარმოებებში. ასე, მაგალითად, გამოუქვეყ-
ნებულ პიესაში „ადამ და ევა“ მოთხრობილია,
რომ ახალგაზრდები დაქორწინდნენ და „თაფ-
ლობის თვის“ გასატარებლად სწორედ აქ გაემ-
გზავრნენ (ეს ინფორმაცია და ფოტოსურათები
ე. ბელოზერსკაია-ბულგაკოვას პირადი არქი-
ვიდან მოგვაწოდა მედიცინის მეცნიერებათა
კანდიდატმა რ. სურმანიძემ).

„ჩამომხმარი სიყვარული... თეატრისადმი,
ახლა... ეს საბოლოოდ მიგაკუთლი მისზედ... მე
სალამით საექტაკლებზე მივდიოდი...“ —
არ ხლოვტობნებით წყდება ნაწარმოები, რომლის

დამთავრებაც ვერ მოახწრო მწერალმა. ნაწარ-
მოები, რომელმაც მეტ-ნაკლებად დაიტია მისი
თეატრალური სატივარი: „თეატრალური რო-
მანი“.

თეატრისადმი ფანატურული ერთგულება უვე-
ლაზე მძიმე წუთებშიაც უტყუარად უტყუა. მო-
ვიუვანთ ნაწყვეტს 1980 წელს მის მიერ მთავ-
რობის ხელმძღვანელობისადმი მიწერილი შე-
რილიდან: „მე ვითხოვ დავინიშნო რეჟისორ-
ლაბორანტად პირველ მხატვრულ თეატრში —
საუკეთესო სკოლაში, რომელსაც კ. ს. სტანის-
ლავსკი და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო ხელმძღ-
ვანელობენ. თუ რეჟისორად არ დამნიშნავენ,
მე ვითხოვ სტატისტიკის შტატიან თანამდებობას.
თუ სტატისტიცაც არ შეიძლება — მე ვითხოვ
დამნიშნონ სცენის მუშად, და თუ ესეც შეუძლე-
ბელია, მაშინ მე ვთხოვ საბჭოთა მთავრობას,
მომეჭყეს, როგორც მას სურს, ოღონდ როგორ-
მე მომეჭყეს („ვოპროსი ლიტერატური“,
1966, № 9).

აღსანიშნავია, რომ ბათუმს მ. ბულგაკოვი
თეატრალურადაც უკავშირდება. სიცოცხლის
ბოლო ხანებში თავდაუზოგავი, „დღელამეგას-
წორებული“ მუშაობის შედეგად მან დაწერა
პიესა „ბათომი“, რომელშიც მოთხრობილია
ბათუმის სოციალ-დემოკრატთა პირველი ორგა-
ნიზაციების მუშაობაზე ახალგაზრდა ი. ბ.
სტალინის ხელმძღვანელობით და რომელიც
სწორედ მხატ-ში უნდა დადგმულიყო 1939
წლის 21 დეკემბრისათვის, მთავრობის ხელმ-
ძღვანელის დაბადების 40 წლის თავის აღსანიშ-
ნავად. ცნობილია, რომ ამავე წლის 24 აგვის-
ტოს თეატრის რეჟისორთა და მსახიობთა ჯგუფი
(მათ შორის მ. ბულგაკოვიც) გაემგზავრა ბა-
თუმში მომავალ სპექტაკლზე სამუშაოდ (მთავა-
რი როლი ცნობილ მსახიობ ხმელიოვს უნდა
შეესრულებინა), მაგრამ სასწრაფო დეპეშამ
ისინი შუა გზიდან უკანვე გააბრუნა. „ყველა
ბავშვი და ყველა ახალგაზრდა ერთნაირია, არ
არის საჭირო პიესის დადგმა ახალგაზრდა
სტალინზე“ — ასეთი იყო სტალინის ბრძანება.

ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ
მ. ბულგაკოვის კავკასიასთან, ბათუმთან, თბი-
ლისთან დამაკავშირებელი მასალები სერიოზულ
კვლევას მოითხოვს და რომ ამ პერიოდმა მკვეთ-
რად შეუწყო ხელი მისი მწერლური და პიროვ-
ნული სიმართლის ჩამოყალიბებას, იმ სიმართ-
ლისას, რომელსაც ასე ნათლად ემსახურებოდა
სიცოცხლის ბოლო დღეებში, იმ სიმართლისას,
რომლითაც სუნთქავენ მისი საქვეყნოდ ცნობი-
ლი ნაწარმოებები თუ ჭერ კიდევ აღმოუჩენელი
ხელნაწერები...

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი ა რ ი წ ვ ი ხ...
მ. ბულგაკოვის მთავრობისადმი მიმართული

ზემოაღნიშნული წერილი ასე იწყებოდა: „ჩემი ლიტერატურული პორტრეტი დასრულებულია და ის არის პოლიტიკური პორტრეტიც... ლიტერატურული მუშაობის ათი წლის მანძილზე პრესაში სამას ერთი გამოხმაურება აღმოვაჩინე ჩემზე. მათგან საქებარი იყო — სამი, ხოლო სამტრო-სალანძღავი — ორას ოთხმოცდათვრამეტი. ბოლო ორას ოთხმოცდათვრამეტი მათგანი წარმოადგენს ჩემი სამწერლო მოღვაწეობის ანარეკლს“.

ამ სტრიქონებში მწერლის სკეპტიციზმი ტრაგიკულ პათოსს იძენს...

და მაინც, წარმოუდგენელი იყო მისი ასეთი დარწმუნებით გარდაცვალება, წარმოუდგენელიც და შეუძლებელიც.

და მართლაც, ხულისშემძვრელია დიდი შემოქმედის ერთგული შეუღლისა და მეგობრის ე. ს. ბულგაკოვას მონაყოლი (იხ «Художественное творчество» — 1982, №, «Наука» — გვ. 149) „როდესაც იგი უკვე გარდაიცვალა, უცებ, თვალები ფართოდ გაეღო, ... და სინათლე, სინათლე იღვრებოდა მათგან, იგი იყურებოდა პირდაპირ და ზევით და ხედავდა, დარწმუნებული ვართ, ნამდვილად ხედავდა რაღაცას.“

ეს მშვენიერი იყო“



...ფართოდ გახედილი თვალებით ვხვდებოდა მწერალი მიხაილ ბულგაკოვა და სწამდა, რომ ხაწერი მაგიდის უუთებში გამომწვევადი მისი გამოუქვეყნებელი ჰქმნებოდაც მაინც იხილავდნენ დღის...
სწამდა, რომ ისინი გამოიხსნიდნენ დროის გამანადგურებელი ხელისაგან.

სწამდა, რომ დავიწყების უკუნეთს ვერ მიეცემოდა უველაზე ძვირფასი — „ოსტატი და მარგარიტა“, აკი, ამიტომაც გენიალურ რომანში ოსტატის ბედისწერის საბოლოო გადაწყვეტისას, თითქოს, საკუთარი ბედიც განსაზღვრა და „გადაიწყვიტა“ სამომავლოდ, სამარადისოდ: სატანასთან ბალის შემდეგ, ფანტასტიკურ მთვარიან ღამეს, როდესაც მარგარიტა მაგიურ ძალთა გრძნეულებით კვლავ ზვდება გულისხმორს, უოვლისშემძლე ვოლანდი სთხოვს ოსტატს — უჩვენოს რომანი პილატზე:

„— მომეციოთ, ვნახო, — ხელი გაიწოდა ვოლანდმა.“

— მე, სამწუხაროდ, ამას ვერ შევძლებ, — უპასუხა ოსტატმა, — იმიტომ, რომ იგი ბუხარში დავწვი.

— მაბატოეთ, მაგრამ ვერ დავიჭერებ, — წამოიძახა ვოლანდმა, — ეს შეუძლებელია.

ხელნაწიკები არ იწვიის“

ტრაგიკული ელიმენტის კონსტრუქცია კიჩელისა და კირკეგორის ესთეტიკაში

სოფოკლეს „ანტიგონე“ ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში სხვა მხატვრულ ნაწარმოებთან შორის უველაზე ხშირად მოხსენიებულია. „ანტიგონე“ მისთვის ტრაგედიის აბსოლუტური ნიმუშია, რომელიც კარგად შეესაბამება მას თეზა-ანტითეზის და სინთეზის ტრიადულ კონსტრუქციას.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კირკეგორის ფილოსოფიური ნაწარმების ღერძს წარმოადგენს პოლემიკა ჰეგელის „რაოდენობრივი“ დიალექტიკის წინააღმდეგ, რომელსაც იგი თავის საკუთარ „ხარისხობრივ“ დიალექტიკას უპირისპირებს; აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მისი ერთ-ერთი უმთავრესი ნაშრომის, „ან-ან“ /Entweder/Oder/, ფრაგმენტი, რომელიც ანტიკურა და თანამედროვე ტრაგედიის განსხვავებას შეეხება, ამ პოლემიკის თითქმის ყველა ძირითად პუნქტს შეიცავს, გასაკვირი აღარ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ არჩევანი სწორედ სოფოკლეს „ანტიგონეზე“ შეჩერებულია. პოლემიკა ამ კონკრეტული ნაწარმოების გარშემო უდრისა მთელი ჰეგელისეული ტრაგედიის წინააღმდეგ პოლემიკას. როგორც აღვნიშნეთ, კირკეგორი თავისი მოღვაწეობის მიზანს ჰეგელის ფილოსოფიის კონკრეტურაში ხედავდა. შემოთ მოხსენიებული ფრაგმენტი კირკეგორმა ჰეგელის ესთეტიკის საპასუხოდ დაწერა და მისი კრიტიკის ობიექტი გახდა ჰეგელის თეორია ანტიკური და თანამედროვე ხელოვნების განსხვავების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ ჰეგელისეულ თეზისებსა და ცნებებს კირკეგორი ერთგვარ საურდენ მასალად იყენებს, იგი ამავე

ღრმს რადიკალურად ცვლის მათ კონტექსტუალურ კავშირს.

ჰეგელის ობიექტურ დიალექტიკას დანიელი ფილოსოფოსი თავის „გაუობიექტივებელ“ დიალექტიკას უპირისპირებს, რომელიც უკიდურესად ინტიმურ განცდას ეყრდნობა. ამასთან დაკავშირებით კირკეგორს შემოაქვს შიშის კატეგორია.

კირკეგორის ანტიგონე ერთადერთი ადამიანია თებში, რომელმაც მამის დანაშაულის შესახებ უველაფერი იცის. სწორედ შიშის მომენტის განუსაზღვრელი დომინანტი მანია კირკეგორს თანამედროვე ტრაგედიის არსად. „მასში მოქმედების ენერჯიაა, რომლის მეშვეობითაც ტანჯვა გულში შეაღწევს.“² შიშის მომენტის დამახასიათებელია მხოლოდ თანამედროვე ტრაგედიისთვის, იგი ამავე ღრმს რეფლექსიაცაა.³ შიშის მომენტი ძირფულად დაშორებულია ანტიკური ტანჯვისაგან (das Leid), რომელმაც არაფერი იცის რეფლექსიის შესახებ. თანამედროვე ინდივიდისთვის ტანჯვა აუცილებლად გაშუალებას მოითხოვს, ამკვარ ვამაშუალებელ „ენერჯიას“ კი სწორედ შიში წარმოადგენს.

შიშის დასაბუთებას კირკეგორი ცდილობს კონკრეტულ მაგალითზე. ეს კონკრეტული მაგალითი კი, როგორც ვიცით, სოფოკლეს „ანტიგონეა“. რომელსაც თანამედროვე სრულიად ახალი, კირკეგორისეული „ქმნილება“ უპირისპირდება.

ბერძნული ტრაგედიის გმირმა ქალმა არ იცის შიშის გრძნობა, რადგან იგი მხოლოდ მოცემული მომენტით, თუ შეიძლება ითქვას, აბსოლუტურ აწმყოში ცხოვრობს. იგი სრული-

¹ ამ ტრაგედიაზე იგი მსჯელობს „რა მართალია თვის „ესთეტიკაში“, „რომელ ფილოსოფიის ისტორიაში“ /Geschichte der Philosophie/, „ისტორიის ფილოსოფიაში“ /Philosophie der Geschichte/, „რელიგიის ფილოსოფიაში“ Religionsphilosophie/.

² Kierkegaard, Entweder/Oder Gesammelte Werke, Bd. I/T. I Jena, Diederichs, 1922, S. 140.

³ რეფლექსიაში იგულისხმება საკუთარი აზრებისა და განცდების, ფსიქიკური მდგომარეობის ანალიზი.

ადაც არ უჭირავს თიდიპოსის ცოდვას, არც გარდაცვლილი ძმების დანაშაული თუ უდანაშაულობა აწუხებს. ადამიანთა მოდგმა ერთხელ და სამუდამოდ მუდმივია ბერძნული ცნობიერებისათვის. იგი არც უარესი ხდება და არც უკეთესი.⁴ თიდიპოსის ოჯახზე თავდატეხილ უბედურებას უზარმაზარი დვთიური ფონი აქვს, განსჯა მის შესახებ ადამიანთა კომპეტენციაში არ შედის. სოფოკლეს ანტიგონესათვის მამის დანაშაული გარეგნული ფაქტორია. ამ დანაშაულით გამოწვეული მისი ტანჯვა კი მხოლოდ ობიექტური კანონზომიერებაა. სოფოკლეს დრამის ტრაგიკული ინტერესი ბერძნული გაგებით იმაში მდგომარეობს, რომ პოლინიკეს უბედურ სიკვდილში, ანტიგონესა და კრეონტის კოლიზიაში თიდიპოსის სავალალო ბედი მყდავდება.

სოფოკლეს „ანტიგონეს“ დრამული პერსპექტივა, როგორც აღვნიშნეთ, აბსოლუტური აქსიომა. მიუხედავად იმისა, რომ ტრაგედიის გმირი ქალი დაღუპულ ნათესავებთან ჰადესში შეერთების დაუოკებელი სურვილითაა შეპყრობილი, ანტიგონე თავის მომავალს წარსულთან, ე. ი. გარდაცვლილ ანდობლებთან შეგუბებაში ხედავს. უნდა გვახსოვდეს, რომ სიკვდილას წადილი ამდენად ანტიგონეს სუბიექტური ნების კი არა, არამედ მისი კლანობრივი (გვაროვნული) ცნობიერებითაა განპირობებული. სწორედ ეს გვაროვნული ცნობიერება უბიძგებს მას ჰადესისაკენ. ბერძნული რელიგიის მიხედვით, არყოფნა ყოფნის სფეროში გადადის, ყოფნის ძმანენტური ხდება, ანუ ყოფნის ყოვლისმომცველი სფერო მოხსნის და შეინახავს მას.

ამგვარად ყოფნა და არყოფნა ანტიგონესათვის რადიკალურად დაშორებული სფეროები კი არ არის, არამედ განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენს. ესაა არქაული მომენტი, რომელიც დომინირებს ბერძნულ ტრაგედიაში და მისი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა ეგზესტივ-ციალურ პლანში.

კირკეგორის ფილოსოფიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ინდივიდუალური არჩევანის აბსოლუტური თავისუფლების პრობლემა. აბსოლუტურ თავისუფლებას რომ მიაღწიოს, ინდი-

⁴ მოსახრებას, რომ ბერძენთა ფსიქიკაში გაბატონებული იყო წარმოდგენა ადამიანის ხასიათის კონსტანტურობის შესახებ, მილიანად იზიარებს ცნობილი გერმანელი კულტურის ფილოსოფოსი იაკობ ბურკჰარდტიც. Vgl. J. Burckhardt, in: Zum Sehen geboren..., zusammengest. v. O. Jancke, München, Piper 8cCo, 1942, S. 70.

ვიდი პირველ რიგში უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი სუბსტანციური დეტერმინანტებიდან, როგორებიცაა ოჯახი, სახელმწიფო, სამშობლო და სხვა. თანამედროვე ადამიანი, კირკეგორის აზრით, აღარ უჭირავს ინტუიციონერული აღარც ერთ ინსტიტუტში — ანტიგონეს კიზოლა-ციაში იმყოფება და გაუცხოებულია.

ჰეგელმა განსაზღვრა განსხვავება ანტიკურ და თანამედროვე ხელოვნებას შორის, განსაკუთრებით კი იგი ტიპიური წარმოსახვის მეთოდებს შეეხოს: როდესაც ძველი დრამის ხასიათებში, მოქმედებასა და კონფლიქტებში ყოველთვის სუბსტანციური, მატერიალურია წინა პლანზე, თანამედროვე დრამაში, პირიქით. სწორედ გმირის სულიერ სამყაროშია მთელი კონფლიქტი ტრანსპორტირებული.

ჰეგელი თავის ესთეტიკაში წერს, რომ ანტიკურ ხანაში ადამიანთა მთავარ ინტერესს საზოგადოებრივი, არსებითი მიზნები, სუბსტანციური დეტერმინანტები წარმოადგენენ. თანამედროვე ხელოვნებაში კი ეს არსებითი საზოგადო მიზნები მხოლოდ გარკვეულ კონკრეტულ ფონს ქმნიან გმირის პირადი განცდების გადმოსაცემად.⁵

ჰეგელის მოსაზრებას ეხმაურება კირკეგორი თავის ნაშრომში და ცდილობს ჰეგელის მიერ წამოყენებული პრობლემის თავისებურ გადაჭრას. ვინაიდან ადამიანი სხვა ინდივიდებისგან იზოლაციაში აღმოჩნდა, იგი ნელ-ნელა კარგავს უნარს შეიგრძნოს ადამიანთა კოლექტივის სატკივარი. ოჯახი, სახელმწიფო, სამშობლო — ეს ის ძალა იყო, რომელთანაც ანტიკური ეპოქის ადამიანი საკუთარ თავს აიგივებდა. ამდენად კოლექტივის განსაცდელი ყოველი ინდივიდის თანაგრძნობას იწვევდა. თანამედროვე ეპოქაში კი ის ძალა, რომელიც ადამიანში ტანჯვას იწვევდა, დეპოტენცირებულია, რადგან ის კავშირება, რომლებიც ოჯახის, სახელმწიფოს, სამშობლოს ერთობლიობის გარანტიას წარმოადგენდნენ, რღვევას განიცდიან. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ ამბობს, რომ ადამიანთა თანაგრძნობა უბედურებაში დაუმსახურებლად ჩავარდნილ თანამომძმეებს ეკუთვნის.⁶ თანამედროვე ადამიანი კი, რომელიც დვთიურ პედისწერასთან აღარ არის დაპირისპირებული, საკუთარ სიცოცხლესა და მოქმედებაზე თვითონვე აგებს პასუხს. ამგვარად, ბერძნულ ტრაგედიაში გმირის დაღუპვა მარტო მისი მოქმედების რეზულ-

⁵ Georg Wilhelm Friedrich Hegel, Ästhetik, Berlin und Weimar, Aufbau-Verl., 1976, S. 557-559, Bd. II.

⁶ Aristotels, Poetik, Leipzig, Philipp Reclam jun., 1979, S. 45.

ტატი არაა. გმირის დაღუპვა მისი სატანჯველია, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება. თანამედროვე ტრაგედიაში გმირის დაღუპვა სწორედ მისი მოქმედებითაა განპირობებული, გმირი თავადაა თავისი საქციელის განსაზღვრელი. ე. ი. არსებითად ბერძნული ტანჯვა, შეიცვალა არსებითად თანამედროვე ფაქტორით, კერძოდ, მოქმედებით. თუ ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარ საქციელზე, საკუთარ თავსაც თვითვე უნდა უშველოს. ესაა მიზეზი, რომ მაყურებელმა თანაგრძნობის უნარი დაკარგა. თანაგრძნობის მოშენების, ანუ ტრაგიკულის არსში წვდომის უნარის, დაკარგვა უდრის თვით ტრაგიკულის, როგორც ფენოქენის დაკარგვას⁷.

თანამედროვე ტრაგედიის გმირი, კირკეგორის აზრით, საკუთარ სულშია ჩაღრმავებული, ამ პერსპექტივიდან ამყარებს იგი გარე სამყაროსთან კავშირს. ამგვარად გარეგნული კანონზომიერი ფაქტორები კი არ განპირობებენ ინდივიდის აზროვნებასა და მოქმედებას, არამედ სუბიექტური რეფლექსია ხელმძღვანელობს მის ყოველგვარ საქმიანობას. გარე სამყარო მთელი თავისი წინააღმდეგობებით თვით ინდივიდშია პროექცირებული.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით კირკეგორმა გადაწყვიტა კონკრეტულ მაგალითზე ეჩვენებინა, თუ როგორ მოიხსნება ანტიკური თანამედროვე ტრაგედიის მიერ. მან სცადა სოფოკლესეული ანტიგონესათვის თავისი საკუთარი კმნილების დაპირისპირება, ამისთვის საჭირო გახდა იმ ზოგადი ტრაგიკული მომენტის აღმოჩენა, რომელიც თანამედროვე და კლასიკურ ნაწარმოებს ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას მისცემდა. კირკეგორს მოჰყავს ტრაგედიის არისტოტელესეული დეფინიცია. არისტოტელე ამტკიცებს, რომ ტრაგედიის შემადგენელ ნაწილთა შორის უმნიშვნელოვანესია მოქმედებათა სისტემა. ტრაგედია არის ასახვა არა ადამიანთა, არამედ მოქმედებისა და ცხოვრებისა ბედნიერებასა და უბედურებაში; ხოლო ბედნიერება და უბედურება მოქმედებაშია მოცემული, და თამაშის მიზანიც რადიც გარკვეული მოქმედებაა და არა უქმი თვისება. ადამიანთა ხასიათები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ადამიანები ბედნიერები არიან თუ უბედურები, ეს მათ მოქმედებებზეა დამოკიდებული. ამიტომ პოეტები ცდილობენ არა უშუალოდ ხასიათების ასახვას, არამედ ამ ხასიათებს მოქმედებათა ასახვის საშუალებით

გვიჩვენებენ. ასე რომ, მოქმედებები და ამბავი --- ამ, რა არის მიზანი ტრაგედიისა, რაც ყველაზე მთავარია. „მოქმედების გარეშე ტრაგედია ვერ შეიქმნებოდა, ხასიათების გარეშე კი შეიქმნებოდა“⁸.

დანიელი ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ სწორედ აქაა ის ზღვარი, რომელიც ანტიკური და თანამედროვე ტრაგედიას ერთმანეთს აშორებს. კირკეგორისთვის არისტოტელესეული დეფინიცია ბოლომდე მისაღები არ არის. მიუხედავად მისი „პოეტის ფუნდამენტური მნიშვნელობისა, არისტოტელეს განსაზღვრებები კირკეგორს მეტისმეტად ზოგადად მიაჩნია, რომელთა მიღება ან უარყოფა შეუძლებელია.

თუ კირკეგორი არისტოტელეს ტრაგედიის კონცეფციის ძირითად პუნქტებს კითხვის ქვეშ აყენებს და მათ უკრიტიკოდ მიღებაზე უარს აცხადებს, სრულიად სხვაგვარად ხდება ამ პრობლემის გადააზრება ჰეგელის ესთეტიკაში. „ესთეტიკის“ ბოლო ნაწილში გერმანელი ფილოსოფოსი წერს, რომ ყოველ მოქმედებას აუცილებლად რაღაც გარკვეული მიზანი ესაჭიროება, რომელსაც იგი ახორციელებს. დრამატული მოქმედება წარმოდგენელია კოლიზიის გარეშე, რადგან ინდივიდის მიზანს ეწინააღმდეგება სხვა ინდივიდთა მიზნები; ყოველივე ამას კი საქმე კონფლიქტამდე მიჰყავს. ჭეშმარიტად გონიერი ფინალი კი დაპირისპირებულთა შერიგებით, მათი შარბონიული თანაარსებობით მიიღწევა⁹. ჰეგელი უყოყმანოდ ეთანხმება არისტოტელეს თეზას, რომ ტრაგედიაში მოქმედების მიზანი უფრო რელიგიანტურია ვიდრე ხასიათი. ჰეგელის მიხედვით, არ არის საკმარისი დახატო და გადმოსცე განსხვავებულ ხასიათთა შინაგანი სამყარო, წარმოდგენილ უნდა იქნას აგრეთვე მათი მიზნების შეჯახება, მოქმედებას წინ რომ სწევს.

ანტიგონეს და კრეონტის კოლიზია იმისთვისაა აუცილებელი, რომ დაკარგული შარბონია კვლავ აღსდგეს და გონიერების მარადიულმა იდეამ კვლავ იზეიმოს. ყველაფერი, რაც კი ტრაგედიაში ხდება, ჰეგელის აზრით, მეტად რაციონალურია. ასე რომ, ბერძნულ ტრაგედიაში კოლიზიის შემწეობით დისონანსს შარბონია, ხოლო ირაციონალურ ბედისწერას რაციონალიზში სძლევს. ჰეგელმა „რელიგიის ფილოსოფიაში“ სოფოკლესეული ტრაგედიის არსი შემდეგნაირად განსაზღვრა: კრეონტი ტირანი კი არ არის, არამედ ზნეობრივი ძალაა, მისი საქციელი უმართებულო არაა, იგი ამტკი-

⁸ Aristoteles, a.a.O., S. 25-27.
⁹ Hegel, a.a.O., Bd. II, S. 521.

⁷ Kierkegaard, a.a.O., S. 135.

ცებს, რომ სახელმწიფო კანონს, მთავრობას ავტორიტეტს. პატივისცემა სჭირდება, მათი დარღვევა კი სასჯელს იმსახურებს. თითოეული მხარე ანზორციელებს მხოლოდ ერთ ზნეობრივ ძალას. შენდერგ ბეველი დასძენს, რომ ეს ცალმხრივობაა. მარადიული სამართლიანობის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ცდება, რადგან ცალმხრივები არიან, მაგრამ უარყოფის უარყოფის კანონის თანახმად ორივე შიშობს: ორივე სრულყოფილებიანია ზნეობრივ სფეროში, მათი სრულყოფილებიანობა გაწონასწორებულია, სამართლიანობა სწორედ მათი ცალმხრივობის წინააღმდეგ გამოდის.¹⁰

სრულიად სხვაგვარად ესმის ტრაგედიის არსი კირკეგორს იგი ამტკიცებს, რომ ბერძნულ ტრაგედიაში ეპიკური მომენტი ქარბობს და სუბიექტური ფაქტორი უკანა პლანზე იმყოფება: სოფოკლეს ანტიგონესათვის მისი კონფლიქტი კრეონთან არარეფლექსირებული გარეგნული ფაქტორია. ბერძნული ტრაგედიის გმირი ქალი, ფილოსოფოსის აზრით, ცხოვრებას ბედნიერად და უზრუნველად გალევდა ამ კონფლიქტის გარეშე. კირკეგორის ვერსიისთვის ეს კონფლიქტი სრულიადაც არ არის აუცილებელი. ამიტომაც იგი მეტად გაბედულ ნაბიჯს დგამს და უყოყმანოდ არღვევს ლიტერატურული პირველწყაროს სიუჟეტურ ზაზს. მის ფილოსოფიურ ფრაგმენტში კრეონი საერთოდ არ ფიგურირებს. კირკეგორის ანტიგონე „ტანჯვის საცოდნა“ (Braut des Leides¹¹), მას მამის უმიძიძესი ცოდვების საიდუმლოდ შენახვა აუღია თავზე. უფრო მეტიც, თიდაპოსი უკვე გარდაცვლილია და ანტიგონესთვის ისიც კი არ არის ნათელი, იცოდა თუ არა მამამისმა საკუთარი ცოდვების ფაქტი. იგი მტანჯველ გაურკვევლობაში იმყოფება. ამით კიდევ ერთი ახალი, თანამედროვე ტრაგედიისთვის დამახასიათებელი მომენტი შემოდის, კერძოდ გაურკვევლობის შეგრძნება, რაც ანტიკური ტრაგედიისთვის სრულიად უცხოა. გაურკვევლობა აღიერებს ანტიგონეს ტკივილს. მამის საკვდილთან ერთად გაქრა დამამძიმებელი საიდუმლო ტვირთის თავიდან მოშორების ბოლო იმედი. ასე იკავებს ეს საიდუმლოება მის ცხოვრებაში უმთავრეს ადგილს და ამ ცხოვრების აზრით კი ხდება. ტრაგიკული მოქმედება შეიქმნა ნაღდან გარეთ კი არ არის მიმართული, არამედ პირიქით გარედან შეიგნითაა შემოტანილი.

კირკეგორი შენიშნავს, რომ ტრაგიკული კო-

ლიზიის ცნებას სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება სიფრთხილეს მოითხოვს. კოლიზია მთელი უფრო შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანია, რამდენადაც მასში შენადალი ურთიერთდაპირისპირებული ძალები კოლფლექტურ ქაღალდით ერთმანეთს მიმართ ღრმა პატარა კონფლიქტულ არიან ასეთი „სიმპათეტიური“ კოლიზია აკავშირებთ ანტიგონესა და ჰემონს. ანტიგონეს ტკივილის გასაძლიერებლად კირკეგორს ჰემონისადმი თებელი ქალის „სიმპათეტიური“ სიყვარულის მოტივი შემოაქვს. ანტიგონე უკიდურეს მორალურ გასაჭირშია ჩაყენებული და ევზისტენციალური არჩევანის წინაშე დგას. მხოლოდ სიკვდილში შეუძლია მას კვლავ სიმშვიდის მოპოვება და ამ მომენტში, როდესაც ჰემონი ხანგრძლივი დაუინებელი მეცადინეობას შემდეგ ამ საიდუმლოს წამოაცდენინებს, იგი კვლავ ანტიგონეს.

მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ანტიკურ და თანამედროვე ტრაგედიას განასხვავებს, ტრაგიკული დანაშაულის პრობლემაა. კირკეგორი იზიარებს არისტოტელეს თეორიას იმის შესახებ, რომ ტრაგედია უნათლო დანაშაულის მომენტს საჭიროებს, რადგანაც, არისტოტელეს მიხედვით, ინდივიდი არ უნდა იყოს არც აბსოლუტურად დამნაშავე და არც აბსოლუტურად უდანაშაულო. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრაგიკული კოლიზიის ნერვი იკარგება.

ანტიკურ ტრაგედიაში დანაშაული დიალექტიკური ნახიათისაა, იგი ორაზროვნულია და უდანაშაულობასაც შეიცავს.

„ანტიკურ ტრაგედიაში, — წერს კირკეგორი, — ტანჯვა უფრო დიდია, ტკივილი კი უფრო მცირე; თანამედროვეში ტკივილი უფრო დიდია, ტანჯვა კი მცირე“. და დასძენს, რომ „ტანჯვა მუდამ მეტ სუბსტანციურობას შეიცავს. ვიდრე ტკივილი“¹². ტკივილისათვის დამახასიათებელია სუბიექტური რეფლექსია, რომლის მიზანი ტანჯვის გაცნობიერებაა. ტანჯვისთვის კი მსგავსი რეფლექსია სრულიად უცხოა. ტკივილი დანაშაულის ცნებასთან პირდაპირ კავშირშია რეფლექსიის გზით. ტანჯვა კი — არაპირდაპირში, რადგან მასში არ ხდება დანაშაულის გააზრება. გაცნობიერება.

სამყაროს ამგვარი აღქმა ბერძნული ცნობიერების პროდუქტია. თანამედროვე ინდივიდისთვის შეუძლებელია ამ სრულიად უცხო სამყაროში შეღწევა. კირკეგორს სწამს, რომ საკუთრივ ბერძნული ტანჯვის მიმართ თანამედროვეობას თითქმის არავითარი სიმპათია არ გააჩნია. საჭეცნო აღფრთოვანება ბერძნული

¹² Kierkegaard, a.a.O., S. 133.

¹⁰ G. W. F. Hegel, Religionsphilosophie, Glockners Jubiläumsausgabe, Stuttgart, Fr. Fromanns, 1954, Bd. 16 S. 133-134.

¹¹ Kierkegaard, a.a.O., S. 143.

ტრაგედიათ მხოლოდ ცარიელ მოთქმა მოთქმად მაინცა¹³.

თანამედროვე ადამიანი პირისპირ დგას დანაშაულთან და ამის განცდა ეთიკურ სფეროში რჩება. ანტიკური ინდივიდის განცდა კი ორაზროვნად ესთეტიურია. ვინაიდან თანამედროვე ტრაგიკული გმირი თავის საქციელზე პასუხისმგებელია. ამდენად მისი დანაშაული ესთეტიკურ ხასიათს კარგავს და ეთიკურ სფეროში გადადის¹⁴. თვით ტრაგიკული გმირი კი მხოლოდ ცალმხრივად უარყოფითი ხდება, რადგან იგი ნეგატიურისა და პოზიტიურის შერწყმას და განონასწორებას ვეღარ ახერხებს. ეს კი იმიტომ გამოწვეული, რომ გაბატონებულ რელიგიურობაში უყოველი ინდივიდი აბსოლუტურობაზე აცხადებს პრეტენზიას.

ესთეტიკას მუდამ რელიგიურობასთან აქვს ხაქმე. ამდენად, თუ მოვიხილოთ აბსოლუტური დანაშაულისა და უდანაშაულობის, ან აბსოლუტური მოქმედებისა და აბსოლუტური ტანჯვის იდენტიფიცირებას, ესთეტიკურიდან მეტაფიზიკურ სფეროში გადავა¹⁵.

როგორც უკვე ვთქვით, კირკეგორის რწმენით, ტრაგედია აუცილებლად უნდა შეიცავდეს დანაშაულის მომენტს. ქეშმარიტად ტრაგიკული ტანჯვა დანაშაულის მომენტს საჭიროებს, ხოლო ქეშმარიტად ტრაგიკული ტკივილი კი უდანაშაულობის მომენტს. სწორედ ამაში მდგომარეობს დანაშაულის დიალექტურობა. კირკეგორი თავის ფრაგმენტში სუბიექტური დანაშაულის ნაცვლად მემკვიდრეობით, საგვარეულო დანაშაულზე ამახვილებს ყურადღებას. საგვარეულო დანაშაულის დიალექტიკა მის მემკვიდრეობითობაშია, იგი ინდივიდს მთელი კლანის დანაშაულთან აკავშირებს.

ანტიგონე, რომელსაც ცოცხლად დამარხვა აქვს მისჯილი, სიცოცხლესთან გამომშვიდობების წინ შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს:

„უნდა მღვიმეში ვიყო მღებარი,
მკვდრებში — ცოცხალი,
ცოცხლებში — მკვდარი!“

ეს ერთადერთი ციტატაა სოფოკლეს ტრაგედიაიდან, რომელსაც კირკეგორი სიტყვასიტყვით იშველიებს. დანიელი ფილოსოფოსის აზრით, ამ სიტყვებში პირდაპირი ფაქტობრივი მნიშვნელობაა ჩაქსოვილი. მათში ჩადებული ინფორმაცია პრაქტიკულად რეალიზდება. ანტიგონეს მართლაც ცოცხლად მარხავენ, თებელი ქალის მოთქმაც მხოლოდ რეაქციაა ამ ფაქტზე.

¹³ Ebda, S. 143.
¹⁴ Ebda, S. 130.
¹⁵ Ebda, S. 136.

თანამედროვე ანტიგონეს კი ამ სიტყვებით მთელი თავისი სიცოცხლის არსის გამოხატვა შეუძლია. მართლაც, კირკეგორის „ტანჯვის სიცოცხლე“, მიუხედავად იმისა, რომ მას ცოცხლად ადამიანებთან უხდება, მათ რიცხვში მაინც არ წერია. ამ მიზეზით, მისი სიტყვები გადატანილი, არაფაქტობრივი მნიშვნელობით უნდა იყოს გაგებულნი. აზრის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოთქმა კი უყოველთვის რეფლექსიასთანაა დაკავშირებული. ამიტომაც უცხოა იგი ბერძნული ტრაგედიათვის.

მეცხრამეტე საუკუნეში „ანტიგონეს“ ინტერპრეტაცია ბიბლიურ ქრისტიანულ ასპექტში არაიშვიათი იყო. მაგალითად, საფრანგეთში სოფოკლეს ტრაგედიის მისტიკურ-რელიგიური გააზრება გვხვდება ბალანშთან, კირკეგორის ფილოსოფიურ ინტერპრეტაციაში აშკარაა მკდელობა, დაამყაროს გარკვეული ანალოგია ანტიგონესა და წმინდა მარიამ ღვთისმშობელს შორის. (virgo mater) (უბიწო დედა), ასე უწოდებს იგი თავის გმირ ქალს¹⁶. ანტიგონეს მხატვრულ სახეში არქაული ელემენტი აშკარადაა გამოკვეთილი. კერძოდ, მას ორმაგი ფუნქცია გააჩნია. ერთი მხრივ, იგი ქალწული და საპატარძლოა, მეორე მხრივ კი დედაა. ანტიგონე კირკეგორისთვის წმინდა მარტილსაც განასახიერებს, რომლის წამებულის გვირგვინი პატარძლის გვირგვინთანაა იდენტიფიცირებული¹⁷. ერთი სიტყვით, ანტიგონე „ტანჯვის სიცოცხლეა“, მზითვად კი მას ტკივილი მოჰყვება.

„მან არ იცის, რა არის მამაკაცი“¹⁸, წერს კირკეგორი. ეს სიტყვები დანიელ ფილოსოფოსს სახარებიდან თითქმის სიტყვასიტყვით აქვს გადმოტანილი. ლუკას სახარებაში, სადაც მარიამის და ანგელოზის საუბარია ასახული, წერია: „მრქუა მარიამ ანგელოზსა მას: ვითარმე იყოს ესე, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“¹⁹

¹⁶ სოფოკლე, ანტიგონე, თარგმანი გ. გვაზავასი, თბილისი, სტ. „სორაპანი“, 1912, გვ. 56.
¹⁷ Kierkegaard, a.a.O.S. 142.

¹⁸ Ebda, S. 143.
¹⁹ Ebda.
²⁰ ა) ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა ა. შანიძემ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1945, გვ. 182.

ბ) საინტერესოა, რომ მითითრი სახის ამბივალენტურობაზე მიუთითებენ აგრეთვე კ. ა. იუნგი და კ. ერენი. თავისთავად ცხადია, რომ მათ ინტერპრეტაციას არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ მისტიკურ ასპექტთან. (იხ. C. G.

დასკვნის საბით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კირკეგორის მიერ ტრაგიკული განსაზღვრა აშკარად ემიჯნება ჰეგელისეულ დეფინიციას. კეტე ჰამბურგერი ამ ორი ფილოსოფოსის ინტერპრეტაციების განსხვავებას სწორედ იმაში ხედავს, რომ კირკეგორისთვის გადაწყვეტია არა მარტო ტრაგიკული სიტუაცია, რომელსაც ჰეგელის ესთეტიკაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება, არამედ ტრაგიკული მსოფლშეგრძნე-ბაც (tragisches Existenzgefühl²¹).

ვარდა ამისა, კირკეგორმა ტივილისა და ტანჯვის ცნებათა შემოტანით გააფართოვა ჰეგელის ცნებათა სისტემა. ამან კი „ანტიგონეს“ ორი რადიკალურად განსხვავებული ინტერპრეტაცია მოგვცა ჰეგელი, რომელსაც ვ. დილ-თაის თქმით, სოფოკლეს „ანტიგონესადმი“ სიუ-ვარული სკოლის ასაკიდან სიცოცხლის ბო-ლომდე გაძევა²², მისი ბავშვობის მეგობრის

ჰოლდერლინის მსგავსად, ანტიგონეში უპირვე-ლეს უოვლისა იდეალურ ანტიკურ კმნილებას ხედავდა კირკეგორმა კი შას განზრახს საკუთა-რი, თანამედროვე კმნილება დაუპირისპირა.

ჰეგელისათვის აუცილებელია ტრაგიკული სიტუაცია გერმანულ ფილოსოფოსს შიანნი, რომ კრეონსა და ანტიგონეში უმაღლესი ზნეობრივი და ამიტომაც უმაღლესი ტრაგიკუ-ლი, კერძოდ, სახელმწიფოსა და ოჯახის წა-ნადმდეგობაა ინდივიდუალიზებული, რომლე-ბიც დაპირისპირებულნი არიან, მაგრამ ამავე დროს დიალექტიკურ ერთიანობაში იმყოფე-ბიან. მათი კოლიზია იდეალური პარამონის საწინდარია. კირკეგორმა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიად დაარღვია ბერძნული პირველწყაროს სიუჟეტური ხაზი, რათა ტრაგი-კული სიტუაციის შესუსტებით სწორედ ტრა-გიკული მსოფლშეგრძნების პრიმატი გაეხადა ნათელი.

ინტერესსმოკლებული არ იქნებოდა ორიოდე სიტყვით შევჩერებულიყავით იმ მომენტზე, თუ რა მიმართებაში იმყოფებიან ორ ურთი-ერთსაპირისპარო თეორიულ-ფილოსოფიურ ინტერპრეტაციასთან სოფოკლეს „ანტიგონეს“ თანამედროვე ლიტერატურული ადაპტაციები.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ მა-ზენკლევერი, ბრენტი და ანუი სიუჟეტური ხა-ზის არჩევაში, ეყრდნობიან ჰეგელის კონცეფ-ციას. ისინი თითქმის შეუცვლელად იღებენ ბერძნული პირველწყაროს ძირითადი მოქმედე-ბის ხაზს. ანტიგონესა და კრეონის კოლიზია ყველგან შენარჩუნებულია და ცენტრალური ადგილი უკავია; მაგრამ თუკი უფრო ახლოს და-ვაკვირდებით, დაინახავთ, რომ ჰეგელის დია-ლექტიკის შენარჩუნებას მხოლოდ ბრენტი ცდილობს. მაზენკლევერმა კი კრეონისა და ან-ტიგონეს ხასიათთა ზედმეტი განზოგადებით კეთილისა და ბოროტის რაღაც აბსოლუტური მანიჭებისტური დაპირისპირება მოგვცა, რაც შეეხება ანუის „ანტიგონეს“, აღიარებულია, რომ ეს ტრაგედია ძალიან ახლოს დგას კირკე-გორის ინტერპრეტაციასთან. კირკეგორის თა-ნახმად, ანტიგონეს მისწრაფება სიკვდილისად-მი მისი კლანობრივი ცნობიერებიდან გამომ-დინარეობს და სუბსტანციური მემკვიდრეობი-თი ცოდვითაა განპირობებული, მაგრამ სწორედ ეს მომენტი ანუის კონცეპციისათვის სრული-ად ზედმეტი, ვინაიდან მისი ანტიგონეს სულში გაბატონებული ეკზისტენციალური წაღალი არავითარ მოტივაციას, არავითარ ობიექტურ მიზეზს არ ხაჭიროებს. ანუისთვის სწორედ სამყაროს აბსურდულობის შეცნობაა გადამ-წყვეტი მომენტი.

Jung und K. Kerényi, Einführung in das We-
sen der Mythologie, Zürich, Bhein-Verl.,
1951. (4. revid. Auflage)/ ანტიგონე
გაიგივებულია სიკვდილის ქალღმერთ პერ-
სეფონესთან, იგი მის გამეორებას, ხატებას
წარმოადგენს. პერსეფონე კი, თავის მხრივ,
პირველადი ქალღმერთის, პეპატეს, მხოლოდ
ერთ — არარსებობის — ასპექტს განასაბი-
ერებს. პერსეფონე ამავე დროს სიკვდილის
საცოლევცაა, ამგვარად იქმნება იშვიათი წო-
ნასწორობა ქორწილსა და სიკვდილს, საფლავსა
და საქორწინო სრუცულს შორის. მაგრამ არ
უნდა დაგვავიწყდეს, რომ პერსეფონე პეპატეს
მხოლოდ ერთი ასპექტია, ამ ქალღმერთს შე-
ორე ანუ დემეტრეს ასპექტიც გააჩნია. ამ შემ-
თხვევაში იგი ყოვლისშობი მარადიული დე-
დობრივი საწყისის ფუნქციას იძენს. თუ პერ-
სეფონე და დემეტრე ერთი არსების ორ
ასპექტს წარმოადგენენ და ბოლოს და ბოლო,
იდეენტურნი არიან, მაშასადამე შეიძლება მათ-
თან ანტიგონეს გაიგივებაც. ანტიგონეს ბენე-
ბისათვის კი რაღაც გარკვეული „სასაზღვრო
სიტუაციაა“ /Grenzsituation (a. a. O, S 155)/ გა-
ნმსაზღვრელი, რომელიც აწონასწორებს და აერ-
თიანებს დედობრიობასა და ქალწულობის, ნაყო-
ფიერებისა და ქტონიერი (მიწისქვეშა) საწყისი-
საკენ ლტოლვას.

²¹ Käte Hamburger, Von Sophokles zu
Sartre, Griechische Dramaturgie antik und
modern, Stuttgart, Kohlhammer-Verl., 1962,
S. 205.

²² Wilhelm Dilthey, Die Jugendgeschichte
Hegels und andere Abhandlungen zur Ge-
schichte des deutschen Idealismus, Gesamt-
melte Schriften, Stuttgart, 1959, Bd. IV, S. 6.



ახალი ჰინდური მოთხრობის განვითარების
ზოგიერთი თავისებურებანი

თანამედროვე ჰინდური პროზის ხასიათი, მისი დიდი მრავალფეროვნება განპირობებულია თვით ჰინდური ლიტერატურის განვითარების თავისებურებით. ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე თვეებიდან ინდოეთში დაიწყო დასავლური კულტურის ინტენსიური ათვისებისა და ტრანსფორმაციის პროცესი. ეს განსაკუთრებით შეინიშნება იმ ინდოელ მწერალთა შემოქმედებაში, რომლებმაც გეზი აიღეს ასახონ თანამედროვე ჰინდური პროზის ჩამოყალიბებისათვის ხელისშემწეობი ეროვნული კულტურის პოზიტიური ფაქტორები. მათ ღრმად სწამთ ასეთი ორიენტაცია თანამედროვე ჰინდურ პროზას განავითარებს და წარმოაჩენს როგორც მაღალმხატვრულსა და ზოგადმნიშვნელობის ლიტერატურას. ეს მწერლები არიან: იაშპალი, აგეია, უპენდრ-თანათპ, აშკი, შრიკანტ ვარმა, მოჰან რაკეში, ბშიშამ საჰნი, სარვეშვარ დაილ საქსენა, რაკჰუ-ვირ საჰანი და სხვა. უოველ მათგანს თავისი იდეოლოგიური პოზიცია აქვს, უოველი მათგანი თავის შემოქმედებაში ცდილობს გამოხატოს ინდოეთის ამა თუ იმ კლასის თუ სოციალური ჯგუფის ინტერესები და მოთხოვნები. რათქმა უნდა, ყველა ერთად ესენი იბრძვიან ქვეყნის სოციალური გარდაქმნისათვის, მაგრამ წამყვან ძალას ამ ბრძოლაში უკვე ხამათულ წელზე მეთია მაინც პროგრესული ინდოელი მწერლები წარმოადგენენ.

ქვეყნის დამოუკიდებლად განვითარების ახლებური გააზრება თუ უმთავრესი არა, 50-70 წლების ჰინდური პროზის ერთ-ერთი ძირითადი მომენტია. მართალია ინდოეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ამასთანავე, როგორც ე. გ. ჩელიშევი აღნიშნავს, მოხდა „ერთიანი დემოკრატიული ლიტერატურული ფრონტის დარღვევა“. ჰინდური მწერლობის წარმომადგენელთა გაშიჯვნა: ერთის მხრივ ჰინდურ პროზაში ძლიერდება დემოკრატიულ-პროგრესული

ლიტერატურული ტენდენციები, ე. ი. ჩნდება ინდოელი მწერლების სოციალისტური ორიენტაციის ლიტერატორები, რომელთა მიზანია არსებული საზოგადოების გარდაქმნა; დღევანდელ ინდურ ლიტერატურაში ასეთი მწერლები ცნობილი არიან ე. წ. „პრაგატივატელების“ (პრაგატივატ-პროგრესივიზმი) სახელით. აქვე უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად ამ მწერალთა მოღვაწეობა თანამედროვე ჰინდურ პროზაში ლიტერატურულ მიმართულებად იქცა (პრაგატივატი წარმოიშვა 1930-1938 წლებში, პროგრესულ ინდოელ მწერალთა ასოციაციის საფუძველზე, რომელსაც მეთაურობდა პრემჩანდი). დღეს იგი პირდაპირ არის დაკავშირებული მარქსიზმთან და ინდოეთის კომუნისტურ პარტიასთან. ტერმინი „პროგრესული ლიტერატურა“ ერთგვარად, უფრო ვიწრო გაგებით, შეიცავს „პრაგატივატის“ ცნებასაც. ამ მიმართულების პროზაიკოსთა რიცხვს ეკუთვნიან პ. ჩანდი, იაშპალი, ბ. საჰნი, უპ. აშკი, სუდარშანი, გ. მუკდობოლ-ში, ნაგარჯუნი, ჩ. გ. ვიდიალანკარი, მ. რაკაში და სხვები. ინდოელ მწერალთა ერთი ჯგუფის შემოქმედებაში დასვეწილ, შენიღბულ სახესღებულობს პასეისტიკური, რეაქციული მსკელობები და იდეები. ჰინდური პროზის ასეთი სახე ჯერ კიდევ 50-იან წლებში გამოიკვეთა. მაგალითად, გურუდატას რომანის „ლალატი“ (ვიშვასგჰატ) კონცეფციით თანამედროვე ინდოეთის უბედურებანი და სიძნელეები უკავშირდება „მატერიალისტური“ დასავლეთის გატაცებასთან და იმ თავისუფლებას, რომელიც მიიღეს ინდოეთის უმდაბლეს კასტებმა და მუსულმანებმა ინგლისელ კოლონიზატორთა უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ.

ამრიგად პროგრესულ ინდოელ მწერალთა (განსაკუთრებით „პრაგატივატის“ წარმომადგენელთა) წინაშე დადგა რთული ამოცანა: დაიცვან თავიანთ შემოქმედებაში მარქსისტული თეორია უცხო დოქტრინების შემოტევისაგან. სწორედ ამიტომ ახალი პროგრესული ჰინდური

ლიტერატურის ძირითად თვისებას სოციალური უთანასწორობის კრიტიკა წარმოადგენს. ეს კრიტიკა ყველაზე მეტად აისახა ანდრეი პროზის შედარებით ახალ ენაში — ნოველისტიკაში. ინდივიდუალურ განსხვავებებთან ერთად, თანამედროვე პროგრესულ ნოველისტებს, რომლებიც ჰინდი ენაზე წერენ, ძალზე ბევრი რამ აქვთ საერთო. უპირველეს ყოვლისა ეს არის პრემიანდის კრიტიკული რეალიზმის ტრადიციების გაგრძელება და მხატვრული ასახვის სფეროში და პრობლემატიკის გაფართოება. დღევანდელი ინდოეთის თვით უველაზე ნეგატიურ მოვლენათა აღბეჭდვა მხატვრულ ნაწარმოებებში. ცნობილი ინდოელი თეორეტიკოსი — პოეტი გაჯანან მადჰავ შუკდიბლში აღნიშნავს, რომ თანამედროვე ჰინდურ ლიტერატურაში 1950-იანი წლების შუა პერიოდთან მრავალმხრივი მხატვრული ასახვის ობიექტს წარმოადგენს ახალი ინდოეთის სოციალური ცხოვრება. ამასთანავე ჩაისახა ტენდენცია — ახალგაზრდა ლიტერატორებმა ახალ პოეტიკურ ენაზე — თქვან სიმართლე (სატია). ეს კი შესაძლებელი გახდა ტრადიციული ინდური საზოგადოების განთავისუფლებით. 1950-იანი წლებში „ახალ პოეზიასთან“ (ნაი კავიტა) ერთად ჰინდურ ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინი „ახალი მოთხრობა“ (ნაი კაჰანი). რომელიც მკვეთრად გამოხატავს დღევანდელი შუა ასაკისა და ახალგაზრდა ნოველისტთა რადიკალურ პრინციპებსა და მათი შემოქმედებით ორიენტაციას. თუმცა უნდა ითქვას, რომ „ახალ მოთხრობაზე“, როგორც ლიტერატურულ ტერმინზე, მეტ-ნაკლებად შეიძლება გვესაუბრა ჯერ კიდევ 1950-იანი წლებში, როდესაც აგია (1953 წელს) გამოაქვეყნა მოთხრობა „ახალი მოთხრობის ფაბულა“, რომელშიც „პატარა ადაშიანის“ მწვანე სულიერი ტრაგედია აისახა.

„ახალ ლიტერატურასთან“ ერთად ჰინდურ პროზაში წარმოიშვა სხვადასხვა იდეური და ესთეტიკური მიმართულება, რაც სინამდვილისა თუ პოლიტიკური მოვლენებისადმი მხატვრულ-მეთოდოლოგიურ მიდგომაში გამოიხატება ვთქვათ, ისეთ ნოველისტებს შორის, როგორებიც არიან: აგია და ბჰიშამ სამნი, ან მოჰან რაჟეში და შრიკანტ ვარმა და ა. შ.

როგორც ჰინდური ასევე ინდოეთის სხვა რეგიონის ლიტერატურები თითქმის გასული საუკუნიდან ორიენტირებული იყო ძირითადად ინგლისურენოვან ლიტერატურულ სამყაროზე (აქ იგულისხმება თარგმნილი ნაწარმოებები ინგლისური და სხვა ევროპული ენებიდანაც).

1947 წლიდან ეს სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა. გაძლიერდა ქვეყნის კაპიტალიზა-

ცია როგორც აღნიშნეთ. გაჩნდა ახალი იდეური და ესთეტიკური მიმართულებები ინდოეთის რეგიონალურ ლიტერატურებში. შესაბამისად 1947-50-იანი წლების ჰინდურენოვანმა (ანუ ჰინდურმა) ლიტერატურამ მიიღო მხატვრული „ნაი სატიკა“ (ახალი ლიტერატურა) [Nai Satika] ოლის ჰინდი ენოვან მწერალთა ნაწარმოებებში გაჩნდა ახალი მხატვრული სახეები. აისახა ახალი სიტუაციები და ხასიათები, რომლებიც ამოიზარდნენ მჩქეფარე კაპიტალიზაციის ნიადაგზე, ახალი ჰინდური ნოველის რეალიზმი გამოიყარდა ახალი თვისებებით. ამასთანავე მასში თავი იჩინა მოდერნიზმაც. ამკარა ვახდა რომ ბევრმა ინდოელმა მწერალმა ორიენტაცია აიღო თანამედროვე დასავლურ მოდერნიზტულ პროზაზე, რისი მიზნაც მარტო გარემო ვითარება როდი იყო. არამედ ის ძირითადი ცვლილებებიც, რომელიც მოხდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში, მის ფსიქიკაში. ყოველივე ამასთან ერთად „ახალი“ ჰინდური მოთხრობის ძირითად თვისებად იქცა ძველი და ახალი ზნეობრივ-მორალურ ფასეულობათა გადახარისხებით გამოწვეული კონფლიქტი მართალია. „ახალი ლიტერატურის“ (ნაი სატიკა) ჰუმანიტურმა პათოსმა გარკვეული შეგავლენა მოახდინა ჰინდურიზმის მთელ სოციალურ-რელიგიურ ინსტიტუტზე. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ლიტერატურაში მოღვაწეობდნენ მწერალთა სხვადასხვა იდეურ-ესთეტიკურად ურთიერთდაპირისპირებული დაჯგუფებები. ამიტომ არ იქნება მართებული ვთქვათ, რომ „ნაი კაჰანი“ ესა თუ ის წარმომადგენელი მთლიანად პროგრესულია ან მთლიანად მოდერნიზტი. ამრიგად ტერმინი „ნაი კაჰანი“ (ახალი მოთხრობა) მრავალმნიშვნელოვანია. მაგალითად, უანობრივ-სიუჟეტური თვისებებით „ახალი ჰინდური მოთხრობა“ არ წყვეტს კავშირს პრემიანდის კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებთან. მაგრამ იგი „ახალია“, რადგან გამოხატავს თანამედროვე ინდოეთის ფიქრებს, მისწრაფებებსა და ხურვილებს. ინდოელი კრიტიკოსი ნიტთან ტივარი აღნიშნავს: „ახალი მოთხრობის“ განმსაზღვრელი თვისებებია ახალი და რთული პრობლემების შეგრძნება, რომლებიც გაჩნდა ინდოელი ხალხის წინაშე მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა“ მაგალითად, ინდოელი კომუნისტა მწერლის ბჰიშამ სამნის მოთხრობები ახალია იმ თვალსაზრისით, რომ მათში ანახულია ახალი კოლიზიები პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობათა სფეროში („რელობები“, „ერთი წლის შემდეგ“, „სარეკომენდაციო წერილი“, „შეფიხტობრილი“ და სხვა). მართალია, კონფლიქტი პიროვნებასა და ოჯახს

შორის ისევე, როგორც ქორწინების პრობლემა, ერთ-ერთი ცენტრალურთაგანია თანამედროვე ინდურ ნოველისტიკაში, მაგრამ ამასთან ერთად ახალ მინდურ ნოველაში დიდი ადგილი უჭირავს სოციალური ცხოვრების სხვა მხარეების ჩვენებას, იგულისხმება ინდოეთის ჩინოვნიკებისა და ბიუროკრატის სამყარო და მასთან დაკავშირებული „პატარა ადამიანის“ ბედი, ადამიანთა ზოგჯერ მისტიფიცირებული მხატვრული სახეები, მათი ურთიერთდამოკიდებულების ასახვა, განსაკუთრებით პროგრესულ მწერალთა ახალ მინდურ ნოველებში. ეს კი ნათლად მეტყველებს „ახალი მინდური“ პროზის კავშირზე, ძირითადად რუსული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებთან. თუ პრემჩანდის ნოველაში „კლერკი“ მკრთალად აისახა „პატარა ადამიანის“ ტრაგიკული სულიერი კოლიზიბო, 50-55-იანი წლების პინდენოვან ნოველისტთა — გ. მ. მუკდიბოდშის, ბ. საპნის, მ. რაკეშის, სურიაბალის, ჩ. ვიდიალანკარის, რ. საპაისა და სხვათა შემოქმედებაში იგი ერთ-ერთ წამყვანთაგანია. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ პრემჩანდის შემოქმედებაზე გარკვეული ზეგავლენა იქონია ვანდისტურმა პაციფისტურ-მორალისტურმა იდეებმა (სარვოდია — ხყოველთაო საქველმოქმედო საზოგადოება), 50-60-იანი წლების ახალი მინდური ნოველის გამორბევი მოწინავე იდეების მატარებელი არიან. ისინი არღვევენ როგორც პატრიარქალურ ცხოვრების კანონებს, ასევე განდიშს, როგორც ხალხის იაწინააღმდეგო დემაგოგიის წყაროს. ჭერ კიდევ 50-იან წლებში, როდესაც ინდოეთის კაპიტალიზმის გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა ქვეყნის ბიუროკრატული აპარატი, თავის მოთხოვნებში „გარიგება“ და „ნაძირალა მწვერვალზე“ გ. მ. მუკდიბოდშმა კრიშნა კხვარუბის მხატვრულ სახეში ჩვეული ოსტატობით განაზოგადა გოგოლისეული „ადამიანი — ფიქცია“. სვარუპმა თიბკოსდა შილწია თავის მიზანს — შევიდა მაღალ საზოგადოებაში, გამდიდრდა კიდევ, მაგრამ მისი ადგილი მაღალ სოციალურ საფეხურზე ილუზიურია, იგი ყოველთვის შეიძლება

დამხოზილ იქნას ამ მდგომარეობის ნამდვილი „პატრონის“ მიერ.

ამასთან ერთად ახალ მინდურ ნოველაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განხილავს ახალი ადამიანის სიმარტოვინს მრავალი განსაკუთრებით იმ ადამიანთა, რომლებიც მოქცეულნი არიან ვიწრო კასტობრივი, ან ბურჟუაზიული იერარქიის შევიწროებულ ზღუდეებში (რ. საპაი, „ქალი ციხე-სიმაგრეში“, ს. დ. საქსენა „ახალი მოთხრობის გმირი ქალ-ვაფი“, აგეია — „ყოველ დღე“, ბ. საპანი — „დოლი“ და სხვ.).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი მინდური პროზის ზოგიერთი წარმომადგენელი, მაგალითად, შრიკანტ ვარმა, ქედმაღლურად უყურებს პრემჩანდის მხატვრულ გამოცდილებას და ხარბად მისდევს დასავლური, მეტწილად ამერიკული მოთხრობის განვითარების გზას. პრემჩანდის ტრადიციის მიმდევრებზე შ. ვარმა ასე ლაპარაკობს: „ამგვარი მწერლებისათვის ღამე არ თავდება. ისინი უბედურნი არიან, ვერ მიმხვდარან, რომ უკვე დიდი ხანია გათენდა“ (ქაიპური 1966 — ახალი მინდური მოთხრობა, არსი და მიმართულება). შრიკანტ ვარმას ამგვარი განცხადება არ არის შემთხვევითი, მინდური პროზის ზოგიერთი წამყვანი წარმომადგენელი არ იცავს რეალისტური ხელოვნების პრინციპებს და კმაყოფილდება მხოლოდ სოციალური სინამდვილის ცალკეული, უმნიშვნელო მომენტების აღწერით. ასეთი მწერლები გმირის ქცევების, გარეგნობისა თუ გარემოს სკრუპულოზული აღწერის მიუხედავად, არ იძლევიან დღევანდელი ინდოეთის სოციალური სინამდვილის მხატვრულ სურათებს (მაგალითად, აგეიას მოთხრობა „გველი“ გ. პ. ვიშალის „სახლი“), თუმცა მათ ისიც კარგად იციან, რომ როგორც პრემჩანდის, ასევე ყველა თანამედროვე ინდოელი პროზაიკოსის მთავარი მტერი ბურჟუაზიული საზოგადოებაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი ინდოეთის ყველა ნამდვილი შემოქმედის ვალაია, მაგრამ ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში — ახალი მინდური ლიტერატურის შემარჯვენე თუ შემარცხენე ძალები — ამას მომავალი განსაზღვრავს.





გუსტავ ღორე*

(გარდაცვალების 100 წლისთავის გამო)

თარგმნა მანანა ამისულაშვილმა

საფრანგეთმა განადიდა, ინგლისმა აცდუნა, ხოლო გზა და მოწოდება სამშობლომ დაუსაბა. 1870-1871 წლების ომის დროს ღორემ, რაკი ელზასელი იყო, საჭიროდ მიიჩნია გიგანტური ზომის ტენდენციურ-შოვინისტური სურათებით დაემტკიცებინა თავისი სუფთა ფრანგული წარმომოხება. სწორედ ეს ამჟღავნებს საქმის ნამდვილ ვითარებას. იგი ელზასელი იყო, წმინდა სისხლას ფრანგი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ნაკლებ მოიძვევებოდა მასში გერმანული სისხლი და სული. ამგვარად, როგორც აღამიანი და მხატვარი ღორე ინტერნაციონალური ბუნებისა იყო და შეიძლება ამიტომაც, თუ მეტი არა, ისეთივე პოპულარობა მიაიწ მთავრად გერმანიასა და ინგლისში, როგორც თვით საფრანგეთში ჰქონდა. გვერდით რომ ავუაროთ მის წარმომოხებას, ჩვენ არ გვმართებს ღორეს ადრეული ბავშვობის ელზასური შთაბეჭდილებების შეუფასებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი უკვე ათი წლის ასაკში ბურში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მამამისი ბედებს აგებდა, ხოლო თვითონ სკოლაში დადიოდა.

ელზასი — ეს ვოგეზის მთებია, ვოგეზის მთები იშვიათი. ენით აუწერელი პირქუში, მკაცრი კონტურებით, მელანქოლიური ნაძვის ტყეებით, მონასტრებითა და ნანგრევებით, რომლებიც ისე კუშტად, ისე დაღვრებით დაპყრებენ მადლიდან მთელ არემარეს, როგორც არხად სხვაგან. ამ კაპიტალით საზრდოობდა მხატვარი მთელი თავისი სიცოცხლე. ელზასი — ეს სტრასბურგია, და შეიძლება არც იყოს გაზვიადებული, თუ ვიტყვით, რომ წარმოუდგენელი, ლამის შემწარავი პროპორციები სტრასბურგის ტაძრისა, რომელიც სახლების პორიზონტალურ ზღვაზე აღმართულია, იქცა განმსაზღვრელ მასშტაბად ღორეს უთანაზომოდ დიდი სივრცობრივი ფანტაზიებისთვის. უეჭველია, სწორედ სტრასბურგის სახლებისა და ეკლესიების გოთიკამ, აგრეთვე ბურის ძველმა ლამაზმა ვიწრო ქუჩებმა და მისმა ტაძარმა მოიცილა ბიჭის წარმოსახვა. სწორედ მათ იყენებდა ღორე მთელი სიცოცხლის მანძილზე როგორც ძირითად ბუტაფორიას თავისი ნახატების უკანა პლანის რომანტიკისათვის. არა პარიზიდან, არამედ თავისი ურმობის სტრასბურგიდან და ბურიდან მოვიდა ღორე საკუთარი ილუსტრაციების გოთიკასთან, უფრო სწორად ნეო-გოთიკასთან, იმიტომ, რომ იგი გოთიკას ყოველთვის აღიქვამდა ბავშვურად, კრიტიკის გარეშე, ოდნავ ზღაპრულად და თეატრალურად: მას ყოველთვის ესმოდა გოთიკა არა როგორც სტილისა და შემოქმედების პრინციპი, რასაც მოითხოვდნენ რესკინი და მისი მიმდევრები, არამედ როგორც მხოლოდ მატერიალური ფორმების სამყარო ნაგევრდულებით. ისრული კამარებითა და ჩრდილოური უჩხულებით.

ზღაპრებისა და ლეგენდების მეოცნებე მკითხველს არა მარტო ნადრევად განუვითარდა იდეალისა და დემონურისადმი მიდრეკილება, რაც მალე თეატრში სიარულის დაუოკებელ სურვილად და სცენური ხელოვნების სიყვარულად იქცა (რა ნიშანდობლივია, რომ „რობერტ-სატანა“¹ იყო მისი პირველი საოპერო შთაბეჭდილება და დარჩა კიდევ ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებად მთელი მისი ცხოვრების მან-

1 მეიერბერის ერთ-ერთი ადრეული ოპერა

* იბეჭდება შემოკლებით.

ძილზე). არამედ ძალზე ნადრევად გაედვიდა შემოქმედებითი უნარიც. ჭერ სამი წლის ბავშვი იყო, როცა აცხადებდა: Je veux crayonner². ხოლო ექვსი წლისა, თუმცა ის იყო ესწავლა წერა, უკვე ნაბატებით ავსებდა თავის ნაწერს. გრანვილის³ ცხოველთა თავშესაქცევი ფიგურებისა და ხაბავშვო კარიკატურების, აგრეთვე ტოპფერის⁴ ნაწი და მხიარული მანერის გავლენა სიჭაბუკის წლებშიც კი ემჩნევა დორეს. აი ამ ოსტატთა სტილში შესრულებული ნაბატებით — ბავშვური შთაგონების თავშესაქცევ-რომანტიკული ნაყოფით ავსებდა იგი ყველა თავის აღბომს და აგრეთვე მაგიდებსა და კედლებს, რაც ხასოწარკვეთილებასი ავდებდა მამამისს. ამ ბავშვური ნაბატებიდან (მათ შორის არის ლითოგრაფიის ცდაც) ზოგი რამ შემორჩენილია. აღბათ როგორც ყოველი ჭემმარტი გამოვლინება ბავშვის მხატვრული ნიჭისა, ისინი შესრულებულია ზეპირად. ადამიანს განაცვიფრებენ თავისი სრულყოფილებითა და დამაჭერებლობით და განუმეორებელი მხიარულებით ფეთქავენ. იმდენად დიდი იყო დორეს ბუნებრივი ნიჭი, რომ ჭერ კიდევ პარიზში ყოფნის დასაწყისში მოზარდის განუვითარებელი შემოქმედებითი ძალები არაჩვეულებრივი ათვისების უნარის წყალობით საოცრად განვითარდა, თუმცა არც ნამდვილი სკოლა გაუვლია მას და არც ნამდვილი აღზრდა მიუღია.

დორეს მამა, ინჟინერ-პრაქტიკოსი, თვით სიკვდილამდე წინააღმდეგი იყო შვილის სამხატვრო კარიერისა, დედა კი მალულად აჩენებდა ფანქარსა და ქალაღდს, ზღაპრების წიგნსა და ვიოლინოს. მამას ცუდად ესმოდა მისი, ხოლო დედა ვაჟიშვილში აპოვებდა თავისი განუზოროციულებელი სურვილებისა და პატივმოყვარეობას ხორცშესხმას. მთელი სიცოცხლე დორე უბილავი ჭიპლარით იყო დედასთან დაკავშირებული. მრავალგზის დახატა იგი (დორეს მიერ აკვარელით შესრულებულმა დედის დიდმა პორტრეტმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო). დედა მასთან ერთად ცხოვრობდა და მისი ხალონებისა და საბელონონ სული და გული იყო.

1847 წელს თხუთმეტი წლის დორე მშობლებთან ერთად ჩადის პარიზში. ფილიპონს, გამოცემელს, არ გამოეპარება, რომ ეს ახალგაზრდა მხავალმხრივ და მრავლის აღმთქმელი ნიჭი-

² მე ხატვა მინდა (ფრ.).
³ გრანვილი (ერარ) — მე-19 საუკუნის ფრანგი მხატვარი და კარიკატურისტი.
⁴ რუდოლფ ტოპფერი — მე-19 საუკუნის შვეიცარიელი მხატვარი-გრაფიკოსი.

თაა დაქილდობული. იგი ურჩევს მშობლებს, ვაჟიშვილი დატოვონ პარიზში.
 მამინ, როცა ჭაბუკი მამამისის სურვილის თანაბმად ლიცეუმში იღებს ზოგად, მაგრამ არამც და არამც საჭიჭიჭეუ-⁵ განათლებას, უკეთეს შემთხვევაში უნებლად იტყობდა რომ იმდიდრებს საკუთარი წარმოსახვის საგანძურს გაღერებსა და ბიბლიოთეკებში, — ყოველკვირეულად ოთხი წლის განმავლობაში, 1848 წლიდან 1852 წლამდე, სატირული ლითოგრაფიული სურათებით ავსებს გვერდს ფილიპონის ფართოდ გავრცელებულ „Journal pour rire“-ში. ლითოგრაფია — საჭურნალო გრაფიკის ეს ყველაზე უფრო მახვილი გამომსახველობითი საშუალება, რომელიც პირდაპირ ხედება მიზანს — იქცევა დორეს პირველ მხატვრულ ენად. ლითოგრაფირებული კარიკატურის მთელი წყება დასრულებული ოსტატებისა წარმოადგენს მაგალითსა და სტიმულს ახალგაზრდა, ჭერ ჩამოუყალიბებელი თვითნაწავლი მხატვრისათვის. მათ შორისაა რუდოლფ ტოპფერი და გრანვილი, მისი ბავშვობის საყვარელი მხატვრები, რომლებიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, მათ შორისაა ბრწყინვალე ფიგურა მენიესი, შამისა, ბერტალის, შარლესი, გავარნისა, რომელთაც გვირგვინად ადგას ონორე დომიეს მამხილებელი პათოსი, სხვა ყველას რომ ჩრდილავს და შიგსულნი სწუდება დორეს. დაუდევრად, ყოველგვარ სისტემურ სწავლას მოკლებული ახალგაზრდა გენიოსის გულუბრყვილო თავდაჭერებულობით ჭაბუკი ითვისებს მისთვის სამაგალითო მხატვრების შემოქმედებას, მაგრამ არცერთში არ ითქვიფება. იგი მუშაობს კოლოსალური ნაყოფიერებით, მისმა ნაწარმოებებმა ლამის წალეკოს პარიზი, თუმცა ლიცეუმელი მეგობარი იპოლიტ ტენი წინდაწინვე აფრთხილებს ერიდოს ასეთ ნაყოფიერებას, რა საოცარია, რომ იგი არ დაიღუპა საბოლოოდ, რამდენიმე წელიწადში არ ამოწურა საკუთარი თავი და არ იქცა დაღლილ-დაქანცულ, სხვათა მიმბაძველ დილეტანტად! რა საოცარია, რომ იგი გაზდა ის, რაც, მბუხდავად ყველაფრისა, მაინც გაზდა უკვე თხუთმეტი წლის ასაკში — მხიარული უვერტიურა: უდავოდ საინტერესო აღბომი „შერაკლეს გმირობანი“ (1847), სავსე არაჩვეულებრივი, თავშესაქცევი გამონაგონით, შესრულების მხრივ დახვეწილი და ზუსტი. შემდეგ, ჩვიდმეტი წლის ასაკში — მხიარულების მფრქვეველი „სასიამოვნო მოგზაურობის უსიამოვნებანი“: შვეიცარიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებით შექმნილი ოცდაოთხი ლითოგრაფია და ას სამოცდათოთხმეტი სატირული ჩანახატი, ოდნავ რომ მოგვაგონებს რუ-

დოღუ კოპფერს, — ყველასათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებები, რომელთაც იგი უნდა უმაღლოდეს ინგლისიდან მიღებულ შეკვეთას და რომლებიც მხოლოდ საგულდაგულო დაკვირვებას შემდეგ გვაძლევენ იმის საშუალებას, ზოგიერთი სასაცილო-ფანტასტიკური ხაზის მიხედვით ამოვიცნოთ დორეში „მიუნჰაუზენის“ მომავალი ილუსტრატორი. ამ მხრივ შესანიშნავია მეორე ალბომის ზოგიერთი ფურცელი, რომელიც განზრახ, პერსპექტივის დაუცველად ზედა არშიამდე გავსებულია, ცოტა არ იყოს, მოძველებული, გაშეშებული ფიგურებით და ადამიანთა თუ ცხოველთა ჯგუფებით. ასეთი უცნაური უოფითი გამოსახულებები, შესრულებული ნაირ-ნაირი კომიკური თუ გროტესკული ხაზით, როგორც ცნობილა, დამახასიათებელია ბრეიგელის, ბოსხისა და მათი წრის მხატვართა ხურათებისათვის. ის აზრი, რომ რაბლეს მომავალ ილუსტრატორს შთაგონებას უღვივებდა დასახელებულ ოსტატთა ნიჭის სწორედ ის მხარე, რომელიც ილუსტრაციას მოიცავს, თავისთავად იბადება, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ დორეს დღენიადაგ მუზეუმებში ხიარულს. ზოგიერთი სახელდახელო ჩანახატი ჟურნალიდან „Musée comique“, რომელშიც დორე თანამშრომლობდა, „წე-ჩვეულებათა ხურათი“ და „ელისეს მინდვრების ხელი“ მათი პრიმიტიული პერსპექტივით ჩიტას თვალსაწიერიდან და ურიცხვი წვრილ-წვრილი ფიგურით კიდევ უფრო ააშკარავებს ამ მოვლენას, რომელიც, მართალია, უფრო იოლად შეიძლება ახსნილიყო გრანვილის რამდენიმე ფურცლიდან მიღებული შთაბეჭდილებით. მალე დორეს ამომავალი ტალანტი უკან მოიტოვებს ყველა ამ თავდაპირველ ცდას — იპოვოს საკუთარი გზა. იგი გოლიათური ნაბიჯებით მიიწევს წინ. ოცი წლის ასაკში მისი ნაადრევად მოწიფული გენია ქმნის თავის პირველ უკდავ შედეგს, — გამოდის ლითოგრაფიების ალბომი „გალური უგუნურებანი“ (1852) — ქრონოლოგიური ჯაჭვი საფრანგეთის ისტორიულ უგუნურებათა. ეს ალბომი, როგორც ისტორიული პაროდია, თემატიკის მხრივ ძალზე დამახასიათებელია დორესათვის.

ამასობაში ჭაბუკი მომწიფდა გადამწყვეტი მოვლენის აღსაქმელად, რომელიც მას თანამედროვეობამ განუშწადა. ეს მოვლენა გახლდათ დომიე-საუცხოო ფურცლები, შექმნილი დომიესაგან მიღებული შთაბეჭდილებების თავისუფალი, დამოუკიდებელი გადამუშავების შედეგად, ავლენენ უკვე მაშინდელი დორესათვის დამახასიათებელ, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ უნარს, პათეტიკურად დამახინჯოს უესტი, კოსტიუმი და ლანდშაფტი, რაც,

კაცმა რომ თქვას, იმდენად სასაცილო ხასიათს კი არ ანიჭებს ამ ფურცლებს, რამდენადაც ლანდისებრი იერს ხდენს მათ. 1854 წელს გამოსული ორივე ალბომი „პარიზული პუბლიკა“ და „პარიზული სამხეცე“, რომლებშიც უოველგვარი გავლენა, დაწყებული იმ სტენიდან დომიემდე, უკვე დორეს ვაინდაზეს გარდაქმნილი და მხოლოდ ამგვარი სახითლა იჩენს თავს, მთლიანობაში კვლავ უახლოებს დორეს გისსა და დეგას; დორეს ნახატები ნაკლებ შნოიანი, ნაკლებ მეტყველი და ზეშთაგონებული როდია. მათი ნატიფი როკოკო ისე სრულქმნილია, რომ იბადება კითხვა: თუ ასე დაიწყო დორემ ოცდაერთი წლის ასაკში, მაშ მომავალში რა სიმალღეებს მიაღწევდა?

მაგრამ დორე სულაც არ მიისწრაფოდა ამ გზით. 1848 წელს გამომცემელმა უარს თქვა მიედო მისი „ისტორიული ესკიზები“; იქმორისტული ფურცლის ახალგაზრდა ილუსტრატორისაგან არ მოითხოვდნენ არავითარ „რომანტიკულსა“ და ანტიკვარულს. ის კი ჭერ ისევ პატარა ბიჭი იყო, როცა თავის სამშობლოში გვიანობამდე ეჭლა ხოლმე რაბლეს, ბალზაკის „სახალისო მოთხრობებისა“ და დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ილუსტრაციებს, ხოლო პარიზის გაღერებში ყველაზე მეტად ხიბლავდა დიდი მოთხრობები და მეოცნებეები; მან შეითვისა რემბრანდტი, ახალგაზრდა, გამაბრუებელი, ფანტასტიკური რემბრანდტი, შეითვისა ისეთი რემბრანდტი, როგორიც მას ესმოდა. როგორც კი ფენი მოიკიდა პარიზში, იგი კვლავ დაუბრუნდა თავის მთავარ თემას. ამასთანავე ლითოგრაფია მისთვის საჭირო აღარ აღმოჩნდა. ხის გრავიურა გახდა მისთვის გამოსახვის კუცილებელი საშუალება. ცნობილი „წმინდარუსეთის ისტორია“ ქმნის გარდამავალ საფეხურს. იგი იკავებს შუალედურ მდგომარეობას კარიკატურასა და ისტორიას შორის. შესრულებულია უფრო ლითოგრაფირებული ნახატის, ვიდრე საკუთრივ ხეზე ამოკვეთილი გრავიურის მანერით. იგი წარმოადგენს ილუსტრირებული წიგნისა და ილუსტრირებული ფურცლის შერეულ ტიპს.

ამ წიგნს უშუალოდ მოჰყვება „რაბლეს თხზულებების“, ბაირონის (1854) და ბალზაკის „სახალისო მოთხრობების“ (1855) თავდაპირველი იაფფასიანი გამოცემები, რომლებიც დორეს წარმოაჩენენ სრულიად ახალი მხრიდან, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი მისი ცხოვრებისათვის. ამასთანავე ეს ნაწარმოებები დგანან იმავე სიმალღეზე, რა სიმალღეზეც დგას მისი პირველი მიღწევები ლითოგრაფიის დარგში. სამართლიანად ითქვა, რომ ამ ნაწარმოებებით და სხვა მათი მსგავსი ნაწარმოებებით შე-

იქმნა ილუსტრირებული წიგნის ახალი ტიპი: საფრანგეთი ჯერ არ მოსწრებოდა ასეთ მდიდარ, ტექსტთან განუყოფლად შეზრდილ, წიგნის შინაარსიდან უშუალოდ და ცხოვლად დაბადებულ ილუსტრაციებს, დიდი და პატარა სურათების ასეთ თავისუფალ და თამამ მონაცვლეობას. ამასთანავე მთლიანობაში სულაც არ იქმნებოდა სურათებიანი და წარწერებიანი წიგნის შთაბეჭდილება, ლიტერატურული მხარე ბუნებრივად ბატონობდა, ხოლო ილუსტრაციული მხარე თვით თავის გააზრებაშიც კი ინარჩუნებდა იმ იღბლიან თანაზომიერებას, რომელიც მოწმობს მხატვრის სრულიად განსაკუთრებულ ტაქტს, რასაც იგი იჩენს დავალების თავისებური არსის გაგებისას. ბალზაკსაც და რაბლესაც დორე ასურათებდა იმ ხმაურიანი და მხიარული უშურველობის გარეშე, რომელიც დამახასიათებელია ამ ავტორებისათვის. მან თავისი საკუთარი კილო შემოიტანა, რომელიც მაინც საოცრად თანხმირი აღმოჩნდა ამ მწერლების სამყაროსი. ფრანგული რენესანსის მძაფრი გამომსახველობა მან იღუმალი შუა საუკუნეების ნაწი ფერებით შეარბილა. და თავისთავად ცხადია, რომ დორეს მჭირდავმა სულმა მსუბუქი ირონიით გამსჭვალა მთელი ეს იღუმალეობა; რომანტიკული მასთან რომანულს უახლოვდება: ისრული კამარების, ფრონტონების, კუთხეებისა და სარკმელთა შვერილება არქიტექტონიკა მისი ქალაქების უკანა პლანზე, შეროიკული მთები და ლანდშაფტები, ხანჩქერები, რაინდების ცადაზიდული ციხე-კოშკები — უველა ეს ამალღებული საგანი, რომელიც ჩვენ აღკვერთ როგორც დორეს წარმოსახვის ინვენტარი, რაღაც თეატრალურისა და მოჩვენებითის მსუბუქ ელფერს იღებს და ამასთანავე გადაიჭრება რაღაც არნახულში, ხანდახან კი დამახინჯებულ პერსპექტივასაც იძენს, თითქმის ისეთს, როგორც ჩვენი თანამედროვე ექსპრესიონისტების სურათებშია (მაგ. დელონე). ამ გარემოცვაში აღმოცენდება კაცუნების სტაფაჟი, კოსტიუმები, პეროიკული ტიკინები, ბრეიგელის ბრბო; ჩნდება მთელი გაღერვა ხან გულისამრევად გაფიფვინებული, ხანაც გამხდარი, გაღეული კარისკაცების, ბიურგერების, შარლატანებისა და ბერმონაზვნების სახეებისა, თითქოს იან მახეისის, რეიმერსვალის და სხვათა ნახატებიდან გადმოუტანიათო. მაგრამ დორეს ყველა ამ ილუსტრაციას ახასიათებს თავშეკავებულობა, ისინი არ არღვევენ მკითხველის განწყობას, რომელიც წიგნის კითხვაში ჩაფლულა.

დორე რომ დასჯერებოდა იმ ფორმისეულ მონაპოვარს, რომელსაც მიაღწია უველა შემოთ ჩამოთვლილ ნამუშევარში, როგორც უიგუს,

უოანოს, ბომონისა და რაფეს გამგრძელებელი, იგი კარსმომდგარი დაკნინებისაგან დაიცავდა ფრანგულ წიგნის ილუსტრაციას სწორედ იმ წლებში, როცა იგი მთელ ქვეყნას მოეფინა.

მაგრამ მოხდა სხვაგვარად, სახალისო მოთხრობების გამოქვეყნებლად ერთ-ერთ წლის შემდეგ გამოდის „La légende du juif errant“-ის მდიდრული გამოცემა — ნოტების, ლიბრეტოსა და სურათებიანი წიგნის უიღბლო შერწყმა, რომელშიაც სურვილს, მიღწეულ იქნას ფერწერული ტილოს შემოქმედება ხის გრავიურის საშუალებით, რომელსაც მთელი გვერდი უჭირავს, პირველად მივეყვართ წიგნის გიგანტურ ზომებამდე. არც ისე იღბლიანი დასაწყისია ახალ გზაზე დამდგარი ბელოვანისათვის!

გამაღებულ ცდაში — ბოლომდე გამოიყენოს წიგნის ვეება ფორმატი, მხატვარს პირველად ლალატობს თვითკრიტიკა და უტყუარი აღდო უველაზე უარყოფითი თვისებები, რომლებიც მისი განვითარების გვიანი ხანისთვისაა დამახასიათებელი, ანაზღუდულად აქ აღრე მტლავნდება. ნამდვილი ორგანო ერთად თავმოყრილი აურაცხელი ილუსტრაციისა; ის, რაც პატარა ფორმატისას გაღვივებული ფანტაზიით შექმნილი სახეები მკონია კაცს, გადიდებისას ტლანქსა და თეატრალურ ხასიათს იღებს.

ამ გარდატეხის მომენტზე უნდა შევჩერდეთ და დავფაქრდეთ. მას გარდატეხა შეაქვს არა მარტო დორეს შემოქმედებაში, არამედ ხერხოდ ილუსტრირებული წიგნის ისტორიაში.

მოდოდან, დროის მოთხოვნათა სუფთა ინსტიქტური შეგრძნებიდან, რომელთაც დორე აღიქვამდა არა როგორც საფრთხეს, არამედ როგორც ისეთ რამეს, რაც ხელიდან არ უნდა გაუშვას კაცმა, მან შექმნა ის, რაც ჩვენ მივკარგინა მის პირველ და მთავარ შეცდომად: „მდიდრული გამოცემის“ ტიპი როგორც ასეთი, რომელიც ხშირად არანაკლებ ეწინააღმდეგება წიგნის ცნებას. ვიდრე გრიუნდერობის ეპოქის შენობის ილუზორული ფასადი კარგ, მაშანდასახულ არქიტექტურას. მაგრამ წიგნის დიდი ფორმატის უცალობელი უარყოფა გადაჭარბებული პედანტიზმი იქნებოდა. ჩვენ მზად ვართ ვაპტიკოთ, რომ დიდი ფორმატი ურიგო არ არის დორეს მიერ ილუსტრირებული პეროსა და „მიუნჰაუზენას“ მსგავსი ზღაპრებისა და მოთხრობებისათვის; უარეს შემთხვევაში „დონკინოტისთვისაც“ გამოდგება, რადგან ეს წიგნები სურათებიანი წიგნების სახით იმისთვის არსებობს, რომ პატარა და აგრეთვე დიდი „ბავშვების“ მაგაღებზე ეწყოს და არა ბიბლიო-

ნ. „პარადი ურიი“.

ფილის ბიბლიოთეკაში. გამონაკლისის სახით დიდი ფორმატი არც დანტესთვის არის ურიგო. სხვა შემთხვევებში. მაგალითად, ლაფონტენისა და განსაკუთრებით უმრავლეს კლასიკოსთა გამოცემებში, რომლებიც უწინარეს ყოვლისა უნდა წააკითხოს და ლიტერატურულად გაიგოს ადამიანმა, — ეს ახდენს მხოლოდ პრეტენციოზულისა და შეუსაბამოს შთაბეჭდილებას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოდიოზური, მდიდრული გამოცემა წარმოადგენს გამოცემის მხოლოდ ერთ-ერთ ტიპს და არც წიგნური პროდუქციის საერთო მასაში. ჩვეულებრივი, კვარტისა და ოქტავის ფორმატის წიგნები გვხვდება არა მხოლოდ მის აღრეულ ქმნილებათა შორის, არამედ ძალზე დიდი რაოდენობით არის აგრეთვე უფრო გვიანდელ პერიოდშიც.

მაგრამ წიგნის ფორმატის გაზრდის პრობლემა განუყოფელია იმ საკითხისაგან, თუ რანაირად მოქმედებს წიგნის ზომების ზრდა ილუსტრირებული წიგნის არსზე. ტექსტისა და ილუსტრაციის მხატვრული შემოქმედების თანაფარდობაზე. ჩვენ დავინახეთ, რომ დორემ „სახალისო მოთხრობებისა“ და აგრეთვე სხვა ჩვეულებრივი ფორმატის წიგნების ილუსტრაციებით შექმნა საუცხოო წიგნის ფურცლები: წიგნის გაფორმების ეს უბაღლო პრინციპი მდგომარეობდა მთელი ფურცლისოდენა ჩანართებისა და ხელით შესრულებული ვინიეტური ნახატების მონაცვლეობაში, რომლებიც თან ერთვოდა ტექსტს. ვინიეტის ზომები უოველგვარ ეარიებას ემორჩილება და ამიტომ უკმაშე უფრო სრულად პასუხობს როგორც ლიტერატურულ, ასევე წიგნის ფურცლის ხანაზაობრივ დეკორატიულ მოთხოვნებს. ვინიეტები ემარებიან და ამავე დროს არ აბრკოლებენ მკითხველს, რადგან ისინი კითხვისას წარმოქმნილ წარმოდგენებს განუწყვეტლივ აქცევენ ხელშესახებ, ცხადზე ცხად სახეებად და მაშინვე, როგორც ნახევრად ორნამენტული გრაფიკული მოტივები, კვლავ დაბეჭდილ ტექსტს უბრუნებენ მკითხველს. ჩანართი კი უძრავია, მას სურს იყოს სურათი, ტექსტმა რომ განაპირობა, სურათი, რომელიც გამოპყოფს მოქმედების ერთ მომენტს და ზედმეტად აჩერებს მასზე მკითხველის ყურადღებას. ყოველ შემთხვევაში მხატვრული თვალსაზრისით ჩანართი უდავოდ საკამათოა, ოტმცა პატარა ფორმატის წიგნში აღნიშნული საფრთხე თითქმის უმნიშვნელოა: აქ ცალკე ფურცელზე ნახატი იკარგება უამრავ ფიგურულ გამოსახულებაში, რომლითაც მხატვრის ფანტაზია ავსებს ტექსტის

ფურცლებს — ჩანართი და ნახატები აქ ერთ მთელს ქმნიან.

ჩანართის სადავო ესთეტიკურმა ხასიათმა პირველად მაშინ იჩინა თავი, როცა დორემ თავისი ილუსტრირებულ წიგნებს ტექნიკა და პრინციპები შექანიკურად გადაიტანა დიდტანიან მდიდრულ გამოცემებში. აქ ნდება ჩანართისა და ტექსტის ნახატის გათიშვა: გამოსახულება ჩანართზე, რომელსაც მთელი გვერდი უკავია, ამოვარდნილია წიგნის მხატვრული ხერხების ანსამბლიდან და თვითმიზნად იქცევა. მხატვარი თუ თანმიმდევრული იქნება ამ გზაზე და მოლიანად იტყვის უარს უკვე სანახევროდ უარყოფილ ვინიეტებზე, მაშინ კარგი ილუსტრირებული წიგნი საბოლოოდ იქცევა უგემოვნო „ტექსტდართულ სურათების წიგნად“, როგორსაც შემდგომ წლებში უპირატესობას ანიჭებდა დორე.

ჩანართის ანტიმხატვრულ იზოლაციას მცირედ როდი შეუწყო ხელი ხის გრავიურის განსაკუთრებულმა ტექნიკამ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ნახეჭდი გვერდის შავთეთრი წყობის პრინციპს. დორე სიამოვნებით მიმართავდა ამ ტექნიკას, რათა მიეღწია სურათის სასურველი შემოქმედებისათვის. ეს ტექნიკა განსაკუთრებით მკვეთრად ხვდებოდა ადამიანს თვალში წიგნის გადიდებული ფორმატის შემთხვევაში.

ქსილოგრაფების ახალი სკოლები ამერიკაში, ინგლასსა და ევროპაში, განსაკუთრებით კი გრავიორების ცნობილი ჭგუფი, რომელიც შეიქმნა დორეს ირგვლივ (პიზანი, პანემაკერი და ბევრი სხვა) და უპირველეს ყოვლისა ისინი, ვინც თავის გამოცდილებას იყენებდა შუქჩრდილის ეფექტების მისაღებად, — ისწრაფვოდნენ რაღაც ახალი შემოეტანათ თეთრთხაზოვანი გრავიურის საშუალებით, რომელიც გადმოსცემს ნახატს თეთრით შავ ფონზე, და აგრეთვე საკუთრივ ტონური გრავიურის საშუალებით. ისინი თეთრ შტრიხვას (ლითონზე საჭრეთლით გრავირების ოსტატთა დარად) იყენებდნენ მხოლოდ როგორც ტონალურ საშუალებას.

თავის წიგნებში დორე ნახატებისათვის (ვინიეტებისათვის) ამჯობინებდა ფაქსიმილეს ძველ კლასიკურ მანერას: იგი წინახწარ იძლეოდა საგულდაგულო ნახატს დაფაზე, რომელიც შემდეგ ქსილოგრაფს ზუსტად უნდა აღედგინა. და პირიქით, გამოსახულებისათვის, რომელსაც მთელი გვერდი ეჭირა, დორე ძალზე ხშირად მიმართავდა ტონურ გრავიურას ანდა მანერას. რომელიც წარმოადგენს რაღაც საშუალოს შავ-შტრიხიანსა და თეთრშტრიხიან გრავიურას შორის. ჩვეულებრივ ასეთი გამოსახულებისათვის

დორე წინასწარ არ ამზადებდა ნახატს, რომლის ზუსტი ასლიც უნდა გადაეღოთ, იგი სჭერდებოდა მხოლოდ სახელდახელო ესკიზს დაფაზე, ხალხი შემდგომში ქალაქის ფურცელზეც, რომელიც გამოარჩეოდა ტონების მკვეთრი დაპირისპირებით. ახლა უკვე ქსილოგრაფს უნდა ექცია ესკიზი ხეზე გრავირებისათვის ვარგისად პარალელური და ურთიერთგადაამკვეთი შტრიხების საშუალებით. ის, რაც ამ დროს მიიღებოდა, იყო უკვე არა ფაქსიმილე, არა გრაფიკული ორიგინალი, არამედ ერთგვარი თარგმანი, «gravure d'interpretation». უკეთეს შემთხვევაში იგი ისეთ კავშირშია თავდაპირველ ნახატთან, როგორშიაც გამოცდილი ასლის გადაშლენი გრავიორის ნამუშევარი ფერად ორიგინალთან. ქსილოგრაფი თავისუფლდება შემოქმედი მხატვრისაგან, იგი იქცევა ვირტუოზ ინტერპრეტატორად. რომელიც ხან საგრაფრო ხაზის კალიგრაფიულ ხისუფთავეს აღწევს, ხანაც ხაზებს კალმით ნახატის ხასიათს ანიჭებს. ერთიცა და მეორეც ერთნაირად უქალის მოსპობას დორეს ბედწერის ინდივიდუალურ თავისებურებას.

ბევრ შემთხვევაში იქ, სადაც ესკიზური მონახაზი არ იძლევა საკმარის მასალას, ქსილოგრაფი უბრალოდ თავისუფალ კომენტატორად იქცევა, რომელიც რეტ-ნაკლები წარმატებით, თავის უაღრესე მხატვრულად დაასრულებს მოცემულ ესკიზს, რადგანაც ამას მოითხოვს ხურათი. ეს უკანასკნელი ხერხი უწყველად დიდ განავალში იყო დორეს ქსილოგრაფებს შორის იმ შემთხვევებშიც კი, როცა ილუსტრაციები, რომლებსაც მთელი გვერდი ეჭირათ, ვინიეტების მსგავსად მოცემული იყო მხოლოდ და მხოლოდ შავი შტრიხით. ამიტომაც ასე ხშირია დორეს დიდი ზომის ხის გრავიურებში, განსაკუთრებით კიდევებსა და ფონზე, ცარიელი, უღიმღამო და გაუბედავად გააზრებული ადგილები. ტექსტში მოცემული შესანიშნავი ნახატებისაგან განსხვავებით ისინი იშვიათად როდი ქმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს თავდაპირველი ილბლიანი იდეა დამახინჯებული იყოს მისი მექანიკურ-აკადემიური შესრულებით.

მაგრამ ჩვენ იმედი გავგიცრუვდებოდა, თუ, გავითვალისწინებდით რა გრავიურის გამოცემის უზუსტობებს, ჭეშმარიტ დორეს ძებნას და ვუწყებდით მის ესკიზურ ორიგინალებში, მისი საკუთარი ხელით შესრულებულ ნახატებში. თუმცა, როცა დანტეს „დვთაებრივი კომედიის“ ხის გრავიურები გამოჩნდა, გრავიურის ერთმა კარგმა მცოდნემ და მხატვრის მეგობარმა დაადასტურა, რომ ცივი და მძიმე ქსილოგრაფიები ტოლს ვერ უდებენ თავდაპირველ ესკიზებს. ამის შემოწმება ჩვენ არ ძალგვიძს. ოცი წლის

შემდგომ, გრაფიკული ნამუშევრების გამოყენასთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა კრიტიკოსმა გამოთქვა აზრი, რომ დორეს ნახატები უფრო იმპროვიზაციებია, ვიდრე მხატვრული ნაწარმოებები, უფრო მინიშნებებია, მხედველობითი ფიქსაციებია, ვიდრე მხატვრული ხორცშესხმული ქმნილებები. ეს არ ენებოდა კალმით შესრულებულ მის ესკიზებს, რომლებიც განეკუთვნებიან ყველაზე უფრო გენიალურ ქმნილებათა რიცხვს, რაც კი დორეს შეუქმნია; ეს ენება ქსილოგრაფებისთვის წინასწარ შესრულებულ მის ნახატებს. ამ წინასწარ შესრულებულ ნახატებს არ გააჩნია სრული გრაფიკული ცხოველმყოფელობა, რადგან დორე ხატავდა მათ ქსილოგრაფების იმედით, ხეზე გრავირების ოსტატი კი ყოველთვის ვერ იყენებდა თავის შესაძლებლობებს, ვინაიდან ხელიდან უსხლტებოდა მხატვრის თავდაპირველი ჩანაფიქრი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მის გრავიურის მთელი მომხიბვლელობა ელინდება მხოლოდ პირველ ანაბეჭდებში; შემდგომ დორეს ილუსტრაციებს უკვე კლიშედან იღებდნენ. ამრიგად, ვინ იცის, ქსილოგრაფის განსაკუთრებული ოსტატობის ბრალია თუ პირიქით, მისი დამსახურებაა, რომ დორესაგან გაუხუნარი ჩანაფიქრი, კომპოზიციური გაქანება და ძირითადი აზრი მაინც რჩება საბედნიეროდ, რაშიც მხატვარი წარმოსდგება მთელი თავისი სიმბალით და რაც საკმარის ძლიერია საიმისოდ, რომ თვით ვან-გოგინ შთააგონოს.

უპირატესობა, რომელსაც დორე ტონურ გრავიურას აძლევდა, აიხსნება ნაწილობრივ ტექნიკის მნიშვნელობის გარკვეული შეუფასებლობით, ხოლო ნაწილობრივ დორეს მიდრეკილებით პირქუში „ფერწერული“ ეფექტებისადმი, მისი პატვიზმოდ სურვილით ხის გრავიურაში მაინც გამოესახა ის, რაც ვერ მოახერხა როგორც დაზგური სურათების ფერმწერმა. და განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ტონური გრავიურის ტექნიკა დროდადრო ნამდვილად აძლევდა საშუალებას, ფართოდ გამოეყენებინა ის მონაცემები, რომელთაც მხატვარი ვერ იყენებს შავტრიხიან გრავიურაში? უნდა ითქვას, რომ სანამ დორე ესკიზებს ზედ დაფაზე ხატავდა (დაახლოებით 1868 წლამდე), ისინი რამდენადმე პასუხობდნენ ხის გრავიურის მოთხოვნებს; ამასთანავე ამ ესკიზებში მხატვარი ჯერ კარად დომინირებდა ქსილოგრაფებზე. შემდგომში ორიგინალი ფოტოგრაფიული წესით გადამქონდათ ხის დაფაზე და ამის შემდეგდა გადა-

ნ ვან-გოგინ ცნობილი სურათი „ციხის ეზო“ წარმოადგენს დორეს ერთ-ერთი კომპოზიციის ვადამუშავებას ლონდონური ციკლიდან.

დიოდა გრავიორის განკარგულებაში, რომელიც ხშირად მხოლოდ ფუჭი თეატრალური ეფექტებს პაკვებდა მასში და ეს ეფექტები გადმობჰქონდა. აი სწორედ ეს ვახდა იმის მიზეზი, რომ შემდგომ დორეს მთელ წიგნურ გრავიკას სახელი გაუტულა.

დორეს ყველა ილუსტრაციულ ნამუშევარს, რამდენადაც ლაპარაკია დიდი ფორმატის წიგნებზე, გასდევს ეს ორმაგი ბუნება: ერთი მხრივ, ტონური გრავიურის რეპროდუქციები, რომელთა მხატვრული მნიშვნელობა პირდაპირი, უშუალო გზით ვერ აღწევს ჩვენამდე, და მეორე მხრივ — კალმით შესრულებული ფაქსიმილეს სტილის ნახატები არშიებზე, რომლებიც მხატვრის გენიამ უშურველად — და თანაც სხვათა შორის — მიმოაბნია ტექსტის გვერდებზე. (ეს ბედნიერი „სხვათა შორისა“, რასაც უნდა ვუმაღლოდეთ ბევრ საუკეთესო და განუმეორებელ ქმნილებას, რომელიც მე-19 საუკუნის ოსტატებს შეუქმნიათ) აქ, სადაც დორეს ფანტაზია, რომელიც ჩვეულებრივ თავისი ძალების უდიდეს დაძაბვას ესწრაფვის, სრულ თავისუფლებას ანიჭებს საკუთარ თავს, აქ, სადაც დორეს შეუძლია მთელი არსებით მიეცეს იმპროვიზაციას და სადაც ვერა ხელოსანი ვერ წაახდენს მის კომპოზიციას, დორე წარმოსდგება თავისი ხალასი, შეურყვნილი სახით.

იდეა და ფორმა აქ ერთიან, მთლიან სახეებს ქმნის. ეს სახეები უღვეველია, გამოირჩევა შტრიხის გენიალური სიმსუბუქითა და ამასთანავე დაძაბულობის ისეთი ამპლიტულით, რომელიც თავის თავში იტევს ოსტატებს ახალგაზრდა რემბრანდტიდან კალომდე და მენცელიდან დომიემდე.

დავუბრუნდეთ თავად დორეს ნაწარმოებებს და ვნახოთ, როგორ გადაიქცევა „ახალგაზრდა დორე“ (ხელოვნების ისტორიაში ეს უნდა ქცეულიყო ზუსტ ტერმინად) „უკანასკნელ რომანტიკოსად“.

მხატვარი გამოცდილების დაგროვების გარკვეული პერიოდის შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც იგი არაჩვეულებრივ მრავალმხრივობას ამჟღავნებდა და თითქოს სასხვათაშორისოდ ასურათებდა მოგზაურობებს, რაინდულ რომანებს, ლექსებსა და ა. შ. (ტენის პირენეის მთებში მოგზაურობისათვის შექმნილი მშვენიერი პეიზაჟური ვინიეტები — თავის მეგობრებთან გოტიესა და დალოზთან ერთად ესპანეთში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებების შესანიშნავი გადამუშავება, აგრეთვე „მოსწავლეთა გზის“ თავშეკავებული და კეთილშობილი არქიტექტურული ნახატები), სატირუ-

ლი ფურცლების თანამშრომლიდან სულ უფრო და უფრო იქცევა პირქუშ, ღრმად ჩაფიქრებულ ილუსტრატორ-მონუმენტალისტად. 1861 წელს გამოვიდა დორეს ცნობილი კარტალური ნაწარმოები — „ჯოჯობეთი“, რომელზედაც იგი მუშაობდა ჯერ კიდევ 1855 წლიდან, 60-60-იანი წლების ბიურგერების სარტანო, კოთახა და მამშვენიბელი დანტე. იმავე წელს გამოვიდა ორთავე მდიდრული გამოცემა in quarto — „მთის მეფე“ (პირველი ნაბიჯი გადადგმული „მიუნჰაუზენისაკენ“) და „რეინული თქმულებანი“ — მისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი ნამუშევარი, რომელიც მშვენიერებითა და საწრიანობით სუნთქავს. ამ წიგნში ვლინდება ნამდვილი დორე მთელი თავისი ინდივიდუალობით, აღსავსე იმ მკაცრი მომზაბულებლობით, რომელიც ხშირად ღიმილს ბავებზე შეაყინავს ხოლმე ადამიანს, ხოლო ძრწოლას ღიმილად უქცევს.

„ჯოჯობეთის“ მონუმენტურ ტონურ გრავიურებში (მავრამ არა „განსაწმენდელია“ და „სამოთხისაში“, რომლებიც 1869 წელს არის გაკეთებული) ჩვენ ვხედავთ, — სხვა როგორი აზრიც არ უნდა არსებობდეს ამის თაობაზე, — უდავოდ მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს მხატვრის ნიქის პეროიკულ-პათეტიკური მხარის განვითარებაში და ამასთანავე მის განსაკვიფრებელ უნარს შეეგუოს დიდ ფორმატს. ეფექტური კომპოზიცია და ამავე დროს სივრცისა და ლანდშაფტის შინაგანი ხედვის ქემ-მარტივი ნიჭი ზოგჯერ აქ ერთმანეთს ერწყმის და არაჩვეულებრივად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. დორე ერთბაშად ვერ პოულობს სწორ ტონს. პირველი ფურცლები — ეს არის შედარებითი პეიზაჟები (ლანდშაფტში, ისევე როგორც მთელ წიგნში, არაფერია იტალიური, მასში უფრო მეტია ჩრდილოური, ოსიანური), კლდეებისა და ტყის რომანტიკული სამყარო. უკანასკნელი ფურცლები წარმოადგენენ დანტეს მხატვრული სახეების ბრწყინვალე ხორც-შესხმას, რომლებიც შესრულებულია ვაგნერისა და „სალამბოს“ ავტორის თანამედროვის მიერ. სამწუხაროდ ამ გრავიურებში ყველაფერი როდია თანაბრად ღირებული: ბევრი რამ უკვე ცივი აკადემიზმის ზღვრამდეა მისული, ბევრ რამესაც მასქემატიზირებელი ქსილოგრაფიის დალი აზის. ამ ძირითად მიმართულებასთან ერთად დორეს შემოქმედებაში ვხვდებით ისეთ ნამუშევრებს, რომლებიც მას დასვენებისა და გართობის უამს შეუქმნია. მოგზაურობა იტალიასა (ვენეცია, ვერონა) და გერმანიაში (ბადენ-ბადენი), აგრეთვე მეორე მოგზაურობა ესპანეთში დავილესთან ერთად ახალ შემოქმედუ-

ბიძე იმპულსებს აძლევს მას. ეჭვი არ არის, რომ ათწლეული 1854 წლიდან 1864 წლამდე წარმოადგენს დორეს შემოქმედების მეორედ აყვავების პერიოდს. მისი მხატვრული პროდუქცია და გამომგონებლობა შესაძლოა აქ უფრო მეტადაა ინდივიდუალური ტონებით შეფერილი, ვიდრე პირველ პერიოდში, მიუხედავად ჩვენს მიერ აღნიშნული თავისებურებებისა, რომლებიც არღვევენ მის ნაწარმოებთა სტილის სიმინდეს. უკვლავ უფრო სრულქმნილია ბურჟუაზიისთვის განკუთვნილი მშვენიერი სურათებიანი წიგნები. ამ წიგნებში მხატვარი ტაქტიანად თავისუფლად სდებს თავის უკვლავ უფრო ინტიმურ განცდებს. თავდაპირველად გამოდის ორივე დახატებული მდიდრული გამოცემა in quarto, რაც ერთგვარი შესავალია, შემდეგ კი პეროს ზღაპრების დიდტიანი წიგნი (1862). კონკიას, ცეროდენას, ქოჩორარიკეს, ლურჯწვერასა და სხვათა ნაცნობი ბიუტეტები აქ გერმანული აღქმისათვის სრულიად უცხო, გაშიშვლებული, დროდადრო კი მძიმე გრძნობიერი რეალიზმითაც არის გამსჭვალული, რომელიც ზოგჯერ ხიბლავს ადამიანს, ზოგჯერ სიტლანქის ზღვრამდეა მისული, ზოგჯერაც თეატრალურის სფეროში გადავყავართ. თითზე ხამოსათვლელია წიგნები, სადაც დორეს ნიჭის დადებითი და უარყოფითი მხარეები ისე მჭიდროდაა ერთმანეთში გადახლართული, როგორც აქ.

თავისი სტილითა და ხასიათით კიდევ უფრო კარგადაა გამოსული სამი მომდევნო ნაწარმოები (1863), სადაც კვლავ ჩნდება ხარბიულზე პეროს ზღაპრებში უგულვებელყოფილი არშიაზე ნახატები და სადაც ტონური გრავიურები უკანა პლანზე სწევენ ილუსტრაციებს, რომელთაც მთელი ფურცელი უჭირავთ: სახელგანთქმული „მიუნჰაუზენი“, „დონ-კიხოტი“ თავისი მშვენიერი ესპანური ლანდშაფტებით, პაროდია როლანდის რომანტიკაზე — „ლეგენდა კროკემიტენისა“⁹ და აგრეთვე სახელგანთქმული „კაპიტანი კასტანეტი“ — ნაპოლეონის არმიის ლეგენდარული ავანტიურისტი. გააზრებას აქ უმთავრესად ზღაპრული ხასიათი აქვს და სატირული ელემენტი გადადის ხუმრობასა და ბუფონადაში. დორე დონ-კიხოტს გაიაზრებს (რა

დიდებული მასალაა ჩვენი მხატვრის ირონიული რომანტიკისათვის!) არაჩვეულებრივი გულიხშიერებითა და ინტიმურობით, რითაც მკვეთრად განსხვავდება დომიესაგან მთელი კომიში თავმოყრილია საჩნოს სახესი, რომელიც, მიუხედავად ამისა, არ არის მოკლებული გარკვეულ ამაღლებლობას, მაშინ, როდესაც თავად რაინდი წარმოსდგება არაჩვეულებრივი სიდიდით — თავშეკავებული, ტრაგიკულად დაფიქრებული, ყოვლისმიმტვევბელი; მაგრამ მისი მწუხარე სახე სრულიადაც არ არის სასაცილო, ამავე დროს არც დემონური და ეგზალტირებულია ხუფ ოდნავ მაინც. იგივე შეიძლება ითქვას კიდევ უფრო ცოცხლად შესრულებულ „მიუნჰაუზენზე“, რომელშიც უხვადაა მხატვრული გამონაგონი, ხოლო Croquemitaine-ის ნახატები არშიაზე გრაფიკისა და წიგნის ილუსტრაციის თვალსაზრისით შესაძლოა უკვლავ უფრო სრულყოფილია იმ ქმნილებათაგან, რაც კიდორებს შეუქმნია. მოცარტისეული სიმსუბუქითა და სილალით ეს ქმნილებანი ზოგჯერ მოგვაგონებენ საუკეთესო ნახატებს სლეფოგტის¹⁰ წიგნებიდან, მაგალითად, ალი-ბაბადან¹¹.

სამწუხაროდ იმავე წელს გამოდის შატოპრიანის „ატალას“ მდიდრული გამოცემაც მეტისმეტად გაკობტავებულ-გაღაშაზებული ლანდშაფტებით, მეტისმეტად ღუნე, არაფრისმთქმელი შინაარსით — პირველი ნიშანი დაკნინებისა. ცხადია, თემა მაინცდამაინც არ მოსწონებია ილუსტრატორს. მაშ რაღად აირჩია? 1846 წელს არ ტომად დასტამებული ბიბლიის ცნობილ გამოცემას საბოლოოდ შევეყვართ ჩვენი მხატვრის შემოქმედების „შესაშე პერიოდში“, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ინგლისური“ დორეს მრავალგზის უოფნასთან დაკავშირებით ლონდონში. აქ ნათლად ჩანს, რომ აუცილებელი, ერთადერთი ნუოფიერი კავშირი მწერალსა და მხატვარს შორის ამიერიდან წყდება. წმინდა წყლის აკადემიკოსის ცივი რუტინირობით დაახურათა დორემ მთელი ხალმროს წერილი, ამასთანავე თვით სიუჟეტმაც შეუშალა ხელი მისი ნიჭის სწორედ საუკეთესო მხარეების გამოვლენას. იმ სიახლეს კი, რაც მის გამომგონებლობას შეეძლო შემოეტანა, ძალზე ხშირად სმობდა ქსილოგრაფების გაკობტავებული ნამუშევარი.

⁹ რაინდული პოემა იტალიელი პოეტის ლოდოვიკო არიოსტოსი, რომელიც ცხოვრობდა მე-15 საუკუნის ბოლოსა და მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში.

¹⁰ კროკემიტენი — ზღაპრული არსება, რომელითაც საფრანგეთში ბავშვებს აშინებენ; ჩვენი ბუას მსგავსი რამ.

⁹ სლეფოგტი — თანამედროვე გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრაციის ოსტატი.

¹⁰ ალი-ბაბა — „ათას ერთი ღამის“ მოქმედი პირი.

შემდეგ ამას მოსდევს „დაკარგული სამოთხისა“¹¹ და ტენისონის ნაწარმოებთა ფოლადის მოსაწყენ გრავიურებიანი ძლიერული გამოცემების ფუჭი თეატრალური პათოსი, ლაფონტენის იგავების რამდენადმე უფრო ხეირანა გამოცემა, რომლისთვისაც შექმნილი ვინიეტები (მართალია, გრავიურის ტექნიკის თვალსაზრისით შელამაზებული) ბევრად უკეთესია მძიმე ჩანარებზე, რომლებიც ხშირად სრულიადაც არ შეესაბამებოდა იგავების სულისკვეთებას.

არც „ჭვაროსნული ლაშქრობების ისტორია“ უკეთესი, ნამდვილად უგემოვნოა 1878 წელს გამოცემული არიუსტოც — უკანასკნელი ველური, თავაშვებული ღრეობა უფინთა და რკინის ქლარუნით აღსავსე რაინდული რომანტიკისა. ხად გაქრა იუმორით სავსე დაცინვა, ხად გაქრა ფიქრიანი ირონია, რომლითაც ახალგაზრდა მხატვარი ლაგამს სდებდა გადაჭარბებულ წარმოსახვას, რისკენაც მქონდა მიდრეკილება? მაგრამ ინგლისში განადიდებდნენ სწორედ ამდაგვარ ფანტასტიკას ხელოვნებაში, ზღვარს გადასულსა და ამასთანავე გაკობტავებულ-გალამაზებულს. ნუთუ მართლა ეღიეოდა დორეს შემოქმედებითი ძალა, ნუთუ მართლა იმდენად ამოწურა საკუთარი თავი, იმდენად დახარჭა საკუთარი შესაძლებლობანი, როგორც ეს შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს ბოლო დასახლებული ნამუშევრების საფუძველზე? სრულიადაც არა! იქ, სადაც იგი ჩამოღის კლასიკური კოტურნებიდან და უბრუნდება მის მიერ ესოდენ აღვილად მიტოვებულ მდებალ სინამდვილეს — „ესპანეთის“ (1874) პეიზაჟებსა, ქუჩის სცენებსა და ქალაქურ ხედებში, უწინარეს ყოვლისა კი „ლონდონის“ ილუსტრაციებში (1872) (ეს ილუსტრაციები წარმოადგენს იმის შემდგომ განვითარებას, რასაც დორე უფრო შედაპირული ფორმით იძლეოდა მოგზაურობათა და ქალაქურ ჩანახატთა თავის ადრინდელ წიგნებში, რომლებიც გამოირჩევა ოქმური ხასიათით), — იგი აღსდგება ანთეოსის დარად თავისი პირვანდელი სიძლიერით.

„ლონდონი“ წარმოადგენს უაღრესად შესანიშნავ ნაწარმოებს. დორე აქ პირველად ებება სოციალურ საკითხებს, მსგავსად იმისა, როგორც ეს გააკეთა იმავე ათწლეულში მენცელმა თავის „რკინის საგლინავ ქარხანაში“. როგორც დანტე ჯოჯობეთში, ისე გაივლის მხატვარი 70-იანი წლების შემზარავ ლონდონში — შრომის, ბილატაკის, ჭურღმულეებისა და დოკების, მაგრამ ამასთანავე სალონებისა და დოლების ლონდონშიც. რა თქმა უნდა, იგი ხოციალურს აღიქ-

ვამს რომანტიკულად, თუმცა ხშირად ინგლისური სანტიმენტალობით, მას ურჩევნია შემზარავის გამოსახვა, ურჩევნია დიდი, ტანჯული ქალაქის ნადვლიანი ნოქტიურნები და მოგვაკონებს ნაწილობრივ დიკენსს, ნაწილობრივ ედგარ პოსს, ზოგჯერ კი, ლიტონსტონის ნაწარმებს კეტე კოლვიცს. იმ ამოცანების წინაშე, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ იმპრესიონისტის თვალს ძალუძს მხატვარი (рисовальщик) და განსაკუთრებით ქსილოგრაფი სრულიად უშწონი არიან: იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მრავალი ილუსტრაცია შეიქმნა ფოტოგრაფიის გამოყენების შედეგად, მიუხედავად ამისა „ლონდონი“ წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუზურს დორეს განვითარებაში და შესაძლოა ახალი, უკვე განუხორციელებელი შესაძლებლობების განსახიერებას. ჩვენთვის, დღევანდელი ადამიანებისათვის, ეს ილუსტრაციები ძვირფასია თუნდაც მხოლოდ კალმით ძნელად ასაწერი წარსული კულტურის სულისკვეთების გამო, რომელიც პირდაპირ ხიოსავით უბერავს ამ ფურცლებიდან.

დორე გარდაიცვალა 1883 წელს ორმოცდათერთმეტი წლის ასაკში. უკანასკნელი ათწლეული, რომლის განმავლობაშიაც თავი გაიტანჯა კოლოსალური ზომის ხურათებსა და გიგანტურ ქანდაკებებზე მუშაობით, საოცრად უნაყოფო აღმოჩნდა მისთვის წიგნის ილუსტრაციის დარგში.

1871 წლის ომის დამთავრებასა და განსაკუთრებით დედის სიკვდილთან ერთად სწრაფად ეცემა მხატვრის სიცოცხლის მრუდი, რომელსაც სულ უფრო და უფრო ეძალებოდა მძიმე დებარესია. იგი ბრწყინვალეებით იყო გარემოსილი, შინაგანად კი ჩამქრალი ჩანდა. მას შინაგანი მიზანსწრაფვა კი არა, პატივმოყვარეობა არ აძლევდა ამასუნთქვის საშუალებას, თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდ მქონდა გეგმები. სიკვდილის სარეცელზეც კი იმას დარდობდა, რომ შექსპირზე ვერ იმუშავა. დიდი ხალისით დაასურათებდა კიდევ მომეროსს, ანაკრეონს, პლუტარქეს, ზოლო ჩვენ ახლა სინანული გვიპურობს, რომ იგი არ დაუბრუნდა ოსიანს, ვალტერ სკოტსა და ე. თ. ა. მოფმანს. ედგარ პოსს „უორანი“ იყო ბოლო, მაგრამ არა საუკეთესო იმ ნაწარმოებთაგან, რაც მან დაასრულა. მივიხედოთ უკან. არც იმდენი სიხარული ხვდომია წილად გარეგნულად ამ თითქოს იღბლიან მხატვარს. ოცდაათი-ოცდათორმეტი წლის ასაკში ამოწურთ საკუთარი შესაძლებლობები — მძიმე სასჯელია უგნურად გაფლანგული ახალგაზრდული ძალების სანაცვლოდ. მაგრამ განა შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო? არაჩვეულებრივი კანონზომიერებითა და თანა-

¹¹ კე-17 საუკუნის ცნობილი ინგლისელი პოეტის — მილტონის ნაწარმოები.

მიმდევრობით აღსრულდა ამ თავისებური «gamin de génie»-ის¹² ბედისწერა.

ამიტომაც დღეს ჩვენ დაუნანებლად ვამბობთ უარს ამ მოვლენებითა და შემოქმედებითი მღელვარებით აღსავსე, დაძაბული ცხოვრების ნახევარზე. რაც შედგება — ოცი წელი — ჩვენ ახლა დიდად არ გვადარდებს. ოდესღაც დორეს შეეძლო მიეჩქმალა თავისი ახალგაზრდული შემოქმედების არაჩვეულებრივი სიმდიდრე და შთამომავალთა თვალისთვის დაემალა. ამჟამად დორეს შემოქმედება და მისი მნიშვნელობა გადარჩენილია და მთელი თავისი

ბრწყინვალეობით შევიდა ისტორიის სულიერ საგანძურში. დორე-ჭაბუკი ცხოვრობდა იგი სულ უფრო და უფრო მეტად გაცოცხლებდა, იმით, რომ ჩვენს დროშიაც კი მხოლოდ ცოტანი თუ აძლივინ ქაგუჯარ-თავს ანგარიშს, რამხელა სამყარო აურევს დორეს შემოქმედებით ძალაში. თავისებური ფენომენი იყო ეს თავისუფალი შემოქმედი, რომელზედაც კურბემ — სრულიად საპირისპირო ხასიათის შემოქმედმა — ერთხელ მისთვის ჩვეული უაქელაციო, თითქმის ქარაფშუტული მანერით თქვა: In'y a que lui et moi.¹³

¹² ილბლიანი კაცი (ფრ.).

¹³ არავინ არსებობს მის და ჩემს გარდა.





გუსტავ დორა, ილუსტრაციები ო. ბალზაკის „სახალისო მოთხრობებისა“



697/3

76189

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გუსტავ ღორე, რ. რასვეს „გარონ მიუნიციპალიტეტის“ ილუსტრაცია



გუსტავ ღორე, „ესპანელი“